

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

პროექტი

ტომი II (VIII)

2023

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტი



შრომები

ტომი II (VIII)

საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან არსებული
ისტორიისა და ეთნოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბეჭდური ორგანო

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2023

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გამომავალი „ეთნოლოგიური ძიებანის“ სანაცვლო. 2019 წელს, მკითხველს უკვე შევთავაზებთ „შრომების“ პირველი ტომი, ამჯერად გთავაზობთ ამ სერიის მეორე ტომს, რომელშიაც დაბეჭდილია მეცნიერული გამოკვლევები, სამხრეთ კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის ხალხთა ისტორიის, ეთნოლოგიის, ეთნოკულტურისა და ხელოვნების შესახებ.

სარედაქციო კოლეგია:

ელდარ ნადირაძე (თავმჯდომარე), **ოთარ ჯანელიძე** (მოადგილე), **თამილა ცაგარეიშვილი**, **ივანე მენთეშაშვილი**, **ოლივერ რაისნერი** (გერმანია), **რამაზ პაპუაშვილი** (საფრანგეთი), **რიზვან ჰუსეინოვი** (აზერბაიჯანი) **როზეტა გუჯეჯიანი**, **ნოდარ შოშიტაშვილი**

ტომის რედაქტორი:

ოთარ ჯანელიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რეცენზენტები:

ქეთევან ხუციშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

თინა ლუდუშაური, აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ტექნიკური რედაქტორი

დათო გოგლიძე

ISSN 2346-848





საქართველოს ისტორია

მანანა გაბაშვილი

სვეტიცხოვლის ფრესკისა და კორცხელის ტაძრის ფასადის დროშები

ქართული დროშების შესახებ წერილობით წყაროებში მწირი ცნობებია დაცული, ამიტომ ეს საკითხი ბოლომდე გარკვეული და დაზუსტებული არაა. აქედან გამომდინარე, ეს უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი პრობლემა შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს. არც იმას გამოვრიცხავთ, რომ მომავალში ამ ხასიათის ცნობები აღმოჩნდეს. თუმცა ის რაც ხელთ გვაქვს, შეიძლება ითქვას, სათანადოდ არ არის შესწავლილი და ზოგ შემთხვევაში ამგვარი მასალის არსებობის პირობებშიც კი მათზე ყურადღება არ გამახვილებულა. პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს საქართველოს მთავარი საკათედრო ტაძარი სვეტიცხოველი, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და საინტერესო ფრესკაზეც (XVII ს.), საზღვაო თემატიკის, კედლის მნიშვნელოვანი ნაწილი რომ უჭირავს, აფრიან ხომალდებზე დროშებია გამოსახული. იგივე უნდა ითქვას ამავე პერიოდში ოდიშის მთავარ ლევან II დადიანის (1611-1657) მიერ აღდგენილი კორცხელის ტაძრის ფასადზე (XVII ს.) გამოსახულ დროშაზეც, რომელიც მსგავსებას ამჟღავნებს სვეტიცხოვლის ზემოხსენებულ დროშებთან, რაც პარალელურ კვლევასა და სათანადო ანალიზს ითხოვს. ამ დროშებს სხვადასხვა სტატიებში შევხებით, (მ. გაბაშვილი, 2021; M.Gabashvili, 2021) მაგრამ საკითხის სირთულიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე ამ მიმართულებით კვლევას ვაგრძელებთ

ცნობილია, რომ დროშა უდიდესი დატვირთვის მატარებელი სიმბოლოა მჭიდროდ დაკავშირებული პოლიტიკასა და სახელმწიფოებრიობასთან, ძალაუფლებასთან, ეროვნულ ღირსებასთან,

გამარჯვებებთან. დროშა ისტორიის გარდა ქვეყნის ორიენტაციასაც ასახავს და გამოიყენებოდა ომისა და მშვიდობის დროს, საზეიმო ცერემონიალების ჩატარებისას (მეფედ კურთხევა და სხვ.). მტერი დროშის ფაქტორს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, მის ხელში ჩაგდებას, შეურაცხყოფასა და განადგურებას ცდილობდა, ებრძოდა და რეპრესიებს უწყობდა მის დამცველებს.

ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით სვეტიცხოვლის ფრესკის დროშები შემთხვევით არ უნდა ყოფილიყო გამოსახულიყო ამ უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის ტაძარში, რომელიც საუკუნეების მანძილზე, როგორც ქართველობისა და ქართული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შემნახველი, განსაკუთრებული ისტორიული მისიის მატარებელია. შესაბამისად, გასათვალისწინებელია დრო და ეპოქა, კერძოდ XVII საუკუნეში არსებული საქართველოს საშინაო ვითარებასთან ერთად საგარეო ასპარეზზე არსებული მდგომარეობაც. ამიტომაც აღნიშნული დროშები არა მხოლოდ სვეტიცხოვლის, არამედ XVII საუკუნის მთლიან კონტექსტშია გასაანალიზებელი, ანუ ზოგადად ეპოქის ქრილში.

მცირე რენესანსად წოდებული ამ ეპოქისთვის ნიშანდობლივი იყო ეროვნულ იდეოლოგიაზე, პატრიოტულ თემებზე და ისტორიაზე აქცენტი, რაც შექმნილ რთულ ვითარებაში ბრძოლის მიღავრ ფაქტორს წარმოადგენდა, რაზეც სვეტიცხოველიც რეაგირებდა. აღნიშნული პატრიოტული თემების აქტივიზაციას თავისი მიზეზები ჰქონდა. ამას ოსმალების მიერ 1453 წელს ბიზანტიის დამხობის შედეგებს ვუკავშირებთ, რასაც ანტიოსმალური კოალიციების ჩამოყალიბება მოჰყვა ძირითადად ქართველებისა და ევროპელების ინიციატივით.

ასე რომ, სვეტიცხოვლის დროშების კვლევა მთლიანობაში ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებთან კავშირშია შესასწავლი და გასაანალიზებელი, ფრესკაზე დადასტურებული ურთულესი სიმბოლოების ჩათვლით და, რაც მთავარია, პატრიოტული თემების კონტექსტში, რასაც ბიძგი, როგორც ეს ზემოთ ითქვა, 1453 წლის შემდეგ ქრისტიანული სამყაროსთვის ნიშან-

დობლივმა საერთო კატასტროფამ მისცა.

სვეტიცხოველში აფრიან ხომალდებზე გამოსახული დროშე-ბი და კორცხელის ტაძრის ფასადის დროშა მენამული ფერი-საა, ოქროსფერი ერთი ჯვრით, ეს ფერი ქრისტესია, რაც ამ დროშებს ზოგადქრისტიანულ ელფერს სძენს.

კიდევ ერთი ფაქტორია მხედველობაში მისაღები. ამ დროშებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ვხვდებით. დროშები მარიამ დედოფალს (1605-1680/83) და ლევან II დადიანს შორის არსებულ კოორდინაციასა და ურთიერთანამშრომლობაზე მიანიშნებენ, რაც ადრეულ გამოკვლევებში შევნიშნეთ, ამჟამად კი ამ დროშებმაც დაგვიდასტურეს. ვფიქრობთ, მთლიანობაში, როგორც სვეტიცხოვლის, ისე კორცხელის დროშები ერთიანი საქართველოს იდეასაც უნდა დაუწყავშიროთ, მით უმეტეს საქართველოს დაშლილობის პირობებში. ამასთან დაკავშირებით პარალელი უნდა გაივლოს როსტომ მეფის იმ პოლიტიკასთან, რის გამოც მან ერთიანი საქართველოს ტიტულატურა აიღო. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მის ბეჭედზე ჯვარი იყო გამოსახული.

როგორც ზემოთ ითქვა, სვეტიცხოვლის დროშები საზღვაო თემატიკის ამსახველი ფრესკის აფრიან ხომალდებზეა აღმართული, რაც შემდეგ კითხვას ბადებს. მაინც რამდენად შემთხვევითია ამ დროშების საზღვაო პეიზაჟის საერთო ფონზე დადასტურება. თავისთავად ეს უნიკალური ფრესკა (საქართველოში სხვაგან არსად გვხვდება), საქართველოს მთავარ საკათედრო ტაძარში, საქართველოს საზღვაო ინტერესებზე მიანიშნებს და ამ მიმართულებით ერთგვარ აქცენტსაც აკეთებს. რაც ასევე მნიშვნელოვანია, სრულიად საქართველოს მასშტაბით მისი პროპაგანდისტიც გამოდის. არც ის მიგვაჩნია შემთხვევითად, როდესაც მარიამ დედოფალს სვეტიცხოველში საზღვაო თემატიკა შემოაქვს, ცალკეული საზღვაო შინაარსის წარწერების სახით, რაც აღნიშნულ ფრესკასთან კავშირშია განსახილველი და ასევე დროშებთან მიმართებაში. მხედველობაშია მისაღები ლევან II დადიანის საზღვაო ინტერესებიც.

მნიშვნელოვანია აგრეთვე თანამედროვეთა მხრიდან მარიამ დედოფლის თამარ მეფესთან შედარება (ბერი ეგნატაშვილი, 1959: 441). ეს ნიშნავს, რომ თამარის ეპოქა საზღვაო კუთხითაც XVII საუკუნეშიც ცოცხალი იყო და კვლავაც ქართული პოლიტიკის ისტორიულ ორიენტირად რჩებოდა. ამან პარალელის გავლების საშუალება მოგვცა ვარძიის ფრესკაზე თამარის გამოსახულებასა და სვეტიცხოველში დადასტურებულ ქართლის დედოფალ მარიამს შორის. ორივე წითელ ფეხსაცმელებშია გამოწყობილი, რაც ბიზანტიის მემკვიდრეობაზე პრეტენზიაზე მიაჩნება. მაგრამ თუ კი პირველ შემთხვევაში ძლიერი საქართველოსთვის ეს პოლიტიკა რეალური იყო, მოგვიანებით, საქართველოს დამლილობის პირობებში და მარიამ დედოფლის დროს, უკვე ისტორიული ხსოვნის ხასიათი მიიღო. აღსანიშნავია, რომ ვარძიის ფრესკაზე საქართველოს ტრადიციულ პოლიტიკაზე, საზღვაო ინტერესებსა და ტრაპიზონზეც არის მინიშნება, ასევე ამ მიმართულებით სამომავლო პროგრამულ მიდგომაზე (მ. გაბაშვილი, 2017: 86-88). ასე რომ, საზღვაო თემათიკის ამსახველი ფრესკა დროშებთან კავშირში არაერთი ინფორმაციის მატარებელია, რაც შესაბამის ანალიზს ითხოვს და ქართული ისტორიოგრაფიის გამდიდრების ერთ-ერთი საინტერესო ფაქტორია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული ფრესკის ახსნა მხოლოდ მას შემდეგ შეეძლებოდა, რაც საქართველოს პოლიტიკა, ეკონომიკა და კულტურა საზღვაო ინტერესების კონტექსტში განვიხილეთ. შავი ზღვის მნიშვნელობის სხვადასხვა თვალსაზრისითა და კუთხით ჩვენებისას ცხადია შავი ზღვის სახელწოდებებიც შევისწავლეთ და აღვნიშნეთ. ვუჩვენეთ, რომ ყველაზე მეტი სახელწოდება შავ ზღვას ქართველებმა და ქართული სამყაროს ხალხმა მისცა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია. ამდენად საზღვაო ფაქტორის წამოწვევითა და მისი მნიშვნელობის დასმით არაერთი პრობლემა ახლებურად გავიაზრეთ, რაც „ვეფხისტყაოსანსაც“ შეეხო. ბუნებრივია იბადება კიდევ ერთი ასეთი კითხვაც, რა ვითარებაა სვეტიცხოვლის აღნიშნული

ფრესკის შექმნის დროისთვის, როგორც შავ ზღვაზე, ისე ზოგადად ზღვებზე, რომელსაც შავი ზღვა ხმელთაშუა ზღვის საშუალებით უკავშირდებოდა და მსოფლიო ასპარეზზე გადიოდა. ცნობილია, რომ ამ დროს სახმელეთოსთან შედარებით საზღვაო ვაჭრობა მომგებიანი და გაცილებით უსაფრთხო იყო. აღნიშნული გარემოება კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ქართული პოლიტიკის მესვეურთ. შესაბამისად საქართველოშიც, როგორც უცხოური წყაროებიდანაც ჩანს, კვლავაც ყველაზე პოპულარული საზღვაო ტრანსპორტი იყო, რომელიც დიდი რადენობით მზადდებოდა და მათ ევროპელები წერილობითი წყაროების გარდა, ნახატებშიც გამოხატავდნენ. საჭიროების შემთხვევაში ამ ტრანსპორტის დაქირავება და შესყიდვაც ხდებოდა.

გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: ოსმალების შავი ზღვის პოლიტიკა, რომლებიც შავი ზღვის რეგიონების დაპყრობისა და ამ ზღვის ისლამიზაციისკენ მიისწრაფოდნენ. ამიტომ ბუნებრივია დაგეგმავდა კიდევ ერთი კითხვა. რამდენად ეს განწყობები და ოსმალთა შავი ზღვისადმი აგრესიული პოლიტიკა სვეტიცხოვლის საზღვაო თემატიკის ამსახველ ფრესკაზეც ასევე რამდენად აღნიშნული დროშები, ამ კუთხით, მნიშვნელოვანი დატვირთვის მატარებლები არიან. (?? ე.ნ) პირველ რიგში, ცხადია, ისინი ქართველების მტრის წინააღმდეგ ბრძოლაზე მიმანიშნებელნი არიან, თუმცა ამ დროშებს კიდევ უფრო ფართო მნიშვნელობა აქვთ, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით.

სათანადო ანალიზის საფუძველზე დავასაბუთეთ, ამ ზოგადქრისტიანული დატვირთვის მქონე დროშებით, ქრისტიანული სამყაროსთვის საერთო კატასტროფის ფონზე (1453 წლის შემდეგ) საქართველო საერთო მიზნებითა და ამოცანებით თუ ქრისტიანულ დასავლეთს როგორ დაუახლოვდა. ეს ამოცანები პირველ რიგში ოსმალთა დაპყრობითი გეგმების წინააღმდეგ იყო მიმართული, რაც ანტიოსმალური კოალიციების ჩამოყალიბებით აღინიშნა, რის გამოც საქართველო და დასავლეთი მჭიდროდ ურთიერთანამშრომლობდნენ. ნიშანდობლივია, რომ

სწორედ ამ დროს იქმნება სვეტიცხოვლის ფრესკა, თანაც საზღვაო მოტივებით, რაც მასზე დადასტურებული სიმბოლოებით ირიბად ანტიოსმალური მოძრაობის გამოძახილად უნდა მივიჩინოთ. კვლევისას ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ამ პოლიტიკით განსაკუთრებით საზღვაო ქვეყნები იყვნენ დაინტერესებულნი და ცხადია შავი ზღვის გასწვრივ მდებარე საქართველოც. არ არის შემთხვევითი, როდესაც სწორედ ამ დროს კვლავ პოპულარული ხდება ქართველებისა და ესპანელების ნათესაობის საკითხი, რომელსაც ღრმა ფესვები და დიდი ისტორია აქვს. საინტერესოა, როდესაც ქართველი დიპლომატები ესპანეთში ჩადიან და ქართული დროშების თაობაზე ინფორმაციის მოწოდებას ითხოვენ, ისინი სვეტიცხოვლის ანალოგიურ დროშას აღწერენ (ე. მამისთვალიშვილი, 2011: 193). აქედანაც ჩანს, აღნიშნულ დროშებს ზოგადქრისტიანულ დატვირთვასთან ერთად დიპლომატიური დატვირთვაც რომ ჰქონდა და საერთაშორისო სარბიელზე მიზნად საქართველოს წარდგენასა და პოპულარიზაციასაც ისახავდა.

ბოლო დროს გაჩნდა მოსაზრება, რომ სვეტიცხოვლის დროშები ვენეციურია (ნ. ჯაველიძე, 2018). ამას კატეგორიულად უარყოფთ. მიზეზი არასწორი შეფასებაა ზოგადად ქართული პოლიტიკის მესვეურთა ტაქტიკისა და კონკრეტულად საქართველოში ჩამოსული მისიონერების მიმართ, რომელთა მიზნები და ამოცანები ქართული პოლიტიკური სპექტრისთვის ცნობილი იყო. ამ მიმართულებით კვლევიდან ჩანს, რომ ქართველები მისიონერებს იმ ჩარჩოებში სვამდნენ, რაც მათ ბლოკავდა და პოლიტიკური აქტიურობის საშუალებას არ აძლევდა. ისიც უნდა ითქვას, რომ თბილისის ქართულ საეპისკოპოსოს ქართული ტიპიკონი ჰქონდა, რაც იშვიათი იყო. ქართველების ამ პოლიტიკას თავად მისიონერებიც კარგად ხედავდნენ და შესაბამის კომენტარებსაც აკეთებდნენ. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია ჟან შარდენის ცნობები, რომელიც საქართველოში ყოფნისას ამ განწყობებისა და პოლიტიკის უშუალო მონმეხდება, რაც თავად ევროპულ მისიონერებს აწუხებდათ და რის

თაობაზეც საინტერესო ცნობებს გვანვდის (ჟან შარდენი, 1975: 352-353). ამ მხრივ შარდენი გამონაკლისი არ არის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისიონერები, რომლებიც ყველაფერს სკრუპულოზურად აღწერდნენ არაფერს წერენ სვეტიცხოველში მათი დროშების შესაძლო გამოსახვაზე. რაც მთავარია ისინი აღნიშნავენ თუ რატომ ვერ შეძლეს მათ საქართველოში თავიანთი პოლიტიკის გატარება და როგორ შეინარჩუნეს ქართველებმა იდენტობა. მათ, წერენ მისიონერები, ეს შეძლეს მართლმადიდებლობის, მეფისა და ეროვნული ტრადიციების ერთგულებით.

თავის დროზე, საქართველოს საზღვაო ინტერესების კვლევისას, ჩვენ მიზანმიმართულად და რეტროსპექტიულად ვუჩვენეთ ევროპელებისა და განსაკუთრებით იტალიელების ადრეული პერიოდის შავი ზღვის პოლიტიკა, რასაც ქართველები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე თავიდანვე ასევე ჩარჩოებში სვამდნენ. ყურადღება მივაქციეთ იმ ფაქტსაც, რომ მაგალითად, XI-XII საუკუნეების მანძილზე, ბიზანტიის მიერ ვენეციასა და გენუასთან დადებულ ხელშეკრულებებში შავი ზღვა არ იგულისხმებოდა, რაშიც საქართველოს ხელს ვხედავთ და შორს გათვლილ პერსპექტივებს (მ. გაბაშვილი 2002: 262-266). საქართველოს ხელი უნდა დავინახოთ იმ ფაქტშიც, რომ იტალიელებმა ტრაპიზონში იმ პრივილეგიებს ვერ მიაღწიეს, რასაც კონსტანტინოპოლში, რაც საქართველოს ზურგითა და მხარდაჭერით ვხსნით. ქართულ პოლიტიკას თუ რა მიზნები და ამოცანები ამოძრავებდა მალე გამოჩნდება თამარის მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებით (1204წ.), რომელსაც კონსტანტინოპოლოს მიმართულებით გაგრძელება ჰქონდა. ამით იმის თქმა გვინდა, რის თაობაზეც საგანგებო წერილი გვაქვს გამოქვეყნებული, რომ თამარის საგარეო პოლიტიკა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებით და მას გაგრძელება ჰქონდა კონსტანტინოპოლის მიმართულებით (მ. გაბაშვილი, 2018: 43).

ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ XII საუკუნის 70-იან წლებში ანდრონიკე კომ-

ნენოსის ვიზიტმა გიორგი III-ის კარზე, რომელიც რამდენიმე თვალსაზრისითაა შესანვლილი, მაგრამ არა იმ კუთხით ამჟამად ჩვენი ინტერესს რომ წარმოადგენს. ამ მიმართულებით კვლევამ გვიჩვენა, რომ ანდრონიკეს ვიზიტის დროს საქართველოში, გიორგის მეფის კარზე დაგეგმილი ფარული თუ ღია გეგმები მაშინ გამოჩნდება, როდესაც ანდრონიკე კომნენოსი ბიზანტიაში დაბრუნდება და ტახტზე ავა (1182წ.), რაშიც ჩვენ ასევე საქართველოს ხელს ვხედავთ (მ. გაბაშვილი, 2003: 171- 176).

ცნობილია სხვადასხვა ხასიათის სიმბოლოებს თუ როგორი დიდი მნიშვნელობა და დატვირთვა აქვთ. ეს ეხება სამოსს და მის ელემენტებსაც. შემთხვევითი არ არის, როდესაც ბიზანტიაში დაბრუნებული ანდრონიკე კომნენოსი პოლიტიკურად მნიშვნელოვან მომენტში, როდესაც მას ბიზანტიის ტახტზე ასვლას მოსთხოვენ, ამ წინადადებით მისულ დელეგაციას იბერიული ქსოვილისგან შეკერილ იისფერ სამოსში გამოეგება, თავზე პირამიდული საბურავით (ნ. ხონიატე, 1966: 124-126) ანდრონიკეს თანამედროვე ნიკიტა ხონიატე, რომელიც ანდრონიკეს იბერიელებთან მჭიდრო კავშირს საგანგებოდ აღნიშნავს წერს, რომ ანდრონიკე რომელიც გასაოცარი გემოვნებით იცვამდა ყოველთვის ატარებდა ქართულ მაღალ თავსაბურავს და იისფერი ქართული ქსოვილისგან შეკერილ ზედა სამოსელს. ასე იყო იგი გამოწყობილი ბიზანტიის ტახტზე ასვლის ცერემონიალის დროსაც (1182წ.) (ნ. ხონიატე, 1966: 124-126). აკად. შ.ამირანაშვილმა ანდრონიკეს ჩაცმულობა და თავსაბურავი ჯვრის მონასტერის კედელზე შოთა რუსთაველის ქუდს და სამოსს დაუკავშირა. მისი სიტყვებით ასე ქართველი ვაზირები იყვნენ გამოწყობილნი (შ. ამირანაშვილი, 1961: 67-68).

ქართული ინტერესები მაშინაც გამოჩნდება, როდესაც ანდრონიკე უკვე იმპერატორის რანგში კონსტანტინოპოლში იტალიელების შევიწროებას დაიწყებს, პირველ რიგში ეკონომიკური თვალსაზრისით. ეს პოლიტიკა საქართველოს ინტერესებში რომ შედიოდა, თანაც შავი ზღვის მასშტაბითაც, გამოჩნდება თამარ მეფის მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებით, სადაც ბიზან-

ტიიდან დევნილი ანდრონიკეს შვილიშვილები თავს შეაფარებენ. ერთ-ერთ მათგანს კი ალექსი კომნენოსს ბაგრატიონების ნათესავს ანდრონიკეს მხრიდან (დავით აღმაშენებლის შთამომავალს) თამარი ტრაპიზონის ტახტზე დასვამს (1204-1222).

ზემოთ, სვეტიცხოვლისა და კორცხელის დროშების მსგავსება აღვნიშნეთ, რაც ყველა თვალსაზრისით სახეზეა. თუმცა ეს მსგავსება მხოლოდ გარეგნული არ არის და აშკარად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ქვეტექსტების მატარებელიც ჩანს. როგორც ითქვა, დროშები მენამული ფერისაა ოქროსფერი ერთფეროვანი ჯვრით და ეს იდენტურობა იმ პოლიტიკიდან და საერთო ინტერესებიდან მომდინარეობდა რაც ქართლის მმართველებს მარიამ დედოფალსა და როსტომს ოდიშის მმართველ ლევან დადიანთან აკავშირებდა. ისიც აღინიშნა, რომ ეს დროშები, რომლებიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში დასტურდებიან, ერთიანი საქართველოს იდეაზეც მიუთითებენ და საზღვაო ინტერესებზეც, რაც მაშინდელი საერთაშორისო პოლიტიკის გამოძახილიცაა. როგორც ცნობილია, ლევან II დადიანი საზღვაო საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობდა და ოსტატურად მანიპულირებდა ოსმალთა შემოტევების პირობებშიც. მას პირველ რიგში თავისი სამთავროს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვა სურდა. ცხადია ლევან დადიანისთვის ახლოს იყო ტრაპიზონისადმი ინტერესი და ამ თვალსაზრისით საქართველოს პოლიტიკა, როგორც ოდითგანვე საქართველოს საზღვაო ინტერესების შემადგენელი ნაწილი. ოდიშის მთავრისთვის არც საქართველოს ბიზანტიის მემკვიდრეობაზე პრეტენზია იყო უცხო. როგორც ჩანს ამანაც განაპირობა კორცხელის დროშაზე დადასტურებული ის მინიშნება, რაც თამარის პერიოდის ბიზანტიის დროშისთვისაა ნიშანდობლივი და ბიზანტიის მემკვიდრეობაზე მიუთითებს.

აღნიშნულ დროშებს სხვა დატვირთვაც ჰქონდათ, რაც სვეტიცხოვლისა თუ კორცხელის ტაძრების მართლმადიდებლობის გაძლიერებასა და პროპაგანდასაც უნდა დაეუკავებინოთ ისლამური სამყაროს მოძალეებისა და კათოლიკეთა პოლიტი-

კური გააქტიურების პირობებში, რასაც როგორც აღინიშნა, ქართველები ყოველმხრივ ბორკავდნენ. ამ დროშებთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები შემდეგი უმნიშვნელოვანესი გარემოებაც. ეს არის ამ ეპოქისთვის ნიშანდობლივი ევროპეიზაციის პროცესები, რომელმაც საქართველოში სხვადასხვა სფერო მოიცვა. აღნიშნული პროცესი სვეტიცხოვლის საზღვაო თემატიკის ფრესკაზეც თუ როგორ აისახა შესაბამის გამოკვლევებში დავადასტურეთ. რაც მთავარია, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე ვუჩვენეთ აღნიშნულ ფრესკაზე დასავლეთის მხატვრობის გავლენა. ეს არის ევროპულისთვის ნიშანდობლივი ქარის პერსონიფიცირებული ფიგურები, წინწკლებიანი ვეფხვი და სხვ. (მ. გაბაშვილი, 2020). დროშებიც, ჩვენი აზრით, ამ ქრილში, ევროპეიზაციის და შესაბამისად ფრესკის მთლიან კონტექსტშია განსახილველი. მით უმეტეს, რომ სვეტიცხოველსა და კორცხელში დადასტურებული დროშები ევროპული ვექსილოლოგიის ენას პასუხობენ.

ყურადღებას იპყრობს სვეტიცხოვლისა და კორცხელის დროშებზე დადასტურებული ჯვარიც. ცნობილია, რომ ჯვარი გვხვდება ევროპულ დროშებზე. ავილოთ თუნდაც გენუის დროშა თეთრ ფონზე წითელი ჯვრით. ევროპელები ამ ჯვარს წმ. გიორგის უკავშირებენ. ამასთან დაკავშირებით კვლავაც შემიძლება კითხვა გვებადება. ხომ არ შეიძლება სვეტიცხოვლისა და კორცხელის დროშების (ტიპოლოგიურად მსგავსი, მაგრამ ფერებში განსხვავებული) ჯვრები ქართველებმაც წმ.გიორგის დაუუკავშიროთ.

მაგრამ მანამდე სვეტიცხოველში წმ. გიორგის ბარელიეფს უნდა შევეხოთ და საკითხი ასე დავსვათ, რამდენად შეიძლება აღნიშნული ბარელიეფი ზემოხსენებული დროშების ჯვრებს დაუუკავშიროთ, ასევე ევროპულ ჯვრიან დროშებს.

ზ. გამსახურდიამ სვეტიცხოვლის წმ.გიორგის ბარელიეფი საქართველოს დაუუკავშირა, რომელიც ამარცხებს პოლიტიკურ ისლამს, ვეფხვს, ანუ თურქეთს და ლომს-ირანს. (ზ. გამსახურდია, 1990: 25). მკვლევრის ასეთი ინტერპრეტაცია კარგად

მიესადაგა ჩვენ მიერ სვეტიცხოვლის საზღვაო თემატიკის ამ-სახველი ფრესკის ახსნას. მით უმეტეს, რომ ამ ფრესკაში და მის ცალკეულ ელემენტებში ის მინიშნებები დავინახეთ, რაც 1453წ. ოსმალების მიერ ბიზანტიის განადგურებას მოჰყვა.

თავისთავად წმ.გიორგი სვეტიცხოველში, ქართველების უპირველესი და ამასთან მებრძოლი ხასიათის წმინდანი ქართველი ხალხის მტერთან დაპირისპირებასა და შეურიგებლობას, წინააღმდეგობას აძლიერებდა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოებაც. საქართველო ერთადერთი ქრისტიანული ქვეყანაა, სადაც ჯვარზე წმ. გიორგის მთელი ცხოვრებაა ასახული (გედევანიშვილი, 2018: 20-61). ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა. რამდენად შეიძლება დროშებზე გამოსახული ჯვრები წმ. გიორგის დავუკავშიროთ. როგორც აღინიშნა ამის პრეცედენტი ევროპაში არსებობს, რის მაგალითად გენუის დროშა მოვიყვანეთ, რომელიც ვიზუალურად ჰგავს ზემოხსენებული ქართული ტაძრების დროშებს, რომლებიც ევროპული ექსილოლოგიური ენის იდენტურნიც არიან.

თავის დროზე სარა ბარნაველი, რომელიც საგანგებოდ სწავლობდა ქართულ დროშებს წერდა, რომ ყოველი ახალი ეტაპი თავის ბეჭედს ასვამს დროშას (ს. ბარნაველი, 1953: 9). სწორედ ამ ახალ ეტაპთან უნდა გვქონდეს საქმე, როდესაც სვეტიცხოვლისა და კორცხელის დროშები იქმნება. მისივე სიტყვებით დროშები ეპოქის თავისებურებას აირეკლავს და დროს. დროშები ორნამენტაციის და გამოხატულებათა სტილის მხრივ, ხელოვნების ნაწარმოებისადმი კუთვნილებასაც გამოხატავენ, ასევე გაერთიანებული საქართველოს ხელოვნების განვითარების გზას (ს. ბარნაველი, 1953: 9), ამ თვალსაზრისითაც შეიძლება ითქვას, როგორც ფრესკის ცალკეული ელემენტები ევროპულ ხელოვნებასთან საერთოს ამჟღავნებენ, ისე დროშებიც. ასე რომ ჩვენთვის საინტერესო დროშებთან დაკავშირებული ახალი ისტორიული ეტაპი ხელოვნების თვალსაზრისითაც იპყრობს ყურადღებას. ეს ეტაპი საქართველოში მიმდინარე ევროპეიზაციის პროცესს უკავშირდება, რაც ანტიოსმალური დაპირისპირების

პირობებში გაძლიერდა. ამდენად ეს პროცესი სვეტიცხოვლის საზღვაო თემატიკის ფრესკასა და ჩვენი კვლევისთვის საინტერესო დროშებზეც აისახა. თანაც ისინი ევროპული ვექსილოლოგიურ ენასაც პასუხობენ. ასევე შემთხვევითი არ არის, რომ ევროპეიზაციის პირობებში მსგავსებას ამჟღავნებენ ევროპულ ჯვრიან დროშებთან.

მაინც რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სივრცისა და ევროპული დროშების მსგავსებას?. ბიზანტიის განადგურების შემდეგ ქართული სივრცის ეს ერთჯვრიანი დროშები დასავლური ქრისტიანული სამყაროსთვის საცნობი ხდებიან, როგორც ზოგადქრისტიანული იდეის მატარებლებიც. დასავლეთისთვის ნათელი ხდება, რომ საქართველო ქრისტიანული ქვეყნების მაჰმადიანურ სამყაროსთან დაპირისპირების მოძრაობის აქტიური მხარე და მოკავშირე ხდება. არც ის არის შემთხვევითი, რომ ევროპელებმა ასეთ ვითარებაში საქართველოს დასავლეთის ნაწილად მიიჩნიეს. აკად. თ.გამყრელიძე იმონებს ცნობილი კარტოგრაფის ორტელიუსის (1575) რუკას, რომელზეც საქართველო ევროპის ნაწილადაა მიჩნეული (თ. გამყრელიძე, 2014: 262). მათ ასევე კარგად ესმოდათ და გააზრებული ჰქონდათ საქართველოს როგორც ფორპოსტის მნიშვნელობა ისლამური სამყაროს წინაშე.

ამგვარად, სვეტიცხოვლისა და კორცხელის დროშები მრავალი ინფორმაციის მატარებლები არიან, როგორც საშინაო, ისე საგარეო ვითარების თვალსაზრისით. ისინი XVII საუკუნის ისტორიულ რეალობას ასახავენ და ერთიანი საქართველოს იდეასთან ერთად ქვეყნის საზღვაო ინტერესებზეც მიანიშნებენ. აღნიშნული დროშები პირველ რიგში ამ ეპოქაში მიმდინარე ევროპეიზაციის პროცესებს უნდა დავუკავშიროთ, რაც ანტიოსმალური მოძრაობის პირობებში კიდევ უფრო გაძლიერდა. ამ დროშების ფუნქცია მეტყველებს რამდენად ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი XVII საუკუნის რეალობასთან და ყველა ფუნქციიდან გამომდინარე მათ ქართული სივრცის დროშებს მივაკუთვნებთ. ამ თვალსაზრისით ისინი სვეტიცხოველში და-

დასტურებულ აღმოსავლურ თუ ევროპულ ელემენტებსა და სიმბოლოებზე დომინირებენ, რაც ამ ტაძრის საერთაშორისო კონტაქტებსა და საერთაშორისო მოვლენებში ჩართულობიდან მომდინარეობდა.

ამ პრობლემაზე მწირი ცნობების მიუხედავად გვაქვს საფუძველი აღვნიშნოთ, რომ სვეტიცხოვლის ფრესკისა და კორცხელის ტაძრის დროშები ქართულია და შედეგია ევროპეიზაციისა და ანტიოსმლური მოძრაობის. აქედანაც გამომდინარე ვფიქრობთ ქართული დროშები ეპოქას ასახავდნენ და იერსახეს იცვლიდნენ შესაბამისი ისტორიული ეპოქის ცვალებადობის მიხედვით. ეს ნიშნავს, რომ მათ სტატიკური ხასიათი არ ჰქონდათ, მათი უცვლელობის ჯიუტი მტკიცება კი ამ მიმართულებით კვლევას ხელს უშლის. ამგვარად, ფაქტია დროშები აშკარად რეაგირებდნენ ისტორიულ ცვლილებებზე და ქართული პოლიტიკური სპექტრიც მათ შექმნილი ისტორიული რეალობის მიხედვით ცვლიდა და საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის მიხედვით წარმოაჩენდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საგარეო ასპარეზზე. აღნიშნული დროშები დასავლურ ორიენტაციაზეც მიანიშნებენ, რაც ევროპელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა და მათ პოლიტიკურ თვალსაწიერში შედიოდა.

Flags of Svetitskhoveli Fresco and Kortskeheli Cathedral Facade

Summary

The flags, depicted on the fresco of the southern wall of Svetitskhoveli (XVII c.) are dark red with a golden cross in the corner. On the frescoes of other Georgian cathedrals, analogous flags are not evidenced, making this fresco, with a sea and naval subjects on it, recognized as an extraordinary and unique one, even more interesting. While working on this fresco, which could not be explained, we considered various symbols and dramatic themes depicted on it as an echo of the overthrow of Byzantium by the Ottomans in 1453, which, in the language, significant for painting, is also a result of giving the official form to the Georgian political thought and an anti-Ottoman coalition. It is on the two sailing ships of this fresco that the mentioned flags are hoisted, although they are not reflected in the relevant literature of this character. The same should be said about the Svetitskhoveli-like flag on the façade of the Kortskeheli Cathedral of the same century, we have studied in connection with each other.

During the study of the flags of Svetitskhoveli, we have shown to what extent was goal-oriented to confirm the special mission of these flags, having the powerful ideological function, in the main cathedral of Georgia. We discuss them in the whole context of the cathedral and, of course, in the context of the ongoing processes in the seventeenth century. We also take into account the factor, when after 1453, to the strengthening of Islamization, Georgia opposes the processes of Europeanization, which was also revealed on the fresco of Svetitskhoveli with certain signs, and also in the context of which we will consider the mentioned flags. This takes place in the epoch of the so-called „Little Renaissance“ in the conditions of the revival

of patriotic issues and strengthening of national ideology, as a part of which we consider these flags, as well as their connection to the naval factor. This is the subject matter that was introduced to Svetitskhoveli by Queen Mariam of Kartli (1634-1680 / 83).

The mentioned flags were making recognizable Georgia both inside and outside the country to the naval countries and the West, especially in the situation when, as Acad. Thomas Gamkrelidze has shown, that the Europeans in 1575, according to the European map (Ortelius), were considering Georgia to be a part of the West. These flags are also evidenced on European maps and appear also in diplomatic negotiations between Georgians and Europeans. When Georgian diplomats arrived in Spain, when they were asked to describe the Georgian flag, they presented the flags depicted in Svetitskhoveli and Kortsikheli.

It is significant that the flags are found in both Eastern and Western Georgia and they express also the idea of a united Georgia, as well as the political coordination that existed between the siblings, Levan II Dadiani (1611-1657), the chief of Odishi, and Queen Mariam, the Queen of Kartli. Thus, these flags are an example of demonstrating unity even during the disintegration of Georgia and a symbol of an optimistic country, fighting with the enemy. These flags were indicating the strengthening of national traditions and Orthodoxy, which in the most difficult situation meant the protection and preservation of the Georgian socio-economic system, Georgianness, one of the strong hearths of which was Svetitskhoveli.

The cross on Georgian flags, in addition to tying together Christendom, is gaining even more weight and importance after 1453 due to common dangers. The cross is found on many European flags. For example, the cross on the flag of Genoa is a symbol of St. George. We do not rule out that the crosses of the Georgian flags in Svetitskhoveli will also be a symbol of St. George, which allows us to draw an interesting parallel with the St. Svetitskhoveli bas-relief of St. George, which is interestingly read in connection with the

Svetitskhoveli fresco of naval subjects and its connection with its various symbols.

It should also be noted that these flags are identical to the European vexillological language, which also reflects Europeanization tendencies.

While studying Georgian flags, Sara Barnaveli noticed changes, presented in them, in the new historical conditions at a certain stage of development of Georgia. This also applies to the flags of Svetitskhoveli and Kortskheli, which are the most valuable source for further research in this direction, as there is scarce information of this nature.

As for the recent attempt to present the flags of Svetitskhoveli as the flags from Venice, it does not fit into the policy of the Georgian kings, developed towards the missionaries. It is noteworthy that the missionaries did not say anything about these flags when mentioning all the details related to Georgia. The reason why the Catholic missionaries could not defeat the Orthodox Church in Georgia (which is being discussed in particular), is that they see the Georgian people as devoted to the Orthodox Church, to the king, and to the national traditions.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ამირანაშვილი, მ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.

ბარნაველი ს., ქართული დროშები, თბ., 1953.

ბერი ეგნატაშვილი, ქართლის ცხოვრება, II, ქართლის ცხოვრების ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.

გაბაშვილი მ., სვეტიცხოვლის ისტორიული მისია, 2018.

გაბაშვილი მ., ტრაპიზონის საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი X-XIII საუკუნეებში, კრ., აღმოსავლეთი და საქართველო, III, თბ., 2002.

გაბაშვილი მ., დასავლეთის მხატვრობის გავლენა სვეტიცხოვლის საზღვაო თემატიკის ამსახველ ფრესკაზე, ქართველოლოგია, თბ., 2020.

გაბაშვილი მ., საქართველოს როლი ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში, თბ., 2018.

გაბაშვილი მ., თამარ მეფის საზღვაო პოლიტიკის ისტორიიდან, კრებული ვალერიან გაბაშვილი 90, თბ., 2003.

გაბაშვილი მ., თამარის ფრესკული პორტრეტები როგორც საისტორიო წყარო, კრებული – გიორგი ნადირაძე, თბ., 2012.

გაბაშვილი მ., მარიამ დედფლისა და ოტია უფლისწულის ფრესკა სვეტიცხოვლის ტაძარში ქართველოლოგია, თბ., 2017.

გამსახურდია ზ., საქართველოს ისტორიული მისია, თბ., 1990.

გამყრელიძე თ., რჩეული წერილები და გამოსვლები, თბ., 2014.

გედევანიშვილი ე., ნმ.გიორგის კულტი და გამოსახულება შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში, „საქართველოს სიძველენი“, 21, თბ., 2018.

მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბ., 2011.

ჯაველიძე ნ., აფრიანი ხომალდები კათოლიკური და მუს-

ლიმური სიმბოლოებით, საიუბილეო კრებული მიძღვნილი თამაზ გამყრელიძის 90 წლისთავისადმი, თბ., 2018.

შარდენი ჟან, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ცნობები საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975.

ხონიატე ნ. გეორგიკა, VI, თბ., 1966.

Gabashvili M., The Historical mission of Svetitshoveli and Georgia, Religion and Public Life, David Muskelishvili editor, ed. New-Work, 2021.

საქართველოს საზოგადოების ისტორიიდან (XIX საუკუნის დასასრული და XX საუკუნის დასაწყისი)

საქართველოს საზოგადოების ისტორიის კვლევა მნიშვნელოვანია სხვადასხვა დროსა და ეპოქაში მიმდინარე მოვლენების თვალსაზრისით. ამ მიმართებით, განსაკუთრებულია XIX ს-ის მიწურულისა და XX ს-ის დასაწყისის ხანა, იმ ტენდენციების მხრივ, ამ პერიოდში რომ ჩაისახა და განსაზღვრა XX საუკუნის სახე, თაობებისა და საქართველოს ბედი. ქართული საზოგადოების შესწავლის მრავალფეროვან წყაროებს შორის ერთ-ერთი ეპისტოლარული მემკვიდრეობაა, რომლის მიხედვითაც, ზოგჯერ მთელი ეპოქის აღდგენაა შესაძლებელი. მათ რიცხვშია დიმიტრი შარვაშიძის (1880-1937) პირადი წერილებიც, რომლებიც საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალურ საისტორიო არქივში ინახება. წერილების ავტორი, თავისი დროის გამოჩენილი და მასშტაბური პოლიტიკური მოღვაწის, გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის (1847-1918) ერთადერთი ვაჟიშვილია, რომლის პირად ფონდშიცაა დაცული ეს მასალა.

1956 წელს აღნიშნული ფონდი ლენინგრადის არქივმა თბილისს გადმოსცა. მასში გარდა ამ წერილებისა, სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტებია, შარვაშიძეთა საქმიანი თუ პირადი მიმოწერა, აგრეთვე გიორგი შარვაშიძის მიერ დაწერილი მისი საგვარეულოს ისტორია. წერილები მნიშვნელოვანი წყაროა აფხაზეთის საკითხში შარვაშიძეთა პოზიციისა და ზოგად ქართული პოლიტიკის მიმართ (საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, გ. დ. შარვაშიძის ფონდი, 1719. შემდეგში – სცა, ფონდი 1719). ხსენებული მასალები საშუალებას იძლევა ახლებურად გავიაზროთ ჩვენთვის საინტერესო ეპოქა და ამ ეპოქასთან დაკავშირებული პოლიტიკური მოვლენები; სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიტანოთ უნიკალური, ქართული და უცხოური (რუსული, ევროპული) ისტორიოგრაფიისთვის უცნობი ფაქტები.

დიმიტრი შარვაშიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ქრონოლოგია 1896-1918 წლებს მოიცავს და უწყვეტი თანმიმდევრობით გადმოგვცემს რუსეთის იმპერიაში მიმდინარე ყველა მოვლენას (პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ), რაც მაშინდელი საერთაშორისო ვითარების შუქზეა განხილული.

ავტორი XIX ს-ის მიწურულისა და XX ს-ის დასაწყისის პოლიტიკურ ვითარებას დაძაბული და ტრაგიზმით აღსავსე ეპოქის შუქზე განიხილავს. თვითმხილველი არაერთი მოვლენისა, თებერვლის რევოლუციისა და ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების ჩათვლით, მათ რეალურსა და ობიექტურ, შეულამაზებელ სურათს გვანვდის, რაც განსხვავდება საბჭოთა პერიოდის ამ საკითხებთან დაკავშირებული სიყალბისა და პროპაგანდისგან. იგი პირველ მსოფლიო ომსა და მის შედეგებსაც ეხება. ფაქტობრივად, ხელთ გვაქვს ორი დიდი ეპოქის XIX-ისა და XX საუკუნეების გზაშესაყარზე მდგარი საზოგადოების ისტორია, იმ დიდი გამოწვევებისა და კატაკლიზმების ფონზე, რომელიც ამ წერილების ყველა მოქმედ პირზე აისახება – რუსეთის იმპერატორის ოჯახიდან დაწყებული, შარვაშიძეთა ოჯახისა და უბრალო, რიგითი ადამიანების ჩათვლით.

ცალკე თემაა საქართველო და კავკასია. ამ მხრივ, აღნიშნული წერილები დღესაც აქტუალურია და ანგარიშგასაწვეი, ვინაიდან მაშინაც, XX საუკუნის დასაწყისში, ისევე როგორც XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს იმპერიის დაშლის პროცესში, კავკასიის რუსეთისაგან გამოყოფისა და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი დაისვა. ამ პრობლემებთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა გიორგი და დიმიტრი შარვაშიძეების პოზიცია, რასაც ქვემოთ საგანგებოდ შევვხებით. დ. შარვაშიძე ამ მოვლენებს არა უბრალო თანამედროვისა და თვითმხილველის თვალსაწიერიდან, არამედ იმპერიის ყველა პრობლემებში ღრმად ჩახედული, ამავე დროს მაღალ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფი ფართო განათლებისა და პროფესიით იურისტის, პროგრესული პიროვნებისა და მოხელის

თვალთახედვით განიხილავს. დ. შარვაშიძე ხედავს რეფორმებისა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის აუცილებლობას, რისი გაუთვალისწინებლობაც რუსეთის იმპერიის კატასტროფის ერთ-ერთ მიზეზად მიაჩნია. იგი მხარს უჭერს წოდებრივი პრივილეგიების გაუქმებას, მისთვის სამართლიანია ისეთი საზოგადოება, სადაც ადამიანები ნიჭის, განათლებისა და პირადი თვისებების წყალობით აღწევენ წარმატებას. პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1901 წლიდან, იგი ადმინისტრაციულ თანამდებობაზეა ვილნოში, 1914 წ. ჯერ სტავროპოლის, 1916 წ. კი ვიტებსკის ვიცე-გუბერნატორია.

წერილები რუსულ ენაზეა დაწერილი და მხოლოდ რამდენიმეა ფრანგულად. გარდა რუსულისა და ფრანგულისა დიმიტრი შარვაშიძე თავისუფლად ფლობდა ინგლისურსა და გერმანულ ენებს. წერილებს ის გულწრფელობა და აზრის პირდაპირობა ახასიათებთ, რაც დასაბეჭდად არგამიზნული ეპისტოლარული ჟანრისთვისაა ნიშანდობლივი. ყველაზე ადრეული წერილი 1896 წლით თარიღდება.

თბილისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლე დიმიტრი (დიმა) 16 წლის ყმაწვილის განწყობით აღწერს თბილისსა და თბილისურ საზოგადოებას, ოჯახურ გარემოს, სასწავლებლის ატმოსფეროსა და პედაგოგებს. ბოლო წერილი 1918 წლითაა დათარიღებული. ამ დროს იგი უკვე ორმოც წელს მიღწეული, ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებული, ოჯახს მოკიდებული მრავლისმნახვეული მამაკაცია, რომლის მხრებზეც ეპოქის ყველა მოვლენამ და ძნელებდობამ გადაიარა.

აღნიშნული წერილები არ გამოცემულა. ამის მიზეზი შარვაშიძეთა ოჯახის პოლიტიკური მრწამსი და სულისკვეთებაა, რევოლუციის მიუღებლობა და სხვა ისეთი პრობლემები, აფხაზეთის საკითხის ჩათვლით, რის გამოც საბჭოთა პერიოდში ვერ დაიბეჭდებოდა. მით უმეტეს, როდესაც წლების მანძილზე თავადაზნაურობის განადგურებასთან ერთად, მათი მიზანმიმართული დისკრედიტაციაც ხდებოდა.

ნერილები საქართველოს ისტორიის იმ საკითხებსაც ეხება, რაც წლების მანძილზე ტაბუდადებული იყო.

დ. შარვაშიძე რუსეთსა და საქართველოში მოქმედი პარტიების საქმიანობასაც აანალიზებს და აფასებს.

საინტერესო ცნობებს გვანვდის თბილისისა და პეტერბურგის ისტორიაზე, პეტერბურგის საზოგადოებრივსა და კულტურულ ცხოვრებაზე, გახმაურებულ სპექტაკლებსა და საგასტროლოდ ჩამოსულ ევროპულ თეატრებზე. რუსეთში მოღვაწე, თუ საგასტროლოდ მიწვეულ მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავებზე (მარიუს პეტიპა, ტომაზო მაზინი, მ. კშესინსკაია, ი. ხეიფეცი და სხვ.), ვილნოში მივიოლინე ვუნდერკინდ იოსებ ხეიფეცის კონცერტის თაობაზე. იგი ეპოქისთვის ნიშანდობლივ ტექნიკურ სიახლეებსაც ეხება – პირველ ავტომობილს, კინემატოგრაფსა და სხვ.

ნერილების ადრესატი, დ. შარვაშიძე რუსეთისა და ევროპის სხვადასხვა ქალაქიდან საქართველოში რომ აგზავნიდა, დედა მაკა (მარიამ) ნიკოლაი-შარვაშიძისაა, რომელიც ძირითადად საქართველოში, თბილისში ცხოვრობდა. ნერილების მცირე ნაწილი თბილისიდან აბასთუმანში, ანდა სოხუმიდან თბილისშია გამოგზავნილი.

შლით უამთა სრბოლისგან ფერშეცვლილ ფურცლებს, მიყვებით სტრიქონებს, გარბის დრო და მოვლენები ელვის სისწრაფით იცვლებიან. თქვენ თვალწინ ჩაივლიან გარდასულ დროთა ისტორიული პიროვნებები და რიგითი ადამიანები – იმპერატორი ნიკოლოზ II და იმპერატრიცები (მარია ფეოდოროვნა, ალექსანდრა ფეოდოროვნა), იმპერიის მაღალჩინოსნები – გრაფი ვიტე, გრაფი ფრედერიქსი, გრაფები ბუდბერგი, ბენკენდორფი, მიენდორფი, ბარონი ნიკოლაი, რასპუტინი, სახელმწიფო დუმისა და საბჭოს წევრები, ევროპულ სახელმწიფოთა მონარქები – ინგლისის, დანიის, პორტუგალიის მეფეები, პეტერბურგში მაღალ თანამდებობებზე მყოფი ქართველები – ზამთრის სასახლის კომენდანტი თავადი რატიევი (რატიშვილი), პეტერგოფის ქართველი კომენდანტი აბელ ვაჩნაძე, პროკოფი შარვაშიძე –

სახელმწიფო დუმის წევრი თბილისის გუბერნიიდან, საიმპერატორო კარის ქართველი ფრეილინები, სილამაზით განთქმული მერი შარვაშიძე და სხვ. ზოგ მათგანს, უჩა დადიანსა და გიგუშა ერისთავს (მერი შარვაშიძის მეუღლეს) ნიკოლოზ II-თან პირადი მეგობრობა აკავშირებდათ. ეს ის წრეა, ვისთანაც შარვაშიძეების ოჯახს ნათესაობით, პირადი თუ საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა.

ქართველების გავლენა და წარმატებული მდგომარეობა, გასაკვირი არ არის, შურსა და გაღიზიანებას რომ იწვევდა, რაც დიმიტრის ერთ-ერთ წერილში ატქმევიანებს: „აქ ჩვენი თავადები ისედაც არ უყვართ“.

გრაფი ს. ვიტე იმპერიის მაღალჩინოსანი და პრემიერი, თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნასთან შეხვედრას (ნიკოლოზ II-ის დედასთან), თუნდაც რუსეთ-იაპონიის ომის შესაძლო დაწყებასთან დაკავშირებით საკითხების განხილვას, იგი გიორგი შარვაშიძის საშუალებით აგვარებდა (С. Вите, 1960: 261).

დიმიტრი შარვაშიძის წერილებში დიდი ისტორიული მოვლენები, ყოველდღიურობა და ჟანრული სცენები, ზოგჯერ იუმორით შეზავებული, ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული. წერილები რომანივით იკითხება. მათი მნიშვნელობა განსაკუთრებულია პეტერბურგის ქართული ლობის ისტორიისა და ასევე XIX საუკუნის ქართველ 60-იანელთა ახალი კუთხით გასაანალიზებლად, რომელთა მოღვაწეობაც, როგორც ამას აღნიშნული წერილების საფუძველზე ვუჩვენებთ, გაცილებით მასშტაბური იყო, ვიდრე ამაზე წერენ და ლაპარაკობენ. პირველ რიგში ეს მათ პოლიტიკურ აქტიურობას ეხება, რომელიც ამ კუთხით ნაკლებად არის ცნობილი.

ამ მხრივ, უმნიშვნელოვანესია პეტერბურგის ქართული ლობისა და ქართველ სამოციანელთა ურთიერთობების შესახებ არსებული ცნობები. ეს უკვე ახალი ისტორიული ეტაპია ახალ იმპერიასთან ურთიერთობის, რაც მის სტრუქტურებში შესვლას, ქართული საქმის კეთებასა და ლობირებას ითვალისწინებდა.

ეს კი დიდ განათლებასა და ცოდნას ითხოვდა, დიპლომატიის უნარს. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ ყველა ის ქართველი, ვინც რუსეთის იმპერიის კარზე იმყოფებოდა, მაღალი კულტურითა და განათლებით გამოირჩეოდა.

მაგალითად, 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო ვოლოგდაში გადასახლებულ დიმიტრი ყიფიანს, რომელმაც რამდენიმე ევროპული ენა იცოდა, სამუშაოდ ვოლოგდის გუბერნატორის კანცელარიაში მიიწვევენ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც, ხელისუფლებაში ყოფნა მან გამოიყენა მთავრობიდან თანხის მისაღებად თბილისის საადგილმამულო ბანკის დასაარსებლად, რომლის ხელმძღვანელადაც (მისი წარდგენით) ილია ჭავჭავაძე დაინიშნა (ე. ჯინჭარაძე, 2014: 3, 13). როგორც აკაკი წერეთელი იგონებს, „არც ერთი ქართული საზოგადოება არ არის ჩვენში, რომ მეთაურობა ყიფიანს არ ეკუთვოდეს“ (ა. წერეთელი, 1992: 186).

ქართველების განათლებისკენ სწრაფვას, საზოგადოდ განათლებას, ურთულეს რეგიონში მდებარე საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო ბრძოლისა და ქვეყნის გადარჩენის ერთ-ერთი მძლავრი იარაღიც. ამით ვხსნით ბაგრატიონთა დინასტიის განათლებას, რითაც ისინი სხვა დინასტიათა შორის გამოირჩეოდნენ (მ. გაბაშვილი, 2008). დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგაც განათლება თავისუფლებისთვის ბრძოლის ქმედით იარაღად რჩება, რაზეც ქართული საზოგადოება საგანგებოდ ზრუნავდა და მომავალ თაობებს ზრდიდა. ამ პრინციპებზე იყო გაზრდილი გიორგი შარვაშიძეც, რომლის მოღვაწეობისა და პიროვნების მასშტაბი მისი ასეთივე მასშტაბური განათლებით იყო გაპირობებული, რაც მას სწორი ანალიზისა და ლავირების საშუალებას აძლევდა, როგორც იმპერიის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ ვიზიტებისას.

გ. შარვაშიძის ერუდიციასა და ფართო ინტერესების დასტური წიგნებია, რომლებიც გ. შარვაშიძის თბილისისა და პეტერბურგის ბიბლიოთეკებში იყო დაცული – ისტორიის, პოლიტიკის, სოციოლოგიის, ფილოსოფიის, ლიტერატურის, ხელოვნების,

მინერალოგიის, ეთნოგრაფიის, ანთროპოლოგიისა და სხვა საკითხების თაობაზე. დიმიტრი წერს, რომ მათი თბილისის სახლის ბიბლიოთეკაში დაცული ყოფილა ფილოსოფიურ-ისტორიული და მხატვრული ლიტერატურა – შოპენჰაუერის ყველა თხზულება, შექსპირი, ჰაინე, ვ. სოლოვიოვის რუსეთის ისტორია და სხვ. მას მოცემული აქვს მაშინდელი ჟურნალ-გაზეთების სიაც, რომელსაც რუსეთიდან და ევროპიდან იწერდნენ. ცალკე უნდა აღინიშნოს საქართველოსა და კავკასიის პრობლემისადმი მიძღვნილი ლიტერატურა ისტორიის, სამხედრო ხელოვნების, კავკასიის ომების, ფლორის, ფაუნის, წიაღისეული სიმდიდრის ირგვლივ და სხვ.

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში ინახება გ. შარვაშიძის მიერ 1899 წ. თბილისის წიგნის მაღაზიაში ევროპულ და რუსულ ენებზე შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურის ჩამონათვალი – დ. ბაქრაძე, ე. თაყაიშვილი, პ. უვაროვა, მ. დუბროვინი, ე. სპენსერი, მ. კლაპროტი, დ. მაჭავარიანის აფხაზური ანბანი. დიმიტრისაც, ბიბლიოფილს, როგორც იგი თავის თავს უწოდებდა, უკვე თავისი დამოუკიდებელი ბიბლიოთეკა ჰქონია, მაგრამ საერთო საოჯახო ბიბლიოთეკასაც ახალი წიგნებით ავსებდა.

მამა-შვილის ფართო თვალსაწიერს ენების ცოდნაც განაპირობებდა, რაც განათლებული საზოგადოებისთვის საქართველოში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. დიმიტრის წერილებიდან ირკვევა, რომ ისინი დიდ ინფორმაციას ფლობდნენ საერთაშორისო პოლიტიკის, საქართველოსა და ზოგადად კავკასიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

წერილების ავტორის თანახმად, არსებობდა გიორგი შარვაშიძისა და ბარონ ნიკოლაის არქივებიც. მამის გარდაცვალების შემდეგ მის არქივზე მუშაობისას, დიმიტრი დედას წერს, რომ კიდევ ერთხელ გააცნობიერა და დარწმუნდა თუ როგორი დიდი სულიერებისა და მასშტაბის პიროვნება დაკარგეს.

წერილები გიორგი შარვაშიძეს სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენს – გიორგის მამას, სახელმწიფო მოღვაწეს, სანათესაოსა და

მეგობრების წრეში. იგი ლამაზი და ახოვანი ყოფილა, შვილის დახასიათებით – ნიჭიერი და სწრაფი აზროვნების, შრომისმოყვარე და საქმიანი, ენერგიული, ხალისიანი და მხიარული, ემოციური. სამხრეთული ტემპერამენტის მქონეს მას ფეთქებადი ხასიათიც ჰქონია. მართალია, წერს დიმიტრი (დიმა), მას ექიმები ნერვიულობას უკრძალავდნენ, მაგრამ მაინც ყველაფერი გულთან ახლოს მიაქვს, საკუთარ მსახურთა პირადი ცხოვრებისა თუ მათი ავადმყოფობის ჩათვლით. ასეა დიმიტრიც, რომლის ყველა წერილიც მისი გამზრდელის მინას მოკითხვით მთავრდება, რომლის გარდაცვალებამაც მას დიდი ტკივილი მიაყენა.

დ. შარვაშიძე თვრამეტი წლის იყო, როდესაც თბილისიდან პეტერბურგის უნივერსიტეტში სასწავლებლად გაემგზავრა და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. იგი მაშინვე სამეფო ოჯახის ყურადღების ცენტრში მოექცა. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას ნიკოლოზ II-ის დედა, იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნა იჩენდა, რომელიც პირადად თვალს ადევნებს სტუდენტი დიმას სწავლასა და დისციპლინას, მაშინაც, როდესაც სტუდენტურ მოძრაობაში გაერევა.

დედოფალი მას თავისთან, თანაც ვიწრო წრეში ხშირად იწვევდა. ასე ხდება ყმანვილი დიმიტრი რუსული არისტოკრატიის ცხოვრების უშუალო მონაწილე, დამკვირვებელი და აღმწერიც. იგი თითქმის ყოველდღე ხედავს ნიკოლოზ II-სა და „მამის იმპერტარიცას“ (ასე უწოდებს იგი ერთგან მარია ფეოდოროვნას), ასევე იმპერიის დიდ მოხელეებს, რომელთა გარეგნულსა თუ ფსიქოლოგიურ პორტრეტებსაც საინტერესოდ ხატავს. მაგალითად, სტოლიპინს, რომელიც, გარკვეული პერიოდიდან, მეფის ოჯახის უშუალო ჩარევით, მის მომავალ კარიერაზე ზრუნვას იწყებს. დიმიტრიზე სტოლიპინმა, რომელმაც იგი თბილად მიიღო, უაღრესად საქმიანი ადამიანის შთაბეჭდილება მოახდინა, კითხვებიც დაუსვა მომავალ სამსახურთან დაკავშირებით. ცოტა არ იყოს, – წერს იგი დედას, თავის გულზვიადობასა და მნიშვნელობას ხაზს უსვამს, რაც მას უხდება და აძლევს დიდებულ იერს.

წერილები შემდეგი თვალსაზრისითაც იპყრობს ყურადღებას. ჯერ სულ ახალგაზრდა დ. შარვაშიძე მალე თავისუფლდება იმპერიის დედაქალაქის კარის გარეგნული ბრწყინვალეების ხიბლისგან და ყოველგვარი შელამაზების გარეშე ხატავს ობიექტურ სურათს. იგი პარალელს ავლებს იმ სამყაროსთან, რომლის დატოვებაც მას მოუხდა, საქართველოსა და თბილისთან, მის ყოფასა და ტრადიციებთან, რომელსაც ზნეობრივი და სხვა თვალსაზრისით გაცილებით მაღლა აყენებს.

დიმა ხედავს პეტერბურგის კარის დეგრადაციას, რამაც ყველაზე მაღალი წრეებიც კი მოიცვა და ყველა დროს იმპერიების დაშლის ერთ-ერთ მიზეზსა და თანმხლებ მოვლენად განიხილავს, რაც საბოლოოდ ანარქიისა და ნგრევისკენ მიიყვანს მას. ფაქტობრივად, იგი სვამს ისეთ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა პოლიტიკისა და ზნეობის ურთიერთმიმართება. ამასთან დაკავშირებით დედისადმი მიწერილ ერთ წერილში (1899 წ. 6 მარტი) პარალელს რომის იმპერიასთან ავლებს, რომლის შემდეგაც ასეთი გარყვნილი და აღვირახსნილი საზოგადოება, როგორცაა პეტერბურგში, არ ყოფილა. ეს იყო გიორგი შარვაშიძის აზრიც. ისტორიაში ღრმად ჩახედული, იგი რომის იმპერიის დაღუპვის მიზეზად მოქალაქეობრივ გაუბედობასა და გარეშე ძალის შემოსევას კი არ მიიჩნევდა, არამედ საზოგადოების ზნეობრივ დეგრადაციასა და გახრწნას. ფაქტობრივად შინაურ მტრობასა და შინაურ მტერზეა მინიშნება, რაც ყოველგვარ გარეშე მტერთან შედარებით გაცილებით საშიშია.

აქ, პეტერბურგში რა არ ხდება, ამბობს დიმა, უმაღლეს წრეებში წარმოუდგენელ სიბინძურეებსა და სკანდალებს ნახავთ, ქალების თავისუფალ ქცევებს, რაც საქართველოში წარმოუდგენელია. დიდი მთავრებიც კი, ამ მხრივ, კრიტიკას ვერ უძლებენ, მაგრამ მათ ბაძავენ ყველაზე უფრო უხეშსა და მდაბიო გამოვლინებებში, რაშიც არისტოკრატიზმს ხედავენ. ყველაზე გასაოცარი კი ის არის, მიმართავს იგი დედას, რომ გაუგებარია მათი ცხოვრების აზრი და მიზანი. ღამე 2,

ან 3 საათზე იძინებენ, ანდა 5-ზე და ასეა ყოველდღე, ერთი რესტორნიდან მეორეში გადადიან, ერთი კაფედან სხვა კაფეში, ისეთ გასართობ ადგილებში, სადაც ღირსეული ადამიანი, ვინც საკუთარ რეპუტაციას უფრთხილდება, არ დადის. ყოველ დღით ამ დანესებულებებიდან ზურგზე წამოკიდებული გამოჰყავთ რუსეთის საუკეთესო გვარების წარმომადგენლები: დიდი მთავარი ბორის ვლადიმროვიჩი, გრაფი კოჩუბეი, ბარიატინსკი და სხვ. დილაობით მათ ძლივს აფხიზლებენ ნიშადურის სპირტით, რათა შეძლონ სასახლეში წასვლა და ასეთი შემთხვევები ყოველ ფეხის ნაბიჯზეა.

ცხრამეტი წლისაა დიმა, როდესაც ამ საკითხებზე მსჯელობს და იმდენად შეშფოთებულია, რომ ერთ თავის წერლში (1898 წ. 30 სექტემბრი), დედას, რომელიც პეტრბურგში ჩამოსვლას აპირებს, ასე მიმართავს: ვიცი რა შენი ხასიათი და პრინციპები, რითაც ცხოვრობ, მშვიდად ვარ და არ მეშინია პეტრბურგის, ის შენ ვერ გაგაფუჭებს.

დიმიტრის დედა ჭავჭავაძეთა სახელგანთქმული, დიდი ისტორიის მქონე ოჯახიდან იყო, ალექსანდრეს უმცროსი ქალიშვილის – სოფიოსა და ბარონ ნიკოლაის ქალიშვილი. მაკა შარვაშიძეს, როგორც მალაღმბრებრივსა და განათლებულ პიროვნებას ქართული საზოგადოება კარგად იცნობდა. იგი რამდენიმე უცხო ენას ფლობდა, სერიოზულად იტაცებდა საფორტეპიანო მუსიკა, პოეზია და მაიკო ორბელიანის ლიტერატურული სალონის ხშირი სტუმარიც ყოფილა.

მაკა შარვაშიძე თანამშრომლობდა ქართულ-ჟურნალ გაზეთებში, ენეოდა მთარგმნელობით მუშაობას. იყო სოხუმის ქართული დასის შემწე და მფარველი, რაც აფხაზეთში რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში დიდი ეროვნული საქმე იყო. მისი ინიციატივით, 1893 წ. სოხუმში ალექსანდრე ცაგარელის პიესები დაიდგა: „უცნაური ქალი“, „ჭიქა წყალი“ და სხვ. ამავე დროს წევრი იყო ქართველ თავადაზნაურთა იმ კომიტეტის, რომლის ფუნქციასაც, პატრიოტულ საქმიანობასთან ერთად, გაჭირვებულ ადამიანებზე ზრუნვაც წარმოადგენდა. კავკასი-

ური კალენდარი გვამცნობს, რომ მაკა შარვაშიძე იყო ქველმოქმედი, ქალთა პროფესიული სასწავლებლის მეურვე. მის ინტელექტსა და ფართო ინტერესებზე მეტყველებს დ. შარვაშიძის წერილებში დასმულ პრობლემათა ფართო სპექტრი – ადამიანის დანიშნულებისა და ცხოვრების მიზნიდან დაწყებული, პოლიტიკის, ეკონომიკის, კანონშემოქმედების, სახელმწიფო მართვის, რეფორმების საკითხებითა თუ ხელოვნებისა და ლიტერატურის ირგვლივ საუბრებით დამთავრებული. დიმიტრი საგანგებოდ ეხება ასევე განათლების რეორგანიზაციის აუცილებლობას, სახელმწიფო დუმის მუშაობას, საგლეხო პრობლემებს, სიკვდილის დასჯას, რომლის გაუქმების მომხრეცაა.

მაკას ცხოვრების წესი მაშინდელი ქართული მაღალი საზოგადოების აღზრდისა და ინტერესების ერთგვარ მოდელს წარმოადგენდა, ქართული ოჯახების გამძლეობის საფუძველს – რომელთათვისაც ფუფუნება ამ ურთულეს რეგიონში კატეგორიულად მიუღებელი იყო, რაც ასე კარგად ასახა აკაკი წერეთელმაც „ჩემს თავგადასავალში“ და სხვა არაერთმა ქართველმა.

სხვათა შორის, ქართველების განათლებასა და ცხოვრების ჯანსაღ წესზე საქართველოში მოღვაწე უცხოელები და იმპერიის მოხელენიც მიუთითებდნენ. ამის მაგალითია ალექსანდრე ჭავჭავაძის მომავალი სიძის ბარონ ნიკოლაის მამისადმი ევროპაში გაგზავნილი წერილიც. მასში იგი სოფიო ჭავჭავაძეს როგორც სიდარბაისლის, თავმდაბლობისა და სიფაქიზის განსახიერებას ისე ახასიათებს და მასში მომავალი მეუღლის იდეალს ხედავს. სოფიო აღზრდილია ტრადიციულ ოჯახში, – წერს იგი, სადაც სუფევს პატივისცემა უფროსისადმი და არ არის მიჩვეული ფუფუნებას. მისი ადამიანობა იმდენად მაღლა დგას, რომ მარტო ეს ფარავს ყოველგვარ მატერიალურს. ამ ოჯახისთვის ნიშანდობლივია განათლება, ქველმოქმედება და ცხოვრების ჯანსაღი წესი, სპორტი.

საინტერესოა თავად გიორგი შარვაშიძის რეაქციაც, რომელიც პროტესტს გამოთქვამს პატარა დიმასთვის ბარონ ნიკო-

ლაის მიერ ძვირფასი საჩუქრების მიძღვნის გამო (სცა, ფონდი 1719). ამ დროს ეს იყო საქართველოში ერთ-ერთი უმდიდრესი ოჯახი, სადაც, როგორც დიმიტრის წერილებიდან ჩანს, ქონებასა და ფულზე ლაპარაკი დიდ სირცხვილად მიიჩნეოდა და, რაც მთავარია, ფულით არ გაიზომებოდა მათი ადგილი საზოგადოებაში. ისინი მთელი ცხოვრება თავდაუზოგავად შრომობდნენ, ჰქონდათ ფართო ინტელექტუალური და სულიერი ინტერესები, რაც მთავარია მათ თავიდანვე საზოგადო საქმეებისა და სამშობლოს მსახურებისთვის ზრდიდნენ და ამზადებდნენ.

დიმიტრიც ასე იზრდებოდა, ამავე დროს პატარაობიდან სპორტით – ჩოგბურთით, ფარიკაობითა და კრივით იყო დაკავებული, უკვე მოზრდილი სამოყვარულო სპექტაკლებშიც მონაწილეობდა. სწორედ ამგვარი აღზრდა გააძლევინებს და გახდის მას ბრძოლისუნარიანს მისი ცხოვრების ყველაზე რთულსა და ტრაგიკულ მომენტებში, როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად, რევოლუციებისა და ნგრევების დროს, როდესაც ერთ დროს უმდიდრეს ადამიანს, ლუკმა პური ენატრებოდა და ცოლშვილთან ერთად შიმშილობდა. მაგრამ როდესაც დასჭირდა, მინაზე უბრალო გლეხივით შრომობდა და, როგორც ხელოვნებათმცოდნე პროფესორი ლეო შარვაშიძე იგონებდა, აფხაზეთში მისი ფერმა საამო იყო საცქერლად. ასე რომ, მას თავისი ცხოვრების ყველაზე რთულ მომენტებში ადამიანის სახე არ დაუკარგავს, უკადრისი არ უკადრებია, როგორც იმ საზოგადოებამ, ვისი აღზრდილიც იგი იყო და ვისაც, თავისი ინტერესებისთვის, ადამიანის წინააღმდეგ იარაღი არ აუღია.

დიმიტრი შარვაშიძე ამ აღზრდისა და მორალური პრინციპების გამო არათუ ვერ იღებს პეტერბურგის ცხოვრების წესს, ამავე მიზეზით იგი უარს იტყვის პეტერბურგში ბრწყინვალე კარიერაზე, მარია ფეოდოროვნას უწყებაში საქმეთა მმართველის თანამდებობაზე, საუკეთესო პირობებსა და მაღალ ანაზღაურებაზე. დ. შარვაშიძე ძირითადად მხოლოდ იმპერიის პროვინციებში მსახურობდა, მაგრამ როგორც თავადაც აღნიშნავს, თავისუფალი იყო მისთვის მიუღებელი პირობითობებისგან.

დედისადმი მიწერილი წერილებიდან (1899 წ. 13 სექტემბერი და სხვ.) ჩანს, თუ როგორ განიცდიდა თბილისთან, მის საზოგადოებასა და სამშობლოსთან განშორებას, ყოველთვის თვალცრემლიანი რომ ეთხოვებოდა. როგორ სტანჯავდა ნოსტალგია და არასდროს ავიწყებოდა თავისი ცხოვრების თვრამეტი უმფოთველი და მშვენიერი წელი, სავსე საუკეთესო მოგონებებითა და იმედებით. იქ საქართველოში ყველაფერი ისეთი მშვენიერია, – წერს იგი, და კეთილმოსურნე, დაწყებული ადამიანებიდან, ვისაც ხვდები, და დამთავრებული ჰაერით, რომელსაც ხარბად ისუნთქავ. თბილისი მიზიდავს, ამბობს იგი და ითვის დღეებსა და თვეებს, იქ დაბრუნებას ნატრობს (1899 წ. 13 სექტემბერი).

ოცი წლით ადრე, 1860 წ., ასევე სანქტ-პეტერბურგიდან დიმიტრი ყიფიანი მსგავს წერილს უგზავნის გრიგოლ ორბელიანს, თითქმის იმავე სიტყვებით სამშობლო მიწა-წყალზე, იმ ჰაერზე, მისი სიტყვებით, სიამოვნებით რომ ჩაისუნთქავს, ხალხზე და ადამიანებზე, ჩვეულებასა და ზნეობაზე, რასაც არაფერში გაცვლის (ე. ჯინჭარაძე, 2014: 7).

დ. შარვაშიძის ყველაზე დიდი ოცნება, საქართველოში სამსახური იყო, რომელსაც ამქვეყნიურ სამოთხეს უწოდებდა და სჯეროდა რომ ეს ოცნება აუხდებოდა.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია პეტერბურგსა და მოსკოვში მოღვაწე (სამხედრო და პოლიტიკურ ასპარეზზე, დიპლომატიურ სამსახურში, სამეფო კარზე), ქართველებს, რომლის სათავეშიც გიორგი შარვაშიძეს აყენებდნენ, განიხილავდნენ როგორც რეაქციულსა და იზოლირებულს დანარჩენი ქართული კოლონიისგან. თავად გიორგის კი იმპერიის ნებიერს უწოდებდნენ. ამ დროს სულ სხვა რეალობასთან გვაქვს საქმე. კარიერა, უზნეობისა და ყველაფრის მკადრებლობის სანაცვლოდ, გიორგი და დიმიტრი შარვაშიძეებისთვის მიუღებელი იყო.

პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წ., დიმიტრი სტავროპოლის ვიცე-გუბერნატორი ხდება, რეალურად კი გუბერნატორის ფუნქციას ასრულებს და მთელი სიძნელები (თანაც საშინლად განიცდის საქართველოსა და თბილისის შესაძლო ოკ-

უპაცის თურქების მიერ), მის მხრებზე გადადის. როდესაც ამ გუბერნიაზე ნიკოლოზ II-ის გავლა სისხლიან კვალს დატოვებს ამბოხებული გლეხების დარბევის გამო, დიმიტრი დედას წერს: მამა კატეგორიული წინააღმდეგია, რომ მე ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დავრჩე. იგი ამბობს, რომ ის, ვინც საკუთარ თავს პატივსა სცემს და ღირსება გააჩნია, ამის შემდეგ თანამდებობაზე აღარ დარჩება.

ამ მხრივაც ყურადსაღებია დ. შარვაშიძის შეხედულება მამის ისეთ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზეც, მისი სიტყვებით (1899 წ. 15 ნოემბერი), კავკასიელთა შორის ჯერ არავის რომ მიუღწევია. ამ დანიშვნას იგი, პირველ რიგში, ზნეობრივი და პასუხისმგებლობის კუთხით უყურებს. მას მიაჩნია, რომ ამ დანიშვნით მამამისი კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდება სამეფო კარს, რომელიც ყოველთვის არ არის გონივრული და პატიოსანიც, თუმცა ეს სამსახური მუდამ საპატიოა.

არავის ეჭვი არ უნდა შეეპაროს, წერს იგი, რომ მამა ღირსი იქნება მისთვის გამოცხადებული ნდობისა და დარჩება თავისი სახლის ტრადიციების ერთგული. დიმა იმასაც ამბობს, რომ ამ დანიშვნით გ. შარვაშიძე ბევრ მტერს შეიძენს და თავის ერთ წერილში მის ნათქვამსაც გადმოგვცემს: „რაც მეტი მტერი გყავს მით მეტი პატივია“.

მხედველობაშია მისაღები საბჭოთა პროპაგანდაც, თავადაზნაურთა ფუქსავატურ ცხოვრებასა და უდარდელ ქეიფებზე, რასაც დღესაც გაიგონებთ. ამ დროს მათი მოწინავე ნაწილი უმძიმეს ტვირთსა და ჭკპანს ეწეოდა ქვეყნის გადასარჩენად იმ მტრის წინააღმდეგ, რომელიც ილიას სიტყვებით, უკვე არა ხმლით, არამედ ფულით მოდიოდა და გაცილებით საშიში იყო. თუ როგორ უმკლავდებოდა ამ ახალსა და გაცილებით საშიშ ტენდენციებს ქართული საზოგადოება, ყოველმხრივ რომ უტევდა მას, ეს დიმიტრი შარვაშიძის წერილებიდანაც ჩანს, რომლის კვლევაზე ეპოქის კვლევაცაა.

ამ კითხვებზე პასუხის გაცემის საშუალებას დ. შარვაშიძის წერილებიც იძლევა, ის საქმიანი კონტაქტები, რაც მათ ქართ-

ველ თავადაზნაურობასთან ჰქონდათ. ამავე დროს ამ წერილების სახით, როგორც ეს უკვე აღინიშნა, ხელთა გვაქვს გიორგი შარვაშიძის პეტერბურგში მოღვაწეობის ამსახველი იშვიათი წერილობითი წყარო, რომელიც მისი საქართველოში მოღვაწეობისგან განსხვავებით არ არის შესწავლილი. წერილები ერთგვარი გზამკვლელიცაა რუსეთში მოღვაწე ქართულ-კავკასიური ლობის ამ წარმომადგენელთა ჭეშმარიტი მიზნების დასადგენად და ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად. კერძოდ, რამდენადაც კომუნისტური პროპაგანდის თანახმად, ისინი საკუთარ კარიერას ემსახურებოდნენ და სხვა არანაირი კეთილშობილური მიზნები არ ამოძრავებდათ. საამისოდ, პირველ რიგში, საქართველოს ისტორიას უნდა მივმართოთ, რუსეთის იმპერიის საქართველოსადმი დამოკიდებულებას, კონკრეტულად კი გიორგი შარვაშიძის ბიოგრაფიას. მაგრამ გ. შარვაშიძის პეტერბურგში მოღვაწეობაში ვერ გავერკვევით თუკი საქართველოში მის საქმიანობას არ განვიხილავთ.

ამგვარად, საკითხს გაცილებით ფართოდ ვსვამთ. მხედველობაშია მისაღები გზა, რომელსაც ქართული საზოგადოება 1801 წლიდან სახელმწიფოებრიობის გაუქმებისთანავე გადის და ორ დიამეტრულად განსხვავებულ პოზიციად ყალიბდება – დამპყრობლისადმი შერიგება და შეურიგებლობა, დროისა და ვითარების მიხედვით ბრძოლის სტრატეგიისა და მეთოდების ცვლა. მაგრამ როგორია გზა, რომელსაც გიორგი შარვაშიძის წინაპრები გადიან – აფხაზეთისა და სრულიად საქართველოს წარმომადგენლები.

გიორგი შარვაშიძე დედის მხრიდან საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შთამომავალი იყო. დედის მხრიდანვე დადიანების სამთავრო საგვარეულოს ენათესავებოდა. მამის ხაზით მისი ფესვები აფხაზეთის სამთავროშია (გიორგის მამა დიმიტრი, აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის ბიძაშვილი იყო).

1801 წ. რუსეთის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება, შემდეგში სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის

სამთავროების ლიკვიდაცია, რუსეთში ბაგრატიონების სამეფო ოჯახის გასახლება სამშობლოში ცხოვრების აკრძალვით, მთავართა განდევნა იყო ბაგრატიონ-დადიან-ჭავჭავაძე-დადეშქელიან-შარვაშიძეთა დიდი სანათესაოს – საქართველოს ერთიან ორგანიზმს რომ წარმოადგანდა – საერთო ტრაგედია და იწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სხვადასხვა ფორმითა და მსხვერპლით, თაობიდან თაობაში რომ გაგრძელდება.

შელახული ღირსებისა და ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად თავად გარსევან ჭავჭავაძეც გამოვა, რუსეთთან დაახლოების ხელშემწყობი და გაიგზავნება რუსეთის იმპერატორისადმი ქართველ თავადაზნაურთა საპროტესტო წერილები. ამბოხებებს დაჭერები მოსდევს, ისევ გამოსვლები და 1832 წლის შეთქმულება, რომელშიც ალექსანდრე ჭავჭავაძეც იყო გარეული, გარსევანის ძე, პეტერბურგში დაბადებული და ეკატერინე II-ის ნათლული.

1832 წ. შეთქმულებიდან ხუთი წლის შემდეგ, ალექსანდრე ჭავჭავაძე ნიკოლოზ I-ს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზების გეგმას წარუდგენს. ამ ურთიერთობას იგი მის გონიერ სანყისებზე აგებაში ხედავდა, რუსეთის მხრიდან ქართული ინტერესების გათვალისწინებაში, ეკონომიკისა და მეურნეობის გარდაქმნაში, ადგილობრივი მოსახლეობის მასში ჩართვაში, წოდებათა უთანასწორობის აღმოფხვრაში, ყველა ადგილობრივი თავისებურების გათვალისწინებაში, რისკენაც ქართველების არაერთი თაობა მიისწრაფოდა, მაგრამ უშედეგოდ.

ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანსაც ძვირად დაუჯდება რუსეთის ერთგულება და მასთან დაკავშირებული იმედები. მას არც ყირიმის ომში რუსეთის მხარეს ბრძოლა დაუფასდება, როდესაც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, იარაღით ხელში, ზამთრის სიცივესა და წვიმაში, ნაბადმოსხმული და ცხენზე ამხედრებული პარტიზანულ ბრძოლებში მონაწილეობდა, ღამეებს კი გლეხის ოჯახში ათევდა. მას სამთავროს დაატოვებინებენ და როგორც ეკატერინე ამბობდა, მის სამფლობელოს რუსის სალ-

დათს კოლუბიაკინს ჩააბარენ (კ. ბოროზდინი, 1934: 47, 49-50).

ყველაზე ბოლოს (1864 წ.) აფხაზეთის სამთავრო გაუქმდება. აქედანვე იწყება შარვაშიძეთა აფხაზეთიდან განდევნის გეგმა, რომლის პირველი მსხვერპლიც მთავარი მიხეილ შარვაშიძე გახდება.

1864 წლის 5 ნოემბერს მას დააპატიმრებენ. მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ როგორ ეშინოდათ მამაცი და თავმოყვარე აფხაზების, რომ ამ ოპერაციაში რამდენიმე ათასი რუსის ჯარისკაცი მონაწილეობდა. მიხეილ შარვაშიძეს ოჯახთან დამშვიდობების უფლებასაც კი არ მისცემენ და ვორონეჟში გადაასახლებენ, სადაც გარდაიცვლება.

ამ მოვლენების თაობაზე რუსი მოხელე კ. ბოროზდინი, წიგნში „სამეგრელო და სვანეთი“, აღნიშნავს, რომ აფხაზები თუკი რუსებთან ურთიერთობას გაურბოდნენ, რუსების სამსახურში არ შედიოდნენ და შვილებს მათ სკოლებს არ აკარებდნენ, ამაში დიდი იყო მთავრის წვლილი, რომელიც სხვა მხრივაც გამოხატავდა პროტესტს. ცხადია, რუსები ვერ ეგუებოდნენ აფხაზეთის სამთავროში საქმის წარმოება და დოკუმენტები ქართულად რომ დგებოდა, მთავარი მიხეილ შარვაშიძე კი პროტესტის ნიშნადაც, რუს მოხელეთა წერილებს, მხოლოდ ქართულად პასუხობდა. რუსი ჩინოვნიკები თავის ანგარიშებში იმასაც წერდნენ, რაც საარქივო მასალებშია შემონახული, რომ აფხაზეთის დანარჩენ საქართველოსთან დაპირისპირების გარეშე, რაც აფხაზებისა და ქართველების დაპირისპირებას გულისხმობდა, გამორიცხული იქნებოდა აფხაზეთის ხელში ჩაგდება, აფხაზების დამორჩილება, რომლებიც კავკასიაში პირველი განაიარაღეს და დამნაშავე ერთად გამოაცხადეს, რაც მოგვიანებით გიორგი დიმიტრის ძის ძალისხმევით ნიკოლოზ II-მ გააუქმა.

მიუხედავად იმპერიული პოზიციისა, რის გამოც კ. ბოროზდინისთვისაც მიხეილ შარვაშიძე მიუღებელი იყო, ადამიანურად იგი მას მოსწონდა გარეგნობის, ვაჟკაცური შემართებისა თუ სიმამაცის გამო, ვისაც, მისი სიტყვებით თავი ღირსეულად ეჭირა და თავისი ხალხის ყოველგვარი გასაჭირი გულთან ახლოს

მიჰქონდა. რუსი მოხელე მის განათლებასაც აღნიშნავს, ნიგნის სიყვარულსა და რუსული და ევროპული ენების ფლობას (კ. ბოროზდინი, 1934: 180-181).

ჯერ კიდევ გენერალი პასკევიჩი არწმუნებდა ნიკოლოზ I-ს: „კავკასიის დაპყრობა მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროების დაპყრობისა და კოლონიზაციის შედეგად შეიძლებოდა“.

1864 წ. მეფისნაცვალის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი კი ალექსანდრე II-ს ურჩევდა: „ვიმოქმედოთ წინდახედულად, მაგრამ გაბედულად, რათა საბოლოოდ მთლიანად გავწმინდოთ შავი ზღვის სანაპირო“. ეს პირველ რიგში, გარდა რუსეთის შავი ზღვის პოლიტიკისა, ნიშნავდა, აფხაზეთის მმართველი ელიტის, მისი თავადაზნაურობის მოსპობასა და ახალი, რუსეთისათვის მისალევი აფხაზეთის შექმნას, რისთვისაც იმ განუმეორებელსა და მთავარს, იმ უნიკალურ სამყაროსა და ჯიშს გაანადგურებენ, რაც მხოლოდ საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და ისიც მისთვის ბუნებრივ, ქართველ-აფხაზთა ერთობლივსა და საერთო გარემოში.

მხოლოდ ამ გარემოდან გამოსულ შვილს, გრიგოლ რობ-აქიძეს შეეძლო უკანასკნელი მთავრის შთამომავალთან, გიორგი შარვაშიძესთან სოხუმში შეხვედრის შემდეგ ასეთი სიტყვების თქმა: „მთავარ ქუჩაზე მოდის ვინმე ცხენოსანი... მოხდენილი ჯდომა, – თითქოს მბრძანებელია მგრძნობიარე ცხოველის, მაგრამ თითქოს მას ძალას არც კი ატანს, – მარჯვე დაკავება სადავის... და ყოველი, რაც რომ სამხედრო ჯიშს მემკვიდრეობით გადაუცია ადამიანისათვის... გადმოხტა. გავიცანი, გიორგი შარვაშიძე, შვილი აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის. რა შესანიშნავად ადგას ჩოხა! ტანი მაღლად არის აყვანილი, სილალეთ კიდევ, თუმცა ეტყობა ექვს ათეულს გადასცილებია. ასეთი მოხდენილი ჩაცმულობა არავიზე მინახავს საქართველოში... ქართული ყაიდა ჩაცმულობის მძაფრი სტილით ჩამოკვეთილი. სადა ძალზე და ამასთანავე რჩეული მეტად... რაოდენი თავაზი და რაოდენი ღირსება, სილამაზე ივერიული, ხაზების სისწორე და სირბილე სწორუპოვარი. პროფილი: იქაც სისადავე და რჩეუ-

ლობა, თან მთელი საუკუნეებია საჭირო ბიოლოგიურმა შერჩევამ რომ ასეთი სრული ტიპი წარმოშოს... არაფერში ეტყობა ძალდატანება: მოძრაობა, თავდაჭერა, სიარული, ბაასი თავისუფალი მეტად და ამავე დროს წარჩინებული, რაც არ უნდა მოიმოქმედოს, ყველაფერი ლამაზი გამოვა... არა, ნამდვილი არისტოკრატობა ყველგან გამოჩნდება.“

ასეთივე მოხდენით, – წერს გ. რობაქიძე, ატარებდა გიორგი შარვაშიძე ევროპულ ტანსაცმელს, რაც ფოტომასალებითაც ჩანს.

პეტერბურგის სამეფო კარზე გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე ალექსანდრე II-ის ამალის წევრი იყო. მასთან დაახლოებულ პირებს შორის მომავალი იმპერატორი ალექსანდრე III-ც იყო, რომელიც ასევე ვერ მალავდა მისით აღტაცებას. თუმცა სამშობლოში დაბრუნებულ მთავრის შვილს, 1905 წლამდე, აფხაზეთში ხანგრძლივი ცხოვრების უფლება არ ჰქონდა. უკვე იმპერატორის რანგში ალექსანდრე III-ის საქართველოში, ქუთაისში სტუმრობისას გიორგი შარვაშიძეს, ნიკო ნიკოლაძეს, კონსტანტინე დადიანსა და რამდენიმე პიროვნებას, როგორც არასაიმედო პირებს, ქალაქის დატოვებას მოსთხოვენ. ცნობილია, რომ შემდგომში იმპერატორმა ალექსანდრე III-მ სცადა გიორგი შარვაშიძის შემორიგება, მაგრამ უშედეგოდ.

რუსებს იმდენად ხიბლავდათ მსგავსი პიროვნებები, კავკასია და კავკასიელები, რომ კითხვასაც კი სვამდნენ – თუ ასე მოსწონდათ ისინი, რატომ ანადგურებდნენ მათ. აი, რას წერს ამის თაობაზე ბოროზდინი წიგნში „სამეგრელო და სვანეთი“: „ეს ჩვენი ქვეყნის შორეული განაპირი, სადაც გამძაფრებულს ომს ვაწარმოვებდით მთიულებთან, და სადაც ომს მალე არ უნდა მოჰყოლოდა ბოლო, პუშკინისა, მარლინსკისა და ლერმონტოვის ნყალობით, გახვეული ლეგენდარულსა და პოეტურს წარმოდგენაში. ამ მხარის შესახებ ბევრს რასმე ამბობდნენ სასწაულებრივს, მისტიურს, აქედან დაბრუნებულებს ჩვენი (რუსეთის) საზოგადოება ისე უხვდებოდა, როგორც გმირებს: მათს ნაამბობს ყველანი, დიდი თუ პატარა, გატაცებით ისმენდნენ ხოლმე,

და კავკასია რჩებოდა რაღაც სფინქსად, რომლის გამოცნობა არავის შეეძლო. ყველა ჰკვირობდა, ნეტავ, რათ უნდა ვეომე-ბოდეთ ჩერქეზებს... ქალები „კავკასიის ტყვეს“ გმირის ქალის მსგავსები, – ესენი ხომ ყველანი ზნეობრივის სიმშვენიერის განხორციელებანი არიან, და როგორღა შეიძლება ებრძოლოს ადამიანი იმ ხალხებს, რომლებიც ასეთს ტიპებსა ჰქმნიან; ...ეს კითხვები ძალაუნებურად იბადებოდა, როცა ისმენდენ ყველა ფანტასტიურ ამბებს კავკასიის შესახებ, და მე მახსოვს, როგორ უპასუხებდა ამ ამბების გაგონებაზე, სხვათა შორის, ჩვენი პა-ტივცემული და მეტად ორიგინალური პროფესორი მოსკოვის უნივერსიტეტისა თ. ლ. მოროშკინი. „კავკასია“, – მისი აზრით, „სამჭედლო იყო და რუსის ხალხს ბედისაგან ეწერა თავისი ხას-იათი ამ ქვეყანაში გამოეწრო“. ამ განმარტებას მეტს არაფერს უმატებდა, არც უნდოდა სცოდნოდა, თუ რისთვის სწარმოებდა ომი, ან როდის გათავდებოდა; მოროშკინს, როგორც ბევრ სხ-ვას მის თანამედროვეს, ისიც-კი ეგონა, რომ ომი სულ თავის-დღეში არ გათავდებოდაო... თუმცა ეს განმარტება კავკასიისა პატივცემულ პროფესორის მიერ ცოტა არ იყოს, უცნაური იყო, მაგრამ შიგ სიმართლის ნიშანწყალიც ერია.

კავკასიაში მართლაც შესაძლებელი იყო გამომუშავება და გამონართობა ხასიათებისა, რადგან ამისთვის მრავალგვარი პრაქტიკა და ძნელი ასასრულებელი დავალებანი ჰხვდებოდა წილად თითქმის ყოველ რუს მოღვაწეს, რომელიც კი მოკლე-ბული არ იქნებოდა აღმალღებულ პატივმოყვარეობას. ცელქო-ბისათვის ახალგაზრდობის გადაგზავნა კავკასიაში, გამოსას-წორებლად, ყოველთვის კი არ იყო ცარიელ ფრაზად. ბევრნი გადაგზავნილთაგანი იქიდან უკან ბრუნდებოდენ მეტად საყურ-ადლებო და სერიოზულ ადმიანებად. ერთ მუჭა რუსებს, – ჩვე-ნი ჯარები მაშინ მეტად მცირერიცხოვანი იყო და შეიძლება მართლაც ერთი მუჭა გვეწოდებინა, რომლებიც აქეთკენ გად-მოტყორცნილი იყვნენ თავის დამოუკიდებლობისათვის გამ-წარებით სისხლის დამღვრელ ხალხებთან საბრძოლველად, სხვა ლოზუნგი არ გააჩნდათ თვინიერ შეტევისა და გამარჯვებისა. აქ

არ იყო ელემენტები ობლომოვობისათვის, – ზნეობრივად ჩამოქვეითებისათვის, როგორც ეს ხდებოდა ყოველ ნაბიჯზე ჩვენს საზოგადოებაში, მაშინ ფრთაგაშლილ ბატონყმობის წყალობით, – ეს აქ შეუძლებელი იყო“ (კ. ბოროზდინი, 1934: 80, 85. აღსანიშნავია, რომ ა. დიუმამაც შენიშნა რუსი ჯარისკაცის ქცევაში განსხვავება საკუთრივ რუსეთში, სადაც ის დათრგუნულია და უბედური და კავკასიაში, – სადაც გალალეებულია და ბედნიერი.).

კ. ბოროზდინი კიდევ ერთ საინტერესო ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას: კავკასიაში „უშიშარი სიმამაცე აქ უარყოფით თვისებად ითვლებოდა იმ აზრით, რომ აქ არავის შეეძლო მხდალი ყოფილიყო, და თან ადამიანს ისე არსად არ აფასებდენ ძვირად, როგორც აქ. ისე არსად სარგებლობდნენ მათის ნამდვილი ღირსებით, როგორც აქ, ადამიანში ამ ღირსებას ეძებდნენ, ასეთ ადამიანთ ზრდიდენ და მათს ხასიათს სწვრთვნიდენ... ამ მნიშვნელობით კავკასია მართლაც სამჭედლო იყო“, სადაც რუსები, მათივე აღიარებით, მორალურად გადარჩენილან (კ. ბოროზდინი, 1934: 86. ამ მხრივ რუსეთში ყველაფერი პირიქით რომ იყო, ამის მაგალითია მარკიზ დე კუსტინის (ქართულად ითარგმნა და გამოიცა 1935 წ.) „მოგზაურობა ნიკოლოზ I-ის რუსეთში“).

სწორედ ასეთ კავკასიას, კალმით თუ იარაღით, ებრძოდნენ ბარიატინსკები, გაგარინები და ალექსანდრე ჭავჭავაძის ირივე სიძე – ბარონი ნიკოლაი და ალექსანდრე გრობოედოვი. ქართველი ცოლები ჰყავდათ შამილთან ომში გამარჯვებულ გენერალ ბარიატინსკის, გენერალ გაგარინს (სვანეთის მთავარმა კ. დადეშქელიანმა მოკლა), ბოროზდინსა და სხვ. ქართველი ქალების სილამაზითა და ერთგულებით მოხიბლულები, ისინი სიამოვნებით ქმნიდნენ მათთან ოჯახებს, მაგრამ მიზანმიმართულად და დაუნდობლად უნადგურებდნენ სამშობლოს. თუმცა კ. ბოროზდინი იმასაც აღნიშნავს, თუ კი იმპერიის მსახურთაგან ვინმეს სინდისის ქენჯნა ეწყებოდა იმ უსამართლობის გამო, რასაც ჩადიოდა, ასეთ მოხელეს მაშინვე იშორებდნენ კავკასიიდან (კ. ბოროზდინი, 1934: 88. 90).

მაკას ბარონ ნიკოლაისთან მიწერ-მოწერიდან ჩანს თუ როგორი მოსიყვარულე მამა იყო ბარონი ნიკოლაი, დედით ადრე დაობლებული მაკასთვის და შემდეგ უკვე ასეთივე პაპა, შვილიშვილის – დიმიტრისათვის (ც. ბიბლიეიშვილი, 2012: 2, 80-101). მაგრამ იმპერიული პოლიტიკა, რომელსაც იგი ემსახურებოდა მის შთამომავლებსაც არ დაინდობს.

საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულია ბარონ ნიკოლაის ქუთაისის გენერალ გუბერნატორ სვიატოპოლკ-მირსკისთან მიმოწერა, საიდანაც ჩანს, რომ ბარონი ნიკოლაი რუსეთის იმპერიის პოლიტიკის არა მხოლოდ უბრალო გამტარებელი, არამედ საუკეთესო მრჩეველიცაა. აფხაზეთის მიტაცების მიზნით, შარვაშიძეთა საგვარეულოს განდევნის ინიციატორი, რაც მიზანმიმართულად კიდევაც ხორციელდება – 1864 წ. აფხაზეთის სამთავროს გაუქმებითა და მიხეილ შარვაშიძის, უკანასკნელი მთავრის, ვორონეჟში გადასახლებით. მაგრამ თითქო ბედის ირონიით, ამ თარიღიდან 16 წლის გასვლის შემდეგ, ბარონ ნიკოლაის შეეძინება ერთადერთი და უსაყვარლესი შვილიშვილი, გვარად შარვაშიძე, ამ წერილების ავტორი, რომელიც წლების შემდეგ იმ პოლიტიკის მსხვერპლი გახდება, რასაც ბარონი ნიკოლაი ასეთი თავდადებით ემსახურებოდა და რასაც უკვე ბოლშევიკური რუსეთი კიდევ უფრო უხეში და დაუნდობელი მეთოდებით გააგრძელებს.

1917 წ. ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებისა და 1921 წ. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგად, დიმიტრის აფხაზეთიდან ისევე განდევნიან და გააციმბირებენ, როგორც თავის დროზე მეფის რუსეთმა გააციმბირა მისი წინაპარი, დიდი პაპა, ჰასან ბეი შარვაშიძე. თუმცა, განსხვავებით ჰასან ბეისგან, იგი ველარასოდეს დაბრუნდება სამშობლოში. ბედის ირონიით, ბოლშევიკებისგან დევნილ დიმიტრის ირკუტსკში გაასახლებენ, სადაც მისი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ და სადაც მეფის რუსეთი მას ჯერ სრულიად ახალგაზრდას დიდ თანამდებობას, ირკუტსკის ვიცე-გუბერნატორობას სთავაზობდა (1910 წ.), რაზეც მან მამასთან მოთათბირების შემდეგ უარი განაცხადა.

მისი გარდაცვალების თარიღად 1937 წ. მიიჩნევა. უცნობია, ეს არის მისი ბუნებრივი თუ რეპრესიებით გამოწვეული სიკვდილი.

თბილისში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, გრიფით სრულიად საიდუმლოდ, ინახება დოკუმენტები, რომლის თანახმადაც ირკვევა, ჰასან ბეი მართალია გააცემბირეს, მაგრამ მისი მოდრეკა და დამორჩილება ვერც ამით შეძლეს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ რუსები მას თავის დაუძინებელ მტრად მიიჩვედნენ, ჰასან ბეის ვაჟკაცობის, ღირსებისა და შეუდრეკელობის გამო, მის მიმართ აღტაცებას ვერ მალავდნენ.

თანამედროვეთა აღიარებით, ჰასან ბეი შარვაშიძემ, რომელიც აფხაზეთში მიხეილზე დიდი მხარდაჭერითა და ავტორიტეტით სარგებლობდა, გამთავრებაზე უარი განაცხადა. სანაცვლოდ მინები მოითხოვა, რის გამოც შარვაშიძეთა კელასურის შტოდ ცნობილი დიმიტრის ეს ოჯახი მთელს აფხაზეთში ყველაზე შეძლებული მსხვილი მინათმფლობელი გახდა. ჰასან ბეის, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგაც, სადაც მან შვიდი წელი დაჰყო, უთვალთვალავდნენ. მიუხედავად ამისა, ჰასან-ბეი ბოლომდე შეურიგებელი დარჩა რუსეთის ბატონობისა საქართველოში, ამიტომ მოულოდნელი არ ყოფილა მისი სახელის გამოჩენა 1832 წ. შეთქმულთა საქმეებში, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით იყო დაგეგმილი და რომელშიც აფხაზეთიც იყო ჩართული. მიზანს ამ შეთქმულებისა, როგორც ეს კარგადაა ცნობილი, ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენა და რუსების საქართველოდან (აფხაზეთის ჩათვლით) განდევნა წარმოადგენდა.

დ. შარვაშიძის წერილებში ვხვდებით თავისი დროის ცნობილ კავკასიოლოგს ე. ვეიდენბაუმს, რომლის კარტოთეკაც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ე. ვეიდენბაუმის კარტოთეკა, „განყ. გ.დ. შარვაშიძე“). მისი გაცნობისას გიცნობიერდებათ ნამდვილი მიზეზი, რის გამოც რუსებმა ჰასან ბეი შარვაშიძე დასაჯეს. როგორც აღმოჩნდა, იგი 1820 წ. იმერეთის აჯანყებაში მონაწილეობდა, რომლის მიზანსაც რუსების დასავლეთ საქართველოდან განდევნა და ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენა წარმოადგენდა. ცხადია, ე.

ვეიდენბაუმს, რომელიც თავის კარტოთეკისთვის კავკასიელ გამოჩენილ პირთა და მოღვაწეთა შესახებ მასალებს აგროვებდა, ჰასან ბეის ბიოგრაფიის წყაროდ შარვაშიძეთა ოჯახიც ეყოლებოდა, ვისთანაც, როგორც დიმიტრის წერილებიდანაც ჩანს, კავკასიის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით თანამშრომლობდა. ასე მაგალითად, იგი წერს, რომ მამამის გიორგის სურს კავკასიის მუზეუმისთვის ე. ვეიდენბაუმს გადასცეს ბარონ ნიკოლაის კუთვნილი შამილის პორტრეტი და სხვ.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ასევე შეგნებულად მიაფუჩეჩეს აფხაზეთის წარმომადგენელთა 1832 წ. შეთქმულებაში მონაწილეობა და თავად შეთქმულთა გასამართლების დროსაც ეს ამბავი ჩაიფარცხა. რუსეთის იმპერიისათვის, რომელიც გათიშე და იბატონეს პრინციპებით მოქმედებდა საქართველოში, მიუღებელი იყო აფხაზ-ქართველთა ამ ერთიანობისა და ბრძოლის ჩვენება. მით უმეტეს, რომ აფხაზეთის მხრიდან შეთქმულებას კონსტანტინე შარვაშიძე ხელმძღვანელობდა, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილის ვაჟი, რომელიც აფხაზური წესისამებრ, ჰასან ბეისთან იზრდებოდა და რომლისთვისაც იგი უსაყვარლესი ძმისშვილი იყო.

კონსტანტინე შარვაშიძე, რომელიც მჭიდრო კავშირში იყო შეთქმულების მოთავეებთან – ალექსანდრე ორბელიანთან და ელიზბარ ერისთავთან, თავისი რაზმით მათ თბილისში უნდა შეერთებოდა (გ. გოზალიშვილი, 1970: 47. ცნობილი ფაქტია, რომ ა. ორბელიანის შვილიშვილმა მარიამ შარვაშიძემ აღასრულა მისი შემდეგი ანდერძი: 1918 წ. მან პაპას საფლავში ჩასძახა, რომ რუსები წავიდნენ და საქართველო განთავისუფლდა. ამას მაშინ სხვებმაც მიბაძეს და 1990 წელს იგივე უკვე სხვა თაობამაც გაიმეორა). სასამართლოზე ერთადერთ დანაშაულად კონსტანტინეს ბიძასთან კავშირი ჩაუთვალეს, რაც ირიბად ჰასან ბეის ამ შეთქმულებასთან კავშირს ადასტურებს.

ამასობაში წამოიზარდა ჰასან ბეის ერთადერთი ვაჟი დიმიტრი, გიორგის მამა და წერილების ავტორის – დიმიტრის პაპა, რომელიც უკვე იმ თაობას ეკუთვნოდა, ვისაც რუსეთის

მხარდაჭერით თურქების საქართველოზე პრეტენზიების აღმოფხვრა სურდა. თავის მხრივ, რუსეთიც ამ განწყობას კარგად იყენებდა კავკასიაში სამხედრო ოპერაციების დროს. პოლკოვნიკმა დ. შარვაშიძემ თავი გამოიჩინა ყირიმის ომში 1854 წ. ომერ ფაშას ჯარებისაგან სამეგრელოს გათავისუფლებაში. ომერ ფაშამ, მრავალი მცდელობის მიუხედავად, ეკატერინეს მსგავსად, ვერც დ. შარვაშიძის გადაბირება მოახერხა, რომელიც ორმოცი წლის ასაკში მოულოდნელად, საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა (კ. ბოროზდინი, 1934: 21). ეჭვია, რომ იგი მონამლეს.

მამის, დიმიტრი შარვაშიძის გარდაცვალების დროისათვის, გიორგი 11 წლისა ყოფილა, ორი წლისა დედითაც დაობლებულიყო, ვის სახსოვარსაც, ძვირფას გულსაკიდს, მთელი ცხოვრება ატარებდა. დედა ეკატერინე (პუპი) დადიანი-შარვაშიძისა, სამეგრელოს მმართველის ლევან V-ის ასული იყო და უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის და. დადიანების ცნობილ რეზიდენციას, რომელსაც მოგვიანებით ეკატერინე ჭავჭავაძემ რესტავრაცია გაუკეთა, პუპის სასახლესაც უწოდებდნენ. იგი იყო თავისი დროის ერთ-ერთი განათლებული ქალბატონი, საუკეთესო წიგნსაცავის მფლობელი, რომლის სილამაზესაც ზუგდიდის მუზეუმში დაცული ევროპელი მხატვრის მიერ შესრულებული მისი პორტრეტიც ადასტურებს.

ადრე დაობლებული პატარა გიორგის აღზრდა კოლუბიაკინ-კრუიჟანოვსკის უშვილო ოჯახმა ითავა. ასე მოხვდა იგი პ. კოლუბიაკინთან, კავკასიაში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ერთგულ გამტარებელსა და დამცველთან. პ. კოლუბიაკინი იმითაც არის ცნობილი, რომ მან პიატიგორსკში გაიცილა მ. ლერმონტოვი. ორივე უცნაური ხასიათისანი იყვნენ, წერს კ. ბოროზდინი, მათ ერთმანეთი ვერ იგუეს. „და პოეტმა თავის „ჩვენი დროის გმირში“ ერთის კალმის მოსმით დაჰხატა კარიკატურული სილუეტი კოლუბიაკინისა ტიპ გრუმინცკის სახით. კოლუბიაკინმა ეს იცოდა და გულკეთილად აპატივა ლერმონტოვს ეს ბოროტი საქციელი მის წინააღმდეგ“ (კ.

ბოროზდინი, 1934: 87).

კოლუბიაკინა-კრჟიჟანოვსკაიმ გიორგი ჯერ პეტერბურგში, შემდეგ კი ევროპაში წაიყვანა სასწავლებლად. 1865-1869 წლებში გ. შარვაშიძე მოსკოვის უნივერსიტეტში, იურიდიულ განათლებას ეუფლება. 1869 წ. თბილისში ბრუნდება და ადმინისტრაციულ თანამდებობაზე იწყებს მუშაობას. 1883-1888 წწ. მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში საგანგებო დავალებათა მოხელეა. თბილისის გუბერნიის, ანუ აღმოსავლეთ საქართველოს ვიცე-გუბერნატორი, 1888-1897 წწ. გუბერნატორის თანამდებობას იკავებს. 1897 წ. პეტერბურგში გადაყავთ, რითაც იწყება მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალი პერიოდი.

გიორგი შარვაშიძე ჰასან ბეის უკვე მესამე თაობა იყო, რომელიც სულ სხვა დროსა და პირობებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, როდესაც გავლილი იყო გზა ბრძოლების, შეთქმულებების და გარკვეული გამოცდილება შეძენილი რუსეთთან ურთიერთობისა. სწორედ ამ დროს სამოციანელები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ცვლიან ტაქტიკას და ახალ გზებს ეძებენ, განათლებასა და იმ დარგების ათვისებაზე აკეთებენ აქცენტს, რაც მათ მომავალში სახელმწიფო მართვისთვის გამოადგებათ.

მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევენ და დასახავენ იმპერიის სტრუქტურებში შესვლასაც, პეტერბურგის კართან დაახლოებას, რასაც კიდევაც გააკეთებენ გ. შარვაშიძე, ილია ჭავჭავაძე და სხვები.

არ არის შემთხვევითი გიორგი შარვაშიძის, რუსეთის არმიის ოფიცრის 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთს ომში მონაწილეობაც. ეს ომი ქართველებისთვის უდიდესი მნიშვნელობის ეროვნული აქტი იყო, რის შედეგადაც მათ თურქთა მიერ მითაცეპული ტერიტორიები – აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა არტაანი და ოლთისი დაუბრუნდათ.

დ. შარვაშიძის წერილებში ჩანს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (ზოგ შემთხვევაში ახალი მასალების მხრივაც), 60-ანელთა ქართული საქმისადმი ურთიერთკოორდინირებული

მოქმედება. ჩანს აგრეთვე თუ ეს ურთიერთკოორდინირებული მოქმედება რამდენად სცილდება საქართველოს ფარგლებს. როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, 60-იანელები ახალ გზების ძიებას იწყებენ და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ახალ ეტაპზე გადაჰყავთ. იცვლება ტაქტიკაც. აქცენტი განათლებასა და დიპლომატიაზე კეთდება. ამის ერთ-ერთი მაგალითია გიორგი შარვაშიძე, რომელსაც თავად თანამედროვენი 60-იანელთა თაობას მიაკუთვნებდნენ და ასე ახასიათებდნენ: „იმ დროის კაცების იდეალური აზრებიც აქვს შეთვისებული... მის მოქმედებას ლუბერნატორობის დროს აჩნია დალი ამ კეთილშობილური იდეალური გატაცებისა“ (გაზ. „კვალი“, 1997 წ., № 31).

ჯერ საქართველოში, შემდეგ უკვე პეტერბურგში სხვადასხვა თანამდებობაზე ყოფნისას, გიორგი შეარვაშიძე არ წყვეტს საქართველოსა და ქართულ საზოგადოებასთან კავშირს. პირველ რიგში, ილია ჭავჭავაძესთან, „ივერიის იმედს“ რომ უწოდებდა და ვისთანაც პირადი თუ საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა, რაც მის პოზიციაზეც მიანიშნებს.

გ. შარვაშიძე ილიას ე. წ. ჟურფიქსების მუდმივი მონაწილეც იყო, რომელიც ჩვეულებრივ ვიწრო და ილიასთან ყველაზე ახლობელ ადამიანთა წრეში ტარდებოდა. გიორგი ილიას ევროპაში ყოფნის დროსაც არ ივიწყებდა, წერილებით ეხმიანებოდა მას. ზოგი წერილი ლექსადაც აქვს დაწერილი და სახუმარო ხასიათისაა (ო. ჭურღულია, 1983: 110-111). ილია და გიორგი ოჯახებითაც მეგობრობდნენ, რაც დიმიტრის ერთი წერილიდანაც ჩანს, იმ რეაქციიდან, როდესაც რუსული პრესიდან იგებს (1907 წ. აგვისტო), რომ ილია ჭავჭავაძესა და ოლღას თავს დაესხნენ და დაჭრეს. იგი დედას აცნობებს, რომ აპირებს ილიასათვის წერილის მიწერას, მან ჯერ არ იცის, რომ ილია მოკლეს.

გიორგი შარვაშიძე ასევე ახლოს იყო ნიკო ნიკოლაძესთან და მასთან საქმიანი მიწერ-მოწერა აკავშირებდა.

ოთარ ჭურღულია, სოხუმელი მეცნიერი, რომელიც საგანგებოდ იკვლევდა გიორგი შარვაშიძისა და ილია ჭავჭავაძის ურთიერთობას, აღნიშნავს: მართალია გ. შარვაშიძე, როგორც

თბილისის გუბერნატორი, მთავრობის პოლიტიკის გამტარებელი უნდა ყოფილიყო, ეკონტროლებინა ინტელიგენციის პოლიტიკური, ეროვნული და სოციალური განწყობები, მაგრამ არა თუ თავად იყო ეროვნული საქმეების მონაწილე, არამედ ინიციატორიც. მკვლევარი იმასაც აღნიშნავს, რომ გ. შარვაშიძე ყოველმხრივ მფარველობდა და გაუფრთხილებია კიდევაც ი. ჭავჭავაძე, რომელზეც ჟანდარმერიას ფარული მეთვალყურეობა ჰქონდა გამოცხადებული (ო. ჭურლულია, 1983: 108).

საზოგადოდ, როდესაც ამ მოღვაწეთა ბიოგრაფიებს ვეცნობით, ჩანს, რომ მათ ადრეული ასაკიდან ამზადებდნენ სამშობლოს მსახურებისთვის, რაშიც დიდი იყო საზოგადოების როლიც. მათ რიცხვშია გიორგი შარვაშიძეც, რომელიც მომავალსა და სახელმწიფო მართვისთვის მზადყოფნის თაობაზე ჯერ კიდევ მაშინ, სტუდენტობის წლებში, ფიქრობდა, როდესაც თემად ნიკოლო მაკიაველის შემოქმედება აიღო. საქართველოში ეს მაკიაველის შემოქმედების ანალიზის პირველი ცდაც იყო, რომლის ნაწერებმაც გ. შარვაშიძე მიიზიდა თავისუფლებისა და სახელმწიფო მართვის პრობლემების დასმით.

მაკიაველი კიდევ ერთ საკითხს ეხება. კერძოდ, რამდენად რთულია შეგნებულად გაფუჭებული და გარყვნილი ხალხის მართვა.

გ. შარვაშიძემ, სამოციანელების – ი. ჭავჭავაძისა და სხვათა მსგავსად, განიხილა ჯუზეპე გარიბალდის როლი იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში და სხვ. ასე რომ, გიორგი შარვაშიძისგან არ გამოვიდა მორჩილი მოხელე, როგორც ეს იმპერიის ერთგულმა მოხელემ პ. კოლუბიაკინმა ჩაიფიქრა და მის სიმამრს ბარონ ნიკოლაის სურდა, – გარუსებულსა და განათლებულ ევროპელს, რომლის ძირებიც საფრანგეთს უკავშირდება. იგი ლუდოვიკო XVI-ის ფინანსთა მინისტრის, საფრანგეთის რევოლუციის დროს პოპულარული პიროვნების, ჟან ნეკერისა და ცნობილი ფრანგი მწერლის ჟერმენ დე სტალის შთამომავალი იყო. მისი პაპა, ანდრეი ნიკოლაი, პავლე I-ის აღმზრდელს წარმოადგენდა თავად ალექსანდრეს

პეტერბურგსა და კავკასიაში მაღალი თანამდებობები ეკავა. მაგრამ საფრანგეთში ბობოქარი ბუნებით გამორჩეული მისი წინაპრები, რუსეთში ტახტის ყურმოჭრილ მონებად იქცნენ.

გ. შარვაშიძის ყველაზე დიდი შემფასებლები, როგორც ეს ითქვა, პირველ რიგში, მისი თანამედროვენი იყვნენ, რომლებიც აღნიშნავდნენ ამ ოჯახისა და საზოგადოდ შარვაშიძეთა საგვარეულოს ადგილსა და როლს საქართველოს პოლიტიკურსა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ილიას „ივერიისთვის“ იგი იყო „დიდი ქველმოქმედი, გულისხმიერი ადამიანი, რომელიც ყველა გაჭირვებულს ეხმარებოდა, ცოდნას და გამოცდილებას ხალხს და ქვეყანას ახმარდა“ (გაზ. „ივერია“, 1898 წ., № 78). იგივეს აღნიშნავდა „კვალი“, „ცნობის ფურცელი“ და სხვ.

ასევე პრესისა და კავკასიის კალენდრის ფურცლებიდან ვგებულობთ, რომ გ. შარვაშიძე არაერთი საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე, თუ რიგითი წევრი ყოფილა. წლების მანძილზე იგი სათავეში ედგა ბავშვთა თავშესაფრების თბილისის საგუბერნიო მზრუნველობას. იყო თბილისის გუბერნიის გლეხთა საკრებულოსა და კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების წევრი, რაც ნიშნავს, თუ რამდენად კარგად ჰქონდა მას გაცნობიერებული კავკასიაში ქრისტიანობის როლი. იგი მიუერთებდა თბილისისა და ქუთაისის ქალთა გიმნაზიებს. გუბერნატორობის დროსაც, და შემდგომ პერიოდშიც, საგანგებო ყურადღებას უთმობდა და უშუალოდ ამოწმებდა საქართველოს სოფლების დაწყებით სკოლებს. 1902 წ. მან ამ მიზნით აფხაზეთის სკოლებიც მოინახულა. მან ბაბუშერაში, აფხაზეთში სკოლის ასაშენებლად თავის გლეხებს უსასყიდლოდ გამოუყო მინა და საამშენებლო მასალა. ასეთი სამეურნეო თუ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ეროვნული მოძრაობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენდა. ამიტომ ბუნებრივად მივიჩნით, როდესაც არქივში გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის გვარი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატორთა (დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე) და წევრთა შორის აღმოვაჩინე, რომლის თავმჯდომარედ მისი დაარსე-

ბიდან (1879) მოყოლებული დიმიტრი ყიფიანი იყო, ხოლო 1886 წლიდან ილია ჭავჭავაძე. ამ ორგანიზაციის მიზანს, რომელშიც მაშინდელი საზოგადოების თითქმის ყველა გამოჩენილი მოღვაწე შედიოდა (მათ შორის გრიგოლ და გიორგი შარვაშიძეები), როგორც ცნობილია, ხალხში განათლების შეტანა წარმოადგენდა, ძველ ხელნაწერთა და ფოლკლორული მასალების შეგროვება და სხვ.

იმ პირობებში, როდესაც (განსაკუთრებით 1881 წლიდან), სკოლებში არათუ ქართულად სწავლა, არამედ ლაპარაკიც კი იკრძალებოდა, ქართული სკოლების დაარსება დიდი ეროვნული აქტი იყო, რაშიც, სოფლად თუ ქალაქად, მაშინდელი მონივნავე საზოგადოება იყო ჩართული. გ. შარვაშიძის ვიცე-გუბერნატორობისა და გუბერნატორობის დროს გაიხსნა რამდენიმე სასწავლებელი. მათ შორის ქალთა პროფესიული სკოლა (1883), რომელსაც გიორგის მეუღლე მაკა შარვაშიძე მეურვეობდა. განათლების პროპაგანდის მიზნით დაარსდა 1894 წ. საერთო სახალხო კითხვის დღე. მანამდე კი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელმოკლეთა ბიბლიოთეკა. სასკოლო სისტემაში გ. შარვაშიძის მიერ გამოჩენილი დიდი ღვაწლის გამო 1897 წ. დაისვა საკითხი მისი სახელობის სტიპენდიების შემოღების თაობაზე ქუთაისისა და თბილისის ქალთა გიმნაზიებში.

გ. შარვაშიძის მმართველობის პერიოდში გამოსვლა დაიწყო ქართულმა ჟურნალ-გაზეთებმა: „ივერია“, „მომამბე“, „კვალი“, „ჯეჯვილი“, „თეატრი“. რუსულმა „ნოვოე ობოზრენიემ“.

გაიხსნა „კონკის“ პირველი ხაზი (1886-1887), ვერის ხიდი, წყალგაყვანილობის მოწყობასთან ერთად მწყობრში ჩადგა ავჭალის წყალსადენი, აშენდა საავადმყოფო, ქიმიური ლაბორატორია, გაიხსნა სამხედრო მუზეუმი „დიდების ტაძარი“ (დღეს სამხატვრო გალერეა), 1896 წ. დასრულდა ოპერის ახალი შენობა. 1889 წ. 16 სექტემბერს გაიხსნა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა და სხვ.

გ. შარვაშიძე, მამის, დიმიტრის მსგავსად ლიტერატურულ

საქმიანობასაც ეწეოდა, მაგრამ მისი მოღვაწეობის ეს მხარე უცნობია. ცნობილია მისი ერთი ლექსი ლიბერალურად განწყობილი პრინც პ. ოლდენბურგის იუბილესადმი მიძღვნილი. ეს ლექსი მისდამი სიყვარულსა და მამინდელი ქართული საზოგადოების ამ პიროვნებისადმი მაღლიერებას გამოხატავს, რასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. თავის დროზე პ. ოლდენბურგმა გაგრი-სა და მისი სანახების მფლობელმა, სკოლა და ე. წ. ბავშვთა თავშესაფარი დაარსა. შემდგომში მისი საქმიანობა მისმა შვილმა ალექსანდრემ გააგრძელა. მან სკოლის ტიპის ინტერნატი ამიერკავკასიის ყველა ეროვნებისა და წოდების ბავშვებისთვის გახსნა. ამასთან დაკავშირებით, ა. ოლდენბურგს საქმიანი ურთიერთობა ილია ჭავჭავაძესა და სხვა ქართველ მოღვაწეებთან ჰქონდა. იგი ილიას განათლების საკითხებზე ეთათბირობდა დაწყებით კლასებში სასაწავლო საგნად ქართული ენის შემოღებისა და სკოლის გახსნასთან დაკავშირებით. საამისოდ მან თბილისიდან დელეგაცია მიიწვია ილიას მეთაურობით, რაც ილიას აფხაზეთში მოგზაურობის მიზეზი გახდა (ო. ჭურლულია, 1983: 73). სწორედ მაშინ შეიარა გზად ილიამ სოხუმში, სადაც მას დიდებული დახვედრა მოუწყო აფხაზეთის თავადაზნაურობამ.

იმ დროისათვის, როდესაც გ. შარვაშიძე მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, მრავალი პრობლემა იყო დაგროვილი, რომელთა მოგვარებაშიც სამოციანელებთან ერთად, გ. შარვაშიძეც ჩაერთო. მაგრამ გ. შარვაშიძის საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში მთავარი, რამაც მაშინდელი საზოგადოების ყველა ფენაში გამოხმაურება ჰპოვა და რის გამოც, თანამედროვეთა სიტყვებით, მისი სახელი დაუვიწყარი იქნება თაობების ხსოვნაში, შემდეგია: მან შექმნა სასოფლო-სამეურნეო პროექტი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი აგრარული ქვეყნის გლეხობისთვის, როგორიც საქართველო იყო, და ეს საკითხები დღესაც აქტუალურია.

დაპყრობილი ქვეყნის პირობებში საქართველოს მინი-

სა და გლეხობის საკითხი 60-იანელთა (რომელთაც, როგორც ეს უკვე ითქვა, გ. შარვაშიძეც ეკუთვნოდა) ერთ-ერთ მთავარ საფიქრალსა და საზრუნავს წარმოადგენდა. ეს პრობლემა დ. შარვაშიძის წერილებშიც (აფხაზეთთან დაკავშირებითაც) განიხილება. არ არის შემთხვევითი, რომ ისეთი დიდი ქართველი, როგორც დიმიტრი ყიფიანი იყო, კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი რომ ხდება (ე. ჯინჭარაძე, 2014: 11).

როგორც თანადროული პრესის ფურცლებიდან ჩანს, აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური XIX ს-ის 80-90-იან წლებში გამხდარა. მაშინდელი საზოგადოება, ზ. ჭიჭინაძის თქმით, თავის მოვალეობად მიიჩნევდა გლეხობის სავალალო მდგომარეობიდან გამოყვანას. გ. შარვაშიძე, როგორც ამ საზოგადოების ნაწილი და მისი ამ იდეის გამზიარებელი, გუბერნატორად გახდომისთანავე ქმედით ნაბიჯებს დგამს. მან შეიმუშავა პროგრამა, რომელიც ნიადაგს უქმნიდა გლეხობის მატერიალურ კეთილდღეობას და სოფლის ბურჟუაზიულ ყაიდაზე გარდაქმნას. ეს პროექტი იმ ინიციატივას ანიჭებდა გლეხობას, რომელიც მათ რუსეთში არ ჰქონდათ. გ. შარვაშიძის პროექტი ევროპული, ამ სფეროში წარმატებული ქვეყნებისა და საქართველოს გამოცდილების შერწყმას წარმოადგენდა. ამ დიდ ეროვნული მნიშვნელობის მოვლენას იმდროინდელი საზოგადოება და პრესა მაშინვე გამოეხმაურა, მათ შორის პირველი „ივერია“, რომელმაც აღნიშნულ პროექტს ნაყოფიერი და დიდმნიშვნელოვანი უწოდა, რომლის განხორციელებასაც გ. შარვაშიძე „გულის დაუძინებელი მხნეობით მიეცა“.

„ივერია“, რომელიც ცხადია, ამ საკითხში ილიას პოზიციას ადასტურებდა, ასე აფასებდა გ. შარვაშიძის ღვაწლს: „მთელი თავისი კაცთმოყვარული აზრი ბ-მა გუბერნატორმა ააშენა გლეხკაცობის თვითმოქმედებაზე და ჭკუა უჭრის და გულიც ერჩის, მაგრამ ცალ-ცალკე გარჯით ვერა უქნია რა და ქონებრივ შეუძლებლობისაგან ვერ გამოსულა“ (გაზ. „ივერია“, 1892, № 86). ასეთი მიდგომა დღესაც აქტუალურია. ეროვნული ხელისუ-

ფლება (1990-1991 წ.), რომელიც ამ საკითხში სამოციანელთა გამგრძელებლად უნდა მივიჩნიოთ, ამ მიმართულებით აპირებდა რეფორმებს, რაც არ დასცალდა და დღესაც ეს საკითხი გადაუჭრელია.

გაზეთმა „კვალმა“ ასე განმარტა გ. შარვაშიძის პროექტის არსი: „ძირითადი აზრი ამ დიდი საქმის წამოწყებისა ის იყო, რომ თ. გ. დ. შარვაშიძე ფიქრობდა, შეეგროვებინა იმდენი ფული გლეხკაცობაში, რომ ამ შემოსავალი ფულის ნაასალი, ანუ პროცენტი, საკმაო ყოფილიყო გლეხკაცობის ყოველგვარი საჭიროების დასაკმაყოფილებლათ, როგორც მაგალითათ: სახელმწიფო ხარჯების გასასტუმრებლათ, საგლეხო ადგილ-მამულის შესაძენათ, ადგილ-მამულის შემუშავების გასაადვილებლათ, გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღების მოსაპოვებლათ და უკეთესი ჯიშის საქონლის მოსაშენებლად, ეს მართლაც და სამაგალითო დიდი საქმე იტვირთა თავის სამშობლო ქვეყნის წარმატებისათვისათვის. თ. გ. დ. შარვაშიძემ...“ (გაზ. „კვალი“, 1897, №31: 574).

ამ პროექტით 1898 წლის 1 იანვრისათვის დაგროვილი საერთო თანხა უზარმაზარი იყო – 1. 126 322 მან. მაშინდელი საზოგადოების აზრით, გ. შარვაშიძემ ერთი ნაბიჯი წაადგმევინა ჩვენს ერს და იმპერიის მასშტაბითაც მიიპყრო ყურადღება. ს. ვიტემ, მასზე დაყრდნობით, შექმნა კიდევაც პროექტი „საზოგადოებრივი სამეურნეო საქმიანობისათვის,“ რაც 1904 წ. 31 აგვისტოსთვის მთელ რუსეთის იმპერიაში კანონად იქცა, თუმცა საბოლოოდ არ იმუშავა. გ. შარვაშიძემ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. რუსულ ყაიდაზე მოწყობილი სასოფლო მმართველობა, რომლის თანახმადაც, ხშირად სოფლის მამასახლისებად გაუნათლებელ და ზოგჯერ წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანებს ირჩევდნენ, შეცვალა. მან, თავადაზნაურობის გლეხობასთან დაახლოების მიზნით, მამასახლისებად იმათგან ამორჩეული განვითარებული კაცები დააყენა.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია გ. შარვაშიძის პროექტის ალექსანდრე ყიფშიძისეული (ფრონე-

ლი) შეფასება, რომელიც წლების მანძილზე თავადაზნაურთა საკრებულოსთან არსებულ სამინათმოქმედო საკითხთა ხელმძღვანელი იყო და აღნიშნულ პრობლემებში კარგად გარკვეული.

ა. ყიფშიძე საკრებულოს ფულით უმინაწყო გლეხებისათვის მიწებს იძენდა და მათ მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა. სავსებით სამართლიანად, იგი გ. შარვაშიძის პროექტის ეფექტიანობაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ მისი ავტორი, პირველ რიგში, ადგილობრივ ტრადიციებსა და ქართველი ხალხის ფსიქოლოგიას, მის თვისებას ეფუძნებოდა, რაც მან თავის პროექტს საფუძვლად დაუდო. ეს არის დღესაც ცოცხალი, მისთვის ნიშანდობლივი ურთიერთდახმარების პრინციპი. მისივე სიტყვებით, ამ პროექტით თბილისის გუბერნატორმა, თავადმა გ. შარვაშიძემ, ადგილი დაიმკვიდრა ხალხის ხსოვნაში, დაიმსახურა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთდახმარების ეს პრინციპი მოქმედებდა ყოველთვის და 1992 წლიდან ქართველების გადატაკებისა და ძარცვის მიზანმიმართული პოლიტიკის პირობებშიც, რაც უცხოელთა ფარულ ანგარიშებშიც აიასახა. მათ დაწერეს, რომ ქართველი ხალხი ამ უმძიმეს პირობებს ვერ გადაიტანდა, რომ არა ურთიერთდახმარება. ქართველების ეს ბუნება, ისტორიული მეხსიერებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გამოჩნდა 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიური უბედურების ტრაგიკულ ღამეს, როდესაც ხალხმა და განსაკუთრებით ახალგაზრდობამ მოყვასისათვის თავდადებისა და გმირობის ნამდვილი მაგალითები უჩვენა და ქართველი ხალხის ჭეშმარიტი ბუნება გამოამჟღავნა.

ქართველი ხალხის ამ თვისებებს „ქართლის ცხოვრება“ ადასტურებს, რაც პირველ რიგში, მტრისგან აოხრებული ქვეყნის სწრაფ აღდგენას ითვალისწინებდა. ასევე „ქართლის ცხოვრებიდან“ ჩანს, რამდენად სოციალურ ფაქტორსა და მის დაბალანსებას (რასაც გ. შარვაშიძეც აკეთებდა), განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ერის ერთიანობისა და ძლიერე-

ბის, ურთულეს რეგიონში მტრისთვის წინააღმდეგობის განევის თვალსაზრისით. ამკარად ეს ფაქტორიც აქვს მხედველობაში გ. შარვაშიძეს, რომელიც (მისი ბიბლიოთეკიდანაც ჩანს), კარგად იყო ჩახედული საქართველოს ისტორიაში.

რაც მთავარია, ყველა ეს პრობლემა ქართველი ხალხის არსებობას უკავშირდებოდა. ილია პირველი იყო, ვინც დასვა ქართველი ხალხის გადარჩენასთან დაკავშირებული პრობლემები. მან ამ კითხვაზე პასუხი ქართველი ხალხის სამეურნეო ცხოვრებასა და ქართულ მინისმფლობელობაში დაინახა, რაც, როგორც ვხედავთ, პირდაპირ უკავშირდება გ. შარვაშიძის პროექტს. ასეთივე ხასიათის მასალა გ. შარვაშიძეზე დაცულია ნ. ნიკოლაძის არქივშიც (ო. ჭურღულია, 1983: 107).

შემდგომში ქართულმა ისტორიოგრაფიამ ქართულ მიწასთან დაკავშირებული პრობლემების მეცნიერული კვლევა დაიწყო. ვ. გაბაშვილის არქივში დაცულია ცნობა, სადაც იგი ქართული მინისმფლობელობის ისტორიულ ჭრილში და მთლიანობაში შესწავლის აუცილებლობის საკითხს სვამს, მისი სასიცოცხლო, ფუნდამენტური და პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე. ამიტომაც, მკვლევარმა მიზანმიმართულად გამოიკვლია ქართულ მინისმფლობელობასთან დაკავშირებული საკითხები, რაც მისი სიტყვებით – ქართველობის, ქართული სიციალურ-ეკონომიკური სისტემის შენარჩუნებას ნიშნავდა, – საქართველოს არსებობის გარანტს. მანვე თავის მონოგრაფიაში გვიჩვენა, თუ უცხო ძალების მიერ როგორ ხდებოდა ქართული მინებისათვის ბრძოლა, რაც ქართულ სახელმწიფოებრიობასთან ბრძოლასაც ნიშნავდა. ამითაც მან და ამ პოზიციაზე მდგარმა მეცნიერებმა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ კუთხით, კომუნისტურ ხანაშიც, XIX ს-ის 60-ანელთა საქმე გააგრძელეს (ვ. გაბაშვილი, 1958).

უფრო ადრე, XX საუკუნის 10-იანი წლებიდან, მინის პრობლემას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და მისი პერიოდული პრესა.

ამგვარად, აღნიშნული პრობლემის ირგვლივ სხვადასხვა

თაობა იყო გაერთიანებული, ვინაიდან საქართველოს მინების დაცვა საქართველოს დაცვას, მისი არსებობის გარანტს ნიშნავდა.

სამწუხაროდ, დღეს ამ მხრივ, განსხვავებული სურათია, რასაც თავისი მიზეზები აქვს. ეს პირდაპირ კავშირშია 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალებასთან და დღესა უკვე საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ გარეშე ძალების საქართველოს მიწებისადმი ინტერესს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ დიმიტრი შარვაშიძე არც ამ თემას უვლის გვერდს, კერძოდ სახელმწიფო გადატრიალების დამანგრეველ შედეგებსაც განიხლავს. ამიტომაც იგი ყოველგვარი ძალადობის კატეგორიული წინააღმდეგია, ვინაიდან მას არც ერთ შემთხვევაში დადებითი შედეგი არ მოაქვს, მის საუკეთესო შეილებსა სპობს და დიდი ხნით უკან ხევს ქვეყანას. ამით კი ის გარეშე ძალები სარგებლობენ, რომლებიც ხშირად ამ მოვლენების უკან დგანან.

რაც შეეხება გ. შარვაშიძის სასოფლო სამეურნეო პროექტის აქტუალურობას. ამ მხრივ მის კიდევ ერთ მხარეს განვიხილავთ, რასაც ყურადღება არ მიექცა. საქმე ის არის, რომ აღნიშნული პროექტი რუსეთის იმპერიულ პოლიტიკასაც უპირისპირდებოდა, კერძოდ, რუსეთის მიერ საქართველოს მიწების კოლონიზაციის პროცესს, რასაც XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან აქვს ადგილი. ცნობილია, რომ უცხოელებსა და ათასი ჯურის საქართველოში ჩამოსახლებულ სექტანტებს ადგილობრივ მოსახლეობაზე გაცილებით მეტ მიწებს აძლევდნენ. ამ მხრივ მათ ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ, ისევე, როგორც ადგილობრივი გლეხების გალატაკებასა და მიწიდან აყრას. ამიტომ გ. შარვაშიძე მინის ისეთი რეფორმის წინააღმდეგი იყო, რომელიც ღარიბ გლეხობას მისი გაყიდვის უფლებას დაუკანონებდა. იგი მიიჩნევდა, რომ მიწა გლეხებს მუდმივ მფლობელობაში უნდა გადასცემოდათ გაყიდვის უფლების გარეშე, ვინაიდან ქართველების შეგნებული გალატაკებისა და უცხო ელემენტის ეკონომიკური მომძლავრების ფონზე, ძალზე საშიშ ხასიათს მიიღებდა. ასე რომ, XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა

შემოძახილი: „ჩვენს მინებს უცხოები ეპატრონებიან,“ კვლავ აქტუალური გახადეს – XX საუკუნეში ორჯერ, და ორჯერვე სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, რაშიც გარეშე ძალები, როგორც ეს უკვე ითქვა, ამ მხრივაც დაინტერესებულნი იყვნენ.

დ. შარვაშიძის წერილებში ისეთი საკითხებიც არის დასმული, რაც დღეს ღიად და აშკარად ჩანს და ასევე საიდუმლოს აღარ წარმოადგენს. ეს არის სომხების მიზანმიმართული მოქმედება, რომლის შედეგადაც ქართველების აფხაზეთიდან გამოდევნის შემდეგ (რაც 1991-1992 წწ. სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი შედეგია) სომხები ქართველებს ჩაენაცვლნენ და დღეს აფხაზეთში უმრავლესობას წარმოადგენენ. წერილებში ლაპარაკია თუ როგორ გამიზნულად იგდებდნენ სომხები საქართველოში მინებს დიდი სომხეთის იდეით შეპყრობილები, რაშიც მათი შავი ზღვის მიმართ ინტერესებიც შედიოდა. ამ მხრივ, დიმიტრი შარვაშიძის წერილებში შემთხვევით არ კეთდება განსაკუთრებული აქცენტი რუსეთის მიერ ყოველმხრივ მხარდაჭერილსა და ნაქეზებულ სომხურ ბურჟუაზიაზე, რომელსაც რუსეთის იმპერიის ხელშეწყობით, თბილისის მმართველობაში (რაც პლაცდარმს წარმოადგენდა მოქმედებისთვის) მნიშვნელოვანი პოზიციები ეკავა.

სომხური ბურჟუაზია ქართველი თავადაზნაურობის (რომელთა გაღატაკებაც ასევე შეგნებულად ხდებოდა) უძრავ-მოძრავი ქონების დაპატრონებას (მინების ჩათვლით) ცდილობდა. ეს იმპერიული პოლიტიკა, ქართველებისთვის ქართული მინების ხელიდან გამოცლისა, შეხებია დიმიტრი შარვაშიძის ოჯახსაც, დედასა და სანათესაოს.

გიორგი (გიგუშა) ერისთავის ჩანაწერების თანახმად, რაზეც მის ულამაზეს მეუღლეს მერი შარვაშიძეს პირად საუბარშიც ულაპარაკია, რუსეთი ყველა ხერხს მიმართავდა, რათა ქართველი თავადაზნაურობა მიწისთვის მოეწყვიტათ. ასევე შეგნებულად ითრგუნებოდა ქართული ეროვნული ბურჟუაზია, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენლის – დავით სარაჯიშვილის დაკრძალვასაც, მაშინდელი პრესის მიხედვით, აღწერს დიმიტრ

შრავაშიძე თავისი წერილის ფურცლებზე. სწორედ ამ პროცესებს წინ აღუდგა ილიას საადგილმამულო ბანკი და კოტე აფხაზი (ილიას დისშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს თავმჯდომარე), რომელთა ბანკიც ქართულ ეროვნულ ინტერესებსა და ქართველ ხალხს ემსახურებოდა.

სომხურ-რუსული ალიანსისადმი ქართული საზოგადოების ირონიული და უარყოფითი დამოკიდებულება დიმიტრის კიდევ ერთი წერილიდან (1907 წ. 7 მაისი) იკვეთება. მამა მას აცნობებს, რომ თბილისში ხელიდან ხელში გადადის ელისაბედ (ლიზა) ორბელიანის („ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად მთარგმნელი) ლექსი, რომელშიც ირონიაა გამოხატული თამამშევის მიმართ, რომელმაც ვორონცოვთან ნაცნობობის 50 წლის იუბილე გადაიხადა, მაშინ, როდესაც 48 წელი მას იგი არ უნახავს. ასეთ ვითარებაში, როდესაც იმპერია მინის საკითხში საქართველოსთვის მიუღებელ პოლიტიკას ატარებდა, პრაქტიკულ წინააღმდეგობასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ გ. შარვაშიძე საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო მეურნედ მიიჩნეოდა და ამ თვალსაზრისით ისეთი ცნობილი ოჯახების რიგში იდგა, როგორებიც იყვნენ ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და სხვები.

თედო ჟორდანია აფხაზეთში მოგზაურობის შემდეგ მაშინდელ პრესასა და თავის წიგნში აღნიშნავდა, რომ „გიორგი დიმიტრის-ძე შარვაშიძე ერთადერთი მემამულე გახლდათ აფხაზეთში, რომელსაც კარგა მოზრდილი (60 000 დესეტინა) სახნავ-სათესი მამულის შეძენა და (თავი და თავი) შერჩენა ასე თუ ისე მოვლა მოუხერხებია. უზარმაზარი ევროპული და ადგილობრივი ჯიშის ვაზებისა, გამოცდილი მეზღლის ხელმძღვანელობით მოვლილი, მაყურებლის თვალს ახარებს“ (თ. სახოკია, 1950: 298).

დიმიტრის წერილებიდან ჩანს აგრეთვე, რომ არა პირველი მსოფლიო ომი, მამა-შვილი აფხაზეთში თამბაქოს მეურნეობის აწყობას აპირებდა და სხვ.

მაშინდელი ქართული და უცხოური პრესა იმასაც აღნიშ-

ნავდა, რომ გ. შარვაშიძე თავისი სასოფლო სამეურნეო პროდუქციით მონაწილეობდა კავკასიისა და მსოფლიო სამეურნეო გამოფენებში. გაზეთი „ივერიის“ თანახმად, გ. შარვაშიძეს კავკასიის გამოფენაზე გამოტანილი ჰქონდა მაშინ ჯერ კიდევ უცნობი იზაბელას ჯიშის ღვინო, რომელიც შემდეგ ფართოდ გავრცელდა დასავლეთ საქართველოში (გაზ. „ივერია“, 1898 წ., № 78).

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვენი აფასებდნენ არა მარტო გიორგი შარვაშიძის, როგორც ქველმოქმედისა და გუბერნატორის ღვაწლს, არამედ ზოგადად მისი საგვარეულოს დამსახურებას საქართველოს წინაშე, ჯერ კიდევ იმ ეპოქიდან მოყოლებული, როდესაც შარვაშიძეთა გვარის წარმომადგენელი თამარ მეფის მოხელე იყო. ეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული გიორგის ერთადერთ ვაჟს დიმიტრისაც, რომელსაც მამის მსგავსად, ისტორია განსაკუთრებით იტაცებდა, აინტერესებდა ოჯახის წარსული და გენიალოგიურ ხესაც ადგენდა, რაც ფაქტობრივად, ქვეყნის ისტორიაში წვდომაც იყო, მით უმეტეს, რომ მისი წინაპრები ცნობილი პოლიტიკოსები, დიპლომატები, პოეტები, მწერლები და საზოგადო მოღვაწენი იყვნენ, ღრმა კვალი რომ დატოვეს სრულიად საქართველოს პოლიტიკურსა თუ კულტურულ ცხოვრებაში. ეს ის ოჯახებია, დაპყრობილი ქვეყნის პირობებში განსაკუთრებულ დატვირთვას რომ იძენენ და სამშობლოს ჭეშმარიტ ისტორიას აგრძელებენ, თაობებს ეროვნული სულისკვეთებით ზრდიან, რაც მთავარია სიყვარულით ადამიანისა და ქვეყნისადმი.

პასუხისმგებლობაზე ოჯახისა და ქვეყნის წინაშე დიმიტრიც ლაპარაკობს. ამის მაგალითებს იგი მშობლებისა და ზნეობრივი, ეროვნული საზოგადოებისგანაც იღებდა, რომელმაც ცნობილია, რომ დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა (1887 წ.), მასშტაბურ ეროვნულ აქციაში გადაზარდა. ასეთ ვითარებაში, ამ სამგლოვიარო პროცესის დროს, გ. შარვაშიძე, მაღალი თანამდებობის პირი, ბოლომდე გვერდით ედგა ილიას, აკაკის, ვალერიან გუნიასა და სხვა მოღვაწეებს, რაც მის გაბედულებაზეც მე-

ტყველებს. მიიჩნევენ, ამანაც განაპირობა, რომ პოლიციამ ვერ გაბედა და არ დაშალა სამგლოვიარო მსვლელობა.

რამდენად მარტივი არ იყო შექმნილი სიტუაცია, ამ მოვლენის თვითმხილველმა ვლასა მგელაძემ, XX ს-ის დასაწყისის პოლიტიკურმა მოღვაწემ, უკვე ემიგრაციაში, 1934 წელს დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვასთან დაკავშირებული ოქტომბრის დღეები გაიხსენა და აღწერა. ეს ის ვლასა მგელაძეა, რომელიც 1918 წ. 26 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადებისას, მთანმინდაზე აიჭრა და ზარების რეკვით მის დიდ ბინადართ საქართველოს დამოუკიდებლობა ახარა. აი რას წერს იგი ყიფიანის დაკრძალვასთან დაკავშირებით. მისი სიტყვებით, თბილისი საომრად გამზადებულ ქალაქს დაემსგავსა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მთანმინდაზე ასვლის წინ ცხედრის სასახლის წინ დასვენება აუკრძალეს: საქართველოს ყოველ კუთხიდან დელეგატები და წარმომადგენლები ფიცს სდებდნენ, რომ ამ სირცხვილს და შეურაცხყოფას მტერს არ შეარჩენდნენ: „დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა შავად მოსილი რამოდენიმე ათასი ქალი და კაცი ქუდჩაკეცილნი ხმალ-კაპარჭით შემოსილნი – მთელი ქართული ინტელიგენცია, თავადაზნაურობა, ჩვენი ერის ბურჯი, ახლად გამოღვიძებული მშრომელი ხალხი, თავიანთი ამქრული დროშებით, სამღვდელოებას და მგალობელთა გუნდს მიჰყვებოდნენ“. ეპისკოპოსი ქრისტეს ჯვრით ემუქრებოდა ოფიცერს. „მანდილოსნები ფრჩხილებით ჩინ-ორდენებს გლეჯდნენ რუს ოფიცრებს, თავადაზნაურობა სიბრტყით სცემდა ხმალს თავხედ რუსებს, თბილისის ყარაჩოხელნი და კინტოები ერთი შემოკვრით პოლიციელს მინაზე აწვენდნენ. აღელვებულმა ხალხმა, როგორც ნაფოტი, ისე გაიგდო წინ თავხედი რუსის მხედრობა. სასახლის წინ პანაშვიდი გადაუხადეს, სიტყვებით მიმართეს და მთანმინდაზე აასვენეს უკვდავი მამულიშვილი, რომელსაც სამუდამო ძეგლი აუგეს“ (ვ. მგელაძე, 1934: 7).

კიდევ ერთი მოგონების ფრაგმენტს მოვიყვანთ, რაც ასევე ხალხის განწყობის თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი. ეს არის გიორგი ლასხიშვილის მოგონება, სადაც მას გ. შარვაშიძეც

ჰყავს მოხსენიებული, რომელსაც მისთვისაც ახალგაზრდობაში დახმარების ხელი გაუწვდია. მომავალში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ცნობილი მოღვაწე ასე აღწერს 1895 წ. 11 სექტემბერს კრწანისის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი ბრძოლის აღნიშვნას: „დადგა 11 სექტემბერი, – იმ დღის მოგონებებისათვის დანიშნული ვადა. ტფილისს ადრე დაეტყო რაღაც არაჩვეულებრივი გამოცოცხლება, მოძრაობა. 10-11 საათიდან დაიწყო ხალხის დენა, პატარა ხნის შემდეგ, ვორონცოვის ქუჩით მრავალი ხალხი ამოძრავდა, მოხუცი და ახალგაზრდა, ქალი და კაცი, მუშა თუ ხელოსანი, ვაჭარი და მოქალაქე, ინტელიგენტი, თავადაზნაური, ერთი სიტყვით, თითქოს მთელი ტფილისი ამოძრავდა განურჩევლად ნოდების, მდგომარეობისა და ეროვნებისაც კი... მივალწიეთ დანიშნულ ადგილას, გადაგვეშალა თვალწარმტაცი სურათი. დიდ მანძილზე თავი მოეყარა ზღვა ხალხს. გარდა ტფილისელებისა, აქ იყვნენ ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოსულნი გლეხებიც. აქა-იქ მოსჩანდა ამქრების გამლილი ბაირალები, აქეთ-იქიდან ისმოდა ზურნის სევდიანი ხმა, ძნელია ამოდენა ხალხის რაოდენობის გამორკვევა... ყოველ შემთხვევაში, იმ ხანებში არავის უნახავს ამდენი თავმოყრილი ხალხი და ყველაზედ უფრო საგულისმო ისაა, რომ ეს ამოდენა ხალხი თავის ნებით იყო მოსული: არავის არ უზრუნვია წინასწარ მისი შეკრებისათვის. ხალხი მოვიდა ალტყინებული, საზარელი მოგონებით, რათა პატივი ეცა თავდადებულ გმირთათვის“ (გ. ლასხიშვილი, 1934: 11).

ზემოთ მოყვანილი ორივე ნაწყვეტი შეგნებულად მოვიყვანეთ. მიზანი იმ საერთო ეროვნული განწყობისა და ერთსულოვნების ჩვენება იყო, რასაც მომავლაში გარედან თავსმოხვეული და მართული პარტიები შეეცდებიან მიზანმიმართულად დაშალონ და ერთმანეთს დაუპირისპირონ ხალხი თავისი ვიწრო პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე. დ. შარვაშიძე ასეთი პარტიების ქმედებებს არათუ ხედავს, დინამიკაშიც განიხილავს და დესტრუქციულ ძალად მიიჩნევს. ამ პროცესებს იგი უკვე რუსეთში, თანამედრობაზე ყოფნისას, თვალს ადევნებს და

საქმის კურსშია, თუ რა ხდება საქართველოში.

იგი ასევე აკვირდება და აღნიშნავს რუსეთში მყოფი ქართველებისა და პეტერბურგის ქართული ლობის კავშირებს სამშობლოსთან.

საბჭოთა მეცნიერებამ, გარკვეულ ეტაპზე, გვერდი ველარ აუარა გიორგი შარვაშიძეს, მაგრამ ძირითადად მისი საქველმოქმედო საქმიანობა და ზემოთ განხილული სასოფლო პროექტი წარმოაჩინა. მაგრამ ფაქტობრივად უცნობი დარჩა მისი პეტერბურგში მოღვაწეობის ხანა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს 60-იანელთა ისტორიის თვალსაზრისით, ვინაიდან სათანადოდ არ არის შესწავლილი ქართველ სამოციანელთა პოლიტიკური აქტიურობა, დაკავშირებული რუსეთთან და, მით უმეტეს, ევროპასთან. ამ მხრივაც დიმიტრი შარვაშიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობა მნიშვნელოვანია.

1899 წ. 15 ნოემბრით დათარიღებული დიმიტრის პეტერბურგიდან გამოგზავნილი წერილიდან ვიგებთ, რომ იმპერატორის 13 ნოემბრის ბრძანებით, თავადი გიორგი შარვაშიძე კარის ეგერმეისტერი, გოფმაისტერად ინიშნება, რაც სასახლის მეურნეობის, კარის ცერემონიალისა და საკარისკაცო შტატების გაძღოლას ნიშნავდა. ეს ზრდიდა როგორც მისი მოღვაწეობის მასშტაბებს, ისე საერთაშორისო კავშირებსა და შესაბამისად 60-ანელთა შესაძლებლობებს, ვისთანაც კავშირი მას პეტერბურგში მაღალ თანამდებობაზე ყოფნისას არ გაუწყვეტია. ალექსანდრე III-ის ქვრივისა და ნიკოლოზ II-ის დედის, – იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნას კანცელარიას იგი 1917 წლამდე, რევოლუციამდე განაგებდა. მარია ფეოდოროვნა, დაგმარა, რომელსაც შინაურები მინის ეძახოდნენ, დანიის მეფის ქრისტიან IX-ის ასული იყო. მისი და – ალექსანდრა (ალიქსი) კი ინგლისის დედოფალი, მეფე ედუარდ VII-ის მეუღლე, რომელთანაც გ. შარვაშიძე განსაკუთრებით ახლოს იყო.

ნიკოლოზ II-ის დედა, იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნა და გიორგი შარვაშიძე პირველად საქართველოში შეხვდნენ ერთმანეთს. ეს მოხდა 1888 წ. ალექსანდრე III-ისა და მარია

ფეოდოროვნას მოგზაურობის დროს საქართველოში, რომლის ბუნების მშვენიერებასა და ხალხის სილამაზეს მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია. თანამედროვეთა აღწერით, იმპერტარიცა იყო ლამაზი, გონიერი და განათლებული ადამიანი. ამასვე თავის მოგონებებში აღნიშნავს იმპერიის ყოფილი პრემიერი ს. ვიტე, რომელიც მას სახელმწიფოებრივი აზროვნებითაც გამოარჩევდა. ამით იგი, მისი სიტყვებით, თავის ვაჟს, იმპერატორ ნიკოლოზ II-ს აღემატებოდა, რომელსაც, ჰქონდა გვარდიის პოლკოვნიკის საშუალო განათლება და ფაქტობრივად თავისი გახრწნილი გარემოცვის ტყვე იყო. ზოგიერთი თანამედროვე მარია ფეოდოროვნას აღექსანდრე III-ზეც მალლა აყენებდა, ფელდფებელს უფრო რომ ამსგავსებდნენ. ს. ვიტესაც იგი მარტივ ადამიანად მიაჩნდა, მაგრამ იმ მეფედ მაინც, რომელმაც რუსეთი ცამეტი წელი მშვიდობიანობის პირობებში აცხოვრა. საზოგადოდ მას მიაჩნდა, რომ მეფეს, რომელსაც არა აქვს მეფის, ანუ მმართველის ხასიათი ქვეყანას ბედნიერებას ვერ მოუტანს (С. Вите, 1960: 6; 280).

არსებობს ვერსიები, რომ აღექსანდრე III-ის გარდაცვალების შემდეგ მარია ფეოდოროვნასა და გიორგი შარვაშიძეს შორის მორგანატული ქორწინება გაფორმდა. ამისი წყარო რუსული და ქართული არისტოკრატის ზეპირი გადმოცემებია და მინიმუმბები თანამედროვეთა ცალკეულ მოგონებებში.

ორი წლის წინ „როსია კულტურის“ არხზე, ტელეგადაცემაში „ფაქტის ძალა“ მიწვეულმა ისტორიკოსებმა მორგანატული ქორწინების ვერსია გაიზიარეს. დიმიტრის წერილებში არის ადგილები, რომლებიც ერთგვარ ეჭვს აღძრავს. პეტერბურგში სასწავლებლად ჩასული, ჯერ სულ ყმანვილი, დედას, რომელიც საქართველოშია, მამაზე წერს, „იმპერატრიცა ყოველდღე გამუდმებით ყველას ეკითხება მისი ჩამოსვლის თაობაზე“ (1899 წ. 23 იანვარი). „მამა ჩამოვიდა და იმპერატრიცა სულ მის მიპატიჟებაში იქნება“. მარია ფეოდოროვნას „მამის იმპერატრიცასაც“ უწოდებს და სხვ. ამ ამბებზე წერისას დედის მარტოობასაც აღნიშნავს, რაც მას აწუხებს. ერთგან იმასაც აღნიშნავს, რომ

მამამ მას სიტყვა მისცა, რომ იგი აუცილებლად გაემგზავრება მაკასთან თბილისში.

როგორც აღინიშნა, დ. შარვაშიძის წერილები საშუალებას იძლევა, პასუხი გაეცეს საბჭოთა პერიოდში საქართველოს არისტოკრატიის მიზანმართულ დისკრედიტაციას, რომელშიც აფხაზეთის არისტოკრატიაც იგულისხმება, რომ თითქოს ეს არისტოკრატია იზოლირებული იყო საკუთარი თანამემამულეებისგან. იმასაც აღნიშნავდნენ, რომ მცდარია, თითქოს საქართველოს თავადაზნაურობა ებრძოდა რუსეთის თვითმპყრობელობას, უნდოდა დამოუკიდებლობის აღდგენა და ეროვნული კულტურის გადარჩენა. პირიქით, ცარიზმის კლასობრივ დასაყრდენად წარმოაჩენდნენ, რომელიც ქვეყნის საზიანოდ მოქმედებდა. დ. შარვაშიძის წერილები ამ პროპაგანდის უარყოფას, საიდანაც ირკვევა, საქართველოს თავადაზნაურობის კოლექტიური (ასე უნოდებდნენ ურთიერთკოორდინირებაში მყოფ მის პროგრესულ ნაწილს) და მიზანმიმართული მოქმედება ეროვნულ ინტერესებთან მიმართებაში. თანაც, როგორც ეს ზემოთ გაკვრით ითქვა, ამ მოქმედებისა და კოორდინაციის გაცილებით ფართო მასშტაბებზე უნდა ვილაპარაკოთ, ვიდრე ეს აქამდე იყო მიღებული ქართველ 60-იანელებთან მიმართებაში. ეს ეხება არა მხოლოდ საქართველოსა და რუსეთში, არამედ ევროპაში მათ მოღვაწეობასაც. ამ მხრივ, დ. შარვაშიძის წერილების ღირებულება განსაკუთრებულია. ჩანს ისიც, თუ ევროპული განათლება და ევროპული ცხოვრების წესი განათლებული საქართველოს საზოგადოებისა და არისტოკრატიისთვის დიდი ხნის აღმოჩენილიც იყო და ცნობილიც, განსხვავებით მისი დღევანდელი აღმომჩენებისა და პროპაგანდისტებისგან, რომლებმაც არც ევროპა იციან და არც საკუთარი ქვეყნის ფასი. გავიხსნოთ, როგორი აღტაცებით წერს ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმე თავის „კავკასიაში“ თორმეტი წლის ივანე თარხნიშვილზე, მის მანერებსა და ფრანგულზე, რომლის მსგავსიც, დახვეწილობის თვალსაზრისით, მისივე სიტყვებით, მხოლოდ პარიზის ყველაზე მაღალი კულტურის მატარებელ სალონებში თუ გაუგია.

ევროპაში ნამყოფები იყვნენ ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე (რომელიც იქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა) და სხვა დიდი ქართველები, ადრეული ასაკიდანვე რომ ეზიარებოდნენ მის დიდ კულტურასა და ცივილიზაციას, ისევე როგორც დიმიტრი შარვაშიძე, წერილების ავტორი, რომელიც ბევრს მოგზაურობს, ეცნობა ევროპის სხვადასხვა მუზეუმებს, მის ღირსშესანიშნაობებს. დიმიტრი მამის, გიორგი შარვაშიძის საზღვარგარეთულ ოფიციალურ ვიზიტებს (ინგლისი, იტალია, დანია, შვეცია, ავსტრია, იაპონია...) მაშინდელი რუსული და ევროპული პრესით თვალს ადევნებდა.

გიორგი შარვაშიძეს, 60-იანელთა თაობის წარმომადგენელს, ახლო და მეგობრული ურთიერთობები ჰქონდა ევროპელ პოლიტიკოსებთან და მონარქებთან (რაც ასევე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს), განსაკუთრებით ინგლისისა და დანიის მეფეებთან. დიმიტრი ერთ თავის წერილში საგანგებოდ აღნიშნავს იმ ურთიერთპატივისცემასა და სიახლოვეს, რომელიც ინგლისის მეფე ედუარდსა და გიორგი შარვაშიძეს შორის არსებობდა, რომლის გარდაცვალებაც ძალიან განიცადა.

1910 წ. ინგლისის სამეფო კარი გ. შარვაშიძეს პირადად იწვევს ედუარდ VII-ის დაკრძალვაზე, 1911 წ. კი უშუალოდ გეორგ V იწვევს მას თავის კორონაციაზე, რომელსაც მთელი მსოფლიოს მონარქები და პოლიტიკოსები დაესწრებიან (გ. შარვაშიძე დაჯილდოებული იყო რუსეთის იმპერიის, დანიის, შვეციის, სპარსეთის საპატიო ორდენებითა და მედლებით). დიმიტრი დედას წერს, რომ მამამ მას ამ ცერემონიის თაობაზე ალტაცებული ბარათი გამოუგზავნა (1911 წ. 19 ივნისი).

ამდენად, ჩვენ ხელთ არსებული წერილები ერთ-ერთი წყაროა, დაპყრობილი ქვეყნის ვითარებაშიც კი, ქართველ 60-იანელთა ევროპასთან ურთიერთობის გააზრებისა და ევროპის საფუძვლიანი ცოდნისა. დ. შარვაშიძის წერილებიდან ჩანს, თუ რა განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მამა-შვილის მიმონერაში ამ თემას. იგი მასთან ერთად განიხილავს ევროპის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას, რასაც რუსეთის იმპერი-

აში არსებულ მდგომარეობას ადარებენ. გიორგის, ბუნებრივია, რომ მოსწონდა ევროპული მართვის სისტემა და კანონის უზენაესობა. მას იზიდავდა გერმანია, უყვარდა ინგლისი, აღაფრთოვანებდა იტალია. ერთგან დიმიტრი გ. შარვაშიძის მსახურის თვალთ დანახულ ევროპასაც აღწერს და იუმორით ამბობს: იმ დროს, როდესაც განათლებული გიორგი იტალიიდან აღფრთოვანებულ წერილებს იწერება, მის ქართველ მსახურ სიმონს, რომლის ყურადღებასაც მხოლოდ ყოველდღიურობა თუ იპყრობს, არ მოსწონს იტალიელები და მათ ამრეზით, ზემოდან უყურებს.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზეა გასაკეთებელი აქცენტი, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს. მაშინდელმა განათლებულმა ქართულმა საზოგადოებამ იცოდა ევროპის როგორც დადებითი, ისე მიუღებელი მხარეები, რაც დიმიტრის წერილებიდანაც ჩანს. ამიტომ ქართულ საზოგადოებას ევროპიდან ყველაფრის ბრმად გადმოღება, თავად ევროპელებისთვისაც პრობლემად რომ ქცეულიყო, მიუღებლად მიაჩნდა. შეურაცხყოფას კი, ვისი მხრიდანაც არ უნდა ყოფილიყო, არავის პატიობდნენ და საკადრის პასუხს სცემდნენ. ამ მხრივ, საინტერესოა ასეთი შემთხვევა.

1911 წ. გაგრაში პრინც ოლდენბურგთან ჩამოსულ ევროპელ სტუმრებს შორის იყო ერთი გერმანელი კორესპონდენტი, გვარად ლორენცი, რომელმაც გერმანულ გაზეთში ქართველ და აფხაზ წარჩინებულთა შესახებ შეურაცხმყოფელი სტატია დაწერა, რასაც თბილისში მიღებული შთაბეჭდილებებიც დაამატა. გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძემ, უკანასკნელი მთავრის შვილმა, ეს ფაქტი საერთაშორისო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი ერების დამცირებად აღიქვა. მან ამავე გერმანულ გაზეთს წერილი გაუგზავნა, სადაც ეს ჭკუის დამრიგებლები ამხილა და აუხსნა, რომ ქართველი ხალხი (ეს შეურაცხყოფა ძირითადად მათ ეხებოდა) მდიდარი სულიერი კულტურის მატარებელია, ისეთი ბრწყინვალე წარსულის, რითაც ნებისმიერი ერი იამაყებდა. ამავე სტატიაში მან კოლონიზატორულ პოლიტიკასაც გადაჰკრა,

როდესაც კულტურას უწოდებენ იმას, როდესაც „ადგილობრივ მოსახლეობას ართმევენ მკვიდრ მიწებს და ურიგებენ გადამთიელებს, რომლებმაც, მართალი ითქვას, არც კი იციან ამ სიმდიდრის გამოყენება, არ იციან და ვერც მდიდრდებიან“. სამაგიეროდ, ადგილობრივნი მიწის სიმცირის გამო, იძულებულნი არიან თავი მიანებონ როგორც მევენახეობას, ისე მეცხოველეობას და ღარიბდებიან. მიუხედავად ამისა, წერს იგი, მათ შენარჩუნებული აქვთ სტუმართმოყვარეობის კეთილშობილური ადათ-ჩვეულებები, ასე ცუდად გაგებული ლორენცის მიერ: „დიახ, ჩვენ ჩამოვრჩით ცივილიზაციას. არ გვყავს არც სუტენერები, არც შანტაჟისტები, არც აფრიკელი საქმოსნები და ა. შ... ჩვენ გვგონია, რომ არ არის საჭირო ყველა იმ ნაგვის ათვისება, რომელსაც ზოგიერთები პროგრესს უწოდებენ. ჩვენ ვცდილობთ, იქიდან გამოვარჩიოთ ხელოვნებისა და ლიტერატურის რაც შეიძლება საუკეთესო ნაწარმოებები, თვალყურს ვადევნებთ მეცნიერებას. ერთი სიტყვით, ვითვისებთ მხოლოდ იმას, რაც შეიძლება გამოვიყენოთ ცხოვრებასა და ყოფაში. ბ-ნ ლორენცს რომ ღრმად ჩაეხედა ხალხის ყოფით მხარეში, გაიგებდა, რომ ამ ხალხს, რომელსაც იგი ასე ზიზღით მოეპყრო, აქვს ბრწყინვალე ისტორიული წარსული, რომ ქართველები რაინდები არიან, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებში, რომ ისინი ხმალშემართულნი იდგნენ კავკასიის კარიბჭესთან თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში არა იმისათვის, რომ შეჭრილიყვნენ სხვის ქვეყნებში და გაეძარცვათ მათი სიმდიდრე, არამედ იმისათვის, რომ დაეცვათ სამშობლო, ქრისტიანული კულტურა და სამოქალაქო ცხოვრება; გაიგებდა აგრეთვე, რომ ქართველებს აქვთ მსოფლიო მნიშვნელობის უმდიდრესი ძველი ეპიკური ლიტერატურა; გაიგებდა, რომ ქართველი მეფეებისა და ხალხის იერარქიაში გვხვდება გენიალური სიბრძნისა და არაჩვეულებრივი გმრობის ადამიანთა სახელები და ა.შ. შეიძლება კიდევ ბევრი რამ თქმულიყო, მაგრამ ამ ხალხის წარსულის ოქროს ფურცლები, ერის ცრემლითა და სისხლით ნაპკურები, შეუძლებელია გადმოიცეს საგაზეთო წერილში“ (ო.

ჭურღულია, 1983: 93-94).

ცხადია გიორგი მიხეილის ძე, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი, რომელიც რამდენიმე ევროპულ ენას ფლობდა (ლათინური, ფრანგული, ინგლისური, გერმანული, აგრეთვე რუსული) თავად დასავლეთის კულტურისა და უმაღლესი ცივილიზაციის მატარებელი იყო. მაგრამ იგი პირმოთნეობასა და მონურ თაყვანისცემას ევროპისადმი გამორიცხავდა, ვინაიდან, როგორც განათლებულმა პიროვნებამ, ივერიელმა როგორც თავის თავს წარადგენდა, იცოდა თავისი აფხაზური (ლექსებს აფხაზურად და ქართულად წერდა) და საკუთარი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის ფასი. მას მიაჩნდა (რის შესახებაც 1917 წ. საგანგებოდ წერდა გაზეთ „საქართველოში“), „იღბალის უკუღმართობას რომ ხელი არ შეეშალა, ევროპის წინათაც ვიქნებოდით ჩვენ დღეს; ვინაიდან, როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნებას ქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, შუბებით ხელში ნადირობდნენ ტყეებში“.

ზემოთ მოყვანილ ამ წერილს, ისევე როგორც გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძის სხვა სტატიებს, ო. ჭურღულია სავსებით სამართლიანად, 60-იანელების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და მის მოთავეებს _ ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, ნ. ნიკოლაძის, ს. მესხისა და სხვათა ძალისხმევასა და შემოქმედებას უკავშირებს და ადრებს, ვისთანაც იგი თანამშრომლობდა, როგორც ილიას „ივერიის“ თანამშრომელიც.

მკვლევარი, პარალელს ავლებს ილიას გახმაურებულ წერილებთან „კატკოვის პასუხად“ (1880), „ბ-ნ იანკოვსკის წერილის გამო“ (1881), „აი ისტორია“ (1889), „ქვათა ლალადი“ (1889), სადაც მან რუს შოვინისტებს საკადრისი პასუხი გასცა. ა. ფურცელაძემ, გ. შარვაშიძის ამ მიმართვას ჩვენი ბედკრული ქვეყნის ერთგული და გულით მოყვარული პირის წერილი უწოდა. მანვე მისდამი მიწერილ ბარათში იმედი გამოთქვა, რომ მისი ეს ნააზრევი გერმანელთა შეგნებული ხალხის ყურამდე მიაღწევს და აცნობებს, რომ „რა ხშირია თვით უგანათლებულეს

ხალხშიც ათასი შარლატანები და რა ხშირია, რომ ამ შარლატანებს უსმენენ განათლებულნი ერნი“ (1911 წ. 7 VII) (ო. ჭურღულია, 1983: 95).

როგორც ვხედავთ, იმდროინდელი მონინავე და განათლებული საქართველოს საზოგადოება შეურიგებელი იყო როგორც რუსეთის კოლონიური პოლიტიკის, ისე დასავლეთის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც თავს უფლებას აძლევდა ზემოდან ეყურებინა ქართულ საზოგადოებისთვის და არაფრად ჩაეგდო მისი მდიდარი წარსული და კულტურა. ამიტომაც ქართველმა 60-იანელებმა სწორი გზა აირჩიეს და ილიამაც ლელთლუნის სიტყვებით განაცხადა: „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნე“, რაც საკუთარ ძალებზე დაყრდნობასა და სხვის ხელში ყურებას გამორიცხავდა. ეს ნიშნავდა იმ ინიციატივასა და ეკონომიკურად წელში გამართვას, ეროვნულ იდეოლოგიასა და გამოცდილების გათვალისწინებას, საქართველომ საუკუნეების განმავლობაში რომ დააგროვა და რამაც საქართველო დღემდე მოიყვანა.

ამ პრინციპებისა და იდეის პრაქტიკულ ხორცშესხმაში (დიმიტრის წერილებიდანაც გამოსჭვივის) გიორგი და დიმიტრი შარვაშიძეებიც არიან ჩართულნი. ეს ჩანს იმ კონტაქტებიდანაც, 60-იანელებმა საქართველოში, რუსეთსა და ევროპაში მყოფ ქართველებთან რომ დაამყარეს. ამ მხრივ, უმნიშვნელოვანესია დიმიტრი შარვაშიძის წერილების ფურცლებზე აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა წინამძღოლის კოტე აფხაზის გამოჩენა, რაც ახალი ფაქტებით ამდიდრებს ამ პერიოდის საქართველოს საზოგადოების ისტორიას. როგორც ირკვევა, კოტე აფხაზს ინტენსიური და საქმიანი მიმონერა ჰქონია რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეში სამსახურში მყოფ საქართველოდან წასულ თავადაზნაურობასთან, მათ შორის მამა-შვილ შარვაშიძეებთანაც, რაც მათი ბიოგრაფიის აქამდე უცნობი ფაქტებია. ამ კონტაქტების მიზანს მატერიალური ბაზის შექმნა წარმოადგენდა, რაზეც ილია ლაპარაკობდა, იმ საერთო დიდი ეროვნული საქმისთვის, რაც მომავლის პერსპექტივებზე იყო გათვლილი და საქართველოს დამოუკიდებლობით აღსრულდება და დიდი

იქნება კოტე აფხაზის ღვანლი და დამსახურება, რომელიც ამ იდეას შეეწირება.

გიორგი და დიმიტრი შარვაშიძეები, რაც ასევე მნიშვნელოვანია, დაკავშირებული იყვნენ 1914 წ. 14 ივნისს თბილისში გახსნილ აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა საგანგებო კრებასთანაც, რაც უაღრესად საინტერესო ფაქტია. ამ კრებაზე, სხვადასხვა საკითხთან ერთად განიხილებოდა კახეთის რკინიგზის მდგომარეობა, საერთო საქმეებისთვის საერთო საფინანსო ფონდის დაარსება, რაც მთავარია, მიწების შექმნა თბილისში, თბილისის მახრასა და ბაქოს გუბერნიაში. ეს არის საზოგადოების ამ ნაწილის მიწის პოლიტიკის დადასტურებაც. სწორედ ამ წელს და ამ კრების წინ, კოტე აფხაზს ინტენსიური მიმოწერა აქვს გიორგი და დიმიტრი შარვაშიძეებთან ბაქოს ნავთობით მდიდარი მიწის სარეწების შექმნისა და გადანაწილების თაობაზე.

დიმიტრის დედისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, რომ იგი ამ საქმესთან დაკავშირებით კოტე აფხაზს ბაქოში უნდა შეხვედეს, სადაც თავის გაცილებით დიდი მოგების მქონე მიწის ნაკვეთს, მამასთან მოთათბირების შემდეგ, საერთო, საზოგადო და საქართველოს ინტერესებისთვის დათმობს. ამასთან დაკავშირებით და კოტე აფხაზთან მიმოწერის თაობაზე, დიმიტრი მასთან ბაქოში შეხვედრის წინ, დედას ამცნობს: „ვჩქარობ გაცნობო, რომ მივიღე ძალიან თბილი და შეიძლება ითქვას აღფრთოვანებული წერილი თავად კოტე აფხაზისგან. ასევე კოპიო და პროტოკოლი თავადაზნაურთა წინამძღოლთა და დელეგატების თავყრილობისა, სადაც მიწის ნაკვეთების გადანაწილების მათეული გეგმაა წარმოდგენილი. საჭიროა მხოლოდ ხელშეკრულების დადება, რის გამოც 15-20 თებერვალს თავად აფხაზთან მომინევს შეხვედრა... პროტოკოლის დასკვნაში კრება თავადაზნაურთა სახელით უდიდეს მადლიერებას გამოხატავს ჩემი „კეთილშობილური გრძნობებისა და გულითადი დამოკიდებულების გამო ქართველი თავადაზნაურობისადმი, მისი დიდი მიზნებისა და ინტერესების კეთილშობილური გაგებისთვის“. „მე ამ ერთი

ფრაზით, მიუხედავად მატერიალური ზარალისა, – აღნიშნავს დიმიტრი, ჭეშმარიტად დაჯილდოებული ვარ“ (1914 წ. 15 იანვარი). დედისადმი გაგაზავნილი ამ წერილის შემდეგ იგი ამ მასალას მაშინვე მამას პეტერბურგში გადაუგზავნის.

რამდენად მრავალმხრივი და მასშტაბური იყო ეს მუშაობა ჩანს იქიდანაც, რომ ქართველების ბაქოში გააქტიურების ფონზე ვ. დუმბაძე, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი იყო, აქვეყნებს ნაშრომს ბაქოს ნავთობის მნიშვნელობაზე.

თუ როგორ გამოიყენა ქართულმა თავადაზნაურობამ საერთო ქონება, ქართული მეცნიერებისა და განათლებული საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. სწორედ კოტე აფხაზის მეთაურობით (რომლის როლი ასევე დიდია თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში), თავადაზნაურობის მილიონობით უძრავ-მოძრავი კოლექტიური ქონების მემკვიდრედ (8 მილიარდი ფრანკი) აღიარებულ იქნა ქართველი ხალხი და მთელი ეს ქონება გადაეცა ორგანოს, რომელმაც 1918 წ. 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. თანამედროვეთა შეფასებით (რ. გაბაშვილი, თ. პაპავა და სხვ.) სწორედ ამ ქმედებამ ჩაუყარა საძირკველი ქვეყნის დამოუკიდებლობას (კოტე აფხაზის წინაპრები XVII საუკუნეში, აფხაზეთიდან კახეთში გადმოსახლებულან, სადაც მათ აფხაზს უწოდებდნენ, რაც გარკვეული პერიოდიდან გვარად გადაიქცა. თავად კოტე აფხაზისა და თანამედროვეთა აღიარებით, იგი შარვაშიძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდა). ამიტომაც, ამ შემთხვევაშიც ბათილდება საბჭოთა ისტორიოგრაფიის ბრალდება გიორგი შარვაშიძისადმი, როგორც იმპერიის ნებიერ დიდმოხელეზე. პირიქით, ზემოთ აღნიშნული ფაქტი მთავარი გასაღებია არა მხოლოდ მისი ბიოგრაფიისათვის, არამედ რუსეთში მოღვაწე ქართული ლობის, მისი მიზნებისა და ამოცანების ისტორიისათვის, რაც სხვადასხვა გზებითა და ტაქტიკით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას უკავშირდებოდა. ასე რომ, აღნიშნული ცნობები ახალ შტრიხებს მატებს გ. შარვაშიძის ბიოგრაფიას, აფხაზეთისა და ზოგადად

ქართული თავადაზნაურობის ისტორიას, რის გამოც მისი ვაჟის, დიმიტრის, წერილებიდანაც ჩანს, რამდენად მიზანმიმართულად მოქმედებდა და ემზადებოდა თავადაზნაურობა დამოუკიდებლობისთვის. მადლიერმა ქართველმა ხალხმა არზაყან (მელიტონ) ემხვარს სულ ახლახანს თბილისში ძეგლი დაუდგა და ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი უწოდა.

თავადაზნაურთა ამ ნაწილის სამშობლოს სიყვარულსა და პატიოსნებაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტიც: იმ უზარმაზარი თანხებიდან, მათ ხელში რომ გადიოდა (ამ დროს მათი უმრავლესობა მცირე შეძლებისა იყო), პირადი საქმეებისთვის არავის არასდროს ერთი კაპიკიც არ აუღია. მაგრამ დიმიტრი იმ ძალებსა და იმ ქართველებზეც მიანიშნებს, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ასევე მიზანმიმართულად და, რაც მთავარია, ორგანიზებულად, უკვე პარტიულ დონეზე მოქმედებდნენ. ეს ბრძოლები, როგორც დ. შარვაშიძე გვიჩვენებს, რუსეთის სხვასდასხვა დუმის მოწვევის დონეზეც გრძელდებოდა. იგი გვიჩვენებს შექმნილ ისტორიულ ვითარებას, მაგალითად, 1905 და 1917 წლების რევოლუციების გამოყენებას ეროვნული სულისკვეთების ქართველები თუ როგორ ცდილობდნენ საკუთარი ქვეყნის ინტერესებისა და კოლონიური ჩაგვრისგან გასათავისუფლებლად.

ამ დროს ქართული რევოლუციური პარტიები სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და მსოფლიო რევოლუციისთვის ირჯებოდნენ. ეს ის დაპირისპირებაა (თანაც ვიწრო პარტიული კუთხით ქვეყნისადმი მიდგომისა), რომელიც საქართველოს მთელი XX საუკუნის მანძილზე გაჰვება, გადავა XXI საუკუნეში და მისი არაერთი კატასტროფისა და ტერიტორიების დაკარგვის მიზეზი გახდება. ამ მხრივაც შეიძლება ითქვას, რომ დიმიტრი შარვაშიძის წერილები დღესაც მნიშვნელოვანია და აქტუალური.

დ. შარვაშიძე ქართული საქმისთვის საერო და საეკლესიო პირთა ერთობლივ მოქმედებასაც აღწერს. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მომხრე, იგი ამხელს რუსული ეკლესიის მიერ

ქართული ეკლესიების ძარცვა-გლეჯის ფაქტებს, განძეულის რუსეთში გატანასა და სხვ. დ. შარვაშიძის წერილები ამ კუთხითაც დამატებით შტრიხებს ჰმატებს გიორგი შარვაშიძის ბიოგრაფიას, ვინაიდან ამ საკითხისადმი მის კრიტიკულ პოზიციას აღსტურებს. აღსანიშნავია, რომ თავად დიმიტრი, ვიტებსკის ვიცე-გუბერნატორად დანიშნული, საქართველოს მომავალ კათოლიკოს-პატრიარქ – ეპისკოპოსს კირიონს (1916 წ. 14 ნოემბრის წერილის თანახმად) მაშინ ხვდება, როდესაც იგი საქართველოდან ვიტებსკშია გადასახლებული ავტოკეფალიის მოთხოვნის გამო და ფაქტობრივად დევნილია.

შალვა ნუცუბიძის მეუღლის, ქალბატონ ქეთევან კლიმი-აშვილისგან პირად საუბარში მომისმენია, რომ პეტერბურგში ყოფნისას გიორგი შარვაშიძე აფინანსებდა იქ მყოფ იმ სტუდენტებს, რომლებიც კირიონს ავტოკეფალიისთვის საჭირო მასალების შეგროვებაში ეხმარებოდნენ. მათ შორის შალვა ნუცუბიძეც ყოფილა, რომელიც გიორგის ახასიათებდა როგორც დიდ პოლიტიკურ ფიგურასა და მოღვაწეს. მას აგრეთვე მთელი ცხოვრების მანძილზე ახსოვდა ის დახმარება და ზრუნვა, რასაც გ. შარვაშიძე პეტერბურგში ჩასული ქართველების მიმართ იჩენდა, სწავლაში ხელის გამართვისა თუ საარსებო სამსახურით უზრუნველყოფაში. მასა და ქართველ სტუდენტებს შორის შუამავალი, როგორც ერთ თავის წერილში დიმიტრიც აღნიშნავს, გ. შარვაშიძის მდივანი ეკატერინე მასხულია ყოფილა. გ. შარვაშიძის დახმარების წყალობით, შ. ნუცუბიძეს არა მხოლოდ თავი გაჰქონდა, არამედ სოფელში მოხუც მშობლებსაც ინახავდა.

კირიონის ქველმოქმედებაც კარგად იყო ცნობილი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ახალგაზრდობის სწავლა-განათლებას უთმობდა. მისი ხარჯით რამდენიმე ქართველი სტუდენტი პეტერბურგსა და ევროპაში გაიგზავნა, მათ შორის კორნელი კეკელიძეც იყო. კირიონმა, ქართული კულტურის დიდმა პროპაგანდისტმა და ივერიის ეკლესიის მკვლევარმა, პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ხელი შეუწყო აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის დაარსებას, სადაც ქართული ეკლესი-

ის ისტორიაც ისწავლებოდა.

ქართველი საერო პირები, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ ქართული ეკლესიის მესვეურებთან, პარალელურად ავტონომიისთვის იბრძოდნენ. ეს გამოჩნდა 1905-1907 და 1917 წწ. რევოლუციების დროსაც, როდესაც საამისოდ ხელსაყრელი პირობები შეიქმნა.

1905 წ. თბილისში მონვეული სასულიერო კრება, რომელიც მიუხედავად რუსეთის ეკლესიის გააფთრებული წინააღმდეგობისა და რეპრესიებისა, მაინც შედგა, ავტოკეფალიის საკითხს სვამს. მას მხარს დაუჭერენ ილია, ივ. ჯავახიშვილი, ალ. ცაგარელი, ნ. მარი, თ. ჟორდანიას, ალ. ხახანაშვილი და სხვ. ამ პოზიციაზე იდგა გ. შარვაშიძეც. მიუხედავად მრავალგზისი მცდელობისა, დაძაბულობა ქართულ და რუსულ ეკლესიებს შორის იზრდებოდა, რაც კიდევ უფრო გაამძაფრა 1908 წ. საქართველოს ეგზარქოსის ნიკონის დღემდე გაუხსნელმა და ბუნდოვანებით მოცულმა მკვლევობამ. ამ ფაქტმა, და ეს დიმიტრის წერილებიდანაც ჩანს, დიდი მითქმა-მოთქმა და საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, მათ შორის გიორგი და დიმიტრი შარვაშიძეების, რომლებიც ყოველგვარ ძალადობასა და ტერორს გამოზღვევენ. მაგრამ თავიდანვე ეჭვი გაჩნდა, რომ მკვლევობა ავტონომიის მომხრეთა დისკრედიტაციის გამო მოხდა, ვინაიდან ხელი მაშინვე მათკენ გაიშვირეს.

ახალი ეგზარქოსი პიტირიმი, რომელიც ქართულ საზოგადოებას დაუახლოვდა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მომხრედაც მოჰქონდა თავი, აკაკი წერეთლის დაკრძალვაზეც ქართველების გულის მოსაგები სიტყვით გამოვიდა. მაგრამ მას დიმიტრი ფრთხილად უყურებს, როგორც თავის დროზე ალექსანდრე ორბელიანი ვორონცოვის პოლიტიკას, რომელიც საქართველოში მომხდარი აჯანყებებისა და 1832 წლის შეთქმულების შემდეგ, რომელშიც აფხაზეთი თავადაზნაურობაც მონაწილეობდა, რბილ პოლიტიკას ატარებდა, რითაც მიიჩნევა, რომ მათ სიფხიზლეს ადუნებდა. ფაქტობრივად ეს იყო კარგად გამოცდილი კნუტისა და თავლაკვერის პოლიტიკა. ამიტომ დიმიტრი,

რომელიც საზოგადოდ გამოხს რუსეთის ეკლესიის იმპერიულ პოლიტიკას, პიტირიმის პეტერბურგში გადაყვანის შემდეგ, კითხვას სვამს – გააგრძელებს კი იგი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის მხარდაჭერას. მისი ადრინდელი კარიერიდან გამომდინარე, მას შეუძლია თავისი მრწამსის შეცვლა.

თუმცა კიდევ ერთი საინტერესო მომენტიცაა. პიტირიმს, ისევე როგორც კ. ბოროზდინსა და სხვებს, იმპერიის პოლიტიკის გამტარებლებს, იმდენად იზიდავდა საქართველო და მისი საზოგადოება, რომ მაგალითად პიტირიმმა მოხუცებულობის ბოლო წლების საქართველოში გატარება გადაწყვიტა, კიდევაც გზას დაადგა, მაგრამ გზაში, პიატიგორსკში გარდაიცვალა.

ლეონიდე ოქროპირიძემ, კირიონ მეორის შემდგომმა კათალიკოსმა, 1918 წ. 26 აგვისტოს, კირიონის ვერაგული მკვლელობის შემდეგ, აღნიშნა: თავისუფალ ეკლესიას არ შეეფერება მონობაში მყოფი მრევლი. ეს იყო ქართული ეკლესიის, რომელიც ყოველთვის მეზრძოლი ბუნებით გამოირჩეოდა, მონოდება. ამდენად, საქართველოს ეკლესიამ დამოუკიდებლობის მხრივ საერო ხელისუფლებას გაუსწრო, როგორც ეს ადრეც მომხდარა. მნიშვნელოვანია, რომ დიმიტრი შარვაშიძე ავტონომიისთვის ბრძოლას ფართო მასშტაბში – საქართველოს, რუსეთისა და საერთაშორისო მოვლენების შუქზე განიხილავს.

ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, იგი რუსეთის იმპერიის მოსალოდნელი კატასტროფის მიზეზებსაც ეხება, რასაც მომავალი დაადასტურებს. კატასტროფის მიზეზებს იგი იმპერიულ ამბიციებს, კანონის უგულებელყოფას, კორუფციის უზარმაზარ მასშტაბს, სოციალურად საშიშსა და ფეთქებად ვითარებას უკავშირებს, ასევე გლეხებისადმი ცინიკურ დამოკიდებულებას, რომლის ერთ-ერთ მაგალითად მიაჩნია მათი არ დაშვება ბატონყმობისგან გათავისუფლების ორმოცდაათი წლისთავის ზეიმზე და სხვ. გამოსავალს შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან, როგორც ეს ზემოთაც ითქვა, რეფორმებში ხედავს, კანონის უზენაესობაში, განათლების სისტემის რეორგანიზაციაში, საზოგადოებისადმი სამართლიან დამოკიდებულე-

ბაში, რომელიც პირად უნარსა და შესაძლებლობებს უნდა ეფუძნებოდეს და არა წოდებრივ პრივილეგიებს.

მნიშვნელოვანია, რომ დ. შარვაშიძე იმპერიის კავკასიურ პოლიტიკასაც აკრიტიკებს, რაც 60-იანელთა შეხედულებებს ემთხვევა, რომლებიც საამისოდ რუსეთის სახელისუფლებო მაღალ ტრიბუნასაც იყენებდნენ. ეს იყო გიორგი შარვაშიძის პოზიციაც. იგი დაუფარავად აცხადებდა, რომ რუს მოხელეთა არასწორმა და დამამცირებელმა პოლიტიკამ რწმენა და იმედი ჩაუკლა ისტორიულად ისეთ ლოიალურ ხალხსაც კი, როგორიც ქართველი ხალხია, თავისი ნება-სურვილით რომ შეუერთდა რუსეთს. მაგარამ რუსეთის მმართველობის 100 წლის თავზე, ეს ხალხი თავს მოტყუებულად გრძნობს, ეკონომიკურად აობრებულად, პოლიტიკურად დაცემულად. რუსიფიკატორული პოლიტიკით უნადგურდება კულტურა და ზნეობა. ამ არასწორი პოლიტიკის შედეგად, მსოფლიოში უმდიდრესი მხარე ეკონომიკურ სიღატაკეში ცხოვრობს. ხალხი და ხელისუფლება გაუცხოვებულია, კავკასიელები კი ხელოვნურად გამწვავებულ დაპირისპირებაშია (თანამედროვე ტერმინებით ეთნოკონფლიქტებში) ჩართული.

ასეთ მიდგომას გ. შარვაშიძე და მაშინდელი მოაზროვნე საზოგადოება, მათივე სიტყვებით, მმართველობის მოძველებულ სისტემას უკავშირებდნენ. ყურადსაღებია, რომ მსგავს პოლიტიკას რუსეთის ინტერესებისა და მისი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართულადაც მიიჩნევდნენ, რაცა მომავალშიც არაერთხელ დადასტურდება. ფაქტობრივად, ისინი გაბედულად და ღიად ამბობდნენ იმას, რასაც საბჭოთა პერიოდში მხოლოდ დისიდენტები ბედავდნენ.

მაგრამ ამ თავისებური ისტორიის (ილიას სიტყვებიცაა) რუსეთში, რეფორმებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება და შიში ყოველთვის არსებობდა. ისტორიკოსი კარამზინი ყოველგვარ რეფორმას ბოროტებას უწოდებდა. ა. ბენკენდორფი (ნიკოლოზ I-ის ეპოქის მოხელე), მართალია, გლეხობის საკითხს განსაკუთრებით მტკივნეულად მიიჩნევდა და მას დენთით სავსე

კასრს უწოდებდა, სახელმწიფოს ფუნდამენტში ჩადებულს, მაგრამ რეფორმები აშინებდა. ესეც იყო მიზეზი, რის გამოც ს. ვიტეს საგლეხო რეფორმამ თავისი შედეგი არ გამოიღო, უფრო მეტიც მას მემამულეთა ინტერესების გამომხატველი პროექტი დაუპირისპირეს, თანაც, 1905 წ. რევოლუციის წინ.

1905 წ. 17 ოქტომბრის ცნობილი მანიფესტი (რომელიც გარკვეულ დემოკრატიულ გარდაქმნებს გულისხმობდა) პრემიერ-მინისტრმა ს. ვიტემ ნიკოლოზ II-ს ზეწოლით მიაღებინა. მან თან იმპერატორის საყვარელი ბიძა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე წაიყვანა, რომელმაც რევოლუციური ამოიღო და დაიმუქრა, თუ კი იმპერატორი უარს იტყოდა ამ მანიფესტზე, თავს მოიკლავდა. აი, ასე იქმნებოდა რუსეთის ისტორია, რომლის ხელისუფლებასაც გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი ვ. კლუჩევსკი ყველაზე დიდ პროვოკატორს უწოდებდა.

პრემიერ-მინისტრი ს. ვიტეც, პროგრესული პიროვნება, სწორედ როგორც რეფორმატორი, ჩამოაშორეს სახელმწიფო მართვას. ამიტომაც მისი გარდაცვალება, როგორც ამას თავად ნიკოლოზ II იტყვის, მისთვის ნამდვილი შვება აღმოჩნდება.

1905 წ. დეკემბერში, რევოლუციასთან დაკავშირებით, რომლის აცილებაც შეიძლებოდა, ს. ვიტემ აღნიშნა: შეიძლება ბევრი სისხელი დაღვარო, მაგრამ ამ სისხლში შენც ჩაიხრჩო, უბრალოდ უცოდველი მემკვიდრე იქნება ცოდო და, ღმერთმა არ ქნას, ამას მოვესწრო. მის ამ პროგნოზს ვიტე არა, მაგრამ სხვები მოესწრებიან. თავის ცნობილ დღიურს კი, რომლის ხელში ჩაგდებაც ნიკოლოზ II-ს მის გასანადგურებლად უნდოდა, ს. ვიტე გადაარჩენს. მას ის პარიზის ბანკში ჰქონდა შენახული და დაცული. დღეს ვიტეს დღიური (მისი ორივე მცირე და სრული ვარიანტი) გამოქვეყნებულია და ყველასთვის ხელმისაწვდომია.

დღიური შარვაშიძე თავის წერილებში ს. ვიტეს (ბალტიისპირელ გერმანელს), რომელიც სხვათა შორის თბილისში დაბადებული და გაზრდილი იყო და პოლიტიკოსისთვის აუცილებელი ალლოთი დაჯილდოებული, როგორც მათი ოჯახის ახლობელსაც, ისე მოიხსენიებს. მით უმეტეს, რომ ს. ვიტე და გ.

შარვაშიძე პოლიტიკაში თანამოაზრენი იყვნენ და რეფორმების მხარდამჭერნი, რასაც იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნაც იზიარებდა.

ცნობილია, რომ მარია ფეოდოროვნა ყველანაირად ცდილობდა დაერწმუნებინა თავისი შვილი, ნიკოლოზ II, აღეკვეთა ფინეთის გენერალ-გუბერნატორ ნ. ბობრიკოვის უხეში და სადამსჯელო მეთოდები ფინელი ხალხის მიმართ, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, რევოლუციას ექნებოდა ადგილი. მაგრამ რუსულ პოლიტიკაში კვლავ ბობრიკოვები აღმოჩნდებიან გამარჯვებულები, ყველაზე გახრწნილი ჩინოვნიკები, რაზეც ზოგიერთი რუსი ისტორიკოსი და მოაზროვნე ამდენს წერდა და რის თაობაზეც გიორგი და დიმიტრი შარვაშიძეების კავკასიის მიმართაც მათ დამლუპველ როლზე საგანგებოდ ლაპარაკობდნენ. ამ პრობლემას დიმიტრი იმ კონტექსტში ანალიზებს, რომელიც ეხება საქართველოს ავტონომიას და შეეხო ფინეთსაც, რომლის მიმართ მიდგომასაც დიმიტრი ღორულს უწოდებს. ამიტომაც არ არის გასაკვირი ს. ვიტეს ცნობილ პროექტს, რომელიც მან საქართველოსთან დაკავშირებული ისტორიული უსამართლობის აღმოსაფხვრელად 1905 წ. პირველ სახელმწიფო სათათბიროში შეიტანა, მომავალი არ ექნება. დაითხოვენ სათათბიროს, ს. ვიტეს კი პრემიერ-მინისტრობიდან გაათავისუფლებენ. თანამედროვეთა ცნობით, მაშინ ამ სათათბიროში ბევრი იყო აღნიშნული პროექტის მომხრე (ლედნიცკი, კუზმინ-კარავაევი და სხვ.), საგანგებო ბიუროც დაარსეს, სადაც ილიაც მიიწვიეს.

ცხადია დიდი მიხვედრა არ უნდა, ს. ვიტეს ამ ინიციატივის უკან გ. შარვაშიძე რომ დავინახოთ. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი მომენტიც მხედველობაში მისაღები. გ. შარვაშიძის მეგობრის – ილიას გააქტიურება ემთხვევა ს. ვიტეს ამ ნაბიჯს, როდესაც პოლიტიკაში ფრთხილი და წინდახედული ილია 1905 წ. 6 მარტს, თავადაზნაურთა საკრებულოს თათბირზე სვამს ავტონომიის საკითხს. მანვე ისეთი პარტიის ჩამოყალიბება დაგეგმა, რომელიც ქვეყნის სუვერენიტეტს დაისახავდა

მიზნად. კრებამ თითქმის ერთდროულად მიიღო ავტონომიის რეზოლუცია და პეტერბურგში გაგზავნა. მოვლენათა ეს ჯაჭვი 1906 წ. ილიას სახელმწიფო საბჭოს წევრობით გვირგვინდება, რაშიც გ. შარვაშიძის ინიციატივას ხედავენ. მალე საქართველოს საკითხი საერთაშორისო დონეზეც (თანაც დასავლეთში პირველად) 1907 წ. ჰააგის II კონფერენციაზე იქნება გატანილი, რომლის მიზანსაც სახელმწიფოთა აგრესიულ მისწრაფებების შეზღუდვა წარმოადგენდა.

წარდგენილი პეტიცია რუსეთის მხრიდან 1783 წ. ტრაქტატის პირობების დარღვევას ეხებოდა, რამაც საქართველოს უავისუფლების საკითხი დაისვა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შემეგი ფაქტიც. აღნიშნული პეტიცია ჰააგაში რევოლუციის აღსაკვეთი ფართო და მასშტაბიანი რეპრესიების დროს იქნა გაგზავნილი, მაგრამ ქართველებს ამის გამო უკან არ დაუხვევიათ, რაც მთავარია, მას უამრავი, სხვადასხვა ფენის წარმომადგენელი აწერდა ხელს. მაგრამ ქართველების ეს ნაწილი, როგორც უკვე ითქვა, თუ კი სახელმწიფო დუმის დონეზეც ავტონომიისთვის იბრძოდა. ე. წ. რევოლუციური პარტიები ლოზუნგით – ძირს ავტონომია, მათ ამავე დუმაშიც ებრძოდნენ, რასაც დ. შარვაშიძეც აღნიშნავს. საინტერესოა, რომ ავტონომიის აღდგენას ისინი დემაგოგიურად ბატონყმობის აღდგენას უკავშირებდნენ, რის გამოც გურიაში გლეხოზა ააჯანყეს.

ეს ორთაბრძოლა ილიას მკვლევლობით დასრულდა, ვისაც ნოე ჟორდანიას („პატარა მარქსი,“ როგორც მას საქართველოში უწოდებდნენ), ბნელეთის მოციქულად მოიხსენიებდა. ასე მიმართავდა იგი პიროვნებას, რომელიც ქართველ ერს ერთიანობისა და წოდებრივი თანამშრომლობისკენ მოუწოდებდა, ქვეყნის შიგნიდან აფეთქებას კი კატასტროფულად მიიჩნევდა. ეს ორი პოზიცია, XX საუკუნის მთელ მანძილზე იარსებებს, ერთი მშვიდობიანი და მეორე – ძალისმიერი მეთოდებით. პირველი დევნილი, მეორე კი იმპერიისა და გარეშე ძალებისაგან წახალისებული და მხარდაჭერილი.

ამის თაობაზე ჯერ კიდევ XX ს-ის დასაწყისში ლაპარაკობდა რევან გაბაშვილი, ეროვნული მოღვაწე (ეკატერინე გაბაშვილის ვაჟი), ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი. იგი წერდა, რომ „რუსეთის მთავრობა“ და ქართული „დემოკრატია“ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მათთან ბრძოლაში. მისივე სიტყვებით, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეთაურობითა და მხარდაჭერით კი, ეს ქართველები იქცეოდნენ არა სამშობლოს ინტერესებით, არამედ შემოსეულ მტერივით. ისინი ხალხის ყოველგვარ ინიციატივას ახშობდნენ (ეკონომიკურსა და სხვ.), ისევე როგორც პროფესიონალიზმს. ასე იქცეოდნენ 1918-1921 წწ-ში, დამოუკიდებელ საქართველოშიც, რისთვისაც მათ არ უბრძოლიათ და თავსდატეხილი მოულოდნელი დამოუკიდებლობა ძალიან განიცადეს. როგორც რ. გაბაშვილი იგონებს, რკინიგზა კარგ გინეკოლოგს ჩააბარეს, ჯარი უვარგის ექიმს, მაშინ, როდესაც საქართველოს ბრწყინვალე ოფიცრობა და სამხედრო საქმის სპეციალისტები ჰყავდა, რომლებიც კლასობრივი ნიშნით გამიჯნეს. სწორედ ასეთი „საფსიქიატრო სამხედრო“ მინისტრის დროს საქართველოს თავს დაესხნენ მათი ძმები, ასე უწოდებდნენ ბოლშევიკებს (რ. გაბაშვილი, 1992: 117).

დ. შარვაშიძეც აღნიშნავს, რომ რუსეთსა და საქართველოში, დემოკრატიისა და თავისფულების ლოზუნგებს ამოფარებულები (ორივე რევოლუციის დროს) ქვეყანასა და ხალხს ძარცვავდნენ, სახლებში უვარდებოდნენ და აცარიელებდნენ. მამულიშვილობა კი, მათთვის მასხარად ასაგდები დემოკრატიის სანინააღმდეგო ბოროტება იყო (რ. გაბაშვილი, 1992: 117). დიმიტრი შარვაშიძის მიერ XX საუკუნის დასწყისში აღწერილი ასეთი დემოკრატია და მასთან დაკავშირებული ძარცვა-გლეჯა, რომლის მსხვერპლიც თავადაც გახდება, ასევე ძალიან ნაცნობი გახდება უკვე XX საუკუნის ბოლოს საქართველოს სხვა თაობისთვის.

მაშინ კი, 1912 წელს, III სახელმწიფო სათათბიროში, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, ლამის ჯვარს აცვეს ვარლამ გე-

ლოვანი, რომელმაც საქართველოს ავტონომიის საკითხი დასვა. იგი იყო შვილიშვილი ცნობილი საზოგადო მოღვაწის, გრიგოლ შარვაშიძისა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრისა და აღნიშული ფილიალის ხელმძღვანელისა აფხაზეთში, რომელიც ბრწყინვალედ ფლობდა აფხაზურსა და ქართულ ენებს და ორივე ენაზე დიდი სიყვარულით ზრუნავდა. ასე რომ, ვ. გელოვანის პოზიცია სრულიად საქართველოსა და აფხაზეთის გამოძახილიც იყო, რომელსაც აფხაზებისა და ქართველების მტრები გააფთრებით ებრძოდნენ და XX საუკუნის ბოლოს ორივეზე შურს იძიებენ და სასტიკად გაუსწორდებიან.

1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როგორც კი კვლავ ისტორიული შანსი გაჩნდა, ამავე წლის 5 მარტს, თავადაზნაურთა საგანგებო კომისიამ წერილით მიმართა IV სახელმწიფო სათათბიროს, სადაც გამოთქმული იყო რწმენა, რომ რუსეთის ხელისუფლება „აწი მაინც ხელს შეუწყობდა ქართველ ხალხს პოლიტიკური ავტონომიის საფუძველზე თავისი ნაციონალური ინტერესების განხორციელებაში“. ამავე დროს, მასში ახსნილი იყო რუსეთის მიმართ ქართველი ხალხის გაუცხოვების მიზეზები, რომ მის მიერ ქართული სახელმწიფოს დამხობის შემდეგ, იმპერიისგან ისე არავინ დატანჯულა, როგორც ქართველი ხალხი, რომელიც კავკასიაში 100 წლის განმავლობაში მწვავედ განიცდიდა იმპერიულ ძალმომრეობას.

აღნიშნულ სათათბიროს არჩევნებს დ. შარვაშიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შემდეგი მიზეზის გამო, საიდანაც ჩანს ისიც, თუ რა ძალებს არ აწყობდათ ქართველ-აფხაზთა ერთობა და მათ რა ზრახვები ამოძრავებდათ.

დ. შარვაშიძის დღიურის ფურცლებიდან ჩანს, რომ არაქართველები, განსაკუთრებით კი სომხები და მათი მფარველი მეფისნაცვალის სოციალისტური პარტიების საქართველოში გაპარპაშებით იყვნენ დაინტერესებულნი. დიმიტრი თავის წერილებში იმ მეთოდებზეც ლაპარაკობს, რითაც ეს სოციალისტური იდეებითა და დემოკრატიის ლოზუნგებით აღჭურვილი

ძალები – დემოკრატები, ანუ ნაძირალები, როგორც იგი მათ უწოდებს, მოქმედებდნენ. შედეგად ისინი არა თანამემამულეების, არამედ ძირითადად სომხების ზურგით გავლენ IV სახელმწიფო სათათბიროში. ამის გამო დიმიტრის განსაკუთრებით კ. ჩხეიძე სძულს. ეს თითქოსდა სოციალისტი, ირონიით აღნიშნავს იგი, სომეხი მილიონერების ხმებით გაძვრა სახელმწიფო დუმაში, ასე რომ, ინტერნაციონალისტ კ. ჩხეიძეს სომეხმა ნაციონალისტებმა დაუჭირეს მხარი. სამაგიეროდ რუსეთის სათათბიროში სომხებმა მხოლოდ თავისი ნაციონალისტები გაიყვანეს. ასეთ ტანდემს შალვა ამირეჯიბმა „ქართველ-სომეხთა სოლიდარობა და სრულიად საქართველოს დურაკები უწოდა“.

სხვათა შორის, სომხების ხმებით გასულ კარლო ჩხეიძესთან, დიდი ავტორიტეტისა და საერთაშორისო სახელის მქონე იურისტი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილიც დამარცხდა, მხოლოდ ქართველებმა რომ მისცეს ხმა და ორი ხმა დააკლდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კ. ჩხეიძე პეტერბურგშიც იყრიდა კენჭს და იქ გასვლის შემთხვევაში თავის ხმებს ხატისოვს უთმობდა, ქალაქ თბილისის თავს, რომლის უკანაც სომხური დაშნაკცუტუნი იდგა. ცნობილია, რომ ეს არის დიდ სომხეთზე მეოცნებე პარტია, თანაც საქართველოს ტერიტორიების ხარჯზეც, რისთვისაც ჯერ კიდევ მაშინ ყალბ რუკებს ადგენდნენ და მთელ მსოფლიოში ავრცელებდნენ. მაშინაც ასე აქტუალური ეს პრობლემები მამა-შვილ გიორგი და დიმიტრი შერვაშიძეებს შორისაც განიხილებოდა. ეს დიმიტრის ერთი წერილიდან ჩანს, რომლის თანახმადაც, გიორგი დიმიტრის ეუბნება, რუს სოციალ-დემოკრატებს ქართველი სოციალ-დემოკრატები მაინც ჯობიანო და ეს კიდევ ის უარესი არ არის, რაც შეიძლება თავს დაგვატყდეს. ეს უარესი მართლაც დაატყდებათ ბოლშევიზმის სახით. კიდევ ერთი ნაცნობი თემაა, რაც იმაზე მიუთითებს, როგორ მეორდება ისტორია ერთი და იმავე ძალების ხელში და XX საუკუნის მთელ მანძილზე დღეს ყველასთვის ნაცნობი თემა. III სახელმწიფო სათათბიროში ე. გეგეჭკორმა, ებრაელთა ხმების მოსაპოვებლად, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა მათ

დევნა-შევიწროებაში დაადანაშაულა (მიუხედავად დუმისადმი უარყოფითი დამოკიდებულებისა, რომელიც არ ასახავდა რუსეთის იმპერიისა და მისი განაპირა რაიონების ინტერესებს, მისი გარეკვა დ. შარვაშიძეს კანონის უხემ დარღვევად მიაჩნდა, რაც რუსეთს ვერ გაიყვანდა სიმართლის გზაზე. მას დიდ ნაკლად მიაჩნდა ისიც, რომ რუსეთის იმპერიის ხელისუფლება არანაირ ყურადღებას არ უთმობდა სოციალურად საშიშ, ფეთქებად ვითარებას, რაც საფრთხეს უქმნიდა თავად ხელისუფლებას).

დ. შარვაშიძის მიერ ამ ძალების კრიტიკა, რაც ხელისუფლებისთვის ყველაფრის მკადრებლობას გულისხმობდა (სიცრუეს, ხმების გაყალბებასა და სხვ.) ემთხვევა მისი თანადროული ქართული პროგრესული, ეროვნული და ჰუმანური საზოგადოების აზრს.

ამ საზოგადოებისთვის ინტერნაციონალიზმის ქადაგება იმპერიისგან ისედაც დაუძღურებულ, მცირემინიან ქვეყანაში, სადაც კოლონიზაციის პროცესები შორს იყო წასული და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (აფხაზეთის ჩათვლით) დემოგრაფიული სურათი ხელოვნურად იცვლებოდა, გარედან მხარდაჭერილი ეს პროცესები საშიში იყო. საამისოდ ერთ ფაქტს მოვიყვანთ.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, საქართველოდან პეტროგრაღში გამგზავრების წინ, მეფისნაცვალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვმა (დათა ვაჩანაძისა და სხვების ცნობით), რომელიც ჩოხით დადიოდა, უყვარდა ქართველ თავადებთან ქეიფი და შარვაშიძეთა ხმლით ბრავირებდა, საქართველო სომეხ ხატისიანცსა და „ამხანაგ“ ჟორდანიას ჩააბარა, რუსებზე მეტად ერთიანი იმპერიის სასტიკ დამცველებს (რ. გაბაშვილი, 1992: 115).

ცხადია, მეფისნაცვალის კარგად იყო გარკვეული სომხების როლის თაობაზე და სოციალ-დემოკრატების არსში. ნიშანდობლივია, რომ მისი წინამორბედი ვორონცოვ-დაშკოვი (სომხების ლობისტი) ნიკოლოზ II-ის შეკითხვას, თუ რატომ უჭერდა იგი მხარს ამ პარტიას, პასუხობდა: ეს არის ერთადერთი

პარტია, რომელიც რუსეთის იმპერიის მთლიანობას იცავს და ქართველ თავადაზნაურობაში დამკვიდრებულ ქართულ ნაციონალიზმსა და სეპარატიზმს ებრძვის. სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი სოციალ-დემოკრატიების თავადაზნაურობასთან ბრძოლისა და შემდეგ უკვე ერთ-ერთი მიზეზი ბოლშევიკების მიერ მათი მასობრივი ფიზიკური განადგურების, მათ შორის აფხაზური, საოცარი ჯიშისა და გარეგნობის ბრწყინვალე არისტოკრატიისა.

თავადაზნაურობას ებრძოდნენ მაშინაც, როდესაც წოდებრიობა 1917 წლიდან გაუქმდა და აღარ არსებობდა. სამაგიეროდ, იმ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას გამოუცხადეს ომი, რომელშიც კოტე აფხაზის მონოდებით თავადაზნაურობა, საქართველოს საერთო საქმის კეთების მიზნით, გაერთიანდა (რ. გაბაშვილი, 1992: 114-117. აქ ის უნიათო თავადაზნაურობა არ იგულისხმება, შრომას რომ გაუზრბოდა და მიწებს უცხოელებზე ჰყიდდა, არც ის ინტელიგენცია, რ. გაბაშვილის სიტყვებით, უსაქმო სოციალიზმით რომ ბოდავდა და ნახევარ ინტელიგენცია (ე. ი. რუსეთის სოც.-დემოკრატიული პარტია და მათი მსგავსი პარტიები), გაპროლეტარებას შექენილის ძარცვას, აშენებულის დანგრევას, მიწებისა და პროვინციების გასხვისებას რომ ქადაგებდა).).

ეს არის რუსეთის პოლიტიკის მთავარი შეცდომა, რაც დღემდე გრძელდება, და თავად რუსეთის მრავალი პრობლემის მიზეზია, კავკასიის ჩათვლით. მხედველობაში გვაქვს იმპერიის მიერ კავკასიელთა შორის მისი უარესი ნაწილის გამოვლენა და მასზე დაყრდნობა, როგორც იმპერიული ჩაგვრისა და განადგურების ინსტრუმენტებზე, მაშინ როდესაც ღირსეულსა და სანდო კავკასიას, პოტენციურ პარტნიორს რუსეთი მიზანმიმართულად სპობდა. ამ პოლიტიკამ, თავად რუსეთს ბუმერანგივით რომ უზრუნდება, როგორც რუსეთს, ისე საქართველოს საუკეთესო შვილები დააკარგვინა, საზოგადოების ნალები, რაც ორივე ქვეყანას დღესაც გამოუსწორებელ დაღად აზის.

მარტო ე.წ. „ფილოსოფიური გემი“ რად ღირს, რითაც ეს ქვეყანა მცდარი პოლიტიკისა და რევოლუციების გამო საუკეთესო შვილებმა დატოვეს და ემიგრანტები გახდნენ.

რუსეთს დატოვებს და ემიგრანტი გახდება ი. ბუნინი, რუსი

ნობელიანტი მწერალი (1933 წ.), რომელიც ემიგრაციაში გამოსცემს რევოლუციის შესახებ დაწერილ დღიურს „დანყველილ დღეებს.“ როდესაც ამ დღიურს გავეცანი და მასში აღწერილ კომმარს, ისეთი შეგრძნება მქონდა რომ საქართველოს 90-იან წლებს, სახელმწიფო გადატრიალების შედეგად განვითარებულ მოვლენებზე დაწერილ დღიურს ვკითხულობდი, ვხედავდი მსგავს, ჩემი თვალთ ნანახსა და განცდილ საშინელებებს.

საქართველოში, XX საუკუნის ბოლოს, ეს იყო ბოლშევიზმის ახალი აფეთქება, იმ ფორმითა და სახით, რომელსაც ი. ბუნიჩის მსგავსად მაშინდელი მოვლენების თვითმხილველი დ. შარვაშიძეც აღწერს. ორივე ინტელიგენციის იმ ფრთას ეკუთვნოდა, ვისაც ინტელიგენციის სხვა ნაწილისგან განსხვავებით ესმოდა, რომ ნგრევასა და რევოლუციებს არაფერი სასიკეთო მოჰქონდა.

სხვათა შორის, ბუნიჩმა განიცადა, როდესაც ბოლშევიზმი საქართველოსაც შეეხო. მას რუსეთის რევოლუციების შემდეგ, ევროპის ნებისმიერ ქალაქში ცხოვრებას თბილისში დასახლება და მოღვაწეობა ერჩივნა.

ქართველებისთვის დამოუკიდებლობა იმ იმპერიული მანაქანისგან თავის დაცვაც იყო, რომელიც როგორც დ. შარვაშიძის დღიურიდანაც ჩანს, თავსაც არანაკლებ მტრობდა და მისთვის უმძიმეს დროსაც არ ეშვებოდა აგრესიულ პოლიტიკასა და ქმედებებს. 1905 წელსაც ასე იყო. რუსეთ-იაპონიის ომში რუსეთის დამარცხების მიუხედავად, 1905-1907 წწ. გაფიცვებისა და მანიფესტაციების მიმდინარეობის პირობებშიც, იმპერია საქართველოს კოლონიზაციისა და დემოგრაფიული სურათის შეცვლას აგრძელებდა. სწორედ ამ პერიოდში 45000 რუსს ჩამოასახლებენ, რაც XIX საუკუნეში მიზანმიმართულად დაწყებული პროცესების გაგრძელებას წარმოადგენდა და აფხაზეთსაც ეხებოდა, სადაც ამავე საუკუნის 70-იან წლებში, სოხუმთან, ბერძნული მოსახლეობა ჩაასახლეს. მუჰაჯირობაც (XIX ს. 70-იანი წწ.) მკვიდრი მოსახლეობისგან აფხაზეთის დაცლას ისახავდა მიზნად, რასაც მაშინდელი ქართული საზოგადოება წინ აღუდგა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი 60-იანელები

1905-1907 წწ. რევოლუციას გარკვეული იმედებით შეხვდნენ, სიფხიზლეს არ კარგავდნენ. ამ ცეცხლს მორიდება უნდა, – ამბობდა ილია, რომელსაც გაცნობიერებული ჰქონდა რუსული რევოლუციური ბუნტის სტიქია და მისი დამანგრეველი ძალა, რომელიც ქვას ქვაზე არ დატოვებდა და საქართველოსთვისაც კატასტროფის მომტანი გახდებოდა.

რევოლუციური ძალების მიზნებზე, რომლებიც გარედანაც იმართებოდა და ხელისუფლების ხელში ჩაგდება სურდათ, დ. შარვაშიძე ნიკოლოზ II-ის დამხობამდე გაცილებით ადრე ლაპარაკობდა. ამაზე იგი 1907 წ. 8 ივნისსაც წერდა (როდესაც ქვეყანა კვლავ სახელმწიფო სათათბიროს გარეშე დარჩება), სადაც ბოლო გამოსვლისას ირაკლი წერეთელმა რუსეთის იმპერატატორის ტახტიდან ჩამოგდება და რესპუბლიკის შექმნის იდეა გაახმაურა. მას, წერს დიმიტრი, მხარი 56 დეპუტატმა დაუჭირა, ზოგიერთმა სასულიერო პირმაც. მიუხედავად ამ პარტიისადმი უარყოფითი დამოკიდებულებისა, დიმიტრი არ უარყოფს ი. წერეთლის ნიჭიერებასა და ორატორულ უნარს, საერთოდაც სოციალ-დემოკრატების ორგანიზებულობას. იგი პროგნოზსაც აკეთებს, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები აღმოჩნდებიან რუსული (რუსების სამარცხვინოდ) რევოლუციის სათავეში.

აღბათ ამ ფეთქებადი და საშიში ტენდენციებით, სისხლისღვრითა და ყველა უბედურებით, რაც რევოლუციას მოჰყვება და აღბათ გამოსავლის ძიებითაც განპირობებული უნდა იყოს ის, რის თაობაზეც დიმიტრი დედას 1899 წლის 27 მარტის წერილში ატყობინებს. ამ დროს გ. შარვაშიძე ჯერ არ იყო იმპერატრიცა მარია ფედოროვნას კარის მმართველად დანიშნული, მაგრამ რუსეთში მოსალოდნელ კატასტროფას გიორგი და დიმიტრი შარვაშიძეები ჯერ კიდევ მაშინ განჭვრეტდნენ.

ეს არის დიდი საიდუმლო, – წერს დიმიტრი და დედას ამ საიდუმლოს შენახვას სთხოვს, ვინაიდან ან შეშლილად მიიჩნევენ, ანდა ციხეში გამოკეტავენ: „მამამ ერთხელ მითხრა, რომ მანამდე არ მოისვენებს, სანამ ტახტზე არ მიხილავს.“ საამისოდ მას მისთვის ნაპოლეონის მაგალითიც მოუყვანია. თუმცა

დასძენს დიმიტრი, ამჟამად მეფის ადგილას ყოფნას არ ისურვებდა, მოგვიანებით კი შეიძლება.

ეს კიდევ ერთი საინტერესო ფურცელია საქართველოს საზოგადოებისა და იმ ლობის, რომელიც რუსეთის იმპერიის ტახტის სიახლოვეს მოღვაწეობდა და რომელიც, როგორც ეს სათანადო მასალებიდან ჩანს, ყოველთვის ფიქრობდა თავის სამშობლოზე.

ძნელია იმის თქმა, ეს მხოლოდ ერთი პიროვნების ჩანაფიქრი იყო, გიორგი შარვაშიძისა თუ ამის უკან სხვებიც იდგნენ, ანდა ეს სიტყვები დიმიტრის მიერ ცხელ გულზე ნათქვამი ხომ არ იყო. აღნიშნული საკითხი საგანგებო კვლევას ითხოვს. ყოველ შემთხვევაში, გიორგი და დიმიტრი შარვაშიძეების აღნიშნული პოზიცია, რომლებიც ყოველგვარი სახელმწიფო გადატრიალების წინააღმდეგი იყვნენ, რუსეთში არსებული უმძიმესი მდგომარეობის კიდევ ერთი ასახვა უნდა იყოს და, რაც მთავარია, საყოველთაო დაუცველობისა, რომელიც საბილოდა ყველას ჩაიტანს სამეფო ოჯახიდან დაწყებული ამ ოჯახის ჩათვლით. რაც მთავარია, რუსეთის (არასწორი მართვისა და პოლიტიკის გამო) და მათი სამშობლოსთვისაც კატასტროფის მომტანი აღმოჩნდება.

ჯერ კიდევ სტუდენტი დიმიტრი შარვაშიძე ამის თაობაზე მაშინ წერს, როდესაც მოსალოდნელი და საშიში ტენდენციები, ზემოთ აღნიშნული არასწორი მართვით გაპირობებული, თავს იჩენს. გაფიცულია და დროებით დახურული პეტერბურგის უნივერსიტეტი, სადაც თავადაც სწავლობს, ფინეთში, რუსული იმპერიული პოლიტიკის საწინააღმდეგო გრანდიოზულ გამოსვლას აქვს ადგილი. ეს ცხადია, პირველ რიგში, იმ პოლიტიკასაც ეხებოდა, რასაც იმპერია საქართველოს მიმართ ახორციელებდა და საბოლოოდ მის განადგურებას ისახავდა მიზნად, მისი საუკეთესო შვილების რეპრესიებისა და მკვლელობების გზით, რაც დიმიტრის მიერ ამ წერილის დაწერის შემდეგ, რამდენიმე წელიწადში, ილია ჭავჭავაძეს სიცოცხლეს მოუსწრაფავს, რომელიც ყოველმხრივ მიისწრაფოდა რუსეთთან პარტნიო-

რული, თანასწორი ურთიერთობისკენ. როგორც ამას ქვემოთ ვუჩვენებთ, ამ საშიშ ტენდენციებში დ. შარვაშიძე ხედავს აფხაზეთის მიმართ საშიშ პოლიტიკასაც და საქართველოს დაშლისკენ მიმართულ ძალისმეხას.

ცხადია, აღნიშნულ ვითარებასა და ტენდენციებს ხედავდნენ ქართველი სამოციანელები, რომელთანაც აფხაზეთის თავადაზნაურობისა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები თანამშრომლობდნენ და მათ შორის გიორგი და დიმიტრი შარვაშიძეები. იმპერიის ეს პოლიტიკა მათი მხრიდან ურთულეს ლავირებასა და სიფხიზლეს ითხოვდა, რაც მათ გაცნობიერებული ჰქონდათ. ფაქტობრივად, ეს იყო განათლებული საზოგადოების პროგრამული მიდგომა, რაც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური გამოცდილებითაც იყო გაპირობებული.

პირველ რიგში, ეს იყო იმპერიის ანტიქართული, ანტიაფხაზური და საზოგადოდ ანტიკავკასიური პროექტების დაბლოკვა; იმპერიის კარზე მაღალი თანამდებობების სამშობლოს ინტერესებისთვის გამოყენება, საბოლოოდ კი საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა, რაც ქვეყანას ყველა გარედან თავსმოხვეული, უცხო და მიუღებელი დამოკიდებულებისა და მართვისგან დაიცავდა.

დ. შარვაშიძის წერილებიდანაც ჩანს, თუ როგორ აანალიზებდნენ და ეცნობოდნენ რუსეთში მოღვაწეობისას მამა-შვილი არა მხოლოდ რუსეთის იმპერიის სიტუაციას, არამედ საერთაშორისო ვითარებას, ასევე იმპერიის მასშტაბით გამოცემულ კანონებსა და დოკუმენტებს. მნიშვნელოვანია, რომ მათ მიერ გაშლილი მოქმედების გეოგრაფიული არეალი, საქართველოსა და რუსეთის გარდა, ევროპასაც მოიცავდა. მაგრამ ამ ბრძოლაში საქართველო ორმაგი, გარედან და შიგნიდან დარტყმის ქვეშ იმყოფებოდა, იმპერიისა და იმ რევოლუციური პარტიების მხრიდან, ვინრო პარტიული და მსოფლიო რევოლუციის გამო საქართველოს დამოუკიდებლობას რომ ებრძოდა.

სწორედ დიდი ისტორიული გამოცდილების აფხაზური და ქართული საზოგადოების პატრიოტული ნაწილი, რომელთაც

ესმოდათ მათი ერთობის მნიშვნელობა და ძალა, რომელიც იმპერიის პირობებში საქართველოს ძველსა და ტრადიციულ პოლიტიკას აგრძელებდა, ერთობლივად წინ აღუდგა რუსეთის იმპერიის ზრახვას აფხაზეთის მიტაცების თაობაზე. ამ მიზნით, ამ ფაქტის გასაპროტესტებლად, 1916 წ. აფხაზეთის დელეგაცია თბილისში ჩამოვიდა, კვლავაც რუსეთისთვის უმძიმეს ვითარებაში, რევოლუციის წინ. 1916 წ. აფხაზები ქუთაისის გუბერნიაში დარჩენას ითხოვდნენ, ისევე როგორც ეკლესიურად – საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას. ისინი აფხაზეთის შავი ზღვის გუბერნიასთან შეერთებას მიუღებლად მიიჩნევდნენ, ვინაიდან საქართველოს მიღმა არსებული ტერიტორიები მათთვის უცხო იყო (ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1916, № 23: 4).

რამდენად მომზადებული და კარგად გააზრებული იყო ამ დელეგაციის მოქმედება, ჩანს იქიდანაც, რომ მის შემადგენლობაში აფხაზ არისტოკრატთა შორის გლახობის ორი წარმომადგენელიც იყო. ეს ამბავი მაშინდელმა ქართულმა პრესამ ფართოდ გააშუქა. მრავლისმეტყველია, რომ დელეგაციის შემადგენლობაში ორი შარვაშიძე იყო, მათ შორის გრიგოლ შარვაშიძის შვილი ალექსანდრე, თავის დროზე ილია ჭავჭავაძის მასპინძელი სოხუმში, მოგვიანებით ბოლშევიკებმა რეაქციულ თავადად რომ გამოაცხადეს. კონსტანტინე ინალ-იფა (დედით შარვაშიძე), აფხაზური სილამაზისა და ჯიშის განსახიერება, რომელიც აგრეთვე ბოლშევიკებმა, როგორც ერთიანი საქართველოს დიდი პატრიოტი, დახვრიტეს. მაშინ აფხაზებმა დასახულ მიზანს მიაღწიეს, რაშიც პეტროგრადის ქართული ლობისა და იმპერიის კარზე დიდი გავლენის მქონე გიორგი შარვაშიძის ხელიც უნდა დავინახოთ, რომლის ოჯახსაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ძმებ ალექსანდრე და კონსტანტინე შარვაშიძეებთან.

1911 წლის 25 ოქტომბერს, სოხუმიდან დედისადმი გაგზავნილ წერილში დიმიტრი აღნიშნავს, რომ იგი ძმებ ალექსანდრე და კონსტანტინე შარვაშიძეებთან ვიზიტით აპირებს მისვლას. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ სტუმრად მისვლას აპირებს უკანასკნელი მთავრის შვილთან, გიორგი მიხეილის ძე შარ-

ვაშიძესთან, რომელმაც გიორგი დიმიტრის ძისგან განსხვავებით ბრძოლის სხვა გზა, ბოიკოტი არჩია, თუმცა ორივეს ერთი საერთო მიზანი ამოძრავებდა.

თავის ანდერძში აფხაზებს, უკანასკნელი მთავრის შვილმა, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდა და მათთან ბრძოლაში დალუპული ღირსეული წინაპრები გაახსენა, ამაყი თავისუფალი სულის ადამიანები. იალბუზი კი კავკასიელთა ერთიანობისა და თავისუფლების სიმბოლოდ დაუსახა.

აღსანიშნავია, რომ 1916 წლის დელეგაციის მოთხოვნები ემთხვევა 1870 წლის 23 მარტს, აფხაზ თავადაზნაურთა მიერ (ტ. ემუხვარი, გ. მარშანია, ტ. მარღანია, კ. ინალ-იფა), თბილისში, რუსული ადმინისტრაციისადმი გაგზავნილი მოხსენებებითი ბარათის პირობებს. მას ჭეშმარიტი აფხაზების დოკუმენტიც შეიძლება ეწოდოს, რომელნიც თავისუფალნი იყვნენ თავის გადანყვეტილებაში. ამიტომაც აღნიშნული დოკუმენტი ასე აღიზიანებს მრავალეროვან აფხაზობას ამოფარებულ ზოგიერთ სეპარატისტს, რომელთა შორის, სხვადასხვა ხერხითა და პრივილეგიებით გააფხაზებული, ქართველებიც არიან და ჭეშმარიტ აფხაზობასთან არაფერი რომ არ აკავშირებთ. იმ აფხაზებთან, რომლებიც ასე უყვარდა დიდ ქართველ მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას, თავის შემოქმედებაში მათი ჭეშმარიტი ბუნება და სახე რომ უკვდავყო.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის თანახმად, აფხაზეთი საქართველოს ისტორიული ნაწილია და რომ აფხაზებსა და ქართველებს აქვთ ერთი რელიგია, ერთი ზნე-ჩვეულებები, ერთი კანონები, საცხოვრებელი ნაგებობანი, ტანისამოსი, საკვები, სამინათმოქმედო იარაღები, სოფლის მეურნეობის გაძღოლის ხერხები, ადგილების უმრავლესობა ატარებს ქართულ სახელწოდებებს. შარვაშიძე მათ აფხაზეთის მმართველ უძველეს ქართულ გვარად მიაჩნიათ. ამიტომაც, აფხაზები იმედს გამოთქვამენ, რომ აფხაზეთსა და სამურზაყანოში საგლეხო რეფორმების ჩატარებისას: „ჩვენ არ ვიქნებით გამორიცხული ქართველი ხალხის საერთო ოჯახიდან, რომელსაც ოდითგანვე ვეკუთვ-

ნოდით“ (სცა, ფონდი 416, ანან. 3, საქმ. 1020, ფურც. 1-18).

1880 წელსაც, გენერალ-მაიორ თავად გრ. შარვაშიძის თაოსნობით, დაბა ოჩამჩირეში მოწვეულმა აფხაზეთისა და სამურზაყანოელ კეთილშობილთა თათბირმა იგივე მიდგომა გააგრძელა. კერძოდ, აფხაზეთში დაწყებითი სწავლება უეჭველად ქართულ ენაზე ყოფილიყო, ვინაიდან „ძველის დროიდან ეს ენა არისო ჩვენთვის სამოქალაქო და საეკლესიო ენაო“. მოგვიანებით მათ აფხაზურ სკოლებში სწავლა აფხაზურ ენაზეც მოითხოვეს. ცხადია, იმპერიას არც აფხაზური და არც ქართული ენა ანალვლებდა, მით უმეტეს, როდესაც აფხაზეთის მომიჯნავე სამეგრელოდან ქართული ენის განსაღვენად ინტენსიურად მუშაობდნენ და ცდილობდნენ მათთვის სამშობლო მეგრული ენითა და მხოლოდ ამ ერთი კუთხით დაევიწროებინათ.

მოყვანილი ფაქტებიდან ჩანს, ჯერ კიდევ როგორი ძლიერი იყო აფხაზთა ისტორიული მეხსიერება და ქართველ-აფხაზთა კავშირი, რომელსაც მიზანმიმართულად დაანგრევენ, ორივე მხარისთვის სავალალოდ, რითაც იმ ხალხის ამოცანაც შესრულდება დღეს უმრავლესობაში რომ არის აფხაზეთში.

მაშინ კი (1916 წ.) ამ აფხაზური დელეგაციის წევრების პოზიცია, რომელიც ქართულმა პრესამ ფართოდ გააშუქა, ფაქტობრივად იყო ანტიიმპერიული ქმედება, რომელიც ანტიაფხაზური, ანტიქართული და ზოგადად ანტიკავკასიური პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული და იცავდა საკუთარ თვითმყობადობას. მათ გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ ამ პოლიტიკის საბოლოო ამოცანა, გათიშე და იბატონეს პრინციპიდან გამომდინარე, როგორც ქართველების, ისე აფხაზების განადგურება და მათი სხვა ხალხებით ჩანაცვლება იყო. მათ ეს რომ ესმოდათ, ჩანს შემდეგი სიტყვებიდან: „ერთობა ქართველობასთან გვიხსნის მრავალნაირ განსაცდელისაგან, და ამიტომაც ყოველ საქმეში ჩვენ ერთად ვართ და ვიქნებით ქართველ მოღვაწეებთან“ (გაზ. „დროება“, 1881, № 22). ეს ერთობაც იყო მიზეზი, რის გამოც იმპერიამ უკან დაიხია და რასაც ზოგიერთი პარტია საქართველოში ასეთი გააფრთხილებით ებრძოდა და პარ-

ტიული კუთხით უყურებდა ქვეყანას.

ამასთან დაკავშირებით გენერალი გ. მაზნიაშვილი იხსენებს, როგორ მივიდა ალექსანდრე შარვაშიძე, აფხაზეთში ანტიბოლშევიკური მოძრაობის მოთავე, სახალხო გვარდიის მეთაურ ვალიკო ჯუღელთან და ბოლშევიკების წინააღმდეგ საერთო ფრონტი შესთავაზა, რაც უარყოფილი იქნა. სოციალ-დემოკრატებს (თანამედროვეთა სიტყვებით უფრო მეტ რუსობას რომ იჩენდნენ, ვიდრე თავად რუსები), კარგად ახსოვდათ ვინ იყო ალ. შარვაშიძე. ეს ის პიროვნება იყო, ვინც ილიას, რომელიც რევოლუციით გატაცებას მიუღებლად მიინევედა, 1903 წ. სოხუმში გრანდიოზული შეხვედრა მოუწყო და სიტყვითაც მიმართა. როგორც ცნობილია, ვალიკო ჯუღელს სწორედ მისთვის ძვირფასი, ძმებს რომ ეძახდა, ბოლშევიკები დახვრეტენ.

ამდენად, აფხაზები იმ საერთო ისტორიასა და წარსულს იცავდნენ, რომელშიც მათი წინაპრები საუკუნეების მანძილზე ქართველებთან ერთად მონაწილეობდნენ. შესაბამისად, ერთიანი საქართველოს პოზიციიდან მოქმედებდნენ, იმ სერთო კულტურიდან გამომდინარე, რომლის თანახმადაც, თაობიდან თაობაში, როგორც „ქართლის ცხოვრება“, ისე „ვეფხისტყაოსანი“ თუ ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ საკითხავ წიგნებსა და მათი კულტურისა და ცხოვრების ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. სწორედ თავისი ეს დიდი და ძველი კულტურა წარმოაჩინა მხატვარმა ალექსანდრე შარვაშიძემ, როდესაც მონტე-კარლოში გახმაურებული ბალეტი „ვეფხისტყაოსანი“ გააფორმა. წლების მანძილზე იგი ლონდონში, პარიზსა და მონტე-კარლოში საბალეტო ხელოვნების კორიფეებთან, დიდ თანამემამულე ჯორჯ ბალანჩინთან, აგრეთვე სერგეი დიაგილევთან მოღვაწეობდა.

ალექსანდრეს დაბადება რუსეთში, საქართველოს უბედობას უკავშირდება, სადაც მამამისი, კონსტანტინე შარვაშიძე, აფხაზეთიდან გაასახლეს როგორც 1832 წ. დანარჩენ საქართველოსთან ერთად შეთქმული და რომლის მსოფლხედველობის ფორმირებაშიც დიდი როლი შეამბოხე მამამ და ბიძამ – ასევე იძულებით მოსკოვში მცხოვრებმა, დავით ბაგრატიონ-გრუზ-

ინსკიმ შეასრულეს.

ა. შარვაშიძემ 101 წელი (1867-1968) იცოცხლა და თავისი 500 ნამუშევარი, არქივთან ერთად, თბილისს უანდერძა, რომელსაც ფლორენციას ადარებდა და ქალაქ-მუზეუმს უწოდებდა, მის ხოტბას კი ამ სიტყვებით ასრულებს: „საქართველო არავის ჩაგრავდა, თავს იცავდა მხოლოდ. ამ ცის ქვეშ, სისხლით გაჯერებულ მიწაზე, რომელიც იფარავს ხალხის გოდებას, იჭედება ერთგულება, სიქველე და შემართება, ამას გვიამბობენ ძველი თბილისის ქვები“.

მაგრამ 1985 წ., როდესაც მონტე-კარლოდან სოხუმში გადმოასვენეს, ა. შარვაშიძე როგორც პირველი აფხაზი მხატვარი ისე დაკრძალეს, იმ რუსების კარნახით, ვისაც კონსტანტინე შარვაშიძე მთელი ცხოვრება ებრძოდა და ვინც მათ მიერ დაპყრობილი ქართველი ერი, აფხაზების დამყრობლებად გამოიყვანა, რითაც თავისი იმპერიული პოლიტიკა მას შეაწერა და რაშიც მეცნიერებიც მათ მიერ გაყალბებულ შრომებთან ერთად ჩართო. ეს იმ დროსაც, როდესაც ნიკო ბერძენიშვილის სიტყვებით, ქართული მეცნიერება დევნილი იყო, დევნილი იყო საქართველოს ისტორია და დიდხანს სიტყვა „საქართველო“ როგორც პოლიტიკური ცნება – ამოღებული, ისევე როგორც „აფხაზეთი.“~

ნიშანდობლივია, რომ სვანეთის უკანასკნელმა მთავარმა, კონსტანტინე დადეშქელიანმა, რომელმაც მისი აბუჩად ამგდები რუსი მალაჩინოსანი ა. გაგარინი მოკლა, დახვრეტის წინ ინანა, რომ გაგარინი კი არა, რუსი მეცნიერები უსლარი და ბარტოლომეი უნდა გამოესალმებინა სიცოცხლეს, რომლებიც მას ყველაზე მეტად უთვალთვალებდნენ და განსაკუთრებით შეურაცხყოფდნენ. მით უმეტეს, მათი დამსახურება დიდი იყო დასავლეთ საქართველოს სამთავროების გაუქმების გეგმის შემუშავებასა და მთავართა ტრაგიკულ ბედში.

უსლარის თავხედობა იქამდეც კი მივიდა, რომ ქართველები-სთვის უძველესი ანბანის შეცვლაც ჰქონდა განზრახული, რომელიც მსოფლიოში გავრცელებული 14 ანბანთაგან ორიგინალ-

ურად და ულამაზესად აღიარებულია და დღეს უკვე იუნესკოს მიერ დაცული.

კონსტანტინე დადეშქელიანი, რუსული პოლიტიკის უსამართლობის გამო დაღუპული და დახვრეტილი, გარეგნობით ისეთივე გამორჩეული იყო, როგორც უკანასკნელი მთავრის მემკვიდრე გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე, დევნილი იმის გამო, რომ აფხაზეთი მას უსაქართველოდ და საქართველო უაფხაზეთოდ ვერ წარმოედგინა. ხოლო ივერიას, როგორც ეს უკვე აღინიშნა, საქართველოს აღმნიშვნელ ამ ძველ სახელს, როგორც თავისი სამშობლოსა და ეროვნულ-კულტურული ერთობის ფაქტორს, ხშირად მიმართავდა, სხვებისგან განსხვავებით შესანიშნავად ფლობდა აფხაზურს (ზოგიერთი თანამედროვე აფხაზი სეპარატისტებისგან განსხვავებით), ასევე სრულყოფილად ფლობდა ქართულს, ჩვენს ენას რომ უწოდებდა. მან, ილიას „ივერიის“ კორესპონდენტმა (მას შეგნებულად უსასყიდლოდ ემსახურებოდა), თავისი ლიტერატურული შემოქმედება აფხაზურსა და ქართულ ენებზე დაგვიტოვა. გ. ქიქოძე გიორგის ნამდვილ აფხაზს უწოდებდა, რომელსაც ერთნაირი სიყვარულით უყვარდა ორივე დედა, რომელმაც შობა და რომელმაც თავისი რძით გამოკვება (გ. შარვაშიძე, 1946).

უნგრელმა მხატვარმა, მიხაი ზიჩიმ, „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელმა, რომელმაც საქართველო ისე შეიყვარა, რომ ქართული ენაც ისწავლა, გიორგი შარვაშიძეში ტარიელი დაინახა და პოემაში გამოხატა, როდესაც მაშინ პოპულარულ ე. წ. ცოცხალ სურათებში დადგმულ „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელის როლში იხილა.

მაგრამ რუსეთის იმპერიის მიერ შექმნილი ახალი აფხაზეთი რუსთაველს სამეგრელოდან ჩასულ მწერალში, ქართველებზე განაწყენებულ ქართველ დიმიტრი გულიაში გაცვლის, რომელსაც პირველ კლასიკოს აფხაზ მწერლად დაუსახავენ, რომელსაც სიკვდილის წინ თავისი ქართველობა გაახსენდება. გალაკტიონ ტაბიძეს კი შარვაშიძეთა სისხლით (დედის ხაზით) რომ ამაცობდა და ამბობდა „ჩემში არის სამნაირი, უსათუოდ ქართუ-

ლი სისხლი: აფხაზის, გურულის და იმერლის,“ – დაივიწყებენ. მაგრამ მანამდე ბრწყინვალე აფხაზურ ელიტას გაანადგურებენ, შარვაშიძეებს აფხაზეთიდან ფეხს ამოუკვეთავენ.

აფხაზეთი რუსეთია, ლ. ქიაჩელს, რომელსაც კ. გამსახურდიას მსგავსად, ძლიერ უყვარდა აფხაზები და მათ ლიტერატურული ძეგლიც დაუდგეს, აშფოთებს ეს სიტყვები, აფხაზეთში უკვე XX საუკუნის დასაწყისში რომ ისმის, რუსული ენასა და ახლად გაჩენილ რუსულ ტოპონიმებთან („ოტრადნოე“, „სჩასტიე“ და სხვ.) ერთად.

თ. სახოკიაც წერს მაშინდელ აფხაზეთზე: „აჭრელდნენ მცხოვრებნი, აჭრელდა ეთნიური შემადგენლობა.“

კიდევ უფრო ადრე ილიამ იგრძნო დიდი საფრთხე, რამაც მას გული შეუკუმშა იქ მცხოვრები ქართველების გამო და სოხუმში, ძმებ ალექსანდრე და ივანე შარვაშიძეების სასახლის ბაღში, მის საპატივცემულოდ გამართულ წვეულებაზე, ქალაქის საზოგადოებისადმი სიტყვით მიმართვისას, შიში გამოთქვა: უცხოთა ხელში არ აღმოჩენილიყო მათი საერთო სამშობლო, „აფხაზ-ქართველთა მშვენიერი მიწა-წყალი“. იქაურ ქართველებზე კი უფალს შესთხოვა, ეხსნა ისინი იმ საშინელი განსაცდელისგან, მას რომ „სულთამხუთავსავით თვალთ აეტუზა, როცა აქაურობა დაიარა და დაათვალიერა“.

ეს აზრები, საბჭოთა პერიოდშიც, 1951 წ., აფხაზეთში ექსპედიციაში ყოფნისას აწვალეს ნ. ბერძენიშვილს და მას შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს: „აქ ის სული ტრიალებს, რომელიც საქართველოს გაქრობას ისახავს მიზნად და ოცნებობს იმ ბოძებზე, ერთ დღეს, ჩამოხრჩობილ ქართველთა გვამები რომ ჩამწკრივდებიან“.

ამ ხიფათს გრძნობდა დიმიტრი შარვაშიძეც მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით. მას ისტორიულად და ეკლესიურად აფხაზეთი საქართველოს ნაწილად მიაჩნია, მაგრამ იმპერიაში მიმდინარე პროცესები დააფიქრებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა 1918 წ., თებერვლის რევოლუციისა და ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ

შედგენილი მისი წერილები. იგი გულმხურვალედ მხარს უჭერს აფხაზეთის სამღვდელოების მიერ გადადგმულ ნაბიჯს მცხეთის სამწყსოსთან შეერთების თაობაზე, როგორც ისტორიულ სამართლიანობას. მხარს უჭერს კავკასიის რუსეთისაგან გამოყოფას. საქართველოს დამოუკიდებლობასა და ერთიანობას. ამ პრინციპებს ეყრდნობა გიორგი შარვაშიძის ფონდში (საქართველოს საისტორიო არქივში) დაცული მისი ხელით დაწერილი შარვაშიძეების საგვარეულოს ისტორიაც. წერილების ავტორს, დიმიტრი შარვაშიძეს მიაჩნია, რომ საქართველო ჭეშმარიტი ეროვნული ძალების ხელში უნდა იყოს და არა გარედან მართული საერთაშორისო ბანდის (ასე უწოდებს სოციალ-დემოკრატებს) ხელში, რომელიც იქ ბოგინობს.

ამგვარად, დ. შარვაშიძე სვამს საქართველოში ხელისუფლების საკითხს, რასაც მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ეხება აფხაზეთსაც. აფხაზეთის დამოუკიდებლობა მას არარეალურად მიაჩნია, რუსეთთან მის კავშირს კი ასე განიხილავს: არ შეიძლება ჯანსაღი ელემენტი შეუერთდეს ხრწნად გვამს, რადგან მაშინ ისიც დაილუპება. მაგრამ თუკი საქართველოს სათავეში მოვლენ რევოლუციური პარტიები და არა ეროვნული ძალები, მისთვის არა თუ აფხაზეთის, საქართველოს ბედიც გაურკვეველია. მით უმეტეს დასუსტებული საქართველოს პირობებში, როდესაც თვით საქართველოს არსებობაც ეჭვქვეშ დგება.

ამ პესიმიზმს ღრმა საფუძვლები აქვს. ამასთან დაკავშირებით იმ ამბავს გავიხსენებდით, მაშინდელი ქართული საზოგადოება შოკში რომ ჩააგდო და დიდ ეროვნულ ტრაგედიად აღიქვა, თუმცა ეს ამბავი დღეს არავის ახსოვს. ამ ფაქტს იმავე 1912 წელს ჰქონდა ადგილი, როდესაც IV სახელმწიფო სათათბიროში ქართველი სოციალ-დემოკრატები, ძირითადად სომხების ხმებით გავიდნენ. ამ ორ მოვლენას შორის აშკარად კავშირი უნდა დავინახოთ.

საქმე ის არის, რომ 1912 წ. კიევში გაიმართა „რუსეთის არა-სახელმწიფოებრივ ერთა კონფერენცია“. ამ კონფერენცი-

აზე შედგა ე. წ. კიევის რუკა, რომლის თანახმადაც, ქართულ-მა რევოლუციურმა პარტიებმა, თანამედროვეთა სიტყვებით, ჩაიდინეს დიდი ბოროტება, როდესაც ძირძველი ქართული ტერიტორიები აფხაზეთი (ჩრ. კავკასიაზე,) საინგილო (აზერბაიჯანელებზე), ახალციხე და ახალქალაქი და ბორჩალო სომხებზე გაასხვისეს. ცხადია, ამის უკან რუსეთი იდგა თავისი მითითებებით, რომელიც თუკი ეს ძალები ჩაიგდებდნენ ძალაუფლებას, ეს ტერიტორიები, აფხაზეთის ჩათვლით, რუსეთის ხელში აღმოჩნდებოდა და ამ ხელსაყრელ დროს კიდევაც დაელოდებინ (რ. გაბაშვილი, 1992: 117). ამიტომაც, ამ ხიფათის შემხედვარე დ. შარვაშიძე, რომლის მიზეზსაც მის თვალშიც ანტიეროვნული ძალები წარმოადგენდნენ, რუსეთის იმპერიის დაშლის ვითარებაში, გამოსავალს და ხსნას უკვე ჩრდილოეთ კავკასიასთან კავშირში ხედავს, სადაც დიდია ეროვნული განწყობა და ანტი-ბოლშევიკური მოძრაობა, ასევე ძლიერია საერთო კავკასიური ერთიანობის იდეა. ამ თემებზე იგი 1917 წ. 3 დეკემბერს მსჯელობს. მაგრამ სულ რაღაც ათ დღეში დ. შარვაშიძის განწყობა რადიკალურად იცვლება, რაც მას ბედნიერს ხდის. ამის მიზეზი ის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა, რაც საქართველოში მოხდება და რასაც რუსეთიდან თვალს ადევნებს.

საქმე ის არის, რომ 1917 წ. 19 ნოემბერს თბილისის სახ-აზინო თეატრში, გაიმართა ეროვნული ყრილობა, რომლის დროსაც, დიმიტრის სიტყვებით, ქართველებმა ყველა საკითხში პოლიტიკური სიბრძნე გამოიჩინეს. ეს იყო ერის ერთიანობის დემონსტრირება, რომელსაც – როგორც ნაციონალისტურს, მხოლოდ ბოლშევიკებმა გამოუცხადეს ბოიკოტი. თანამედროვეთა მოგონებებით, აქ აღარ ისმოდა ჯერ „მე“ და მერე საქართველო. სწორედ ეს ყრილობა გახდება საქართველოს დამოუკიდებლობის, 26 მაისის საფუძველი, რომელსაც დიმიტრი შარვაშიძე არათუ მხარს უჭერს, არამედ, კავკასიაში საქართველოს ისტორიული, ჰეგემონური როლის აღდგენაზეც ლაპარაკობს (საქართველოს დამოუკიდებლობის გულმხურვალე მომხრე გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძეც იყო, რაზეც მისი შემდეგი სიტყვებიც

მეტყველებს: „ამ დროს, როდესაც შეგნებული ნაწილი ივერ-
თა დაკუჭულ ხალხისა ხელთგულდაკრეფილი იდგა საფლავებ-
ზე თავის დავინყებულის, დამარხული დიდებისა, დღეს, უეცრად
გაისმა ხმა სიმართლისა და თავისუფლებისა ! დაჰკრა საქა-
რთველომ ნალარა, დაჰკვილა ვაშა, ვაშა! და ვაი მას, ვინც წინ
აღუდგება ბრწყინვალე მზეს ერის განთავისუფლებისა, გამო-
ცოცხლებისა“ (ჭურნ. „ოქროს საწმისი“, 1990, № 2; ო. ჭურ-
ნულია, 1983: 11).

თუმცა საბოლოოდ საქართველო იმ ძალების ხელთ აღმოჩნ-
დება, კიევის რუკას მთელი XX საუკუნის მანძილზე მიზანმიმ-
ართულად რომ განახორციელებენ, აფხაზეთის მიმართაც და იმ
სომხების აქტიური მონაწილეებით, რასაც აფხაზეთის საქართ-
ველოდან ჩამოშორება მოჰყვება და რუსულ-სომხური აფხაზ-
ეთის შექმნა, ანდა უბრალოდ სომხეთის აფხაზეთის, საიდანაც
ქართველები განდევნილები არიან, აფხაზების მომავალი კი –
არასახარბიელოა და გაურკვეველი.

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ანტიკავკასიური იმ-
პერიული პოლიტიკის პირობებში საქართველოში წამოიზარდა
ეროვნული განწყობისა და სულისკვეთების ახალგაზრდო-
ბა, რომელსაც რუსეთისაგან მოტყუებულ და მასზე გულა-
ცრუებულ თაობასაც უწოდებდნენ. ესენი იყვნენ გიორგი და
ილია მაჩაბლები, ნესტორ ერისთავი, ვასილ დუმბაძე და სხვანი.
ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, ნესტორ ერისთავი დიმიტრი
შარვაშიძის წერილებშიც გვხვდება. რუსული პოლიტიკით გულ-
გატეხილებმა, მათ ევროპაში დასაყრდენისა და ზურგის ძიება
დაიწყეს. 1914-1915 წწ. შექმნიან საქართველოს დამოუკიდებელ
კომიტეტებს საკუთრივ საქართველოში, გერმანიაში, ავსტრიაში
და თურქეთში და დიდ იმედებს გერმანიის რუსეთზე გამარჯვე-
ბაზე დაამყარებენ. თანამედროვენი მათზე ამბობდნენ, რომ ეს
ჯგუფი ხშირად სიცოცხლის რისკის ფასადაც მოქმედებდა და
სამშობლოსათვის სიკვდილისა არ ეშინოდა, რაც მათი მხრი-
დან ნამდვილი გამირობა იყო. მაგრამ დასავლეთზე ამ ჯგუფის
გასვლა არ ნიშნავდა რუსეთში უმოქმედობას, ვინაიდან დიპლო-

მატიასა და მოლაპარაკებებს ქართველები, თვით ყველაზე დაუძინებელ მტერთანაც კი ყოველთვის მიმართავდნენ, მათი დიდი პოლიტიკური კულტურიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, თუკი სამშობლოს ინტერესები მათთვის ყველაფერზე მაღლა იდგა.

პირველი მსოფლიო ომის დროს ვ. დუმბაძე, დაუახლოვდა რუსეთის სამხედრო მინისტრ სუხომლინოვს, რომელმაც მას სამხედრო აღჭურვილობის ყველა შეკვეთა ჩააბარა. ეს მოახერხა პიროვნებამ, რომელიც საქართველოს ხსნას რუსეთის ომში დამარცხებაში ხედავდა.

ქართველები უდიდესი გავლენის პიროვნებასთან გრიგორი რასპუტინთანაც ახლოს იყვნენ, რომელსაც უყვარდა უდიდესი ხიზლის მატარებელი ქართველები და მათ საზოგადოებაში ყოფნა. სწორედ მისი დახმარებით შეძლეს ქართველებმა პეტროგრადში, ვასილის კუნძულზე, წმინდა ანდრიას ტაძრის მიღება, რომელიც ქართველთა თავშეყრის ადგილად იქცა და სადაც წირვა-ლოცვას თბილისიდან ჩასული მღვდელი ჩიჯავაძე ქართულ ენაზე აღავლენდა.

გ. რასპუტინზეც ქართველების სულ უფრო მზარდი გავლენა ბევრს აღიზიანებდა, ისევე როგორც მის მდივანს არონ სიმანოვიჩს, ავტორს 1991 წ. მოსკოვში გამოცემული წიგნისა „რასპუტინი და ებრაელები“. ირკვევა, რომ ქართველებსა და ებრაელებს შორის გავლენის სფეროების გადანაწილება იყო მათ შორის მტრობის მიზეზი და არა ულამაზესი, გამჭრიახი გონებისა და სიმამაცით გამორჩეული პოდპორუჩიკ ს. ფხაკაძის (რასპუტინის სასიძოს) მუშტები, სიმანოვიჩმაც რომ იგემა.

ამ მტრობის შედეგია ა. სიმანოვიჩის მიერ სამეფო კარზე უდიდესი გავლენის მქონე პიროვნების, მ. ანდრონიკოვის დისკრედიტაცია, რაც აისახა მწერალ ნ. პიკულისთან, ნ. ბრეშკო-ბრეშკოვსკისთან და საბჭოთა კინემატოგრაფმაც გაიმეორა. აღსანიშნავია, რომ 1915 წლის ომის დროს რასპუტინმა და ანდრონიკოვმა ოცზე მეტი მინისტრი დანიშნეს და მოხსნეს. სწორედ გავლენის სფეროების გადანაწილება გახდა მათ შორის

დაპირისპირებისა და მტრობის მიზეზი, რის გამოც რასპუტინის მკვლელობის ირგვლივ აგორებულ ქორებში მ. ანდრონიკოვის სახელიც ფიგურირებს.

საინტერესოა, რომ ერთ თავის წერილში დ. შარვაშიძე გ. რასპუტინს მოიხსენიებს, ოღონდ, მის ორეულს, თანაც საქართველოსთან მიმართებაში ახალი ეგზარქოსის დანიშვნასთან დაკავშირებულ მითქმა-მოთქმაში. დიმიტრი გრაფი გრაბეს ნაამბობს იმეორებს, რომელსაც ანდრონიკოვთან სტუმრად მისულს, უნახავს ოთახის სიღრმეში მდგარი მამაკაცი, რასპუტინის ზუსტი განსახიერება, რომელიც უცბადვე გამქრალა. ამ ილუზიის დაბადების ავტორი, რომ რასპუტინი ცოცხალია, მ. ანდრონიკოვი იყო, რომელიც რასპუტინის გავლენას მისი გარდაცვალების შემდეგ ამ ფორმით იყენებდა.

იბადება კითხვა. მაინც ვინ იყო მ. ანდრონიკოვი, რომელიც ჩვენთვის კიდევ ერთი თვალსაზრისითაც აღმოჩნდა საინტერესო. ზოგიერთი თანამედროვე მას გერმანიის აგენტად მიიჩნევდა. დროებითი მთავრობის საგანგებო საგამომძიებლო კომისიის მასალებიდანაც ირკვევა, რამდენად მ. ანდრონიკოვი აკონტროლებდა რუსეთის იმპერიის პოლიტიკას. დროებითმა მთავრობამ იგი ერთ-ერთი პირველი დააპატიმრა, მაგრამ მალევე გაათავისუფლა. მისი ბინიდან ორი დღის განმავლობაში ზამთრის სასახლეში უამრავი, მათ შორის ზესაიდუმლო დოკუმენტები გადაჰქონდათ, რასაც დიდი განცვიფრება გამოუწვევია. სხვათა შორის, ამ უდიდესი გავლენის პიროვნების სახელი დროებითი მთავრობის მიერ დაკავებულ ყველა სახელმწიფო ჩინოვნიკს ეკერა პირზე. როგორც აღვნიშნეთ, ამ პიროვნებას ასეთი ყურადღება შემთხვევით არ დაუთმეთ.

რამდენიმე წლის წინ, ქართულ პრესაში სუკის არქივებში დაცული დაკითხვის ოქმები გამოქვეყნდა, რომელშიც დაკითხულთა შორის არიან ქართველები, რომლებსაც რასპუტინთანაც ჰქონდათ კავშირი, ანდა რასპუტინს იცნობდნენ. მათ შორის ილია მაჩაბელთან, კოტე ჯავრიშვილთან, სიმონ ფხაკაძესთან და, სხვებთან ერთად, მიხეილ ანდრონიკოვის (ანდრონიკაშ-

ვილი) სახელიც ფიგურირებს. ჩვენი ყურადღება იმ ფაქტმაც მიიპყრო, რომ II მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, 1942 წ. გერმანიაში მ. ანდრონიკოვისადმი მიძღვნილი სახოტბო წიგნი გამოვიდა, სადაც მასზე, როგორც გამჭრიახსა და მასშტაბურ პოლიტიკოსზეა საუბარი, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. ის ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის დროს, ანდრონიკოვისა და საზოგადოდ ქართველების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, გერმანელებთან კავშირზე უნდა მიგვანიშნებდეს.

კიდევ ერთ გარემოებაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. ამ დოკუმენტებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ერთი ცნობა, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო. მასში აღნიშნულია, რომ ანდრონიკოვი, თანამედროვეთა აზრითაც, უზარმაზარი გავლენის პიროვნება, ვისიც ეშინოდა მაშინდელ პრესას და ვის გაღიაზიანებასაც ყველა უფრთხოდა, ხშირად დადიოდა მარია ფეოდოროვნას კარის მმართველ გიორგი შარვაშიძესთან (ა. ასლანიშვილი, 1996, 19, 23 X). გარდა ძველსა და ახალ სამეფო კარებს შორის კოორდინაციისა, აქ კიდევ სხვა კონტაქტებსა და კავშირებზე უნდა ვიფიქროთ, რაც საქართველოს უკავშირდება, მის დამოუკიდებლობას და საგანგებო კვლევას ითხოვს. სხვათა შორის, ამ კონტაქტებმა სიმანოვიჩის ყურადღებაც მიიპყრო, რაც მხოლოდ მათი ნათესაური ურთიერთობით ახსნა.

ამდენად, იმპერიული უსამართლო პოლიტიკის წინააღმდეგ ქართველებმა კავშირების მოძიება დასავლეთში დაიწყეს მას შემდეგ, როდესაც დარწმუნდნენ, რუსეთის იმპერიას რამდენად არ ესმოდა ახალ ვითარებასა და პირობებში ძლერი და დამოუკიდებელი საქართველოს მნიშვნელობა, თუნდაც თავად რუსეთისა და მისი პოლიტიკისთვის, როგორც ერთგული მოკავშირისა და ტრადიციული ქრისტიანული ფორპოსტისა ახლო აღმოსავლეთის წინაშე, მით უმეტეს მზარდი ისლამიზაციის პირობებში. რუსეთის პოლიტიკოსებს ასევე არ ესმოდათ, რომ ერთიანი და ძლიერი საქართველო მისი სამხრეთი საზღვრების დაცულობის გარანტი იყო.

ზემოთ მოხსენიებული პატრიოტი ქართველებისათვის სამშობლო და თითოეული ქართველის სიცოცხლე რამდენად ღირებული იყო, ამის ერთ-ერთი დასტური, I მსოფლიო ომის დროს, მათ მიერ პეტროგრადში დაარსებული საზოგადოებაცაა, რომელიც ქართველ ჯარისკაცებს მატერიალურსა და სულიერ დახმარებას უწევდა. მისი თავმჯდომარე სალომე (მია) დადიანი, პეტროგრადის გრადონაჩალნიკის, ნიკოლოზ II-ის მეგობრის, ბრწყინვალე თავად ობოლენსკის მეუღლე იყო, ვის გავლენასა და მფარველობას ქართველები ასევე საზოგადო საქმეებისთვის იყენებდნენ. ამ ორგანიზაციაში სამოღვაწეოდ, შემდგომში ბოლშევიკების მიერ დახვრეტილმა ი. მაჩაბელმა და ვ. დუმბაძემ (ემიგრაციაში გარდაიცვალა) ნიკოლოზ II-ის და – ქსენია ალექსანდრეს ასული დაითანხმეს. ორგანიზაცია ქართველ ჯარისკაცებს მატერიალურ დახმარებას უწევდა, უგზავნიდა ქართულ წიგნებს, მათ ოჯახურ მდგომარეობას არკვევდა და შესაბამისი დახმარებით უზრუნველყოფდა, რისთვისაც ბანკიდან 25 000 მან. ჰქონდათ გამოტანილი. აღსანიშნავია, რომ თავადაზნაურთა ამ ხასიათის ორგანიზაციები მოქმედებდა მოსკოვსა და თბილისში, სადაც მას სათავეში აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა მეთაური თავადი კ. აფხაზი ედგა, მასშტაბური ფიგურა და ქართული საქმეების დიდი მოამაგე. მისი საქმიანობა კარგად იცოდნენ ბოლშევიკებმა, რის გამოც 1923 წ., იგი ერთ-ერთი პირველი დახვრიტეს, რომელიც მათდა გასაოცრად, ვაჟკაცურად შეხვდა სიკვდილს და მის მიერ დახვრეტის წინ წარმოთქმული სიტყვები სამუდამოდ შემორჩა ერის ხსოვნას, როგორც სამშობლოს სიყვარულის მაგალითი.

ნიკოლოზ II 1917 წ. 2 მარტს გადადგა. თანამედროვეთა და იმპერატორის გარემოცვის თანახმად, ეს იყო ცამონმენდილზე მეხის გავარდნა. საზოგადოების ამ განწყობასა და საერთო ატმოსფეროს დიმიტრი შარვაშიძეც გადმოგვცემს. იგი აღნიშნავს, რომ ყველა შეპყრობილი იყო ომითა და იმპერატორის ბედით. მას ამ შემთხვევაშიც ეჭვი აქვს, რომ იმპერატორს გაასამართლებენ თუ მანამდე არ მოკლეს, რაშიც ამ შემთხვევაშიც არ

შემცდარა. მაგრამ იმასაც აღნიშნავს, თუ ნიკოლოზ II ოჯახთან ერთად რუსეთიდან გააღწევს, ეს ნამდვილი სასწაული იქნება.

თანამედროვეთა მოგონებებიდან ირკვევა, რომ გ. შარვაშიძე იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნას სტაფკაში ახლდა, სადაც უკვე გადაადგარი ნიკოლოზ II იმყოფებოდა. ეს მარია ფეოდოროვნას შვილთან უკანასკნელი შეხვედრა აღმოჩნდება. გ. შარვაშიძისთვის, რომლისთვისაც კატეგორიულად მიუღებელი იყო რევოლუცია, ასევე მიუღებელი, ნაჩქარევი და არასერიოზული იყო ნიკოლოზ II-ის გადადგომა, რასაც მისი შვილი დიმიტრიც ადასტურებს და იზიარებს. ორივემ იცოდა, რომ ეს გადადგომა ქვეყანაში რყევებს გამოიწვევდა და არასასურველ შედეგებს, რაც პირველ რიგში, სახელმწიფო აპარატის მოშლასა და ნგრევას გამოიწვევდა, დესტრუქციული ელემენტების გააქტიურებას. ასეთი ანალიზი და პროგნოზი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი, როგორც ეს უკვე აღინიშნა, მათ შორის თვით რუსული ინტელიგენციის ერთი ფრთა და ზოგიერთი დიდი მთავარიც, კმაყოფილებით შეხვდა ნიკოლოზ II-ის გადადგომასა და რევოლუციას, როგორც პროგრესულ მოვლენას. თვით მეფის ოჯახის უახლოესი ნათესავებიც კი რევოლუციური წითელი ბანტებით მკერდზე დადიოდნენ, რითაც ბრავირებდნენ. ისინი ვერ ხედავდნენ მოსალოდნელ რეალურ შედეგებს, კატასტროფას, რაც მალე დადგება და მათაც გაანადგურებს.

ნიკოლოზ II-ის ფლიგელ ადიუტანტი ა. მორდვინოვი თავის მოგონებებში გ. შარვაშიძეზე, რომელსაც მალალ შეფასებას აძლევს, როგორც განათლებულსა და დაკვირვებულ პიროვნებას, წერს, რომ შარვაშიძემ ყოველგვარი ილუზიების გარეშე სწორად შეაფასა და განჭვრიტა რევოლუცია, მისი კატასტროფული შედეგები. მისივე სიტყვებით, ნიკოლოზ II-ის მრავალრიცხოვან გარემოცვაში, რომლის ნაწილიც იყო, თავს მარტოდ გრძნობდა. მას ამ გარემოცვაში შარვაშიძე ერთადერთ გამონაკლისად მიაჩნდა და საერთო ინტელექტუალური ინტერესებიდან გამომდინარე, მასთან ურთიერთობდა.

ა. მორდვინოვი გ. შარვაშიძეს ორიგინალური აზროვნების პიროვნებად ახასიათებს, რომელსაც იზიდავდა საისტორიო გამოკვლევები, საინტერესოდ და ორიგინალურად მსჯელობდა სხვადასხვა ისტორიულ მოვლენაზე. მას იზიდავდა სიძველეები, აგროვებდა პორტრეტებს, მინიატურებს, გრაფიკას. ყველაზე მეტად მაინც სამეცნიერო მუშაობა იზიდავდა, რის საშუალებასაც გ. შარვაშიძეს სამსახური არ აძლევდა.

როგორც ჩანს მორდვინოვივით მარტო იყო გ. შარვაშიძეც. 1910 წლის აპრილში, პეტერბურგში მამასთან ჩასული დიმიტრი აღნიშნავს, რომ გიორგი ძალიან მარტოა. ხშირად ეს სიმარტოვე გონიერი და დიდი განათლების ადამიანთა ხვედრია, რომლებიც არაშორმჭვრეტელი ადამიანებისგან განსხვავებით, ბევრს ხედავენ და განიცდიან.

სტავკაში ჩამოსვლისთანავე, იგონებს ა. მორდვინოვი, გ. შარვაშიძე ჩემსკენ გამოემართა. მოსაზრებულობითა და რთული ვითარებიდან გამოსავლის პოვნით ცნობილი, ამჟამად დაბნეული და გაოცებული გამოიყურებოდა. მან გვერდზე გამიყვანა და მკითხა, რა ჩაიღინეთ? ... როდესაც მოკლედ ვუამბე თუ როგორი სისწრაფით დაგვატყდა თავს ბოლო დროინდელი მოვლენები, სულ უფრო და უფრო უკვირდა და ჩემსავით ვერ ურიგდებოდა ასეთი სისწრაფით მიღებულ გადაწყვეტილებას (Отречение Николая II, 1927: 124-125).

ამ დიალოგიდანაც ჩანს, რომ შარვაშიძისთვის, ბევრისგან განსხვავებით, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, მოსალოდნელი შედეგები პროგნოზირებული და ნათელი იყო.

ასე იყო დიმიტრი შარვაშიძისთვისაც, რომელიც ნიკოლოზ II-სა და იმპერიის ბოლო დღეებს ასე აღწერს თავის დღიურსა და წერილებში. მისი სიტყვებით, თავისი პოლიტიკური კრაზის შემდეგ, შექმნილი მდგომარეობა იმპერატორისთვის უმძიმესი აღმოჩნდა, რაც თავის გარემოცვასა და დაახლოებულ პირებში განხიზღვამაც გამოიწვია. მას, თითქოსდა ჯადოსნური ჯოხის აქნევით, ყველა გაექცა და შემოეცალა. მის გვერდით დარჩა მხოლოდ ერთი ერთგული მეგობარი – გრაფი ბენკენდორფი,

რომელიც დაპატიმრების საშიშროების მიუხედავად, კატეგორიული წინააღმდეგი იყო იმპერატორის მიტოვებისა.

ჯერჯერობით, წერს დიმიტრი, ბრბოს გასამართლებისგან იგი იხსნა ინგლისის ელჩის გაფრთხილებამ. იგი იმასაც აღნიშნავს, რომ იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნას მდგომარეობა, რომელიც იმჟამად ყირიმში იმყოფება, გაცილებით უკეთესია. რაც შეეხება მამის, გიორგი შარვაშიძის თანამდებობას, მართალია ის გაუქმებულია, წერს დიმიტრი, მაგრამ ამჟამად, როგორც არასდროს, გაჭირვებაში მყოფი იმპერატრიცას მიტოვება დაუშვებელია. ამიტომ გიორგი და თავადი ს. დოლგორუკი აპირებენ მასთან ყირიმში გამგზავრებას. უფრო მეტიც, დიმიტრის ერთი წერილიდანაც ჩანს, რომ გიორგი შარვაშიძეს ეს გადაწყვეტილება ქართულმა საზოგადოებამ მოუწონა, როგორც კეთილშობილური და რაინდული. უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს ის ქართული თავადაზნაურობა და ქართული საზოგადოებაა, რომელსაც იმპერია არ ენდობოდა, როგორც საკუთარი სამშობლოს მოყვარულებსა და ერთგულებს და გააფთრებით ებრძოდა.

აღსანიშნავია, რომ ღირსეულად მოიქცნენ ნიკოლოზ II-თან დაახლოებული სხვა კავკასიელებიც, როგორც მის ამაღლებაში მყოფნი, ასევე ე. წ. „ველური დივიზიის“ მეომრები, რომლებიც სხვა საჯარისო ნაწილებისგან განსხვავებით, არც ბოლშევიკურ პროპაგანდას აყოლიან და არც დეგრადაცია განუცდიათ, ნიკოლოზ II-ს კი ბოლომდე უერთგულეს.

რევოლუციურ, აბოხოქრებულ პეტროგრადში მამა-შვილი გიორგი და დიმიტრი შარვაშიძეები 1917 წ. 11 ოქტომბერს ხვდებიან ერთმანეთს და მომავლის გეგმებს დააწყობენ. ეს შეხვედრა უკანასკნელი აღმოჩნდება. მათი გზები სამუდამოდ გაიყრება. დიმიტრი გატყინოში დაბრუნდება. გიორგი ყირიმში გაემგზავრება.

პეტროგრადშივე, ასევე უკანასკნელად ერთმანეთს გიორგი შარვაშიძე და შალვა ნუცუბიძე შეხვდებიან. არსებობს შ. ნუცუბიძის ზეპირი გადმოცემა ამ შეხვედრის თაობაზე, რაც ქართველ და აფხაზ მეცნიერთა შრომებში აისახა (გ. ძიძარია,

ო. ჭურღულია, გ. გურგულია). აი, რას ყვებოდა შ. ნუცუბიძე: როდესაც 1917 წელს უკვე საბოლოოდ მომწიფდა საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის საკითხი. პეტროგრადში მიმავლინეს, სადაც მოსაგვარებელი იყო მთელი რიგი საკითხებისა, მათ შორის საქართველოს რკინიგზით ივანე ჯავახიშვილისა და იოსებ ყიფშიძის უმდიდრესი ბიბლიოთეკების გამოგზავნა, რომლებიც ამ კეთილშობილმა მოღვაწეებმა უსასყიდლოდ გადასცეს ჯერ კიდევ არარსებულ თბილისის უნივერსიტეტს. პეტროგრადში დიდი არეულობა იყო. ერთნი ზეიმობდნენ ახალი სამშობლოს დაბადებას, ხოლო მეორენი გარბოდნენ მისგან. ამ მღელვარე ქალაქში ვნახე თბილისში გუბერნატორად ნამყოფი გიორგი შარვაშიძე, ახოვანი, ლამაზი და მოსული ჭალარა კაცი, რომელსაც მისალმების შემდეგ გავაცანი ჩემი პეტროგრადში ყოფნის მიზანი. მასზე დიდი ზემოქმედება მოახდინა ცნობამ იმის შესახებ, რომ თბილისში უნდა დაარსდეს უნივერსიტეტი, გულიც კი აუჩუყდა. შემდეგ ჩვენდა მოულოდნელად შემოგვთავაზა თავისი უნიკალური ბიბლიოთეკა: „ჩემგან უსასყიდლოდ ჰქონდეს თბილისის უნივერსიტეტს“. ჩვენც, რასაკვირველია, მივიღეთ ეს საჩუქარი. სამივე წიგნსაცავი გამოვაგზავნე საქართველოში. სამწუხაროდ, მოხდა ის, რისი წარმოდგენაც კი შეუძლებელია. იმ არეულ დროს, ის ვაგონი, რომელშიც ი. ჯავახიშვილის, ი. ყიფშიძისა და გ. შარვაშიძის წიგნები იყო, გზაში დაიკარგა, დაინვა. ასე დაიღუპა დიდი ეროვნული განძი.

დღემდე გ. შარვაშიძის ბიბლიოთეკის თაობაზე ეს ცნობა შალვა ნუცუბიძის ზეპირი გადმოცემის მიხედვით იყო ცნობილი. მას სად არ ეძებდნენ, შ.ნ უცუბიძის არქივშიც, მაგრამ ვერ მიაკვლიეს. მისი უტყუარობა, რაც გ. შარვაშიძის მიერ თბილისის უნივერსიტეტისთვის მისი ბიბლიოთეკის გადაცემას ეხება, ახლა უკვე დიმიტრი შარვაშიძის ერთი წერილის საფუძველზე შეიძლება დავადასტუროთ. იგი კიევიდან, სადაც გიორგი მაჩაბლის თანამებრძოლ ნესტორ ერისთავთან ცხოვრობს, დედას წერს (1918 წ. 18 დეკემბერი), რომ მან ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ მაისის თვეში გადასცა, მისი სიტყვებით, ჩვენ კომიტეტს, რო-

მელიც თბილისის უნივერსიტეტთან დაკავშირებული ორგანიზაციული საქმეებით არის დაკავებული.

როგორც აღინიშნა, მამასთან 11 ოქტომბერს შეხვედრის შემდეგ დიმიტრი გატჩინოში დაბრუნდა. მაგრამ სულ რამდენიმე დღეში ზამთრის სასახლის ალების თვითმხილველი და მოწმე გახდება, რასაც შვილის, პატარა ლევანის თვალითაც აღწერს.

1917 წ. 24 ოქტომბერს (ახალი სტილით 6 ნოემბერს) დიმიტრი ცოლ-შვილთან ერთად ერთი დღით გატჩინოდან პეტროგრადში ჩადის. მოვლენების სწრაფი განვითარებისა და გზების გადაკეტვის გამო, იგი იძულებულია ერთი კვირა აქ დარჩეს და საკუთარი სახლის ფანჯრებიდან უყუროს დიდ ისტორიულ დრამას – ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებას: „25-ში (7 ნოემბერს), – წერს იგი, მოწმე ვხდები ზამთრის სასახლის მიმართულებით სროლის, განადგურებისა და ძარცვის. ამის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში ქუჩებში სროლებს ჰქონდა ადგილი, რომელიც 29-ში ყველა სამხედრო სასწავლებლების შტურმით დასრულდა, იუნკერები და კადეტები ნაწილობრივ ამონყვიტეს და ნაწილიც პეტროგრადის ციხეებში გაამწყვდეს... ერთი ჭურვი ჩვენს სახლსაც მოხვდა. განსაკუთრებით შემზარავი იყო ღამით ჩაბნელებული ქალაქი, როდესაც ფონტანკის სანაპიროზე ტყიამფრქვევებიდან და ბრონევიკებიდან ისვრიან...“.

ჩემ პატარა ბიჭს, წერს დ. შარვაშიძე, თავი ვაჟკაცურად ეჭირა, მხოლოდ 7 ნოემბერს აღელდა, როდესაც უწყვეტი კანონადა დაიწყო ზამთრის სასახლის მიმართულებით, შემდეგ უკვე ყველაფერს მშვიდად იტანდა. ნევის პროსპექტზეც, როდესაც სროლებში მოხვდნენ და კინალამ დაილუპნენ, ბავშვი ისევ საოცრად თავდაჭერილი იყო.

დიმიტრი მწვავედ განიცდის იმასაც, რომ ადამიანებთან ერთად ილუპებთან ნიგნები, ისტორიული ნივთები და ძეგლები, რომლებიც გადაურჩნენ გარეშე მტრებისა და თვით ნაპოლეონის შემოსევას. იძარცვება მუზეუმი და ერმიტაჟის უნიკალური ექსპონატებიც ნაწილობრივ გაიძარცვა, ნაწილიც ბოლშევიკებმა გაყიდეს იმ უცხოელებზე, ასეთ დროს ჩასაფრებულები ყვე-

ლანაირად ხელს რომ ითბობენ. დ. შარვაშიძის მიერ აღწერილი ეს სურათიც, როგორც სახელმწიფო გადატრიალების შედეგი, ჩვენთვისაც ასევე კარგადაა ცნობილი.

დ. შარვაშიძე, საერთო ატმოსფეროსა და მოსახლეობის განწყობის გადმოცემისას, იმ რეალურ სურათს ხატავს, რაც დიამეტრალურად განსხვავდება საბჭოთა პროპაგანდისტული სიცრუისგან. მისი სიტყვებით, „პეტროგრადის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი და მისი გარნიზონი ბოლშევიკების წინააღმდეგი იყო“. იგი იმასაც აღნიშნავს, თავად ბოლშევიკებისთვის გამარჯვება იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ გაოგნებულები ისეთ კანონებს გამოსცემდნენ, ჯერ სამყაროს რომ არ ახსოვს და არც გაეგო.

რუსეთი უფსკრულისკენ მიექანება, წერს იგი, – ხოლო ხალხის სურვილია, რომელიც ადრეც იყო თავის ხელისუფლებასთან გაუცხოებული, პეტრო-პავლოვსკის ციხეში, მეფისა და პირველი რესპუბლიკის მინისტრების გვერდით იხილონ ბოლშევიკების მინისტრებიც. რუსეთში მოთარეშე ამ ძალებს დიმიტრი შეიარაღებულ ბანდებს უწოდებს, რომელნიც დემოკრატიისა და თავისუფლების, ხალხის სახელით მოქმედებენ და სინამდვილეში კი ძარცვა-გლეჯით არიან დაკავებული, რაც შარვაშიძეების ოჯახსაც შეეხო. მათაც პირნმინდად გაძარცვავენ, ბავშვის ტანსაცმელსა და საცვლებსაც კი არ დაუტოვებენ და ფაქტობრივად, შიმშილისთვის გასწირავენ. ასევე შარვაშიძეების მთელი ქონების კონფისკაციას (სახლი გატყინოში და სხვ.) მოახდენენ, მხატვრული კოლექციის ნაწილს დაწვანენ. ამასაც არ აკმარებენ და 1918 წ. 2 დეკემბერს დიმიტრის დააპატიმრებენ, დააპატიმრებენ მის მეუღლესაც, რასაც სამ დღეში შინაური პატიმრობით შეუცვლიან. მხოლოდ საქართველოს საკონსულოს ჩარევით პეტროგრადში, დ. შარვაშიძეს, რომელსაც საბჭოთა რუსეთში ცხოვრება აეკრძალა, გაათავისუფლებენ. იგი ე. წ. ქართული მატარებლით სამშობლოსაკენ გამოემგზავრება, დამოუკიდებელ საქართველოში, რომელთანაც კავშირი 1918 წ. იანვარში შეწყდა. მაგრამ ბოლშევიზმი აქაც მოსწვდება. აფხ-

აზეთში ჩასულს, სადაც მურნეობას მიჰყოფს ხელს, მას დააპატიმრებენ და ციმბირში გადაასახლებენ, რითაც სამშობლოდან სამუდამოდ ამოაკვეთინებენ ფეხს.

რამდენიმე წლის წინ მოსკოვში გამოიცა იმპერატრიცა მარია ფედოროვნას დღიური, რომელშიც ყირიმში მისი ლტოლვილობის პერიოდიცაა აღწერილი და სადაც გ. შარვაშიძეც ფიგურირებს (*Дневники императрицы Марьи Федоровны*, 2005). მაგრამ მას სწორედ ის ფურცლები აკლია, რაც განსაკუთრებით მაინტერესებდა და გ. შარვაშიძის ყირიმში ყოფნას უკავშირდებოდა. თუმცა შენარჩუნებულია ფურცლები, საიდანაც ჩანს, როგორ ელოდებოდა იგი ყირიმში გ. შარვაშიძის ჩამოსვლას, რომლის საზოგადოებაშიც, მისი სიტყვებით, პირველად ამდენი ხნის შემდეგ გაიცინა. გიორგი, ყოფილი იმპერატრიცას სიტყვებით, მას ფრანგულად მიმართავს და ჰკითხავს: „თქვენ მართლა კმაყოფილი ხართ ჩემი ნახვით“.

არ უნდა დაგვავიწყდეს, როდესაც გიორგი ყირიმში გაემგზავრა, ეს ის დრო იყო, ბევრი რომ მაღავდა სამეფო ოჯახთან კავშირსა და სიახლოვეს, მათ გაურბოდნენ. ამ ვითარებაში შარვაშიძე ფაქტობრივად სიცოცხლის რისკის ფასად ჩადის ყირიმში, სადაც ასევე დიდი არეულობა იყო დაწყებული და სადაც შიდა პატიმარი ხდება. იზოლირებულები ვართ გარე სამყაროსგან, წერს შარვაშიძე, არავის მიღების უფლება არა გვაქვს, ტელეფონები გათიშულია, არ ვიცით თუ რა ხდება ირგვლივ, ჩვენ ხომ განსაკუთრებული მოულოდნელობების ეპოქაში ვცხოვრობთ, და ყოველდღე გვიხდება შევძახოთ თბილისურად: „ვაჰ, ეს რა ხდება.“ ეს არის გ. შარვაშიძის მიერ ყირიმიდან (დიდი მოხერხებით) გაგზავნილი წერილი, რომლის ადრესატიც დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძეა (Государств. архив российской федерации, ф. 670. оп. 1, д. 431, л. 15-18 ონ).

მარია ფედოროვნაც იგივეს აღნიშნავს თავის დღიურში, თუ ბოლშევიკებისგან როგორ დამცირებას განიცდის და ასეთივე შეურაცხმყოფელ ჩხრეკებს. თუმცა, გიორგი შარვაშიძის სიტყვებითაც, იგი არ კარგავდა ადამიანურ სახესა და ღირსე-

ბას, თვით იმ მეზღვაურებთანაც, რომლებიც მის სალამს სალამით არ პასუხობდნენ და აბუჩადაც იგდებდნენ. არსებობს ამ ვითარების ამსახველი ფოტომასალაც. ამ მეზღვაურთა სახეები გაშფოთებთ და გაშინებთ და გაგონებთ იმ სახეებს საქართველოში, XX ს-ის ბოლოს ე.წ. „დემოკრატიული რევოლუციის“ დროს რომ გვინახავს.

დღიურის კითხვისას, სადაც იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნას სალდათები ხალხის სახელით გასაჩხრეკად, თანაც საძინებელში უცერემონიოდ შეუვარდებიან, ქართველ დედოფალ მარიამ ბაგრატიონთან დაკავშირებული ის სცენა გაგახსენდებათ, როდესაც მასაც ასევე საძინებელში, ასევე უცერემონიოდ ასეთივე მოძალადე გენერალი ლაზარევი (ეროვნებით სომეხი) შეუვარდება. ამას იგი რუსეთის იმპერატორის ბრძანებით გააკეთებს, რათა რუსეთში ქართული სამეფო ოჯახის სხვა წევრებთან ერთად გასახლება აღასრულოს. თუმცა მას ეს შეურაცხყოფა სიცოცხლის ფასად დაუფჯდება. ერთი ვერსიით, შეირაცხყოფილმა დედოფალმა იგი თავისი ხელით მოკლა, მეორე ვესიით კი, იქ მყოფმა ხიმშიაშვილმა. ეს ის გენარალი ლაზარევი, რომლის ქმედებასაც წიგნში „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“ აღწერენ თამარ და აკაკი პაპავები. ლაზარევი 1801 წ. 16 თებერვალს დაიბარა ქართველები და მათ სამეფო ტახტის სრული გაუქმება აუწყა. როდესაც მან სიონს ჯარი შემოარტყა ამ აქტის გამოსაცხადებლად, თბილისის სომხობასა და სასულიერო წრეებს უკვე დიდი ზეიმი ჰქონდათ გამართული საქართველოს უძველესი სამეფოს გაუქმებასთან დაკავშირებით. თუმცა სომხობას მანამდეც, წინასწარ ჰქონდა დღესასწაული გადახდილი. რუსი ისტორიკოსი პოტო ნერს, რომ მათ ეს ზეიმი ცხრა დღით ადრე, 7 თებერვალს ჩაატარეს.

სომეხთა ამ ქმედების თაობაზე ივანე ჯავახიშვილი წერს: „საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის წყალობით, სომხები თავიანთთვის საქართველოში აუცილებელი განადგურებისგან თავშესაფარს პოულობდნენ. მადლობის მაგიერ კი, საქართველოს შინაურ საქმეებში გარეშე ძალის ჩარევასთვის

ცდილობდნენ და რუსეთის ქვეშევრდომობისა და მფარველობის მიღებით ჩვენში მინა-წყლის მიღება სურდათ. მათი საქციელი საქართველოს დამოუკიდებლობას უთხრიდა ძირს და ჩვენს ქვეყანაში რუსეთის გაბატონებას უწყობდა ხელს. რამდენად ეს არაშორსმჭვრეტელური პოლიტიკაა, ამას მომავალი გვიჩვენებს“.

ცხადია, მინა-წყლის მიტაცებაში აფხაზეთიც შედიოდა, რასაც ფულითა და შემდეგ XX ს 90-იან წლებში, ისარგებლებენ რა საქართველოს უმძიმესი მდგომარებით, უკვე იარაღით განახორციელებენ. მაგრამ საქართველოს დასუსტებით ისინი იმ რაელობაში აღმოჩნდნენ (მსოფლიოში არსებული პროცესების გათვალისწინებით), რის თაობაზეც ივანე ჯავახიშვილი ზემოთ აღნიშნულ პროგნოზს აკეთებდა.

რაც შეეხება ყირიმში მყოფი ტყვეების მდგომარეობას, ის მეტისმეტად მძიმე იყო. არც გიორგიმ და არც მარია ფეოდოროვნამ არაფერი იცოდნენ შვილებისა და შვილიშვილების შესახებ. იმპერატრიცა თავისი ოჯახისა და გიორგის შვილის, დიმიტრის შესახებაც წუხდა, რომელსაც ელოდებოდნენ და არ ჩანდა. დიმიტრის წერილიდან ირკვევა, იგი აპირებდა ყირიმში გავლას, მაგრამ ქაოსის გამო მოგზაურობა გაძნელებული და ზოგჯერ შეუძლებელიც იყო. ერთი პერიოდი მან მხოლოდ ის იცოდა, რომ მამამისი გიორგი ცოცხალი იყო, მაგრამ ფაქტობრივად პატიმარი.

ასეთ უმძიმეს ვითარებაში მარია ფეოდოროვნა საგანგებოდ აღნიშნავს, თუ რას ნიშნავს მისთვის ყირიმში შარვაშიძის ჩასვლა, რომელიც მას ამხნეებს და რომელსაც იუმორის გრძნობა ამ მძიმე სუტუაციაშიც არ ღალატობს. ზოგჯერ იგი ხუმრობითაც აღუწერდა თუ რას დამართებდნენ მათ დემოკრატიისა და კაცთმოყვარეობის სახელით მოპარპაშე ბოლშევიკები.

გ. შარვაშიძე და მარია ფეოდოროვნა, ფაქტობრივად, მთელი დღე განუყრელად არიან ერთად. გიორგი აღნიშნავს, რომ იგი დილიდან პირველის ნახევრამდე მასთან არის, შემდეგ უკვე ორიდან რვის ნახევრამდე (Государств. архив российской

федерации, ф. 670. оп. 1, д. 431, л. 15-18 об). შემდეგ თავისთან მიდის და ყირიმში ჩამოტანილ წიგნებს კითხულობს. ამ შემთხვევაშიც მრავლისმეტყველად გვეჩვენება, რომ ერთ-ერთი ასეთი წიგნი კავკასიასა და კავკასიის ომებზეა, რუსეთის კავკასიის მიმართ პოლიტიკაზე.

აღსანიშნავია, რომ ყირიმში, თავად უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი გ. შარვაშიძე ყველაფერს აკეთებს მარია ფეოდოროვნას გადასარჩენად. იგი დაკავშირებას ახერხებს დანიის წარმომადგენელთან, ვისაც ტყვე დედოფლის გამოხსნასა და ამ გაუსაძლისი მდგომარეობიდან გათავისუფლებას სთხოვს (Det Koblige Bibliotek, Kobenhavn (წერილი ფრანგულად არის დანერული). ცნობილია, რომ 1918 წ. რომანოვებისა და ამ პატიმრების დახვრეტაც გადანყვეტილი იყო და ლენინის ბრძანებას ელოდებოდნენ.

გ. შარვაშიძე მარია ფეოდოროვნას არ უჩვენებდა თავის მძიმე განწყობასა და დარდს, ამიტომაც მისთვის იგი მუდამ მხიარული და ხალისიანი იყო. და უცებ ყველასთვის მოულოდნელი რამ მოხდება.

1918 წ. 26 მარტს, ყირიმში, როდესაც დილას გიორგი შარვაშიძის ოთახში შევლენ, იგი გარდაცვლილი დახვდებათ. მარია ფეოდოროვნასთვის, რომელიც გიორგის დღიურებში თავის ძვირფას თავად შარვაშიძეს უწოდებს, ეს ნამდვილი ტრაგედია იყო. იმ ოთახში, სადაც გიორგი გარდაიცვალა, იგი სამლოცველოს მოაწყობს. მოგვიანებით მის განცდებს შარვაშიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებულს, თვითმხილველები – გრაფინია კლენიმხელი და სხვები აღწერენ.

როგორც თავადმა ს. დოლგოროუკიმ უამბო დიმიტრის, რომელმაც მას მამის გარდაცვალება გააგებინა, გ. შარვაშიძისადმი პატივისცემა იმდენად დიდი იყო, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ უფლება მისცა, შიდა პატიმრობაში მყოფ სამეფო ოჯახსა და კარის მოხელეებს უკანასკნელ გზაზე გაეცილებინათ იგი, რის შემდეგაც უკანვე შემოაბრუნეს.

თანამედროვეთა მოგონებების მიხედვით, როდესაც ინ-

გლისელებმა მარია ფეოდოროვნა გემით ყირიმიდან გაიყვანეს, დიდხანს დადიოდა ხმები, რომ გიორგი შარვაშიძე ცოცხალი იყო და იგი სამეფო ოჯახის წევრებს ევროპაში გაჰყვა.

ბოლო დროს გამოჩნდა ინფორმაცია, რომ არსებობს გ. შარვაშიძის დღიური, რომელიც იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნამ (მისი ერთ-ერთი ქალიშვილის ცნობით), დანიაში თან წაიღო. ამ და გ. შარვაშიძესთან დაკავშირებული სხვა მასალების მიხედვით, საინტერესო უნდა იყოს დანიისა და ინგლისის არქივები, რომლებიც ბევრად გაამდიდრებდა ჩვენს ცოდნას ამ ეპოქასა და საქართველოზე.

დემიტრი შარვაშიძის წერილების გამოქვეყნება, რომლებიც ეპოქის ნამდვილი დოკუმენტია და რომანივით იკითხება, მრავალი თვალსაზრისით საინტერესო იქნებოდა. ეს წერილები საშუალებას იძლევა, გავერკვეთ არა მხოლოდ XX ს-ის დასაწყისის მოვლენებში, არამედ გავიაზროთ მთელი XX საუკუნე, მისი ბოლო პერიოდის ჩათვლით. ამავე დროს გამოვიტანოთ საჭირო დასკვნები და ერს ჭეშმარიტი ორიენტირები დავუახლოთ სამშობლოს მსახურებისა და ერთგულებისა, განათლებისა და გამოცდილების, სახელმწიფოებრივი აზროვნებისა ისეთი პიროვნებების მაგალითზეც, როგორც გიორგი შარვაშიძე და მისი თანამოაზრეები იყვნენ. გამოვიყვანოთ ასეთი მოღვაწეები არქივის ფოლიანტებიდან და ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და პოლიტიკის თანამონაწილეებად გავხადოთ.

P. S. აღნიშნული ნაშრომს დღევანდელი გადასახედიდან კიდევ უფრო სხვა დატვირთვა აქვს. მით უმეტეს, როდესაც აფხაზებისა და ქართველების დაპირისპირების შედეგად, აფხაზეთში გამარჯვებული სულ სხვა ხალხი აღმოჩნდა. ამის სხვადასხვა მიზეზთა შორისაა ჩვენი საერთო წინაპრების გზიდან გადახვევა, რომელთაც გაცნობიერებული ჰქონდათ ჩვენი გათიშვისა და დაპირისპირების სავალალო შედეგები. ცხადია, მნიშვნელოვანია ორივე მხარის აგენტურის დამსახურებაც, რაც შიდა ლალატის ტოლფასია.

მართალია, რუსეთის იმპერიამ როგორც აფხაზეთში, ისე

სრულიად საქართველოში მოიმკო თავისი მოქმედების შედეგები, მაგარამ რამდენად ეს გამარჯვება გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს, თანაც დღევანდელ მსოფლიო მასშტაბით განვითარებული ურთულესი მოვლენების ქრილში. რამდენად „წარმატებულია“ რუსეთის იმპერიის პოლიტიკა საქართველოსა და კავკასიაში.

თუ კი გავაცნობიერებთ აღმოსავლეთისა და ისლამიზაციის მზარდ გავლენას რეგიონსა და მთელს მსოფლიოში, რუსეთისთვის არც თუ სახარბიელო სურათს მივიღებთ. საქართველოში, რომლის დასასუსტებლადაც იმპერიამ და მისი პოლიტიკის გამტარებლებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს, შედეგები თუ კი ეს პროცესები არ შეჩერდა, უმძიმესი იქნება. რუსეთი ქართველების ნაცვლად თავის საზღვართან მიიღებს სერიოზულ საფრთხეს – აღმოსავლეთს, მილიარდიანი და მილიონიანი უახლოესი ტექნოლოგიებითა და უზარმაზარი მატერიალური შესაძლებლობის ახლო და შორეული აღმოსავლეთის ხალხს, ძირითადად ისლამის ამღიარებელს.

ზემოთ ივანე ჯავახიშვილი დავიმონმეთ, რომლის სიტყვებითაც სომხები საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის წყალობით საქართველოში აუცილებელი განადგურებისგან თავშესაფარს პოულობდნენ. საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ძირის გამოთხრა მას სომხების არაშორსმჭვრეტელურ პოლიტიკად მიაჩნდა და აღნიშნავდა, ამას მომავალი გვიჩვენებსო. ჩვენი თვალსაზრისით, ეს მომავალი უკვე დადგა, როდესაც სომხების ერთი ნაწილის არასწორი პოლიტიკის წყალობითაც დასუსტებულ საქართველოში შემოდიან თურქები და აღმოსავლეთის სხვა ხალხები, როგორც ეს მოხდა აჭარაში და სხვაგან. ამ პროცესების გაღრმავებით, ისინი მათთვის საშიშ ხაფანგში აღმოჩნდებიან, მარტო, უზარმაზარი ისლამური სამყაროს წინაშე. ამას უკვე გრძნობს ზოგიერთი სომეხი და აშფოთებს კიდევაც მათ ამდენი თურქის, არაბის, ჩინელისა და სხვათა საქართველოში შემოსვლა.

ამიტომ დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე ურთულესი

და საშიში მოვლენები, მსოფლიოში ძალთა ახალი გადანაწილება ახალ მიდგომასა და მოლაპარაკებებს ითხოვს, რაც ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მხარისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ პირობად მიგვაჩნია.

History of the Society of Georgia (19th-20th Centuries) from Today's Perspective

(Summary)

In 1956 the Leningrad Historical Archives handed over to Tbilisi Historical Archives the archives, consisting of different materials, of Giorgi Sharvashidze, son of Dimitri. There are preserved business and private correspondence, history of Sharvashidze family, written by Giorgi Sharvashidze, from which is clear his position, in particular, importance of indivisibility and unity of Abkhazia and Georgia. The archives make us able to consider in a new way the most important epoch for us and connected with it political events. This became possible by introducing the materials, unknown till today for Georgian and foreign (Russian, European) historiography. The archives enrich Giorgi Sharvashidze's life and activities with new biographical traits too. He occupied high positions both in Georgia and in Petersburg. Once a Governor of Tbilisi, he was known in Georgia as a great statesman and philanthropist. He was ideologically and friendly connected with Ilya Chavchavadze. Based on the interests of Georgia he had business relations with Ilia's nephew Kote Abkhazi, who laid a great foundation in the independence of Georgia. After being transferred to Petersburg, he becomes the steward of Nicholas II's mother's court. He had business and friendly relations with European monarchs. He continued again to care about Georgia. He donated his unique library to the newly founded University of Tbilisi. Giorgi's son Dimitri, also a high official of the Empire, shared his views. It was Dimitri Sharvashidze's letters that caught my attention. Most of them are written in Russian and only few – in French. The letters were not published, as they were unaccept-

able for the Soviet system. The addressee of the letters is Dimitri's mother Maka Nikolay-Sharvashidze and are written in the years 1896-1918. The author describes the life of the Royal Court in Petersburg, Georgian and Russian society, analyses the current events during this period, including in relation to Georgia. In this respect, the prediction Sharvashidzes made in 1917, the situation, when the empire was collapsing, is very important. In their opinion, if the national government does not come to power in Georgia, not only will Abkhazia's remaining part of Georgia be doubtful, but the question of presence or absence of Georgia may also arise. It can also be seen how a generation deceived and disappointed by Russia has grown up in Georgia. It can also be seen how strong the historical memory and Georgian-Abkhaz connection was. It is their merit that Abkhazia did not join Russia in 1916, as a result of which the demographic picture of Abkhazia would have changed even more, the mechanisms of unity, which guaranteed the survival of Abkhaz-Georgians, would have been destroyed. Giorgi and Dimitri Sharvashidzes, the most educated, decent persons of their time, did not submit neither to the Russian Empire, nor to the West. They were supporters of only partnership relations. From Dimitri's letters also becomes clear that Giorgi, this noble and courageous person, did not leave the former queen Maria Feodorovna, exiled from the Bolsheviks, in need and did everything to save her. In the result of this the queen took refuge in her homeland Denmark and survived

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ასლანიშვილი ა., ქარიშხლიანი დღეების ქრონიკები, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1996 წ., 19, 23 ოქტომბერი.

ბიბილეიშვილი ც., „ბავშვების წერილები,“ ქართველოლოგია, თბ., 2012, 2.

ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861, მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, თბ., 1934.

გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა), თბ., 1958.

გაბაშვილი მ., განათლება და დავით კურაპალატის პოლიტიკა, თბ., 2008.

გაბაშვილი რ., რაც მახსოვს, თბ., 1992.

გაზეთი „დროება“, 1881 წ. № 22.

გაზეთი „კვალი“, 1897 წ., № 31.

გაზეთი „ივერია“, 1892 წ., 86.

გაზეთი „ივერია“, 1898 წ., № 78.

გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, თბ., 1970.

ლასხიშვილი გ., მოგონებები, თბ., 1934.

მგელაძე ვ., 26 მაისი, პარიზი, 1934.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1916, № 23.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 416, ანაწ. 3, საქმ.1020.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, გ. დ. შარვაშიძის ფონდი, 1719.

სახოკია თ., მოგზაურობანი, თბ., 1950,.

შარვაშიძე გ., ლირიკა, ეპოქა, დრამა, აკად. ს.ჯანაშია სრედაქციითა და ნინასიტყავობით, სოხუმი, 1946. წერეთელი ა., ჩემი თავგადასავალი, თხზულებანი, II, თბ., 1992.

ჭურღულია ო., ქართულ-აფხაზური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობანი, თბ., 1983.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ე. ვეიდენბაუმის კარტოთეკა, „განყ. გ. დ. შარვაშიძე“.

ჯინჭარაძე ე., „...იცოდეთ კარგად!, „ ქართველოლოგია, თბ., 2014, 3.

Вите С. Воспоминания, т. 2, М., 1960.

Государств. архив российской федерации, Ф. 670. оп. 1, д. 431, л. 15-18 об.

Дневники императрицы Марьи Федоровны, М., 2005.

Отречение Николая II, Воспоминания очевидцев, документы, Полк. А. А. Мордвинов, Последние дни императора, Л., 1927.

საგარეო პოლიტიკის საკითხები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში¹

დამფუძნებელი კრება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან რამდენიმე თვეში შეიქმნა. ამ ხნის განმავლობაში უკვე ჩამოყალიბდა დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ინსტიტუციები – სამინისტროები, უწყებები, დეპარტამენტები და მათ შორის, საგარეო საქმეთა სამინისტრო (როგორც მაშინ ზოგჯერ უწოდებდნენ – გარეშე საქმეთა სამინისტრო). გამოიკვეთა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიზნები, პრიორიტეტები და მიმართულება, რომლებიც ჯერ კიდევ 1918 წლის 26 მაისს მიღებულ დამოუკიდებლობის აქტში იყო ხაზგასმული.

საყოველთაო არჩევნების გზით შექმნილ დამფუძნებელ კრებას, როგორც „ერის უზენაეს ბატონს“, უნდა განეგრძო ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობა და მისი დემოკრატიული განვითარება. კრების პრეროგატივა იყო ასევე, რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ვექტორის განსაზღვრა.

საქართველოს დამფუძნებელ კრებაში საგარეო პოლიტიკის შესახებ საკითხი პირველად 1919 წლის 14 მარტს დაისვა. ნოე ჟორდანიამ დამფუძნებელი კრების მიზნებად რევოლუციის მონაპოვართა ნაყოფის განვითარება, მისთვის შესაფერი იურიდიული და პოლიტიკური კალაპოტის შექმნა და „მუდმივი საგარეო მყუდროების დამკვიდრების“ ამოცანა განსაზღვრა. მთავრობის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დიპლომატიური საშუალებებით მოკავშირეებთან მეგობრული განწყობილება დაამყარა. „დეღეგაცია საზავო კონგრესზე გავგზავნეთ და ჩვენ ეჭვი არ გვა-

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის „საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება“ ფარგლებში. გრანტის კოდი: FR – 18 – 20157

ქვს, იმაში, რომ ჩვენ ხალხთა ლიგაში შევალთ, როგორც სრულ უფლებიანი წევრი, მეზობელ რესპუბლიკებთან მეგობრული დამოკიდებულობით (საქართველოს დამფუძნებელი, I, 2019: 30).

მმართველი პოლიტიკური ძალის – სოციალ-დემოკრატიული პარტიის მესვეურები მიიჩნევენ, რომ ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოსათვის საგარეო ურთიერთობაში საჭირო და აუცილებელი იყო „დემოკრატიულ ხაზის გატარება“, რომელიც არ იქნებოდა არც სოციალისტური და არც ვინრო ბურჟუაზიულ-ნაციონალური ხასიათის (საქართველოს დამფუძნებელი, I, 2019: 101).

იმ დროს „დემოკრატია“, განსაკუთრებით სოციალისტურ ლექსიკაში, ყველაზე ფართოდ გავრცელებული, შეიძლება ითქვას, მოდური სიტყვა იყო, რომლის შინაარსი არერთ ცნებას აერთიანებდა. მათ შორის გამოიყენებოდა, დაბალი სოციალური ფენების, – მუშათა კლასის, გლეხობის, ორივეს ერთად სინონიმად, ხოლო ზოგჯერ ერის მნიშვნელობითაც კი. მაგალითად, როდესაც რომელიმე სოციალისტი დეპუტატი იტყოდა, რომ „დემოკრატიის უზენაესი წარმომადგენელი არის დამფუძნებელი კრება“, – ტერმინ დემოკრატიაში ერი იგულისხმებოდა.

ქართველ სოციალ-დემოკრატთა აზრით, საერთაშორისო პოლიტიკაში დემოკრატიულობა ნიშნავდა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის „ძმობისა და სოლიდარობის“ პრინციპზე აგებას, რაც მნიშვნელოვანწილად იდეალისტური თვალსაზრისი იყო, მაგრამ თანხვდებოდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დიდი სახელმწიფოების მიერ დეკლარირებულ ძლიერ სამშვიდობო მისწრაფებას. მსგავსი პოლიტიკა და საერთაშორისო წესრიგი შთაგონებული იყო და დაეფუძნა აშშ პრეზიდენტის, ვუდრო ვილსონის მორალურ-სამართლებრივ კონცეფციებს, რომლის გამოხატულებასაც ერთა ლიგა წარმოადგენდა (პ. სენარკლენი, ი. არიფენი, 2015: 25).

რაჟდენ არსენიძე დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ხედვას ამ საკითხში ასე გამოხატავდა: „საერ-

თაშორისო ურთიერთობის მთავარი ძარღვი უნდა იყოს საერთო მშვიდობიანობისადმი მისწრაფება“. მეზობლებთან სადავო საკითხები უნდა გადაიჭრას დიპლომატიური გზით, მოლაპარაკებით, შეთანხმებით, არბიტრაჟის მეშვეობით (საქართველოს დამფუძნებელი, I, 2019: 101; 175).

მმართველი უმრავლესობის ამგვარი დოქტრინული ხედვის შემდეგ, შეიძლება უსაფუძვლოდ ჩანდეს ეჭვი, რომ თითქოს ნოე ჟორდანიას უკვე ერთპარტიული მთავრობა აპირებდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკას მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება გაძლოდა და სულაც არ იყო აუცილებელი რთულ დიპლომატიურ ლაბირინთებში გარკვევა 130-კაციან საკანონმდებლო ორგანოს ეკისრა, „მით უფრო, დამფუძნებელი კრების ოპოზიციას სცოდნოდა მთავრობის ყველა საიდუმლო“ (გ. მამაცაშვილი, 2013: 42).

ნოე ჟორდანიასა და მისი მთავრობის ზოგიერთ წევრს რომ მსგავსი თვალსაზრი ჰქონოდა, არ არის გამორიცხული თუ გავითვალისწინებთ იმ პერიოდის რამდენიმე კონკრეტულ ფაქტს. მაგალითად, როდესაც 1919 წლის იანვარში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიციალური დელეგაცია პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მიემგზავრებოდა, მთავრობის თავმჯდომარემ, ისე რომ მინისტრებთანაც კი არაფერი შეუთანხმებია, დელეგაციის მეთაურს კარლო ჩხეიძეს მოქმედების კონკრეტული გეგმა და ინსტრუქცია მისცა. დავალება ითვალისწინებდა, რომ თუ დიდი სახელმწიფოები ახლად წარმოშობილი ქართული რესპუბლიკის სუვერენიტეტის აღიარებისაგან თავს შეიკავებდნენ, დელეგაციას უფლება ჰქონდა ეზრუნა საერთაშორისო მანდატის მოსაპოვებლად და შეეძლო მიეღოთ ინგლისის ან საფრანგეთის მფარველობა საქართველოს შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პირობით (ო. ჯანელიძე, 2018: 246).

1920 წლის აპრილში, თბილისიდან მოსკოვში, რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ურატაძე გაიგზავნა. ეს მთავრობის თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილება იყო, რომელ-

იც მან მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს გაუზიარა (ნ. ჟორდანიას, 1990: 112). განაწესიც, რომლის თანახმადაც, წარგზავნილ დესპანს რუსეთისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება და საზღვრების ხელშეუხებლობა უნდა მოეთხოვა, მისთვის უშუალოდ ასევე ნოე ჟორდანიამ შეიმუშავა (ნ. ჟორდანიას, 1990: 112).

ამის მიუხედავად, სოციალ-დემოკრატიულ აღმასრულებელ ხელისუფლებას არ შეუცვლია ჯერ კიდევ კოალიციური მთავრობის დროს მოქმედი პრინციპი, რომლის თანახმად, დიპლომატიურ სამსახურში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები, მათ შორის, მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები თუ მათთან იდეურად ახლო მდგომი უპარტიო ადამიანები. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ უპარტიოები: ზურაბ ავალიშვილი, მიხაკო წერეთელი, მიხეილ სუმბათაშვილი, გიორგი სიმონ სიდამონ-ერისთავი, არისტო ჭუმბაძე, გიორგი მაჩაბელი და დავით ლამბაშიძე, ფედერალისტები სიმონ მდივანი და გრიგოლ რცხილაძე, ეროვნულ-დემოკრატი გრიგოლ ალშიბაია და სხვ.

ფაქტია, რომ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას დამფუძნებელ კრებაში ასარჩევი კომისიების ჩამონათვალში საგარეო საქმეთა კომისია არ შეუტანია, არადა, ამის სრული უფლება და შესაძლებლობა ჰქონდა. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს რეგლამენტი ითვალისწინებდა მუდმივი და დროებითი კომისიების შექმნას. დროებითი კომისიების ოდენობა განსაზღვრული არ ყოფილა, მუდმივმოქმედი კომისია კი სულ 4 უნდა აერჩიათ, თუმცა დამფუძნებელ კრებას შეეძლო გაეზარდა მათი რიცხვი.

პირველი მუდმივმოქმედი კომისიები (სარეგლამენტო, საკონსტიტუციო, საბიუჯეტო-საფინანსო და სარედაქციო) საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მესამე სხდომაზე, 1919 წლის 18 მარტს ჩამოაყალიბეს (საქართველოს დამფუძნებელი, I, 2019: 60-61). 29 მარტს შეიქმნა კიდევ 9 კომისია (შრომის, თვითმმართველობის, აგრარული, სახალხო

განათლების, სახალხო ჯანმრთელობის, სამხედრო, იურიდიული, ხელოვნების, საგზაო). სწორედ ამ დღეს გამოითქვა აზრი, რომ საჭირო იყო აერჩიათ ასევე, საგარეო საქმეთა კომისიაც. ინიციატორი ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია იყო, რომლის თვალსაზრისი გიორგი გვაზავამ გამოხატა. მისი განმარტებით, საერთაშორისო მდგომარეობა ისეთია, რომ აუცილებლად მოითხოვს, თვალი ვადევნოთ მის ყოველმხრივ განვითარებს. ეს კი მეტად ძნელი და მძიმე საქმეა. საჭიროა მუდმივად ვიყოთ საქმის კურსში და დაგვიანებით არ ვიგებდეთ განვითარებული მოვლენების შესახებ. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს დამფუძნებელმა კრებამ, რისთვისაც უნდა შეიქმნას შესაბამისი კომისია (საქართველოს დამფუძნებელი, I, 2019: 153).

ეს მოსაზრება არ გაიზიარა დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, რომლის წარმომადგენელმა ნოე ცინცაძემ განაცხადა, რომ მსგავსი კომისია პარლამენტში მართლაც არსებობდა, მაგრამ მას ფაქტობრივად არაფერი გაუკეთებია. ახლანდელ პირობებში საგარეო საქმეთა კომისიას შეიძლება საინფორმაციოთ ხასიათი მიეცეს. მისი არჩევა საჩქარო არ არის. თუ შემდეგში ქვეყანა საერთაშორისო ხასიათის ხელშეკრულებას დადებს, „მაშინ ჩვენ ამის და მიხედვით ასეთ კომისიას ავირჩევთ. ყოველ შემთხვევაში ამ საკითხს მერმე განვიხილავთ“ (საქართველოს დამფუძნებელი, I, 2019: 153-154).

ხმათა უმრავლესობით მიიღეს არა გიორგი გვაზავას, არამედ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მოსაზრება: საქართველოს დამფუძნებელ კრებაში საგარეო საქმეთა კომისია არ ჩამოყალიბებულა (საქართველოს დამფუძნებელი, I, 2019: 154).

ცნობილია, რომ დამფუძნებელ კრებაში სადეპუტატო მანდატების აბსოლუტურ უმრავლესობას მმართველი პოლიტიკური ძალა – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ფლობდა. დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ ვიტყვი, სოციალ-დემოკრატებს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში კვალიფიციური ანუ საკონსტიტუციო უმრავლესობა

ჰყავდათ. ეს მათ საშუალებას აძლევდათ, იოლად გაევლოთ ნებისმიერი საპარლამენტო პროცედურა და ჰქონოდათ მხარდაჭერა არა მხოლოდ რიგითი კანონ-პროექტის ან დეკრეტის დასამტკიცებლად, არამედ კონსტიტუციის მისაღებად ან მასში ცვლილებების შესატანად და სხვ.

ამ ტიპის უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვექტორის განსაზღვრის თუ მისი განხორციელების მიმართულებითაც ოპოზიციის ნებისმიერი განსხვავებული შეხედულების დაძლევისა და საკუთარი თვალსაზრისის გამარჯვების სრულ გარანტიას უქმნიდა. ასე მოხდა საგარეო საქმეთა კომისიის საკითხთან მიმართებაშიც. უნდა ითქვას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მმართველი პარტიის მხარეს თითქოს ფორმალური ლოგიკაც იყო, რადგან საქართველოს პარლამენტში მოქმედ საგარეო საქმეთა კომისიას, მართლაც, თავი არაფრით გამოუჩენია, მაგრამ ამას აქვს თავისი ახსნა. პარლამენტისა და ხსენებული კომისიის საქმიანობა სულ რაღაც ოთხი თვე გაგრძელდა (1918 წ. ოქტომბერი – 1919 წ. იანვარი). დროის ამ მონაკვეთში ახლად წარმოშობილი ქართული სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლით უფრო იყო დაკავებული, ვიდრე ინტენსიური საგარეო პოლიტიკის წარმოებით. ამ პერიოდში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არც ერთ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების ხელშეკრულება არ გაუფორმებია და არც რაიმე საკანონმდებლო ბაზა შემუშავებულა ქვეყნის საგარეო პოლიტიკისათვის. სწორედ ამ გარემოებას ეყრდნობოდა ნოე ცინცაძის თვალსაზრისი, რომ თუ დამფუძნებელ კრებაში საგარეო საქმეთა კომისია შეიქმნებოდა, მას მხოლოდ საინფორმაციო ხასიათი უნდა ჰქონოდა. სოციალ-დემოკრატ დეპუტატს არ დაუკონკრეტებია, რა იგულისხმებოდა „საინფორმაციო ხასიათში“. სავარაუდოდ, კომისია მოისმენდა ინფორმაციას აღმასრულებელი ხელისუფლების და კონკრეტულად, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობების

შესახებ, რომელსაც ცნობად მიიღებდა.

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია არ დააკმაყოფილა უმრავლესობის პასუხის არც ერთმა პუნქტმა – არც კომიის შექმნის გადავადების წინადადებამ და არც ჩამოყალიბების შემთხვევაში, კომისიის უფლება-მოსილების საინფორმაციო ხასიათით შემოზღუდვამ. ეროვნულ-დემოკრატებმა საკითხი პერიოდული პრესის მეშვეობით, დამფუძნებელი კრების კედლებიდან გარეთ, ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გაიტანეს. მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის გარშემო „ტორტმანი და გამოურკვეველი ლელვა“ არ წყნარდება, საქართველო ვერ დარჩება დიდი საერთაშორისო პოლიტიკის გარეშე, ფხიზლად და წინდახედულად უნდა ვიმოქმედოთ, – ნერდა პეტრე სურგულაძე გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში „დამფუძნებელი კრება და ჩვენი პოლიტიკა“. პოლიტიკოსის აზრით, „როცა მთელი ერი და მისი ტანჯვით მოპოვებული თავისუფლება ერთი შემცდარი ნაბიჯით შეიძლება განსაცდელში ჩავარდეს, უაღრესი მოვალეობა ჩვენი არის საგარეო საქმეებში ვიყოთ როგორც ერთი პიროვნება, შეთანხმებული და შეერთებული. ხოლო ასეთი შეთანხმება გულისხმობს, რომ ყოველთვის, ვიდრე დღეს რაიმე მძიმე დიპლომატიური ნაბიჯი გადაიდგმება, საქართველოს უმრავლესობის წარმომადგენელი მთავრობის პასუხისმგებელნი პირნი სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებსაც დაეკითხებიან და შეეცდებიან მათთან თანხმობით იმოქმედონ“. პეტრე სურგულაძე განმარტავდა, რომ „ასეთი მოქმედება პრაქტიკულადაც და ზნეობრივადაც აუცილებელია. ამიტომაც, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დამფუძნებელი კრება, ან უკეთ რომ ვთქვათ, მისი უმრავლესობა გაიაზრებდა ამ ელემენტარულ აზრს და იმ მრავალ კომისიათა შორის, რომელიც მან შექმნა, აუცილებელიც დაანესებდა საგარეო საქმეთა კომისიასაც. მაგრამ მოვსტყუვდით. ყოველგვარი კომისია ავირჩიეთ, ხოლო როცა მოვაცონეთ უმრავლესობას, საჭიროა საგარეო საქმეთა კომისიაც ავირჩიოთ, უარი მივიღეთ“.

წერილის ავტორი ცდილობდა აეხსნა და საზოგადოებისათ-

ვის განემარტა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო მმართველი პარტი-ის უარის მოტივი. იგი გამორიცხავდა ვარაუდს, რომ „ამ მიძიმე დროს ხელმძღვანელნი ერიდებიან ზოგიერთი საკითხის შესახებ წინასწარ, უდროოდ გახმაურებას“ და უფრო სარწმუნოდ დამფუძნებელი კრების უმრავლესობის წინდაუხედავონას მიიჩნე-და. პეტრე სურგულაძეს არ ტოვებდა განცდა, რომ ეს შეცდომა გამოსწორდებოდა, უახლოეს სხდომაზე ქვეყნის საკანონმდე-ბლო ორგანო ასეთ კომისიას ჩამოაყალიბებდა და დასძინდა: ამით „დამფუძნებელ კრებაში არსებულ ყველა საზოგადოე-ბრივ მიმდინარეობას საშუალება მიეცემა, თვალყური ადევნოს საგარეო საქმეებს და შეძლებისდაგვარად დახმარება გაუწიონ ამ მიძიმე მომენტში ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკურ ხელმძღ-ვანელთ“ (გაზ. „საქართველო“, 1919: 4 აპრილი).

ხსენებულ წერილს გამოხმაურება არ მოჰყოლია, ყოველ შემთხვევაში, პერიოდულ პრესაში ამის თაობაზე ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატები იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ უმაღლეს საკანონმდებლო ორ-განოში საგარეო საქმეთა კომისიის არსებობას, რომ გიორგი გვაზავამ 1919 წლის 6 მაისს დამფუძნებელი კრებაში კიდევ ერთხელ წამოჭრა ეს საკითხი. დეპუტატი კოლეგების დარწ-მუნებას საზღვარგარეთის სახელმწიფოთა გამოცდილების მოხ-მობით შეეცადა. აღნიშნავდა, რომ მტკიცე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მქონე ქვეყნებიც კი ქმნიან თავისებურ ორგა-ნოს, რომელსაც ავალებენ ხოლმე საერთაშორისო საქმის მონ-ესრიგებას. შვეიცარიაში ამ მიზნით მოქმედებს ფედერალური საბჭო; საფრანგეთში საერთაშორისო ხასიათის საკითხები პარ-ლამენტის გარეშე არ წყდება; ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება მეტად ძლიერია, ორივე პალატა ცალ-ცალკე მაინც ირჩევს კომიტეტებს, რომლებსაც ევალებათ თვალყური ადევნონ საგარეო საქმეთა წარმოებასა და მონესრიგებას.

გიორგი გვაზავას სიტყვებით, „დიდი სახელმწიფოები გა-რეშე საქმეთა წარმოებაში მარტო მინისტრს კი არ ემყარებიან;

რაც უნდა ნიჭიერი იყოს ერთი კაცი, ყოვლად შეუძლებელია, მარტო მისი იმედით ვიყოთ და მარტო მას მივანდოთ მონესრიგება და მონყობა ყველა ამ საკითხებისა“. არ არის საკმარისი, რომ დამფუძნებელ კრებას აქვს ხელშეკრულებათა რატიფიკაციის უფლება, დეპუტატებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ თვით მოლაპარაკებებსა და პოლიტიკურ მიმართულების შემუშავებაში. ამისათვის კი საჭიროა შევქმნათ კომიტეტი, როგორც ამერიკაში, ან კომისია, როგორც ჩვენ უნოდებთ ხოლმე, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ყველა ფრაქცია.

გიორგი გვაზავამ წამოაყენა წინადადება, რომ პროპორციულ საფუძველზე ჩამოეყალიბებინათ 10 კაციანი კომისია (5 სოციალ-დემოკრატი, 2 ეროვნულ-დემოკრატი, 2 სოციალისტ-ფედერალისტი და 1 სოციალისტ-რევოლუციონერი), რომელსაც დაევალებოდა უშუალო მონაწილეობა საერთაშორისო საკითხების მონყობაში და მის მონესრიგებაში (საქართველოს დამფუძნებელი, I, 2019: 343-345).

მმართველი პარტია ამჯერად დაეთანხმა ოპოზიციონერი დეპუტატის აზრს, მაგრამ გარკვეული ცვლილებით. თანხმობა იმითაც იყო გამონვეული, რომ იმ ხანად თბილისში მიმდინარეობდა სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს პირველი კონფერენცია, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას მიეძღვნა. მათ შორის: ტერიტორიული საკითხების გადანყვეტას, საერთო ძალებით დამოუკიდებლობის დაცვას, რკინიგზის, ფოსტა-ტელეგრაფის, მოსალოდნელი წინასწარი საფრთხის დროულად განმუხტვას და სხვ. (კონფერენცია, რომელიც პერიოდულმა პრესამ „კავკასიის ერთა პირველ კონფერენციად“ მონათლა (გაზ. „საქართველო“, 1919, 25 აპრილი), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით იქნა მოწვეული და 1919 წლის 27 აპრილს გაიხსნა).

ილია ფირცხალაიშვილმა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით განაცხადა, რომ მხარს უჭერენ საგარეო საქმეთა დროებითი კომისიის შექმნას 8 წევრის შემადგენლობით. კრებამ სწორედ ეს წინადადება დაამტკიცა – ანუ უნდა ჩამოეყალიბებუ-

ლიყო დროებითი კომისია, რომელიც იმავე სხდომაზე აირჩიეს შემდეგი შემადგენლობით: დიომიდე თოფურიძე, გერასიმე მახარაძე, იოსებ სალაყაია და კონსტანტინე ჯავარიძე (სოციალ-დემოკრატები), სიმონ მდივანი (ფედერალისტი), გიორგი გვაზავა (ეროვნულ-დემოკრატი) და ივანე გობეჩია (ესერი) (საქართველოს დამფუძნებელი, I, 2019: 344-345).

1919 წლის 8 მაისს, თავის პირველ სხდომაზე, კომისიამ, რომელსაც უძღვებოდა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე, ჩამოაყალიბა კომისიის პრეზიდიუმი. თავმჯდომარედ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელი დეპუტატი სიმონ მდივანი, თავმჯდომარის ამხანაგად – გერასიმე მახარაძე, ხოლო კომისიის მდივნად ესერი ივანე გობეჩია აირჩიეს (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, საქმ. 235: 1). სოციალ-დემოკრატებს არ გაუჭირდებოდათ კრების საგარეო საქმეთა კომისიის ხელმძღვანელიც თავიანთი ფრაქციიდან შეერჩიათ, თუმცა ეს აუცილებლად არ მიიჩნიეს და თავმჯდომარის პოსტი ოპოზიციას დაუთმეს. ამ ნაბიჯში უმრავლესობის მიერ უმცირესობათა უფლების აღიარება და ზოგადად, საპარლამენტო ცხოვრებაში დემოკრატიული კულტურის თვალსაჩინო გამოვლინებაც გამოსჭვივის. იგი იმის დასტურადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საქართველოს პირველ რესპუბლიკაში დემოკრატიული ღირებულებები მხოლოდ დეკლარირებული კი არ იყო, არამედ პრაქტიკაშიც ხორციელდებოდა. ეს ხშირად ასეც იყო, მაგრამ განსახილველი საკითხის შესწავლა ცხადყოფს, რომ ოპოზიციურ სპექტრს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა მმართველი პარტია ჯერ ამგვარი კომისიის შექმნის აუცილებლობაში დაერწმუნებინა, ხოლო შემდეგ იმაშიც, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას ცალკეულ საკითხში კომისიის თვალსაზრისისათვის ანგარიში გაენია.

როგორც ვნახეთ, საგარეო საქმეთა კომისია, როგორც მაშინ უწოდებდნენ – გარეშე საქმეთა კომისია – დროებით, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენციის

მუშაობის ვადით ჩამოყალიბდა, მაგრამ მალე მისი გარდაქმნის აუცილებლობაც გამოიკვეთა. ეს საკითხი უკვე საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 ივლისის პლენარული სხდომის დღის წესრიგში დაისვა. კომისიის თავმჯდომარე სიმონ მღვიანმა კომისიის სახელით, მისი მუდმივ კომისიად გარდაქმნა მოითხოვა, რაც ასე განმარტა: რესპუბლიკის წინაშე არსებობს სხვადასხვა მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლებიც მინისტრის და კომისიის შეთანხმებით უნდა გადაწყდეს. ამასთან, „საჭირო არის, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროს კავშირი ჰქონდეს ყოველ ფრაქციასთან და თავის დროზე ფრაქციებს ცნობა ჰქონდეს დღევანდელ გარეშე პოლიტიკის მდგომარეობაზე“. კომისიის არსებობა მუდმივად საჭიროა, რადგან „საჭიროა თვალ-ყური ვადევნოთ და ჩავერიოთ საგარეო სამინისტროს ცხოვრებაში, ისე, როგორც შესაფერი კომისიები ერევიან ამა თუ იმ უწყების მდგომარეობაში“ (საქართველოს დამფუძნებელი, II, 2019: 354).

დამფუძნებელმა კრებამ კენჭი უყარა საგარეო საქმეთა კომისიის წინადადებას და იგი უცვლელად დაამტკიცა. ამით საგარეო სამეთა კომისიამაც მუდმივი ხასიათი შეიძინა.

დამფუძნებელი კრების რეგლამენტით, მუდმივი კომისიები ერთი სესიის ვადით იქმნებოდნენ, ამიტომ ყოველი სესიის დასაწყისში საჭირო იყო მათი შემადგენლობის ხელახალი არჩევა და დამტკიცება (მუხლი 19) (საქართველოს დემოკრატიული, 1990: 242). კრების მეორე სესია 1920 წლის მარტში გაიხსნა. 16 მარტს მუდმივი კომისიის წევრები თავიდან აირჩიეს.

კომისიის შემადგენლობა ამჯერად 9 კაცით განისაზღვრა. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ლიდერმა ლეო შენგელაიამ წამოაყენა წინადადება, რომ ყოველ კომისიაში თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს თითოეულ ფრაქციას. წინადადებას მხარი დაუჭირეს ეროვნულ-დემოკრატებმა. გიორგი გვაზავამ განაცხადა: „კომისია ამზადებს კანონ-პროექტებს და კომისიაში ხდება ის უმთავრესი მუშაობა, რომელსაც ჰქვიან შეთანხმება. ...კომისიაში ხდება ერთმანეთს სხვა და სხვა აზროვნებანი და იქ ზოგჯერ ერთი კაცის ხმას, მის შეხედულებას აქვს დიდი

მნიშვნელობა საქმისათვის იმიტომ, რომ ზოგჯერ ამა თუ იმ მიმართულების კერძო აზრი აღძრავს აზრის მიმდინარეობას და კარგია თავის შედეგებით. ...კომისიაში უნდა ისმოდეს ყოველი ხმა ყოველი ფრაქციისა. ...ყოველ ფრაქციას უნდა მიეცეს უფლება იყოლიოს თავისი წარმომადგენელი კომისიებში გარდამწყვეტი ხმით“ (საქართველოს დამფუძნებელი, V, 2019: 478-479).

გამოთქმულ მოსაზრებებს მმართველი პარტიაც დაეთანხმა. ახლადარჩეულ საგარეო საქმეთა კომისიაშიც კრებაში იმ დროისათვის არსებულ ყველა პოლიტიკური ფრაქციის წარმომადგენელი შევიდა: სოციალ-დემოკრატთაგან: აკაკი ჩხენკელი, დიომიდე თოფურიძე, ნიკოლოზ ელიავა, კონსტანტინე ჯაფარიძე და იოსებ სალაყაია, ფედერალისტთა პარტიისაგან სიმონ მდივანი, ეროვნულ-დემოკრატთაგან გიორგი გვაზავა, ესრთაგან – ივანე გობეჩია და ეროვნული პარტიისაგან – გრიგოლ ვეშაპელი (საქართველოს დამფუძნებელი, V, 2019: 482).

სიმონ მდივანი მეორე ვადითაც დარჩა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე. 1920 წლის 7 მაისს თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ იქნეს იოსებ სალაყაია, რომელიც ამ პოსტზე 1921 წლის 10 იანვარს კონსტანტინე გვარჯალაძემ შეცვალა (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, საქმ. 235: 26; 38).

1919 წლის 9 და 27 ოქტომბერს დაისვა საკითხი მუდმივი კომისიის ფარგლებში მცირე კომისიის არჩევის შესახებ, რასაც ასევე, ითვალისწინებდა დამფუძნებელი კრების რეგლამენტი, მაგრამ იგი არ აურჩევიათ, რადგან აღარ მიიჩნიეს საჭიროდ.

კომისიამ 1919 და 1920 წლებში 12-12 სხდომა გამართა, ხოლო 1921 წელს მხოლოდ 3 სხდომის ჩატარება მოეხსნო. არსებობის მთელი ხნის განმავლობაში, კვორუმის შეუკრებლობის გამო, კომისიის სხდომა ერთხელ ჩაიშალა (1919 წ. 15 მაისი) და ერთხელ (1919 წ. 29 მაისი) კერძო თათბირის სახით გაიმართა.

დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიის მუშაობას ინტერესით ეკიდებოდნენ როგორც აღმასრულებელი ხე-

ლისუფლების, ისე უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელები. კომისიის საქმიანობაში სისტემატურად მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, მათ შორის მინისტრი ევგენი გეგეჭკორი (დაესწრო 11 სხდომას), მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ქარცივაძე (11 სხდომა) და კონსტანტინე საბახტარაშვილი (8 სხდომა). ოთხ სხდომაში მიიღო მონაწილეობა სამხედრო მინისტრმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ, ორში – დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგმა ალექსანდრე ლომთათიძემ, ხოლო თითო სხდომას დაესწრნენ მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას (1920 წ. 7 მაისი), დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (1921 წ. 22 იანვარი) და სახელმწიფო კონტროლიორი ფილიპე გოგიჩაიშვილი.

დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიის პირველ სხდომა მხოლოდ საორგანიზაციო საკითხებს დაეთმო, მომდევნო სხდომაზე კი, რომელიც 1919 წლის 12 მაისს გაიმართა, დღის წესრიგში 3 საკითხი იყო დასმული: 1. კავკასიის კონფერენციის მუშაობა; 2. დამოკიდებულობა ინგლისელებთან; 3. იტალიელების შემოსვლა.

კავკასიის კონფერენციაში იგულისხმებოდა 1919 წლის 27 აპრილიდან თბილისში მიმდინარე სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკის წარმომადგენელთა კონფერენცია (მასში მონაწილეობას იღებდნენ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლებიც), რომლის მოწვევის ინიციატორი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება იყო. ოფიციალური თბილისი მიიჩნევდა, რომ მოლაპარაკების მეშვეობით გადაიდგმებოდა პირველი ნაბიჯი მეზობელ სახელმწიფოთა შორის გაუგებრობის, ურთიერთმტრობით შექმნილი გათიშულობის დაძლევისა და სადაო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრისათვის გზის გასაკაფად (ერთობა, 1919: 6 აპრილი).

პრობლემა კი მართლაც ბევრი დაგროვილიყო, მათ შორის, საზღვრების გამიჯვნის, საგარეო საფრთხეებისაგან თავდაცვის, ტრანსპორტის მიმოსვლის, ლტოლვილთა საკითხის

მონესრიგებისა და სხვ. საქართველოდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ევგენი გეგეჭკორი – საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი, ნოე რამიშვილი – შინაგან საქმეთა, განათლებისა და სამხედრო მინისტრი, და კონსტანტინე კანდელაკი – ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი.

კონფერენციამ მთავარი ყურადღება დაუთმო რკინიგზებისა და ფოსტა-ტელეგრაფის გამართული მუშაობის, ეკონომიკური თანამშრომლობის, საქონლის გაცვლა-გამოცვლის, საერთო ძალებით დამოუკიდებლობის დაცვის, ტერიტორიული პრეტენზიების მონესრიგებისა და სხვ. საკითხებს.

„ინგლისელებთან დამოკიდებულება“ ითვალისწინებდა რეგიონში მყოფი მოკავშირეთა სამხედრო ძალების ბრიტანელ სარდლობასთან ურთიერთობის საკითხს, რომელიც, სხვადასხვა მიზეზით, დროდადრო იძაბებოდა ხოლმე. განსახილველი პერიოდში გამწვავებული იყო მდგომარეობა ქართული სამხედრო შენაერთების მიერ გაგრისა და არტაან-ფოცხოვის დაკავებისა და ასევე, თბილისში ერთ-ერთი ინგლისელი ექიმის მკვლელობის გამო. რაც შეეხება „იტალიელების შემოსვლას“, 1919 წლის გაზაფხულისათვის ბრიტანეთის მთავრობას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა კავკასიიდან ჯარების გაყვანა. მათ ნაცვლად საქართველოში ანტანტის ეგიდით იტალიის სამხედრო კონტიგენტი უნდა შემოსულიყო (რ. ცუხიშვილი, 1995: 56; დ. ჯოჯუა, 1997: 56).

ყველა ამ საკითხზე საგარეო საქმეთა კომისიას ვრცელი მოხსენება წარუდგინა საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა. განხილვასა და მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს: გიორგი გვაზავამ, ივანე გობეჩიამ, კონსტანტინე ჯაფარიძემ, სიმონ მდივანმა, იოსებ სალაყაიამ და ნიკო ელიავამ. მშრალი საოქმო ჩანანერის მიხედვით კომისიამ დაადგინა:

„ა/ ინგლისის სარდლობის სურვილის წინააღმდეგ გაგრის ოლქის დაკავებისა გამო განვაცხადოთ მწუხარება და მასთან განვმარტოთ, რომ ეს ზომა არის მიმართული საქართველოს უდაო ტერიტორიის, – როგორც არის გაგრის ოლქის დასაცა-

ვად დენიკინისაგან.

ბ/ ინგლისელ ექიმის მოკვლის გამო მთავრობამ გამოსთქვას მწუხარება და აღუქვას ერთგვარ თანხის გადაცემა მოკლულის ოჯახისთვის ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებისა და ჩვენი მთავრობის შეთანხმებით.

გ/ სამაგიეროდ უნდა იქნეს მოთხოვნილი ანაზღაურება იმ ზარალისა, რომელიც მოგვაყენა ხიდის აფეთქებით ინგლისის აგენტებმა (იგულისხმება ფაქტი, როდესაც 1918 წლის ნოემბერში სომხური დაშნაკცუთუნის პარტიის წევრებმა პოლკოვნიკმა შმაგაილოვმა, კუჩარიანმა, კურნიულიანცმა და სხვებმა მცხეთის მახლობლად, სოფელ ძეგვში სარკინიგზო ხიდი ააფეთქეს. ამ ინციდენტის გამო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის მატარებლებით მიმოსვლა შეწყდა. ბრალდებულები შეიპყრეს და გაასამართლეს, მაგრამ ინგლისელთა სარდლობამისინი თავის აგენტებად გამოაცხადა და მათი განთავისუფლება მოითხოვა).

გ/ გაიმართოს მოლაპარაკება ინგლისთან და ინგლისის შემწეობით ამერიკასთან მომავალ შეთანხმების შესახებ“ (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, საქმ. 235: 6).

სამხრეთ კავკასიის მეზობელ ქვეყნებთან ქართული სახელმწიფოს ურთიერთობას ყველაზე მეტად საზღვრების გაუმიჯნაობა ართულებდა. ამ საკითხს აზერბაიჯანის ხელისუფლება რელიგიური პრინციპით უდგებოდა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ზაქათალის ოლქს, ასევე მუსლიმებით დასახლებულ ბორჩალოსა და ახალციხის მაზრების ნაწილს ეცილებოდა. ამის მიუხედავად, ოფიციალური ბაქო და თბილისი სხვა სფეროებში ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობასა და პარტნიორობას ახერხებდნენ. ბაქოს ნავთობი საქართველოსთვის შეუცვლელი იყო, აზერბაიჯანისთვის კი საქართველო დასავლურ სამყაროსთან დამაკავშირებელ უმოკლეს გზას წარმოადგენდა. ამ გარემოებებს ორივე ქვეყანაში ანგარიში ეწეოდა (ჯანელიძე, 2009: 131). მეტიც, როდესაც რეგიონს მოხალისეთა თეთრგვარდიული არმიის შემოჭრის საფრთხე დაემუქრა, 1919

წლის ივნისში აზერბაიჯანსა და საქართველოს რესპუბლიკებს შორის სამხედრო-თავდაცვითი ხელშეკრულება კი გაფორმდა. მხარეებმა გარე აგრესიის შემთხვევაში სამხედრო ურთიერთდახმარების ვალდებულება იკისრეს და იმაზეც შეთანხმდნენ, რომ ტერიტორიული დავები მოლაპარაკებისა და არბიტრაჟის გზით გადაეწყვიტათ. ხელშეკრულება თავდაცვით კავშირთან სამხრეთ კავკასიის მესამე რესპუბლიკის – სომხეთის შეერთებასაც ითვალისწინებდა, მაგრამ სომხეთი ამ ალიანსს არ შეერთებია.

ხელშეკრულების მზადების პროცესში, დიპლომატებისა და მაღალი რანგის სამხედროების გარდა, საქართველოდან აქტიურად იყო ჩართული დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიაც. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ კომისიამ ცალკე განიხილა აზერბაიჯანთან მოლაპარაკების საკითხი და ორჯერ იმსჯელა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სამხედრო ხელშეკრულების დადების შესახებ (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, საქმ. 235: 10; 12-13). კომისიის წევრთა ამგვარმა ჩართულობამ და მიღწეულმა კონსესუსმა, შეიძლება ითქვას რომ, ხელშეკრულების რატიფიცირება დამფუძნებელ კრებაში მნიშვნელოვნად გააადვილა, – დოკუმენტს ყველა საპარლამენტო ფრაქციამ მხარი ერთხმად დაუჭირა (საქართველოს დამფუძნებელი, II, 2019: 239).

საგარეო საქმეთა კომისიის მიერ 1919 წელს განხილული სხვა საკითხებიდან აღსანიშნავია: კავკასიის კონფერენციის საფინანსო და სავაჭრო სექციის მუშაობის შესახებ; საქართველოს მთავრობისა და მოხალისეთა სარდლობის წარმომადგენლის შორის მოლაპარაკების შესახებ; პარიზის სამშვიდობო მოლაპარაკებაზე მყოფი საქართველოს დელეგაციის მუშაობის შესახებ (ორჯერ); არტაანის საკითხი; საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა; ბოლშევიკებთან დამოკიდებულების საკითხი; ინგლისელთა მისიის წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისადმი; რუსეთის ყოფილი იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან ქართველების სამშობლოში გადმოყვანის შესახებ;

მომენტის და საქართველოს მდგომარეობის შესახებ (ორჯერ); უცხოეთის ქვეყნებში არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობების ხარჯისა და მომავალი წლისათვის საჭირო ასიგნებათა შესახებ; სომხეთში საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლის გერასიმე მახარაძის საინფორმაციო ხასიათის მოხსენება სომხეთის შესახებ, მოამზადა დეკრეტი საგარეო საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ამერიკის შეერთებულ შტატებში და ყუბანის ოლქში დელეგაციის გასაგზავნ ხარჯისათვის სამი მილიონი მანეთის კრედიტის გახსნის თაობაზე და სხვ.(საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, საქმ. 235: 3-24).

1919 წლის 9 ოქტომბერს კომისიაში მეტად საინტერესოდ წარიმართა მსჯელობა სომხეთთან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოკიდებულების საკითხის ირგვლივ. საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის ნიკოლოზ ქარცივაძის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გიორგი გვაზავამ, გრიგოლ ვეშაპელმა, ნიკო ელიავამ, კონსტანტინე ჯაფარიძემ და ივანე გობეჩიამ. კომისიის თავმჯდომარემ სიმონ მდივანმა წარმოადგინა ორი მეზობელი რესპუბლიკის მოლაპარაკების თეზისები. ამ თეზისების საფუძველზე, კომისია დაეთანხმა მთავრობის მოსაზრებას ბორჩალოს მაზრიდან ლორის დროებით დათმობისა და ახალქალაქის მაზრის შემოერთების შესახებ, მაგრამ გაითვალისწინა აგრეთვე გრიგოლ ვეშაპელის შესწორება, რომ: „ტერიტორიალური დათმობა ლორში დადასტურებულ იქმნას ბ. მდივნის მოხსენების თეზისების თანახმად მხოლოდ იმ აუცილებელ პირობით, რომ სომხეთის დელეგაციამ წინდანი გამოაქვეყნოს დეკლარაცია, რომ საკითხი საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიალური გამიჯვნისა გადაწყდება სავსებით ქართველ-სომხურ კონფერენციაზე და სრულებით მოიხსნება პარიზის კონფერენციის [დღის] წესრიგიდან“. კომისიამ, გიორგი გვაზავას უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ეს წინადადება მიიღო (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, საქმ. 235: 19-20).

საგულისხმოა კიდევ ერთი საკითხი, „მომენტის და საქართველოს მდგომარეობის შესახებ“, რომელიც დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიამ 1919 წლის 20 ოქტომბერს, საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის მოხსენების საფუძველზე განიხილა. მოხსენებაში არსებითი იყო ახალგაზრდა ქართულ რესპუბლიკაზე დიდი სახელმწიფოს მანდატის დაწესება-არდაწესების პრობლემა.

მანდატის საკითხზე საქართველოს მთავრობასა თუ მთავრობის მიერ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარგზავნილ დელეგაციაში მსჯელობა აქამდეც ყოფილა, მაგრამ იმ ხანად საკითხი უფრო მწვავედ წამოიჭრა, რაც საქართველოში გენერალ ჯ. ჰარბორდის ხელმძღვანელობით აშშ-ს საგანგებო მისიის ვიზიტით იყო განპირობებული (ო. ჯანელიძე, 2018: 246-264).

მოხსენების განხილვისა და კამათის შემდეგ, საგარეო საქმეთა კომისიამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „კომისია იღებს რა მხედველობაში მდგომარეობის გართულებას, ავალებს ბატონ მინისტრს უახლოეს მთავრობის სხდომაზე დასმულ იქნას საკითხი საქართველოს მანდატის შესახებ“ (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, საქმ. 235: 21).

დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიამ 1920 წელს დიდი ყურადღება დაუთმო საბჭოთა რუსეთთან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოლაპარაკებისა და სამშვიდობო ხელშეკრულების დადების საკითხს. ცნობილია, რომ კრემლთან მოლაპარაკების მიზნით, 1920 წლის აპრილში, მოსკოვს გაიგზავნა დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ურატაძე. კანდიდატურა ნოე ჟორდანიამ შეარჩია და ევგენი გეგეჭკორთან შეათანხმა ერთადერთი მოტივით: „დეესპანი უნდა ყოფილიყო ლენინისა და მისი შტაბის ნაცნობი, სოციალ-დემოკრატი, პარტიის ყრილობაზე ნამყოფი“ (ნ. ჟორდანი, 1990: 112).

გრიგოლ ურატაძე რსდმპ სტოკჰოლმის კონფერენციისა (1906 წ.) და ლონდონის მეხუთე ყრილობის (1907 წ.) მონაწილე იყო (Справочник), ლენინს კი 1911 წლიდან იცნობდა, როგორც

ლონჯიუმოს პარტიული სკოლის მსმენელი. მოსკოვში ჩასულმა ურატაძემ მთავრობის თავმჯდომარისაგან რწმუნების სიგელი ითხოვა და რსფსრ-ს წარმომადგენლად დანიშნულ ლევ კარახანთან რამდენიმედღიანი მოლაპარაკების შემდეგ, 1920 წლის 7 მაისს ხელი მოაწერა ცნობილ ხელშეკრულებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე, კერძოდ, 5 მაისს, მან ხელშეკრულების პროექტი თბილისს გადმოსცა. როგორც საარქივო დოკუმენტი მოწმობს, პროექტმა „საერთოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა“. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიულეტენში, რომლიდანაც ეს ფრაზა დავიმონმეთ, დაკონკრეტებული არ არის, ვისზე მოახდინა პროექტმა ასეთი შთაბეჭდილება. ყოველ შემთხვევაში, 8 მაისს, პირდაპირი მავთულით საუბრისას, საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა გრიგოლ ურატაძეს უთხრა: „თქვენს მიერ გადმოცემული ტექსტი ტოვებს სიგელის შთაბეჭდილებას და არა ხელშეკრულებისა ორ თანასწორ მხარეს შორის. ამიტომ შეიტანეთ ნაცვალებების პრინციპი“ და დასძინა: „მეხუთე მუხლი თქვენი რედაქციით სრულიად მიუღებელია, იგი ლახავს საქართველოს სუვერენობას. ახლავე უნდა მიიღოთ ზომები, რომ ის ამ სახით არ დარჩეს ხელშეკრულებაში“ (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1864, საქმ. 242: 16-17).

„რუსეთთან საზავო ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. ჩვენ ვეცდებით რატიფიკაციის დროს, რომლის უფლება აქვს დამფუძნებელ კრებას და რომელიც უთუოდ უნდა მოხდეს, ამ მუხლებს მივცეთ სხვა სახე და შეძლებისდაგვარად ჩვენ სასარგებლოდ შევცვალოთ მათი რედაქცია“, – ატყობინებდა 1920 წლის 19 მაისს საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი კონსტანტინე საბახტარაშვილი საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლებს სხვადასხვა ქვეყანაში (საქართველოს ეროვნული არქივი, ჰარვარდის ფონდი, საქმ. 753).

„ზოგიერთ“ მუხლთა შორის, რომელიც შეიძლებოდა საზიანო გამომდგარიყო ქართული სახელმწიფოსათვის, იგულისხ-

მებოდა ასეთი შინაარსის მე-16 მუხლიც: „... ხელშეკრულება შევა ძალაში თვით ფაქტის ძალით და ხელის მოწერის მომენტიდან, და საჭირო არ იქნება განსაკუთრებული რატიფიკაცია“ (გაზ. „ერთობა“, 1920, 6 ივნისი) (договор вступает в силу самим фактом и с момента его подписания и не будет подлежать особой ратификации).

საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების საკითხებს საგარეო საქმეთა კომისიამ ყველაზე მეტი – ოთხი ცალკე სხდომა მიუძღვნა, კერძოდ: 1920 წლის 4, 7, 10 მაისსა და 7 ივნისს, 11 ივნისს კი იმავე თემაზე სამსჯელოდ საგარეო საქმეთა და იურიდიულ კომისიათა შეერთებული სხდომა გაიმართა. ყველა მათგანის მუშაობაში მონაწილეობდა საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, ხოლო 11 ივნისის სხდომაზე მიწვეული იყო მოსკოვიდან წინა დღით დაბრუნებული გრიგოლ ურატაძეც.

4 მაისს გამართულ სხდომაზე მინისტრმა ისაუბრა მიმდინარე მომენტის, საქართველოს მდგომარეობისა და „სოვდეპიასთან“ მოლაპარაკების შესახებ (ტერმინი „სოვდეპია“ რსფსრ-ს ფიგურალური სახელწოდება იყო ზოგჯერ ირონიული შინაარსითაც). სხდომის ოქმში საუბრის შინაარსი არ არის ასახული, დადგენილებაში კი წერია: „მოხსენება მიღებულ იქნეს ცნობად. პროექტი ზავის ტექსტის გაცნობის შემდეგ მიღებულ იქნეს“ (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, საქმ. 235: 25).

კომისიის მომდევნო სხდომას, 7 მაისს, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტს დაეთმო, მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიაც დაესწრო. მიღებული დადგენილების თანახმად, „ხელშეკრულება მიღებულ იქნა – ერთის წინააღმდეგ (გრიგოლ ვეშაპელი), თავს იკავებენ ბატონები: გიორგი გვაზავა, ივანე გობეჩია. საკითხი რატიფიკაციის შესახებ გაირჩეს შეერთებულ იურიდიულ კომისიასთან ერთად სხდომაზე“ (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, საქმ. 235: 26).

ამ სხდომის შესახებ აკაკი ჩხენკელს თავის დღიურში ჩაუ-

წერია: „წუხელის გავსინჯეთ საგარეო კომისიაში საზავო ხელშეკრულების ტექსტი, მიღებულ იქნა თითქმის ერთხმად ჩემი აზრი რომ ჩათვლილი არ იქნეს გუბერნიები და ოლქები; იქნება მაშასადამე, დასახელებული ორი ხაზი ერთი ჩრდილოეთით ქედისა, მეორე ზღვის რუსულ-ოსმალური საზღვარი 1914 წლამდე ბათუმის ჩათვლით. მთავრობამაც დათანხმდა ამას და ასე გაიგზავნება დღეს“ ა. (ჩხენკელი, 2022: 206).

დადგენილების ერთხმად მიუღებლობის ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ სხდომა უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის კამათის, შეხედულებათა და მოსაზრებათა დაპირისპირების ვითარებაში უნდა წარმართულიყო. საკამათო, სავარაუდოდ, სწორედ ხელშეკრულების პროექტის ხსენებული მუხლები უნდა ყოფილიყო, რომელთაგან მე-16 მუხლზე მსჯელობამ კომისიის კიდევ ერთი სხდომა მოითხოვა. ვიდრე კონკრეტულად ამ მუხლზე იმსჯელებდა, საგარეო საქმეთა კომისია 10 მაისსაც შეიკრიბა და კრემლთან ხელშეკრულების თაობაზე ევგენი გეგეჭკორის ახალი მოხსენება მოისმინა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენება კომისიამ ამჯერად ცნობად მიიღო და იმავდროულად დაგენილებაც გამოიტანა, რომ „სოვდებუასთან ზავის გამო მოხდეს საერთო დეკლარაციული გამოსვლა დამფუძნებელ კრებაში“.

1920 წლის 11 მაისს საქართველოს დამფუძნებელი კრების წინაშე მთავრობის რიგგარეშე განცხადებით ევგენი გეგეჭკორი გამოვიდა. „ზავი რუსეთთან ხელმოწერილია და მოკლე ხანში წარედგინება დამფუძნებელ კრებას სარატიფიკაციოდ“, – განაცხადა მინისტრმა და დეპუტატებს ხელშეკრულების ძირითადი დებულებები გააცნო (საქართველოს დამფუძნებელი, VI, 2019: 322).

მცირე დებატის შემდეგ კრებამ მოიწონა მთავრობის პოლიტიკა და კმაყოფილება გამოთქვა რუსეთ-საქართველოს შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულების დამყარების გამო.

1920 წლის 7 ივნისის სხდომაზე „ხელშეკრულება მიიღეს, და მოიწონეს ყველამ ერთის წინააღმდეგ“. სხდომის გად-

ანყვეტილებით, დოკუმენტი განსახილველად გადაეცა საგარეო საქმეთა და იურიდიული კომისიების, რომლებსაც შეერთებულ სხდომაზე ხელახლა უნდა განეხილათ „ხელშეკრულება საბოლოო ფორმაში“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, 12 ივნისი).

ამასობაში თბილისში დაბრუნდა საქართველოს მხრიდან მოსკოვის ხელშეკრულებაზე ხელმომწერი გრიგოლ ურატაძე. მან ჩამოიტანა 7 მაისის ხელშეკრულება და 12 მაისს ხელმონერილი მისი დამატებაც, რომელიც ზაქათალის ოლქს ეხებოდა. ურატაძემ ცალკე მოხსენება წარუდგინა სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციას და ასევე წარსდგა დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზეც. 11 ივნისს შემდგარ საგარეო საქმეთა და იურიდიულ კომისიათა შეერთებული სხდომის დღის წესრიგში ამჯერად საკითხი ასე იყო ფორმულირებული: „საქართველოსა და რუსეთს შორის ამა 1920 წლის მაისის 7-ს მოსკოვში დადებულის ხელშეკრულების მე-XVI მუხლის განხილვის საკითხი“. ოქმიდან არ ჩანს, გაიმართა თუ არა კამათი, დადგენილებაში კი აღნიშნულია: „საქართველოს მთავრობის აზრის გაცნობამდე ხელშეკრულების მე-XVI მუხლის შესახებ კომისია ღიად სტოვებს საკითხს“ (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, საქმ. 235: 28).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს და პირველ რიგში საგარე საქმეთა სამინისტროს მესვეურებს სჯეროდათ, რომ საბჭოთა რუსეთთან მოსკოვში ხელმონერილ ხელშეკრულებას რატიფიკაციისათვის დამფუძნებელი კრების პლენარულ სხდომაზე გაიტანდნენ და დოკუმენტში ქართული მხარისათვის სასარგებლო ცვლილებებს შეიტანდნენ.

საგულისხმოა, რომ საგარე საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი ამაში კავკასიაში მოკავშირე სახელმწიფოების – ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენლებსაც არწმუნებდა. „საქართველოს რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის 7 მაისს, 1920 წ. დადებული ხელშეკრულება მოკლე ხანში

წარდგენილ იქნება დამფუძნებელ კრებაში რატიფიკაციისათვის და ამ პროცესში მან უნდა განიცადოს ისეთი ცვლილებანი, რომელთაც აუცილებლად დაინახავენ რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება და მთავრობა“, – ვკითხულობთ წერილში, რომელიც მომზადებულია მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლების 1920 წლის 15 ივნისის კოლექტიური ნოტის პასუხად და დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდში (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1864, საქმ. 276: 3). წერილი ხელმოწერელია და არც თარიღი უზის, ამიტომ ძნელია თქმა, ის საერთოდ გავგზავნათ თუ არა ადრესატებს, მაგრამ ამგვარი შინაარსის წერილის მომზადება ცხადყოფს, რომ აზრი ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ არა მხოლოდ გრიგოლ ურატაძის მოსკოვიდან თბილისში დაბრუნებამდე (1920 წ. ივნისის პირველი დეკადა) დომინირებდა, არამედ მას შემდეგაც არსებობდა, რაც ხელშეკრულების ტექსტი ქართულ ენაზეც გამოქვეყნდა და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახდა (საბჭოთა რუსეთთან გაფორმებული ხელშეკრულების ტექსტი 1920 წლის 6-7 ივნისს დაიბეჭდა გაზეთში „ერთობა“, ხოლო 8 ივნისს – ოფიციალურ გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“). ნათქვამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ 1920 წლის 25 ივნისს, დამფუძნებელ კრებაში სიტყვით გამოსვლისას, ოპოზიციონერი დეპუტატი, ეროვნული პარტიის ლიდერი გრიგოლ ვეშაპელი აცხადებდა: რუსეთთან დადებულ ხელშეკრულების „რატიფიკაცია ჯერ არ მომხდარა, თუმცა ეს შედის როგორც რუსეთის, ისე ჩვენს კონსტიტუციაში“ (საქართველოს დამფუძნებელი, VI, 2019: 550).

ცნობილია, რომ 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მასზე ხელისმომწერისთანავე, ყოველგვარი რატიფიცირების გარეშე შევიდა ძალაში. ამით საერთაშორისო სამართლის ნორმა არ დარღვეულა, რადგან ეს სამართალი ამგვარ პრეცედენტს იცნობს და არ გამორიცხავს (ეს ნორმა დღესაც მოქმედა. ვენის 1969 წლის

კონვენციის 24-ე მუხლის თანახმად: ხელშეკრულება ძალაში შედის იმ წესით და იმ თარიღიდან, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოთა შორის) (https://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/1_1_1969.pdf), თუმცა ოპოზიციამ, იმის გამო რომ ხელშეკრულება რატიფიკაციის გარეშე ამოქმედდა, სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება მკაცრად გააკრიტიკა. მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატებმა, მიუხედავად იმისა, რომ მათი პარტია დადებითად შეხვდა საბჭოთა რუსეთთან გაფორმებულ მოსკოვის სამშვიდობო ხელშეკრულებას, განაცხადეს: ხელშეკრულება საქართველოს მთავრობამ დამფუძნებელი კრების ზურგს უკან დადო და მასში ისეთი მუხლების შეტანასაც დათანხმდა, რომლებიც არამარტო იურიდიულად ზღუდავს საქართველოს სუვერენიტეტს, არამედ ფაქტობრივად საფრთხეს უქმნის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობას (ო. ჯანელიძე, 2002: 356).

ამ მხრივ მკაცრი იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერი სამსონ ფირცხალავაც. მისი სიტყვებით: „ის ფაქტი, რომ მოსკოვში დადებული ხელშეკრულება არ განუხილავს და არ დაუდასტურებია ქართველი ხალხის უზენაეს დაწესებულებას – დამფუძნებელ კრებას, ეს უეჭველი შელახვაა დამფუძნებელი კრების უფლებებისა, ეს ყოვლად მიუღებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში და ამიერიდან მსგავსი არ უნდა განმეორდეს“ (საქართველოს დამფუძნებელი, VI, 2019: 545).

„რისთვის არსებობს დამფუძნებელი კრება, ხალხის წარმომადგენლობა, თუკი ისეთს დიდ საკითხს, როგორც არის რუსეთთან ხელშეკრულება, დამფუძნებელი კრების ზურგს უკან, მის დაუკითხავად გადაწყვეტენ?“ – წყენით კითხულობდა გაზეთი „სახალხო საქმეც“ (გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, 8 ივნისი).

საქართველოს დამფუძნებელ კრებას მართლაც გააჩნდა რატიფიკაციის უფლება, რაც ორ შემთხვევაში კიდევაც გამოიყენა. ერთზე, – საქართველო-აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის თავდაცვითი კავშირის ხელშეკრულების დამტკიცების შეს-

ახებ ზემოთ უკვე იყო საუბარი, რაც შეეხება მეორეს – ისიც აზერბაიჯანთან ურთიერთობას უკავშირდება.

1920 წლის 25 ივნისს საგარეო საქმეთა კომისიამ სარატიფიკაციოდ გაიტანა გასაბჭოებულ აზერბაიჯანთან 1920 წლის 12 ივნისს ქ. ალსტაფაში გაფორმებული ხელშეკრულების ტექსტი. საგულისხმოა, რომ ამ საკითხზე აკაკი ჩხენკელმა დამფუძნებელ კრებაში თავისი გამოსვლა დაიწყო სიტყვებით: „მოქალაქენო! მაქვს პატივი საგარეო კომისიის დავალებით მოგახსენოთ ხელშეკრულება...“ (საქართველოს დამფუძნებელი, VI, 2019: 536).

დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიამ 1920 წელს ასევე განიხილა ინგლისელების მიერ ბათუმის ევაკუაციის, საქართველოს იურისდიქციაში ბათუმის გადმოცემის, რუსეთთან ზავის დადების შემდეგ საქართველოს მდგომარეობის საკითხები, სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლის გერასიმე მახარაძის საინფორმაციო მოხსენება სომხეთში მდგომარეობის თაობაზე, ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადება საქართველოს რესპუბლიკის ერთა ლიგის წევრად მიღების შესახებ, გადატრიალება სომხეთში და საქართველოს საერთაშორისო საკითხი, ანგორაში საქართველოს წარმომადგენლის გაგზავნის საკითხი და სხვ.

კომისიამ იმსჯელა და თავისი აზრი გამოთქვა დეკრეტების პროექტებზე პოლონეთში გასამგზავრებელი დიპლომატიური მისიის საჭიროებისთვის 2 მილიონი მანეთის გადაცემის, საგარეო საქმეთა მინისტრის განკარგულებაში – საგანგებო ხარჯების დასაფარავად 6 მილიონი მანეთისა და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ევგენი გეგეჭკორის საზღვარგარეთ წასვლისათვის სათანადო თანხის გადადების შესახებ (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1864, საქმ. 235: 24-37).

საგულისხმო იყო 1920 წლის 9 ნოემბერს ჩატარებული სხდომა, რომელზეც კომისიის თავმჯდომარემ სიმონ მდივანმა წამოაყენა წინადადება „დამსახურებული საზოგადო მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის ნივთიერად უზრუნველყოფის შესახებ“.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია: „ეთხოვოს ბ-ნ მდივანს განმეორებით სთხოვოს ბ-ნ მთავრობის თავმჯდომარეს, რათა შესაფერისი ბინა აღმოეჩინოს ბ-ნ ჩერქეზიშვილს, აგრეთვე ქ-ნ ჩერქეზიშვილისას მიეცეს გარეშე საქმეთა სამინისტროს შესაფერისი სამსახური“ (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1864, საქმ. 235: 36). დადგენილების რეალიზება ველარ მოესწრო, მაგრამ ქვეყნის თავისუფლებისათვის თვალსაჩინო მებრძოლის, უცხოეთში ფართოდ ცნობილი მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის ამგვარი დაფასების ფაქტი და საერთაშორისო დონეზე არანაკლები საქმიანი კავშირების მქონე მისი მეუღლის, ფრიდა ჩერქეზიშვილის დიპლომატიურ სამსახურში დასაქმების იდეა ყოველმხრივ გამართლებული იყო.

1921 წელს დამფუძნებელი კრების კომისიამ სულ 3 სხდომის გამართვა მოასწრო, მათგან ორი ცალკე და ერთიც კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიასთან ერთად. განხილულ საკითხთა შორის აღსანიშნავია: საქართველოს და სომხეთ-აზერბაიჯანის დამოკიდებულობის შესახებ და კანონპროექტი დასავლეთ ევროპაში საქართველოს წარმომადგენლის შტატების დამტკიცების თაობაზე (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1864, საქმ. 235: 38). ეს უკანასკნელი საკითხი აღმოჩნდა, რომელზეც დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიამ საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის წევრებთან ერთად იმსჯელა. გაიზიარეს გრიგოლ ვეშაპელის წინადადება, რომლის თანახმადაც, საგარეო საქმეთა სამინისტროს კომისიაში უნდა წარედგინა 1. „განსხვავება იმ ხარჯისა, რომელიც ეხებოდა პირველი დელეგაციისა და კანონპროექტში აღნიშნულ წარმომადგენლის შტატის შენახვას“ და 2. ინფორმაცია დასავლეთ ევროპაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის შტატების შესახებ გამოეცხადებინათ ოფიციალურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.

ამავე სხდომამ გრიგოლ რცხილაძის წინადადების საფუძველზე დაადგინა, რომ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის პოლიტიკური ფუნქციებით აღჭურვილი თანამშრომ-

ლები მთავრობას დაენიშნა (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1864, საქმ. 235: 40-41).

როგორც ვნახეთ, დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიას მისი არსებობის მთელი ხნის განმავლობაში რაიმე კანონ-პროექტი ან საკანონმდებლო აქტი არ შეუქმნია, მაგრამ სხვა მხრივ, თავის პროფილურ (დარგობრივ) საკითხებს სისტემატურად განიხილავდა. მათ შორის, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა კონფერენციის დღის წესრიგის საკითხები, ასევე, საქართველოს მთავრობის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების რამდენიმე სარატიფიკაციო პროექტის მომზადება და პლენარული სხდომისათვის წარდგენა და სხვ.

კომისია მუდმივად იყო ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის კურსში, მხარში ედგა დიპლომატიურ უწყებას და მჭიდროდ თანამშრომლობდა მასთან. უნდა აღინიშნოს, რომ კრების საგარეო საქმეთა კომისიაში შემავალი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები არც კრიტიკული აზრის გამოთქმას ერიდებოდნენ, რაც სავსებით ლოგიკური იყო დემოკრატიული სახელმწიფოსათვის. ამასთან, ეს გარემოება მმართველ პოლიტიკურ ძალასაც ხელს უწყობდა, მნიშვნელოვან საკითხებზე გადანყვეტილებების მიღებისას, გამოეჩინა მეტი სიფრთხილე, გონიერება და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნება.

Foreign Policy Issues in the Constituent Assembly of Georgia

Summary

The Constituent Assembly of Georgia was elected to develop and approve the main law – the Constitution. But since the Assembly was the supreme legislative body of the Democratic Republic of Georgia, its prerogative also included the country's foreign policy.

Along with other standing committees, a commission on foreign affairs was also elected in the constituent assembly. It was formed last. The initiator of the creation of the commission was the right-wing opposition force – the National Democratic Faction. The Foreign Affairs Commission was headed by the Deputy Chairman of the Constituent Assembly of Georgia, one of the leaders of the Federalist Party Simon Mdivani.

The commission held 12-12 meetings in 1919 and 1920, and in 1921 – only 3 meetings. The commission did not create any draft laws or legislative acts, but closely cooperated with the Ministry of Foreign Affairs and systematically discussed issues related to the country's foreign policy and diplomatic activities. Among the issues discussed at the meetings of the commission, it is worth noting: the negotiations between the government of Georgia and the representative of the Volunteer Army Denikina; the work of the Georgian delegation at the Paris Peace Conference (twice); the international position of Georgia; Question about the attitude towards the Bolsheviks (four meetings); About the resettlement of Georgians from different parts of the former Russian Empire to their homeland;

For the expenses of diplomatic missions of the Georgian Democratic Republic in foreign countries; On the ratification of the agreement signed in Agstafa on June 12, 1920, with the Republic of Azerbaijan, etc. A number of issues from this list were discussed at

the plenary meetings of the constituent assembly.

Based on archival materials, the article highlights the activities of the Foreign Affairs Commission of the Constituent Assembly of Georgia.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- გაზ. „ერთობა“, 1919 წ., 6 აპრილი.
გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 6 ივნისი.
გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 4 აპრილი.
გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 25 აპრილი.
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 12 ივნისი.
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 27, 28, 30 დეკემბერი.
გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ. 8 ივნისი.
მამაცაშვილი გ., საგარეო პოლიტიკის საკითხები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (1919-1921), თბ., 2013.
ჟორდანიას ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990.
საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომის ოქმები, ტომი I, 1919 წლის 12 მარტი – 27 მაისი, თბ., 2019.
საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომის ოქმები, ტომი II, 1919 წლის 30 მაისი – 25 ივლისი, თბ., 2019.
საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომის ოქმები, ტომი V, 1919 წლის 14 იანვარი – 16 მარტი, თბ., 2019.
საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომის ოქმები, ტომი VI, 1919 წლის 19 მარტი – 6 ივლისი, თბ., 2019.
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921, თბ., 1990.
საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანან. 1, საქმ. 235.
საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 235.
საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალუ-

რი არქივი, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 242.

საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანან. 1, საქმ. 276.

საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 434.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდი, საქმ. № 753.

სენარკლენი პ., არიფენი ი., საერთაშორისო პოლიტიკა. თანამედროვე თეორიები და ამოცანები, თბ., 2014.

ჩხენკელი ა., დღიურები. თბ., 2022.

ცუხიშვილი რ., ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წლებში, თბ., 1995.

ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ჯანელიძე ო., საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009.

ჯანელიძე ო., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბ., 2018.

ჯოჯუა დ., საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1918-1921 წლებში, თბ., 1997.

Справочник по истории Коммунистической партии и Советского Союза 1898-1991 http://www.knowbysight.info/2_KPSS/07905.asp

http://www.knowbysight.info/2_KPSS/07912.asp

https://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/1_1_1969.pdf

მაქარაშვილთა საგვარეულოს ისტორიიდან

(ნიკოლოზ ილიას ძე მაქარაშვილი)

გენერალ-ლეიტენანტ ილია მაქარაშვილს და მის მეუღლეს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის გიორგი ჟურულის დას, ნინო ჟურულს ექვსი შვილი ჰყავდათ: უფროსი გიორგი, შემდეგ ბარბარა, ნიკოლოზი, მარიკა, ირინე და მიხეილი. აქედან სამნი – გიორგი, ბარბარა და მარიკა – ბავშვობაში სახადით გარდაიცვალნენ. ილია მაქარაშვილის ერთ-ერთი ვაჟი – ნიკოლოზი (ნიკუშა) არბოს წმინდა გიორგის სარეგისტრაციო წიგნის მიხედვით, 1897 წლის 19 დეკემბერს დაიბადა. იგი 1898 წლის 11 ოქტომბერს მონათლეს. ჩანანერში ახალშობილის მშობლების შესახებ ვკითხულობთ: „კომანდერი არტილერიისა გრენადრის ბრიგადისა პირველ ბატარეისა პოდპოლკოვნიკი ილია საყვარელის ძე მაქარაშვილი და სჯულიერი ცოლი ამისი ნინა დურმიშხანის ასული ორნივე მართლმადიდებელის სარწმუნოებისანი“. ახალშობილის მიმრქმელად ჩანანერის მიხედვით, მოხსენიებულია: ქალაქ თბილისში მცხოვრები მეორე გილდიის ვაჭარი სვიმონ პავლეს ძე პავლოვი. ნათლობის საიდუმლო შეუსრულება მღვდელ გიორგი გვიმრაძეს და „პრიჩუტნიკ“ ვასილ ლომოურს (მეტრიჩესკის წიგნი).

ნიკოლოზ მაქარაშვილს, მამის მსგავსად, სამხედრო საქმე იზიდავდა. მან ჯერ თბილისის სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ კი სწავლა პეტერბურგის წმინდა მიქაელის საარტილერიო სასწავლებელში გააგრძელა. ნიკოლოზ მაქარაშვილის უმცროსი ძმა, ემიგრაციაში მყოფი მიხეილ მაქარაშვილი მოგონებებში წერს: „ჩემი ძმა ნიკოლოზი, ანუ ნიკუშა, როგორც ვეძახდით, ხუთწლინახევრით ჩემზე უფროსი იყო. 1906 წელს, ტიფლისის იუნკერთა სკოლის დამთავრების შემდეგ პეტერბურგის (ამჟამინდელი ლენინგრადი) წმინდა მიქაელის

სახელობის საარტილერიო სამხედრო სასწავლებელი დაასრულა თუ არა, მაშინვე სამხედრო სამსახური დაიწყო, 1917 წელს გერმანიასთან ფრონტზე, კავკასიის ნაღმტყორცნელთა საარტილერიო ბრიგადაში, სადაც მამაჩემმა პირველი საბრძოლო წრთობა მიიღო. რუსული რევოლუცია ახალი დაწყებული იყო. 1917 წლის ოქტომბერში, მან იმდენი მოახერხა, რომ საქართველოში სამთო მეზრძოლთა პოლკში გამოგზავნეს, რომელსაც პოლკოვნიკი ცაგურია მეთაურობდა“ (აქ მცირე უზუსტობაა, – ირაკლი ცაგურია პოლკოვნიკი მოგვიანებით, 1919 წელს გახდა (მ. ბახტაძე, 2015: 11).

პეტერბურგში სწავლის პერიოდში ნიკოლოზ (ნიკუშა) მაქარაშვილს აქტიური მიმონერა ჰქონდა ოჯახთან. მაქარაშვილების არქივში შემონახულია ნიკოლოზ მაქარაშვილის მიერ დედის სახელზე გამოგზავნილი ბარათები. როგორც ერთ-ერთი წერილიდან ირკვევა, ნინო მაქარაშვილს შვილისათვის მაჩაბლის (სახელი არ იხსენიება, – გ. ს.) ხელით ამანათი გაუგზავნია. ნიკოლოზი ვერ ძლებდა პეტერბურგში და ამის შესახებ დედას წუხილით წერდა. იგი სამთო ცხენოსანთა დივიზიაში გადასვლას ფიქრობდა. პეტერბურგში მყოფი ნიკოლოზი ნინო მაქარაშვილის მეგობართან მარია პრიტივიცთან ურთიერთობდა. იგი ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს, რომ მარია ვიქტორის ასულს (პრიტივიცი) სტუმრად ეწვია. სავარაუდოდ, იმ დროისთვის, მარიამ პრიტივიცი პეტერბურგში იმყოფებოდა. ნინო ჟურნალი 1916 წლის შემოდგომით შვილთან გამგზავრებას აპირებდა. ნიკოლოზი დედას ურჩევდა, რომ პეტერბურგში ნოემბრის დასაწყისში ან შუა პერიოდში ჩასულიყო, რადგან დეკემბერში სასტუმრო ძალიან ძვირი ღირდა (საქართველოს ხელოვნების სასახლე ფონდი I, საქმე I, ნ. 42763).

დედისათვის გამოგზავნილ წერილებში ნიკოლოზი დიდი სიყვარულით იხსენიებს უმცროს ძმას მიხეილს, ერთადერთ დას ირინას, ასევე ბიძაშვილებს (გიორგი ჟურნალის შვილებს დურმიშხანს და კოტეს (კონსტანტინეს). ჩვენთვის უცნობია, მოინახულა თუ არა, პეტერბურგში მყოფი შვილი ნინო

დურმიშხანის ასულმა. სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ნიკოლოზ მაქარაშვილი კავკასიის ფრონტზე თურქების და გერმანელების წინააღმდეგ სხვადასხვა სამხედრო ოპერაციებში იღებდა მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ დედისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში იგი თავის სამხედრო ნაწილს „სიკვდილის ბატარეად“ მოიხსენიებს. ნიკოლოზს, როგორც მისი სიტყვებიდან ირკვევა, ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა კავკასიის ფრონტზე, ქართველ ცხენოსანთა ბრიგადაში გადასულიყო. ამასთან დაკავშირებით ახალგაზრდა ოფიცერი დახმარებას დედას სთხოვდა. 1917 წლის 29 აგვისტოს ნიკოლოზ მაქარაშვილის მიერ გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „საყვარელო ძვირფასო დედიკო! გუშინ შენი წერილი მივიღე, სადაც მწერ, რომ ოსები ღალას ჯიუტად არ იხდიან (როგორც ირკვევა, არბოში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ოსების რამდენიმე კომლი ცხოვრობდა. ისინი ადგილობრივ წარჩინებულებს გადასახადს უხდიდნენ. ოსების ერთი ნაწილი არბოს მცხოვრებთ მოსამსახურებადაც უდგნენ. ამას ადასტურებს 1889 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომლის მიხედვით ერთ-ერთ ახალგაზრდას სოფელ არბოში ნ. ლომაურის მოსამსახურე ოსი თოფის წმენდისას შემოაკვდა. გაზ. „ივერია“, 1889, 7,14 ივლისი).

ყოველივემ მეტად გამაკვირვა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ბოლოს მაინც გადაიხდიან. მაგრამ საქმე ამაში არ არის, ჩემი წერილის მიზანი სულ სხვა რამეში მდგომარეობს. საქმე ის არის, რომ მე, თუ ამის შესაძლებლობა იქნება, ქართულ საცხენოსნო ბატარეაში გადასვლა გადავწყვიტე. ამბობენ, რომ ის მალე დივიზიონი იქნება. გული იქით უპირველეს ყოვლისა იმიტომ მიმინევს, რომ როდესაც ჩვენი სამშობლო „საუკუნოვანი“ უღელისაგან წელნელა თავისუფლდება, მე უცხო მხარეში ყოფნა არ მინდა. მინდა მშობლიურ ადგილებში, სამშობლოსთან ახლოს ვიყო. მეორე კი ის არის, რომ სამსახური გაუსაძლისი გახდა და ამჟამად ჩემს ერთადერთ სურვილს ქართული საცხენოსნო დივი-

იზიონში ჩაწერა წარმოადგენს. დიდი ხნის განმავლობაში არ მინდოდა ამის თაობაზე შენთვის მომეწერა, მაგრამ გემახსოვრება ალბათ, ხშირად მინიშნებით გწერდი ქართულ საცხენოსნო დივიზიონზე. აქ ჩვენთან კიდევ (ერთი) ქართველია, შტაბს კაპიტანი ქარუმიძე. მან უკვე გააგზავნა (საბუთები) და მასზე ზრუნავენ. ის ბატარეის მეთაურობის კანდიდატია, მე კი უმცროსი ოფიცერი და ჩემი მოწყობა უფრო იოლი იქნება. შენ თუ ჩემს აზრს იზიარებ მიიკითხ-მოიკითხე, გაარკვიე, რა ხდება ბიძიასთან, აფხაზთან და სხვა. ქართველის და თან გამირის ვაჟის მიღებას ალბათ შეძლებენ. როგორც კი რაიმეს გაარკვიე – დაუყოვნებლივ მომწერე.

გუშინ მინსკიდან ჩამოვედი. შიხლინსკის გავუარე და მასთან ვივანშმე. ნეტავ იცოდე, როგორ მესიამოვნა ოჯახურ გარემოში ყოფნა, სამოვარის დანახვა და სხვა. შიხლინსკიმ და მის მეუღლემ ძალიან კარგად მიმიღეს. გულითად მოკითხვას გიგზავნიან შენ, ბიძიას, ბიცოლას, ბავშვებს და მუსხელოვებს. ყაზბეგმა ბრიგადიდან რომ არ გამიშვას კიდევ, შიხლინსკის მეშვეობით მოვეწყობოდი, მაგრამ საჭიროა ქართული ბატარეის მეთაურის თანხმობა. მას ყაზბეგმა მიწეროს, რადგან ეს ბატარეა ქართული საცხენოსნო პოლკის მეთაურს, დავით ჭავჭავაძეს ექვემდებარება. ბიძიას მეშვეობით ამ საქმის იოლად მოგვარება იქნება შესაძლებელი. ვგონებ თქვენ ყველას გესიამოვნებათ, თუ მშობლიურ ჯარში და კავკასიის ფრონტზე ვიქნები. მარტის თვემდე შევებულებაში ვერ გავალ, რადგან კვლავ აკრძალვაა, თუ განსაკუთრებული მიზეზები არ არსებობს. მას შემდეგ რაც გერმანელებმა ჩვენი ორი ქვემეხი გაანადგურეს რამოდენიმე დღით რეზერვში ვიმყოფებით. პასუხს ველოდები. დაუდევრად ვწერ რადგან ვლეღავ. გკოცნი ნიკუშა“ (საქართველოს ხელოვნების სასახლე, ფონდი I, საქმე I, ხ. 42763). წერილს მინაწერი აქვს: „გკოცნი ირას, მიშას, ბიძიას, დეიდას, დუმას, კოტეს მოკითხვა ყველას. ვკოცნი ძიძას“. როგორც წარმოდგენილი წერილიდან ჩანს, ნიკოლოზ მაქარაშვილი ქართველ ცხენოსანთა დივიზიონში მოღვაწეობაზე ოცნებობდა და გრძნობდა, რომ საქართველო

„საუკუნოვანი უღლისაგან“ თავისუფლდებოდა.

საბრძოლო ოპერაციებში გამოჩენილი მამაცობისათვის ნიკოლოზ მაქარაშვილი წმ. სტანისლავის ორდენით დაჯილდოვდა. როგორც თვითონ წერს: „ის და მათი ჯგუფი წმ. ანას ორდენის გადაცემას ელოდნენ, მაგრამ ფეხოსნებთან კავშირი არ ჰქონდათ და ამიტომ სტანისლავის ორდენს უნდა დასჯერდნენ“ (საქართველოს ხელოვნების სასახლე, ფონდი I, საქმე I, ხ. 42763). კავკასიის ფრონტზე ნიკოლოზ მაქარაშვილის სამხედრო დანაყოფმა გერმანელების მიერ განხორციელებული დაბომბვის დროს ორი ქვემეხი დაკარგა (საქართველოს ხელოვნების სასახლე, ფონდი I, საქმე I, ხ. 42763).

1917 წლის ოქტომბერში ნიკოლოზი საარტილერიო დივიზიაში დაანიშნაურეს. ეს იყო საქართველოს პირველი ეროვნული რაზმი, რომელსაც პოლკოვნიკი ცაგურია მეთაურობდა. ცნობილია, რომ პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სამხრეთ კავკასიის ფრონტიდან წამოსული რუსეთის ჯარის ნაწილი აზერბაიჯანის მიმართულებით გადაადგილდებოდა. რუსეთის საჯარისო შენაერთებს თავს ესხმოდნენ შეირაღებული თათრები, რომელთა რიგებში ოსმალთა ოფიცრებიც იყვნენ. ამიერკავკასიის დროებითა მთავრობამ 1918 წლის იანვარში, კავკასიის ფრონტიდან მომავალი სამხედრო ეშელონების მხრიდან შემოტევის საფრთხე დაინახა და მათი განიარაღება გადანყვიტა. ამ ოპერაციას კავალერიის ოფიცერი, შტაბ-როტმისტრი ევგენი აფხაზავა ხელმძღვანელობდა. აფხაზავას მიერ ფრონტის ხაზიდან მომავალი სამხედროების განიარაღების მცდელობას სადგურ შამქორში შეტაკება მოჰყვა. ნიკოლოზ მაქარაშვილი აფხაზავას რაზმელებთან ერთად სწორედ ამ შეტაკებას ემსხვერპლა. შამქორის ინციდენტი აღწერილი აქვს ალ. ქუთათელს თავის რომანში: „პირისპირ“. დროებითი მთავრობის მიერ დავალების შესასრულებლად გაგზავნილ ჯავშნოსან მატარებელში მყოფ ევგენი აფხაზავას რაზმელებთან ერთად იგი ნიკოლოზ მაქარაშვილსაც იხსენიებს: „მეორე დღეს, დილით, აფხაზავა თავისი რაზმით არსენალთან გაჩერებულ ჯავშნიან მატარებელში ჩაჯ-

და. მატარებელში პორუჩიკი ანდლულაძე, მისი ოცდათხუთმეტი რაზმელი, შტაბს-როტმისტრი აფხაზავა, აფხაზავას თანაშემწენი: მაყაშვილი, მაკარაშვილი (იგულისხმება ნიკოლოზ მაქარაშვილი) და სამოცი პარტიზანი მოთავსდნენ“ (ალ. ქუთათელი, 1960: 98).

შამქორში ნიკოლოზ მაქარაშვილის ტრაგიკული დაღუპვის შესახებ მიხეილ მაქარაშვილი თავის მოგონებებში წერს: „14 იანვრის ღამეს, 15 რომ თენდებოდა, ღამის 2 საათზე ჩვენ კარზე დარეკეს, ბიცოლაჩემმა, ელენე ჟურულმა, რომელიც ჩვენთან დარჩა იმ ღამეს, გაალო კარი და დავინახეთ ჩემი ძმის ერთერთი მოადგილე (დანაყოფის ხელმძღვანელი), გვარად ჟღენტი, რომელმაც ფეხი შემოდგა შუშაბანდში და იქიდან ქვითინით გვაცნობა: „მეთაური მოგვიკლესო“. ნიკუშას და კიდევ რამდენიმე მოკლულის ცხედრები მოახერხეს და ტიფლისამდე ჯავშნოსანი მატარებლით ჩამოასვენეს, რომლის ერთი ვაგონი ნალმებისგან იყო დაგლეჯილი. ჩემი ძმის ცხედარი არბოში ჩვენს ეკლესიაში, მამაჩემისა და დედის მხრიდან პაპა-ბებოს გვერდით დაკრძალეს. დაკრძალვის დღემდე ჩემი ძმის ცხედარი რამდენიმე დღის განმავლობაში ესვენა ტიფლისის ქვაშვეთის ტაძარში, საპატიო ყარაულში მისივე თანამებრძოლები იდგნენ. გრანდიოზული ცერემონია იყო, მით უფრო, რომ ეს იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი საბრძოლო გამარჯვება (რაც სამწუხაროდ ყველას დაავინწყდა, ჩვენი ოჯახისა და რამდენიმე გამონაკლისის გარდა)“ (აქ მცირე უზუსტობაა, 1918 წ. იანვარში საქართველო ჯერ კიდევ არ იყო დამოუკიდებელი).

არბოს წმინდა გიორგის ტაძარში შემორჩენილია ნიკოლოზ ილიას ძე მაქარაშვილის ეპიტაფია: „ნიკოლოზ ილიას-ძე (ნიკუშა) მაკარაშვილი პოდპორ. ქართულ-ცხენოსანთა არტილ ბატარიასი გმირულად მოკლულ იყო შამხორს 10 იანვარს 1917 წ. დაბადებიდან 20 წლისა“ (ეპიტაფიის ამოკვეთის დროს ნიკოლოზ მაკარაშვილის გარდაცვალების თარიღი არასწორად არის მითითებული, უნდა ეწეროს 1918 წლის 10 იანვარი).

ეს უზუსტობა ირკვევა გაზ. „ერთობაში“ გამოქვეყნებული

სამძიმრის განცხადებიდან, სადაც ვკითხულობთ: „მწუხარებით გულმოკლული ნინა დურმიშხანის ასული მაკარაშვილი თავის შვილებით ირინა და მიშათი, გიორგი დურმიშხანის ძე და ელენა გიორგის ასული ყურული უღრმესი მწუხარებით აუნყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 10 იანვარს სად. შამხორთან, ჯავშნიან მატარებელში ტრაგიკულად გარდაიცვალა პირველის ძვირფასი და დაუფინყარი შვილი, მეორეთა საყვარელი ძმა, ხოლო დანარჩენთა ძმისწული (აქ უზუსტობაა, უნდა ეწეროს „დისწული“), ქართულ სამთოცხენოსან ბატარეის პოდპორუჩიკი ნიკოლოზ (ნიკუშა) ილიას ძე მაკარაშვილი. პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება სოფ. არბოში (გორის მაზრა) ნმ. გიორგის ეკლესიის გალავანში, საგვარეულო სასაფლაოზე. მიცვალებულს ქაშვეთის ეკლესიიდან გამოასვენებენ და სადგურზე წაასვენებენ პარასკევს 19 იანვარს. მიცვალებულის სულის მოსახსენებელი წირვის შემდეგ. წირვა დაიწყება დილ. 10 ს“. აქვეა, სამძიმრის მეორე განცხადებაც: „პარმენ დავითის ძე, სიმონ და ილია პარმენის ძენი გამყრელიძენი უღრმესი მწუხარებით აუნყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ და დაუფინყარ ნიკუშა მაკარაშვილის ტრალიკულად გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე ქაშვეთის ეკლესიაში საღამოს 6 საათ. დასაფლავება მოხდება სოფ. არბოში (გორის მაზრა) ნმ. გიორგის ეკლესიის გალავანში, საგვარეულო სასაფლაოზე (ამ განცხადებაში უზუსტობაა. ნიკოლოზ მაქარაშვილი დაკრძალეს არა გალავანში, არამედ არბოს წმინდა გიორგის გუმბათიან ტაძარში). მიცვალებულს ქაშვეთის ეკლესიიდან გამოასვენებენ და სადგურზე წაასვენებენ პარასკევს 19 იანვარს მიცვალებულის სულის მოსახსენებელი წირვის შემდეგ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე“ (გაზ. „ერთობა“, 1918, № 13).

დანართი

ნიკუშა მაქარაშვილის წერილი დედას (ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

მინაწერი ფურცლის თავში: ვკოცნი ძიძას, მოკითხვა...²
1916 19 სექტემბერი.

ჩემო საყვარულო და ძვირფასო დედიკო! ჩემდა სამწუხაროდ არ გამომიშვეს, რადგან ჩვენზე ადრე გაშვებული, დაჩქარებული (სწავლის) მე-7 კურსიდან თითქმის ყველამ დააგვიანა შვებულებიდან და ჩვენი კურსის შორს მცხოვრებნი არ გაგვიშვეს. გუშინ მარია ვიქტოროვნასთან³ ვიყავი. ის კითხულობდა, თუ როდის ჩამოხვიდოდი. ჩემი აზრით, შენთვის აჯობებს, რომ ოქტომბრის ბოლოს, ან ნოემბრის დასაწყისში (ჩამოხვიდე), რადგან ეს ყველაზე კარგი დროა. დღესასწაულზე აქ მაინცდამაინც კარგი არ არის და შეიძლება მე თვითონ ჩამოვიდე დღესასწაულზე. ახლა რაც შენს ჩამოსვლას შეეხება: დღესდღეობით აქ ყველაფერი ძვირია, ამიტომ კარგი იქნება თუ თეთრეულს თბილისში შეაკერინებთ, ყველაფერს ...⁴ შეაკერინებთ: წინდებს... ცხვირსახოცებს... პირსახოცებს... და ...⁵ ძიძამ ეს საქმე იცის. ჩამოსვლისას ყოველივე წამოიღე, ან უკიდურეს შემთხვევაში ყველაფერი სამ-სამი ცალი (წინდები, ცხვირსახოცი, პირსახოცი, ბალიშის პირები, ზეწრები, ...⁶), რადგან აქ, სასწავლებელში თეთრეული ყველას ... რომ ფული მივიღო, კარგი იქნება კიდევ თუ მამას ორ ...⁷ პალტოს, ზანდუკში რომაა, ...⁸

2 არ იკითხება.

3 იგულისხმება ნინო ჟურულის მეგობარი, „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე მთარგნელი მარიამ პრიტიცი.

4 არ იკითხება.

5 არ იკითხება.

6 არ იკითხება.

7 არ იკითხება.

8 არ იკითხება.

მამამ ორი ...⁹ პალტო ძალიან ძვირად 160-160 რუბლად იყიდა, ერთს ჩემთვის გადავაკეთებ და თუ შენ წინააღმდეგი არ იქნები, მეორეს გაყიდვა შეიძლება, მამას ... კიტელები აუცილებლად ჩამოიტანე, რადგან აქ ძალიან ძვირია, თითოეული ...¹⁰ (70?) რუბლი ღირს და კიდევ მამას ხმალი შეამონმეთ, წინასწარ ...¹¹ ეს გალაქული და მისთვის (ხმლისთვის) კავკასიური, ტყავის პორტპეუა იყიდეთ ...¹² იყიდება (ხელიდან გგლეჯენ) ... კარგი იქნებოდა, თუ ღვინოს და ჩურჩხელას ჩამოიტანდი და ბოლოს, ამანათი გამომიგზავნე¹³ და რაიმე კავკასიურიც, რომ არ ფუჭდებოდეს ისეთი ...¹⁴ ახლა ფულის შესახებ: შეეცადეთ ისე მოხერხდეს, რომ პირველი რიცხვისთვის მივიღო, რადგან პირველი რიცხვისთვის, როგორც იცი (ფული) არ მაქვს, არადა, ამ დროს მომსახურებისთვის გადახდა მიწევს ...¹⁵ და ...მათ წინაშე უხერხულობას ვგრძნობ, ბოდიშს მოგიხდი ამ დავალებებით სავსე წერილისთვის ...¹⁶ ჩამოდი.

ფურცლის ბოლოში: ირას და მიშას¹⁷ ნუ ეწყინებათ, რომ არ ვწერ. დღეს არა და მალე მივწერ.

ვკოცნი მაგრად ირას, მიშას, ბიძიას,¹⁸ დეიდას,¹⁹ დუმას, კოტეს.²⁰

მაგრად გკოცნი, მიყვარხარ. შენი ნიკუშა.

საქართველოს ხელოვნების სასახლე, ფონდი I, საქმე 135, ბ. 42763.

9 რ იკითხება.

10 რ იკითხება.

11 რ იკითხება.

12 რ იკითხება.

13 რ იკითხება.

14 რ იკითხება.

15 რ იკითხება.

16 რ იკითხება.

17 იგულისხმება ნიკუშას და-ძმა: ირინა და მიხეილი მაქარაშვილები.

18 იგულისხმება გიორგი ჟურული.

19 იგულისხმება გიორგი ჟურულის მეუღლე ელენე მუსხელიშვილი.

20 იგულისხმებიან გიორგი ჟურულის ვაჟები – დურმიშხან და კონსტანტინე ჟურულები.

ნიკუშა მაქარაშვილის წერილი დედას,

წერილის თავში მიწერილია თარიღი: 1916 წლის 16 ოქტომბერი (ხელნაწერი, რუსულ ენაზე)

საყვარელო დედიკო! გუშინ შენგან წერილი მივიღე (9 ოქტომბერს) და რა თქმა უნდა ძალიან გამიხარდა. დეკემბრის ბოლოს აქ ჩამოსვლის შესახებ მწერ და ამბობ, რომ ასე გირჩევენ. მე კი გეტყვი, რომ მათ, ვინც გირჩევენ, წარმოდგენაც კი არ აქვთ, თუ რა სიძნელეებთან და, შეიძლება ითქვას, შეუძლებლობასთან არის დაკავშირებული აქ ამ დროს ბინის მონახვა. ამჟამადაც კი ძნელია, ხოლო სასტუმროში გაჩერება ძალზედ ძვირი ჯდება. ამიტომ ყველაზე მოხერხებული დრო – ნოემბრის დასაწყისი თუ არა, შუა რიცხვებია. ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის, მარია ვიქტორის ასულის²¹ აზრიცაა. თუ ჩამოსვლას მოიფიქრებ, მაშინვე მომწერე და ოთახის ძებნას შევუდგები. ახლა ძებნას არანაირი აზრი არა აქვს. გარდა ამისა, დეკემბრის ბოლოს დიდი სიძვირეა. ამასთან ერთად შენ გრენადერთა ბრიგადის შესახებ მწერ, რომ ბიძია²² არ გპასუხობს, მაგრამ არაუშავს, მე ამჟამად (ვიდრე ომია) მაინც და მაინც იქ არ მივისწრაფვი.²³ იმის წინააღმდეგი კი არ ვარ, რომ კავკასიის ფრონტზე წავიდე, სურვილი მაქვს მხოლოდ კავკასიის სამთო-საცხენოსნო დივიზიონში. ამის მოხერხება შენთვის რთული არ იქნება, მხოლოდ უნდა იცოდე, თუ როგორ უნდა მოკიდო ხელი ამ საქმეს. საამისოდ საცხენოსნო-საარტილერიო ნაწილზე გასვლა და უპირველეს ყოვლისა კიევში (იქ დასავლეთის საცხენოსნო-საარტილერიო დივიზიონია) ვაკანსიის აღებაა საჭირო ...²⁴ მაგრამ ეს დიდ დროს ნაიღებს და ამიტომ ვფიქრობ, რომ იქნებ სასწავლებლიდან პირდაპირ კავკასიის ფრონტზე გადასვ-

21 იგულისხმება მარიამ პრიტიცი.

22 იგულისხმება გიორგი ჟურული.

23 შესაძლებელია გულისხმობს ბრიგადაში გადასვლას.

24 არ იკითხება.

ლა შევძლო (ეს ძალიან რთულია), თუ არადა, ან შენზე (ორე-უსის მემკვიდრით), ან ტფილისში (არმიის შტაბი)²⁵ ზე იქნება ყველაფერი დამოკიდებული ...²⁶ სამთო-საცხენოსნო დივიზიაში ...²⁷ ბარათოვის²⁸²⁹ დივიზიაში. ასე რომ ვასიაც (?)³⁰ შეძლებდა რაიმეს მოხერხებას. ყოველივე ბრწყინვალე იქნებოდა, რადგან საცხენოსნო არტილერიაში სამსახური ზედმინვენით კარგია. ეს შენ და დეიდას³¹ ...³² ალექსანდროპოლში (ისინი იქ იმყოფებიან-საჯარისო ნაწილში) შესაძლოა დეიდა გათხოვებამდე ბევრ ცხენოსან-არტილერისტს ცნობდა. შემდგომ იქიდან კი შესაძლოა გრენადერთა ბრიგადაში გადასვლა. შენ თუ წინააღმდეგი არ ხარ, მოქმედების დაწყება უკვე საჭიროა, რადგან ...³³ ბრძანებამდე 3 თვეა დარჩენილი. სულ დამავინყდა მეთქვა, იქ საჭირო არ არის ფული რომ იქონიო, ასე რომ ორიდან აირჩიე – ან გრენადერთ ბრიგადა, ან სამთო-საცხენოსნო დივიზიონი. თურქესტანის მე-5 დივიზიონში მხოლოდ ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში წავიდოდი, მაგრამ ვფიქრობ, რომ შენთვის სასიამოვნო იქნება, თუ ცხენოსანი შვილი გეყოლება. იმ შემთხვევაში თუ წამოხვალ, რაც გთხოვე, ის წამოიღე, პალტოები... კიტელები ...³⁴ შემდეგ წერილში მომწერე, თუ რა გადაწყვიტე

25 გვარი არ იკითხება.

26 არ იკითხება.

27 არ იკითხება.

28 იგულისხმება ცნობილი ქართველი სამხედრო მოღვაწე, რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ ბარათაშვილი (1865-1932 წ.წ.) 1916 წელს, ნიკოლოზ მაქარაშვილის წერილის გამოგზავნის დროს იგი კავკასიის პირველი კავალერიის კორპუსის მეთაური და სპარსეთში დისლოცირებული რუსული არმიის ცალკეული საექსპედიციო კორპუსის სარდალი იყო. <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000278/>; ნ. ჯავახიშვილი, 2003: 165-166).

29 არ იკითხება.

30 გაურკვეველია ვის გულისხმობს.

31 გაურკვეველია ვის გულისხმობს.

32 არ იკითხება.

33 არ იკითხება.

34 ტექსტის ეს ნაწილი არ იკითხება.

ჩემს თეთრეულთან დაკავშირებით. ამანათი ჯერ არ მიმიღია, ჩურჩხელები და ვაშლი მინდა. თუ გინდა 50 რუბლთან ერთად ეს 25 რუბლიც ...³⁵ უთხარი (მიშას?) რომ ჩემს მაგიერ მას ხელზე ეამბოროს, ხოლო ამ ფულით რაღაცას ...³⁶ ვიყიდი, რადგან ამის გაკეთების დრო დადგა, ...³⁷ სასწავლებელში მიღებული ფული არანაირად არ ეყოფა. ფული როგორც ყოველთვის, ისე გამოგზავნე. მალე ჩამოდი, ძალიან მინდა შენი ნახვა. მაგრად გეხვევი და გკოცნი შენ, ირას და მიშას. მაგრად ვკოცნი ბიძიას, დეიდას, დუმას და კოტეს. ყველა ნაცნობს მოკითხვა. ვკოცნი ბიძას.

მაგრად მიყვარხარ, ნიკუშა.

P.S. წერილს და შენს ჩამოსვლას ველოდები. ჩემი ამხანაგები (შენდამი) თაყვანისცემას გამოთქვამენ.

საქართველოს ხელოვნების სასახლე, ფონდი I, საქმე 135, ბ. 42763.

35 სავარაუდოდ წერია – თეკლა მაყაევას.

36 არ იკითხება.

37 არ იკითხება.

**From the History of the Makarashvili Lineage
(Nikoloz Makarashvili, son of Ilia)**

Summary

Lieutenant General Ilia Makarashvili and his wife, Nino Zhuruli, the sister of the Minister of Finance and Trade and Industry of the First Republic of Georgia Giorgi Zhuruli, had six children: the elder Giorgi, then Barbara, Nikoloz, Marika, Irene and Mikheili. Three of them – Giorgi, Barbara and Marika – died in childhood from disease. One of the sons of Ilia Makarashvili – Nikoloz (Nikusha) was born on December 19, 1897 according to the registration book of St. George of Arbo. Like his father, Nikoloz Makarashvili was interested in military affairs. He first graduated from the Tbilisi Military Academy, and then continued his studies at St. Michael's Artillery Academy in St. Petersburg. During his studies in St. Petersburg, Nikoloz (Nikusha) Makarashvili had an active communication with his family. The Makarashvili archive contains cards sent by Nikoloz Makarashvili to his mother. As it is clear from one of the letters, Nino Makarashvili sent a parcel to his son by the mediation of Machabeli (name not mentioned – G.S.). Nicholas could not stay in St. Petersburg and wrote to his mother with concern about it. He was thinking of transferring to the mountain cavalry division. Nikoloz, who was in St. Petersburg, had relations with Nino Makarashvili's friend Maria Prittwity. In one of his letters, he mentions that Maria visited Victor's daughter (Prittwitz) as a guest. Probably, at that time, Mariam Prittwitz was in St. Petersburg. In the fall of 1916, Nino Zhuruli was going to leave to visit his son. Nicholas advised his mother to come to St. Petersburg in the beginning or middle of November, because the hotel was very expensive in December.

Nikoloz Makarashvili was awarded the Order of St. Stanislav for his bravery in combat operations. As he writes: „He and his group

were waiting to receive the Order of St. Anna, but they had no connection with the footmen, and therefore they had to settle for the Order of Stanislav“. On the Caucasus front, Nikoloz Makarashvili’s military unit lost two cannons during the German bombardment. In October 1917, Nikoloz was promoted to the artillery division. It was the first national detachment of Georgia, which was commanded by Colonel Tsaguria. It is known that after the end of the First World War, part of the Russian army from the South Caucasus front moved in the direction of Azerbaijan. Russian military units were attacked by armed Tatars, whose ranks included Ottoman officers. In January 1918, the Transcaucasian Provisional Government saw the threat of an attack by military echelons coming from the Caucasus Front and decided to disarm them. This operation was led by Cavalry officer, Chief of Staff Evgeny Abkhazava. An attempt by Abkhazava to disarm the soldiers coming from the front line resulted in a clash at the Shamkori station. Nikoloz Makarashvili was killed in this clash together with the members of Abkhazava detachments.

The epitaph of Nikoloz Makarashvili, son of Ilia, is preserved in the St. George’s Cathedral of Arbo: „Nikoloz (Nikusha) Makarashvili, son of Ilia, Podpor of Georgian Cavalry Artillery Battery was heroically killed in Shamkhor on January 10, 1917. 20 years since birth“ (During the engraving of the epitaph, the date of death of Nikoloz Makarashvili was incorrectly indicated, it should be written as January 10, 1918).

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ბახტაძე მ., პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია, ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, №3(6), 2015.

გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 18 იანვარი.

გაზ. „ივერია“, 1889 წ., 7 ივლისი.

გაზ. „ივერია“, 1889 წ., 14 ივლისი.

მეტრიჩესკის წიგნი, მიცემული საქართველო-იმერეთის უნივერსიტეტის მმართველის სინოდის კანტორიდან გორის უეზდის არბოს წმინ. გიორგის ეკლესიასა შინა, ჩასანერად დაბადებულთა, ქორწინებით შეუღვლილთა და გარდაცვალებულთასა. ჩყჟზ წლისა, ნაწილი პირველი დაბადებულთათვის.

საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე I, ხ. 42763.

საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 135, ხ. 42763.

ქუთათელი ალ., პირისპირ, წიგნი I, თბ., 1960.

ჯავახიშვილი ნ., ქართველი თეორეტიკები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 345, თბ., 2003.

<http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000278/>

სოფელი იკოთი XIX საუკუნის დასაწყისში

ახალგორიდან ჩრდილოეთით მგზავრობისას, პირველად იკოთს ვენწევით, რომელიც დაბის ცენტრიდან 3 კილომეტრის დაშორებით მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს მდებარეობს, ზღვის დონიდან 960 მეტრზე. იკოთი ისტორიულ წყაროებში XVII საუკუნიდან იხსენიება, თუმცა აქ მოსახლეობა უძველესი დროიდან ცხოვრობდა, რასაც სოფელში აღმოჩენილი გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ადასტურებს (იკოთი (ქსე), 1980: 105). 1955 წელს ისტორიის ინსტიტუტის დაზვერვითმა ექსპედიციამ ქსნის ხეობაში რამდენიმე ნამოსახლარ გორას მიაკვლია და აღწუსა, მათ შორის სოფელ იკოთშიც, სადაც ბრინჯაოს ხანის ფენები დადასტურდა (მუსხელიშვილი, ცქიტიშვილი, 1960: 185-196). დღეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული იკოთში აღმოჩენილი ვერცხლის სხივებიანი საყურე და ბრინჯაოს საკიდი (გაგოშიძე, 1964: 9).

იკოთი თავის აღწერებში მოხსენიებული აქვს XVIII საუკუნის გერმანელ მოგზაურს იოჰან ანტონ გიულდენშტედტს, იგი ახდენს სოფლის ლოკალიზაციას და მიგვითითებს, რომ იკოთი მდებარეობს მდინარე გუმაელაზე, ლორწობნის მთის დასავლეთ ძირთან (გიულდენშტედტი, 1964: 49) და ემორჩილება ქსნის ერისთავს (გიულდენშტედტი, 1964: 275). ბოლო პერიოდში იკოთი ახალგორის მონიციპალიტეტის ბოლის თემში შედიოდა.

სოფელში რამდენი ღირშესანიშნავი ძეგლი მდებარეობს, მათ შორის გარდამავალი ხანის წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია, რომელიც აშხადურას სახელითაცაა ცნობილი, გვიანი შუა საუკუნეების წმინდა ბარბარეს და წმინდა მარინეს ეკლესიები და ამავე პერიოდის რიყის ქვით ნაგები კოშკი მოურავ ფიცხელაურების კარ-მიდამოში (იხ. შიდა ქართლი, 2008: 93-97). ახშადის წმინდა გიორგის ტაძარი სოფელთან ახლოს, ტყეშია აგებული, ოდესღაც დიდი ტაძარი დღეს დაზიანებულია. წმინ-

და მარინეს სახელობის ტაძრის სამხრეთ კარიბჭეში მოთავსებული მარმარილოს ფიქალზე მხედრული წარწერაა, რომელიც მცენარეთა ორნამენტებითაა მორთული. სოფლის დასავლეთით წმინდა გიორგის სახელობის კიდევ ერთი ტაძარია აგებული. იგი თავის დროზე ბერ-მონაზონთა სიმრავლით ყოფილა გამორჩეული, რის გამოც ტაძრის ტერიტორიას შაოსანთა მთას ეძახდნენ. ფიცხელაურების სათადავადაზნაურო, საგვარეულო კომპი საცხოვრებელი იყო და იქ ამ გვარის არაერთი თაობა გაზრდილა, მეორე სართული თავდაცვით ფუნქციას ასრულებდა.

სოფელს ჯავარად წარმოსდგომია XVIII საუკუნეში აგებული ქსნის ერისთავთა საზაფხულო სასახლე, რომელიც ცნობილმა თავადმა გენო ქობულაშვილმა შეიძინა და შემდეგ სიძე – ქალიშვილს მიხეილ ბაგრატიონ მუხრან-ბატონსა და ნინო ქობულაშვილს აჩუქა ქორწილის დღეს. მიხეილი სიცოცხლის ბოლომდე ამ სასახლეში ცხოვრობდა. მან თავის დროზე სასახლის სამი ოთახი სოფლის სკოლას დაუთმო, სადაც, აქაური ბავშვები 1988 წლამდე ეუფლებოდნენ საშუალო განათლებას. მოგვიანებით სასახლე გაპარტახდა... 2003 წლის 10 ივნისს ცხინვალისა და ნიქოზის მიტროპოლიტის, ისაიას ლოცვა-კურთხევით სასახლეში წმინდა ბერის – ალექსი შუშანიას სახელობის დედათა მონასტერი დაარსდა, აიგო მცირე ზომის ეკლესია და სამრეკლო, მოეწყო სენაკები. (იხ. ცაგურაშვილი, 2007).

თვით სახელწოდება „იკოთი“, ხალხური გადმოცემით, მამაკაცის საკუთარ სახელს უნდა უკავშირდებოდეს. აქ დასახლებული კიკოს მემკვიდრეები კიკოსშვილებად დაენერნენ და სოფელსაც კიკოთი (შემდგომში იკოთი) დაერქვაო...

არაერთი სახელოვანი ადამიანის სტუმრობა ახსოვს იკოთს, აქ მოსახლე ფიცხელაურები ხშირად მასპინძლობდნენ დიდ ქართველებს, მათ შორის ილია ჭავჭავაძესა და ექვთიმე თაყაიშვილს. ექვთიმემ ფიცხელაურების ოჯახში ბევრ ისეთ ისტორიულ დოკუმენტს მიაკვლია, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ საქართველოს ისტორიის შესწავლაში. გავიხსენოთ თუნდაც ქართული სამართლის უნიკალური ძეგლი „გარიგე-

ბა ჯელმნიფის კარისა“, რომელიც ამგდარ ერისკაცს სწორედ იკოთში უნახავს (ცაგურაშვილი, 2007). ამ ძეგლის შინაარსი იმდენად მრავალფეროვანია, რომ მას საქართველოს როგორც სახელმწიფო წესწყობილების, ისევე კულტურული, ეკონომიური და ნივთიერი კულტურის ისტორიის შესასწავლად უაღრესი მნიშვნელობა აქვსო, – ბრძანებდა ივანე ჯავახიშვილი. მართალია ტექსტის ნახევარზე მეტი დაკარგულად ითვლება, მაგრამ გადარჩენილიც ფრიად მნიშვნელოვანი წყაროა. ერთობ საინტერესოა ექვთიმეს მიერ იკოთში ნაპოვნი და შემდეგ გამოცემული „ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობის“ შესავალი, სადაც წერს: „ეს ძეგლი ვიპოვე 1908 წელს, ქსნის ხეობაში არქეოლოგიური მოგზაურობისას, სოფელ იკოთში. იგი 35 სიგელ-გუჯართან ერთად აღმოაჩნდა ვახტანგ ივანეს-ძე ფიცხელაურის დედას, რომელმაც ჩემი თხოვნით შემოსწირა ყველა ეს საბუთი მაშინ ახალდაარსებულ „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ მუზეუმს. სიგელ-გუჯრები ადრევე გამოვეცი (საქართველოს სიძველენი», ტ. II). ესეც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, თუ რა საგანძური ინახებოდა ქსნის ხეობის ამ უმშვენიერეს სოფელში. ამ საგანძურის შესახებ მოგვითხრობს ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სასულიერო პირი, ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების წევრი ილარიონ ჯაში: „ბევრი გუჯრები მინახავს სოფელ იკოთში მცხოვრებელი აზნაურის ივანე არჯევანის ძე ფიცხელაურის სახლში... ამათ გუჯრებში ხშირად ნახავდით გიორგი XIII-ის მონერილს ხელს და ბეჭედს. ეჭვი არ არის, რომ ამ გუჯრებში ბევრი საინტერესო რამე მოიძევება“ (ქენქაძე, 2014: 53). ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად ყურადსაღებია ის ნივთიერი კულტურა, რომელიც ახალგორის მოურავების ოჯახში ინახებოდა, მათ შორის ტყავზე დანერილი „ვეფხისტყაოსანი“ და ლურჯ ქალღმერთ ხელნაწერი გრამატიკა, რომლებიც ილარიონ ჯაშისთვის დედინაცვალს – იკოთელ ფიცხელაურის ქალს უჩუქებია. იმ დროს ჯაში თბილისის სასულიერო სასწავლებლის მეორე კლასის მოსწავლე იყო, ხელნაწერი წიგნები ერთ-ერთ

მასწავლებელს გამოურთმევია და აღარ დაუბრუნებია... ილარიონის მონათხრობით დიმიტრი არჯევანის ძე ფიცხელაურს, შემდგომში მთავარეპიკოპოს დოსითეოზს „დაუტოვებია ორი შესანიშნავი ხატი. ერთი მათგანი, როდესაც გაყრილან ეს ოჯახი ივ. ფიცხელაურის ბიძაშვილს (ქალს) შეხვედრია და დუშეთის ეკლესიისათვის შეუწირავს, მეორე კი დღესაც იკოთის ეკლესიაში ასვენია. ეს ხატი მთლად წაჰგავს რაფაელის მადონას და გარშემო ნაწილებია წმინდანების, თუ არ ვცდები რიცხვით ოც-და-ოთხი. ამ უკანასკნელ ხატში ქსნის ერისთავს გიორგის, კნენა ქეთევან ჯამბაკურიან ორბელიანის მამას სამი სოფელი ყმითა და მამულით უძღვევია დოსითეოზისათვის და მაინც არ მიუცია. ეს უთქვამს ჩემთვის ივანე ფიცხელაურს.“ (ქენქაძე, 2014: 53). ფიცხელაურების შესახებ ქვემოთ ცოტა უფრო ვრცლად ვისაუბრებთ...

რაც შეეხება ჩვენი კვლევის ძირითად საკითხს; უნდა ითქვას, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში იკოთში არსებული დემოგრაფიული და ეკონომიკური ვითარების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვანვძის 1804 წელს ყოფილ ქსნის საერისთავოში ჩატარებული პირველი რუსული კამერალური აღწერა. ჩვენ ვისარგებლეთ ბექდური პირით, რომელიც დაცულია გორის ეთნოგრაფიულ მუზეუმში. აღნიშნული მასალები მუზეუმისთვის 1956 წელს შენიშვნებითა და კომენტარებით გადაუცია პროფესორ სარგის კაკაბაძეს. ცნობილი მეცნიერის სამართლიანი შენიშვნით: „აღწერა იძლევა ძვირფას ცნობებს სათანადო სოფლებისა და მხარეების მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების შესახებ, არკვევს აგრეთვე ამ მოსახლეობის სოციალურ რაობას, საკომლო კერძო მფლობელობის შეხამებას სათემო მფლობელობასთან და სხვა“ (გსიემ, 1956: 5). აღსანიშნავია ისიც, რომ ნაბეჭდ ტექსტში სახელებისა და გვარების მითითებისას, მთელი რიგი შეცდომებია დაშვებული, რასაც შეძლებისდაგვარად ვაზუსტებთ...

1804 წლის კამერალური აღწერით იკოთში 51 ოჯახი ცხოვრობდა, აქედან 33 კომლი ერისთავის მიწაზე, 18 კომლი –

ჩვენგან ზემოთ უკვე რამდენჯერმე ნახსენები ფიცხელაურების. ისინი წარმოშობით ხევსურეთის სოფელ ბაცალიგოდან არიან გადასახლებული ჯერ გუდამაყრის სოფელ ბაკურხევში, მოგვიანებით კი კახეთის სოფლებში, თიანეთში, ხევში, საიდანაც ქსნის ხეობაში დაემკვიდრნენ და ახალგორის მოურავობამდეც მიაღწიეს.

მოურავი საკმაოდ გავლენიანი პიროვნება გახლდათ. „იგი მისთვის სამოურავოდ მიცემული ქალაქის უფროსი იყო“ (გვერტიშვილი, 1968: 363). მას ევალეობდა სამართალზე, ქალაქის მოვლასა და ბეჯითად გარჯაზე ზრუნვა (საქართველოს სიძველენი, 1910: 12), რაშიც განსაკუთრებული მცდელობა და თავდადება უნდა გამოეჩინა (საქართველოს სიძველენი, 1909: 528). ქსნის საერისთავოში ერისთავისაგან დანიშნულ მოხელეს სასამართლო და ადმინისტრაციული საქმეები უნდა განეგო.

XVIII საუკუნეში ახალგორის მოურავად ინიშნება აზნაური არჯევან ფიცხელაური, იგი გახლდათ ჟამურის მოურავიც. არჯევანი ფლობდა დიდძალ მიწებს, მისი აგებულია იკოთში კოშკი თავისი გალავნით. როგორც ჩანს, ფიცხელაურები ვერ ეგუებოდნენ ერისთავთა ბატონობას და ხშირად უპირისპირდებოდნენ. 1777 წელს, როცა ქსნის საერისთავო გაუქმდა, ამ საქმეში ერეკლე მეფის ერთგულ მხარდამჭერთა შორის ფიცხელაურებიც ყოფილან. რაც სათანადოდ უფასდებოდათ. ფიცხელაურთა სახლის კიდევ ერთი წარმომადგენელი ზურაბი გიორგი ბატონიშვილის 1778 წლის წყალობის წიგნით იღებს ქსნის ბოქაულთუხუცესობას, ასევე ჭურთის ხეობისა და წირქოლის მოურავობას (სცსა, ფ. 229, საბ. № 111). არჯევანს კი მოურავობასთან ერთად ქსნის სახლთუხუცესობა ებოძა (სცსა, ფ. 229, საბ. № 107).

არა მარტო საქართველოში, რუსეთის იმპერიაშიც საკმაოდ ცნობილი მოღვაწე გახლდათ მთავარეპისკოპოსი დოსითეოსი (დიმიტრი ფიცხელაური), ქვათახევის, შიომღვიმის, თირის, ხოფის და ლარგვისის მონასტრების წინამძღვარი, ურბნისის, გორის, ოსეთის ეპარქიის ეპისკოპოსი, ეგზარქოსის ქორეპისკოპოსი და კავკასიის მთის ქორეპისკოპოსი, გორის სავიკარი-

ოს მღვდელთმთავარი... დოსითეოსი იკოთში იყო დაბადებული, იგი სწორედ არჯევანის მეოთხე ვაჟი გახლდათ, ისიც თავის ძმებთან ერთად ქსნის ერისთავების წინააღმდეგ იბრძოდა და მაინცდამაინც არც რუსული მართველობა მოსდიოდა თვალში, 1810 წლის მარიაამობას იმპერიის გერბი ეკლესიის იატაკზე დაუნარცხებია (ფიცხელაურების შესახებ იხ., ნაზლაიძე, 1994).

XIX საუკუნის აღწერაში ფიცხელაურები მხოლოდ მიწის მფლობელებად და მებატონეებად არიან მოხსენიებული და არა ცალკე კომლებად, განსხვავებით მეთვრამეტე საუკუნის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობებისა. ერეკლეს დროინდელ აღწერებში, ისინი კომლადაც აღინუსხებიან და იქვე მათი ყმებიცაა მითითებული.

ერთი რამეც აღსანიშნავია, ფიცხელაურების ყმები სახაზინო გადასახადს არ იხდიან, მხოლოდ მემამულეების წინაშე არიან უშუალოდ პასუხისმგებელნი...

მიყვეთ აღწერას...

აქ მცხოვრები ქართველები:

1) ივანე გიგაური შვილი (გიგაური, – დ.ა), 5 მამაკაცი, 6 ქალი, 14 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 360 თუნგი ღვინო, 1 წისქვილი თავისი პურისთვის, გადახდილი აქვს ხორბალი 3 და ქერი 2 კოდი, ფული – 50 კაპიკი, კარაქი 2 ფუთი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 4 მანეთი და 49 1/2 კაპიკი.

2) ბერი გიგაური შვილი, 5 მამაკაცი, 3 ქალი, 15 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 480 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 4 მანეთი და 49 1/2 კაპიკი.

3) პეტრე გიგაური შვილი, 4 მამაკაცი, 2 ქალი, 6 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 300 თუნგი ღვინო, 1 წისქვილი თავისი პურისთვის, გადახდილი აქვს თითო-თითო კოდი ხორბალი და ქერი, კარაქი 1 ფუთი, ფული – 50 კაპიკი, ქათამი და 2 კვერცხი, სულ: 1 მანეთი და 82 კაპიკი.

4) ბერი გიგაური შვილი, 2 მამაკაცი, 3 ქალი, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და 82 კაპიკი.

5) მახარა ხუცი შვილი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 4 დღის სახნა-

ვი მიწა, გადახდილი აქვს ნახევარ-ნახევარი კოდი ხორბალი და ქერი, კარაქი $1/4$ ფუთი, ნახევარი ქათამი და 1 კვერცხი, სულ: $78 \frac{1}{2}$ კაპიკი.

6) ფოცხარი გიგაური შვილი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 7 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 360 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს $3/4$ კოდი ხორბალი და $3/4$ კოდი ქერი, კარაქი 1 ფუთი, ნახევარი ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 1 მანეთი და $22 \frac{1}{2}$ კაპიკი.

7) ნინია გიგაური შვილი, 2 მამაკაცი, 4 ქალი, 9 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 240 თუნგი ღვინო, 1 წისქვილი თავისი პურისთვის, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და $22 \frac{1}{2}$ კაპიკი.

8) დათუნა გიგაური შვილი, 4 მამაკაცი, 5 ქალი, 7 დღის სახნავი მიწა, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და $22 \frac{1}{2}$ კაპიკი.

9) ბერი გიგაური შვილი, 3 მამაკაცი, 4 ქალი, 6 დღის სახნავი მიწა, 1 წისქვილი, 1 ბალი, მოჰყავს 10 კოდი პური, 120 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს $3/4$ კოდი ხორბალი და $3/4$ კოდი ქერი, კარაქი 1 ფუთი, ნახევარი ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 1 მანეთი და $22 \frac{1}{2}$ კაპიკი.

10) გოგია გიგაური შვილი, 2 მამაკაცი, 6 ქალი, 7 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 240 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და $22 \frac{1}{2}$ კაპიკი.

11) ზურაბ გიგაური შვილი, 4 მამაკაცი, 4 ქალი, 6 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 180 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და $22 \frac{1}{2}$ კაპიკი.

12) ვასილი მამარნაშვილი (მემარნაშვილი – დ.ა), 5 მამაკაცი, 5 ქალი, მიწა არა აქვს და გადასახადიც არ გადაუხდია, გამომუშავებაზეა.

13) ბერი გიგაური შვილი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 84 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და $22 \frac{1}{2}$ კაპიკი.

14) შიო გიგაური შვილი, 5 მამაკაცი, 10 ქალი, 30 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 360 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 2-2 კოდი ხორბალი და ქერი, 1 ცხვარი, კარაქი 2 ფუთი,

ქათამი და 5 კვერცხი, ფული – 50 კაპიკი, სულ: 4 მანეთი და 62 1/2 კაპიკი.

15) ზურაბ გიგაური შვილი, 3 მამაკაცი, 3 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ნახევარ-ნახევარი კოდი ხორბალი და ქერი, კარაქი 1/4 ფუთი, 1/4 ქათამი და 1 კვერცხი, სულ: 75 კაპიკი.

16) ივან ზანგურაშვილი, 2 მამაკაცი, 2 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 60 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 75 1/2 კაპიკი.

17) იესე ზანგურაშვილი, 4 მამაკაცი, 5 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 75 1/2 კაპიკი.

18) ოთარ გიგაური შვილი, 5 მამაკაცი, 5 ქალი, 7 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 240 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 3/4 კოდი ხორბალი და 3/4 კოდი ქერი, კარაქი 1 ფუთი, ნახევარი ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 1 მანეთი და 22 1/2 კაპიკი.

19) ბერუკა გერიტა შვილი (გვრიტიშვილი, – დ.ა), 3 მამაკაცი, 3 ქალი, 7 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 180 თუნგი ღვინო გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და 22 1/2 კაპიკი.

20) პეტრე ჯანგურა შვილი (ზანგურაშვილი, – დ.ა), 1 მამაკაცი, 2 ქალი, 1 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 60 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 1/8 კოდი ხორბალი და 1/8 კოდი ქერი, კარაქი 1/8 ფუთი, 1/8 ქათამი და 1 კვერცხი, სულ: 20 1/2 კაპიკი.

21) გოგილა ბაშარული შვილი, 2 მამაკაცი... 1 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 48 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 20 1/2 კაპიკი.

22) ნინია გრიტაშვილი (გვრიტიშვილი, – დ.ა), 4 მამაკაცი, 2 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 60 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 1/4 კოდი ხორბალი და 1/4 კოდი ქერი, კარაქი 1/4 ფუთი, 1/4 ქათამი და 1 კვერცხი, სულ: 40 1/2 კაპიკი.

23) ზურაბ გარიტაშვილი (გვრიტიშვილი, – დ.ა), 5 მამაკაცი, 4 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 180 თუნგი ღვი-

ნო, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი.

24) ბერი გრიტაშვილი (გვრიტიშვილი, – დ.ა), 2 მამაკაცი, 1 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 36 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი.

25) გიორგი გრიტაშვილი (გვრიტიშვილი, – დ.ა), 3 მამაკაცი, 2 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი.

26) შიო ბაშარული შვილი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 24 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 1/4 კოდი ხორბალი და 1/4 კოდი ქერი, კარაქი 1/4 ფუთი, 1/4 ქათამი და 1 კვერცხი, სულ: 40 1/2 კაპიკი.

27) ბერი ბაშარულა შვილი (ბაშარული, – დ.ა), 2 მამაკაცი, 2 ქალი, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი.

28) ქიტესა ბაშარულაშვილი (ბაშარული, – დ.ა), 2 მამაკაცი, 3 ქალი, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი.

29) პატარკაცი ბაშარულაშვილი (ბაშარული, – დ.ა), 4 მამაკაცი, 3 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი.

30) მამუკა ბაშარულიშვილი (ბაშარული, – დ.ა), 1 მამაკაცი, 3 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი.

31) გრიგორა ბაშარულაშვილი (ბაშარული, – დ.ა), 3 მამაკაცი, 1 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 60 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი.

32) თადილა გრიტაშვილი (გვრიტიშვილი, – დ.ა), 3 მამაკაცი, 5 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 84 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი.

33) ქიტესა ხუჯანა შვილი, 3 მამაკაცი, 3 ქალი, მიწა არა აქვს და გადასახადიც არ გადაუხდია, გამომუშავებაზეა.

სულ თავად ერისთავის მიწაზე ცხოვრობს 33 ოჯახი, 105 მამაკაცი, 109 ქალი, მათ მფლობელობაშია 173 დღის სახნავი მიწა, 30 ყურძნის ბალი, მოჰყავთ 4944 თუნგი ღვინო. გადახდილი აქვთ 36 მანეთი და 5 1/2 კაპიკი.

ნიკოლოზ ფიცხელაუროვის მიწაზე მცხოვრებნი:

34) გიორგი ბაშარული შვილი, 3 მამაკაცი, 3 ქალი, 4 დღის მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო. გადასახადს მემამულეს უხდიან.

35) მამუკა ბაშარულიშვილი, 2 მამაკაცი, 3 ქალი, 2 დღის მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 60 თუნგი ღვინო.

36) გიორგი ბაშარულიშვილი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 3 დღის მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 48 თუნგი ღვინო.

37) გოგილო ბაშარული შვილი, 4 მამაკაცი, 2 ქალი, 3 დღის მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 48 თუნგი ღვინო.

38) იასე გრიტა შვილი (გვრიტიშვილი, – დ.ა), 4 მამაკაცი, 6 ქალი, 4 დღის მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 260 თუნგი ღვინო.

39) ბერო დოლე შვილი (დვალიშვილი, – დ.ა), 7 მამაკაცი, 3 ქალი, 20 დღის მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო.

40) ხ(ვ)თისავარ გიგაური შვილი, 5 მამაკაცი, 2 ქალი, 7 დღის მიწა.

41) ივან გიგაური შვილი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 9 დღის მიწა.

42) დათუნა ჯამაგიძე, 2 მამაკაცი, 3 ქალი, 10 დღის მიწა.

იოსებ ფიცხელაუროვის მიწაზე მცხოვრებნი:

43) ისეია ბაშარულაშვილი (ბაშარული, – დ.ა), 4 მამაკაცი, 1 ქალი, 2 დღის მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 72 თუნგი ღვინო, იხდის მემამულის დაკისრებულ გადასახადს.

ბეჟან ფიცხელაუროვის მიწაზე მცხოვრებნი:

44) ქიტესა ნიაური შვილი, 5 მამაკაცი, 2 ქალი, 3 დღის მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო.

45) პეტრე ნიაური შვილი, 3 მამაკაცი, 4 ქალი, 7 დღის მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო.

46) დათუნა ნიაური შვილი, 6 მამაკაცი, 4 ქალი, 10 დღის მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 150 თუნგი ღვინო.

ამირან ფიცხელაუროვის მიწაზე მცხოვრებნი:

47) ელიზბარ ნიაური შვილი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 4 დღის მიწა, 1 ბალი, მოჰყავს 60 თუნგი ღვინო.

48) გლახა ნიაური შვილი, 5 მამაკაცი, 3 ქალი, 10 დღის

მინა, 1 ბალი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო.

49) ბერი ნიაური შვილი, 4 მამაკაცი, 2 ქალი, 3 დღის მინა, 1 ბალი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო.

გიორგი ფიცხელაუროვის მინაზე მცხოვრები:

50) გიორგი ნიაური შვილი, 7 მამაკაცი, 3 ქალი, 15 დღის მინა, 1 ბალი, მოჰყავს 30 თუნგი ღვინო.

ნიკოლა ფიცხელაუროვის მინაზე მცხოვრები:

51) გიორგი ზანგურაშვილი, 4 მამაკაცი, 3 ქალი, 5 დღის მინა.

ფიცხელაურების მინაზე ცხოვრობს 18 ოჯახი, 74 მამაკაცი, 50 ქალი, მათ მფლობელობაშია 121 დღის სახნავი მინა, 14 ყურძნის ბალი, მოჰყავთ 1488 თუნგი ღვინო. გადასახადს მემამულეებს უხდიან.

სულ სოფელ იკოთში ცხოვრობს 51 ოჯახი, 179 მამაკაცი, 159 ქალი, მათ მფლობელობაშია 459 დღის სახნავი მინა, 2 ნისქვილი, 62 ყურძნის ბალი, მოჰყავთ 9342 თუნგი ღვინო. სახაზინო გადახდილი აქვთ 36 მანეთი და 5 1/2 კაპიკი (გსიემ, 1956: 12-20)

სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა გიგაურები არიან – 16 კომლი, მათი დიდი ნაწილი ერისთავის მინაზე ცხოვრობს – 14 ოჯახი, 2 ოჯახი ნიკოლოზ ფიცხელაურის მინაზეა დამკვიდრებული, 4 კომლი – ზანგურაშვილები არიან, 7 კომლი – გვრიტიშვილები, 12 – ბაშარული, 7 ოჯახი – ნიაური, ისინი ბეჟან, ამირან და გიორგი ფიცხელაურების ყმები არიან, თითო კომლი ხუციშვილი, დვალიშვილი, ხუჯანაშვილი, ჯამაგიძე და მემარნიშვილია. როგორც ჩანს, მემარნიშვილები გიგაურებისაგან განაყარი შტოა, 1783 წლის აღწერაში ვხვდებით – კომლს გიგაურს და ოჯახის წევრს – მემარნე ბერს.

XVIII საუკუნის სტატისტიკური აღწერილობებით იკოთში დაახლოებით 50-მდე კომლი ცხოვრობდა, თითქმის იმდენივე, რაც მომდევნო საუკუნის დასაწყისში, ძირითადი მოსახლეობა მაშინაც გიგაურები, ბაშარულები, ნიაურები, გვრიტიშვილები და ზანგურაშვილები იყვნენ. ვხვდებით ხიზნებსაც, მაგალით-

ად, 1774 წელს იკოთში უცხოვრიათ კორინთელის ყმას ირტო-ზელ ხიზან ძალღუა მარხიძეს, კათალიკოსის ყმას „გრდანელს“ ხიზანას; არაგვის ერისთავის ყმას წვერეველ ყალაის შვილს ბე-ჟანას და ასე შემდეგ... 9 კომლია ხიზანი და ერთი კომლი ბოგანო – ხუციათ ქიტესას შვილი კომლი ა, თავი ბ, პეტრე და მახარა (თაყაიშვილი, 1951: 53).

1783 წლის აღწრით იკოთში 4 კომლი ბოგანოა და ერთი კომლი ხიზანი – ხადელი არაგველი კაიშაური ბეჟანას შვილი ბერი. შესამჩნევია ერთი ფაქტიც, მახარე ხუციშვილი 80-ანი წლების აღწერაში ბოგანოთა რიცხვში აღარაა (იხ., თაყაიშვილი, 1951: 25-26,) 1804 წლის აღწერით კი უკვე 4 დღის სახნავი მიწა აქვს და გადასახადსაც იხდის. სტატუსი შეიცვალა მარხიძემაც, იგი ჯერ ხიზანი იყო, შემდეგ ბოგანო.

როგორც ვიცით, ხიზანი მიწის არმქონე გლეხი იყო, რომელიც მებატონისგან იჯარით იღებდა მიწას და ამით ირჩენდა თავს, ბოგანოს შედარებით უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა, იგი მცირე მიწა ფლობდა, უვენახოს... იყო შემთხვევები, როცა მკვიდრი გლეხი ხდებოდა ბოგანო და პირიქით, ბოგანო „იმალღებდა“ სტატუსს, რაც მემამულის წყალობა-განწყობაზე იყო დამოკიდებული.

1774 წლის აღწერაში ასევე გამოკვეთითაა მინიშნება გლეხების კიდევ ერთ კატეგორიაზე – მსახურზე: იკოთში ქსნის ერისთავის ყმები არიან: ბაშარული კიკოს შვილი ნინია მსახური და გვრიტიანთ გიორგის შვილი ბერი მსახური. მსახურთა ინსტიტუტი საუკუნეების განმავლობაში არსებობდა საქართველოში, იგი ჩვეულებრივ გლეხზე უფრო დაფასებული ჩანს. მაგალითად, ბექას სამართლის მიხედვით მსახურის სისხლი შეფასებულია 1000 თეთრად, გლეხის სისხლი – 400 თეთრად, ხოლო აზნაურის – 12000 თეთრად (ჩუბინაშვილი, 1846: 210). მსახურის ძირითადი მოვალეობა გახლდათ ლაშქრობისა და ნადირობის დროს მებატონის გვერდით ყოფნა და ძღვენის მირთმევა: „არა კოდის პური, არა ღალა, არა კულუხი, არა ჩვენი ხვნა, არა მკა, არა ლენვა, არა ზვარში მუშაობა, არა ქვევრის რეცხვა... არაფერი

ღუთის განაჩენი ხორციელის კაცის სარჩო და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს ლაშქრისა და ნადირობის მეტი და მსახურობა და ძღვენი. სხვა შენს კარზე არა მოდგეს რა მზისა და წვიმის მეტი. ჩემი ტომარა რომ კარზე ჩამოგივარდეს, არც იმას საბელი არ ათხუო“, – ვკითხულობთ რევაზ ერისთავის მიერ თამაზა ბუჩაშვილისადმი გაცემულ XVII საუკუნის სითარხნის წყალობის წიგნში (დოკუმენტები, 1940: 20).

როგორც აღწერიდან ჩანს, იკოთის მიწები მოსავლიანია და სახნავად მთლიანად გამოსაყენებელი, მემინდვრეობისა და მევენახეობის ხვედრითი წილი მაღალია... 62 ყურძნის ბალი აქვთ და მოჰყავთ 9342 თუნგი ღვინო. მკვეთრად შემცირებულია ღვინის ბალების რაოდენობა 1816 წელს შედგენილი ბატონიშვილების ყოფილი ქონების აღწერაში, იმ დროისთვის იკოთში მითითებულია 30 ღვინის ბალი და წლიური მოსავალი – 5000 თუნგი ღვინო. რაც იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ 1804 წელს იკოთის მცხოვრებთა სიაში ახლოს მდებარე უბნებისა და სოფლების მოსახლეობაც გააერთიანეს. ზოგადად, იკოთში მევენახეობა იმდენად ყოფილა განვითარებული, რომ მას პატარა კახეთად მოიხსენიებდნენ (დოკუმენტები, 1940: 156).

თავისი საკუთარი „ხატის ვენახი“ ჰქონდა სოფლის დასავლეთით, შაოსანთა მთაზე მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას, სადაც ღვინოს წურავდნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მევენახეობასთან ერთად სოფელში მაღალ დონეზე იყო განვითარებული მემინდვრეობა, მოჰყავდათ პური, ხორბალი, ქერი... მისდევდნენ ასევე მესაქონლეობას. გადასახადს მესაქონლეობის ნაწარმითაც იხდიდნენ, მაგალითად – კარაქით. გადასახადში ასევე შედიოდა ქათამი და კვერცხი. ნატურით გადასახადს ნაღდი ფულიც ემატებოდა.

ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ იკოთში მცხოვრები გვრიტიშვილების შესახებ. რ. თოფჩიშვილის მიხედვით, მათი წინაპრები ხანდოდან იყვნენ, ხანდოში კი თუშეთიდან გადმოსახლებულან. ინფორმატორის ცნობით, რომელიც სოფელ ზემო ბულაჩაურში მცხოვრები გვრიტიშვილია: „ქსანზე რომ არიან,

სოფელ იკოთში, ესენიც ხანდოდან არიან წასულები ადგილის სივინროვის გამო. ადგილი აღარ იყო, ცხოვრება ჭირდა. ესენიც ხანდოში მოდიან ხოლმე სალოცავად; არიან კიდევ გვრიტიშვილები მანგლისში, ზემო ქედში. ლარისწყალიდან ნელ-ნელა ჩამოსახლდა ხალხი ბულაჩაურში 1962 წელს. ლარისწყალში იყვნენ: გვრიტიშვილი, ქავთარაძე, ნიკლაური, ბიბილაშვილი. ეგრე გამიგია ჩვენი წინაპრებისაგან, რომ თუშეთიდან ვყოფილვართ გამოქცეულიო. ლამაზი კაცი ყოფილა, გვრიტი, გვრიტიო და დაერქვა გვრიტიშვილი“ (თოფჩიშვილი, 2002: 20). რაც შეეხება აღწერაში ნახსენებ დოღეშვილს, რომელიც ადრინდელი დვალისშვილია; გვარმა განიცადა ცვლილება და მოგვიანებით მივიღეთ დოღიშვილი, რასაც ადასტურებს საფლავის ქვების ეპიტაფიები და საწინამძღვრე ჯვარზე წარწერა, რომელშიც ნათქვამია, რომ დვალისშვილმა ეს ჯვარი დოღიშვილებისა და ზოგადად, იკოთელების საერთო სალოცავს ახმადის წმინდა გიორგის შესწირა. დვალისშვილების თავდაპირველი სამკვიდრო ისროლისხევი ყოფილა (თოფჩიშვილი, 2002: 36). იკოთის მკვიდრი ფიცხელაურების მონათხრობით, ქსნის ხეობაში და კერძოდ, იკოთში დამკვიდრებისას, მათ მოიყოლეს თავიანთი ყმები: გიგაურები და ნიკლაურები, ნიკლაურებმა კი შემდეგ ბაშარულობა მოინდომესო. თვითონ „ქსნისხეობელი ფიცხელაურები“ იკოთის გარდა ცხოვრობდნენ ახალგორის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც, მაგალითად: ქვემო ბოლში, ნირქოლში. 2016 წლის მონაცემებით ახალგორის მუნიციპალიტეტში სულ 24 ფიცხელაურია დაფიქსირებული, ზოგადად საქართველოში კი 1859 ადამიანია, ძირითადად, თბილისში – 774, ყაზბეგში – 245, თელავში – 214, დუშეთში – 115, გორში – 100, ახმეტაში – 94, მცხეთაში – 40 და ასე შემდეგ (კვაჭანტირაძე, 2017: 478). ფიცხელაურების გარდა ცნობილია გვარები ფირცხალაური სულ – 6 და ფირცხელაური – 15 (კვაჭანტირაძე, 2017: 477-478).

ცნობილ ეთნოგრაფს გიორგი ჩიტაიას ქსნის ხეობაში მოგზაურობის დროს შეუმჩნევია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა უბნებს ცალკე სოფლებად ასახელებდნენ. იკოთში იმ დროისთ-

ვის ხუთი უბანი ყოფილა: ზემო იკოთი, ქვემო იკოთი, ზანგურაანი, ნიაურები, გიგარაანი. თუმცა ამ უბნების მკვიდრნი საბუთებში ერთი სოფლის მოსახლეობად იყვნენ რეგისტრირებული (ჩიტაია, 1939: 283).

მომდევნო წლებში იკოთის მოსახლეობა მკვეთრად იზრდებოდა, 2002 წლის აღწერით ამ სოფლის მცხოვრებთა რიცხვი 1089 ადამიანს შეადგენდა, 542 მამაკაცი, 547 ქალი, მოსახლეობის 97პროცენტი ქართველი იყო (საქართველოს მოსახლეობის... 2003: 118). აქ ცხოვრობდნენ: გიგაურები, ზანგურაშვილები, ბაშარულები, ნიაურები, გიგნიაშვილები, მამამთავრიშვილები, ფსუტურები, ფიცხელაურები, ოსიშვილები, გვრიტიშვილები, თორელაშვილები, გუთნიაშვილები, ჯანგირაშვილები, მელთაურები, მემარნიშვილები, მახარაშვილები, ბუნტურები, ნახილოვები, დოლიშვილები, იმნაძეები, გელაშვილები, ქანაშვილები, ჩიტაშვილები, მანიაშვილები, ქუტაშვილები, გოგებაშვილები, ჩოხელები, ილურიძეები, ჩოჩელები, ჯანაშვილები, ნათაძეები, მანჯიკაშვილები, გურნიშვილები, ქუძიევი, ბარისოვები და სხვები.

2008 წლის აგვისტოს ომმა და ახალგორის მუნიციპალიტეტის ოკუპაციამ მძიმე დაალი დაასვა ქსნის ხეობის სოფლებს, მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა, უფრო მეტიც, ზოგიერთი სოფელი, განსაკუთრებით მაღალმთიან ზოლში, მოსახლეობისგან მთლიანად დაიცალა, მოიშალა ტრადიციული მეურნეობის დარგები, დავინყებას მიეცა ხეობისთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული ყოფის ელემენტები. იკოთის მოსახლეობის დიდი ნაწილი დღეს დევნილთა სხვადასხვა დასახლებებში ცხოვრობს.

**The village of Ikoti in the early nineteenth century
Summary**

According to the first Russian chamber census of 1804, the paper discusses the demographic and economic situation of the village of Ikoti in Akhalgori Municipality. The census shows that during this period part of the population lived on the land of the landlord Eristavi, part – of the Pitskhelauri, who were residents of this village and settlement. We are talking about the role of the Pitskhelauri in the life of both Saeristavo and the country, what kind of relationship. It is noteworthy that the slaves of the Pitskhelauri did not pay the treasury tax, they were directly responsible to the landlords, which somehow indicates their inviolability and influence. Talking about the demographic situation of the village, the statistical descriptions of the eighteenth century Saeristavo of Ksani and the chamber description of 1804 are compared with each other. How many districts were divided by the population of the village, what was the situation here before the August 2008 war and what is the situation today, after the occupation of the Akhalgori region.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

გაგოშიძე ი., ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.

გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბილისი, გამომცემლობა „სახელგამი“, 1955.

გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. III, თბ., 1968.

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ., II, 1964.

გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ., შემოსული 1956 წელს, №7486.

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940.

თაყაიშვილი ე., ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა (ქსსა), სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, თბ., 1951.

თოფჩიშვილი რ., საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის (შიდა ქართლის მთის მოსახლეობის მიგრაციის ეთნოისტორიული საკითხები), თბ., 2002.

იკოთი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, 1980.

კვაჭანტირაძე კ., ქართული და ქართულ-ებრაული გვარ-სახელები, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017.

მუსხელიშვილი დ., ცქიტიშვილი გ., შიდა ქართლის 1955 წლის დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. 1. თბ., 1960.

ნაზღაიძე ა., ფიცხელაურები, თბ., 1994 .

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს

სოფლების მოსახლეობა), ტ. II, თბ., 2003.

საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ., II, ტფ., 1909.

საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ., III, ტფ., 1910.

საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 229, დავთარი 4, საბუთი № 107.

საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 229, დავთარი 24, საბუთი № 111.

ქენქაძე ვ., საჩინოთა უჩინობა, ჟურნალი „ჩვენი უნივერსიტეტი“, №24, 2014.

შიდა ქართლი, ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა, ტ. IV, თბ., 2008.

ჩიტაია გ., ექსპედიცია ქსნის ხეობაში, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის მოამბე, ტ., IV, თბ., 1939.

ჩუბინაშვილი დ., ქრესტომათია, ნაწილი I, სანქტ-პეტერბურგი, 1846.

ცაგურიშვილი თ., ქსნის ხეობა, იკოთი, ჟურნალი კარიბჭე, 01.06.2007. <http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/chemi-sofeli/2047-qsnis-kheoba.html...>

ქსნის ხეობის სოფელ მიდელაანის ისტორიიდან

ოკუპირებული ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფელი მიდელაანი მდებარეობს ქარჩოხის თემში, მდინარე ქსნის მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 1320 მეტრზე, ახალგორიდან 24 კმ.-ის დაშორებით.

სოფელში ბოლოდრომდე მოქმედი სამი სალოცავი იყო: სოფლის უკან, მიდელაანთ ხევიდან მარჯვნივ – წმინდა გიორგის ნიში, ხევიდან მარცხნივ ასევე წმინდა გიორგის სახელზე აღმართული ქვაჯვარი და სოფლიდან მოშორებით, ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მიმავალ გზაზე მდებარე ქაშუეთის ტაძარი.

ქაშუეთთან ახლოს ძველი სამოსახლოს კვალი იკვეთება, სადაც, მიდელაშვილების წინაპრები სახლობდნენ, რომლებიც მოგვიანებით დღევანდელ მიდელაანში ჩამოსახლდნენ. ქაშუეთის დეკანოზები თანდილაანთ შტოდან იყვნენ – ადრე ამირან მიდელაშვილი, ბოლოს მისი ვაჟი – ილია... წმინდა გიორგის ხევის დეკანოზობა კი გოგილაანთ შტოს ჰქონდა დაკისრებული. ამ საპატიო საქმეს ყიდა ივანეს ძე მიდელაშვილი აღასრულებდა, რომელიც, ამჟამად, 95 წელსაა მიტანებული და წეროვნის დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს.

მიდელაშვილები არაგვის ხეობიდან არიან მიდელაანში მიგრირებულნი, კერძოდ, სოფელ მიდელაურებიდან, რომელიც ხადის ხეობაშია. ხადელმა მიდელაურმა ქსანზე ახალ საცხოვრისს მიდელაანი უწოდა. მისი შთამომავლები კი მიდელაშვილებად დაეწერნენ. ჩვენამდე მოღწეული გადმოცემით, ქსნის ხეობაში ძმები მიდელა და გაროზა უნდა გადმოსულიყვნენ. მეორე ვერსიით, ქსნის ხეობელი გაროზაშვილების გვარი ცნობილი მწიგნობრის ავგაროზ ბანდაისძის სახელს უნდა უკავშირდებოდეს... მისი მემკვიდრეები დასახლებულან ქარჩოხის თემის სოფელ ხოზოეთში და დიდი წინაპრის სახელის უკვდავსაყოფად

ავგაროზაშვილებად დაწერილან (დროთა განმავლობაში გვარს საწყისი „ავ“ ჩამოშორებია). ჩვენი ინფორმატორის, მცხეთის მუნიციპალიტეტის ახალდაბის საჯარო სკოლის პედაგოგის რუსუდან მძინარაშვილის მონათხრობით, რომელიც გაროზაშვილების რძალი გახლავთ და ამჟამად დევნილია, ეს გადმოცემა საუკუნეებია, რაც ზეპირსიტყვიერად გადაეცემა თაობიდან თაობას და ყველა გაროზაშვილისთვისაა ცნობილი (დ. ახლოური, 2022: 124).

როგორც ზემოთაც ვთქვით, არაგველი მიდელაურები, თავდაპირველად თანამედროვე მიდელაანის დასავლეთით დასახლდნენ, შედარებით მაღალმთიან ადგილზე, ქაშუეთის ტაძრის მახლობლად... სოფლის მკვიდრის, 100 წელს მიღწეული მრავლისმნახველი კაცის სანდრო მიდელაშვილის მონათხრობით (გარდაიცვალა კოვიდპანდემიის დროს, 2021 წელს), ბარში მწერთა სიმრავლე სხვადასხვა დაავადების გავრცელების საშიშროებას ქმნიდა, რის გამოც მოსახლეობა საცხოვრებლად მთას ირჩევდა (დ. ახლოური, 2006: 11). ს. მაკალათიას მოსაზრებით კი, „მიუდმივი შუღლი და ბრძოლა, მოლაშქრეთა პირად ვაჟკაცობასთან ერთად, მოითხოვდა გამაგრებულ თავშესაფარს, სადაც შესაძლებელი იქნებოდა საგვარეულო ქონებისა და ოჯახის დაცვა. ამ მიზნით, საქართველოს მთიულები თავიანთ სოფლებს აშენებდნენ მაღალი მთის წვერზე, რომელსაც მტერი ძნელად თუ მიუდგებოდა“ (მაკალათია, 1945: 15). საინტერესოა ითქვას ისიც, რომ პლატოს ტერიტორია, რომელსაც მოსახლეობა გარდაბოურის სახელით მოიხსენიებდა, ქსნის ხეობის ისტორიის მკვლევარმა ვ. ქენქაძემ ქარჩოხის ხევისთავის რეზიდენციად მიიჩნია, რომლის სახელიც, სავარაუდოდ, ქოვსოითია და საიდანაც უნდა ყოფილიყო „ძეგლი ერისთავთაში“ მოხსენიებული ერისთავთერისთავ იოვანეს უმშვენიერესი მეუღლე – მნათობი. მკვლევარი ამ ვერსიას ხევისთავის რეზიდენციისათვის დამახასიათებელი რამდენიმე გარემოებით ხსნის 1. ეს გახლავთ ქაშუეთის პლატოზე არსებული დიდი დარბაზული ფორმის მკვიდრი ნაგებობის – საგვარეულო სახლის ნანგრევები; 2. პლატოს

უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში ადრე შუასაუკუნეების ქაშუეთის სალოცავი სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებით და საუკუნოვანი გაგანტური წიფლის ხეებით; 3. ძაბუეთის ხევში „თანდილაანთ მიწებთან“ მდგარი ხუთსართულიანი ციხე-კოშკი კარის ეკლესიით, გალავნითა და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებით და 4. საგვარეულო სასახლის ნანგრევებთან ფიქსირებული საგვარეულო სამარხი, რომლის განძეულის ერთი ნაწილი XX საუკუნის 60-იან წლებში შემთხვევით აღმოუჩენია სამწყემსურში მყოფ ვლადიმერ ივანეს ძე მიდელაშვილს (დაბ., 1922 წელს). სამწუხაროდ, ვლადიმერის მიერ ნაპოვნი თეთრი ფერის მძივები, წყვილი საყურე და ვერცხლის ორი თევზი შემდგომში დაკარგულა. ვ. ქენქაძის ღრმა რწმენით, თუ მეცნიერულად იქნება შესწავლილი ქაშუეთის პლატოს არქეოლოგიური კერა, „დიდი ალბათობით დადასტურდება ქარჩოხელი დიდებულ აზნაურის საგვარეულო სამარხისა და საცხოვრისის არსებობა, რომელიც... შესაძლებელია მივიჩნიოთ ქოვსოეთელ ხევისთავის რეზიდენციად“ (ქენქაძე, 2014: 12-17).

რაც შეეხება მიდელაშვილების ქაშუეთის ტერიტორიაზე დასახლებას, ეს შედარებით გვიანი პროცესია და არაუადრეს, XVII საუკუნეში უნდა განხორციელებულიყო...

მიდელაანის მოსახლეობის შესახებ ცნობები მოგვეპოვება XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარში, სადაც მიდელაშვილები მეზობელ სოფელ კვერიათის მოსახლეობასთან ერთად არიან აღწერილნი:

„მიდელათ კარს

ქ. მიდელაშვილის ბერის მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ექვსი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

ქ. მიდელაშვილის ბასილას მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

ქ. მიდელაშვილის იმედას მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

ქ. მიდელაშვილის ნიკოლას მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი რვა, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

ქ. მიდელაშვილის დათუნას მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ექვსი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

ქ. მიდელაშვილის ბასილას მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, ერთი ჩებიჩი, ქათამი ორი, კვერცხი ათი.

ქ. მიდელაშვილის გიორგის მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ექვსი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

ქ. მიდელაშვილის ბერის მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ექვსი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

ქ. მიდელაშვილის ივანეს მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი (ტექსტისთვის ადგილია დატოვებული)...

მიდელაშვილების ბოლოს კიდევ ერთი კომლია მითითებული ნავროზაშვილების:

ქ. ნავროზაშვილი გოგიას მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ექვსი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი... (ჯავახიშვილი, 1974: 176; ქსდ, ტ., III, 1970: 1048).

შესაძლებელია ნავროზაშვილი ზესიძედ ყოფილიყო სამკვიდრო სოფელ საძეგურიდან მისული და მალევე გადასახლებული, რადგან მომდევნო აღწერებში მისი შთამომავლები მიდელაანის მცხოვრებთა შორის აღარ გვხვდებიან. აღწერებში ყურადღებას იქცევს ერთი კომლი – ბასილ მიდელაშვილი, რომელიც სხვებთან შედარებით ორჯერ მეტ გადასახადს იხდიდა, როგორც ჩანს, მას სხვებზე მეტი მამულები ჰქონდა.

1774 წლის აღწერით, მიდელაანში თერთმეტი კომლია, სოფელი იმ დროისთვის მონოგენურია და მთლიანად მიდელაშვილებითაა დასახლებული:

„მიდელანთ კარს ქსნის ერისთავის ყმა ამავე მოურავის სახელო

ქ: მიდელანთ ხიზანას შვილი კომლი. ა. თავი ბ. ბერი და დათუნა

აქავ მიდელანთ სადელას შვილი კომლი ა თავი ა ბასილი

აქავ მიდელანთ ბალიას შვილი კომლი. ა თავი გ ნიკოლა ბერი და ონიკა

აქავ მიდელანთ როსებას შვილი კომლი ა. თავი ა სიხარულა
აქავ მიდელანთ თადილას შვილი კომლი ა თავი დ ბერი ღ--
თისია ივანე და მახარა

აქავ მიდელანთ კურდღელას შვილი კომლი ა თავი ბ იმედა
და ივანე

აქავ მიდელანთ პაპუნას შვილი კომლი ა თავი ბ გიორგი და
დათუნა

აქავ მიდელანთ შერმაზანის შვილი კომლი ა თავი ა ფოცხ-
ვერა

აქავ მიდელანთ ნადირის შვილი კომლი ა თავი ბ ბასილა და
გოდერძი

აქავ მიდელანთ მახარას შვილი კომლი ა თავი ბ გოგია და
ბერი

აქავ მიდელანთ შოშიტას შვილი კომლი ა თავი ა ხახა
იქნა მემკვიდრის ჯამი კომლი ია, თავი კა“ (თაყაიშვილი,
1951: 40; ჯავახიშვილი, 1967: 187).

თერთმეტ კომლში 21 მამრობითი სქესის წარმომადგენე-
ლია. 1783 წლის ორივე აღწერაში ყველა კომლი მამიშვილობი-
თაა მითითებული:

„ქარჩოხს მიდელანთ კარიდამ ამისივე სახელო

ქ. ხიზანას შვილი კომლი ა თავი ბ დათუნა და ბერი

აქავ თადილას შვილი კომლი ა თავი გ ბერი ღვთისია და
ივანე

აქავ როსებას შვილი კომლი ა თავი ბ დათუნა და გლახა

აქავ ბალიას შვილი კომლი ა თავი ბ ნიკოლა და გოგია

აქავ ბალიას შვილი კომლი ა თავი ა ონიკა

აქავ შერმაზანას შვილი კომლი ა თავი ა ფოცხვერი

აქავ პაპუნას შვილი კომლი ა თავი ა დათუნა

აქავ კურდღელას შვილი კომლი ა თავი ბ ივანე და სიხარუ-
ლი

აქავ მახარას შვილი კომლი ა თავი ბ ბერი და პატარ კაცი

იქნა ჯამი მემკვიდრისა კომლი თ, თავი ივ“ (თაყაიშვილი,
1951: 40; ჯავახიშვილი, 1967: 210, 232)

ახალ აღწერაში კომლების რაოდენობა 11-დან 9-მდეა შემცირებულია, შემცირებულია კომლებში მამაკაცთა ოდენობაც 21-დან 16-მდე.

გარდა მიდელანისა, XVIII საუკუნის II ნახევარში მიდელაშვილებს უცხოვრიათ საღირაშენში და ფარცხისში, რაც ჩანს საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდებით; 1771 წელს სოფელ საღირაშენში მოიხსენიება დავით გარსევანის ძე მიდელაშვილი, 1873 წლის აღწერაში, ამავე სოფელში ვხვდებით გიგოლა მიდელაშვილს, ხოლო 1881 წელს ფარცხისში მცხოვრებ დავით გლახას ძე მიდელაშვილისთვის შვილი მოუნათლავს სოლომონ ივანეს ძე ღონლაძეს (ი. ახუაშვილი, 2005: 527). საღირაშენი ალგეთის ხეობის ისტორიული სოფელი გახლდათ, თეთრინწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ამლევის აღმოსავლეთით. ამ სოფლის შესახებ ვრცელი მასალის მოძიება შეგვიძლია ი. ლორთქიფანიძის ნაშრომში: ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწ. 1-2 (ი. ლორთქიფანიძე, 1935). თეთრინწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელია ფარცხისიც, რომელიც, ამჟამად ჯორჯიაშვილის თემს მიეკუთვნება და თეთრი წყაროდან 15 კმ. მანძილითაა დაშორებული (ფარცხისი (ქსე): 236). ფარცხისი და საღირაშენი მეზობელი სოფლებია.

1803 წლის იოანე ბატონიშვილის საუფლისწულო აღწერაში მიდელანის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება (იხ., АКТЫ, 1868: 82), რაც, რა თქმა უნდა, გასაკვირია... სამაგიეროდ, გვაქვს 1804 წლის კამერალური აღწერა, რომელიც გვაძლევს საშუალებას გავეცნოთ სოფლის როგორც დემოგრაფიულ, ისე ეკონომიკურ მდგომარეობას; აღწერის მიხედვით, მიდელაანში ცხოვრობს 8 ოჯახი, ყველა მიდელაშვილია და ყველა ქართველი:

გიორგი მიდელაშვილი, 6 მამაკაცი და 6 ქალი, მის მფლობელობაშია 4 დღის სახნავი მიწა, 6 დღის – სახნავად გამოუყენებელი, თიბავს 2 თივას. გადახდილი აქვს 4 ფუთი ხორბალი (ფუთი – უდრის 16, 38 კგ), 10 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 26 1/2 კაპიკი.

ბერი მიდელაშვილი – 3 მამაკაცი, 3 ქალი, მის სახნავ და უხნავ მიწებზე არაფერია ნათქვამი, მითითებულია, რომ გადახდილი აქვს ასევე 26 1/2 კაპიკი.

მახარებელა მიდელაშვილი – 7 მამაკაცი, 8 ქალი. 3 დღის სახნავი მიწა, 5 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 4 თივა, გადახდილი აქვს ხორბალი ერთი ლიტრა, ფული – 25 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 38 1/2 კაპიკი.

დავით მიდელაშვილი – 2 მამაკაცი, 2 ქალი. 2 დღის სახნავი მიწა, 5 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 2 თივა, სულ გადაუხდია 38 1/2 კაპიკი.

დიმიტრი მიდელაშვილი – 2 მამაკაცი, 1 ქალი. 2 დღის სახნავი მიწა, 3 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 2 თივა, სულ გადახდილი აქვს 38 1/2 კაპიკი.

სიხარული მიდელაშვილი – 5 მამაკაცი, 2 ქალი. 5 დღის სახნავი მიწა, 10 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 3 თივა, გადახდილი აქვს ხორბალი 2 ლიტრა, ფული – 50 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 78 1/2 კაპიკი.

ბერი მიდელაშვილი – 11 მამაკაცი, 4 ქალი. 5 დღის სახნავი მიწა, 7 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 5 თივა, გადახდილი აქვს 1/2 ანუ ნახევარი კოდი (დაახლოებით 5 ლიტრა) ხორბალი, 1 მანეთი და 30 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 1 მანეთი და 82 1/2 კაპიკი

სიხარული მიდელაშვილი – 2 მამაკაცი, 4 ქალი. 5 დღის სახნავი მიწა, 7 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 4 თივა, გადახდილი აქვს 1 ლიტრა ხორბალი, 40 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 60 1/2 კაპიკი.

სულ სოფელში უცხოვრია 68 ადამიანს, აქედან 38 მამრობითი და 30 მდედრობითი სქესის წარმომადგენელია. მოსახლეობის კუთვნილებაშია 30 დღის სახნავი მიწა და 52 დღის სახნავად გამოუყენებელი, 24 თივა, სოფელს ბეგარის სახით გადახდილი აქვს 4 მანეთი და 90 კაპიკი. (გსიემ, 1956: 76-77).

მართალია, მთის სოფლები არ გამოირჩეოდა სახნავი მიწების რაოდენობით, მაგრამ მოსახლეობა ცდილობდა, უფრო

და უფრო მეტი ადგილების ათვისებასა და დამუშავებას, ამას, უპირველესად, მზარდი დემოგრაფიული ვითარება მოითხოვდა. ქარჩოხის ხეობის უხუცესი ადამიანების ცნობით, გასული საუკუნის 60-იან წლებამდე ერთმანეთის მეზობელ სოფლებში მიდელაანში, ქენქაანსა და ხოზოეთში 110 ჰექტარი მინა იხვნებოდა და დიდი რაოდენობით ხორბალი, ქერი და ჭვავი მოჰყავდათ. 60-იანი წლებიდან, როცა ფქვილის შექმნა პრობლემა აღარ იყო და მოსახლეობამ ცხვარი და საქონელი მოამრავლა, სახნავი ადგილები გაასაძოვრეს. ასე გრძელდებოდა მეოცე საუკუნის 90-იან წლებამდე... მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა ქსნის ხეობის მოსახლეობა ისევ აიძულა აეთვისებინათ მამაპაპისეული სახნავი ადგილები, სადაც პურის ნაცვლად უკვე კარტოფილი მოჰყავდათ, რომელსაც შიდა ქართლის რეგიონის ბარის სოფლებში ცვლიდნენ ხორბალზე, ქერზე, სიმინდზე.

ქენქაძეებსა და მიდელაშვილებს ათეული წლების წინ ბალაანშიც ჰქონიათ სათიბები, ლომის-ალევის მთებიდან შემოჭრილ მთაგრეხილზე, რომელსაც შემდგომ ბალაანელები და ჭორჭობელები თიბავდნენ (ვ. ქენქაძე, 2010 ა: 103). ბოლოს, მიდელაანის მოსახლეობას სათიბი მიწები ჰქონდა სოფელ ძაბუეთში, რომელიც მეზობლად, ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა. ძაბუეთში XVIII საუკუნიდან მოყოლებული XX საუკუნის 30-იან წლებამდე ოსური მოსახლეობა იყო, მათი წასვლის შემდეგ მიდელაშვილების ილურთქლიანთ, კურდღელიანთ და ნიკოლაანთ შტოს სათიბი მიწები ოქროს გაღების საფასურად მიუღიათ. მართალია, სულ მალე, 1937 წელს მიდელაშვილებს ნაყიდი მამულები კოლექტივიზაციამ ჩამოართვა და ოქროც დაკარგული აღმოჩნდა, მაგრამ კოლექტიური მეურნეობების დაშლის შემდეგ მიდელაანელებმა ძაბუეთი ისევ დაიბრუნეს. საერთოდ, ოქრო მიდელაშვილების ისტორიულ ყოფაში ხშირად ფიგურირებს; ოქროს განძი შეუწირავს ქაშუეთის სალოცავისთვის თანდელაანთ შტოდან – აბრამ მიდელაშვილს, ასევე სოფელს ოქრო გაუღია გოგილაანთ გიგია მიდელაშვილის უკანონო პატიმრობიდან გამოსახსნელად. იგი ბოლშევიკებს თა-

ვისი ბიძაშვილის, ჩემი დიდი პაპის გიგო მიდელაშვილის ხელში ჩაგდების მიზნით დაუკავებიათ. გიგო ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი იყო და საბჭოთა რეჟიმს მუდმივ თვალსაწიერში ჰყავდა...

დავუბრუნდეთ ისევ სოფელ მიდელაანში არსებულ დემოგრაფიულ ვითარებას; XIX საუკუნის მეორე ნახევარში სოფლის მოსახლეობის რაოდენობა შესამჩნევად იმატებს. 1873 წლის კამერალური აღწერით, სრულებით დროებით ვალდებულნი გლახნი 12 კომლია, 56 მამრობითი, 38 მდედრობითი სქესის, სულ 94 სული. ყველა მათგანი მიდელაშვილია, ეროვნებით ქართველები და მართლმადიდებელი ქრისტიანები (სეაცსა, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე 236. დოკუმენტი № 244, ფურცელი 40-47).

1886 წელს, 1804 წელთან შედარებით, კომლების რაოდენობა ორჯერაა გაზრდილი და 16-ს შეადგენს, 66 მამრობითი და 46 მდედრობითი სქესის მცხოვრებით (სულ 112). (Свод, 1893: 75).

სამწუხაროდ, მოსახლეობის ზრდის ტენდენცია XX საუკუნის პირველ მეოთხედში აღარ შეიმჩნევა. სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, მიდელაანში, იმ დროისთვის 20 კომლს უცხოვრია, მაგრამ წინა საუკუნეებისაგან განსხვავებით დიდი ოჯახები ნაკლებად გვხვდება. სოფლის მამაკაცთა რაოდენობა 34 სულს შეადგენს, ქალები – 51-ს, ჯამში 85 სული. (სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჯამები, 1926: 168).

სოფლის დემოგრაფიულ და ეკონომიკურ განვითარებას მძიმე დაღი დაასვა მეორე მსოფლიო ომმა. შრომისუნარიანი მამაკაცები ფრონტის ხაზზე იქნენ განვეუღნი. მათ შორის, ომიდან აღარ დაბრუნებულან:

- მიდელაშვილი გიორგი აბრამის ძე (რიგითი) 1902 – 06.1943;
- მიდელაშვილი გიორგი მიხეილის ძე (რიგითი) 1918 – 12.1944;
- მიდელაშვილი ეფრო გიორგის ძე (რიგითი) 1906 – 02.1942;
- მიდელაშვილი ვანო აბრამის ძე (რიგითი) 1901 – 02.1943;
- მიდელაშვილი კოლა გიგოს ძე (რიგითი) 1914 – 11.1942;

მიდელაშვილი მახარე ვანოს ძე (რიგითი) 1921 – 11.1943;
მიდელაშვილი სანდრო გაბოს ძე (რიგითი) 1901 – 02.1944.
(ნიგნი მარადიული ხსოვნისა, 1987: 535).

როცა მიდელაანის მოსახლეობაზე ვსაუბრობთ, რა პერიოდსაც არ უნდა ვვხვდეთ, შეუძლებელია არ გავგახსენდეს ვ. ქენქაძის მოგონება, რომელიც გასული საუკუნის 60-70-იანი წლების მიდელაანს უკავშირდება: თვალწინ მიდგას ჩემი ბავშვობის დროინდელი... სოფლის წელში მოხრილი, თეთრწვერა მოხუცები. მახსოვს ქალამანგაცვეთილები, საკერებელიან შარვალ-ხალათებში, მახსოვს შრომითა და ჯაფით ხელებდახეთქილები, ბურნუთის მწვეელი, ხალხურ მედიცინაში გათვითცნობიერებული ბებიები, თამბაქოლეჭია პაპები, შრომაში გართულები, ქეიფში შემღერებულები, ლხინში დინჯად მავალნი და ჭირში ფეხაჩქარებულნი. კარგად მახსოვს სოფლის ძველი ხალხი – წელში ნაჯახგაყრილი მობუზლუნე იოსება, თუთუნით თითებ და უღვაშებ გაყვითლებული შაშო, წინდის ყელში შარვალიჩატანებული და წელზე ხალათშემოკრული ვანო პაპა (ბანა). მახსოვს ქალამნებიანი, მაღალი, თეთრწვერა, კეთილი ფიქრო პაპა... მახსოვს, ჩემი სიბერით სახედაღარული და თითებმოკაკული „ბუთხუთქალი“ ნინა ბებო – ვინც მე გამზარდა... მახსოვს ჩემი მეორე ბებია შრომაში გაღებული, თეთრი თავსაფრიანი „ილურთქალი“ – ფეფო... ძნელი ყოფილა მშობლიური კერის მონატრება, დაკარგული მიწის ტკივილი, სადაც ბავშვობის დროინდელი მოგონებები თვლემენ. მივალთ, დავინახავთ და მაშინვე მოგგვარდებიან, ყელზე შემოგვეხვევიან, გულში ჩაგვიძვრებიან და სიკვდილის კარამდე არ მოგვცილდებიან: (ვ. ქენქაძე, 2010 ბ: 9). რთული ნასაკითხია ეს მოგონება, არა მხოლოდ მიდელაშვილებისთვის, არამედ ნებისმიერი ქსნის ხეობელისთვის...

აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი საუკუნის დასაწყისში, 2008 წლის აგვისტოს ომამდე, მიდელაანში 91 მოსახლე იყო, 41 მამაკაცი და 50 ქალი (საქართველოს მოსახლეობის... 2003: 119), ცხადია, ძირითადი ნაწილი მიდელაშვილები, 5 კომლი კი სხვა

გვარის წარმომადგენლები იყვნენ: ახლოურები, გამხიტაშვილები, გაროზაშვილები და ქენქაძეები (2 კომლი). მიდელაშვილები, წინაპართა საკუთარი სახელებიდან გამომდინარე, შემდეგ შტოებად იყოფოდნენ: გოგილაანი, დემეტრიანი, თანდილაანი, ნიკოლაანი, კურდღელაანი, ილურთქლიანი. უფრო მეტნი გოგილაანი და ნიკოლაანი იყვნენ. მათ გარდა სოფელში უცხოვრიათ თამრიანთ და ნინიკოანთ, რომლებიც ქართლის, კახეთისა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გადასახლებულან.

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თეზში ცხოვრობენ კურდღელაშვილები. მათი წინაპარი მიდელაშვილების კურდღელაანთ შტოდან ყოფილა. როგორც ცნობილია, თეზის მოსახლეობის ნაწილი ქსნის ხეობის მთის სოფლებიდანაა ჩასახლებული, ძირითადად, ქარჩოხის, ჭურთისა და ცხრაზმის ხეობებიდან (დ. ახლოური, 2021: 26). თეზის მკვიდრის, ნაირა კურდღელაშვილის (დაბ. 1961 წელს) ცნობით, მათი გვარის ფუძემდებელიც ქარჩოხისხეობელი პავლე მიდელაშვილი იყო. „გვაქვს იმ წინაპრის საფლავიც, რომელიც თეზში ჩამოვიდა და გახდა კურდღელაშვილი. ყოველ ოქტომბერს, მისი გარდაცვალების დროს, ვიკრიბებით ჩვენი გვარის წარმომადგენლები და პატივს მივაგებთ მის სულს“.

2016 წლის აღწერით, საქართველოში სულ 807 მიდელაშვილია, აქედან თბილისში ცხოვრობს – 216, ბათუმში – 2, გორში – 131, რუსთავში – 23, გარდაბანში – 1, ოზურგეთში – 2, სოხუმში – 2, ხაშურში – 2, საგარეჯოში – 1, სამტრედიამი – 1, ქარელში – 16, კასპში – 121, მცხეთაში – 78, ახმეტაში – 1, ლანჩხუთში – 4, ოჩამჩირეში – 1, ყვარელში – 5, დუშეთში – 3, დედოფლისწყაროში – 42, თეთრიწყაროში – 21, აბაშაში – 1, ცხინვალში – 5, ახალგორში – 123, ყაზბეგში – 1, საზღვარგარეთ – 4... მიდელაურები კი სულ 263 ადამიანია (კ. კვაჭანტირაძე, 2017: 343).

დაბოლოს უნდა აღვნიშნო, რომ სწორედ მიდელაანიდან გახლდათ ჩვენი დროის გმირი, ლევან ავთანდილის ძე მიდელაშვილი. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ლევანი კაპრალი იყო,

ყუმბარმტყორცნელად მსახურობდა მეოთხე ქვეითი ბრიგადის 41-ე მსუბუქ ქვეით ბატალიონში. ბოლოს 8 აგვისტოს ნახეს ცხინვალის მისადგომებთან, „შანხაის უბანში“, ელექტროსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, როცა თანამებრძოლებთან ერთად მრავალრიცხოვანი მტრის მასიურ შემოტევას იგერიებდა... ოთხი თვის შემდეგ მოხერხდა მისი ამოცნობა და მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე გადმოსვენება. სიკვდილის შემდეგ „სამშობლოსათვის თავდადებულის“ მედლით დააჯილდოვეს ახალგორელი ჯარისკაცი, გმირი, რომელიც 19 წლის ასაკში შეეწირა საქართველოს, იმისათვის, რომ ოკუპანტები მის მშობლიურ კერაზე არ გაბატონებულიყვნენ...

Davit Akhlouri

From the history of Midelaani village in Ksani gorge Summary

The paper deals with Karchokhi of Akhlagori municipality on the past and present of the community village of Midelaani. Particular attention is paid to the demographic and economic situation and, consequently, a number of historical sources are reviewed, including: Samtavisi payroll book, statistical descriptions of Ksani principality in 1774 and 1783, Ioane Batonishvili's apanage and Russian cameralistic descriptions of 1803, also talk about the village's historical monuments, religious and ethnographic life, the reasons and consequences of population migration from Aragvi valley to Ksani valley and then to Kartli plain.

The paper analyzes the dire consequences of the August 2008 war, when the village was almost completely emptied of its population. It is also mentioned that Levan Midelashvili, the hero of our time, was from this village, who died in the battle against the occupiers.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- ახლოური დ., ქსნის ხეობის ისტორია, ტ. II, თბ., 2021.
- ახლოური დ., ქსნის ხეობის ისტორია, ტ. III, თბ., 2022.
- ახუაშვილი ი., ქართული გვარ-სახელები, ტ. I, მასალები ქართული გვარების ისტორიისთვის, თბ., 2005.
- გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ., შემოსული 1956 წელს, №7486.
- თაყაიშვილი ე., ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა (ქსსა), სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, თბ., 1951.
- კვაჭანტირაძე კ., ქართული და ქართულ-ებრაული გვარ-სახელები, თბ., 2017.
- ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწ. 1-2, ტფ., 1935.
- მაკალათია ს., საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი ქართლის მთიანეთში, თბ., 1945.
- საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა), ტ. II, თბ., 2003.
- საქართველოს ეროვნული არქივი ცენტრალური საისტორიო არქივი (სეაცსა), ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე 236, დოკუმენტი № 244.
- სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჯამები, ნაწილი II, დემოგრაფია, ნაკვეთი I, სოფლობრივი ჯამები, ტფ., 1926.
- ფარცხისი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტ. X, თბ., 1986.
- ქენქაძე ვ., ის კი არ არის ბიჭობა, წიგნში „ქსნური ხალხური ფაბლიო“, თბ., 2010. ა.
- ქენქაძე ვ., ჩვენი ქარჩოხი, წიგნში „ქსნური ხალხური ფაბლიო“, თბ., 2010. ბ.

ქენქაძე ვ., მნათობი – იოავანე ერისთავთერისთავის მეუღლე ქარჩოხიდან, წიგნში „ქსნის ერისთავიანთ ქალები“, XIV-XIX სს., წიგნი I, თბ., 2014.

ქართული სამართლის ძეგლები (ქსძ), საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტ., III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970.

წიგნი მარადიული ხსოვნისა, ტ. 2, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის აო, თბ., 1987.

ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი 1, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები, თბ., 1967.

ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი II, თბ., 1974.

Акты, собранные Кавказской археографической комиссией: Том II. Тифлис, 1868.

Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г. Душетский уезд, Ксанский участок, Тифлис, 1893.

მსოფლიო ისტორია

ივანე მენტეშაშვილი

ნაპოლეონი და მისი ძალაუფლება (დიქტატურა თუ მონარქია)

ნაპოლეონის პიროვნება დღემდე უამრავ კითხვას ბადებს, რომლებიც კაცობრიობის შემოქმედების სხვადასხვა მხარეს ეხება. სწორედ რომ მთელი კაცობრიობის და არა რაღაც ვინაშორ საზოგადოებრივი ჯგუფის და თუნდაც კლასის, რადგანაც, როგორც ლორდი როზბერი ამბობს, მან თავისი საქმიანობით გააღწია იმ ფარგლებს გარეთ, რომლებშიც ტრადიციულად მოქცეულია ადამიანის შესაძლებლობები და მისი ენერჯია (Rosebery, 1901: 7). იმ მრავალრიცხოვან საკითხთა შორის, რომლებიც ნაპოლეონის ეპოქასთან და მის ეპოპეასთან არის დაკავშირებული აღსანიშნავია თავად ნაპოლეონის პოლიტიკური ხედვა და მმართველობის ნიშან-თვისებები. როგორ მოხდა, რომ ახალგაზრდა ოფიცერი, თავდაპირველად თავისი პოლიტიკური შეხედულებებით იაკობინელი, ერთპიროვნულ მმართველად, ჯერ პირველ კონსულად და მერე იმპერატორად იქცა? რა ნიშან-თვისებებით ხასიათებოდა მისი ძალაუფლება, რომელიც მან ხელთ იგდო საფრანგეთის რესპუბლიკის VIII წლის 18 ბრიუმერის (1799 წლის 9 ნოემბრის) სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ? რა ცვლილებები განიცადა მისმა ცნობიერებამ იმ გზაზე, რომელსაც ახალგაზრდა გენერალი დაადგა ჯერ როგორც შეთქმული და ბოლოს საიმპერატორო გვირგვინით დაასრულა? ჩვენ სწორედ მისი ძალაუფლების ხასიათი გვინტერესებს, რადგანაც 18 ბრიუმერის გადატრიალება მხოლოდ ხიშტებსა და ხმელბზე არ იყო დაყრდნობილი. ხიშტები, ხმლები და რაც მთავარია ჯარისკაცები ნაპოლეონის თანამებრძოლ სხვა გენერლებსაც ჰქონდათ, მაგრამ სწორედ ნაპოლეონმა შეასხა ხორცი ხელისუფლების შეცვლის იდეას, თავის გონე-

ბრივი, სულიერი უნარის წყალობით და იმითაც, რომ ყველაზე უკეთ ჰქონდა გაცნობიერებული აღნიშნული ქმედების არსი. როგორ მივიდა იგი აქამდე? დასაწყისი შეიძლება ითქვას, გასაოცარი იყო.

თუკი ჩვენ მის სიჭაბუკეს გავიხსენებთ, მაშინვე წარმოჩნდება, რომ იგი მხურვალე რესპუბლიკელი, ანუ ანტიმონარქისტი იყო. იმ დროის მისი დღიურები აღსავსეა ისეთი ჩანაწერებით, როგორც მაგ. „ევროპაში დღეს ცოტაა ისეთი მეფე, ვინც დამხობას არ იმსახურებს“ (Манфред, 1989: 31). ამ ჩანაწერებში იგი თავგამოდებით აკრიტიკებს ისეთ მოსაზრებებს, რომელთა მიხედვით ხალხს არა აქვს უფლება აღსდგეს მონარქთა წინააღმდეგ. ადამიანები ამ ქვეყნად თავისუფლებისათვის იშვენენ, „მაგრამ მათი უფლებები გათელს, ისინი კი დაიმონეს“ (Манфред, 1989: 32-33). ეს სიტყვები ნამდვილად გამოდგება იმის დასტურად, რომ ახალგაზრდა ლეიტენანტი ნაპოლეონ ბონაპარტი, ანდა მის მშობლიურ, იტალიურ ყაიდაზე რომ ვთქვათ, ნაპოლიონე დი ბუონაპარტე მონარქიის და მეფის ხელისუფლების შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო. თუმცა კი, არაფერია გასაკვირი. ახალგაზრდა კაცი, ჟან-ჟაკ რუსოს იდეებით განმსჭვალული, ნამდვილად მემამბოხე სულის ადამიანი უნდა ყოფილიყო. გარკვეულწილად ეს იმ ეპოქის მოდაც კი იყო. ადამიანები ამგვარი იდეებით იყვნენ გატაცებული და ახალგაზრდა ნაპოლეონიც ვერ ჩამორჩებოდა იმ დროის სულისკვეთებას. ნაპოლეონის ამგვარი პოლიტიკური ხედვა და ფასეულობები კიდევ უფრო განმტკიცდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ხანაში, კერძოდ, მეფე ლუი XVI და მისი ოჯახის პარიზიდან გაქცევის და მათი ვარენში დაპატიმრების შემდეგ. ახალგაზრდა ნაპოლეონი მეფის ხელისუფლების შეურიგებელ მოწინააღმდეგედ და მისი დამხობის თავგამოდებულ მომხრედ იქცა. ერთობ საინტერესოა მისი რეაქცია 1792 წლის 20 ივნისისა და 10 აგვისტოს მოვლენებზე. პირველ შემთხვევაში იგი წარმოჩნდება როგორც დემოკრატი, თავისუფლების იდეების ერთგული ადამიანი, რომელიც ურყევად უჭერს მხარს იმ მოთხოვნებს, რომლებიც პარიზელებმა

მეფეს წამოუყენს. იგი იმასც კი ამბობს, რომ მეფე კარგად მოიქცა, როდესაც თავისუფლების სიმბოლო, წითელი ფრიგიული ყაიდის ქუდი დაიხურა და ღვინო მოსვა (თანაც თავისი ხალხის სადღეგრძელო თქვა, როგორც მას მოსთხოვეს) იმ ბოთლიდან, რომლიდანაც სულ რამდენიმე წუთის წინ საზიაროდ სვამდნენ სასახლეში შეჭრილი ბრბოს წვერები(Манфред, 1989: 61). მაგრამ არის სხვა ცნობაც. იგი ნაპოლეონის ახალგაზრდობის მეგობარს, ბურიენს ეკუთვნის, სწორდ იმას, ვისთანაც ერთად ნაპოლეონი აღნიშნულ სცენას შეესწრო. „ მოდით გავყვეთ ამ სალახანებს“ – უთხრა მან ბურიენს 20 ივნისს და სასახლისაკენ მიმავალ ზღვა ხალხზე მიანიშნა. „რა მხდალი ყოფილა“ – უთხრა ნაპოლეონმა ბურიენს მეფეზე. მერე კი ბურიენის სიტყვებით თქვა ფრაზა, რომლიც ისტორიულად იქცა და თავად პოეზიაში კერძოდ რუსულში (იხ. М.Волошин. „Бонапарт.“) დაიმკვიდრა ადგილი. „ახლა ერთი ორი ბატარეა (10-12 ზარბაზანი, – ივ.მ.) მომცა და ამ სალახანებს კუდით ქვას ვასროლინებდი“ (Тарле, 1957: 61) – თქვა ნაპოლეონმა. სად უნდა ვეძიოთ ჭეშმარიტება? იქნებ ეს სავსებით ბუნებრივი რეაქციაა ბრბოს აღვირახსნილ ქმედებებზე იმ ადამიანის მხრიდან, რომელიც მთელი თავისი ცნობიერებითა და ზნით წესსა და რიგს არის ჩვეული, როგორც მას ამას მისი სამხედრო პროფესია კარნახობს და უბრძანებს კიდევ? მაგრამ აქ ერთი რამ არის საგულისხმო. კერძოდ, იმავე 20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით. თავის ჩანაწერებში ნაპოლეონი აღნიშნავს, რომ ამგვარი ქმედებები ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და სახიფათო სიტუაციებამდე მიყავთ საქმე (Манфред, 1989: 60).

1792 წ. 10 აგვისტოს აჯანყება, ტიულრის სასახლის აღება, იქ დატრიალებული სისხლისღვრა და მონარქიის დამხობა ნაპოლეონთან მიმართებაში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. ნაპოლეონი უშუალოდ შეესწრო სასტიკი ვნებათაღელვებით აღსავსე მოვლენას და სხვათა შორის, სასახლის დამცველთა გვარდიის ერთი ჯარისკაციც კი გადაარჩინა სიკვდილის. ნაპოლეონმა თავისი თვალთ იხილა სისხლის ტბორები, ნახა თუ

როგორ დაუნდობლად უსწორდებოდნენ აჯანყებულები მძიმედ დაჭრილ ჯარისკაცებს, რომლებსაც თავის დაცვა არ შეეძლოთ, ხოლო ბრბოში მყოფი ქალები მათ და უკვე მოკლულებს ზედ აშარდავდნენ. ნაპოლეონმა დაინახა, თუ როგორ დაადო თოფი ერთ მძიმედ დაჭრილ ჯარისკაცს ერთ-ერთმა აჯანყებულმა. „არ მოკლა, ნუ მოკლავ!“- მიეჭრა მას ნაპოლეონი. აჯანყებულმა ამჯერად თოფი ნაპოლეონს დაადო სიტყვებით, „შენც მაგათთან ერთად ხარ?!“ წამიც, და მსოფლიო ისტორია შესაძლოა სულ სხვანაირად განვითარდებოდა. მაგრამ სწორედ ამ დროს თავად ნაპოლეონს აჯანყებულთა ერთ-ერთი თავკაცი გამოე-სარჩლა. „სამხრეთელი ხარ, სამხრეთული კილო გაქვს“- უთხრა მან ნაპოლეონს. „ჰო, სამხრეთელი ვარ“- უპასუხა გახარებულმა ნაპოლეონმა. „ჩვენებური ყოფილხარ, მეც სამხრეთელი ვარ, მარსელიდან. კარგი იცოცხლოს“- თქვა მან დაჭრილ ჯარისკაცზე. ასე რომ ნაპოლეონმა იმ დღეს ერთი სიცოცხლე იხსნა. სახლში დაბრუნებისთანავე მან წერილი მისწერა თავის უფროს ძმას ჟოზეფს. „დღეს რომ ლუი XVI ცხენზე ამხდერებუდიყო(ე.ი. იარაღი აეღო აესხა – ივ.მ.), გამარჯვება მას დარჩებოდა“ (Cronin, 1994: 65). თუკი ვ.კრონინის აზრს გავყვებით, ნაპოლეონი წარმოსდგება როგორც ადამიანი, რომელიც ბრბოს გაშმაგებას და ძალადობას აცნობიერებს როგორც საყოველთაო არეულობის წინაპირობას, რომელსაც ველარაფერი დააშოშმინებს და მოთოკავს. ამას კი მისი აზრით, მთელი საზოგადოებრივი სისტემის მოშლა მოყვებოდა.

ის წანამძღვრები და მოვლენათა წყება, რომელთაც განაპირობეს ნაპოლეონის აღზევება და მისი ერთპიროვნული მმართველობის დამყარება უამრავ გამოკვლევაშია განხილული. თავად ამ სტატიის ავტორს ამ საკითხის შესახებ გამოცემული აქვს ნიგნი „Власть и герой. Наполеон Бонапарт.“ Тб., 2014. აღნიშნულ ნაშრომში ჩვენ იმას ვასაბუთებთ, რომ მაშინდელი რესპუბლიკა საფრანგეთში ფაქტობრივად განწირული იყო. ამას თუნდაც შემდეგი ფაქტი ადასტურებს. 1799 წ. 15-16 დეკემბერს დირექტორიაში (აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს

ორგანოში) შედგა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მინისტრები და საკანონმდებლო ორგანოების 20 წარმომადგენელი. შეხვედრაზე გამართული ბჭობისა და კამათის შემდეგ მონაწილეები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ რესპუბლიკური ხელისუფლების შენარჩუნება შეუძლებელი იყო (Манфред, 1989: 207). ამგვარდ, ნაპოლეონის ერთპიროვნული მმართველობა მხოლოდ მისი პატივმოყვარეობით და ძალაუფლების წყურვილით არ იყო განპირობებული. მაგრამ ჩვენ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმაზე, თუ რა სახის ხელისუფლებას ედგა სათავეში ნაპოლეონი. რაოდენ შეიძლება ვუნოდოთ ნაპოლეონის მმართველობას სამხედრო დიქტატურა? თავდაპირველად მინიშნებას თავად ნაპოლეონზე გავაკეთებთ, რომელმაც თქვა, რომ იგი ქვეყანას მართავს არა იმიტომ, რომ სამხედრო ძალაუფლების მპყრობელია, არამედ იმიტომ, რომ ქვეყანა მასში სამოქალაქო პირს ხედავს. და ეს ჭეშმარიტებასთან ახლოს იყო. აკი მისი მეტოქე, იმ დროის თვალსაჩინო პოლიტიკოსი აბატი სიეისიცი ამბობდა: „ისევ გენერალ ბონაპარტს გავყვები. ის ყველაზე სამოქალაქო სამხედროთა შორის“ (Трачевский, 1907: 170). და მართლაც, იყვნენ ნაპოლეონის თანამედროვე სხვა გენერლებიც, რომელთა განკარგულებაში იყო იარაღი და რომელსაც ემორჩილებოდნენ ჯარისკაცები. და რაც მთავარია, რომლებსაც ასევე სურდათ ძალაუფლების ხელში ჩაგდება. მაგრამ მათ ვერ გაბედეს გადამწყვეტი ნაბიჯის გადადადგმა. და აი თავისი ასეთი პასიურობის შემდეგ მათ, კერძოდ, მორომ, ბერნადოტმა, ოჟერომ ნაპოლეონის კრიტიკას მიყვეს ხელი და მალულად განუწყვეტილად გამოდნენ ნაპოლეონს 18 ბრიუმერს გადადგმული ნაბიჯისათვის. მაგრამ იმავე დროს ისინი იმასაც ამბობდნენ, რომ მასზე ნაკლებად არ განახორციელებდნენ სახელმწიფო გადატრიალებას და ურიგოდაც არ გაუძღვებოდნენ ქვეყანას. ასე რომ გულის სიღრმეში მათ შური ღრღნიდა. ამ გენერლებს სწადათ ნაპოლეონის ადგილის დაკავება. არის ცნობები იმის შესახებ, რომ თავის დროზე მათ შესთავაზეს ამგვარი აქტის ჩატარება, მაგრამ ისინი შეშინდნენ და ვერ გაბედეს გადამწყვეტი ნაბიჯის

გადადგმა (Трачевский, 1907: 170., Вандаль, 1905: 101).

მაგრამ აქ საქმე მხოლოდ მათ გაუბედობაში არ არის. უდავოა, რომ ისინი კარგი სარდლები იყვნენ და ბრძოლის ველზეც ვარგოდნენ. მაგრამ ისინი არ იყვნენ სახელმწიფო მოღვაწეები. ისინი ვერ გავიდნენ და ალბათ ვერც გავიდოდნენ ხმალსა და ბრძოლის ველს იქით. მათ ბევრი გამარჯვება მოუპოვებიათ, მაგრამ ყველაფერ მომხდარის გათვალისწინებით, მაინც ძნელია და ალბათ წარმოუდგენელიც ისტორიაში რალაც ახალი ვარიანტი დაშვება. კარგი გენერალი, სარდალი ნამდვილად დასაფასებელია, მაგრამ სახელმწიფო მოღვაწე – ეს სულ სხვა მოვლენაა. ამიტომაც არის, რომ ნაპოლეონის შეფასების დროს უკვე არავინ იფარგლება საბრძოლო ასპარეზით. ნაპოლეონი უკვე გასცდა გენიალური დაშნის ცნებას. ამის დასტურად თუნდაც შემდეგი ფაქტები კმარა. კერძოდ, 1805 წ., აუსტერლიცის ბრძოლის წინ, ბრძოლის გენერალური გეგმის განხილვის შემდეგ მან დაითხოვა მარშლები და გენერლები, დაიბარა ერთ-ერთი მდივანი და უკარნახა სენ-დენის კოლეჯის შექმნის პროექტი. 1812 წ. კი მოსკოვში, კრემლში ჩამოაყალიბა დეკრეტი ცნობილი ფრანგული სახელმწიფო თეატრის, „კომედი ფრანსეზის“ მუშაობის შესახებ, რომლითაც ეს თეატრი სხვათა შორის, დღესაც ხელმძღვანელობს. ვიმეორებთ, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ყველაფერი უკვე ისეა, როგორც არის, მაგრამ მაინც ძალზე ძნელია იმავე როლში წარმოვიდგინოთ მორო, ოყერო ან ბერნადოტი. ნაპოლეონის აღზევება ეს არ არის მხოლოდ ძალაუფლების წყურვილის შედეგი. მის მიერ ძალაუფლების პყრობის უნარის არსი მისსავე სიტყვებით არის გამოხატული. მას ჰქონდა იმის უნარი, რომ საკუთარი თვითმპყრობელობა შესაბამისად შეენიღბა. ეს კი იმით იყო განპირობებული, რომ იგი ყოველთვის ეძებდა გზებს, თუ როგორ დაემყარებინა ურთიერთობა საზოგადოებასთან, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ თავდაუზოგავად იბრძოდა ძმობის, ერთობის და თვისუფლების დამკვიდრებისათვის. ამიტომაც ამბობდა: „მე ხალხის ნებით აღვიჭურვე უზენაესი ძალაუფლებით. ამიტომაც მე მხოლოდ

მაშინ დავრწმუნდები მის კეთილგანწყობაში ჩემი მმართველობის გახანგრძლივების მიმართ, როდესაც ამაზე კვლავ და კვლავ ხალხის თანხმობა მექნება“ (Woloch, 2002: 92). ამგვარად, თუნდაც ფორმალურად, მაგრამ ნაპოლეონი მაინც მხედველობაში იღებდა საზოგადოებრივ აზრს. მას მშვენივრად ესმოდა, რომ სწორედ საზოგადოებრივმა აზრმა აღჭურვა იგი განუსაზღვრელი ძალაუფლებით. რატომ განხორციელდა წარმატებით 18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალება და რატომ აღმოჩნდა კონსულობა მმართველობის სიცოცხლისუნარიანი ფორმა? იმიტომ, რომ იგი არა მარტო ერთი, თუნდაც ძალიან წარმატებული და ნიჭიერი ადამიანის მიერ იყო განხორციელებული, არამედ იმიტომ, რომ მის მიღმა მთელი საფრანგეთი იდგა, რომელიც მას ქვეცნობიერად მხარს უჭერდა (Le Bon, 2014: 263-264).

ფორმალური თვალხედვით ნაპოლეონის ხელისუფლება რასაკვირველია დიქტატორული იყო. რა იყო მისი ძალაუფლების მთავარი მახასიათებლები? არც კონსულობის და არც იმპერიის ხანაში სამხედროებს არ ჰქონდათ გაბატონებული მდგომარეობა ან რამენაირად გამოსატყულები უპირატესობა. უფრო მეტიც, იმასაც ვიტყვი, რომ სამხედრო მხარე, მხედრული დიდება უფრო ხელისუფლების და საერთოდ ქვეყნის გარეგნულ მორთულობას წარმოადგენდა. მხედრული დიდება, გამარჯვებები, ზარ-ზეიმი, ეს ყველაფერი მთელ ქვეყანას, ხალხს მოსწონდა, მათ პატივმოყვარეობასა და სიამაყეს ზრდიდა. მაგრამ ყველაფერ ამის ფონზე ნაპოლეონი მუდმივად ხაზს უსვამდა სამოქალაქო სფეროს უპირატესობას სამხედროს წინაშე. აი, ამის რამდენიმე მაგალითი: „ჩვენ 30 მილიონი ადამიანი ვართ, რომლებსაც გვაერთიანებს განმანათლებლობის ფასეულობები, საკუთრება და ჩვენი პროფესიული საქმიანობა; რაა 300 ან თუნდაც 400 ათასი ჯარისკაცი ამ ერთობის წინაშე? ჯარისკაცები მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეთა შვილები არიან. ჯარი ეს პირველ რიგში ხალხია.“ თავის მიმართვაში სახელმწიფო საჭოსადმი მან განაცხადა: „როდესაც საქმე ეხება პირველობას, მე უპირატესობას უყოყმანოდ სამოქალაქო უწყებასა თუ პირს ვანიჭებ (Tulard, 1995:

1). ნაპოლეონის ხანაში როგორც რესპულიკაში, ასევე მთელს იმპერიაში არ არსებობდა რაიმე სამხედრო კასტის მაგვარი ორგანო, რომელსაც შეეძლო ყველაფრის კონტროლი, პოლიტიკით დანყებული და ეკონომიკით დამთავრებული. რასაკვირველია, ომები სახელისუფლებო სისტემას თავისებურ სამხედრო სულისკვეთებას სძენდნენ: იმპერატორის განდიდება, დისციპლინა, საომარი რიხი და პროპაგანდა, სამხედრო დიდების სხვადასხვანაირი ძეგლები. მაგრამ აბსოლუტურად არაფერი ისეთი, რაც ათწლეულების მანძილზე დამახასიათებელი იყო ლათინური ამერიკის დიქტატორული რეჟიმებისათვის (Tulard, 1995: 1). ნაპოლეონი სამხედრო და მთავარსარდალი იყო მხოლოდ ომის დრო, ლაშქრობაში. დანარჩენ დროს იგი მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო მოღვაწე, მოხელე იყო.

ნაპოლეონის მმართველობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტის ანალიზი, მისი მმართველობის ხასიათის, მის დიქტატურასთან ან მონარქიასთან მსგავსების თვალსაზრისით (Tulard, 1995: 1) იმაზე მიგვანიშნებს, რომ მისი ძალაუფლება არც ერთს და არც მეორეს არ ესადაგებოდა. მასში არ იყო არც ერთის და არც მეორის კლასიკური ნიშან-თვისებები. ნაპოლეონის ხელისუფლება თუ შეიძლება ითქვას ამ ორს შუაა მოთავსებული, რაც კვლავ მის სპეციფიკურ ხასიათზე მიუთითებს. მასში არაფერი იყო ისეთი, რაც კი წმინდა სახის სამხედრო დიქტატურას ახასიათებს. რაც მთავარია, არ არსებობდა სამხედრო ორგანო, რომელსაც საყოველთაო კონტროლის უფლებამოსილება ჰქონდა. ზოგჯერ მის ხელისუფლებას მონაცვლეობით კლასიკურ სამხედრო დიქტატურას, განათლებულ მონარქიას და ლამის კალიგულას ექსცენტრიულ მმართველობას ადრიან, მაგრამ ამაოდ! შესაბამის მახასიათებლებს თვით ამ შედარებათა ავტორებიც კი ვერ ასახელებენ. მაგ. განათლებული მონარქის ძალაუფლება. ჟან ტულარს მიაჩნია, რომ განათლებული მონარქი თავის ხალხს მართავს მისდა სასიკეთოდ, რომელმაც არც კი იცის, თუ რა დიდებული ხვედრი ელის მას. ეს ყველაფერი კი უცხო იყო საფრანგეთში იმ დროში, რომელ-

იც კონსულობას უძლოდა წინ. მოსახლეობა ითხოვდა სიკეთის მომტან ცვლილებებს. ასე რომ, ეს იყო ავტორიტარული მმართველობა, მაგრამ ძნელი სათქმელია, თუ რა სახის.

რესპუბლიკის იმპერიად გამოცხადება და ნაპოლეონის მიერ საიმპერატორო გვირგვინის დადგმა კიდევ უფრო ართულებს ამ საკითხის გაშუქებას. აქ უკვე თავს იყრის აბსოლუტურად დაპირისპირებული საკითხების მთელი კრებული, რომელიც შედგება გამთანაბრებლური და ერთმმართველობის პრინციპებისაგან. უნდა ავლნიშნოთ პლებისციტის ფაქტიც, რომელიც ასევე წინ უძლოდა კონსულობის დამყარებას. რასაკვირველია, ნაპოლეონი სრულად აკონტროლებდა სიტუაციას და ალბათ გამოიციხულიც იყო პოლიტიკური ხასიათის რაიმე ანტიბონაპარტისტული გამოხდომა, მაგრამ ამგვარი პლებისციტი (ლია ფორმით ხმის მიცემა), მაინც (თუნდაც თეორიულად) შეიცავდა შესაძლებელ საფრთხეს, რასაც შეიძლებოდა მოყოლოდა ნაპოლეონისათვის არასასურველი გართულება. ასე რომ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ნაპოლეონი გარკვეულწილად ხიფათში იგდებდა თავს, თუნდაც მინიმალურად. ხოლო იმპერიის გამოცხადების შემდეგ ახალ ხელისუფლებას თან ახლდა უამრავი რესპუბლიკური ხასიათის გარეგნული მორთულობა. ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის იყო იმპერატორის ფიცი გვირგვინის დადგმის დროს. იგი შედგებოდა უამრავი პირობისაგან, რომლებსაც იმპერატორი იძლეოდა და რომლებიც ხასგასმით მიანიშნებდნენ საიმპერატორო ძალაუფლების შეზღუდვებზე და მის რესპუბლიკურ ხასიათზე (Englund, 2005: 245). თავად ფიცის ტექსტი კი კიდევ უფრო ხაზგასმით წარმოაჩენს ძალაუფლების რესპუბლიკურ ხასიათს (Englund, 2005: 245).

ცნობილია კიდევ სხვა ფაქტებიც, რომელბიც მიუთითებენ ახლადგამოცხადებული იმპერიის თავისებურ შერეულ ხასიათზე. რესპუბლიკური კალენდარი მხოლოდ 1806 წ. გაუქმდა, წარწერა „რესპუბლიკა“ კი მონეტებზე 1808 წლამდე შემორჩა. თავად ნაპოლეონის წოდება კი იმპერიის ინსტიტუტს თავისებურ საერთო-სახალხო ელფერს სძენდა: „ნაპოლეონ ბონაპარტი, საფრან-

გეთის რესპუბლიკის იმპერატორი.“ ამ შემთხვევაში ნაპოლეონი თავისებურ სახალხო ბელადად, ხალხის თავკაცად წარმოჩნდება. მართალია, ოფიციალური ჰიმნი, „მარსელიეზა“ გაუქმდა(უნდა ითქვას, რომ იგი თურმე ნაპოლეონს არ უყვარდა), მაგრამ შენარჩუნდა ძველი, რესპუბლიკური ხანის სამფეროვანი დროშა. რაც შეეხება ახალ ჰიმნს, „დავდგეთ იმპერიის სადარაჯზე“, მისი ტექსტი ერთობ თავისებური ხასიათისაა და მართლაცდა უამრავ კითვას ბადებს:

“ Veillons au salut de l’Empire;

Veillons au maintien de nos droits.

Si le despotism conspire,

Conspirons la perte des rois!“

(დავდგეთ იმპერიის სადარაჯოზე,

დავდგეთ ჩვენი უფლებების სადარაჯოზე.

და თუ დესპოტიზმი შეთქმულებას მოაწყობს,

ჩვენ თავად დავამხობთ მეფეებს!)

ამრიგად, ნაპოლეონმა არნახულად დიდი ძალაუფლება იგდო ხელთ, მაგრამ ეს მოხდა დემოკატიულად დაკანონებული გზით. სწორედ ხალხის წარმომადგენლის წოდების მეშვეობით ნაპოლეონმა გაიპიროვნულა ესოდენ დიდი ძალაუფლება. ამით იგი უფრო მეტად წარმოჩნდა, როგორც ხალხის წარმომადგენელი, ვიდრე ხელისუფლების სათავეში მყოფი მისი წინამორბედი პოლიტიკოსები, რომელებიც ყველა ფორმალობის დაცვით იყვნენ არჩეულები (Englund, 2005: 249).

მაგრამ იყო რა ქვეყნის სრული განმკარგულებელი, ნაპოლეონი მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს კლასიკური აღმოსავლური დესპოტის მსგავს მბრძანებლად. ეს უკანასკნელი ტრადიციულად წარმოსდგებოდა განყენებული, ქვეშევრდომთათვის მიუწვდომელი იდუმალი არსება, რომელსაც ისინი ლამის ღვთაებასავით შეჰყურებდნენ. ნაპოლეონი თავისავე ქარიზმაზე, სამხედრო გენიაზე და იმპერიის გაძლოლის უნარზე იყო დამოკიდებული (Englund, 2005: 248).აქ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონ-

და მის პიროვნულ ფაქტორს. ამიტომაც უთხრა მან ერთ-ერთი მოლაპარაკების დროს ავსტრიის კანცლერს, თავად მეტერნიხს: „თქვენი მბრძანებლები ტახტზე დაიბადნენ და ვერასოდეს გამიგებენ მე და ვერ გაუგებებ იმ გრძნობებს, რომლებიც მე მამოძრავებს! მათთვის არაფერს ნიშნავს ის, თუკი ისინი დამარცხებულები დაბრუნდებიან თავის სატახტო ქალაქებში! მე კი ჯარისკაცი, მეომარი ვარ. მე სახელი და დიდება მჭირდება, მე ვერ დაუბრუნდები ჩემს ხალხს ღირსებაშეღალახული! მე ჩემი სიდიადე უნდა განვამტკიცო, რათა აღტაცება გამოვიწვიო!“ (Тарле, 1957: 336). მას მშვენივრად ესმოდა, რომ იგი საკუთარი თავის ანბარად იყო. „ჩემი ძალაუფლება დაემხო, თუკი მე მას არ გავამტკიცებ ახალი მიღწევებით. დაპყრობამ შემქმნა ისეთად, როგორც ვარ და დაპყრობამ უნდა განამტკიცოს ჩემი მდგომარეობა“- ამბობდა იგი (Emerson, 1850: 219). ასე რომ, აქ ნათლად ჩანს, თუ რაოდენ იყო ნაპოლეონი ხალხზე, მის განსჯასა და შეფასებაზე დამოკიდებული. აი სწორედ ეს არის იმ ადამიანის ხედვა, რომელმაც თავისით, თვითონ გაიკვლია გზა ცხოვრებაში. მას არა ერთხელ დაუმარცხებია სხვა მეფეები, მაგრამ ეს ფაქტი არ აკნინებდა მათ რეპუტაციას. ამ მხრივ ნაპოლეონი სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში იყო. იგი საკუთარ თავზე იყო დამოკიდებული. მას არ ჰქონდა წაბოროციკების უფლება. მისი გამარჯვებები ყველას ხიბლავდა, განსაკუთრებით უბრლო ხალხს. ამიტომაც იყო, რომ სწორედ უბრლო ხალხი, პარიზის მუშათა უბნების და გარეუბნების მოსახლეობა ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებოდა მის ტახტიდან გადადგომას. „ასი დღის“ პერიოდში, ვატერლოოს ბრძოლის შემდეგ სწორედ ამ ბრბოს ერთ-ერთი თავკაცი პირადად მიეჭრა მას და უთხრა: „რას სჩადი, სად მიდიხარ?!“ მან ნაპოლეონს მის მიერ 13 ვანდემიერის როიალისტების ამბოხების ჩახშობაც კი გაახსენა და მოუწოდა, ახლაც იგივე გაეკეთებინა და არ გადამდგარიყო. ამგვარი მოვლენების ფონზე ნაპოლეონი წარმოჩნდება როგორც მდაბიოთა მეფე, იმპრატორის გვირგვინით შემკობილი რევოლუციის თავისებური განსახიერება, რომელ-

იც ტახტზე იჯდა თავისი ხალხით გარშემორტყმული და მისი გულის საამებლად თავის მისაღებში სხვა მეფეებს ამცირებდა, როგორც ამას შატობრიანი და გოეთე წერდნენ მასზე (4).

მოახდინა ნაპოლეონმა ძალაუფლების უზურპაცია? ნაპოლეონის პირისფარეში კონსტან ვალერი წერდა თავის დღიურებში: „თუკი ვიტყვით, რომ იმპერატორმა ძალაუფლების უზურპაცია მოახდინა, მას გაცილებით მეტი თანამონაწილე და ხელშემწყობი ჰყავდა, ვიდრე ამგვარი ქმედების ჩამდენ ყველა ტირანს ერთად აღებულს, რადგანაც მის მიერ მოწყობილ შეთქმულებაში ფრანგი ხალხის სამი მეოთხედი მონაწილეობდა“ (Englund, 2005: 233). ასე რომ, ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნაპოლეონის ჯერ როგორც პირველი კონსულის, მერე კი როგორც იმპერატორის ძალაუფლებას ვერ მივაკუთვნებთ ცალსახად ვერც დიქტატორისას და ვერც მონარქისას. ამაშიც კი იგი წარმოჩნდება როგორც ყველასაგან განსხვავებული, სპეციფიკური მოვლენა. სწორედ ამიტომ მისმა მმართველობამ საგანგებო, განსხვავებული სახელი შეიძინა – ბონაპარტიზმი. ეს უკანასკნელი ხასიათდება როგორც ავტორიტარული მმართველობა, რომლიც ხალხის ფართო მასების მხარდაჭერით სარგებლობს, ან კიდევ როგორც იდეოლოგია, რომელიც დაფუძნებულია ძლიერ, ცენტრალიზებულ მმართველობაზე და თავისებურ სახალხო თანხმობაზე, რადგანაც ასეთი ხელისუფლება უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგს და საზოგადოებრივ თანასწორობას.

Napoleon and his Authority. The Main Characteristics

Summary

Napoleon still astounds scientists and amateurs of history by numerous characteristics of his personality and activity which still has no match. One of such distinguished elements is his authority. Was it pure dictatorship of monarchy, or something different. Article shows transformation of Napoleon's views concerning monarchy and republic. Different facts are considered in order to shed lustre on his authority when first he was First Consul and then Emperor. Analysis shows, that each form of his rule was neither pure dictatorship, nor monarchy. Here Napoleon comes again as an innovator and what is the most important, as the Son of Revolution. He assumed the core traits of Revolution and subconsciously carried them out. To a certain extent he was popular chief. Therefore his rule acquired a specific term – Bonapartim and is explained as rule, based on a strong and centralized regime founded on popular consent, safeguarding social order and social equality.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- Cronin V. Napoleon. L. 1994.
- Emerson Ralph W. Representative Men. Seven Lectures. N.Y. 1850.
- Englund S. Napoleon. A Political Life. N-Y. L. 2005.
- Le Bon G. The Psychology of Revolution. 2014.
- Napoleon Bonaparte. Internet Guide. Napoleon and French Revolution.
- Rosebery Lord. Napoleon. The Last Phase. N-Y. L. 1901.
- Tulard J. The Empire. Dictatorship? Monarchy? 1995.
- Woloch I. Napoleon and his Collaborators. The Making of Dictatorship. N-Y. L. 2002.
- Вандалъ А. Возвышение Бонапарта. Кн. I. Происхождение брюмерского консульства. Конституция III года. СПб., 1905.
- Манфред А. З. Наполеон Бонапарт. Сухуми, 1989.
- Пинсмаль Кристоф. Август, римский император и Шарлемань: две модели для Бонапарта, когда он стал Наполеоном.
- Тарле Е.В. Наполеон. М., 1957.
- Трачевский А.С. Наполеон I. Первые шаги и консульство. М., 1907.

არქეოლოგია

ნოდარ ბახტაძე, ვაჟა მამიაშვილი

არქეოლოგიური კვლევა სამეფო სამარხის იდენტიფიკაციისთვის ნაქალაქარ გრემის მთავარანგელოზთა ეკლესიაში

ნაქალაქარი გრემი ყვარლის მუნიციპალიტეტში, დღევანდელ სოფელ გრემის სამხრეთით, თელავიდან ყვარლისკენ მიმავალი სამანქანო გზის 27-ე კილომეტრზე მდებარეობს. ეს ოდესღაც დიდებული ქალაქი ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ წარმოქმნილი კახეთის სამეფოს ხანმოკლე, მაგრამ მძლავრი განვითარების პერიოდში, XV-XVII სს-ში ყოფილა გაშენებული რამდენიმე ათეულ ჰექტარზე. იმხანად გრემი კახეთის მეფეთა რეზიდენციას და კავკასიის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ, ხალხმრავალ და კეთილმონყობილ ქალაქს წარმოადგენდა. მისი, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრის მნიშვნელობა დაეცა ირანის შაჰის, აბას I-ის არმიის 1614-1616 წწ. შემოსევების თანმდევი ნგრევისა და გაჩანაგების შედეგად. ამის შემდეგ კახეთის მეფეთა რეზიდენციამ გრემიდან თელავში გადაინაცვლა.

ქალაქ გრემის ციტადელზე გაშენებული მთავარანგელოზთა ეკლესიის კომპლექსი დღესდღეობით პრაქტიკულად თავდაპირველი სახით შემონახული ერთადერთი მინისზედა ძეგლია ნაქალაქარის ტერიტორიაზე. მთავარანგელოზთა ეკლესია და მისი მიმდებარე კოშკის ტიპის სამეფო პალატი, გვიანი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლს და საერთაშორისო მასშტაბით უაღრესად პოპულარულ ტურისტულ ობიექტს წარმოადგენს. ამჟამად ეს ისტორიული ნაგებობანი მუზეუმ-ნაკრძალადაა გამოცხადებული და მათ სახელმწიფო იცავს. სატაძრო კომპლექსსა და მის შემოგარენში საქართველოს ეკლესიის ნეკრესის ეპარქიაში შემავალი მთავარანგელოზთა სახელობის მამათა მონასტერი ფუნქციონირებს.

ჩვეულებრივ, გრემის კომპლექსში მიმსვლელ მომლოცველებს თუ დამთვალეირებლებს მიეწოდება ქართველ მეცნიერთა მიერ დღესდღეობით ერთსულოვნად გაზიარებული ინფორმაცია, რომ მთავარანგელოზთა ეკლესია კახთა მეფე ლევან ბაგრატიონის (მეფობდა 1518-1574 წწ) ძალისხმევითაა აგებული ჯავახიშვილი, 1973: 27-30; გუჩუა, 1973: 58-62; ჭილაშვილი, 1980: 72-77). ტაძრის მშენებლობა დაახ. 1565 წელს დასრულებულა, მისი მოხატვა კი 1577 წელს დაუმთავრებიათ (ზაქარაია, 1975: 23, 25). ეს მტკიცებულებანი არაერთ წერილობით დოკუმენტს, აგრეთვე ნაგებობის ხუროთმოძღვრული აღნაგობის, კედლის მხატვრობისა და ეპიგრაფიკული მონაცემების ანალიზს ეყრდნობა. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ამ ღირშესანიშნავი ადგილის მიმართ დამთვალეირებელთა მიზიდულობის ძალას ის საყოველთაოდ გავრცელებული გადმოცემაც აძლიერებდა, რომ გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ეს ცნობილი მონარქი, რომელსაც თავისი გამჭრიახი საგარეო და საშინაო პოლიტიკით იმჟამინდელი კახეთის სამეფოს კულტურულ-ეკონომიკურ აღორძინებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის, ამ ტაძარშივე იყო დაკრძალული. თუმცა, ჩვენ მიერ ჩატარებულ, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევებამდე ეს უკანასკნელი ვერსია საბოლოოდ, ფაქტობრივი მასალით დამტკიცებულად ვერ ჩაითვლებოდა, ვინაიდან ნიშანდობლივ არავინ იცოდა ტაძრის ინტერიერში ამ საფლავის მდებარეობა. მით უფრო, ცნობილი არ იყო, დღემდე შემორჩენილი იყო თუ არა ტაძრის იატაკქვეშ ამ დიდი მონარქის ნეშტი თუ ნაწილები.

წერილობითი საბუთები იმის თაობაზე, რომ ლევან მეფე სწორედ რომ გრემის მთავარანგელოზთა ტაძარში განისვენებდა, არცთუ მცირე რაოდენობით გაგვაჩნდა.

მე-18 საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოს-გეოგრაფოსი, ვახუშტი ბაგრატიონი წერდა:

„საბუი-გრემის... წყალზედ არს გრემი, რომელი ქმნეს ქალაქად ქრისტესა ჩუივ და განდგომილებისა კახთ მეპატრონეთა

და მყოფობდნენ მუნ. ანცა არს შენობა და ეკლესია შეუმუსრავი. ოდეს მოაოხრა შააბაზ, მიერთ არს დაბა და არლარა ქალაქი. აქა არს ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი, მთავარანგელოზთა და არს მეფე ლევან დაფლული მას შინა“ (ბაგრატიონი, 1973: 546).

მე-18 საუკუნისვე, 1746 წლით დათარიღებულ, მეტად სანდო საბუთს წარმოადგენს მეფე ერეკლე II-ის მიერ ნეკრესის მიტროპოლიტ იოანესადმი გაცემული სიგელი, სადაც ქართლ-კახეთის მეფე თავისი საკმაოდ ახლობელი, უშუალო წინაპრის, ლევან მეფის მიერ აშენებულ ტაძარში არსებულ მისივე „სასაფლავოს“ მოიხსენიებს (ჭუმბურიძე, 2008-2015).

უფრო ადრეც, რუსი ელჩები, რომლებიც კახეთის მეფეებს დიპლომატიური მისიით არაერთხელ სწვევიან, თავის ჩანაწერებში მოიხსენიებენ მთავარანგელოზის ეკლესიას და მათ ცნობებს, როგორც პირველ წყაროებს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ერთ-ერთი ასეთი ჩანაწერის მიხედვით, ელჩები მოსულან გრემში 1637 წელს და გაჩერებულან მთავარანგელოზთა მონასტერში, რომელიც ციხეში იდგა. მეორე ცნობის მიხედვით, მთავარანგელოზთა მონასტერი ლევან მეფეს აუშენებია და უბრძანებია მისი იქ დაკრძალვა. 1589-1590 წწ. რუსების ელჩობის ჩანაწერები გვეხმარება ეკლესიის აგების თარიღის დაზუსტებაშიც: „ათანასე არქიმანდრიტმა თქვა, ოცდახუთი წელია რაც ტაძარი ააგესო“ (Посольство, 1928: 193-208). აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ უკანასკნელ ცნობაზე დაყრდნობით მიიჩნია აკად. გ. ჩუბინიშვილმა მთავარანგელოზთა ეკლესიის აგების თარიღად 1565 წ, რაც ამ საკითხის მკვლევარმა თითქმის ყველა მეცნიერმა გაიზიარა (Чубинашвили, 1959: 450).

მე-19 საუკუნეში საქართველოს ამ მხარეში მოგზაური არაერთი მკვლევარი, ზემოთ წარმოდგენილ პირველად წყაროებთან ერთად, დიდი ალბათობით ადგილობრივ ზეპირსიტყვიერ გადმოცემებზე დაყრდნობითაც, თავიანთ პუბლიკაციებში ასევე დაბეჯითებით მიგვანიშნებს გრემის მთავარანგელოზთა ტაძრის ლევან მეფის ქტიტორობით აგებაზე და მისი სამარხის იქვე

მდებარეობაზე (Иоселиани, 1988: 386-387; Энциклопедический словарь, 1893: 610).

აღნიშნულ ცნობებს ტაძრის აღმშენებლად ლევან მეფის მიჩნევისა და მისი იქვე დაკრძალვის თაობაზე, დიდად სარწმუნოს ხდის ტაძრის დასავლეთის კედლის სამხრეთის მკლავის არეში დღემდე კარგად შემორჩენილი ლევან მეფის ფრესკული გამოსახულება, ხელში ეკლესიის მოდელით (სურ. 2). ფრესკას ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერაც ამკობს: „მეფე ლეონ აღმშენებელი.“ უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნის მოგზაურ-მკვლევარ ვ. კიკნაძეს სწორედ ამ პორტრეტის წინ, „დასავლეთის კედელთან“ ეგულებოდა მეფე ლევანის სამარხი. რა დამატებით ინფორმაციას ფლობდა იგი ამგვარად კონკრეტულად მინიშნებისას, ნაშრომიდან არ ჩანს (Кикнадзе, 1889: 43-44).

აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა მთავარანგელოზთა ეკლესიაში, ნაოსის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, ამ გამოსახულებიან კედელზე მიმდებარე, იატაკიდან 20-ოდე სმ-ით შემალლებული პლატფორმა, ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და წყაროების მითითების გარეშე, უპირობოდ მიიჩნია ლევან მეფის დაკრძალვის ადგილად (Чубинашвили, 1959, 447). ასეთი კატეგორიული მტკიცებისას, მკვლევარი გარდა ლოგიკური მოსაზრებისა მეფის მისი საეტიტორო გამოსახულების პირდაპირ შესაძლო დაკრძალვისა (მით უფრო, იატაკის კონსტრუქციულად სხვაგვარად სრულიად აუხსნელი შემალლების არსებობის ვითარებაში), შესაძლოა ეკლესიაში ყოფნის დროს მოპოვებულ ზეპირ ტრადიციასაც ეყრდნობოდა.

1963-1967 წლებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნაქალაქარ გრემზე საკმაოდ მასშტაბური სამუშაოები ჩაატარა. მიუხედავად იმისა, რომ იმხანად არქეოლოგიური გათხრები უმთავრესად ქალაქის სამეფო და სავაჭრო უბნებს შეეხო, გარკვეული სამუშაოები მთავარანგელოზთა კომპლექსის ეზოშიც ჩატარდა (ზაქარაია

1975: 21-50; ჭილაშვილი 1980: 72-86). რამდენადმე საკვირველია, მაგრამ აღნიშნულ მრავალწლიანი არქეოლოგიური სამუშაოების ხელმძღვანელი პ. ზაქარაია, ამ გათხრებისადმი მიძღვნილ საანგარიშო პუბლიკაციებში და ფინალურ მონოგრაფიაშიც კი, მეფე ლევანის მთვარანგელოზის ტაძარში დაკრძალვის თაობაზე სრულიად არაფერს წერს. ამავე ექსპედიციის წამყვან მონაწილეს, ამ ფართობების უშუალო მკვლევარს, შემდგომში ცნობილ აკადემიკოს ლ. ჭილაშვილს გრემის ნაქალაქარისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში პოლიექსპეტოვის ზემოთაღნიშნული ცნობა მოყვანილი აქვს, თუმცა კომენტარის გარეშე და ლევან მეფის დაკრძალვის ნიშანდობლივი ადგილის შესახებ, გ. ჩუბინაშვილისგან განსხვავებით, მოსაზრება არც მას გამოუთქვამს.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის ჩვენმა სამეცნიერო ჯგუფმა (ექსპედიციის ხელმძღვანელი – ნოდარ ბახტაძე), გააგრძელა რა ამ დაწესებულების ხანგრძლივი სამეცნიერო-კვლევით ტრადიცია ამ მხარის შუა საუკუნეების ძეგლების მიმართ, უკვე ორი ათწლეულია განაახლა ნაქალაქარ გრემისა და მისი მიდამოების ხუროთმოძღვრულ-არქეოლოგიური კვლევა. ამ პროგრამის ფარგლებში, სხვა საკითხებთან ერთად მეფე ლევანის სამარხის ადგილმდებარეობის გარკვევითაც დავინტერესდით.

ზემოთ აღნიშნული ისტორიული საბუთების გათვალისწინებით, ჩვენც საგულისხმოდ მოგვეჩვენა ვარაუდი, რომ ლევან მეფის სამარხი, უფრო მთავარანგელოზთა ტაძრის დარბაზის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, შემალღებული პლატფორმის ქვეშ იქნებოდა მოწყობილი, ტაძრის გვირგვინოსანი ქტიტორის ფრესკული გამოსახულების წინ (სურ.1, 2).

კიდევ ერთი არგუმენტი, რაც მეფე ლევანის განსასვენებლის ზუსტად ამ პლატფორმის ქვეშ არსებობაზე მიგვითითებდა, დაზვერვითი სამუშაოებისას იმავე, მონარქის გამოსახულებიან დასავლეთის კედელზე მოვიძიეთ. ფერწერული კომპოზიციის – მეფე ლევანისა და ჩვილედი ღმრთისმშობლის გამოსახულებების ქვეშ, მოხატვამდე, კედლის მოლესილობის ვერტიკალუ-

რი სიბრტყის ზედაპირის ერთიანობა დარღვეული ყოფილა: აშკარად ჩანს მართკუთხა, 197 სმ სიმაღლისა და 67 სმ სიგანის, ოდესღაც იატაკიდან კედლის აყოლებაზე მიდგმული და მიმაგრებული, ალბათ საკმაოდ თხელი, ჰორიზონტულად ორი ნაწილისგან (ზედა – 65 სმ სიმაღლის, ქვედა, უფრო მოზრდილი – 132 სმ) შემდგარი ფილის ანაბეჭდი (სურ. 2); გარკვევით იკითხება, რომ კედლის მოლესილობის საბოლოო ფენა მაინც, მასსა და კედელს შორის დარჩენილ ღრიჭოზე რელიეფურად გადადიოდა (ანუ, ფილები კედელზე „მილესილიც“ იყო). ეს გარემოება იმაზე მეტყველებს, რომ ეს ორწილადი „დაფა“ ტაძრის ინტერიერის მოხატვის წინმსწრებ გალესვაზე ადრე უნდა ყოფილიყო ჩამაგრებული, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტაძრის მხატვრობის შესრულების პერიოდის განსაზღვრისთვის.³⁸ იმაზე, რომ ფილები კედლის მოხატვამდე ყოფილა მიმაგრებული, ცალსახად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მთელი ეს მართკუთხა ანაბეჭდიანი არე ავთენტური, წითლად შეღებილი ფართო ზოლითაა გამოყოფილი საერთო კომპოზიციიდან, თანაც ეს ჩარჩო მხატვრობის ქვედა ზღვარის საერთო ჰორიზონტული ზოლიდან მალაა „შეჭრილი“ აღნიშნულ კომპოზიციაში (ამის გამო, ღმრითისმშობლის ფიგურა გაცილებით მოკლედ გამოუყვანიათ).

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საფიქრებელია, რომ ასეთ განსაკუთრებულ ადგილზე მიმაგრებული ეს დაფისებრი, ჩვენთვის უცნობი მასალის ფილები (უფრო მარმარილოსი, თუმცა არ უნდა გამოირიცხოს თუჯის გამოყენებაც) მემორიალური შინაარსის მატარებელი იქნებოდა და ალბათ შესაბამის ნაწილსა და სიმბოლიკას შეიცავდა. ფაქტობრივად გამ-

38 ეს ფილები ერთმანეთისგან 12 სმ-ით იყო დაშორებული. ზედა ფილა უთუოდ კედელში იქნებოდა ჩამაგრებული, ქვედა კი კომბინირებულად მიმაგრებული – იატაკზეც ეყრდნობოდა. ორივე ფილა განაპირა ნაწილებში დატანებული სამაგრებით იქნებოდა კედელში „ჩაანკერებული“, რომელთა ხვრელებიც კედელში მოგვიანებით, ალბათ XX ს-ში მხატვრობის რესტავრაციისას ამოულესავთ და წითელივე, მაგრამ აშკარად განსხვავებული საღებავითაც დაუფარავთ.

ორიცხულია, ამ სავარაუდოდ წარწერიან მემორიალურ ფილებს სახელდობრ მეფე ლევანის სამარხთან არ ჰქონოდა ორგანული კავშირი – ძალზე დიდია ალბათობა იმისა, რომ ამ ადგილზე სწორედ რომ მეფე ლევანის საფლავის აღმნიშვნელი, შესაბამისი წარწერიანი თუ ეპიტაფიანი მემორიალური დაფა იყო მიმაგრებული (თუკი ეს დაფა შეგნებულად ორი ნაწილისგან შედგებოდა, გამორიცხული არ არის, ერთ მათგანზე მემორიალური წარწერა ყოფილიყო, მეორე კი ღერბით ან სხვა სამეფო თუ საეკლესიო სიმბოლიკით ყოფილიყო შემკული). ეს დაფა, სამწუხაროდ, უკვალოდაა დაკარგული – ის უკვე XIX საუკუნის პირველ ნახევარშივე აღარ ყოფილა ადგილზე, რადგან მისი ჩამოხსნის შემდეგ, ზურგს უკანა ნაღესობაზე, ვინმე რუს პილიგრიმს თუ სამხედროს (გვარი კარგად არ იკითხება), 1839 წლით დათარიღებული ნაკანრი წარწერა დაუტოვებია. საფიქრებელია, რომ დაფის განადგურება ტაძარში მე-17 საუკუნის დასაწყისის მომხდარ დარბევას უკავშირდებოდეს, რომელსაც თვით მეფის განსასვენებელის ხელყოფაც მოჰყვა (იხ. ქვემოთ).

ქართულ ეკლესიებში რელიგიური შინაარსის წარწერებით და სიმბოლოებით დატვირთული ქვის ფილების (ვთქვათ, სომხური ხაჩკარების ტიპისა) ინტერიერის კედლებზე ვერტიკალურად მიმაგრება, შუა საუკუნეებში წესად არ ყოფილა. მეორე მხრივ, მემორიალური, საფლავის აღმნიშვნელი წარწერიანი და ნახატ-სიმბოლოებით შემკული ასეთი დაფები, უმთავრესად ქვისგან დამზადებულები, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში ასე თუ ისე გავრცელებული უნდა ყოფილიყო. მართალია, ჩვენ მიერ შესწავლილ გვიანი შუა საუკუნეების ეკლესიების ინტერიერებში დადასტურებულ დიდგვაროვანთა ან სასულიერო პირთა სამარხებზე გაცილებით ჭარბობს ჰორიზონტული, ბრტყელი, ზედ საფლავის ზედაპირზე დაფუძნებული წარწერიანი საფლავის ქვები, მაგრამ ერთეული შემთხვევები XVII-XVIII საუკუნეების სამარხების მახლობელ კედლებზე ვერტიკალურად მიმაგრებული, მეტ-ნაკლებად ჩვენ მიერ აღწერილი ტიპის მემორიალური ქვის ფილებისა, მაინც არის შემორჩენილი (ან გაუაზრებელ

რეკონსტრუქციამდე-რესტავრაციამდე იყო დაფიქსირებული): მაგალითად, მცხეთის სვეტიცხოვლის, თბილისის ანჩისხატის ეკლესიებში (გვერდნითელი, 2017: 26). აღსანიშნავია, რომ ამ ეპოქის ეკლესიებში მოწყობილ ზოგიერთ სამარხს ორივე ტიპის მემორიალური ქვა გააჩნდა – მაგ., სვეტიცხოველში, მეფე ერეკლე II-ს შვილიშვილის, ბატონიშვილი ერეკლეს მე-19 საუკუნეში ზედაც ედო და კედელზეც იყო მიმაგრებული სრულყოფილი, წარწერიანი და ღერბიანი 2 ქვა (<https://www.facebook> :1). ასეთი ვერტიკალური, საფლავის აღმნიშვნელი, შესაბამისი წარწერიანი მემორიალური ფილა გვხვდება ზუსტად ლევან მეფის ეპოქის კიდევ ერთ ცნობილ ძეგლზე – ახალი შუამთის ეკლესიაში, ლევან მეფის მეუღლის, თინათინ დედოფლის აკლდამის მიმდებარე კედელზეც. მართალია ეს დაფა XIX საუკუნისაა (ის კირიონ კათალიკოსის თაოსნობით ჩატარებული ტაძრის რესტავრაციის დროს დაუმზადებიათ), მაგრამ XX ს-ის ფოტოზე შემორჩენილი კვალის მიხედვით, დიდი ალბათობით, იმავე ადგილზევე XVI საუკუნეშივე არსებული და იმჟამად დაკარგული ვერტიკალური საფლავის ქვის ნაცვლადაა დამაგრებული (ლაღიაშვილი, 2017: 42,43). XIX საუკუნის დიდგვაროვანის (სახელმწიფო მოხელის, თავადი დ. ჯორჯაძის) ვერტიკალური საფლავის ქვა მიმაგრებული იყო თვით გრემის მთავარანგელოზთა ეკლესიის დარბაზის ჩრდილოეთ კედელზე. ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ მთავარანგელოზთა ტაძრის მშენებლობასა და მოხატვაში დასტურდება ბერძენ ოსტატთა საქმიანობის ინტენსიური კვალი (ამირანაშვილი, 1961: 396, 397). შესაძლოა, რომ მემორიალური ქვის დამზადებაც იმჟამადაც ამ საქმის განთქმულ ოსტატ ბერძენთათვის დაევალებინათ, ხოლო ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიებსა თუ მათ მიმდებარე სასაფლაოებზე, XV-XIX საუკუნეების განმავლობაში, სწორედ ვერტიკალურ საფლავის ქვებს ანიჭებდნენ უპირატესობას. გამორიცხული არ არის, საფლავის ქვის არჩევანისას ამ გარემოებასაც მოეხდინა გავლენა ტაძრის ქტიტორი სამეფო ოჯახის გადაწყვეტილებაზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, არგუმენტები ლე-

ვან მეფის სამარხის გრემის მთავარანგელოზთა ეკლესიის ნიშან-დობლივ ამ ადგილზე მდებარეობის თაობაზე, საკმაოდ ანგარიშგასაწივი იყო. თუმცა, ამ ვარაუდს მატერიალური საბუთებით შემაგრება სჭირდებოდა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო იმის დადასტურება, რომ სამარხი ამ დიდი მონარქის ნეშტითურთ დღემდე იყო შემონახული. მეტად საინტერესო იყო ამ სამარხის აღნაგობისა და შემცველობის დადგენაც: ქვა-ყუთის ტიპის იყო ის თუ აკლდამისებრი; ან კოლექტიური, ოჯახური იყო თუ ინდივიდუალური.

ამ სამეცნიერო და იმავდროულად საქართველოს ისტორიის სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხისათვის ნათელის მოსაფენად, ჩვენმა კვლევითმა ჯგუფმა 2021 წელს შეიმუშავა გრემის მონასტრის მთავარანგელოზთა ტაძარში ლევან მეფის სამარხის არქეოლოგიური მეთოდით გამოვლენის და იდენტიფიცირების გეგმა. ჩვენი განზრახვა მეფე ლევანის საფლავის მოძიებისა და გახსნის თაობაზე, მოინონა და განხორციელების ინიციატივაც თავის თავზე აიღო საქართველოს საპატრიარქოს ნეკრესის ეპარქიის ხელმძღვანელმა, ნეკრესელმა მიტროპოლიტმა სერგიმ. სამუშაოების დაჩქარების წადილს ეკლესიის მხრიდან, გარდა ამ დიდი სახელმწიფო მოღვაწის, საქართველოსა და საზღვარგარეთ ეკლესიათა მაშენებელი, ღვთისმოსავი ქტიტორის ხსოვნის უკვდავყოფის სურვილისა, ის გარემოებაც განაპირობებდა, რომ მონასტრის ამ მთავარ ეკლესიაში წირვა-ლოცვის დროს, აღნიშნულ ადგილზე, როგორც ჩვეულებრივ იატაკზე, მრევლი და დამთვალიერებლები ფეხით გადაადგილდებოდნენ, რაც მეფის სავარაუდო სამარხის მიმართ უნებლიე უპატივცემულობად აღიქმებოდა. ამ დიდი სახელმწიფო მოღვაწის საფლავის მოძიების საშვილიშვილო საქმეში ქმედითი მხარდაჭერა გაგვიწია ქართველ ბაგრატიონთა სამეფო სახლის მეთაურმა, ბატონიშვილმა ნუგზარ ბაგრატიონმაც.

ეს არქეოლოგიური კვლევა, იმავე წლის ივნის-ივლისში განხორციელდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლების, პროფესორ ნოდარ ბახტაძის და არქეოლოგიის დოქტორ ვაჟა მამიაშვილის მიერ, ილიას სახელმწიფო უნივერ-

სიტეცის არქეოლოგიის მიმართულების პრაქტიკანტი სტუდენტების მონაწილეობით.

ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები

ნაოსის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში შემალღებული ბაქანის ზედაპირი, ისევე როგორც მთლიანად ეკლესიის იატაკის ძირითადი ფართობი, მოპირკეთებული იყო ექვსკუთხა, მოყავისფრო-მონითალოდ მოჭიქული თიხის ფილებით, იატაკის გარშემოსავლელი ზოლები და ჩამოსაჯდომები კი მოგებულია მსგავსადვე მოჭიქული მართკუთხა ფილებით. სადაზვერვო ჭრილების გავლებისთანავე ნათელი გახდა, რომ ამ ფილებით იატაკისა და აღნიშნული პლატფორმის მოპირკეთება ტაძრის აგების ხანაში მომხდარა. იატაკის ფილების ავთენტიკურობას, გარდა ჩვენ მიერ გავლებული ჭრილებით გამოჩენილი სტრატეგრაფიის ლოგიკური ანალიზისა, თუნდაც ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ზუსტად ასეთი ფორმისა და ზომის, იმავე ტექნოლოგიით დამზადებული კერამიკული, ექვსკუთხა და ოთხკუთხა მოჭიქული ფილებითაა მოგებული ახალი შუამთის მონასტრის მთავარი ტაძრის იატაკი, რომელიც აგრეთვე კახეთის მეფე ლევანის ქტიტორობითაა აგებული (ლალიაშვილი, 2019: 41, 42). ასეთივე მოყვანილობისა და ზომის იატაკის კერამიკული ფილებითაა მოგებული კახეთის XVI ს-ის კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ტაძარი (მაგალითად, ნაქალაქარი გრემის შემოგარენში მდებარე კიდევ ერთი ღირშესანიშნავი გუმბათიანი ტაძარი, ე. წ. შიხიანის ეკლესია (ბახტაძე, 2021: 5). ბუნებრივია, გრემის მთავარანგელოზთა ტაძრის ამ ავთენტიკურმა იატაკმა, განვლილ საუკუნეების განმავლობაში ცვეთისა და, ხანდახან შეგნებული დაზიანების შედეგად, საკმაოდ შელახულად მოაღწია დღემდე; თუმცა, ზოგადად, ექვსკუთხა ფილების წყობა, ფრაგმენტებდაკარგულად თუ დაბზარულად, ახლაც კარგად იკითხება. ამისგან განსხვავებული სურათი შეინიშნებოდა აღნიშნულ, სამხრეთ-დასავლეთ კუთხის ბაქანზე – მის ზედაპირზე, განაპირა

ექვესკუთხა ფილები აგრეთვე კარგად იყო შემორჩენილი, მწყობრად, თუმცა ცენტრალურ ნაწილში თანაბარი წყობა დაკარგული იყო: აქ ფილები დაახ. 2-3 კვ.მ. ფართობზე ოდესღაც აყრილი ყოფილა, შემდეგ კი მათი ფრაგმენტები უწესრიგოდ, პრაქტიკულად ქაოტურად იყო დალაგებული კირის ხსნარზე, შიგადაშიგ ბრტყელი ქვების ჩამატებითაც კი. ამ გარემოებამ წინასწარვე გვაფიქრებინა, რომ შესაძლო იყო, მის ქვეშ მდებარე მეფის სავარაუდო სამარხი რომელიღაც მომდევნო ხანაში ხელყოფილი სახით დაგხვედროდა, ხოლო ზედაპირის აღნიშნული „რესტავრაცია“, მოგვიანებით ამ მოროდორობის ფაქტის შედეგების აღმოფხვრას ემსახურებოდა.

ამ სახელდახელოდ აღდგენილი მოპირკეთების ფილებისა და მისი სამაგრი დუღაბის ფენის დემონტაჟის შემდეგ, პრაქტიკულად უმაღლ გამოვლინდა აგურით შესანიშნავად გამოყვანილი დასაკრძალავი კამერის ზურგი. როგორც აღმოჩნდა, კამერაში აგურის წყობისვე მართკუთხა 92 სმ X 74 სმ სიგრძე-სიგანის, ორსაფეხურიანი დრომოსით ჩადიოდნენ (სურ. 3), და ჩვენც ამ ჩასასვლელით ვისარგებლეთ (მასში მოგვიანებით, ჩახერგვის მიზნით ჩალაგებული ქვებისგან და ღორღისგან განთავისუფლების შემდეგ). აღმოჩნდა, რომ მშვენივრად შემონახული მართკუთხა გეგმის კამერის კედლები აგურის ზუსტად ისეთი წყობითაა ამოყვანილი, როგორც ტაძრის ფასადები და ინტერიერი. მისი სიგრძე 2.28 მ-ია, სიგანე 0.92-0,95 მ. ეს სათავსი აგურისვე, შეისრული მოხაზულობის თალური კამართაა გადახურული. კამერა შიგნიდან მთლიანად მოლესილი ყოფილა ალებასტრით (მოლესილობა გახსნის დროსვე მნიშვნელოვნად დაზიანებული და ჩამოშლილი დახვდა). კამერის მაქსიმალური სამაღლეა 1.25 მ (სურ. 4). როგორც კამერის კედლები და თალური კამარა, ისე დრომოსის კედლები ნაგებია მხოლოდ 24 სმ X 24 სმ სიგრძე-სიგანის 5 სმ სისქის აგურით, საჭიროებისამებრ კი, ასეთი აგურის გადანაჭრებით, დუღაბის ხსნარზე (ზუსტად ამ ზომის აგურებითაა ნაგები თვით ტაძარიც). აკლდამის იატაკი და დრომოსის საფეხურებიც ასეთივე აგურებითაა

მოპირკეთებული. გამოირკვა, რომ თავდაპირველად, გაძარცვის მიზნით ხელყოფამდე, დრომოსს ბრტყელი, მართკუთხად გამოთლილი, ნაპირებზე პროფილირებული ქვის ფილისებრი სარქველი ეფარა (რომლის ფრაგმენტებიც გათხრებისას დრომოსის ფსკერთან ახლოს აღმოჩნდა).

დადგინდა ისიც, რომ აკლდამის მოწყობა სარდაფ-საძირკვლების კონსტრუქციაში, ტაძრის მშენებლობის დროსვე ყოფილა გათვალისწინებული: როგორც თვალნათლივ დავაფიქსირეთ, აკლდამის აგურის კედლები სინქრონულ კონსტრუქციულ ბმაშია ეკლესიის სამხრეთ კედლის ძირა წყობებთან. ეს გარემოება, ცხადია, მშენებლობის ქტიტორის, ლევან მეფის მიერ საკუთარი განსასვენებლის წინასწარ მომზადებაზე მიგვითითებს. ასეთ დასკვნას, ერთი შეხედვით ენინააღმდეგება აკლდამის დამხრობა ქვეყნის გეოგრაფიული მხარეების მიმართ. საქმე ის არის, რომ აკლდამის გრძივი ღერძის დამხრობა ზუსტადაა გასწორებული აღმოსავლეთ-დასავლეთის ვექტორზე, ხოლო თვით ტაძრის ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლები ამ მიმართულებიდან არცთუ მცირედ – დაახ. 5⁰-ითაა გადახრილი ჩრდილოეთისკენ. თუმცა, ამ ცდომილებას შემდეგი ახსნა შეიძლება მოეძებნოს: მთელი რიგი ისტორიული წყაროების მიხედვით და ამ ძეგლის ცნობილი მკვლევარების მოსაზრებით (ჭილაშვილი, 1980: 73), ტაძარი აგებული უნდა იყოს გაცილებით ადრეული, ამავე მასშტაბის, თუმცა იმ მომენტისთვის პრაქტიკულად დანგრეული ეკლესიის ადგილზე, ზუსტად ძველ საძირკველზე დაფუძნებით – ახალი კონსტრუქციის სიმყარის გარანტიისთვის და, ალბათ სინმინდის მემკვიდრეობითობის ხაზგასასმელადაც. მართლაც, მთავარანგელოზთა ტაძრის ქრონოლოგიურ ფაზებზე საუბრისას, ყურადღება უთუოდ უნდა მივაპყროთ „მატიანე ქართლისას“ ერთ ადგილს:

„გაილაშქრა, აფხაზთა მეფემან კახეთს, შეება და შეუხდა მთასა ზედა მიქელ გაბრიელთასა და წყობასა შინა შეიპყრნა: სტეფანოზ მარჯანის ძე, პანკისისა ერისთავი; და ვაჩე, ძე გურგენ ბერისა, ხორნაბუჯის ერისთავი; და ჯედი, დისნული გოდერ-

ძისა, შტორის ერისთავი და მაჭელისა. გარდადგა თიანეთს და დანუა დარბაზი ბოდოჯისა, სახლი სახელოვანი, დიდისა კვირიკე მეფისა აგებული“ (მატიანე ქართლისა, 1955: 298).

ივ. ჯავახიშვილი მიქელ-გაბრიელის მთას კახეთში ვარაუდობდა, თუმცა, კონკრეტულად ის ადგილი, სადაც XI საუკუნის პირველ ნახევარში, აფხაზთა მეფის მიერ კახეთის დაპყრობის ეს ეპიზოდი გათამაშდა, არ აქვს აღნიშნული (ჯავახიშვილი, 1983: 19). აკად. გ. ჩუბინაშვილი კი გამოთქვამს ვარაუდს, რომ „მატიანეს“ ცნობა შეიძლება გრემის მთავარანგელოზს გულისხმობს, რაც მას აფიქრებინებს ჯერ კიდევ XI საუკუნეში აქ მიქელისა და გაბრიელის სახელობის ეკლესიის არსებობას. ის აღნიშნავს, რომ ბორცვის დიდი ნაწილი გვიანდელ ნაგებობებს აქვს დაკავებული და მისი არქეოლოგიური კვლევით შემოწმება შეუძლებელიაო (Чубинашвили, 1959: 450).

გრემის ნაქალაქარზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს, 1967 წლის სეზონში აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მთავარანგელოზთა ტაძრის ეზოს ჩრდილოეთ მხარეს გავლებულ ქრილებში მართლაც აღმოაჩინა მხატვრული კერამიკის ნატეხები, რომლებიც XIII საუკუნის მეორე ნახევრით და XIV საუკუნით თარიღდება (ჭილაშვილი, 1980: 74). ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედ ტაძარში კვლევის ლოკალური მასშტაბის გამო ამ წინარე ნაგებობის საძირკვლის კონტურების დაფიქსირებაზე ხელი ვერ მიგვიწვდა, ამჟამინდელი ტაძრის იატაკის ქვეშ 1 მ-ზე მეტი სისქის ნაყარი და ნატეხები მიწა დავადასტურეთ, რაც, დიდი ალბათობით, ადრეული ნაგებობის საძირკვლის ზედა ნიშნულზე გასწორებულ სუბსტრუქცი-აზე უნდა მიგვანიშნებდეს. ამდენად, ჩვენც ვთვლით, რომ მე-16 ს-ის ტაძრის კედლების ოდნავი გადახრა ზუსტი გეოგრაფიული ვექტორისგან, წინარე ეკლესიის კედლების ასეთივე ცდომილებით იყო გამოწვეული.

რაც შეეხება საკუთრივ განსასვენებელს, აკლდამის კედლები გვირგვინოსანმა ქტიტორმა, ალბათ ზუსტად აღმო-

სავლეთ-დასავლეთ ღერძზე გაასწორებინა, რათა მისი ნეშტის პირ-სახის აღმოსავლეთით მიპყრობის კანონიკა არ დარღვეულიყო.

ჩვენი კვლევით, ნათელი მოეფინა ზოგადად მე-16 საუკუნის ტაძრის იატაკისა და აკლდამისზედა პლატფორმის კონსტრუქციის მოწყობა-მოპირკეთების პრინციპსაც. ტაძრის მთელ დანარჩენ ფართობზე იატაკი ორმაგი კერამიკული ფილებითაა დაფარული: აღნიშნულ ნაყარ და ნატკეპნ მიწაზე, ჯერ სტანდარტული, კედლებისთვის გამოყენებული აგურის ფენა მოუგიათ საკმაოდ მორგებულად და ზუსტად ჰორიზონტულად, და მხოლოდ მასზე გადასმულ კირის ხსნარზე დაულაგებიათ ზედაპირის მხრიდან მოყავისფრო-მონითალოდ მოჭიქული ექვსკუთხა ფილები (36 სმ დიამეტრის წრეხაზში ჩანერილი ფორმისა და 7 სმ სისქის).³⁹ როგორც ჩანს, ამ ხერხით განსაკუთრებით სახიერი, აბსოლუტურად სწორი ზედაპირის მიღება სურდათ. იატაკის ზედაპირიდან 25 სმ-ით შემალღებული აკლდამის ზედა პლატფორმა კი მხოლოდ ამ უკანასკნელი, ექვსკუთხა ფილებით მოუპირკეთებიათ. როგორც ჩანს, აკლდამის გადახურვა და შესაბამისად, პლატფორმის ზედაპირიც იატაკის ჰორიზონტიდან რამდენადმე ამოზიდულად სრულიად გააზრებულად დაგეგმეს – ამით ხაზი გაუსვეს ტაძრის ამ ნაწილის განსაკუთრებულ სტატუსს და მრევლს თითქოს მიანიშნეს, რომ აქ სიარულს, განსაკუთრებული საჭიროებისა თუ გარდაცვლილი მეფის საფლავის თაყვანისცემის სურვილის გარეშე, მორიდებოდნენ. ამგვარად, მთელი ეს ბაქანი: სამარხში ჩასასვლელ დრომოსზე დადებული კვადრატული, წარწერიანი, ასახდელი ქვის ფილა, დასავლეთის

³⁹ როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, შუამთის მონასტრის ეკლესიის იატაკიც თავიდან ზუსტად ასეთი მოხაზულობის, ანალოგიური ტექნოლოგიით დამზადებული, მწვანედ და ფირუზისფერად მოჭიქული ექვსკუთხა თიხის ფილებით იყო მოგებული. იქ მე-19 საუკუნეში ჩატარებულმა რეკონსტრუქციამ ავთენტიკური იატაკი თითქმის სრულიად შეინირა და მისი გამოვლენა მხოლოდ ტაძრის არქეოლოგიურად გათხრის შედეგად მოხერხდა 2019 წელს (ლალიაშვილი, 2019: 41,42).

კედელზე მიმაგრებული, შესაბამის სიმბოლოიან-ნარწერიანი დაფა და, შესაძლოა, იმჟამად ზედ კამერის ზედაპირზე დადგმული სხვა საფლავის ქვაც, ალბათ ერთ მთლიან, ტრადიციულ იატაკის დონიდან შემალღებულ მემორიალურ კომპლექსად აღიქმებოდა.

ობიექტურ მიზეზთა გამო ისე მოხდა, რომ ჩვენ ნამდვილად არ ვართ განებივრებულები შუა საუკუნეების ქართველი დიდებულების, მით უფრო, სამეფო ოჯახის წევრების განსასვენებლების სრულფასოვანი არქეოლოგიური კვლევის მონაცემებით. ასე განსაჯეთ, ეს სამუშაოები გახლდათ ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს წევრთა სამარხის მოძიება-გახსნის პირველი შემთხვევა, მოსკოვში, დონის მონასტერში მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ჩატარებული მსგავსი სამუშაოების შემდეგ. თუმცა, დონის მონასტრის აკლდამა, უფრო რუსული კულტურის წიაღში ჩატარებული დაკრძალვის წესის ამსახველ ნიშნებს იძლეოდა (Есадзе, 1913). ლევან მეფის ამ აკლდამის ქართული, გაცილებით ახლობელი ანალოგია საქართველოში, კახეთშივე, შუამთის მონასტერში, ღვთისმშობლის შობის მთავარ ტაძარში არქეოლოგიურად გამოკვლეული თინათინ დედოფლის (ლევან მეფის მეუღლის) აკლდამა (ლაღიაშვილი, 2019: 43-47). თინათინის აკლდამის კედლებიც აგურითაა ამოყვანილი და აგურისვე თაღური კამარით გადახურული; აკლდამის გადახურვის თაღი აქაც, წინასწარი განზრახვით საკმაოადაა ამალღებული იატაკის ჰორიზონტიდან და მისი იატაკის მოპირკეთების ანალოგიური ექვსკუთხა კერამიკული ფილებით მოფენილი ზედაპირი, თითქმის ისეთივე ვრცელ ბაქანს ქმნიდა, როგორც ლევანის აკლდამისა. ორივე ამ აკლდამას ზუსტად ერთნაირად მოწყობილი, ბრტყელი, მართკუთხა ქვის ფილა-სარქველიანი დროშისებრი ჰქონიათ, ერთნაირად ყოფილა მოლესილი ალებასტრით. მცირედი განსხვავება მხოლოდ ამ კონსტრუქციათა ზომებში, პროპორციებში და ცალკეულ დეტალებშია – მაგალითად, თინათინის აკლდამის ჭერის კამარა ნახევარცილინდრულია, ლევანის

აკლდამას კი მკვეთრად შეისრული ჭერი აქვს.⁴⁰ განსხვავებულია აგრეთვე ტაძრების ინტერიერში მათი მდებარეობა: მეფე ლევანი დარბაზის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილშია დაკრძალული, თინათინ დედოფალი კი ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

ვინაიდან ამ ორ აკლდამის მშენებლობას დროის მეტად მცირე მონაკვეთი ამორებს ერთმანეთს, თანაც მათი დამკვეთი ერთი და იგივე პიროვნებაა – მეფე ლევანი, ამ აკლდამათა მშენებლობის სტილი და, შესაძლოა მშენებელთა ჯგუფის შემადგენლობის იდენტიურობა, გასაკვირი სრულიადაც არ არის – ეს ობიექტური კანონზომიერებაა. ამდენად, ამ გვირგვინოსანი წყვილის სხვადასხვა ტაძარში მდებარე აკლდამების არქეოლოგიური კვლევით (რაც დროშიც თითქმის დაემთხვა ერთმანეთს), ჩვენი არცთუ საფუძვლიანი ცოდნა აღმოსავლეთ საქართველოში გვიან შუა საუკუნეებში ქართველი უმაღლესი არისტოკრატის დაკრძალვის წესების თაობაზე, სრულიად ცალსახა ინფორმაციით გამდიდრდა.

სამწუხაროდ, ჩვენ მიერ ლევან მეფის განსასვენებლის გახსნის დროს წარმოჩენილმა სურათმა დაადასტურა ზედაპირული დაზვერვებით გაჩენილი ეჭვი, რომ ეს აკლდამაც (თინათინ დედოფლის განსასვენებლის ანალოგიურად) კახთა მეფის დაკრძალვიდან რამდენიმე ხნის შემდეგ გაუძარცვავთ. როგორც ჩანს, ეს მოხდა მე-17 საუკუნის დასაწყისში, კახეთში ირანის მმართველის, შაჰ-აბას I-ის ურდოების გამაჩანაგებელი ლაშქრობის დროს (სურ. 4). იმას, რომ ქალაქი გრემს და კონკრეტულად მთავარანგელოზთა ტაძრის კომპლექსს ირნელთა ამ ლაშქრობამ უდიდესი ზიანი მიაყენა, მრავალი ისტორიული საბუთი ადასტურებს. ქალაქ გრემის შემუსვრა, გაძარცვა, მოსახლე-

40 თალებისა და კამარების ზუსტად ასეთი მოხაზულობით შეისრულობა, ფრიად დამახასიათებელი, ტიპური ელემენტია მთელი გვიანი შუა საუკუნეების ისლამური სამყაროს, განსაკუთრებით კი ირანის იმპერიის სამყაროს საკულტო და საერო არქიტექტურისთვის. ასეთივე შეისრულობით ხასიათდება ამ ეპოქის ირანული არისტოკრატის მავზოლეუმებისა და მათ წიაღში მოწყობილი აგურით ნაგები აკლდამები (Savory, 1980: 160-168).

ობის განადგურება და დატყვევება ირანში გადასასახლებლად, დიდის ალბათობით 1616 წელს მომხდარა და სულ ცოტა 50 დღე გაგრძელებულა (Иоселиани, 1846: 95; გიულდენშტადტი, 1962: 41; არაქელ დავრიჟეცი, 1974: 28; Давид, Царевич, 1805:96). როგორც ჩანს, მთავარანგელოზთა ტაძარი ირანელთა მარბიელ ლაშქარს დასაბინავებლად არაერთხელ გამოუყენებია, რამაც ერთი მხრივ შენობა გადაარჩინა მიზანდასახულ გადანვას თუ დანგრევას; თუმცა საფიქრებელია, რომ მასში თავშეფარებული ტომით მომთაბარე ყიზილბაში მეზობლები ამ თვალსაჩინოდ მოწყობილ სამეფო აკლდამას გაუძარცვავად არ დატოვებდნენ – დიდის ალბათობით სწორედ მათ ჩაუღწევიათ ქვის სარქველიანი დრომოსიდან აკლდამაში გაძარცვის მიზნით და, სულ ცოტა მიცვალებულის ტანსაცმლის ძვირფასი აქსესუარები მაინც მიუტაცებიათ (სამეფო ინსიგნიებდან, თუნდაც მცირე ნაწილის სამარხში ჩატანების ტრადიციის არსებობა იმხანად, ისედაც საეჭვოდ გვეჩვენება). როგორც ჩანს, მოროდორებმა მეფის ნეშტიც დააზიანეს და ნაწილების უმეტესობაც ამოაწყვეს აკლდამიდან (საბედნიეროდ, არა ყველა).

ცხადია, ირანელი დამპყრობლების განდევნისთანავე, ამ მიდამოებიდან გახიზნული და დაბრუნებული თუნდაც მცირერიცხოვანი კახელი მოსახლეობა, ამ დიდი მეფის სამარხს სახელდახელოდ მაინც მოაწესრიგებდნენ,⁴¹ მაგრამ მთავარან-

41 იმაზე, რომ გაძარცვული აკლდამა არცთუ მცირე ხნის განმავლობაში ღიად იყო დატოვებული, შემდეგი ფაქტი მეტყველებს – აკლდამის აღმოსავლეთ კიდეში, დრომოსის მიმდებარედ, აგურით მოგებული იატაკი ცენტრში ჩაჭრილია დაახ. 35 სმ დიამეტრის კონუსური ორმოთი, რომელიც ძლიერ გვაგონებს შუა საუკუნეების საქართველოში გავრცელებულ, კლდოვან იატაკებში მომცრო ქვევრის ჩასადგმელი ფოსოების მოყვანილობას (ბახტაძე, 2007: ტაბ. 104, 120, 154). ასეთი ორმოს ავთენტიკურობა გამორიცხულია, რადგან ამ ადგილზე მიცვალებული თავი იქნებოდა დასვენებული, ამისთვის კი პირიქით, შემალღებულ სასთუმალს თუ მოაწყობდნენ. ამიტომ საფიქრებელია, რომ გახსნილ აკლდამას სარდაფის ფუნქციით იყენებდა მასში გარკვეული დროით თავშეფარებული ან მოსალოცად პერიოდულად მიმსვლელი მოსახლეობა და მასში საზედაშე ღვინის ქვევრიც კი

გელოზთა ტაძრის მნიშვნელოვნად ნესრიგში მოყვანა მხოლოდ მე-18 საუკუნეში უნდა მომხდარიყო – ტაძრის გალავნის ბურჯებზე ზოგან გამოყენებულია სწორედ ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი თევზიფხური წყობა; შესაბამისად, გალავანთან ერთად, ტაძარიც იმხანად უნდა განახლებულიყო (ზაქარაია 1975, 44-49).

ამ დროს, ისედაც გაძარცვულ აკლდამაში შემდგომი შეღწევების და მეფის ნეშტის დარჩენილი ნაწილების შენახვის ალსაკვეთად, ამ ეკლესიის მაშინდელ მესვეურებს (შესაძლოა მხარის საერო ხელისუფლების ან ეპარქიის მმართველების თაოსნობით) ჩასასვლელი დრომოსი მოზრდილი ქვების მშრალი წყობით და ღორღით ამოუვსიათ, კამერაში შესასვლელი კი ხის ძელებით გარდიგარდმო გადაუღობავთ. ამგვარად დალუქული აკლდამის ზედაპირის იატაკიც საგულდაგულოდ გადაუღესავეთ და მოუკირწყლავთ. ამდენად, აკლდამაში თავისუფლად ჩასვლა შეუძლებელი გახდა, თუმცა, „გაუჩინარების“ გამო, ამ დროიდანვე, აკლდამის არსებობაც ნელ-ნელა დავიწყებამიეცა, რადგან მემორიალური ნარწერის აღდგენა დასავლეთის კედელზე, მაშინვე ვერ მოუხერხებიათ.

ამის შემდეგ სულ ცოტა 150 წლის შემდეგ, ჩვენ მიერ ხელახლა გახსნილ აკლდამაში დადასტურდა ასაკოვანი მამაკაცის ძვლოვანი ნეშტის ნაწილები, აგრეთვე 3 ათულამდე არტეფაქტი (ან მათი ფრაგმენტი), რომლებსაც აქ, მათი მნიშვნელობის და დათარიღების ჩვენებულ განსაზღვრებასთან ერთად, მეტ-ნაკლებად დეტალურად წარმოვადგენთ.

ნივთები, რომლებიც აკლდამის იატაკზე დაგვხვდა მიმოფანტული, აქ მოხვედრის ვითარებისდა მიხედვით, შემდეგ კატეგორიებად შეიძლება დაიყოს: I. მიცვალებულის დაკრძალვის დროს (დაკრძალვის რიტუალის შემადგენელი ნივთი ან სამარხის გაძარცვისას დაზიანებული მისი ფრაგმენტი); ტანისამო-

ჩაუდგამთ. ასეთი ქმედებას, „საზედაშე“ ღვინის ტაძარშივე მოთავსებას, შესაძლოა ეკლესიურადაც კი აღიქვამდა გაჩანაგებული ქვეყნის მოსახლეობა „უმღვდელობის“ ხანაში.

სის, ფეხსაცმლის, მათი აქსესუარების ფრაგმენტები (როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითქმის გამორიცხული იყო რომ ნემტისთვის სამეფო ინსიგნიები ჩაეტანებიათ და, მით უფრო მოლოდინი მათი გაძარცვის შემდეგ შემორჩენისა); II. სამარხის გაძარცვის შემდეგ, დროის რამდენიმე ათწლეულიან შუალედში, თავახდელი დრომოსიდან აკლდამაში შემთხვევით მოხვედრილი ნივთები; III. მე-18 საუკუნეში, სამარხის დრომოსის ქვით და ღორღით შევსების დროს, მათთან ერთად აკლდამაში შემთხვევით მოხვედრილი ნივთები (მით უფრო, რომ შესასვლელის დასალუქი ხის ძელები დროთა განმავლობაში დაშლილა და დრომოსის შემავსებელი მასის გარკვეული ნაწილი აკლდამის დასავლეთ ნაკვეთში იყო მიმოფანტული).

პირველ კატეგორიას, დიდი ალბათობით განეკუთვნება:

1. თიხის ჯამი, აგურისფერი კეცით, წვრილმინარევეებიანი, კარგად განლექილი. ოდნავ გადაშლილი პირით და მომრგვალებული ბაკოთი. მუცელსა და ქიმს შორის შეუღლება ტეხილია. ბრტყელი, ოდნავ ამობურცული ძირით. ძირზე ამოკანრულია ორი ურთირთგადამკვეთი ხაზი (სავარაუდოდ ჯვრის იმიტაცია). შიდა და გარე პირზე აღენიშნება ცეცხლში მოხვედრის კვალი. სიმაღლე-8.5 სმ; პირის დიამეტრი-13.5 სმ; ქუსლის სიმაღლე-1 სმ; ძირის დიამეტრი-7.2 სმ; კეცის სისქე-0.3-0.9 სმ. დაზიანებული, ნაკლული (ტაბ. I-1). ასეთი ჯამები ცნობილია XV-XVI სს-ის ქართული ძეგლებიდან, განსაკუთრებულად ზუსტი პარალელები კი თვით ნაქალაქარ გრემის განათხარი მასალებიდან ეძებნება (ჭილაშვილი, 1980: 117-119; ბახტაძე, 1991: 42, 43; ბახტაძე, 1991: 42,43; თვალჭრელიძე, 2010: ტაბ. IV).
2. თიხის დოქის ყელ-გვერდის ფრაგმენტი. მოჩალისფროდ გამომწვარი. კარგად განლექილი. ზედაპირზე შემოუყვება ჰორიზონტულად, სავარცხლისებრი იარაღით ნაკანრი პარალელური ზოლები. ზომა: 12.5x11.6 სმ; კეცის სისქე- 0.4-0.7 სმ. (ტაბ. I-2). ასეთ დოქებს

- დიდი რაოდენობით ვხვდებით როგორც გრემის ნაქალაქარის არქეოლოგიურ მონაპოვარში, ისე ქვემო ქართლის გამოქვაბულ სოფლებში მე-20 ს-ის 80-იან წლებში ჩატარებული არქეოლოგიურ მასალებში (ჭილაშვილი, 1980: ტაბ. XXXII-1; ბახტაძე, 1991: ტაბ. XVIII-3,4,6).
3. ქოთნის თიხის ხუფის ფრაგმენტი. მონაცრისფროდ გამომწვარი, ნაკვეთილი კონუსისებრი ფორმის, ერთ მხარეს ჩაღრმავებული. აღენიშნება ცეცხლში მოხვედრის კვალი. ზომა: სიგრძე – 4-5 სმ; სახელურის დიამეტრი- 4 სმ. (ტაბ. I-3). ზუსტად ასეთი ფორმის ხუფები ფრიად გავრცელებული ყოფილა განვითარებულ შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში. ამგვარი ნაწარმის ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანი ეგზემპლიარები XIV-XVI სს-ის განათხარ მასალებშიც გვხვდება. (მუსხელიშვილი, 1954: 80; ბახტაძე, 2007: ტაბ. 63, 7-11).
 4. თიხის თეფშის პირ-გვერდის ფრაგმენტი. კარგად განლექილი. ჰორიზონტულად გადაკეცილი პირით. ზომა: სიგრძე-7.9 სმ; სიგანე-4 სმ; სისქე-0.9 სმ. ასეთი ტიპის თიხის თეფშები ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში XIV-XV სს-თა მიჯნიდან XVII საუკუნის ჩათვლით და მრავლადაა დადასტურებული ამ ეპოქის არქეოლოგიურ ძეგლებზე (თვალჭრელიძე, 2010: ტაბ. V, 1-6; ბახტაძე, 1991: ტაბ. VII-3, XXI-18-20).
 5. ფაიანსის ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი. მომრგვალებული ბაკოთი. სადა შიდაპირიანი. გარე პირზე ლურჯი საღებავებით შესრულებულია მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტები. ზომა: 6.6x4.6 სმ; კეცის სისქე – 0.2 სმ. ასეთი სტილის ირანიდან იმპორტირებული მხატვრული ფაიანსის ჭურჭელი საკმაოდ გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში და ძირითადად მოსახლეობის დანიინაურებული ფენების საცხოვრებლების ან ეკონომიკურად ძლიერი მონასტრების არქეოლოგიური კვლევის დროსაა დადასტურებული (მამიაშვილი,

1976: 34, 37; თვალჭრელიძე, 2010: 138-142).

6. თიხის შორენკეცის ფრაგმენტები. აგურისფრად გამომწვარი, კარგად განლექილი, წვრილმინარევიანი. ანგობირებულ ზედაპირზე ლურჯი ფერის საღებავით გამოყვანილია მცენარეული ორნამენტი. გადავლებული აქვს უფერო ქიქური. ზომები: 1-4.1x4.4x1.7 სმ; 2- 4.2x5x2 სმ; 3-3.5x4.5x2 სმ; 4- 3x3.2x2 სმ., 4 ფრაგმენტი. ზუსტად ანალოგიური სტილითა და ტექნოლოგიით დამზადებული შორენკეცები აქა-იქ ან ჯგუფურად,⁴² მხატვრული აქცენტირებისათვის შესაფერის ადგილებში ჩატანებულია თვით გრემის მთავარანგელოზთა ეკლესიის ფასადების შესამკობად და, შესაბამისად ავთენტიკურია, მშენებლობის ეპოქისაა. აკლდამაში ამ ფრაგმენტების ჩატანების მიზანი და ვითარება უცნობია, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მათი სამარხში მოხვედრა უფრო მშენებლობისას ტაძრის ტერიტორიაზე ამ ტიპის სამშენებლო კერამიკის მობილიზებაზე უნდა მიგვანიშნებდეს, ვიდრე დროთა განმავლობაში ფასადებიდან ამ მყარად ჩამაგრებული ელემენტების ჩამოცვენაზე.

როგორც ჩამოთვლილი ნაკეთობების სტილისტურ-ქრონოლოგიური ანალიზის შედეგები მეტყველებს, მათი დიდი უმრავლესობის დამზადება-მოხმარებას მე-16 საუკუნეზე გვიან ხანაში ვერ ვივარაუდებთ. რაც შეეხება აკლდამის იატაკზე,

42 ზუსტად ამ ტექნიკით დამზადებული, მხატვრულად ამ სტილით მოჭიქული 5-5 შორენკეცით ყოფილა ტაძრის ფასადებზე თავდაპირველად გამოყვანილი გეომეტრიულად სტილიზებული ჯვრის გამოსახულებები, რომელთაგანაც ამჟერად მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი. თითქმის გადანყვეტილად შეიძლება ითქვას, რომ ეს მკაფიოდ მოელვარე ქრისტიანული სიმბოლოები ზუსტად რომ ირანელ დამპყრობელთა მიერ ტაძრის აღნიშნული გაჩანაგების დროს უნდა იყოს შეგნებულად ჩამონგრეული და სულაც არ არის გასაკვირი, რომ მათი დაფშვნილი ფრაგმენტების ნაწილი, მიმოფანტვისას იმ დროს თავაზდოილ აკლდამაშიც მოხვედრილიყო.

ყველაზე მაღალ ჰორიზონტზე მოპოვებულ მცირერიცხოვან ნაკეთობებს, რომლებიც უფრო გვიანდელ ხანას განეკუთვნება. როგორც ჩანს ისინი სამარხში მაშინაა მოხვედრილი, როდესაც გაძარცვული აკლდამის დრომოსი თავლიად იყო მიტოვებული, უფრო, მე-18 ს-ში (მით უფრო, რომ ასეთი ფრაგმენტების დიდი უმრავლესობა სწორედ რომ აკლდამის დრომოსთან მიმდებარე ფართობებშია აღმოჩენილი), ამიტომ მათ აღწერას აქ აღარ შევუდგებით.

ამრიგად, გამოვლენილი აკლდამის მონყობის ხანა ჩვენთვის ამ მონაცემებითაც კი საბოლოოდ ნათელი გახდა. ყოველგვარ გონივრულ ეჭვს სცილდებოდა იმის დაშვებაც, რომ განსაკუთრებით გამორჩეულ ადგილზე – ლევან მეფის საქტიტორო გამოსახულების წინ სპეციალურად შემალღებული ბაქანის ქვეშ პომპეზურად მონყობილი აკლდამა სხვა ასაკოვანი მამაკაცის (თუნდაც იმავე სამეფო ოჯახის წევრის) განსასვენებელი ყოფილიყო. ლოგიკის-და მიხედვით ისიც ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ ესოდენ გამოჩენილი მეფის მემორიალის ბაქანით შემოსილი აკლდამიდან, თუნდაც დარბევისას დაზიანებული მონარქის ძვლოვანი ნეშტი მთლიანად იქნა ამოღებული გაურკვეველი მიზნით, მოგვიანებით კი (დავუშვათ XVII-XVIII საუკუნეებში), მისი პირდაპირი შთამომავალი სამეფო ოჯახის წევრების თანხმობითა თუ უნებართვოდ, სამარხში სხვა, დაახლოებით იმავე ასაკის მიცვალებული მამაკაცის ცხედარი თუ ცალკეული ნაწილები ჩაესვენებინათ.

მიუხედავად ამისა, აკლდამაში მიკვლეული ნეშტის ნაწილების საბოლოო იდენტიფიკაციისთვის, ჩვენმა სამეცნიერო ჯგუფმა ძვლოვანი ფრაგმენტების ნიმუშები რადიოკარბონული მეთოდით (ნახშირბად-14) ანალიზისთვის 2021 წელსვე გადასცა საქართველოს ეროვნული მუზეუმის პარტნიორი სამეცნიერო დანესებულების – პოზნანის (პოლონეთი) ადამ მიცკევიჩის სახელობის უნივერსიტეტის შესაბამის ლაბორატორიას. ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ ძვლოვანი ნეშტი არის პიროვნების, რომელიც დაახლოებით 455 წლის წინ უნდა გარდაცვლილიყო

(სერტიფიკატი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში). ეს თარიღი სწორედ ლევან მეფის გარდაცვალების ხანა გახლავთ (8 წლიანი განსხვავება 1574 წელთან მიმართებაში, საუკეთესო შედეგად ითვლება – დღევანდელი ევროპული სამეცნიერო მეთოდიკით, 15 წლიანი ცდომილებაც კი მეტად დამაჯერებელი დასკვნის საფუძვლად ითვლება).

ანთროპოლოგია, პალინოლოგია

აკლდამაში აღმოჩენილ ნეშტის ფრაგმენტები და ეკოფაქტები, ექსპედიციის წევრებთან ერთად ადგილზეც და ლაბორატორიულადაც დეტალურად შეისწავლეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის შესაბამისი პროფილის მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტებმა.⁴³

როგორც გახსნის დროს დაფიქსირებული სტრატოგრაფიული სურათით გაირკვა, კამერაში მიცვალებულის ჩასვენების შემდეგ, გვიანი შუა საუკუნეების რომელიღაც ეტაპზე კლდამა გაიძარცვა. ამის შედეგადაც, აკლდამაში არეულად იყო წარმოდგენილი ანთროპოლოგიური ძვლოვანი მასალა (ტაბ. 2).

ამდენად, ისედაც არასრულად შემორჩენილი ძვლოვანი ნეშტის ფრაგმენტებიდან ზოგიერთი არგილმონაცვლებული დაგვხვდა, თუმცა მცირე ნაწილი: ადამიანის წვივის (მარცხენა) და იდაყვის (მარცხენა) ძვლები *in situ* აღმოჩნდა.

ძვლოვანი ნეშტის აღრეულად შემონახული ნაწილები მოიცავს ადამიანის თავის ქალის ფრაგმენტებს, გულმკერდის მალას, ლავინის ძვალს (მარცხენა), მხრის ძვლის ფრაგმენტს (მარჯვენა), კოჭის ძვალს (მარცხენა), ნების ძვლებს.

ძვლების მდგომარეობის მიხედვით ინდივიდი ზრდასრულია, დიდი ალბათობით მამრობითი სქესისაა. ასაკობრივი შუალედის დადგენა დაბეჯითებით ვერ მოხერხდა მწირი ჩონჩხოვანი ნაწ-

43 ანთროპოლოგიური კვლევა ჩაატარა ქალბატონმა მარიამ ჭკადუამ, ხოლო პალინოლოგიური კვლევები კი ქალბატონმა ელისო ყვავაძემ, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვასხენებთ.

ილის გამო, თუმცა ძვლების დეტალურად შესწავლის შედეგები, ამ კუთხით, ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას მაინც გვაძლევს. კერძოდ, დაკვირვებებზე დაყრდნობით იმის თქმა გახდა შესაძლებელი, რომ აკლდამაში ჩასვენებული ყოფილა ერთი, მამრობითი სქესის ინდივიდი, რომელიც სიცოცხლეში საშუალო ტანისა ყოფილა. რამდენიმე ფრაგმენტზე შემჩნეული ნიშნების ერთობლიობით, დიდი ალბათობაა იმისა, რომ ეს ინდივიდი გარდაცვალებისას საშუალოზე უფრო დიდი ასაკის უნდა ყოფილიყო.

პალინოლოგიური კვლევის შედეგად აკლდამის იატაკზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სელის, ბამბის და აბრეშუმის ქსოვილის ბოჭკოების ნიმუშები. გამოირკვა, რომ გარდაცვლილ ლევან მეფეს აკლდამაში ჩასვენებისას უნდა სცმოდა საკმაოდ მდიდრული, ლურჯად და წითლად შეღებილი სელის, აბრეშუმისა და ბამბის ზედა სამოსი, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ის გარდაიცვალა წელიწადის თბილ სეზონში.

დასასრულ, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევების მნიშვნელობაზე კიდევ ერთი რამ შეიძლება ითქვას: ეს სამუშაოები გახლდათ ბაგრატიონთა ქართულ სამეფო საგვარეულოს წევრთა სამარხის მოძიება-გახსნის პირველი შემთხვევა მოსკოვში, დონის მონასტერში მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ჩატარებული მსგავსი სამუშაოების შემდეგ. შესაბამისად, ამ არქეოლოგიურ სამუშაოების საბოლოო დასკვნებს დიდი ინტერესით მოელოდა საქართველოს საპატრიარქო და ნეკრესის ეპარქია, ბაგრატიონთა სამეფო სახლი, საქართველოს მთავრობა და ჩვენი ქვეყნის პრაქტიკულად მთელი შეგნებული საზოგადოებრიობა – მით უფრო, რომ საქმე ეხებოდა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული წინსვლისთვის ხანგრძლივად გაღებულ, მნიშვნელოვანი ღვაწლით გამორჩეულ სამეფო პერსონას. იმედია, მეფე ლევან აღმშენებლის საფლავზე შესაბამის წარწერიანი მემორიალური ქვის დაფუძნება, ქართველი ხალხის მიერ ამ დიდი მოღვაწის მიმართ პატივის მიმაგებელი, დიდი საზეიმო ღონისძიების ფონზე წარიმართება, რაც ჩვენს ქვეყანაში, განსა-

კუთრებით კი ახალგაზრდობაში, პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებას დიდ სამსახურს გაუწევს.

Nodar Bakhtadze, Vazha Mamiashvili

Identification of the Royal Tomb: Archaeological Research in the Church of Archangels of the Ancient City Gremi

Summary

In the Late Middle Ages, at the time of the division of the United Georgian State into separate kingdom-principalities, Katheti was reigned by a number of crowned representatives of the legitimate branch of Bagrations. At that time, Gremi was the residence of the kings of Kakheti and regarded as the most powerful, well-equipped and populated city of the country.

Levan the Great, the holder of the title Levan the Builder from his grateful descendants, was the most famous and popular representative of the Kakheti Royal Branch of the Bagrations. He reigned for 54 years (1518-1574) and thanks to his wise foreign and domestic policies, the country achieved unprecedented stability and economic prosperity.

According to the famous Georgian historian and geographer, Vakhushti Bagrationi, as well as several other written sources and oral historical traditions, King Levan is buried in the Archangels Church built by his own efforts in the city of Grem.

However, historical sources say nothing about the location of the tomb of King Levan inside of the interior of this Church. It was difficult to determine the location of the tomb also due to the absence of a tombstone or any other kind of memorial inscription. The location of this tomb was not specified even during the excavations in the city of Gremi carried out by the State Museum of Georgia

named after Janashia in the 60s of the 20th century.

The archeological work of finding and identifying the specific place of the tomb of King Levan was organised only in 2021 by the members of the scientific expedition of the National Museum of Georgia and Doctors of Archeology, Nodar Bakhtadze and Vazha Mamiashvili.

The preliminary survey of the church interior convinced us that this tomb in the Church of the Archangels, which has neither tombstone nor any indicative inscription, is most likely to be found in the southwest corner of the church hall, under the raised platform. This opinion is also supported by the fact that exactly above this place, on the western wall, there is a fresco image of the monarch holding a model of the church and the capital inscription „King Leon the Builder“ in his hand. In addition, it is significant that under the pictorial composition of King Levan and the Infant Virgin Mary the integrity of the surface of the vertical plane of the wall was disturbed before painting: a thin slab impression once attached above the floor is clearly visible on the rectangular area, that is ca. 2 m high and 80 cm wide. This rectangular area is separated from the overall composition by an authentic, red-painted wide strip and this frame is „cut“ into the mentioned composition above the overall horizontal strip of the lower border of the painting (That’s why the figure of the Mother of God is drawn much shorter). Thus, it is conceivable that the currently lost slab attached to such a special place (more like marble or bronze) was a memorial plaque with the appropriate inscription or epitaph of King Levan’s tomb.

Our assumption about the location of Levan King tomb under this platform was confirmed as a result of the excavation. As soon as the paving slabs were removed, a large, arched chamber tomb perfectly built with bricks was revealed, which was accessed by a rectangular, stepped dromos, built in the same style. It was also also determined that the arrangement of the chamber tomb in the construction of the basement-foundations was taken into account already

during the construction of the temple, which points in advance to the preparation of his burial place by King Levan.

Unfortunately, the picture shown during the opening of the resting place confirmed the suspicions raised by superficial intelligence: The tomb was looted some time after the burial of the Levan king. They entered the tomb from the stone valve dromos to rob it and at least the valuable accessories of the deceased's clothes were most likely stolen. Apparently, it happened at the beginning of the 17th century, during the invasion and devastation of Grem by the troops of Shah-Abbas I, the ruler of Iran.

In the following period (18th – 19th centuries), in order to prevent further intrusions into the already looted tomb as well as the disturbance of the remaining parts of the king's remains, the rulers of this diocese built the entrance dromos with stone. Besides they carefully plastered and paved the tomb surface. Since then the existence of tomb had being gradually forgotten. Hence in this tomb, which we reopened after at least 150 years, at least parts of the skeletal remains of an elderly man and several artifacts of the 16th century were confirmed: Fragments of clay, metal and leather goods.

The fragments of the remains, artifacts and ecofacts found in the tomb together with the members of the expedition, were studied in detail both on the spot and in the laboratory of the National Museum of Georgia by highly qualified specialists of the relevant profile who conducted anthropological and palynological studies. The obtained data indicate that the authentic contents of the tomb should belong to the second half of the 16th century. It has also been confirmed that the bone samples buried in tomb belong to the same, male, aged person, who had been buried richly dressed.

Obviously, it was logically unlikely that the pompous tomb set up in a place of honor for the Levan king would contain the remains of other deceased men of nearly the same age buried later during the looting of the tomb or the cleaning and sealing work carried out in the 18th century. Nevertheless, in order to exclude errors completely

and finally identify the remains traced in tomb, handed the samples of the bone fragments to the appropriate laboratory of Adam Mickiewicz University in Poznan (Poland), the partner scientific institution of the National Museum, for dating by the radiocarbon method (carbon-14). As a result of the analysis, it was revealed that the bone remains belong to a person who should have died about 455 years ago, which is the age of Levan king's death (an 8-year difference compared to 1574 is considered to be the best result – by means of the contemporary European scientific method even a 15-year error is a very convincing basis for a conclusion).

Thus, it can be safely concluded that the scientific work we carried out in the Church of the Archangels of Grem, searching for the tomb of King Levan and identifying the remains with this monarch, ended with a positive result. It should also be noted that this is the first case of finding and opening the tombs of monarchs belonging to the Bagration Family after similar works in the Doni Monastery in Moscow in the 70s of the 20th century.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ბაგრატიონი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973.

არაკელ დავრიყცის ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი, შესავალი და კომენტარები დ. კუციასი, თბ., 1974.

ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1961.

ბახტაძე ნ., კლდის ხუროთმოძღვრების გენეზისი და განვითარების გზები საქართველოში. თბ., 2007.

ბახტაძე ნ., სოფელ ენისელის აღდგომის (შიხიანის) ეკლესიის წინასარეაბილიტაციო არქეოლოგიური კვლევის საპროექტო დოკუმენტაცია. თბ., 2022 (ხელნაწერი. ინახება საქართველოს

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში).

ბახტაძე ნ., ქვემო ქართლის ძეგლები, 1, თბ., 1991.

გვერდნითელი რ., წმინდა მარიამის ეკლესია თბილისში (ანჩისხატი). შრომები I. თბ., 2017.

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. 1. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 1962.

გუჩუა ვ., საქართველო XVI ს-ის 50-70-იან წლებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1973.

ზაქარაია პ., ნაქალაქარი გრემის არქიტექტურა. თბ., 1975.

თვალჭრელიძე ზ., წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი, თბ., 2010.

ლაღიაშვილი გ., თინათინ დედოფლის აკლდამა ახალი შუამთის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში, ჟურნ. „ალავერდი“ N2(24), 2019.

მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I. თბ., 1955.

მამიაშვილი ნ., ფაიანსი შუა საუკუნეების საქართველოში, თბ., 1976.

მუსხელიშვილი ლ., ხიდაშელი შ., ჯაფარიძე ვ., გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში, თბ., 1954.

ჭილაშვილი ლ., კახეთის ქალაქები. თბილისი, 1980.

ჭუმბურიძე მ., ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები, 1736-1797 წლები. საქართველოს ეროვნული არქივი, თბ., 2008.

ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, II, თხზულებანი 12 ტომად. თბ., 1983.

ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, თხზულებანი 12 ტომად. თბ., 1973.

Savory R., Iran under the Safavids, Cambridge – London, 1980.

Вейденбаум Е., Путеводитель по Кавказу. Тифлис, 1888.

Давид, Царевич Грузинский, Краткая История Грузии. Со времен первого во оной населения. Спб., 1805.

Иоселиани П., Путевые записки по Кахетии. Тифлис, 1846.

Чубинашвили Г., Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959.

Кикнадзе В., Памятники Древности Телавского уезда Тифлисской губернии. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 7. Тифлис, 1889, стр.43-44;

Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в кахетию, 1640-1643, Документы, изд. И введ. Снабдил М. Полиевктов. Тифлис, 1928.

Платон Иоселиани. Туземные города, существовавшие и существующие в Грузии. Спб., 1844/

Энциклопедический словарь, том IXа. Гравилат – Давенант. Издатели: Ф.А.Брокгауз, И.А.Эфрон. Спб., 1893.

Эсадзе Б., Летопись Грузии, Юбилейный сборник к 300-летию Царствования Дома Романовых Державных Покровителей грузинского народа, Вып. 1. Тифлис 1913.

<https://www.facebook.com/iliachihgladze/posts/pfbid0mc4om-8jryF4JxzTjggkD6B8ku97PJ6gV7qKYcpAWYLMAsUNjknuWK-889mCdEZC5Zl>

ნიკოლოზ მურღულია
დავით ლომიტაშვილი
ბესიკ ლორთქიფანიძე
ნინო ქებულაძე
პოლ ევერილი
იან ქოლვინი
თამარ ნინიაშვილი
დავით ალანია
ნინო ხუციშვილი
ნიკოლოზ დიასამიძე

**2021-2022 წლებში ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური
არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებული
სამუშაოების ანგარიში**

შესავალი

ძეგლის აღწერილობა

სოფ. ნოქალაქევი მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტში, მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე, ქ. სენაკიდან 16 კმ-ზე. ნოქალაქევის (იგივე ციხეგოჯი, არქეოპოლისი) ნაქალაქარი საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპლექსური ძეგლია. 3 კმ-ის სიგრძის გალავნით გარშემორტყმული ნაქალაქარის ტერიტორია 17 ჰა-მდე ფართობს მოიცავს. ქალაქი გაშენებული ყოფილა მდ. ტეხურას მარცხენა სანაპიროზე, უნაგირას მთის ძირში, ფერდობსა და თხემზე. ამ ადგილას ვინრო ხეობიდან გამომავალი მდინარე მოსაბრუნს აკეთებს და ქალაქს სამი მხრიდან – სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრავს. ფაქტიურად სამი მხრიდან ქალაქი ბუნებრივი ზღუდით იყო დაცული. ვაკე ადგილი მხოლოდ აღმოსავლეთიდან საზღვრავს ქალაქს. ამიტომ იგი ყველაზე უკეთ დაცულია (ზაქარაია, 1987: 139). აქ, ქალაქის ამშენებლებს სამი პარალელური გალავანი აუშენებიათ. ციხეგოჯი ეგრისის დედაქალაქი გახდა IV საუკუნიდან.

ქალაქის ფართობი 17 ჰექტარამდე იყო და ის იყოფოდა სამ ნაწილად – ქვედა ქალაქად, ფერდობად და ქალაქის ციტადელად. თითოეული მათგანი გალავნებით იყო შემოზღუდული. ქვედა ქალაქი განკუთვნილი იყო საცხოვრებლად და სავაჭროდ. აქ იყო აგებული ორი სასახლე, ორი აბანო, ოთხი ეკლესია, წყლის რეზერვუარი, მდინარეზე ჩასასვლელი საიდუმლო გვირაბი, რომლის საშუალებითაც ალყის შემთხვევაში ქალაქს წყლით ამარგებდნენ. როგორც უკვე ვთქვით, იმის გამო, რომ მტერს ქალაქზე შეტევა მხოლოდ აღმოსავლეთიდან შეეძლო, აქ ეგრისელებს IV-VI საუკუნეების მანძილზე სამი პარალელური გალავანი აუგიათ. მთის ფერდობი, რომელიც ქალაქის ციტადელთან დამაკავშირებელი იყო, ასევე გალავნით იყო დაცული და იქ კიდევ ერთი ეკლესია იყო აგებული. ციხეგოჯი-არქეოპოლისის საკმაოდ დეტალური აღწერა გადმოცემული აქვს VI საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოპი კესარიელს: „არქეოპოლისი მდებარეობს ერთ მეტად ქუშ სერზე და მას ჩამოუდის მდინარე, რომელიც ქალაქის ზემოთ აღმართული მთებიდან ჩამოდის. ერთი კარი აქვს ქვემოთ, სერის ძირისკენ რომ გადის; ის, მართალია მიუწვდომელი არ არის, მაგრამ მისკენ რომ ადიხარ დაბლობის მხრიდან, ის ადგილი სწორი არ არის. მეორე კარი კი ციცაბო ადგილას გადის და ის ძალიან ძნელი მისასვლელია; რადგან იქაურ მცხოვრებლებს სხვა წყალი არსაიდან არ აქვთ, ქალაქის ამშენებლებს ორი კედელი აუგიათ იქ, სერიდან მდინარემდე, რათა მათ თავისუფლად შეძლებოდათ მდინარის წყლის ამოტანა“ (პროკოპი, 1965: 187-188).

ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად ძვ.წ. III საუკუნეში დღევანდელ სოფ. ნოქალაქევეში ეგრისის ერისთავ ქუჯის დაუარსებია ციხე-ქალაქი ციხე-გოჯი, რომელიც ეგრისის ადმინისტრაციული და პოლიტიკური ცენტრი იყო. წერილობით წყაროებში ნოქალაქევის ისტორიის უფრო ადრეული ეტაპების შესახებ ცნობები დაცული არ არის.

1973 წლიდან ნოქალაქევეში ინტენსიურ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს.

ჯანაშიას საქართველოს მუზეუმის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია. 1983-1986 წლებში ექსპედიციის წევრებმა ნაქალაქარის ქვედა ტერასის აღმოსავლეთ ნაწილში, VII უბანზე, ე.წ. „გალავნებთჰორისში“ მიაკვლიეს ძვ.წ. VIII-VII სს-ის არქეოლოგიურ ფენებს. ამ აღმოჩენამ ნოქალაქევის ისტორია 5 საუკუნით დააძველა. ნაქალაქარის ქვედა ტერასასთან ერთად ექსპედიციამ ნაწილობრივ შეისწავლა ციტადელის უკიდურესი აღმოსავლეთ და დასავლეთ მონაკვეთები. ამასთანავე, 2001 წლიდან დღემდე ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე არქეოლოგიურ კვლევებს აწარმოებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური ექსპედიცია, რომელმაც ამ დრომდე სრულად შეისწავლა 5 უბანი და ამჟამად კიდევ ორ უბანზე აწარმოებს სამუშაოებს.

2021 წელს ნოქალაქარის ციტადელში წარმოებული სამუშაოები

ნოქალაქევის ნაქალაქარის ციტადელი უნაგირას მთის პლატოზეა გაშენებული. გალავანი რელიეფს მიუყვება და უფორმო, გრძელ სამკუთხედს წარმოადგენს (სურ. 1). საკმაოდ კარგად თლილი ქვით ნაგები გალავნის სისქე 1.60 მეტრია. გარედან, განმეზღვრულ კედლის სიმაღლე 4-5 მეტრია. სამხრეთ კედელში ორი ვიწრო კარია გაჭრილი (დიდი ჭიშკარი ციტადელს არ სჭირდებოდა). ერთ-ერთი, დასავლეთ ნაწილში მდებარე კარით, გრძელ და განიერ გალავანში მოხვდებით, ხოლო ამ ტალანის ბოლოს მდებარე კარით – ციტადელის ეზოში. გალავნის დასავლეთით საყარაულო იყო განთავსებული. მასაც ორი კარი ჰქონდა – ტალანიდან და ეზოდან შემავალი. ციტადელის მეორე კარი სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ ნაწილში იყო გაჭრილი. ის თითქმის დანგრეულია და მხოლოდ ოციოდე სანტიმეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. მასზე ამჟამად გადის XX საუკუნის 70-იან წლებში გაჭრილი სამანქანო გზა (ამ დროს ექსპედიცი-

ის ნევრებმა დააფიქსირეს ჭიშკარი, დააყარეს მიწა და გზა გადაატარეს). ამ სამუშაოების დროს, კარის გვერდით ნიშაში აღმოჩნდა იატაკზე ორ რიგად დანყობილი 22 ადგილობრივი ამფორა (ზაქარაია, 1981; ზაქარაია, 1987).

ციტადელის აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებში სიმაგრეები დგას. მათში რამდენიმე სამშენებლო ფენა ჩანს, მაგრამ არც ერთი ჯერჯერობით ბოლომდე გათხრილი და განმედილი არ არის. ამის მიზეზი ისაა, რომ ამ ძეგლებზე სამუშაოების წარმოება გარკვეულ საშიშროებას შეიცავს და მათ გამაგრება-კონსერვაციამდე გათხრების წარმოება შეუძლებელია. ამიტომ დასკვნების გაკეთება ნაადრევია. ჩრდილოეთ-დასავლეთის კუთხეში მდგარი კოშკის ქვედა ფენაში ჩანს თლილი ქვის კვადრებით ნაგები განიერთალებიანი პილონები, რომელთა ფუნქციის შესახებ მსჯელობა გათხრებამდე მხოლოდ ჰიპოტეტიური შეიძლება იყოს. სავარაუდოდ, აქ ციხისთავის რეზიდენცია იყო განთავსებული.

ჩრილოეთით აგებულ გალავანში ერთი მცირე ზომის ნაგებობაა მიდგმული, რომელიც პ. ზაქარაიას აზრით კოშკი უნდა ყოფილიყო. მისი კედლები ორ მეტრამდეა შემორჩენილი. კარი არ ჩანს. ასევე ნაგებობის კედლები საკმაოდ თხელია. მისი მცირე ზომა და კედლების სითხელე, პ. ზაქარაიას ავარაუდებინებს, რომ სათვალთავალო პუნქტი იყო (ზაქარაია, 1987).

ციტადელის სამხრეთის კედელი ყველაზე უფროა გამაგრებული. ეს გასაგებია, რადგან ჩრდილოეთ და დასავლეთ მხარეს ისეთი ციცაბო ფერდობებია, რომ ამ მხარეებიდან არამცთუ შეტევა, ამოსვლაც კი ძნელია. ამავე დროს, მტერს აქედან რომ შეეცია, ქალაქისთვის უნდა შემოეველო, მდინარე ტეხური გადმოეღახა, ამ ციცაბო ფერდობზე ამოსულიყო, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია. ერთადერთი ადგილი საიდანაც ციტადელს მტერი შეიძლებოდა თავს დასხმოდა, სამხრეთის მონაკვეთი იყო. XX საუკუნის 80-იანი წლების არქეოლოგიური კამპანიების დროს, სამხრეთის გალავნის აღმოსავლეთ მონაკვეთში, ეზოს მხრიდან გამოვლინდა პერპენდიკულარულად მიშენებული

შვერილები. ამ შვერილებს სავარაუდოდ ორი ფუნქცია ჰქონდა – სამხრეთის გალავნის გამაგრება და მათზე საბრძოლო ბილიკისთვის ხის ფიცარნაგის გადება (ზაქარაია, კაპანაძე, 1991: 66-67; ლორთქიფანიძე, 1993: 186-187). ჩვენი კამპანიის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ის იყო, გაგვერკვია ეს შვერილები სამხრეთის გალავნის დასავლეთ ნაწილშიც გრძელდებოდა თუ არა! აქ უნდა დავამატოთ, რომ ციტადელის რელიეფი სამხრეთისკენაა დაქანებული და მასობრივი არქეოლოგიური მონაპოვარი ძირითადად სამხრეთის კედელთანაა მისილული. 80-იანი წლების გათხრების შედეგებმა გვიჩვენა, რომ ეზოს მხრიდან, სამხრეთის გალავანთან კულტურული ფენა 1,5-2 მეტრამდე აღწევს. ამიტომ, 2021 წელს დაწყებული გათხრები, ზემოთ აღნიშნული მიზნის გარდა, ამ ფენის კონტექსტების ზუსტად განსაზღვრას ემსახურებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ციტადელის კედლებში რამდენიმე სამშენებლო ფენა ჩანს, მისი ძირითადი ნაწილი IV-V საუკუნეებში უნდა აგებულიყო, ხოლო საბოლოოდ VI საუკუნეში ქალაქის ძირითადი ნაწილის და ციტადელის გამაგრების სისტემა ფერდობზე აგებული კვადროვანი გალავნით შეიკრა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამავე დროს უნდა აგებულიყო დასავლეთის კუთხეში გამოვლენილი კოშკი-სათავსის ნაწილი და ციტადელის ცენტრში მდგარი „ჯეგე-მისარონის“ დარბაზული ეკლესია (ზაქარაია და კაპანაძე, 1991).

ციტადელის ეზოში და აღმოსავლეთის კოშკში გამოვლენილი მასობრივი არქეოლოგიური მასალა ძირითადად IV-VII საუკუნეებით თარიღდება. თუმცა გვხვდება როგორც უფრო ადრეული, ელინისტური ხანით დათარიღებული ჭურჭლის ცალკეული ეგზემპლარები (ზაქარაია, 1993), ასევე გვიანდელი, VII-XI საუკუნეებით დათარიღებული კერამიკის ნიმუშები, რაც იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ ქალაქის ციტადელის ფუნქციონირება, ამ პერიოდშიც გრძელდებოდა (Леквинадзе, Хведелидзе, 1981; ლექვინაძე, 1987).

არქეოლოგიური გათხრების მეთოდика

არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა დასავლეთ ევროპაში არსებული სტანდარტებისა და მეთოდის დაცვით. კერძოდ, ბრიტანეთში აპრობირებული მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული მეთოდика გულისხმობს გამოვლენილი არქეოლოგიური ფენებისა და არტეფაქტების ცალკეული კონტექსტების პრინციპით რეგისტრაციას და სტრატეგრაფიული თარგის შემუშავებას. ასევე, გათხრების პროცესის აღსაწესად გამოვიყენეთ სავსე სარეგისტრაციო ბლანკები და დღიურები. მუშაობა წარმოებდა პრეპარაციის პრინციპით, მცირე ზომის წერაქვების, ქაფჩებისა და ფუნჯების გამოყენებით. თითოეული ფენისა და მნიშვნელოვანი არტეფაქტის მდებარეობა განისაზღვრება თხრილებში არსებული კვადრატული ბადით. სიმალეები დგინდება ნიველირის გამოყენებით.

არქეოლოგიური სამუშაოები (გათხრების მეთოდика, გამოვლენილი მასალის შეფუთვა-დაბინავება, ტრანსპორტირება, კამერალური დამუშავება, ფონდებში განთავსება) სრულ შესაბამისობაშია, როგორც ადგილობრივ (კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“), ასევე საერთაშორისო ნორმებთან და კანონმდებლობასთან.

სამუშაოების აღწერილობა

საანგარიშო სეზონზე, წინასწარ შემუშავებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით არქეოლოგიური სამუშაოები წარიმართა ციტადელის სამხრეთ გალავნის შიდა პერიმეტრზე, კედლიდან 0.5 მ-ში (გალავნის სავალალო მდგომარეობის გამო ვერ გავრისკეთ თხრილების პირდაპირ კედლის კიდეებთან გაჭრა) (სურ 2). ასევე, ერთი თხრილი (№6) გაიჭრა ციტადელის სამხრეთით 30 მეტრში. საავტომობილო გზის ბოლო მოსახვევთან.

ექსპედიციამ სავსე სამუშაოები 20 ივლისს დაიწყო, თუმცა პირველი დღეები შესასწავლი ტერიტორიის მცენარეული საფარისგან განმეინდას დაეთმო, რამაც საკმაოდ დიდი დრო და ენერგია წაიღო. ციტადელის სამხრეთი გალავნის შიდა პერიმე-

ტრის დაახლოებით 160 მეტრიანი მონაკვეთის განმენდის შემდეგ შეირჩა და მოინიშნა 5 ლოკაცია, სადაც შემდგომ დღეებში 5 თხრილი გავავლეთ. როგორც უკვე აღინიშნა, კიდევ ერთი თხრილი ციტადელის სამხრეთით გაიჭრა (№6). ყველა თხრილი 3მ. X 3 მ. ზომისაა.

თხრილი №1 გაიჭრა ციტადელის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მისარონის ეკლესიიდან სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით 160 მეტრში, გალავნიდან 0.5 სმ-ს დაშორებით (GPS კოორდინატები: X269169.812/Y4693651.084. სიმაღლე ზღვის დონიდან: 269,5 მ.).

თავდაპირველად, დავინწყეთ ჰუმუსის მოხსნა, რომელიც შეიცავდა დიდი რაოდენობით კერამიკულ მასალას. მასში, გამოირჩევა სამეურნეო, სუფრისა და სამშენებლო კერამიკის ნიმუშები. ასევე, ვხვდებით იმპორტული ჭურჭლის ნიმუშებსაც. ჰუმუსის (100) მოხსნის შემდეგ გამოვლენილი (101)-ე ფენა შეიცავდა შავი ფერის თიხიან სილას, რომელშიც მრავლად გვხვდებოდა საშუალო და პატარა ზომის კირქვები. თხრილში ისინი შეიძლება გალავნის გადმონგრევით მოხვდა, ან ბორცვიდან დაცურების შედეგად. მსგავსად ჰუმუსისა 101-ე ფენა შეიცავდა დიდი რაოდენობით ადრეული შუასაუკუნეების კერამიკას (სურ. 3), თუმცა მასში შესამჩნევად ჭარბობდა სამზარეულოსა და სუფრის ჭურჭლის კერამიკული ფრაგმენტები. ყურის, ძირისა და გვერდის ნატეხები მასში თითქმის არ გვხვდება. რაც შეეხება სამშენებლო კერამიკას, ჭარბობდა ნითლად გამომწვარი კერამიკული ფილის ნამტვრევები, რომლებიც შეიცავდა კაჟისა და კვარცის მინარევებს. ცალკე გამოსარჩევია კერამიკული ჭურჭლის ძირის ერთი ფრაგმენტი, რომელიც იმპორტული ნაწარმი უნდა იყოს. ძირის შემორჩენილ ფრაგმენტზე აშკარად იკითხება სხივებიანი დისკოს (მზის?) რელიეფური გამოსახულება.

თხრილის დაღრმავების შემდეგ გამოვლინდა კირქვის ქვებით მოფენილი ფენა (102). ქვების ზომები მერყეობდა 5X10, 10X10, 20X30 და 40X90 სმ-ს (ერთი ცალი) შორის. შესაძლოა,

ეს ფენა გალავანის გადმონგრევის შედეგად იყოს წარმოქმნილი. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ქვები უხეშადაა გათლილი და შეიცავდა კირის დუღაბის მცირე ჩანართებს.

ვინაიდან, კირქვებიანი ფენის ალება წარმოადგენდა დიდ სირთულეს, გადავწყვიტეთ, რომ N1 თხრილი გაგვეყო ორ ნაწილად 1.5X1.5 მეტრზე, აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად და დავღრმავებულიყავით მხოლოდ თხრილის აღმოსავლეთ მონაკვეთში.

კირქვების ალების შემდეგ მალევე გამოჩნდა ახალი, შავი ფერის ფენა (103), რომელიც მხოლოდ 10-15 სანტიმეტრის სისქის იყო. მცირე რაოდენობით შეიცავდა ნახშირის ჩანართებსაც. ფენაში აღმოჩნდა მხოლოდ ორი ტიპის სამეურნეო და სუფრის ჭურჭლის ფრაგმენტები. გამოვლინდა ცხოველის ძვლის რამდენიმე ნატეხი.

თხრილის აღმოსავლეთ ნახევრის დაღრმავების შემდეგ გამოიკვეთა კიდევ ერთი ფენა (104), რომელიც სრულიად განსხვავდებოდა წინა ფენისაგან, ის შეიცავდა მოყვითალო-მოყავისფრო თიხიან სილას. მასში თითქმის არ გვხვდება კერამიკული მასალა. აქ აღმოჩნდა სულ რამდენიმე ძლიერად დაზიანებული სამეურნეო ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ხუთი ნატეხი), თუმცა დიდი რაოდენობით იყო კლდის ფლეთილი და კირქვის საშუალო და დიდი ზომის ქვები. ერთი შეხედვით, არ არის გამორიცხული, რომ მისი სიმკვრივის გამო წარმოადგენდეს გარდამავალ ფენას კულტურულ და სტერილურ ფენებს შორის ან ბორცვიდან ჩამოშლილი იყოს.

თხრილი №2 გაიჭრა ციტადელის სამხრეთ გალავანის შიდა მხარეს, იმ ადგილას, სადაც ციტადელის სამხრეთ-დასავლეთ ჭიშკრიდან აღმოსავლეთით წამოსული გალავანი 100 მეტრის გავლის შემდეგ უხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით (GPS კოორდინატები: X269196.014/Y4693653.925. სიმაღლე ზღვის დონიდან: 268,7 მ.).

ციტადელზე გაჭრილი სხვა თხრილების მსგავსად, აქაც

ჭუმუსი წარმოადგენდა შავი ფერის სილიან მიწას, რომელიც მცენარეული ფესვების გამო საკმაოდ რთულად ითხრებოდა. იგი შეიცავდა დიდი რაოდენობით სამეურნეო და სუფრის კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებს, რომლებშიც ჭარბობდა სამზარეულო ჭურჭლის ნატეხები. საგულისხმოა ის, რომ სამშენებლო კერამიკიდან აღმოჩნდა მხოლოდ ორი ფილის ნატეხი.

კერამიკული მასალა ძირითადად განეკუთვნება ადრეშუა საუკუნეებს, მათში ვხვდებით როგორც ადგილობრივ (სურ. 4), ასევე იმპორტულ ნაწარმს. მსგავსი მასალა გვხვდება ასევე 101-ე ფენაშიც, რომელიც შავი ფერის თიხიანი სილაა. ის შეიცავს დიდი რაოდენობით კირქვის კენჭებს. აქაც ჭარბობს სუფრის კერამიკული ჭურჭლის ნამტვრევები, თუმცა ძირითადად ვხვდებით გვერდის ფრაგმენტებს.

101-ე ფენის ალების შემდეგ თხრილში გამოვლინდა კირქვისა და ფლეთილი ქვებისგან შემდგარი ფენა (102), რომელიც წარმოადგენს ფერდიდან დაცურებული ქვისა და თიხიანი სილის მძლავრ ნაერთს. ფენა თითქმის სტერილურია, ითხრებოდა ძალიან რთულად, მასში შემავალი ქვის ზომები მერყეობდა 5სმ-დან 80 სმ-მდე. გამოვლენილი მასალის სიმწირის მიუხედავად, შეგვიძლია გამოვყოთ ერთი საინტერესო კერამიკული ჭურჭლის ნატეხი, რომელიც სავარაუდოდ წარმოადგენს ქვაბის პირგვერდის ფრაგმენტს, რომელიც საკმაოდ უხეშადაა ნაძერწი, გამომწვარია მონითალო-აგურისფრად, ოვალურგანივკვეთიანი ყურით, კეცში დიდი რაოდენობით კვარცის მინარევებით.

რადგან 102-ე კონტექსტი სავარაუდოდ, დაცურებული ქვების ფენას წარმოადგენს, გადავწყვიტეთ საცდელი შურფის გაკეთება. თხრილი გავყავით სამ ნაწილად და დავინყეთ მისი დასავლეთ ნაწილის დაღრმავება (3X1 მ.). 102-ე ფენის ალების შემდგომ თხრილში გამოჩნდა, სავარაუდოდ, გალავნის გადმონგრევის შედეგად წარმოქმნილი ფენა (103), სადაც გამოვლინდა მცირე რაოდენობის სამეურნეო დანიშნულების კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები.

N1 თხრილში დაფიქსირებული 104-ე ფენა იდენტიურია N2

თხრილში აღმოჩენილი 104 ფენისა. ესაა, მოყვითალო-მოყავისფრო თიხიანი სილა. მასში თითქმის არ გვხვდება კერამიკული მასალა.

თხრილი №3 გაიჭრა ტაძრიდან სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში, გალავნის ორსარკმლიან კედელთან (GPS კოორდინატები: X269267.343/Y4693697.791. სიმაღლე ზღვის დონიდან: 267,2 მ.). პირველადი, 0,2-0.25 მეტრ სიმაღლის ფენის (100) მოხსნისას გასული საუკუნის საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად (შიფერის ნატეხები, მინის ბოთლები, რკინის ნივთების ფრაგმენტები, მრგვალგანივკვეთიანი ლურსმნები და ა.შ) გამოვლინდა შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ნაგორავები და დეფორმირებული კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები. ფენების დადაბლებისას მასალის მხრივ სურათი დიდად არ შეცვლილა, თხრილზე ავიღეთ სულ სამი შრე, პირველადი ფენები წარმოადგენდა ორგანული ნაერთებით გაჯერებულ შავმიწა ნიადაგს. ჰუმუსის მოხსნის შემდეგ (101)-ე ფენაში მასალა თითქმის არ შეცვლილა, ამოვიდა სრულად დეფორმირებული, მსხვილმინარეგებიანი კეცის კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები. აღსანიშნავია, რომ კერამიკა იმდენად იყო დეფორმირებული, რომ მათი ფორმების სრული იდენტიფიცირება თითქმის შეუძლებელი იყო, თუმცა კერამიკის ფრაგმენტირებული ნატეხების კეცის სისქით უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი დიდი ნაწილი სამეურნეო ჭურჭლის ტიპებს მიეკუთვნება.

თხრილის ჩრდილოეთ მონაკვეთში გამოვლინდა მოზრდილი კირქვების შემცველი 0.7 მ სისქის მძლავრი ფენა (102), რომელიც ვრცელდება თხრილის მთელ ჩრდილო ნახევარზე.

ბოლო ფენა, რომელიც მიმდინარე სეზონზე გამოვლინდა, თუმცა ბოლომდე მისი შესწავლა ვერ მოესწრო, წარმოადგენს კირქვის წვრილი კენჭებისა და კერამიკის ფრაგმენტების შემცველ ფენას (103). ხსენებულ ფენაში კერამიკული მასალა ძალიან მცირე რაოდენობით გამოვლინდა, თუმცა მისი ბოლომდე დაღრმავება საანგარიშო სეზონზე ვერ მოესწრო.

თხრილი №4 გაიჭრა №3 თხრილის აღმოსავლეთით 14 მეტრში, (GPS კოორდინატები X269280.31/Y4693706.951. სიმაღლე ზღვის დონიდან: 267,5 მ.). თხრილის გაჭრის მიზანს, დანარჩენი 4 საცდელი თხრილის მსგავსად, წარმოადგენდა ციტადელის სამხრეთი გალავნის მონაკვეთზე კულტურული ფენების გავრცელების დადგენა და სტრატეგრაფიული თარგის დაფიქსირება.

კორდოვანი ფენის მოხსნისას XX საუკუნის ნარჩენებთან ერთად გამოვლინდა შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები (სურ. 5). ჰუმუსის სისქე 0.2 სმ-დან 0.30 სმ-მდე მერყეობს, რომლის ალების შემდეგ გამოვლენილ ფენაში, რომელიც ჰუმუსის მსგავს, ორგანული ნაერთებით გაჯერებულ ნიადაგს წარმოადგენდა, ასევე აღმოჩნდა შუა საუკუნეების პერიოდის, უსახური კერამიკა. 0.4 მ. სიღრმეზე დაღრმავების შემდეგ დავედით კირქვის კენჭების შემცველ (102) ფენაზე, რომელიც № 4 თხრილის მთელს არეალზე ვრცელდებოდა. ფენა შეიცავდა ადრეშუა საუკუნეების პერიოდის მასალას, კარგად განლექილი კეციტა და დახვეწილი ფორმებით. ამავე ფენაში ამოვიდა ელინისტური ხანის კერამიკის ფრაგმენტები.

სწორედ ამ ფენის დასავლეთ მონაკვეთში გამოვლინდა წრიული ფორმის, კირქვის დისკოსებრი გახვრეტილი ნივთი, რომელიც კვირისტავისთვის და/ან ბადის საძირისთვის ზედმეტად დიდია (დიამეტრი – 9 სმ). შესაძლოა ეს წრიული ფორმის ნივთი მზის სიმბოლო იყოს, რომელიც ეთნოლოგიურ სინამდვილეშია დადასტურებული და მესაქონლეობაში გავრცელებულ საკრალურ რიტუალს უნდა უკავშირდებოდეს (სურ. 6).

სეზონის ბოლოს სრულად ავიღეთ ფენა, რომელშიც ადრე-შუა საუკუნეების პერიოდის კერამიკა გამოვლინდა და დავედით დიდი კირქვების შემცველ ფენაზე, რომლის შესწავლაც მიმდინარე წელს ვერ მოესწრო.

თხრილი №5 გაიჭრა ციტადელის სამხრეთ გალავნის შიდა მხრიდან, უფრო ზუსტად კი ჯეგე მისარონის ეკლესიის სამხრეთით (GPS კოორდინატები: X269293.587/Y4693716.791. სიმაღლე ზღვის დონიდან: 267,5 მ.).

თხრილის არქეოლოგიური შესწავლისას გამოვლინდა 5 ფენა. ჰუმუსის (100) მოხსნის შემდეგ დავაფიქსირეთ ნახშირის ჩანართებიანი კულტურული ფენა (101), რომელიც შეიცავდა საშუალო რაოდენობის კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებს და ერთი მინის ჭურჭლის ნატეხს. თხრილის სამხრეთ ნახევარში თავდაპირველად გამოვლინდა წვრილი და საშუალო ზომის კირქვებიანი ფენა (103), ხოლო ამ ფენის მოხსნის შემდგომ დიდი და საშუალო ზომის კირქვების ნაყარი ფენა (104), რომელიც ვრცელდებოდა 1.80X0.86 მ-ზე. თავდაპირველად გვეგონა, რომ ფენა წარმოქმნილი იყო ბორცვიდან დაცურებისა და კედელთან შეჩერების შედეგად, რადგანაც არ ჩანდა კირის დულაბის ნაშთები, მაგრამ ფენის დაღრმავებისას გამოვლინდა ცალკეული კირის მცირე ფრაგმენტები, ამიტომ ფენა შესაძლოა მივაკუთვნოთ კედლიდან გადმოშლილ ქვებს. ამ ფენის აღების შემდგომ მთლიან თხრილზე დაფიქსირდა ერთნაირი სურათი – მონაცრისფრო-მოშავო ფერის დიდი და საშუალო ზომის კირქვებიანი ფენა, რომელიც შეიცავდა საშუალო რაოდენობის კერამიკულ მასალას.

ზოგადად თხრილზე არ გამოვლენილა განსხვავებული შემადგენლობისა და შეფერილობის ფენები, მათი ფერი მონაცრისფრო-შავი იყო და შედგებოდა დიდი და საშუალო ზომის კირქვებისა და რიყის ქვებისაგან, რომელიც იწყებოდა სამხრეთ მონაკვეთიდან და დაღრმავების შემდეგ ვრცელდებოდა ჩრდილოეთისკენ.

უნდა აღინიშნოს, ის რომ ფენებში პრაქტიკულად არ გამოვლენილა ცხოველის ძვლები, სულ რაღაც 3 ერთეული.

რაც შეეხება კერამიკულ მასალას. ჭურჭლის ფრაგმენტების უმრავლესობა წარმოადგენდა სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელს, რომელთა კეცის სისქე მერყეობდა 1-1.5 სმ-ს შორის,

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ (100) და (102)-ე ფენიდან ამოვიდა შედარებით მეტი (50-მდე) რაოდენობის სამშენებლო კერამიკის ფრაგმენტები – კერძოდ, კრამიტები და ფილები. ეს ნიმუშები ძირითადად გამომწვარი იყო ღია მონითალო-ლეგა ფრად. სამეურნეო ჭურჭელს კი კარგად განლექილი კეცი ჰქონდა და გამომწვარიც ერთფრად იყო, სამშენებლო კერამიკისგან განსხვავებით. რაც შეეხება იმპორტულ მასალას, ის დიდი რაოდენობით არ გამოვლენილა, მაგრამ ნაპოვნი ერთეულების მიხედვით ისინი ამფორის ფრაგმენტებს უნდა წარმოადგენდნენ. ასეთი ტიპის კერამიკული ნიმუშები მიეკუთვნება ადრეულ შუა საუკუნეებს, უფრო ზუსტად კი, ახ.წ. IV – VI საუკუნეებს (სურ. 7-8).

თხრილი №6 მდებარეობს ციტადელის სამხრეთ გალავნის ცენტრალური მონაკვეთიდან სამხრეთით 30 მეტრში, მისკენ მიმავალი საავტომობილო გზის ბოლო მოსახვევთან. (GPS კოორდინატები: X269321705/Y4693690.446. სიმაღლე ზღვის დონიდან: 250 მ.).

თხრილის გაჭრის ერთ-ერთი მიზანი 1966 წელს დასავლეთ საქართველოს სადაზვერვო არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგების გადამოწმება იყო, რომლის დროსაც აღნიშნული ტერიტორიის სიახლოვეს ქვევრსამარხი იქნა შესწავლილი. ასევე, გასული საუკუნის 80-იან წლებში ექსპედიციის წევრებმა თხრილიდან 10 მეტრის მოშორებით ჭრილში კიდევ ერთ ქვევრსამარხს მიაკვლიეს. შესაბამისად, თხრილში ელინისტური ხანის მასალის გამოვლენა მოსალოდნელი იყო.

თხრილის კონტურების მონიშვნის შემდეგ დავინყეთ ჰუმუსის (100) მოხსნა. აღსანიშნავია, რომ ჰუმუსი შეიცავდა დიდი ზომის კირქვებს, რომელიც სავარაუდოდ თხრილის ჩრდილოეთით მდებარე ფერდიდან უნდა იყოს დაგორებული. ჰუმუსის სისქე მერყეობდა 7 სმ-დან 10 სმ-მდე. მისი ალების შემდეგ, თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ელინისტური პერიოდით დათარიღებული კერამიკული მასალის შემცველი ფენა

(101), რომელიც დაღრმავებასთან ერთად დასავლეთით გაგრძელდა ერთ მეტრ ფართობზე თხრილის ცენტრალურ ნაწილამდე. ამკარაა, რომ თხრილში დაფიქსირებული ელინისტური ხანის ფენა ჩრდილოეთით მდებარე ფერდიდან უნდა იყოს დაცურებული. ამის თქმის საფუძველს გასულ საუკუნეში თხრილის ჩრდილოეთით აღმოჩენილი ელინისტური სამარხები და თავად თხრილში ფენის ფრაგმენტულობა გვაძლევს.

თხრილის დაღრმავებისას, მის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ადრეული შუა საუკუნეებით დათარიღებული კერამიკული მასალის შემცველი ფენა (102), სადაც, ასევე, აღმოჩნდა ორი რკინის ისრისპირი, რომელიც ნოქალაქევის ნაქალაქარის ქალაქობის პერიოდს (IV-VII სს) უნდა განეკუთვნებოდეს. რადგანაც თხრილი ციტადელის გალავნებს გარეთ მდებარეობს, შესაძლოა აღნიშნული ისრები თავდაცვის მიზნით სწორედ ციტადელიდან იყოს ნასროლი.

№6 თხრილში გამოვლენილი კერამიკული მასალის დიდი ნაწილი სუფრის ჭურჭლის ფრაგმენტებს წარმოადგენს, ხოლო მცირე ნაწილი – სამეურნეო კერამიკაა (სურ.9), სამეურნეო და სუფრის ჭურჭლის მსგავსი თანაფარდობა ადრეშუა საუკუნეების ნაქალაქარის ციტადელის სიახლოვეს ერთი შეხედვით გასაკვირია. რადგანაც, როგორც ცნობილია, ციტადელზე მცხოვრები გარნიზონი უმეტესად დიდი ზომის სამეურნეო კერამიკულ ჭურჭელს მოიხმარდა, ხოლო სუფრის ჭურჭელი უმეტესად ხისგანაა დამზადებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ციხის ციტადელზე დიდი რაოდენობით სამეურნეო დანიშნულების კერამიკული ჭურჭლის აღმოჩენა მრავლადაა დადასტურებული სხვადასხვა, იგივე პერიოდით დათარიღებულ ძეგლებზე. გამომდინარე იქიდან, რომ ნოქალაქევი ეგრისის სამეფოს დედაქალაქი იყო, ასევე ბიზანტიური გავლენაც ყველაზე მეტად ნოქალაქევეში ვრცელდებოდა, ნაქალაქარზე მრავალფეროვანი კერამიკული ჭურჭლის გამოყენება ხდებოდა. ამასთანავე, ციტადელის დასავლეთ და აღმოსავლეთ კოშკების კომპლექსურობა, ამკარად მიუთითებს იქ სამხედრო ელიტის ცხოვრებაზე.

შესაბამისად, დიდი რაოდენობის სუფრის ჭურჭლის აღმოჩენა გასაკვირი არ უნდა იყოს. ცალკე უნდა აღინიშნოს თხრილში გამოვლენილი ორი ცალი რკინის ისრისპირი. რა თქმა უნდა ისრისპირების აღმოჩენაც ლოგიკურია ციტადელის სამხრეთ გალავნის სიახლოვეს (სურ. 10).

სეზონის დასასრულს ექვსივე თხრილი დროებით დაკონსერვდა პოლიეთილენისა საფარითა და მიწის თხელი ფენით.

2022 წელს ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე წარმოებული სამუშაოები

2022 წელს ექსპედიციამ სამუშაოები აწარმოა ნაქალაქარის ქვედა ტერასის ორ უბანზე – F და G თხრილებზე. სამუშაოებში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი, ბრიტანელი, კანადელი და ნორვეგიელი სტუდენტები და მოხალისეები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ივლისის თვეში დაფიქსირებული ძლიერი ნალექების გამო, წინასწარ დაგეგმილი 4 კვირიდან, ველზე მუშაობა მოხერხდა მხოლოდ 2 კვირის მანძილზე. დანარჩენი პერიოდი ძლიერი წვიმისა და წვიმის შედეგად დარბილებული მიწის გამო თხრილებზე ფენების ატალახების თავიდან ასაცილებლად, არ გვიმუშავია. აღნიშნული პერიოდი მასალის გარეცხვას, კამერალურ დამუშავებასა და ფოტოგრაფირებას დაეთმო.

F თხრილზე შესრულებული სამუშაოების ანგარიში

F თხრილი გაიჭრა 2016 წელს, ორმოცმონამეთას სახელობის ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით 40 მეტრში. თხრილის გაჭრის მიზანს წარმოადგენდა 2005 წელს B თხრილის ჩრდილოეთ კიდეში განმედილი ელინისტური პერიოდის მშრალი ქვის წყობის სრულად გამოვლენა.

2017-2018 წლებში ეტაპობრივად გაფართოვდა თხრილი ჩრდილოეთის მიმართულებით ორ-ორი მეტრით. 2019 წელს F

თხრილი გაფართოვდა, როგორც ჩრდილოეთის, ასევე დასავლეთის მიმართულებით 2.5-2.5 მეტრით. საბოლოო ჯამში მივიღეთ 15X15მ ფართობის სამუშაო არეალი. გაფართოებული მონაკვეთის დადაბლებისას თანამედროვე სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად ამოვიდა ჩრდილოეთ ფერდობიდან ჩამორეცხილი სხვადასხვა პერიოდის კერამიკული ჭურჭლისა და სამშენებლო კერამიკის უამრავი ფრაგმენტი (მურლულია და სხვები, 2018; მურლულია და სხვები, 2019; მურლულია და სხვები, 2020).

F თხრილის გამოვლენილმა ნივთებმა დაადასტურა, რომ წინა წლებში B თხრილის ჩრდილოეთ კიდეში გამოვლენილი მშრალი ნივთის ქვის რიგები დიდ ფართობზე ვრცელდება და ერთგვარ „კომპლექსს“ ქმნის, რომელზეც ნაგებობების სამი ჰორიზონტი გამოიყოფა და კერამიკული მასალის მიხედვით მშენებლობის, სულ მცირე, ორი ეტაპი დასტურდება – ადრეანტიკური და ელინისტური, ძვ.წ. VI საუკუნიდან ძვ.წ. II საუკუნემდე.

2022 წელს F თხრილზე არქეოლოგიური სამუშაოები განახლდა 8 ივლისს. წინა დღეები თხრილზე და მის გარშემო ამოსული მცენარეული საფარის განმენდას დაეთმო. თხრილის მცენარეული საფარის გასუფთავების შემდგომ ავიღეთ პოლიეთილენის საფარი და თხრილზე გადავწმინდეთ ნაყარი მიწა (სურ. 5). თხრილზე არქეოლოგიური სამუშაოები ძირითადად, ჩრდილოეთ ნახევრის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში მიმდინარეობდა. ასევე, გაითხარა თხრილის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე. ამ მცირე მონაკვეთში (151) ამოდიოდა დიდი რაოდენობით კერამიკული ჭურჭელი, როგორც სამზარეულო, ასევე სამეურნეო ეს მასალა ქრონოლოგიურად, ძირითადად, ადრეანტიკური და ელინისტური ხანის მიჯნას განეკუთვნება.

რაც შეეხება თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილში ჩატარებულ სამუშაოებს. ცენტრალურ ნაწილში ამოდიოდა დიდი რაოდენობით კერამიკული ჭურჭელი, (131) ფენა შეიცავდა წვრილ კირქვებს, ნახშირისა და ბათქაშის ჩანარ-

თებს. სავარაუდოდ, ფენა წარმოადგენდა ელინისტური ხანის ნაგებობის ინტერიერს, რადგანაც ამ მონაკვეთიდან დიდი რაოდენობის კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები ამოდიოდა. ამ მონაკვეთშივე დაფიქსირდა დიდი რაოდენობის ნახშირის შემცველი ფენა (152), რომელიც სამხრეთით და აღმოსავლეთით გრძელდებოდა, ფენის სრულად განმენდა საანგარიშო სეზონზე ველარ მოხერხდა.

(131)-ე ფენის ალების შემდგომ თხრილის ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირდა სამი სხვადასხვა ზომის წრიული ორმო ზომებით: 0.48X0.46 სმ. 0.39X0.34 სმ. 0.55X0.50 სმ. მათი ამოსუფთავების შემდგომ მოხერხდა ორმოების ფორმებისა და სიღრმის დადგენა. სავარაუდოდ ისინი ბოძების ჩასასმელი ორმოები იყო. საფიქრებელია, რომ აღნიშნულ ორმოებში ჩასმული ბოძები ნახევრად ღია კონსტრუქციის ნაწილი იყო.

თხრილის აღმოსავლეთ გაგრძელებაზე 2019 წელს გამოვლინდა ბათქაშის ფენა (141), რომელიც სავარაუდოდ, ნაგებობის კედლის შელესილობის დიდ ფრაგმენტს წარმოადგენს. მის აღმოსავლეთ კიდეზე აღმოჩნდა დამწვარი ბათქაშებისგან შედგენილი ფენა (149), რომელიც, სავარაუდოდ, ამავე ნაგებობის აღმოსავლეთით გადაქცეული კედლის ფრაგმენტი უნდა იყოს. თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (144)-ე ფენის ალების შემდგომ გამოვლინდა სამი სხვადასხვა ტიპის ფენა (150, 160, 161), რომლებიც ერთმანეთისგან მასალის შემცველობის მიხედვით განსხვავდებიან. (161)-ე ფენა შეიცავდა წვრილ კირქვებს და თითქმის არ შეიცავდა კერამიკულ მასალას, აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ეს ფენა შეიძლება ნახევრადსტერილურიც იყოს.

სეზონის ბოლოს მოხდა თხრილის სრული ფოტოფიქსაცია, რის საფუძვლზეც აენყო ორთოფოტო (სურ. 11) და თხრილის სამგანზომილებიანი მოდელი. სამუშაოების დასრულების შემდეგ თხრილი დაიფარა პოლიეთილენის გაუმჭვირვალე საფარითა და მიწის თხელი ფენით.

რაც შეეხება თხრილიდან მომდინარე კერამიკული მასალის

ანალიზს: გამოიყოფა სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი (სურ. 15-19).

სამეურნეოში გამოიყოფა როგორც დერგი ასევე, ქვევრი და ამფორა. დიდი რაოდენობითაა დერგები. ასევე გამოიყოფა რამდენიმე ფრაგმენტი, რომელიც კედლის სისქის მიხედვით (1.4-1.5 სმ) შესაძლოა დერგსაც მივაკუთვნოთ და ქვევრსაც. დერგებიდან გვხვდება, როგორც თხელკედლიანი და სქელკედლიანი, ასევე მალაყელიანი და დაბალყელიანი, ე.წ. გარეთ და შიდა მხარეს გადმოკეცილ ბაკოიანი ცალები, რომლებზეც იშვიათად მაგრამ მაინც დატანილია ტალღოვანი ორნამენტი (სურ. 14). სქელკედლა დერგების ცალებიდან აღსანიშნავია შავად გამომწვარი ე.წ. ცრუკანელურიანი დერგის კორპუსის ფრაგმენტები, ხოლო თხელკედლიანიდან შეთხელებული თიხით ამოყვანილი ცრუკანელურები, რომლებიც სხვადასხვა ფერისაა. რაც შეეხება ამფორებს ისინი მცირე რაოდენობით გვხვდება, მაგრამ გვხვდება როგორც იმპორტული, ასევე ადგილობრივი ნაწარმი. სამზარეულო კერამიკა – ქოთნების სახითაა წარმოდგენილი. ისინი ტიპური ფორმისა და ფერისაა, მათი პირის დმ. საშუალოდ 8-12 სმ. შორის მერყეობს.

სუფრის ჭურჭლის ფრაგმენტები მცირე რაოდენობით გვხვდება, მაგრამ მაინც შეიძლება ბრტყელძირიანი და ქუსლიანი ჯამის ორი ფრაგმენტის გამოყოფა. ორივე ცალი პირმოყრილია, ასევე დავაფიქსირეთ ერთი ცალი წითლად გამომწვარი, ქუსლიანი სასმისი და იმპორტული, შავლაკიანი სასმისის ძირგვერდის ფრაგმენტი (სურ. 16). რაც შეეხება დოქებს, ისინი ძალიან ფრაგმენტული სახითაა წარმოდგენილი და მათი ტიპების გამოყოფა რთულია, მაგრამ აღმოჩენილი კორპუსის ფრაგმენტებისა და ყურების მიხედვით იმის თქმა ნამდვილად შეგვიძლია რომ დოქებია.

G თხრილზე შესრულებული სამუშაოების ანგარიში

G თხრილი გაიჭრა 2017 წლის არქეოლოგიური სეზონზე, ნაქალაქარის ქვედა ტერასის აღმოსავლეთ ნაწილში არსებულ

IV საუკუნის გალავნის კიბესთან. 2017 წელს თბრილში აღმოჩენილი ფენები წარმოადგენდა XX საუკუნის მეორე ნახევარში წარმოქმნილ სამშენებლო ნარჩენების ნაყარს, რომელიც ამავე საუკუნეში ნაქალაქარზე ჩატარებულ სარესტავრაციო სამუშაოებთან იყო დაკავშირებული. 2017 წელს თბრილის კონსერვაციისას მისი ზომები 10 მ X 10 მ-ზე იყო (მურღულია და სხვები, 2018).

2018 წლის სეზონის დასაწყისში აღმოსავლეთ ქრილის ჩამოშლის საფრთხის გამო, მოხდა აღმოსავლეთიდან თბრილის ზომის ერთი მეტრით შემცირება. 2018 წელს ჩატარებული სამუშაოების პირველ ეტაპზე, თბრილში გაგრძელდა XX საუკუნეში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების განმენდა. სეზონის მეორე ნახევარში თბრილის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა მოზარდის სამარხი, რომლის თარიღიც, რადიოკარბონული დათარიღების შედეგად VII საუკუნით განისაზღვრა (მურღულია და სხვები, 2019).

2019 წლის არქეოლოგიურ სეზონზე გაგრძელდა 2018 წელს გამოვლენილი არქეოლოგიური ფენების დაღრმავება, თბრილის სამხ-აღმ. ნაწილში აღმოჩნდა თიხის ფილებით მოწყობილი იატაკი, რომელიც სამი ფრაგმენტისგან შედგება, თუმცა მათი სრული ჩახაზვა, ფოტოფიქსაცია და აღწერა 2019 წლის სეზონზე, ნალექიანი ამინდების გამო არ მოესწრო და ის სრულად გავწმინდეთ და აღვწერეთ 2020 წელს: იატაკის პირველი ფრაგმენტი აღმოჩნდა თბრილის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მისი შემორჩენილი სიგრძე 57 სმ-ია, სიგანე – 41 სმ. იატაკის ფრაგმენტების ირგვლივ მდებარე მიწის განმენდისას აღმოჩნდა კირხსნარის ფენა, რომელიც იატაკის ფილების დასაგებად იყო გამოყენებული (მურღულია და სხვები, 2020).

მსოფლიოში გავრცელებული კოვიდპანდემიის გამო, 2021 წლის არქეოლოგიური სეზონზე ვერ მოხერხდა სამუშაოების გაგრძელება.

2022 წლის არქეოლოგიური სეზონი დაიწყო 4 ივლისს. მოხდა თბრილის დეკონსერვაცია და პოლიეთილენის საფარზე

ამოზრდილი მწვანე საფარის მოშორება. ქაფებისა და მცირე ზომის წერაქვების გამოყენებით გადაინმინდა კულტურული ფენები, მოხდა მათი ფოტოფიქსაცია და სეზონის დასაწყისშივე დაისახა თხრილზე განსახორციელებელი არქეოლოგიური სამუშაოების გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა დაფიქსირებული კულტურული ფენების დაღრმავებას და მათი ურთიერთმიმართების დადგენას.

დავინყეთ თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დაფიქსირებული იატაკის მიმდებარე ტერიტორიის დაღრმავება. იმ გათვლით, რომ შესაძლოა მის გარშემოც გამოგვევლინა იატაკის (სურ. 12) გაგრძელება (დაფიქსირებული იატაკი ფრაგმენტულად აღმოჩნდა, რომელიც სავარაუდოდ ადგილზე მიმდინარე საყოფაცხოვრებო პროცესებმა დააზიანა). დაღრმავებისას გამოვლინდა მონითალო-მოყავისფრო თიხის შემცველი ფენა, რომელიც, სავარაუდოდ იატაკის მოშლილი ნაწილის ნარჩენები უნდა იყოს. არქეოლოგიური მასალის სახით ადგილზე ამოვიდა დიდი ზომის სამეურნეო დანიშნულების კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები, რაც ნაქალაქარის ამ უბნისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგანაც G თხრილი ქალაქის თავდაცვითი სისტემის ერთ-ერთ ცენტრალურ ნაწილთან მდებარეობს, სადაც სავარაუდოდ ჯარისკაცები გადაადგილდებიან და ცხოვრობენ. შესაბამისად, სამეურნეო ჭურჭლის ფრაგმენტების დიდი ოდენობით აღმოჩენა სავსებით ლოგიკურია. აღნიშნულ ფენებში ასევე დაფიქსირდა კერამიკული სამშენებლო მასალების ნატეხები, მცირე რაოდენობით ცხოველთა ძვლები და თხელკედლიანი, სავარაუდოდ სამზარეულოს კერამიკული ჭურჭელი.

თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აიყარა და დაღრმავდა წინა სეზონებზე დაფიქსირებული კირქვიანი ფენა (148). თხრილის ცენტრალურ ნაწილში კირქვიანი ფენის აღებისას აღმოჩნდა სამარხი (სურ. 13), რომლის ჭრილის ზომებია 1.7 მ X 0.7 მ. ჩონჩხი ძალიან დაზიანებულია, მიცვალებული ესვენა გაშოტილ მდგომარეობაში, ხელები სხეულის გასწვრივ ჰქონდა დალაგებული. სამარხი უინვენტარო იყო. ოსტეოლოგიუ-

რი ანალიზით, ძვლის ზომებისა და მისი ფორმების მიხედვით მიცვალებული 14-16 წლის უნდა იყოს. სამარხი VI-VII საუკუნეებს განეკუთვნება. რადგანაც ამავე პერიოდით დათარიღებულ კულტურულ ფენაში აღმოჩნდა. იგივე ქრონოლოგია მოგვცა რადიოკარბონის მეთოდით დათარიღებამაც – 572-649 წლები. გარდა ამისა, ასევე რადიოკარბონის მეთოდით, VII საუკუნით დათარიღდა 2018 წელს ოდნავ ზედა ჰორიზონტზე აღმოჩენილი სამარხი.

თხრილის სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ ნაწილებში, 2019 წელს დაფიქსირებული რიყის ქვისა და კირქვისგან შემდგარი ფენის აღებისას, აღმოჩნდა კირის და ნახშირის შემცველი მოშავო მიწის ფენა, თუმცა მისი შესწავლამ სრულად ვერ მოესწრო. შესაბამისად, მისი რაობის დადგენა სავარაუდოდ მომავალ სეზონებზე გახდება შესაძლებელი.

თხრილში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ძირითადად წარმოდგენილია კერამიკული სამშენებლო მასალისგან, სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭლისგან (სურ. 20-23). თხრილში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სამეურნეო ჭურჭელის ფრაგმენტები – დერგების, ქვევრების, ლუთერიუმებისა და როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტული ამფორების სახით, აღნიშნული მასალა თიხის ფერისა და ფორმების მიხედვით, ქრონოლოგიურად ადრეული შუა საუკუნეების ნაწარმია. დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სამზარეულო ჭურჭელი ქოთნებისა და ქვაბების სახით. ქვაბები, ძირითადად პირ-გვერდის ფრაგმენტებით იყო წარმოდგენილი. დავაფიქსირეთ ჯამების ნატეხებიც, თუმცა, ფრაგმენტულობის გამო, მათი სრული ფორმის დადგენა ვერ ხერხდება.

იმპორტული მასალა, ძირითადად, წარმოდგენილი იყო ამფორებისა და სუფრის ჭურჭლის – ლანგრებისა და თეფშების სახით. რამდენიმე ნიმუშს შემორჩენილი ჰქონდა წითელი ლაკის კვალი. ასევე, დავაფიქსირეთ შავლაკიანი ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი. სავარაუდოდ, ის მოზრდილი ზომის სამარილე იყო.

სეზონის ბოლოს თხრილში დაფიქსირებული კულტურული

ფენები გადანიშნა, თხრილი დაიფარა პოლეთილენისა და განათხარი მიწის თხელი საფარით.

The report of the archaeological works, carried out by Nokalakevi Anglo-Georgian archaeological expedition in 2021-2022

Summary

In 2021 Nokalakevi Archaeological Expedition carried out archaeological works in the citadel of the Nokalakevi site. Six new (size: 3X3 m.) test pits were cut – five of them were placed directly on the inner (North) edge of the South fortified wall of the citadel and one pit is located 30 meters to the South of the citadel.

Archaeological works were funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia. The expedition discovered various ceramic materials dated from Hellenistic to the early medieval period (Jar, pot, amphorae, kvevri (pithoe) e.t).

In addition, the expedition revealed colluvial and wall-demolished deposits in most of the trenches.

In 2022 Georgian National Museum, Nokalakevi Anglo-Georgian archaeological expedition carried out works at two areas in the central and eastern parts of the lower terrace of Nokalakevi settlement: F and G trenches. Works on trench F better demonstrated the Hellenistic settlement. The structures found in Trench F is a typical Colchian house, which is described by Vitruvius. Large quantity of pottery was found in trench F, mainly fragments of household utility vessels. During archaeological works carried out on trench G, one individual's burial was revealed, dated early medieval century.

At the end of the season, trenches were drawn, photographed by drone and covered by plastic tents and the soil for temporary conservation.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ზაქარაია პ. ნოქალაქევეში 1973-1977 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. ნოქალაქევი-არქეოპოლისი. I, თბ., 1981.

ზაქარაია პ. ნოქალაქევეში 1978-1982 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. ნოქალაქევი-არქეოპოლისი. II, თბ., 1987.

ზაქარაია პ. ნოქალაქევის გამაგრების სისტემა. ნოქალაქევი-არქეოპოლისი. II. თბ., 1987.

ზაქარაია პ., კაპანაძე თ. ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბ., 1991.

ზაქარაია პ. ნოქალაქევეში 1983-1988 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. ნოქალაქევი-არქეოპოლისი. III. თბ., 1993.

ლექვიანიძე ვ. ნოქალაქევის ნაქალაქარზე 1978-1982 წლებში გამოვლენილი IV-XI საუკუნეების მასობრივი არქეოლოგიური მასალა, ნოქალაქევი-არქეოპოლისი. II. თბ., 1987.

ლორთქიფანიძე ბ. ქალაქის გარეგნული სახე. ნოქალაქევი-არქეოპოლისი. III. თბ., 1993.

მურღულია ნ., ლომიტაშვილი დ., ლორთქიფანიძე ბ., ქებულაძე ნ., ევერილი პ., ქოლვინი ი., საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2017 წელს შესრულებული სამუშაოების მოკლე ანგარიში. 2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული. თბ., 2018.

მურღულია ნ., ლომიტაშვილი დ., ლორთქიფანიძე ბ., ქებულაძე ნ., ევერილი პ., ქოლვინი ი., ნინიაშვილი თ., ალანია დ., ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2018 წელს შესრულებული სამუშაოების მოკლე ანგარიში, 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. თბ., 2019.

მურღულია ნ., ლომიტაშვილი დ, ლორთქიფანიძე ბ., ქებულაძე ნ., ევერილი პ., ქოლვინი ი., ნინიაშვილი თ., ალანია დ, ხუციშვილი ნ. 2019 წლის ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის მოკლე ანგარიში, 2019 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. თბ., 2020.

В. А. Леквинадзе, Л. И. Хведелидзе. Массовые археологические находки из раскопок Археополиса. Нოქალაქევი-არქეოპოლისი. I. თბ., 1981.


ილუსტრაციების აღწერილობა

1. ნოქალაქევის ნაქალაქარის გენ-გეგმა, 2021 წლებში შესწავლილი უბნების ჩვენებით
2. ნოქალაქევის ნაქალაქარის ციტადელის აეროფოტო, შესწავლილი უბნების ჩვენებით
3. №1 თხრილში დაფიქსირებული კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტი
4. №2 თხრილში დაფიქსირებული ამფორის ყურის ფრაგმენტი
5. №4 თხრილში დაფიქსირებული კერამიკული შანდალი (?)
6. №4 თხრილში დაფიქსირებული კირქვის დისკო
7. №5 თხრილში დაფიქსირებული დერგის ძირ-გვერდის ფრაგმენტი
8. №5 თხრილში დაფიქსირებული ჩაიდნის(?) ცხვირის ფრაგმენტი
9. №6 თხრილში დაფიქსირებული ამფორის კორპუსის ფრაგმენტი
10. №6 თხრილში დაფიქსირებული ისრისპირი
11. F თხრილის ორთო-ფოტო
12. G თხრილში გამოვლენილი ფილებისგან მოწყობილი ია-

ტაკის ფრაგმენტი

13. G თხრილში გამოვლენილი სამარხი, ხედი სამხრეთიდან.
14. F თხრილში გამოვლენილი დერგის პირ-გვერდის ფრაგმენტი
15. F თხრილში გამოვლენილი წითლად შერეული ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი
16. F თხრილში გამოვლენილი შავი ლაკით დაფარული სამარილის ფრაგმენტი
17. F თხრილში გამოვლენილი ქოთნის კორპუსის ფრაგმენტი
18. F თხრილში გამოვლენილი ჩაიდნის ცხვირის ფრაგმენტი
19. F თხრილში გამოვლენილი დერგის კორპუსის ფრაგმენტი.
20. G თხრილში გამოვლენილი ლუთერიუმის პირის ფრაგმენტი
21. G თხრილში გამოვლენილი ამფორის ძირის ფრაგმენტი
22. G თხრილში გამოვლენილი დერგის ძირ-გვერდის ფრაგმენტი
23. G თხრილში გამოვლენილი შავი ლაკით დაფარული ჯამის ქუსლის ფრაგმენტი

ილუსტრაციები



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7



სურ. 8



სურ.9



სურ.10



სურ.11



სურ.12.



სურ.13



სურ.14



სურ.15



სურ.16



სურ.17



სურ.18



სურ.19



სურ.20



სურ. 21



სურ.22



სურ.23

ნიკოლოზ მურღულია
დავით ლომიტაშვილი
ნინო ქებულაძე
თამარ ნინიაშვილი
დავით ალანია
ნინო ხუციშვილი
ნიკოლოზ დიასამიძე

2021 წელს ჭაქვინჯის ციხეზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში

შესავალი

ჭაქვინჯის ციხე მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯიხაშკარში, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ერთ-ერთ მაღალ ბორცვზე (სურ. 1) (GPS კოორდინატები: N42 30.462 E42 00.786. სიმაღლე: 237 მ.).

ჭაქვინჯის ციხეზე არქეოლოგიური გათხრები 1968-69 წლებში აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ აწარმოა პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით. შედეგად შესწავლილი იქნა ძეგლის არქეოლოგიური და სამშენებლო ფენები, დადგინდა ციხის გეგმარება, მისი განვითარების ეტაპები და ქრონოლოგია (ზაქარაია, 1980).

როგორც არქეოლოგიური გათხრებით დადგინდა, ციხის ის ნაწილი, რომელიც დღემდე შემორჩენილია და მთის წვერზე დგას, ციტადელს წარმოადგენს, ხოლო ციხის დანარჩენი ნაწილი ვრცელდება ციტადელის ჩრდილო-დასავლეთით და გაშენებულია ცვალებად რელიეფზე. ციხის შიდა ტერიტორიაზე გამოვლენილია გვირაბი.

ჭაქვინჯის ციხის ციტადელზე, რომელიც მთის წვერზეა განლაგებული, ხუთი სამშენებლო ფენა ფიქსირდება – IV-V სს-ის (გალავნები და კოშკები). IX-XI სს-ის (პალატი), XIII-XIV სს-ის (ეკლესია), XV-XVI და XVII სს-ის (გალავნები და კოშკები).

როგორც სამშენებლო ტექნიკის ანალიზმა აჩვენა, IV-V სს-

ში აშენებული გალავნები მოიცავდა მთის წვერის დასავლეთ ნაწილს. დღეისათვის ციხის ამ ნაწილში გამოვლენილია კარგად გათლილი ქვებით ნაგები გალავანი, რომელიც გვიანშუა საუკუნეებამდე ასრულებდა ციტადელის ჩრდილოეთ გალავნის ფუნქციას. ამ კედლებზე გვიანდელი ხანის დანაშენებიც არის შემორჩენილი, რომლებიც წვრილი ქვით არის ნაშენი და ნალესია კირით. ასევე IV-V სს-ის ფენას უნდა განეკუთვნებოდეს ციხის N 2, N 3 და N 4 კოშკები, რომლებშიც ასევე შეინიშნება ადრეული ფენები.

ციხის ციტადელი სიგრძეში დაახ. 100 მეტრს აღწევს – მისი საერთო ფართობი მეოთხედ ჰქვტარს შეადგენდა. როგორც უკვე აღინიშნა, ციხის ციტადელში არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილია პალატი და ეკლესია. პალატი სამხრეთ გალავანთან მდებარეობს, ეს არის დას-აღმ ორიენტაციის მართკუთხა ნაგებობა (შიდა ზომები: 7.6X13.2 მ), რომელსაც შესასვლელი ჩრდილოეთ მხრიდან ჰქონია. შიდა სივრცის ცენტრში შემორჩენილია ორი სვეტი, რომლებზეც ალბათ თალები გადადიოდა – პალატი ორ სართულიანი მაინც იქნებოდა. ის IX-X სს-ით თარიღდება. ციხის ეკლესია ციტადელის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში დგას, ეს არის მცირე ზომის (შიდა ფართობი აფსიდის ჩათვლით 8 მ²-ია) დარბაზული ეკლესია, ის გარედან ქვის კვადრებით ყოფილა შემოსილი, სამხრეთის ფასადზე დეკორატიული თალებიც არის გამოყენებული. ეკლესია XIII-XIV სს-ის მიჯნით თარიღდება (ზაქარაია პ., ჭაქვინჯა, 1980).

2019 წლიდან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებითა და მხარდაჭერით განახლდა ჭაქვინჯის ციხის არქეოლოგიური კვლევა.

2019 წლის არქეოლოგიური სადაზვერვო სამუშაოების შედეგად ციხის ტერიტორიაზე, გარდა განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების მასალისა, გამოვლინდა ძვ.წ I ათასწლეულის I ნახევრისთვის დამახასიათებელი კერამიკის ჭურჭლის ნატეხები და თიხის ბათქაშების დამწვარი ფრაგმენტები, რაც მიუთითებს აქ ძველი კოლხური დასახლების არსებობაზე (მურღულია და

სხვები, 2020). აღნიშნული მასალის დაფიქსირებამ ჭაქვინჯის ციხის ციტადელის ტერიტორიაზე ადამიანთა ცხოვრების ქრონოლოგია სულ ცოტა 13-14 საუკუნით დააძველა. 2019 წელს ჩატარებულმა სამუშაოებმა აჩვენა, ციტადელის ტერიტორიაზე დღევანდელი სასიარულო დონე შექმნილია ბუნებრივ კლოდვან მასივზე, რომელიც თავის მხრივ ერთგვაროვან დანალექს წარმოადგენს და შეიცავს დიდი რაოდენობით მცირე ზომის რიყის ქვებს.

2020 წლის სეზონზე 2019 წელს გაჭრილი N 2 და N 3 თხრილები გაერთიანდა ერთ დიდ, N4 თხრილად, ზომები 7X16 მ, არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლინდა ნაგებობები; ტაძრის მიმდებარედ, მის აღმოსავლეთით ორიოდ მეტრში გაიწმინდა და დაფიქსირდა ორი სამარხი, ასევე გამოვლინდა სხვა ორი სამარხი, რომელთა შესწავლაც 2020 წლის არქეოლოგიურ სეზონზე ვერ მოესწრო (მურღულია და სხვები, 2021). ტაძრის ახლოს, ფენების დადაბლებისას აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ღორის ძვლები რაც შესაძლოა, ღორის შეწირვის ტრადიციას უკავშირდებოდეს, ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ სამეგრელოს არაერთ სოფელში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიებში, რომლებსაც ადგილობრივები ჯეგე-მისარონს და/ან ჯგემარიონსაც უწოდებენ, გაზაფხულზე „მისრობას“ ზეიმობდნენ, რომელიც ერთდროულად მოისარ წმინდა გიორგისა და მითრას კულტს უკავშირდება. ამ დღესასწაულის დროს ადგილობრივი გვარები ღორის მსხვერპლშენიერვის რიტუალს ასრულებენ (მაკალათია ს., 1992), ეს ტრადიცია სოფ. ჯიხაშკარში დღემდე გრძელდება. 2021 წელს ექსპედიციამ ჭაქვინჯის ციხის ციტადელის აღმოსავლეთსა და დასავლეთ მონაკვეთებში იმუშავა. კერძოდ, №1 კოშკის დასავლეთით, მდებარე №4 თხრილსა და №4 კოშკის სამხრეთით, მიმდინარე წელს გაჭრილ №1 შურფზე (სურ.1).

2021 წელს № 4 თხრილზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში

სეზონის დასაწყისში, სამუშაოების პირველ ეტაპზე თხრილიდან ავიღეთ საკონსერვაციოდ დაფენილი პოლიეთილენის საფარი და მიწის თხელი ფენა, გავწმინდეთ წინა წლებში გამოვლენილი ნაგებობების კედლები. პარალელურად, ციტადელის ტერიტორია გავასუფთავეთ მცენარეული საფარისგან.

ამის შემდეგ დავიწყეთ ეტაპობრივი დაღრმავება თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებში. თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთზე გავაგრძელეთ 2020 წელს გამოვლენილი მძლავრი კულტურული ფენის (430) შესწავლა, სადაც 2021 წელსაც დიდი ინტენსივობით ამოდიოდა გვიან შუა საუკუნეებისა და განვითარებული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი დიდი ზომის ჭურჭლის ფრაგმენტები, მათ შორის ქვევრის პირები.

2019 წელს № 3 თხრილში გამოვლენილი სამხრეთ-ჩრდილოეთ მიმართულების კედლის (304) დაფიქსირების შემდეგ, 2020 წელს გამოვავლინეთ მისი აღმოსავლეთ მინაშენების ორი რიგი, ხოლო საანგარიშო წელს გამოჩნდა მესამე რიგი, რომელიც შედის თხრილის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხის ქვეშ და 403-ე კედელს უერთდება). სეზონის ბოლოს ამ დიდი სტურუქტურის შესახებ გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა: ის შედგება ოთხი კედლისაგან, მათგან ერთი სამხრეთ-ჩრდილოეთ ორიენტაციისაა და მისი სიგრძე 4,50 მ-ია. მის აღმოსავლეთ კიდიდან პერპენდიკულარულად სამი კედელი გამოდის (სურ. 2). ნაგებობა დაზიანებულია და დაკარგულია მისი სამხრეთ-დასავლეთ კუთხე, ცალკე ფიქსირდება კედლის კიდე ერთი ფრაგმენტი, მისი სრული სიგრძე 1,60 მ-ია და შედის თხრილის აღმოსავლეთ კიდეში. კედლების სისქე მერყეობს 0,65-0,70 მ-ს შორის. უნდა წარმოადგენდეს ადრე ან განვითარებული შუა საუკუნეების დიდი ნაგებობის ნაშთს. ნაგებობის ინტერიერში დაფიქსირდა კულტურული ფენა (436),

რომელიც დიდი რაოდენობით კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებსა და ცხოველის ძვლებს შეიცავდა. (436)-ე ფენის მოსხნის შემდეგ დაფიქსირდა შავი ფერის მინა ნახშირის ჩანართებით, ასევე ქვის გროვა და სიცარიელები (458, 459, 468, 470), რომლის ამონმენდის შედეგად გამოვლინდა ოთხი სხვადასხვა ზომის (დიამეტრები: 175 სმ., 130სმ., 85 სმ., 68 სმ.) წრიული ფორმის სამეურნეო ორმოს ჭრილი [462] [467] [469] [471] (სურ. 3), ერთ მათგანში ჩასმული იყო ფენაში ჩაჭრილი ქვევრი (სურ.4). ქვევრის ნახევარი აღმოსავლეთ კიდის გარეთაა მოქცეული, ის დაზიანებულია, კერძოდ აკლია ყელისა და პირის მონაკვეთი. ქვევრი კირითაა მოლესილი, შემოუყვება ჰორიზონტალური ღარები, მისი შემორჩენილი სიმაღლე 1 მ-ია, გარშემონერილობა 75 სმ-ია, ხოლო კირის ნალესობიანად 1 მ-ს აღწევს. ქვევრი ამოვსებული იყო მიწით, ავიღეთ მიწის სინჯი პალინოლოგიური ანალიზისთვის. წინასწარული დასკვნით ქვევრი განკუთვნილი უნდა ყოფილიყო წყლის ან სხვა პროდუქტის შესანახად და არა ღვინისათვის (რადგანაც საქმე გვაქვს ციტადელთან). თუმცა სინჯის პალინოლოგიური ანალიზით დადასტურდა, რომ ქვევრში სწორედ ღვინო იყო შენახული (ანალიზი ჩაატარა, პალინოლოგმა, დოქტორმა მ. ჭიჭინაძემ). რაც შეეხება სამეურნეო ორმოებს, რომლებიც თითქმის ერთ ხაზზე მდებარეობენ. ორმოები ჩაჭრილია დედაქანში (კონგლომერატში), გარდა ერთისა, რომელიც თხრილის ჩრდილოეთ ნაწილში შესწავლილ ადრეანტიკურ ფენას კვეთდა.

თხრილის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში N3 თხრილში ხელოვნურად დატოვებული საფეხურის მოშლის შემდეგ გამოვლინდა კულტურულ ფენასა და ბუნებრივ კონგლომერატს შორის გარდამავალი ფენა (449), სადაც კონცენტრირებული იყო დამტვრეული ქვევრის ნატეხები, თავდაპირველად ვიფიქრეთ რომ ეს ქვევრის ჩასასმელად ამოღებული ორმო უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქვევრის პირისა და გვერდის ფრაგმენტების მეტი არაფერი გამოვლენილა.

თხრილის ცენტრალურ ნაწილში 2019 წელს გათხრილი

ნაგებობის (408) ინტერიერში აღმოჩენილი მოშანდაკებული ქვანაყარის (413) დაღრმავების შემდეგ გამოვლინდა ორგანული ნაშთებით გაჯერებული კულტურული ფენა (414), რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავდა სამეურნეო და შედარებით ნაკლები რაოდენობის სუფრისა და სამზარეულო ჭურჭლის ნატეხებს, ფენაში გამოვლინდა მასიური ქვების გვერდისა და ყურის ფრაგმენტი, რომლის კეცის სისქე 2 სმ იყო, მგავსი ტიპის ჭურჭლის ფრაგმენტები გასულ წელსაც დაფიქსირდა.

(414)-ე ფენის დაღრმავების შემდეგ თხრილის ცენტრალური მონაკვეთის სამხრეთ ნაწილში გამოჩნდა ყავისფერი შეფერილობის კულტურული ფენა (456), სადაც აღმოჩნდა როგორც ადრეანტიკური, ასევე ადრეული შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები (სურ. 14, 15, 16, 18), რაც გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული ფენა ადრეშუა საუკუნეებისა და ადრეანტიკური ფენების შერევის შედეგად წარმოიქმნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფენაში და ზოგადად, თხრილში ელინისტური და/ან რომაული პერიოდის მასალა არ ფიქსირდება. ამ ფენაში აღმოჩენილ კერამიკულ მასალას შორის, უმეტესად დიდი ზომის სამეურნეო ჭურჭლის ფრაგმენტები და მცირე რაოდენობით სუფრისა და სამზარეულო ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ (456)-ე ფენაში შედარებით მცირე რაოდენობით არქეოლოგიური მასალა გამოვლინდა. რაც ვფიქრობთ, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აღნიშნულ ორ პერიოდში ციხის ტერიტორიაზე ცხოვრება არც თუ ისე ინტენსიური იყო.

პარალელურად თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დავინწყეთ 2020 წელს, დაფიქსირებული სამარხების გახსნა. მუშაობის პროცესში აღმოჩნდა, რომ ქრისტიანულ სამარხებს ჩაჭრილი ჰქონიათ ადრეანტიკური ფენა (435), რომელიც ვრცელდება თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთიდან სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით თხრილის დასავლეთ კიდემდე, როგორც ჩანს ადრეანტიკური პერიოდით დათარიღებული ფენა ციხეზე საუკუნეების მანძილზე მიმდინარე ინტენ-

სიურმა ცხოვრებამ და სამარხებისთვის გაჭრილმა ორმოებმა ძლიერ დააზიანა, რაც სამარხების ნაყარ ფენებში მრავლად აღმოჩენილი ადრეანტიკური პერიოდისთვის დამახასიათებელი კერამიკული ჭურჭლის (სურ. 18-19) ფრაგმენტებითაც დასტურდება. ამ ფენის დაღრმავებისას თხრილის აღმოსავლეთ კიდის ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა დამწვარი ბათქაშების დიდი კონცენტრაცია და დანახშირებული ხის მოზრდილი ფრაგმენტები, საიდანაც ავიღეთ საანალიზო მასალა დენდროლოგიური ანალიზისთვისა [№1] და C14-ის მეთოდით დათარიღებისათვის.

როგორც უკვე აღინიშნა, თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით გავხსენით გასულ წელს ეკლესიის დასავლეთით დაფიქსირებული, დასავლეთი-აღმოსავლეთი ორიენტაციის ორი სამარხიდან ერთ-ერთი. აღნიშნული სამარხი წარმოადგენს ინჰუმაციურ ორმოსამარხს, ერთი ინდივიდით (444). მიცვალებული ასვენია გამოტილ პოზაში, იდაყვში მოხრილი ზედა კიდურები ლავინის ძვლებზე უწყვია. სამარხი უინვენტაროა და სავარაუდოდ კაცს ეკუთვნის. 21.01 სამარხის განმენდისას მის სამხრეთით გამოვლინდა კიდეც ერთი 21.02 სამარხი, რომელიც წინა წელს დაფიქსირებული არ ყოფილა.

21.02 სამარხიც დასავლეთი-აღმოსავლეთის ორიენტაციის ინჰუმაციურ ორმოსამარხს წარმოადგენს, ერთი მიცვალებულით, ჩონჩხი (445) ასვენია გამოტილი, ზედა კიდურები გულზე აქვს დაკრეფილი, ძვლები საკმაოდ მყიფე და შლადია, ამჩნევია დაზიანების კვალი, როგორც ჩანს სხვა სამარხების გაჭრისას არის შელახული. სამარხი, რომელიც სავარაუდოდ ქალს უნდა ეკუთვნოდეს, უინვენტაროა.

კიდეც ერთი, 2020 წელს დაფიქსირებული დასავლეთ-აღმოსავლეთის ორიენტაციის 21.03. სამარხი გავწმინდეთ 21.02 სამარხის სამხრეთით, რომელიც ასევე ინჰუმაციური ორმოსამარხია, მიცვალებული ასვენია გამოტილი, ზედა კიდურები მკერდზე აქვს დასვენებული. ჩონჩხს (446) მსგავსად 21.02 სამარხში გამოვლენილი ჩონჩხისა ემჩნევა დაზიანების კვალი. სა-

მარხი უინვენტაროა და სავარაუდოდ კაცს ეკუთვნის.

21.02 და 21.03 სამარხებში გამოვლენილი ჩონჩხები ზუსტად ერთი მიმართულებით და ერთ დონეზე ასვენია და იმეორებენ ტაძრის დამხრობას, განსხვავებით წინა წლებში გათხრილი ორი, 20.01 და 20.02 სამარხისა და მიმდინარე წელს განმენდილი 21.01 სამარხისა. შესაბამისად, საფიქრებელია, რომ ისინი ერთდროულად იყვნენ დაკრძალულები (სურ. 5).

სამარხის განმენდისას მის ჩრდილო-აღმოსავლეთით, გამოვლინდა მცირენაირი ბავშვის დაზიანებული სამარხი, რომელიც დასავლეთ-აღმოსავლეთი ორიენტაციის არის. ჩონჩხს (439) აკლია მარცხენა ქვედა და ზედა კიდურები, თავის ქალა ჩამსხვრეულია, მარჯვენა კიდური გადის თხრილის კიდის გარეთ, როგორც ჩანს სამარხი წინა წელს გამოვლენილი 20.02 სამარხის გაჭრისას დააზიანეს.

ადრეანტიკურ ფენაში (435) გარდა ზემოთ აღწერილი ოთხი სამარხისა აღმოჩნდა სამარხი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთით გათხრილ სამარხებთან. ძალიან დაზიანებული სამარხი (სურ. 6), რომელიც ადრეანტიკური ფენის (435) სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთთან, 408-ე კედლის დასავლეთ დაბოლოების ძირში გამოვლინდა, ორ ნაწილადაა გაყოფილი. სამარხის ძვლოვანი მასიდან დარჩენილია მხოლოდ ქვედა ყბის, თავის ქალის, ზედა კიდურებისა და ქვედა კიდურების ნაშთები, მიცვალებული სავარაუდოდ, სამხრეთ-ჩრდილოეთ მიმართულებით უნდა ყოფილიყო დასვენებული. სამარხში აღმოჩნდა ინვენტარიც, რომელთაგანაც აღსანიშნავია მრგვალი საკინძი (სურ. 7) ლითონის მშვილდასკინძი (სურ. 8), პასტისაგან და სხვადასხვა მინერალისგან დამზადებული მძივები (სურ. 10) ლითონის სამაჯური (სურ. 9), მინის ჭურჭლის ფრაგმენტები. ასევე, ცუდად გამომწვარი თიხისგან დამზადებული ფილა, რომელიც თავის ქალის ნაშთებიდან სამხრეთ-დასავლეთით დაფიქსირდა, თუმცა ძალიან მყიფე იყო და ამოღებისას დაიშალა.

სეზონის მიწურულს თხრილის ყველა მონაკვეთში, გარდა ნაგებობებისა, დავედით გეოლოგიურ სტერილურ ფენებზე,

რომელიც ორგვაროვანია, შედგება, როგორც თირისგან, ასევე ზღვიური მონომიქტური კონგლომერატისგან, რომელსაც, თხრილის სამხრეთ მონაკვეთში ემჩნევა ხელოვნურად მოსწორებისა და ადგილ-ადგილ ჩაჭრის კვალი.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ №4 თხრილზე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ციხის შესასწავლად მნიშვნელოვანი ახალი გარემოებები და სეგმენტები გამოიკვეთა:

1. დაფიქსირდა განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების ახალი ნაგებობების ნაშთები და მათთან დაკავშირებული კულტურული ფენები;

2. ეკლესიის მიმდებარედ გამოვლინდა 6 სამარხი, დასავლეთ-აღმოსავლეთ ორიენტაციის და შესაბამისად დიდი ალბათობით ქრისტიანული. მათ შორის ორი ბავშვს ეკუთვნოდა, ერთი – ქალს, დანარჩენი სამი მამაკაცს. სამარხებს ჩაჭრილი ჰქონდათ ადრეანტიკური ხანის ფენა და ბუნებრივი კონგლომერატი;

3. თხრილის აღმოსავლეთ კიდეთან დაფიქსირდა კიდევ ერთი სამარხის ნაშთი. მიცვალებული სავარაუდოდ სამხრეთ-ჩრდილოეთ ორიენტაციით იყო დაკძალული. მას სამარხში ჩატანებული ჰქონია სამაჯური, მძივები, წრიული და მშვილდ-საკინძი. ასევე, შესაძლოა მინის ჭურჭელი და თიხის ფირფიტა;

4. თხრილის აღმოსავლეთ კიდეზე დაფიქსირდა ოთხი სამეურნეო ორმო. მათგან ერთში, ქვევრი იყო ჩასმული;

5. თხრილის მთელ ფართობზე დაფიქსირდა ზღვიური კონგლომერატის ბუნებრივი ფენა, რომელზეც ციხის ციტადელი აუშენებიათ. დადგინდა კონგლომერატის ფენის გავრცელების არეალი და სიღრმეები;

6. თხრილში გამოვლინდა ადრეანტიკური ხანისა და შუა

საუკუნეების კერამიკული ქურჭლის მრავალფეროვანი ფრაგმენტები. მათი კამერალური დამუშავება და დეტალური ანალიზი სრულყოფილ ინფორმაციას მოგვცემს თხრილში გამოვლენილი ფენების ქრონოლოგიის შესახებ.

თხრილში გამოვლენილი თითოეული სეგმენტი აღინერა და აღინუსხა სპეციალურ საველე ბლანკებში. თითოეული ფენა, ნაგებობა და სამარხი აიზომა, ჩაიხაზა, მოხდა მათი დეტალური ფოტოგრაფირება, მათ შორის აეროფოტო გადაღებებიც, რის საფუძველზეც მომზადდა თხრილის ორთოფოტოები და სამგანზომილებიანი მოდელები.

სეზონის დასასრულს, მოხდა თხრილის რეკულტივაცია, მის ცენტრალურ და სამხრეთ მონაკვეთებში 2019-2021 წლებში გამოვლენილი ნაგებობები დაკონსერვდა პოლიეთილენის საფარით და დაიფარა მიწის სქელი ფენით.

№ 1 შურფში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში

შურფი N 1 გაიჭრა ჭაქვინჯის ციხის დასავლეთ ნაწილში მე-4 კოშკის სამხრეთ-დასავლეთ კუთხიდან 2 მეტრში, ზომით 2X2 მ. შურფის გაჭრის მთავარ მიზეზს ციხის ციტადელის დასავლეთ ნაწილში კულტურული და სტერილური (ზღვიური კონგლომერატის) ფენების გავრცელების დადგენა წარმოადგენდა.

საველე სამუშაოების დროს შურფში სულ 6 ფენა გამოვლინდა, მასში არანაირი ნაგებობის კვალი არ დაფიქსირებულა.

ჰუმუსი (100) შეიცავდა შავი ფერის სილიან მიწას, კირქვის მცირე და საშუალო ზომის მინარევებით, ასევე კერამიკულ და ძვლოვან მასალას. შემდეგი ფენაც (101) მსგავსად ჰუმუსისა, შავი მონაცრისფრო ფერის სილიანი მიწისგან შედგებოდა (სურ. 61), კირქვის მცირე ზომის მინარევებით. ჰუმუსისგან განსხვავებით მასში შედარებით იკლო კერამიკულმა და ძვლოვანმა

მასალამ.

102-ე მონაცრისფრო-მოყავისფრო სილიანი ფენა შეიცავდა საშუალო ზომის რიყისა და კირქვის მინარევეებს, მსგავსად წინა ფენისა, აქაც გვხვდება ცხოველის ძვლები.

103-ე ფენა წარმოადგენდა მონაცრისფრო ფერის სილიან მინას, რომელშიც დაფიქსირდა მცირე რაოდენობით რიყისა და კირქვის ქვები. წინა ფენებისგან განსხვავებით იგი აღარ შეიცავდა ცხოველის ძვლებს, თუმცა კვლავ ამოდიოდა კერამიკული მასალა, რომელშიც ჭარბობს სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი (ქვევრი და დერგი).

104-ე ფენა, წარმოადგენდა გარდამავალ ფენას (103)-ე კულტურულ და (105)-ე სტერილურ ფენებს შორის. ფენა ხასიათდებოდა მონაცრისფრო-მოყვითალო სილიანი მინით, რომელიც შეიცავდა კირქვისა და რიყის ქვის მინარევეებს, რაც, გასაკვირი არცაა, რადგან სტერილური ფენა რიყის და კირქვის დანალექი ქანია. 104-ე ფენაში თითქმის არ გვხვდება კერამიკული მასალა,

105-ე სტერილური ფენა ციტადელის აღმოსავლეთ ნაწილში, N4 თხრილში აღმოჩენილი (418)-ე ფენის მსგავსად, წარმოადგენს ზღვიურ კონგლომერატს, (იხ. № 4 თხრილის ანგარიში).

სტერილურ ფენაზე დასვლის შემდეგ, მოხდა თხრილის სტრატეგრაფიული ჭრილების ჩახაზვა და რეკულტივაცია.

N1 შურფის გაჭრამ საბოლოო ჯამში კიდევ ერთხელ დაგვანახა და დაადასტურა ის ფაქტი, რომ ჭაქვინჯის ციხის ციტადელი გაშენებულია ბუნებრივ კონგლომერატზე, რომელიც შურფში ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ დამრეცად მიემართება და 2 მეტრ მანძილზე 10 სმ-იანი დაქანება აქვს (ციტადელზე გამოვლენილი ბუნებრივი კონგლომერატებიანი ფენის დეტალური აღწერა იხ. № 4 თხრილის ანგარიშში) რაც შეეხება N1 შურფში აღმოჩენილ კერამიკას, ის პირველადი დათვალიერებით უნდა განეკუთვნებოდეს განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებს, რაზეც ის ფაქტი მიგვანიშნებს, რომ კერამიკის უმრავლესობა გამომწვარია მოწითალო-აგურისფრად, თიხა არაა კარგად განლექილი, შეიცავს წვრილი ზომის

ქარსის მინარევებს, კეცი თანაბრადაა გამომწვარი.

შურფში გამოვლინდა 400-ზე მეტი კერამიკის ფრაგმენტი, მათი უმრავლესობა წარმოადგენს სამეურნეო დანიშნულების კერამიკულ ჭურჭელს, ჭარბობს დიდი ზომის ქვევრისა და დერგის გვერდის ფრაგმენტები, თითქმის არ გვხვდება პირ-გვერდის და ძირ-გვერდის ნაწილები. საკმაოდ ცოტაა პირის, ყურის და ძირის ნაწილებიც: ყური – 8, ძირი – 5, პირი – 4 ნატეხი. ასევე, არ დაფიქსირებულა სამშენებლო კერამიკული ნაწარმი.

102-ე ფენაში ნაპოვნი ორი, ლურჯად მოჭიქული კერამიკის ნატეხი, თეთრი კეცით, უნდა წარმოადგენდეს ჩინური ფაიფურის მინაბადს, რომელიც „ჩინური ლურჯის“ სახელითაა ცნობილი და რომლის გავრცელება საქართველოს ტერიტორიაზე XV საუკუნიდან იწყება. ხოლო 103-ე ფენაში ნაპოვნი მწვანედ მიჭიქული კერამიკის 3 ფრაგმენტი, წარმოადგენს XII-XIV საუკუნეებს და პირდაპირ ქრონოლოგიურ ჩარჩოს გვაძლევს. ანუ მის ქვემოთ უკვე სტერილური ფენა იწყებოდა. მიუხედავად შურფის მცირე ზომებისა, შესაძლოა დავუშვათ, რომ ციტადელის ამ მონაკვეთზე ყველაზე ადრეული ფენები XII საუკუნეს არ ჩასცდება.

A short report of the archaeological works carried out in Tchakvinja fortress in 2021 Summary

Chakvinja castle is located in the village of Jikhashkari, Zugdidi municipality. The citadel of the castle was built on one of the high hill in the south-east part of the village (GPS coordinates: N42 30.462 E42 00.786. Altitude: 237 m). The citadel is 100 meters long and occupies a quarter of a hectare. Archaeological excavations at Chakvinja castle started in 1968-69 by the Simon Janashia Georgian State Museum expedition (Head p. Zakaraia).

In 2021 archaeological works in the Chakvinja fortress were funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia. The works were going according to British methodology.

The expedition worked on trench №4, located in the East end of the Citadel. The ruins of two medieval buildings, six Christian burials, four goods' pits and one non-Christian burial with some grave goods (buckle, beads, glass vessel, and iron knife) have been unearthed. The result of the palynological analyses of the kvevri residue revealed that the wine was reserved in it.

Also, hundreds of Early antique (6th-4th cc BC) and medieval age pottery has been revealed in cultural layers.

The trench was backfilled at the end of the archaeological works.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ზაქარაია პ., ჭაქვინჯა, თბ., 1980

მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1992.

მურღულია ნ., ლომიტაშვილი დ., ქებულაძე ნ., ალანია დ., 2019 წელს ჭაქვინჯის ციხეზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში, 2019 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბ., 2020.

მურღულია ნ., ლომიტაშვილი დ., ქებულაძე ნ., ალანია დ., 2020 წელს ჭაქვინჯის ციხეზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში, 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბ., 2021.

ილუსტრაციების აღწერილობა

1. ციხის ციტადელის გენ-გეგმა, შესწავლილი №4 თხრილისა და №1 შურფის ჩვენებით

2. პირველი სტრუქტურის (304, 331, 332, 355) აეროფოტო, სავარაუდო აღდგენის კონტურებით

3. სამეურნეო ორმოების საერთო ხედი დასავლეთიდან. ნიშნულებს შორის მანძილი 9 მეტრი

4. ქვევრის საერთო ხედი დასავლეთიდან განმენდის შემდეგ


5. თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში განმენდილი ქრისტიანული სამარხები (21.01; 21.02; 21.03 და 21.04). ხედი სამხრეთიდან

6. არეული სამარხი 21.05. ხედი სამხრეთიდან

7. არეულ სამარხში (21.05) დაფიქსირებული საკინძი [2]

8. სამარხში აღმოჩენილი მშვილდსაკინძი [3]
9. სამარხში აღმოჩენილი სამაჯური [6]
10. სამარხში აღმოჩენილი მძივები [4]
11. მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები
12. დოქის (?) ძირ-გვერდის ფრაგმენტი
13. ჩაიდნის ცხვირის ფრაგმენტი
14. ჯამის ძირ-გვერდის ფრაგმენტი
15. მოჭიქული ლანგრის პირ-გვერდის ფრაგმენტი
16. ქილის პირ-გვერდის ფრაგმენტი
17. მეტალის ნივთისა და ჩიბუხის ფრაგმენტი;
18. შანდლის(?) ძირის ფრაგმენტი
19. ვერძის რქის კერამიკული ფიგურა
20. მინის დეკორატიული დეტალი
21. თხრილის ორთო-ფოტო სეზონის დასასრულს

ილუსტრაციები



სურ. 1



სურ. 2



სურ.3



სურ. 4.



სურ. 5.



სურ. 6



სურ.7




სურ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ.11



სურ.12



სურ.13



სურ.14



სურ.15



სურ.16




სურ. 17



სურ.18



სურ. 19



სურ.20



სურ.21

*ბესიკ ლორთქიფანიძე
ნიკოლოზ მურღულია
დავით ლომიტაშვილი
ნინო ქებულაძე
თამარ ნინიაშვილი
დავით ალანია
ნინო ხუციშვილი
ნიკოლოზ დიასამიძე*

2021-2022 წლებში ხუნწის ციხეზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში

შესავალი

სოფ. ხუნწი მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტში, მდ. ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, მარტვილი-ხონი-ქუთაისის დამაკავშირებელი სამანქანო გზის მე-8 კმ-ზე. აქ, სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში, ქუქითის გორაზე, რომელიც უნაგირა მცირე ქედის (ეს ქედი სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოქალაქევი იწყება) ბოლო შემადგენელი ნაწილია, რამდენიმე წლის წინ ჩვენმა ექსპედიციამ ნაციხარი (“ნაჯიხუ”) გამოავლინა.

2014 წელს ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური ექსპედიციის არქეოლოგიური სეზონის პარალელურად, მოვინახულეთ სოფელ ხუნწში არსებული ნაციხარის ტერიტორია, რა დროსაც გადანყდა აქ არქეოლოგიური კვლევის დაწყება, რომელიც დღემდე გრძელდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებითა და ხელშეწყობით.

ხუნწის ციხე მოიკავებს დაახ. 6000 მ² ფართობს ციხის გალავნები მიწის დონეზე იყო დანგრეული. ციხის ტერიტორიის ცენტრალურ, შემალღებულ ნაწილში არსებული ნაგებობის დიდი ფრაგმენტი საგრძნობლად დააზიანა მობილური ოპერატორის სადგურის და ანძის დასადგმელად ჩატარებულმა სამუშაოებ-

მა, რა დროსაც ადგილობრივების გადმოცემით გამოვლინდა სამარხები და კერიკული ჭურჭლის ფრაგმენტები. ეს მასალა ამჟამად ხუნნის საჯარო სკოლაში ინახება (ანძა და სადგური 5 წლის განმავლობაში იდგა აღნიშნულ ტერიტორიაზე და ხელს უშლიდა სრულფასოვან არქეოლოგიურ კვლევას, თუმცა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ძალისხმევით, მათი დემონტაჟი მოხდა).

მოკლე ისტორიული მიმოხილვა

თავის დროზე, ამ ციხის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით, გამოითქვა ვარაუდი, რომ აქ შესაძლოა მდებარეობდა, VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის, აგათია სქოლასტიკოსის მიერ, მოხსენიებული ლაზიკის (ეგრისის) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავდაცვითი პუნქტი, ონოგურისის ციხე (სქოლასტიკოსი, 1936). წინა წლებში, ექსპედიციის მიერ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა ეს ვარაუდი გაამყარა (Everill and others, 2017; მურდულია, 2020). აგათია სქოლასტიკოსი ერთ-ერთი მემბტიანეა, ვინც 542 წელს ბიზანტიასა და სასანიანთა ირანს შორის დასავლეთ საქართველოში დაწყებული საომარი ოპერაციების შესახებ ინფორმაცია შემოგვინახა. ეს დაპირისპირება, საისტორიო ტრადიციაში „დიდ ომიანობად ეგრისში“ მოიხსენიება და დროებითი დაზავებებით გამოწვეული პაუზებით, 20 წელზე მეტხანს გაგრძელდა. აგათიას ინფორმაციით, ამ ომის დროს ონოგურისის ციხე, რომელიც დედაქალაქის, არქეპოლისისკენ მიმავალ გზაზე უმნიშვნელოვანესი სასიმაგრო პუნქტი იყო, ძალიან დიდ როლს ანიჭებდნენ, როგორც ბიზანტიელები, ასევე ირანელები. ეს უკანასკნელები, ამ ომიანობის დროს, ეგრისის ტერიტორიის იმ ნაწილს აკონტროლებდნენ, რომელიც მდ. ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა. ონოგურისი კი, ამ მდინარის მარჯვენა სანაპიროზე იყო აგებული და დედაქალაქის, ციხეგოჯი-არქეპოლისისკენ მიმავალ უმნიშვნელოვანეს მაგისტრალს იცავდა და აკონტროლებდა. ამიტომ,

ამ ციხესიმაგრის ალების შემდეგ, ირანელი მხედართმთავრები, მის დაცვას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ასევე, მისი დაბრუნება პრიორიტეტული იყო ბიზანტიელი სარდლებისთვისაც. სწორედ ამ ციხის დაბრუნებისთვის გეგმის შემუშავების საბაბით, ბიზანტიელებმა მდ. ხობისწყალთან ეგრისის მეფე გუბაზ II დაიბარეს, სადაც ის მოკლეს. ამის შემდეგ, მათ მართლა შეუტიეს ონოგურისის ციხესიმაგრეში მდგარ ირანელთა გარნიზონს. აქ გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლა. ონოგურისის დამცველების დასახმარებლად, ქუთაისიდან ირანელების მრავალრიცხოვანი ჯარი გამოემართა, ბიზანტიელები დამარცხდნენ და უკან გაიქცნენ. ონოგურისი ამ ომიანობის შემდეგ წყაროებში აღარ იხსენიება (აქ უნდა აღინიშნოს, რომ ეგრისის (ლაზიკის) თავდაცვითი პუნქტების სახელწოდებების და ლოკალიზაციის შესახებ ინფორმაციას სწორედ რომაული და ბიზანტიური წყაროები გადმოგვცემენ და უმეტესწილად სწორედ აქ მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების კონტექსტშია მოხსენიებული).

ხუნნის ციხის ტერიტორიაზე 2015-2020 წლებში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

2015 წელს ხუნნის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ციხის ტერიტორიაზე 4 საცდელი თხრილი გააჭრა. განსაკუთრებით გამოასრჩევია NN 1 და 3 საცდელ შურფებში გამოვლენილი ფენები.

N 1 სადაზვერვო თხრილი გაიჭრა ციტადელის კოშკთან. თხრილში ზედაპირიდან დაახლოებით 20 სმ ზე გამოჩნდა ჰიდრაულიკური ხსნარით მოპირკეთებული იატაკის ნაწილი, რომელიც დროებით დაკონსერვდა.

N 3 სადაზვერვო თხრილში, რომელიც ციხის ჩრდილოეთ გალავანთან გაიჭრა, დაახ. 1X3 მ ფართობზე, 30 სმ სისქის ფენაში დიდი რაოდენობით არქეოლოგიური მასალა ამოვიდა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა IV-VI საუკუნეებისაა. მათ შორის გვხვდება, როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტული კერამიკული ჭურჭელი.

2016 წელს ექსპედიციამ სამუშაოები აწარმოა ციხის ტერიტორიის ხუთ მონაკვეთზე, შედეგად: 1. ციხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გამოვლინდა უცნობი დანიშნულების ნაგებობის ნაწილი, საკმაოდ უცხო და საინტერესო არქიტექტურულ-სამშენებლო დეტალებით; 2. გამოიკვეთა ციხის ჩრდილოეთ გალავნის 25 მეტრი სიგრძის მონაკვეთი; 3. თხრილებში აღმოჩნდა ძალიან დიდი რაოდენობისა და ნაირსახეობის სამეურნეო (ამფორები, ქვევრები, ლუთერიუმები) და სამშენებლო (აგურები, კრამიტები, ფილები) კერამიკული მასალა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა IV-VI საუკუნეებით თარიღდება და შესაბამისად, ციხის არსებობის ქრონოლოგიაც აღნიშნულ პერიოდში უნდა მოექცეს.

2017 წელს სამუშაოები ხუთ უბანზე წარიმართა: წინა სეზონზე გათხრილი N 3 თხრილი გაფართოვდა სამხრეთით და აღმოსავლეთით. გარდა ამისა, ოთხი საცდელი შურფი გაიჭრა ციხის ტერიტორიის შუა, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში (ლორთქიფანიძე და სხვები, 2018).

2018 წელს არქეოლოგიური კვლევა ჩატარდა სამ უბანზე, N1, N6 და N7 თხრილებზე. სრულად გაიწმინდა N1 თხრილში წინა წლებში გამოვლენილი ნაგებობა და ჩრდილოეთი მინაშენი საძვალე, გარდა ტაძრის ცენტრში მდებარე კრიპტისა. N6 თხრილში გაიწმინდა სავარაუდოდ დაშლილი გალავნის ფრაგმენტისა თუ ქვა ყრილის 20 მ-იანი მონაკვეთი, ხოლო N 7 თხრილში გაიწმინდა მიწის ფენით დაფარული ოთხკუთხა კოშკი, რომელიც 2015 წლამდე ჩანდა მიწის ზედაპირზე (ლორთქიფანიძე და სხვები, 2019).

2019 წელს გაიწმინდა ბორცვის ჩრდილო-დასავლეთით არსებულ კოშკზე მიდგმული კედლები, მის სამხრეთი და ჩრდილოეთი გაგრძელებაზე. ასევე გაიჭრა საცდელი N9 შურფი (3X4 მ2), 2016 წელს გამოვლენილი ნაგებობის აღმოსავლეთით 20-30 მ-ში, სადაც გაიწმინდა გალავნის კედლის ფრაგმენტი. ამავე მიზნით, ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთ დაფერდებაზე გაიჭრა N10 შურფი, სადაც ასევე გამოვლინდა და გაიწმინდა გალავანის

კედლის ფრაგმენტი (ლორთქიფანიძე და სხვები, 2020).

2020 წელს არქეოლოგიური სამუშაოები ციხის ოთხ მონაკვეთზე წარიმართა:

N 1 თხრილზე გაიწმინდა 2016 წელს გამოვლენილი საძვალის (კრიპტის) საფეხურებიანი ჩასასვლელი და თავად საძვალე, სადაც გამოვლინდა თორმეტი ინდივიდის ერთმანეთში არეული ჩონჩხი (რომელთა გარჩევა, მხოლოდ ანთროპოლოგიური კვლევის შემდეგ გახდა შესაძლებელი);

N7 თხრილზე გაიწმინდა გასულ სეზონში გამოვლენილი კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთი და ქვის ყორე 21 მეტრზე. ასევე გაიწმინდა სავარაუდო კარიბჭესთან არსებული მოზარდის სამარხი;

N8 თხრილზე გაიწმინდა გასულ სეზონში N10 შურფში გამოვლენილი გალავნის ჩრდილოეთი მონაკვეთი 10 მეტრ სიგრძეზე;

N9 თხრილზე გაიწმინდა გასულ სეზონზე N9 შურფში გამოვლენილი გალავნის სამხრეთი, ზიგზაგისებური მონაკვეთი, 10 მეტრ სიგრძეზე (ლორთქიფანიძე და სხვები, 2020).

2021 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში

საანგარიშო წელს, ხუნნის ციხის ტერიტორიაზე სამუშაოები წარიმართა სამ უბანზე, 2020 წელს გაჭრილ N8 თხრილზე, რომელიც ჩრდილო-დასავლეთით გავაფართოეთ 13 მეტრით, 2020 წელს გაჭრილ N9 თხრილზე, რომელიც სამხრეთით გავაფართოეთ 10 მ-ით და ხუნნის ციხის პლატოს დასავლეთ კიდეზე, სადაც გავჭერით ახალი N10 თხრილი (სურ. 1). ძირითადი სამუშაოების პარალელურად ხუნნის ციხის ტერიტორია, მისი 2000 მ² ფართობი (ციხის პლატო, 2015-2020 წლებში გათხრილი ტერიტორიები და N7 თხრილის ჩრდილოეთ ფერდობი) გაიწმინდა მცენარეული საფარისგან და შეინამლა შესაბამისი ხსნარით.

N8 თხრილზე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში

2021 წელს არქეოლოგიური სამუშაოები განვაახლეთ N8 თხრილის ჩრდილო-დასავლეთ გაგრძელებაზე. გათხრების მიზანს წარმოადგენდა N8 თხრილის გაფართოება და წინა წელს მცენარეების გაკაფვის შედეგად გამოჩენილი წყობის განმენდა და დაფიქსირება, რომელიც ნაწილობრივ მინის ზედაპირზევე ჩანდა. თხრილის ზომებია 13X4 მ-ზე.

თავდაპირველად არქეოლოგიური სამუშაოები გააძეულა უამინდობამ და თხრილის ბუნებრივმა მდებარეობამ (ძლიერმა დაფერდებამ).

ჰუმუსის (800) მოხსნისას თხრილის დასავლეთ კიდედთან გამოვლინდა დიდი რაოდენობით კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები. შეიძლება ითქვას, რომ ამ ფენიდან მომდინარე მასალა, რიცხოვნობად ყველაზე მეტი იყო. ძირითად ამოდიოდა სამეურნეო ტიპის ჭურჭელი, კონკრეტულად კი ამფორის ყურის, გვერდის, პირის ფრაგმენტები, სამეურნეო და სამზარეულო ჭურჭლის ძირის ნატეხები (სურ. 9-11) და სამშენებლო ტიპის კერამიკული მასალები – კრამიტები, ფილები და აგურები. ჰუმუსის მოხსნისას, თხრილის აღმოსავლეთ მონაკვეთში გამოვლინდა ნაყარი ქვების ფენა (811), რომელიც გალავნის გადმონგრევის შედეგად უნდა დარჩენილიყო.

ჰუმუსის ალების შემდეგ, თხრილის დასავლეთ მონაკვეთში გამოვლინდა განსხვავებული შეფერილობის მქონე კულტურული ფენა (812), რომელიც შეიცავდა ჩალენილი კერამიკული მასალის ფრაგმენტებს, საიდანაც დერგის ძირის აწყობა მოხერხდა (სურ. 8). კეცი მცირე რაოდენობით შეიცავდა კვარცის მინარევებს, ის კარგად განლექილი და გამომწვარი იყო. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ხუნწში მოპოვებული კერამიკული ნაკეთობები ყოველთვის კარგად გამომწვარი და განლექილია. ეს ეხება სამშენებლო მასალასაც, კრამიტი ყოველთვის თანაბრადაა გამომწვარი, ფერთაც ძირითადად გვხვდება მონ-

ითალო-აგურისფრად გამომწვარი ნიმუშები.

თხრილის ჩრდილოეთ გაგრძელებაზე გამოვლინდა გალავნიდან გადაქცეული ნაყარი ქვების ფენა (813). ფენა შეიცავდა დიდი და საშუალო ზომის კირქვებს, კირის ფრაგმენტებსა და კერამიკულ მასალას. ამავე ფენაში აღმოჩნდა ნელშენეილი, კოლხური („ეგრისული“) ამფორის ტანის ფრაგმენტი (სურ. 6-7), კეცი – ყავისფრად გამომწვარი. შიდა მხარეს ეტყობოდა თოკზე ამოყვანის კვალი. ასევე, ხაზგასასმელია, რომ ამფორას შიდა მხრიდან გადაკრული აქვს შავი ფენა, რომელიც მასში ნავთობის პროდუქტის შენახვის დამადასტურებელი უნდა იყოს. ამ სეზონზე აღნიშნული ფენის დაღრმავება არ მოესწრო, თუმცა მოხდა მის ჩახაზვა და ფოტო-ფიქსაცია. N8 თხრილის ჩრდილო-დასავლეთ გაგრძელებაზე შესწავლილი გალავანი თითქმის ძირამდეა დანგრეული, ისე როგორც ციხის სხვა მონაკვეთებში, მაგრამ შემორჩენილია მისი შიდა და გარე საპირე ნყობა, გამოვლენილი გალავნის ზომებია სიგრძეში 10 მეტრი, ხოლო სიგანეში 1.7 მეტრი). იგი ნაგებია სხვადასხვა ზომის უხეშად გათლილი კირქვებით (ქვების ზომები: 10X16სმ; 20X25სმ; 30X35სმ); სადულაზე მასალად გამოყენებულია კირხსნარი, რომელიც კარგად იყო შემორჩენილი ქვებს შორის გალავნის სამხრეთ მონაკვეთში (სურ. 2).

N9 თხრილზე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში

2021 წელს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, 2020 წელს ქუქითის გორის აღმოსავლეთ დაფერდებაზე გაჭრილი N9 თხრილი გაფართოვდა სამხრეთის მიმართულებით 10 მეტრზე. თხრილის გაფართოების მიზანს წარმოადგენდა გასულ სეზონებზე განმედილი კედლის გაგრძელების გამოვლენა. როგორც წინა წლებში აღნიშნულ თხრილზე ჩატარებულმა სამუშაოებმა გვიჩვენა, გალავანი შედგება ცალ-ცალკე ნაგები კედლის მცირე

კონსტრუქციებისგან, რომელიც ერთგვარ ზიგზაგისებურ მონაკვეთს ქმნიან (სურ. 3). ჩვენი ვარაუდით მშენებლობის ეს მეთოდი მეტი სიმტკიცისთვის იქნა შემუშავებული, რამდენადაც ქუქითის გორა მთლიანად თიროვანი ქანებისგან შედგება, რომელიც იოლად შლადი და ეროზირებადია. N9 თხრილის სამხრეთი გაფართოებისას ახლად გამოვლენილი კედელი (110), ისევე როგორც ხუნწის ციხის სხვა სტუქტურები ნაგებია კირქვისა და კირხსნარისაგან; კედელი ნაგებია სამხრეთ-ჩრდილოეთის ხაზზე; წყობა, რომელიც ზედაპირული დათვალიერებისას იკითხებოდა, წარმოადგენს გასულ წლებში თხრილის ჩრდილოეთ მონაკვეთში გამოვლენილი კედლების ფრაგმენტების (904), (106), (108) სამხრეთ გაგრძელებას, რომელიც მათთან მიმართებაში კუთხეს ქმნის. გალავნის საპირე წყობა არ იკითხება. როგორც ჩანს, გალავნის მხოლოდ ერთი მონაკვეთია მტკიცედ შემორჩენილი, რომელსაც დასავლეთიდან კირქვების მშრალი წყობა ესაზღვრება. მიმდინარე სამუშაოების პირველ ეტაპზე, თხრილის სამხრეთ გაფართოებაზე გამოვლენილი წყობები ერთ მთლიან მონაკვეთად მოიაზრებოდა, თუმცა სეზონის ბოლოს, როცა სრულად მოიხსნა კორდოვანი ფენა (100), გავმიჯნეთ ძირითადი გალავნის ფრაგმენტი და დამხმარე ნაგებობისთვის მოწყობილი მშრალი წყობის კედელი, რომლის მსგავსიც გამოვლინდა 2019 წელს გაჭრილ №9 შურფში, ძირითადი კედლის (904) პარალელურ რიგად. თხრილის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში გამოიკვეთა ნაშალ-ნანგრევი კედლის კვალი (111). თხრილის სამხრეთი გაფართოების ცენტრალურ მონაკვეთში დიდი რაოდენობით გამოვლინდა მტკიცე, ცემენტისებური კირის დულაბის მსხვილი ფრაგმენტები, ისეთივე, როგორიც გამოყენებულია ციხის ტაძრის მშენებლობაში. შესაძლოა ხსენებული ფრაგმენტები თხრილში სწორედ ტაძრის ნგრევის შემდეგ იყოს ჩამოცურებული.

თხრილის სამხრეთ გაგრძელების დასავლეთ კიდესთან, ისევე როგორც მის ჩრდილოეთ მონაკვეთში გამოვლინდა ნაშალი ფენა (102), რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავდა კერამიკულ სამშენებლო მასალასა და მოზრდილ, სამეურნეო ქურჭლის

ფრაგმენტებს. ძალიან მცირე მონაკვეთში (0.4X0.5მ ფართობი) გამოვლინდა გასულ წელს განმენდილი რიყის ქვის „ყუმბარების“ შემცველი ფენის (103) ფრაგმენტი, სადაც ამოვიდა რამდენიმე რიყის ქვის ყუმბარა.

რაც შეეხება გამოვლენილ არქეოლოგიურ მასალას, გარდა სამშენებლო კერამიკისა, მცირე რაოდენობით ამოვიდა კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებიც (სურ. 12-14). უფრო მეტად სამეურნეო, ნაკლებად გვხვდება სასუფრე და სამზარეულო დანიშნულების. ასევე, გამოვლინდა ძელოვანი მასალა, ძირითადად საქონლის ძვლები.

N10 თხრილზე ნარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში

N10 თხრილი მდებარეობს ხუნნის ციხის დასავლეთ ნაწილში. თხრილის გაჭრის მიზანი 2020 წლის არქეოლოგიურ სეზონზე N7 თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლენილი კედლის სამხრეთ გაგრძელების დაფიქსირება იყო.

N10 თხრილის სიგრძე 15 მეტრია, სიგანე 5 მეტრი. ჰუმუსის მოხსნისას გამოვლინდა კერამიკული სამშენებლო მასალების ნატეხები, კირქვა და მცირე რაოდენობით სამეურნეო კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტი. სავარაუდოდ, ჰუმუსში აღნიშნული მასალა თხრილის სამხრეთით მდებარე ფერდობიდან უნდა იყოს ჩამორეცხილი.

ჰუმუსის ალების შემდეგ თხრილის მთლიან პერიმეტრზე გამოვლინდა სამშენებლო წყობა (104) (სურ. 4), რომელიც N7 თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლენილ კედელთანაა დაკავშირებულია. ის ციხის დასავლეთ კოშკიდან ფერდობზე ამოდის აღმოსავლეთ მიმართულებით და შემდეგ მკვეთრად (900-იანი კუთხით) უხვევს სამხრეთისკენ.

თავდაპირველად, კედლის გამოჩენისთანავე დავიწყეთ მისი გვერდების ჩალმავება, რათა დაგვეფიქსირებინა კედლის საფასადე წყობები და გალავნის სიგანე, რათა კედლის გათხრა

მისი დაზიანების გარეშე გაგვეგრძელებინა. გვერდების დაღრმავებისას კედლის სამხრეთით გამოჩნდა არქეოლოგიური ფენა (101), რომელიც შეიცავდა კერამიკული სამშენებლო მასალების ფრაგმენტებს. თხრილის კიდეების დაღრმავების შემდეგ, გამოვლინდა გალავნის (104) საფასადე წყობა, რომელიც ნაწილობრივია შემორჩენილი, რადგან კედელი ძალიან დაზიანებულია. მისი სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი საერთოდ დაძრულია ჩრდილოეთით, საითაც დაფერდება გრძელდება.

განმენდის დასრულების შემდეგ დადგინდა კედლის ზომები, სიგრძით 15 მეტრი სიგანეში 1 მეტრიდან 1.20 მ-მეტრამდე. მის ასაშენებლად გამოყენებულია კირქვა, სადულაზე მასალად კი კირხსნარი. კირქვის ბოლოები მომრგვალებული და კუთხოვანია. თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდიდან 5,5 მეტრში კედელი მცირედით უხვევს სამხრეთით და მიემართება დასავლეთით. აღსანიშნავია გალავნის (104) სამხრეთ პირზე აღმოჩენილი სავარაუდო „პილონები“, რომელიც კედელზე შიდა (სამხრეთი) მხრიდანაა მიდგმული და სამხრეთ-ჩრდილოეთის ხაზზეა დამხრობილი. პილონები ერთმანეთისგან 4 მეტრითაა დაშორებული, ჯერჯერობით იკითხება მხოლოდ 2 პილონი, რომელიც მდებარეობს თხრილის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილებში (სურ. 5).

ჯერჯერობით თხრილში აღმოჩენილი კულტურული ფენები სრულად არაა შესწავლილი. საანგარიშო სეზონზე ამოსული არქეოლოგიური მასალიდან ჭარბობს კერამიკული სამშენებლო მასალების ნატეხები (ფილა, აგური, კრამიტი), შედარებით ნაკლებია სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი და მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი სუფრის ჭურჭელი (სურ. 15-16). აღმოჩენილი მასალებიდან აღსანიშნავია, სამკუთხა კრამიტის ფრაგმენტი რომელსაც სამი ჰორიზონტალური ხაზი დაუყვება. ასევე, ამფორის პირ-ყელის ნატეხი და ქვის ფრაგმენტი წინვოვანი ორნამენტით (სურ. 17).

2022 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში

საანგარიშო წელს, ხუნწის ციხის ტერიტორიაზე სამუშაოები წარიმართა ორ უბანზე, 2020 წელს გაჭრილ N8 თხრილზე, რომელიც გაერთიანდა გასულ წლებში გაჭრილი №5 თხრილთან და დასავლეთით გაფართოვდა 8 მ-ით. ასევე გაგრძელდა ხუნწის ციხის პლატოს დასავლეთ კიდეზე, 2021 წელს გაჭრილი N10 თხრილის კვლევა. ძირითადი სამუშაოების დაწყებამდე ხუნწის ციხეზე შესასწავლი ტერიტორიები გაიწმინდა მცენარეული საფარისგან (სურ. 1).

N8 თხრილზე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში

2022 წლის სეზონზე N 8 თხრილი გაფართოვდა ორი მიმართულებით – დასავლეთით 8X8 მეტრით, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით 5X5 მ-ით (სურ. 18). თხრილის გაფართოების მთავარი მიზანი (809)-ე გალავნის ჩრდილო-დასავლეთ გაგრძელების გამოვლენა და თხრილის დასავლეთით 2021 წელს მცენარეული საფარის გასუფთავების დროს გამოჩენილი ახალი კედლის (815) ორიენტაციისა და რაობის დაზუსტება იყო (სურ.19). აღნიშნული კედელი თავისი მდებარეობით იდეალურ ადგილს წარმოადგენდა კოშკის ასაგებად, რადგან ის მდებარეობდა ქუჩითის გორის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთზე. შესაბამისად, პირველადი ინტერპრეტაციით ის გალავნის შიგნით ჩაშენებული ოთხკუთხა კოშკის ფრაგმენტი უნდა ყოფილიყო. თუმცა შემდგომმა გათხრებმა აჩვენა, რომ საქმე გვქონდა არა კოშკის კედელთან, არამედ ციხის კიდევ ერთ, შიდა გალავანთან, რომელიც ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში მდებარეობდა, აღმოსავლეთ ფერდიდან ჩრდილოეთის მიმართულებით გრძელდებოდა და უერთდებოდა წინა წლებში N 3 თხრილში გამოვლენილი კედლის ფრაგმენტებს (303, 307). შეიძლება ითქვას,

რომ წლევანდელმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა ხუნნის ციხის ორ ზღუდიანობა დაადასტურა, რაც ციხის არქიტექტურის შესწავლისათვის მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

რადგანაც თხრილის გასათხრელი ტერიტორია დიდ ფართობს მოიცავდა და მდებარეობდა ფერდობის თხემსა და კიდეზე, პირველად აღებულ ჰუმუსის ფენას მივეციით ორი (801) და (802) კონტექსტის ნომერი, რათა კარგად გაგვემიჯნა თხრილის სხვადასხვა ნაწილში ჰუმუსის ფენაში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა. სამუშაოები თხრილის ყველა მონაკვეთში ერთდროულად მიმდინარეობდა. მასალით მდიდარი კი ე.წ. აღმოსავლეთ „გალავნებს შორისი“ მონაკვეთი იყო, სადაც დიდი რაოდენობით იყო კონცენტრირებული კერამიკული ჭურჭელი და სამშენებლო მასალა. თხრილის ჩრდილო-დასავლეთ გაფართოებულ მონაკვეთში მალევე გამოჩნდა ყამირი ფენა (817), საინტერესოა ის ფაქტი, რომ თხრილის ამ მონაკვეთში, გალავნის ჩრდილო-დასავლეთით ცხოვრების კვალი შემორჩენილი არაა. ამიტომ ამ ნაწილში აღარ დავღრმავებულვართ. თხრილის ცენტრალურ მონაკვეთში, გავაკეთეთ ე.წ. საფეხური და გავაგრძელეთ გალავნის მიმართულებით დაღრმავება. სადაც აღმოჩნდა სავარაუდოდ, ბორცვის ზედა ნაწილიდან (თხრილი N 1, ტაძრის ტერიტორია, სადაც წინა წლებში ძვ.წ. VI-IV საუკუნეების ფენა დაფიქსირდა) დაცურებული ადრეანტიკური და ადრეშუა საუკუნეების არეული ფენა (816). ფენაში დაფიქსირდა:

1. კანელურებიანი, შავად გამომწვარი დერგის ფრაგმენტები,
2. ბაკოგადმოკეცილი თხელკედლა დერგის ფრაგმენტები (სურ. 21-22).
3. ამასთანავე, ამოდიოდა ადრეშუასაუკუნეებისთვის დამახიასიათებელი ნითლად გამომწვარი ჭურჭლის ფრაგმენტები.

რაც შეეხება, ე.წ. „გალავნებს შორის“ მონაკვეთს. თავდაპირველად ავიღეთ ნაყარი ქვების გროვა (813) რომელიც, სავარაუდოდ (815) და/ან (809) კედლების ნგრევის შედეგად უნდა

წარმოქნილიყო. ფენის ალების შემდგომ გამოჩნდა (818)-ე ფენა, რომელიც მდიდარი იყო კერამიკული მასალით – ამოვიდა დოქის საინტერესო ნიმუში (სურ. 23), სამეურნეო (ქვევრი, დერგი და ამფორა) და სამზარეულო (ქოთანი, ტაფა) ჭურჭლის ფრაგმენტები. განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა ამფორის ფრაგმენტები. ცალკე გამოსარჩევია ამფორის ან დიდი ზომის დოქის (?) მუცლის ფრაგმენტი, რომელზეც სველ თიხაზე ამოღარულია რთული ნიშანი (სურ. 24, 39), და ფილის ფრაგმენტი, რომელზეც სავარაუდოდ, ან მარტივი „ლუზისებური“ ორნამენტი ან ბერძნული ψ (?) არის ამოღარულია (სურ. 25, 40).

თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში, ჰუმუსის (800) ალების შემდეგ გამოვლინდა (814)-ე ფენა მდიდარი კერამიკული მასალით. არსებული ფენაც გალავნის გადანგრევის შედეგად უნდა წარმოქნილიყო. ფენის ალებისა და დაღრმავების შემდეგ დავაფიქსირეთ (809)-ე გალავნის საძირკვლის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთი, რომელიც N8 თხრილში ჯერ სამხრეთ-ჩრდილოეთ მიმართულებით მიემართება, 12 მეტრის გავლის შემდეგ 90 გრადუსიანი კუთხით უხვევს დასავლეთით (მცირედი გადახრით ჩრდილოეთისკენ) და უერთდება წინა წლებში N5 თხრილში გამოვლენილ. (815)-ე გალავნის ფრაგმენტი გაშლილია სამხრეთ-ჩრდილოეთის ხაზზე, რომელიც თითქმის მართი კუთხით უხვევს ჩრდილოეთისკენ, ამ გალავნის კედლის გარე სრული ზომა 14.10 მ-ია, იგი (809-ე) კედლის პარალელურია. ამ გალავნის აღმოსავლეთ საპირე წყობა ყველაზე კარგადაა შემორჩენილი. წყობებს შორის რიგები არ არის დაცული და აშენებულია სხვადასხვა ზომის კირქვებით კირის დულაბზე.

რაც შეეხება კერამიკულ მასალას, 2022 წლის სეზონზე აღმოჩენილი ჭურჭლის ფრაგმენტები სახიერი და გამორჩეულია. გამოვლინდა სამშენებლო, სამეურნეო, სამზარეულო და სასუფრე დანიშნულების კერამიკა. დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ამფორის ნატეხები, უდიდეს უმრავლესობას ემჩნევა თოკზე ამოყვანის კვალი (სურ. 27-28). აღსანიშნავია გატეხილი ამფო-

რის ყური, რომელზეც სველ თიხაზე ამოღარული უნდა ყოფილიყო წრეში ჩასმული X (სურ. 26). დავაფიქსირეთ რამდენიმე ერთეული ვიწროტანიანი, ცილინდრული დერგის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (სურ. 29-30), როგორც ცნობილია, მსგავსი ტიპის დერგები ძირითადად, ყველის შესანახანად გამოიყენებოდა. საანგარიშო სეზონზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ლანგრის ფრაგმენტები, აღასანიშნავია შავად გამომწვარი ლანგრის ორი ნატეხი (სურ. 31), სამზარეულო კერამიკიდან გამოსარჩევია ქოთნები და ტაფის ფრაგმენტი გვაქვს როგორც უყურო, ასევე ყურიანი ქოთნის ცალები (სურ. 32-33). აღმოჩნდა რამდენიმე ერთეული ხუფის (სურ. 34) ფრაგმენტი. ასევე, გამოვლინდა ერთი ცალი კერამიკული ჭურჭლის მცირე ნატეხი, რომელიც შუაში გახვრეტილია. სავარაუდოდ, საქმე უნდა გვექონდეს ნატეხის მეორად გამოყენებასთან და ის სანაფის ან ბადის საძირის(?) ფუნქციას ასრულებდა (სურ. 35).

სამშენებლო კერამიკული მასალიდან გამოირჩევა ფილები, დიდი ზომის გვერდებაკეცილი და ღარიანი კრამიტები.

N10 თხრილზე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში

მიმდინარე წელს გაგრძელდა 2021 წელს ციხის პლატოს დასავლეთ კიდეზე გაჭრილ N10 თხრილში გამოვლენილი გალავნის ფრაგმენტის განმენდა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დაფიქსირებული კულტურული ფენების დაღრმავება და მათი შესწავლა).

2022 წლის სეზონის პირველ ეტაპზე დავიწყეთ თხრილში გამოვლენილი გალავნის შიდა (სამხრეთ-აღმოსავლეთ) ნაწილში არსებული კულტურული ფენების დაღრმავება, პარალელურად იწმინდებოდა გასულ წელს გამოვლენილი კედლის ზედაპირი. თხრილის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გამოვლენილი (108)-ე ფენა დიდი რაოდენობით შეიცავდა კერამიკულ სამშენებლო მასალებსა და უხეშად გათლილ კირქვას. სავარაუდოა, რომ აღ-

ნიშნული ფენა, ისევე როგორც (109), (110) და (111) ფენები შესაძლოა თხრილში აღმოჩენილი კედლის ნგრევის შემდგომ იყოს წარმოქმნილი. თხრილის სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილების დაღრმავების შემდეგ აღმოჩნდა ფენა, რომელიც სავარაუდოდ დანგრეულ კედელს წარმოადგენს (სურ. 20). ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ის, რომ კირქვის ნატეხები, ფენაში დაშლილ კირის დუღაბთან ერთად დაფიქსირდა. ასევე, თხრილის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, თითქმის იგივე სიმაღლეზე აღმოჩნდა დამწვარი ნახშირიანი ფენა (115), რომელიც შესაძლოა, ნგრევისას ან ნგრევამდე წარმოქმნილ დამწვარ მასას წარმოადგენდეს. საფიქრებელია, რომ არქეოლოგიური გათხრების ამ ეტაპზე N10 თხრილში დაფიქსირებული დანგრეული გალავნის ფენის ქვეშ, მომავალი არქეოლოგიური სეზონზე, სავარაუდოდ, აღმოჩნდება კულტურული ფენები, რომელიც უშუალოდ ციხის ფუნქციონირებისას წარმოიქმნა.

აღსანიშნავია, რომ კედლის ზედაპირისა და შიდაპირის განმედიის შემდგომ დადასტურდა, რომ კედლის შუა ნაწილი დაცურებულია სამხრეთიდან-ჩრდილოეთისკენ, რელიეფის დაქანების მიმართულებით. ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია, თუ რამ გამოიწვია კედლის ასე დაცურება, ეს მოხდა ბუნებრივი პროცესების შედეგად თუ ციხის გამიზნულად დანგრევის დროს, როდესაც კედლის ამ მონაკვეთს სპეცილური ბერკეტებით დაძრავდნენ. სწორედ, გალავნის ცენტრალურ მონაკვეთში გაჩენილი ბზარები გვაფიქრებინებს, რომ კედლის ერთი ნაწილი მექანიკური ზემოქმედების შედეგად დაიძრა და ამან გამოიწვია დანარჩენი ნაწილებიდან მოწყვეტა/გადატეხვა (სურ. 20).

თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, აღმოჩნდა კირქვის კედლის ფრაგმენტი (117). ჯერჯერობით მხოლოდ მისი ზედაპირის გადანმენდა მოესწრო. ჩანს, რომ კედელი კირქვით და კირხსნარის გამოყენებითაა ნაგები, მისი ზომებია 1.60 მ X 0.50 მ, კედლის სიგანე ბოლომდე დადგენილი არაა, რადგანაც მისი ზედაპირი ბოლომდე არ გადანმენდილა, კედელი დამხ-

რობილია ჩრდილო-დასავლეთ სამხრეთ აღმოსავლეთის ხაზზე. მისი ფუნქციის განსაზღვრა ჯერჯერობით ნაადრევია, თუმცა ჩვენი აზრით აღნიშნული კედელი ციხის თავდაცვითი სისტემის ნაწილი არაა და სხვა სამოქალაქო/სამეურნეო ნაგებობის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

რაც შეეხება გამოვლენილ არქეოლოგიურ მასალას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიმდინარე წელს ძირითადად, დავაფიქსირეთ ნაშალ-ნანგრევი ფენები და ლოგიკურია, რომ მასში გამოვლინდა უმეტესად სამშენებლო კერამიკა, თითქმის თანაბარი რაოდენობის ფილა და კრამიტი. კრამიტის ფორმებიდან ჭარბობს გვერდებაკეცილი ტიპი. თხრილის დასავლეთ ნაწილში გამოვლენილ კულტურულ ფენაში (119) თხრილის სხვა მონაკვეთებისგან განსხვავებით სამშენებლო კერამიკასთან ერთად, გამოვლინდა შედარებით დიდი რაოდენობის სამეურნეო ჭურჭლის ფრაგმენტები, უმეტესად ამფორების უსახური ნატეხები. ამფორებთან ერთად რამდენიმე დერგის ფრაგმენტიც აღმოჩნდა. თხრილის დასავლეთ ნაწილში ფილების, აგურებისა და კრამიტების გვერდით ჭურჭლის ნატეხების გამოვლენა უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ამ სეზონის ბოლოს N10 თხრილის დასავლეთ მონაკვეთში, შესაძლოა დავედით ციხის თანადროულ ფენაზე.

The report of the archaeological works, carried out in Khun- tsi fortress in 2021-2022

Summary

During the seasons (2021, 2022), area of the current investigation of the Fortress was completely cleared of vegetation.

In 2021 archaeological works was carried out in the three parts of the fortress (trenches N8, N9, N10). As a result of archaeological works, expedition had better understanding how the walls were connected to each other, and in 2022 walls cleared in trench N8 was its confirmation. There was unearthed a lot of ceramic materials, mainly huge potteries, vessels and amphoraes, and many ceramic building materials (ceramic tiles and bricks). In 2022 Archaeological excavations carried out on two parts of the fortress.

Trench N 8 was extended to the west 8 by 8 meters, and trench N 8 and trench N 5 was united. As a result, the expedition unearthed the corner part of the North-East fortified wall and a new wall to the southwest of it, which proved that the Khuntsi fortress had two parallel walls on that part of the hill. A lot of early medieval pottery fragments were revealed during the season – various sorts of storage, cooking and table pottery discovered.

Earlier revealed fortified wall and connected layers has been cleaned and excavated in the N 10 trench (Size: 15X5 meter) in 2022. Demolished wall and roof layers found on the southeast side of the fortified wall. It will be possible to reach fortification activity period layers in trench N 10 next archaeological season.

Archaeological works in 2021 and 2022 were funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ლომიტაშვილი დ., ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ბ., ევერ-ილი პ., ქოლვინი პ., ხუნწის ციხე, იბერია-კოლხეთი. საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი. №13, 2017.

ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ., ლომიტაშვილი დ., ქებულაძე ნ. 2017 წელს ხუნწის ციხეზე შესრულებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში. კრებული: „2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული“. თბ., 2018a.

ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ., ლომიტაშვილი დ., ევერ-ილი პ., ქოლვინი ი. სად მდებარეობდა ეგრისის ციხესიმაგრე ონოგურისი?, არქეოსპექტრი №1, თბ., 2018b.

ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ., ლომიტაშვილი დ., ქებულაძე ნ. ნინიაშვილი თ., ალანია დ., ხუნწის ციხეზე 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში. კრებული: „2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული“. თბ., 2019.

ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ., ლომიტაშვილი დ., ქებულაძე ნ. ნინიაშვილი თ., ალანია დ., ხუციშვილი ნ. ხუნწის ციხეზე 2019 წელს წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში. „2019 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული“, თბ., 2020.

მურღულია ნ. ახალი აღმოჩენა ხუნწის ციხეზე, ონლაინ არქეოლოგია, № 18, 2020.

ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ., ლომიტაშვილი დ., ქებულაძე ნ., ნინიაშვილი თ., ალანია დ., ხუციშვილი ნ., დისამიძე ნ., ხუნწის ციხეზე 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში, 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. თბ., 2021.

სქოლასტიკოსი ა., გეორგიკა, III, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტფ., 1936.

ვაილოძე ა., მატიანე ხონისა, ნაწილი მეორე, თბ., 2003.

Everill P., Lortkipanidze B., Murghulia N., Colvin I., Lomitashvili D. The lost fortress of Onoguris? Newly discovered sixth-century AD fortifications at Khuntsistsikhe, western Georgia. *Antiquity*, Volume 91, Issue 356, Cambridge University Press. Published online: 04 April 2017, 5.

ილუსტრაციების აღწერილობა

1. ხუნნის ციხის ტოპო-გეგმა, 2021 წელს შესწავლილი უბნების ჩვენებით

2. 2020-2021 წლებში განმენდილი გალავანი N8 თხრილში. აეროფოტო. ხედი აღმოსავლეთიდან

3. 2019-2021 წლებში N9 თხრილში გამოვლენილი გალავანი. საერთო ხედი აღმოსავლეთიდან

4. N10 თხრილის აეროფოტო, გამოვლენილი გალავანი (104) განმენდის შემდეგ (2021 წ.)

5. N10 თხრილში განმენდილი გალავნის აღმოსავლეთ ფასადზე მიდგმული სავარაუდო პილონები (2021 წ.)

6-7. N8 თხრილის (813)-ე ფენაში აღმოჩენილი წელშეზნექილი ამფორის ფრაგმენტი

8. (812)-ე ფენაში ჩალენილი კერამიკიდან აწყობილი დერგის ფრაგმენტი

9. N8 თხრილში დაფიქსირებული დოქის ყელის ფრაგმენტი

10-11. N8 თხრილში გამოვლენილი კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები

12-14. N9 თხრილში გამოვლენილი ჭურჭლის კორპუსის ფრაგმენტები

15-16. N10 თხრილში გამოვლენილი ჭურჭლის ფრაგმენტები

17. N10 თხრილში გამოვლენილი ქვაში ნაკვეთი ორნამენტის ფრაგმენტი

18. აერო-ფოტო. N8 თხრილის საერთო ხედი აღმოსავლეთიდან (2022 წ.)

19. აერო-ფოტო. N8 თხრილის ტერიტორია სეზონის დასასრულს (2022 წ.)

20. N 10 თხრილის ორთო-ფოტო (2022 წ.)

21-22. N8 თხრილში გამოვლენილი ადრეანტიკური ჭურჭლის ფრაგმენტები

23. N8 თხრილში გამოვლენილი დოქის კორპუსის ფრაგმენტი

24. N8 თხრილში გამოვლენილი ჭურჭლის კორპუსის ფრაგმენტი ამოღარული ნიშნით

25. N8 თხრილში გამოვლენილი ფილა, ამოღარული ნიშნით

26. N8 თხრილში გამოვლენილი ამფორის ყურის ფრაგმენტი ამოღარული ნიშნით

27-28. N8 თხრილში გამოვლენილი ამფორის ძირისა და კორპუსის ფრაგმენტი

29-30. დერგის ძირისა და პირ-გვერდის ფრაგმენტი

31. ლანგრის პირ-გვერდის ფრაგმენტი

32-33. ქოთნის კორპუსის ფრაგმენტები

34. ხუფი

35. წრიული, შუაში გახვრეტილი, გაურკვეველი თიხის ნივთის ფრაგმენტი.


36. ქვევრის ძირ-გვერდის ფრაგმენტი

37-38. N8 თხრილში გამოვლენილი ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტები

39. N8 თხრილში გამოვლენილი ჭურჭლის კორპუსის ფრაგმენტი ამოღარული ნიშნით. ნახატი

40. N8 თხრილში გამოვლენილი ფილა, ამოღარული ნიშნით. ნახატი

ილუსტრაციები



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ.4



სურ.5



სურ.6



სურ.7



სურ.8



სურ.9



სურ.10



სურ.11



სურ. 12



სურ.13



სურ.14




სურ.15



სურ. 16



სურ.17



სურ. 18



სურ. 19



სურ. 20



სურ. 21



სურ.22



სურ.23



სურ.24



სურ. 25



სურ. 26



სურ.27



სურ.28



სურ.29



სურ. 30



სურ. 31



სურ.32



სურ.33



სურ.34



სურ. 35




სურ.36



სურ.37




სურ.38



ს 28 კ 44/22 Ⴕ

სურ. 39



კ 44/22 ს 28 (818) Ⴕ

სურ.40

ხელოვნება

ელდარ ნადირაძე

სამხრეთ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ეთნოკულტურა და ხელოვნება

საკითხი, რომლის განხილვასაც ვთავაზობთ მკითხველს, თავისი მნიშვნელობით უალრესად საინტერესოა, რადგან იგი ეხება კულტურის ისტორიის პრობლემას და აქედან გამომდინარე, მისი შემდგომი ნაკადების განვითარების პროცესს. ეს არის საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, სადაც რელიეფურადაა გამოხატული ადამიანთა საყოფაცხოვრებო და ესთეტიკური ღირებულებანი, მათი მოთხოვნილების დონე და ამ მოთხოვნილებათა შესრულების ხარისხი. ცნობილია, რომ ხელოვნება სხვადასხვა საშუალებებით ცდილობს წარმოადგინოს ადამიანთა საზრუნავის სამყარო იგი მოითხოვს კონკრეტული წესების ან ტექნიკის გამოყენებას, რომელიც საჭიროა ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად და რამდენადაც შემოქმედი ფლობს ამ თვისებებსა და წესებს, იმდენადაა მისი ქმნილება ყურადღების ღირსი. თანამედროვე მეცნიერული დეფინიციით ხელოვნება ყველაზე უფრო განზოგადებული ფორმით გულისხმობს: ხელოვნების ნიმუშების შექმნას, ხელოვნების ესთეტიკის გავრცელებასა და მის აღქმას (N. Carrol, 2000: 56). ხელოვნება თავისი არსით მრავალფეროვანია რომლის პროდუქტი იქმნება ადამიანის ნიჭით, შრომით, კრეატიულობით, თვითგამოხატვისა და თვითშემეცნების უნარის მიხედვით, ხელოვნების მიზანში ხშირად წარმოჩინდება იდეათა გაზიარების სურვილი, პიროვნულ ურთიერთობათა სპექტრი, საყოფაცხოვრებო და სოციალური საჭიროებით გამოწვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობა.

როგორც ხელოვნების ისტორიიდანაა ცნობილი XIX ს-ის 50-იან წლების ევროპაში წარმოიშვა ფორმალისმის პირველი ნიშნები, რომლის დეკადენტური აზრი გამოხატული იყო ლოზუნგით „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ამ უკიდურესობით

გამსჭვალულმა თეორიამ სულ წამდენიმე წელი იცოცხლა და მიუხედავად იმისა, რომ მისი სკეფსისით დამძიმებული საფუძვლების შექმნაში დიდი შემოქმედებითი ნიჭის ადამიანებიც იღებდნენ მონაწილეობას, ეს თეორია ვერ იგუა და ვერ გაითავისა კაცობრიობის რაციონალურმა აზრმა. ვერ შეიგუა რადგანაც ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასია მზით განათებული სამყარო, მისი ბუნება, ყოველდღიური ცხოვრების რიტმი: შრომა, გართობა, სიყვარული, შემოქმედებითი მოღვაწეობა ამ ნიადაგზეა ამოზრდილი ხელოვნება. იგი იქმნება ადამიანური ვნებათაღელვის მრავალფეროვან გარემოში და ამიტომაც შეუძლებელი დაგუმორჩილოთ იგი ერთი კონკრეტული სფეროს, ჩაკეცვით და შემოვავლოთ ბარიერი, რომელიც მის სიმდიდრეს კი არ დაიცავს, არამედ გაალარიბებს ახალი ნაკადების მიუერთებლობით.

წარმოდგენილი ნაშრომის დედააზრს სრულიად პასუხობს ამერიკის ესთეტიკის საზოგადოების პრეზიდენტი, ცნობილი ფილოსოფოსისა და კულტუროლოგის, ჯორჯ დიკის დასკვნას იმის შესახებ, რომ ხელოვნების პირველ ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ კულტურის არქეტიპი ანუ არტეფაქტი (G. dickie, 1971: 13-18). ფაქტობრივად, ამ მოსაზრებით, დაშვებულია იმის აღიარება, რომ ხელოვნების პირველსაწყისს ადრეკლასობრივ საზოგადოებაში უდევს საფუძველი, რის შემდეგაც ხელოვნების უკვდავი ქმნილებანი შეიქმნა ძველ აღმოსავლეთში, ეგვიპტეში, ჩინეთში, ინდოეთში, სპარსეთში, საბერძნეთში, რომში და ხმელთაშუაზღვის კულტურასთან ნაზიარებ ხალხებში (Н. Дмитриева, 1956:), რომელშიაც იგულისხმება კავკასიის აბორიგენი მოსახლეობაც. საგულისხმოა, რომ ამ მასალის დიდი ნაწილი ეთნოკულტურის სფეროშია შექმნილი, უფრო მეტიც, შესაძლოა ითქვას, რომ ხელოვნების პირველსაწყისები და მისი განვითარების პირველადი ფორმები მხოლოდ ეთნოკულტურაშია საძიებელი. ეთნოკულტურული არქეტიპები გამოხატავენ და ამყარებენ ეთნოსის, როგორც კულტურული მთლიანობის ფუძემდებლურ თვისებებს. ყოველ კულტურაში საკუთარი ეთნოკულტურული არქეტიპები

დომინირებენ, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ ეთნოსის მსოფლმხედველობას, მის ხასიათს, ისტორიულ ბედსა და თავისებურებებს. ეთნოკულტურულ არქეტიპებში კონცენტრირებული სახითაა წარმოდგენილი ეთნოსის კოლექტიური გამოცდილება. ეთნოკულტურული არქეტიპების არსებობა მნიშვნელოვანი პირობაა კულტურის მთლიანობისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. საგულისხმოა, რომ ბერძნულ-რომაული, ბიზანტიური, შუასაუკუნეების, აღორძინების ხანის, ისლამური, ინდური, ჩინური თუ იაპონური ხელოვნება არასდროს ყოფილა უტილიტარული ხელოვნების გარეშე, ეს ფაქტი პირველყოვლისა გამჟღავნებულია საცხოვრისში, ავეჯში, ჩაცმულობაში, შეიარაღებაში, საყოფაცხოვრებო საგნებისა და ზოგადად, ხელოსნობის დარგების მრავალფეროვან პროდუქციაში.

რა თქმა უნდა, ჩვენ ვიზიარებთ ხელოვნების სამყაროში მიღებულ გამიჯვნას ხელოვნებასა და ხელობას შორის. განსხვავება ამ ორ დარგს შორის არის ის, რომ ხელოვნების ნიმუში, როგორც ნესი, უნიკალური ნაწარმოებია, რომელსაც ავტორის გენიალობას მიაწერენ, ხოლო ხელოსნები ძირითადად მისდევენ ტრადიციული მოდელების გამეორებას, რაც სრულდება სერიული პროცესის შედეგად (S. Davies, 1991: 99). ეთნოკულტურული მემკვიდრეობის შეფასებისას ზოგჯერ ამ აზრს ერთმნიშვნელოვნად იზიარებენ და ნაკლებად ცდილობენ დაინახონ ორიგინალობისა თუ გენიალობის ნიშნები ამ სფეროში, რაც შეცდომად მიგვაჩნია.

წარმოდგენილი შრომის ძირითადი მიზანია მსოფლიოს ერთ-ერთი საინტერესო რეგიონის – ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ეთნოკულტურაში ხელოვნების ნაკადებზე ყურადღების გამახვილება და იმ ტიპის მასალის ილუსტრირება, რომელიც მათი, როგორც ხელოვნების ნიმუშის, შეფასებისათვის გამოდგება. გვსურს აღვნიშნოთ, რომ ამ საკითხის კვლევის ორიგინალობას ვერ დავიჩემებთ, რადგან ხელოვნების მრავალფეროვანი პლასტიკების კვლევის საქმეში უა-

მრავი ნაშრომია გამოცემული, როგორც ჩვენში ასევე საზღვარგარეთ. თუ მაინც ვაპირებთ ვისაუბროთ ამ თემის ირგვლივ, მხოლოდ იმიტომ, რომ შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინოთ ეთნოგრაფიულ ყოფასა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ეთნოკულტურული მემკვიდრეობის სფეროში შექმნილი ხელოვნების ნიმუშები, რომელთაგან ზოგი უკვე ცნობილია სამეცნიერო საზოგადოებისათვის, ხოლო ზოგიერთი სფერო ჩვენ მიერ შესწავლილი და პირველად მოექცა ფართო მკითხველთა ყურადღების ქვეშ. ჩვენი მთავარი მიზანია წარმოვაჩინოთ ესთეტიური თუ გამოყენებითი ხელოვნების სფეროდან გამოსულ უსახელო შემოქმედთა ნვლილი, წარმოვადგინოთ ნითიერი მასალა, როგორც საბუთი, დავარქვათ მას თუნდაც ექსპონატი, რომელიც შეიქმნა გარკვეული კორპორაციის ნიშნის ქვეშ, მაგრამ ისინი სუნთქავენ შემოქმედი ადამიანის გენიალობით. ცნობილია, რომ ხელოვნების დეფინიცია განიმარტება როგორც „საუკეთესოდ გაკეთებული“, ხოლო თუ ასეა, საუკეთესოდ გამკეთებელი სად ქმნის თავის ქმნილებას, რაიმე ტიპის კორპორაციაში, სოფლის სამჭედლოში თუ ქალაქის სარდაფში, ამას ნაკლებად აქვს მნიშვნელობა.

აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ, ქართული ეთნოკულტურის მიღწევებს „მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური კულტურის საგანძური“ უწოდა (გ. ჩიტაია, 2001: 3), ცხადია, რომ ეს შეფასება დაყრდნობილია პრაქტიკული გამოცდილებისა და მეცნიერული კვლევების საფუძველზე და წარმოადგენს სრულ ჭეშმარიტებას. მართებულად მივიჩნევთ, თუ ეს შეფასება გავრცელდება ზოგადად მთელი სამხრეთ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ეთნოკულტურის მიმართ. ვთვლით, რომ ეს მემკვიდრეობა არის ყველაზე ძლიერი საყრდენი ნებისმიერ ხალხთა კულტურული მიღწეებისა და ეთნიკური თვისებების შენარჩუნებისათვის, რათა არ იქნენ დაკარგულნი მსოფლიო ინტეგრაციის გლობალურ ოკეანეში. ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ზოგადი მნიშვნელობის განსაზღვრისათვის აქ ურიგო არ იქნება ვახსენოთ სახელი ნიკო მარისა, რომლის ინიციატივით

1919 წელს მოსკოვში დაარსებული იქნა რუსეთის მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემია (რ. მეტრეველი, 2019: 409).

მსურს რამოდენიმე სიტყვით შევხებო ნივთიერი მასალის წარმომავლობის საკითხს, რომლის შესახებაც მექნება საუბარი წინამდებარე სტატიაში. ეს გახლავთ ეთნოკულტურული მემკვიდრეობა, რომელიც დღემდე დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ამას ემატება ეთნოგრაფიული ექსპედიციების დროს შეკრებილი მასალა და იშვიათ რარიტეტულ გამოცემებში დაცული მხატვრული შედეგები.

ცნობილია, რომ პირველი ოფიციალური სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც რუსეთის იმპერიის მმართველობის ხანაში, კერძოდ, 1852 წელს დაარსდა სამხრეთ კავკასიაში, იყო რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი (გ. ჟორდანია, 1951. გ. ჩხაიძე, 2003). ისე, როგორც მეფისნაცვალის რეზიდენცია და მთელი კანცელარიული სისტემა, სამუზეუმო რგოლიც დაფუძნებული იქნა თბილისში. ამ დაწესებულების ბაზაზე 1865 წელს შეიქმნა დიდი სამუზეუმო ინსტიტუცია „კავკასიის მუზეუმის“ სახელწოდებით, რომლის ადმინისტრაციამ სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარების შემდგომ პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა ეთნოკულტურული მასალის შეკრება კავკასიის ხალხთა მატერიალური კულტურის სფეროში. სახელწოდება – „კავკასიის მუზეუმი“ – უკვე თავისთავად მიანიშნებდა, რომ ამ პროცესს უნდა მოეცვა მთელი კავკასია, განსაკუთრებით მისი სამხრეთ რეგიონები, რომელნიც დასახლებულნი იყვნენ უძველესი კულტურის მქონე ხალხებით. ამ ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით კავკასიის მეფისნაცვლის, ცნობილი კულტურტრეგერის, მიხეილ ვორონცოვის მითითებით, გამართული სხდომების ანგარიშებში საბოლოოდ გამოიკვეთა ნივთიერი მასალის შეგროვების, სისტემატიზაციის, დაცვისა და მეცნიერული შესწავლის პერსპექტივები. რუსული მმართველობის სისტემამ, გარდა პოლიტიკურისა, კავკასიის სოციალურ-კულტურული ცხოვრე-

ბაც მოაქცია ერთიანი იმპერიული სისტემის ქვეშ. ეს ვითარება გავრცელდა ყველა სფეროზე და მისი ერთი გამოვლინება იყო კავკასიის მხარის, როგორც იმპერიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სივრცის კულტურული მემკვიდრეობის ფასეულებათა შეკრება და დაუნჯება, რაც გარკვეული სახის რევერანსს წარმოადგენდა დაპყრობილ ხალხთა მიმართ. გარდა ამისა, კავკასიის მუზეუმის მესვეურნი ცდილობდნენ, მასალის მოძიებისას არ შემოფარგლულიყვნენ მხოლოდ აღნიშნული რეგიონებით და შეძლები-სდაგვარად მიეღოთ საინტერესო ექპონატები ირანისა და თურქეთის იმპერიაში მცხოვრებ სახვადასხა ეთნოსთა კუთვნილი მემკვიდრეობიდან. ამ ორგანიზაციულ საქმიანობას სათავეში ჩაუდგა მუზეუმის პირველი დირექტორი გუსტავ რადე, ხოლო შემდგომ პერიოდში მუზეუმის თანამშრომლების ალექსანდრე კაზნაკოვის, ივან შელკოვნიკოვის, ვლადიმერ სოლოგუბის, ადოლფ ბერჟეს, ალექსანდრე ნიკოლაის და სხვათა ხელშეწყობით და უშუალო მონაწილეობით, მუზეუმის ფონდებში შემოვიდა მდიდარი მასალა. ეს პროცესი იყო პერმანენტული და იგი არ შეწყვეტილა XX საუკუნის 80-იან წლებამდე. საგანგებოდ უნდა ითქვას შემონირულებათა შესახებ, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა მიხეილ ვორონცოვმა, მის კვალს მიჰყვნენ დიდი მთავარი, მეფისნაცვალი – მიხეილ ნიკოლოზის ძე, ლევან ჩოლოყაშვილი, რაფიელ ერისთავი, მარიამ ბებუთოვი, ეგორ მაკინცევი, გიორგი კაფაროვი, ვასილ მირზოევი, ზურაბ კობიაშვილი და სხვანი. კავკასიის მუზეუმის კოლექციებით გამრავალფეროვნებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სპარსელი სამხედრო მოღვაწის, ურმიის ყოფილი გუბერნატორის, ყაჯართა საგვარეულოს წარმომადგენლის, გენერალი მაჯდ-ოს-სალტანეს აღმოსავლური ნივთების ძვირფას კოლექციას, რომლის ნაწილი, მისი მფლობელის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ, გაიყიდა თბილისის აუქციონზე, ნაწილი კი გადაეცა კავკასიის მუზეუმს. ამ კოლექციაში მოხვდა ხელოვნების უიშვიათესი ნიმუშები, რომლებიც გამოირჩევიან სპარსულ-აზერბაიჯანული კულტურის სიმბოლური ნიშან-თვისებებით. ეს არის ორი ერის თანაცხოვრების

ამსახველი მასალები, კულტურათა შერწყმის საუკეთესო შედეგით.

1867 წლისათვის უკვე ისეთი მნიშვნელოვანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნივთები დაგროვდა, რომ მუზეუმის მესვეურებმა საჭიროდ ჩათვალეს მოეწყოთ პირველი გამოფენა. ეს იყო კავკასიის მასშტაბით უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელმაც რუსეთის იმპერიის კულტურულ ცენტრებშიც კი დიდი რეზონანსი გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმის შენობა არ შეესაბამებოდა სამუზეუმო სტანდარტებს, ექსპოზიცია, ექსპონატების მრავალფეროვნების თვალსაზრისით, რომელიც კავკასიის თითქმის ყველა კუთხიდან იყო წარმოდგენილი, უაღრესად უხვი და საინტერესო გამოდგა. საგულისხმოა, რომ გამოფენას ამშვენებდა კავკასიის ეთნოსთა ნაციონალურ კოსტიუმში გამოწყობილი მანეკენები, რომლებიც დამზადებული იყო პეტერბურგში ცნობილი მხატვრის, ლევ გეიზერის სახელოსნოში. 1872 წლისათვის მოსკოვში გაიმართა კავკასიის კოლექციების დიდი საერთაშორისო გამოფენა, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ეთნოკულტურული და ხელოვნების ნიმუშების შეგროვებისა და შესწავლის პროცესს, ველზე თუ კამერალურ პირობებში, თან ახლდა ნივთიერი მასალის ჩახატვა, რომელსაც ასრულებდნენ ისეთი სახელოვანი მხატვრები როგორებიცაა: მაქს ტილკე, გრიგოლ გაგარინი, იოსებ შარლემანი, ნიკოლოზ სევეროვი, ანატოლი კალგინი, სერგო ქობულაძე, ვლადიმერ წილოსანი, ალექსანდრ სავინი, ნინო ბრაილაშვილი, ოლლა კონიაშვილი, ზურაბ წერეთელი, ჯემალ ლოლუა და სხვანი, სულ 60 მეტი მხატვარი.

ვფიქრობთ, რომ ეს მცირეფორმატიანი შესავალი გარკვეულ წარმოდგენა ქმნის იმის აღსაქმელად თუ რა რიგის მასალასთან გვაქვს საქმე და როგორია მისი პროფილი, რამდენადაა იგი დაახლოებული ხელოვნების მიმართულებასთან და პასუხობს თუ არა ეთნოკულტურული მემკვიდრეობის პროდუქტი ხელოვნების დარგის მოთხოვნილებებს.

კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ტიპაჟისა და ეროვნული კოსტიუმის წარმოჩენის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუზეუმის დირექტორის ალ. კაზნაკოვისაგან მსოფლიოს კოსტიუმების ცნობილი მკვლევარისა და მხატვრის, გერმანელი მაქს ტილკეს კავკასიის მუზეუმში მოწვევას. ტილკე 1910 წელს ჩამოვიდა საქართველოში და შეუდგა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ტიპაჟებისა და მათი კოსტიუმების ატლასისისათვის მხატვრული ტილოების მომზადებას. ამისათვის ტილკე მოგზაურობდა ესპედიციებში და როგორც ადგილზე, ასევე სტაციონალურ პირობებში, ახდენდა ტიპაჟთა და მასთან ერთად, ნაციონალური კოსტიუმების ჩახატვას. მისმა ფუნჯმა შემოგვინახა შესანიშნავი ტიპაჟები: ქართველის, ბერძნის, ებრაელის, სპარსელის, სომხის, დაღესტნელის, ქურთის, თათრის, თურქის, ნოღაელის, კავკასიელ ალბანელთა უკანასკნელ შთამომავალთა უდიდების, ყარაფაფახის და კიდევ სხვადასხვა კულტურებში გატყორცნილი ცალკეულ ეთნოსთა ნარჩენებისა. ამ მიმართულებით განეული მუშაობა საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა მხატვრისათვის, მან საკუთარი თვალთა იხილა მრავალფეროვანი და მომხიბლავი ბუნება, ადამიანები, თვალი მიადევნა უძველეს წეს-ჩვეულებებს, საყოფაცხოვრებო ურთიერთობას და მათი ქცევის არააშკარა მოდელებს. ასეთ გარემოებათა ერთობლიობამ, საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო, რაც გამოიხატა რამდენიმე ათეული მაღალმხატვრული ნამუშევრის შექმნით. მაქს ტილკესათვის, როგორც მხატვრისათვის, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია მაღალი მხატვრული კულტურა ფართო დიაპაზონისა და დახვეწილი ოსტატობის ნიშნით. ტილკეს უზარმაზარი მხატვრული მემკვიდრეობა მსოფლიო კოსტიუმების სფეროში, დღემდე მიუწვდომელ სიმალლეზე დგას და ამავე დროს, მისი დოკუმენტური ღირებულება დროის გასვლასთან ერთად მატულობს, ესაა მასალა-უნიკუმი თანამედროვე ურბანიზებული ჩაცმულობის გამრავალფეროვნების თვალსაზრისითაც. ტილკესათვის ნახატი მაშინაა ფასეული, თუ მასში შესაბამისადაა შერწყმული ტანსაც-

მლის მორთულობა ეთნოგრაფიულ ტიპთან. სოციალური ფენის სხვადასხვა წარმომადგენელთა ნამდვილი ტიპაჟის შექმნა, მისი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. ტილკეს ნახატები მოწმობენ, რომ იგი ღრმად იცნობს თავისი საქმის ყველა ნიუანსს – მისი ხელი განაფულია, მაგრამ არა მაშინაღური. ტილკეს აშკარად სიამოვნებს ჭრელა-ჭრულა ფერების, ხვეულების, ხლართების, ნაყშების, მაქმანების, თეთრი აბრეშუმის თავსაფრების, რბილი ხავერდების, ზოლებიანი და მანებიანი პერანგების, ჩალმების, შავი ახალუხების, მენამული, ხაოიანი შალებისა თუ დახუჭუჭებული ნაბდების ხატვა. იგი დღესასწაულს გვინყობს, ყოველი ნახატის ჩვენებისას, თითქოს დავყავდეთ ამ დღესასწაულზე გვიჩვენებდეს ადამიანთა შემოქმედებას და გვარწმუნებდეს, თუ როგორაა დასადგურებული კაცობრიობის სულის სილამაზე მრავალფეროვნებაში.

საგულისხმოა, რომ ტილკეს თავისი სამსახურებრივი მოთხოვნილებით სრულიად არ ევალებოდა სული ჩაედგა ეთნოგრაფიული ნატურისათვის. მას სთხოვდნენ კოსტუმის დეტალურ გადმოცემას – იმას, რაც ჩაცმულობის ისტორიისათვის იყო საჭირო, მაგრამ იგი ყოველთვის სრულყოფილად აფასებდა თავისი არჩეული ნატურის ყველა ღირსებას და ამიტომაც გამოსდიოდა რეალისტური და ესთეტიკურად მომხიბლავი ნაწარმოები. ტილკეს ნახატების ცქერისას სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ იგი კარგად იცნობდა, როგორც კავკასიის, ასევე მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ნიუანსებს, მას უსათუოდ საკმარისი ცოდნა ჰქონდა დაგროვილი ამ ხალხთა ზნე-ჩვეულებათა სფეროში და პატივისცემით იყო განმსჭვალული მათ მიმართ. საბედნიეროდ, ტილკეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ხევსურთა ტანსაცმლის მომხიბვლელობა და მან რამდენიმე ნამუშევარი მიუძღვნა ამ თემას. მაქს ტილკე იკვლევს არა მხოლოდ ჩაცმულობის ისტორიას, არამედ წარმოაჩენს ადამიანთა ცხოვრების სოციალურ ბუნებასაც. მის ზოგად მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ პორტრეტისადმი რეალური დამოკიდებულება, ფერთა მრავალფეროვანი გამა, კომპოზიციური სიმართლე,

მკაფიო კონტრასტულობა, ზოგჯერ მაჟორული ტონალობა და ფერთა დიდი ინტენსიურობა, იგი ახერხებს, აკვარელის მისეული გამჭვირვალობით მაქსიმალური ეფექტურობით გამოხატოს ერთი შეხედვით, მეორეხარისხოვანი მომენტი. მას არ ავიწყდება ნოლაური და თურქული იურტების გადაღმა ჩამავალი მზის მშვენიერი დასების ხატვა, რბილი ჩრდილებით დათალხული მთები, კავკასიონის ზეგანზე მომთაბარე მწყემსების მკაცრი ცხოვრების სულ რაღაც ნიუანსებით გადმოცემა და კიდევ სხვა უბრალო მშვენიერებანი, რომელიც ასე აუცილებელი და არსებითი გამხდარა მისი ძირითადი სამუშაოს შესასრულებლად. ალბათ, ქართველ მხატვართა შემოქმედებაშიაც ვერ შეხვდებით ბევრ ისეთ პორტრეტს, როგორსაც ტილკესეული ქართველი ქალი წარმოადგენს, ჩვენთვის ასე ძვირფასი, ასე ნაცნობი, ასე მართალი, თვალეში ოდნავ ნალველჩამდგარი ქართველი ქალი, ქართული კაბით, შვინდისფერი რბილი ქათიბით, ტრადიციული ჩიხტიკოპით, დგას და შემოგვცქერის: სიმართლით და სიმშვიდის განცდით... საბოლოოდ, აღვნიშნავთ, რომ მაქს ტილკეს ნამუშევრები ბევრ საინტერესო მასალას მისცემს, არა მხოლოდ ხელოვნებამცოდნეებს, მხატვრებსა და ეთნოგრაფებს, არამედ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ისტორია, ხელოვნება კერძოდ, ზოგადად კი, ადამიანთა შემოქმედების მრავალფეროვნება და ნაციონალური ღირებულებანი, როგორც საკაცობრიო კულტურის არსებობის ნიშანსვეტი. მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ მაქს ტილკე გერმანიაში წავიდა და წაიღო თავისი ნამუშევრების ერთი ნაწილი რომელიც იქ გამოსცა (M. Tilke, 1923) მეორე ნაწილი კი, 83 ნახატის რაოდენობით, დარჩა საქართველოს მუზეუმში, რომლის შესწავლა და გამოცემა, ჩვენი ინიციატივით და თანაავტორობით მოხერხდა მხოლოდ 2005 წელს. (T. Geladze, B.N. Smits, E. Nadiradze, 2005).

აქვე შეუძლებელია არ ვახსენოთ, ტილკემდე გაცილებით ადრე, ასეთივე ჟანრში შესრულებული, ცნობილი ფერმწერის, თავადი გრიგოლ გაგარინის მხატვრული ნამუშევრები, რომელნიც ეთნიკური კავკასიელთა ასახვის ერთ-ერთ საუკეთესო

ნამუშევრებს წარმოადგენენ. საგულისხმოა, რომ თავისი შემოქმედების ამ პერიოდს დიდათ აფასებდა მხატვარი და მასთან დაახლოებული წრე, რომელთა წყალობითაც ეს ნახატები სტამბური წესით პარიზში გამოიცა 1847 წელს.

ხელოვნების შესანიშნავი ექსპონატებითაა წარმოდგენილი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფერადი ლითონების ფონდი, სადაც დაცულია აღმოსავლური კულტურების უნიკალური მასალა. ესა არის ირანულ-აზერბაიჯანულ-სომხური-ქურთული სიმბიოზური ნაწარმი, რომელის ნაწილის შესწავლა მოხდა ჩვენს მიერ და გამოცემული იქნა ექვსი ნაშრომის სახით. ესენია: „აზერბაიჯანული ხალიჩები“, 2014 წ. „ერევნის სახანო“, 2019 წ. „ყარაბაღის სახანო“ 2022 წ. „ბაქოს კულტურული მემკვიდრეობის თბილისური პროფილი“ 2018. „სომხეთის კულტურული მემკვიდრეობა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში“ (ელ. ვერსია) 2002 და „ყაჯარული ეპოქის ხელოვნება“ 2008. ექვსივე ეს ნაშრომი შეიცავს ხელოვნების ნიმუშების ანალიზს, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო განისაზღვრება XVIII ს. დასასრულისა და XX ს. შუა ხანით. ამ მასალაში შედარებით გამოკვეთილადაა წარმოდგენილი ყაჯარული პერიოდის, ერევნისა და ყარაბაღის სახანოთა კულტურული მემკვიდრეობა.

როგორც ცნობილია, საქართველოში, ისევე როგორც ზოგადად ამიერკავკასიაში, ყოველთვის დიდი იყო ინტერესი ირანული კულტურისადმი, მის საუკეთესო ესთეტიკურ ღირებულებათა მიმართ დამოკიდებულება, რომელმაც განსაკუთრებულ სიმაღლეს მიაღწია გვიანფეოდალურ ხანაში. ამ პერიოდის ქართული, სომხური და აზერბაიჯანული საზოგადოება, სხვა კულტურებთან შედარებით, ახლო იდგა ირანულთან, მიუხედავად რელიგიური განსხვავებულობისა ქრისტიანი საზოგადოება იღებდა და საზრდოობდა ამ კულტურით, რაც თავის მხრივ აპირობებდა არა მხოლოდ ესთეტიკურ, არამედ სოციალურ სფეროში დაახლოებასაც. თბილისი, ბაქო, შემახა, შუშა (Описание, 1866) და მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები, მუ-

დამ წარმოადგენდნენ ამ რეგიონის იმპორტისა და ექსპორტის მნიშვნელოვან ცენტრებს, საიდანაც შეეძლო ესარგებლა ყველას, ადგილობრივსა თუ უცხოელს. ჩვენ მიერ წარმოდგენილ მასალაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ყაჯართა დინასტიის მმართველობისას (Ч. Каджар, 2001) შექმნილ უტილიტარული და ესთეტიკური დანიშნულების ნივთებს და ეს გასაგებიცაა, რადგან ამ პერიოდის ირანული ხელოვნება გამოირჩევა მკვეთრი ორიგინალობით (A. Pope, 1939), რომელსაც ჰყავს, როგორც მომხმარებელი, ასევე მიმბაძველი და იქმნება სიმბიოზური კულტურის ნაზავი, რომელშიც გამოხატულია როგორც ირანის, ასევე სამხრეთ კავკასიის ხალხთა სახელოსნო და სახელოვნებო მიღწევანი. ყაჯარულ ხელოვნებაში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფერადი ლითონებისაგან (ვერცხლი, თითბერი, სპილენძი, კალა, თუთია, რკინა) დამზადებულ საგნებს. უტილიტარული თუ ესთეტიკური საჭიროებისათვის განკუთვნილი ეს ნივთიერი მასალა მოიცავს უზარმაზარ სფეროს კულტურისას, რაშიაც სრულად აისახა ირანული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებანი. ცნობილია, რომ ირანული ჭურჭლის თვითმყოფადმა სტილმა დიდი გავლენა იქონია მთელს რეგიონში ხელოსნობის ამ დარგის განვითარებაზე. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ირანსა და ირანის აზერბაიჯანში (ზენჯანი, ურმია, თავრიზი, არდებილი) ლითონის ჭურჭლის დამზადების ასეთ მაღალი კულტურა განაპირობა ადგილობრივად არსებული საბადოების სიმდიდრემაც, სპილენძის მოპოების ინტენსიურმა ხასიათმა, რომლის ამოღება და დამუშავება ხდებოდა ქაშანში, ხორასანში, ქირმანში, ყარადაღის ქედზე და განსაკუთრებით ანარეკში, სადაც ძირითადად სულფიდურ მადანს ამუშავებდნენ. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ხელოსნური წარმოების მასშტაბები და შრომის ორგანიზაციის დახვეწილი ფორმები, როგორც აუცილებელი წინაპირობა მაღალი ხარისხის ხელოსნური ნაწარმის შექმნისათვის. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ირანში ხელოსანთა სტრუქტურა მონესრიგებული იყო საგანგებო შრომის წესდებების ე.წ. „რესალიების“ საშუალებით, არსებობდა ხელოს-

ნური გაერთიანება „ჰამქარის“ სახელწოდებით და მოქმედებდა „ტრაქტატი ოქრომჭედლობის, მესპილენძეობის, ვერცხლისა და სხვა მეტალთა დამუშავების შესახებ“ (გ. კვიციანი, 1975: 10-30). აღნიშნული რეგიონიდან მუზეუმში შემოსულია ჯამების, ბადიების, ლანგრების, ლარნაკების, დეკორატიული შორენკეცების შესანიშნავი ნიმუშები, ასევე მონოქრომული, კობალტით მოხატული და ვარაყიანი ფაიანსის ჭურჭელი. ცალკე აღნიშვნის ღირსია შორენკეცების კოლექცია, მათთვის დამახასიათებელი რელიეფური სიუჟეტებითა და ასეთივე ტექნიკით შესრულებული ორნამენტული დეკორით. ყაჯარული მატერიალური კულტურისა და ხელოვნების ნიმუშების მნიშვნელობას განსაზღვრავს მკვეთრად ინდივიდუალური ორნამენტული სამყარო და სიუჟეტური მოტივი საგულისხმოა, რომ ასეთი დამოკიდებულება შეიმჩნევა არა მხოლოდ ფერწერულ ნამუშევრებში, არამედ ლითონის ნივთების შემკულობაშიაც. ლითონის ზედაპირი დამორჩილებულია ხელოსნის ნებას და „ყალამზან“-საჭრეთელი თითქმის არ ჩამოუვარდება ფერწერაში მომუშავე მხატვრის ფუნჯს. ამის დასადასტურებლად გამოდგება აქ წარმოდგენილი საოცრად მაღალი დინამიურობით შესრულებული სინებისა და თევშების შემკულობა. ნივთიერი მასალის ორნამენტიკაში დიდი ადგილი უჭირავს ე.წ. „ისლიმის“ ტიპის მცენარეულსა და გეომეტრიული „მეანდრის“ ტიპის ორნამენტს, ყვავილების უდაბვენილეს ეგზემპლარებს, რომლებიც ადამიანური სამყაროს ყოფიერების ხატადაა ქცეული, სპილენძ-თითბრის ჭურჭლის შემკულობაში გარკვეული ადგილი უჭირავს ხის გამოსახულებასაც, როგორც უძველესი რწმენა-წარმოდგენების დანაშრევის ფაქტს. ნივთიერი მასალის სიუჟეტები ძირითადი ნასაზრდოებია საზოგადოების ცხოვრების ამსახველი მომენტებით, იქნება ეს ტახტზე მჯდომი ხელისუფალი თავის დიდებულებთან ერთად, თუ უბრალო ადამიანთა ყოველდღიური საქმიანობის სცენები. მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს, იქნება ეს ლაქის ფერწერა, ძვალზე შესრულებული მინიატურა, ქაშანურის მოხატულობა თუ ლითონის ჭურჭლის გრავირება, წარ-

მოადგენს ირანული-აზერბაიჯანული ლიტერატურის უკვდავი ძეგლების სიუჟეტები: ფირდოუსის „შაჰ-ნამე“, ნიზამი განჯევის „ხოსროვი და შირინი“, „ლეილა და მიჯნუნი“, საადის „ბუსტანი“ და „გოლესტანი“ და სხვა. ზოგადად თუ ვიტყვით, ირანული ჭურჭლის მხატვრული სამყარო მარადიულ დღესასწაულადაა გაცხადებული, გასაოცარია ადამიანის დამოკიდებულების ხარისხი ბუნების, ფრინველების, ცხოველების, ფანტასტიკური არსებების მიმართ, არცერთი შტრიხი შებოჭილობის, რელიგიური ორთოდოქსულობის, მონური თაყვანისცემის. ლხინი, ილუსტრირებულად გამოსახული სულიერი და ხორციელი სიყვარული, საამო მუსაიფი, თამაში, ცხენთა ჯირითი, ნადირობა, რომლის დროსაც ხშირად ვანყდებით ისარგაყრილი მომაკვდავი ცხოველების სურათებსაც, მაგრამ მათი ხილვისას შეუძლებელია მტრობის რაიმე ნიშანს გრძნობდე, ყველაფერი ეს მიემსგავსება ბავშვის თამაშს რომელიც არ აღძრავს ტრაგიკული დასასრულის გრძნობას.

უმნიშვნელოვანეს ექსპონატად მივიჩნევთ თბილისის ხელოსანთა ამქარის კუთვნილ ირანის სახელმწიფო დროშას. დროშის ატრიბუტიკაში ყურადღებას იქცევს ირანისა და აზერბაიჯანის სახანოებისათვის დამახასიათებელი ძველი სიმბოლოს ქალ-მზესთან ერთად ღომის გამოსახულება, რომელიც ამ ქვეყნის ისტორიის მანძილზე, სხვადასხვა ვარიაციითაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ დროშაზე ქალ-მზის გამოსახულების შესახებ სპარსეთში გავრცელებული იყო ლეგენდა, რომლის მიხედვითაც სელჯუკების ერთ-ერთ მმართველს ხოჯა ედ-დინ ქაიხოსროს, ცოლად ჰყოლია ქართველი ქალი და სიყვარულის ნიშნად მონეტაზე გამოუსახავს მისი პორტრეტი, რომელიც შემდგომ გადასულა დროშის ატრიბუტიკაშიც.

გვსურს საგანგებოდ შევხებით, წარსულში ცნობილი, გვიანფეოდალური ხანის პოლიტიკური ერთეულების ერევნის და ყარაბაღის სახანოთა (И. Шопен, 1852), კულტურულ მემკვიდრეობას, რომელთა ნაწილი, ამ სახანოთა რუსეთთან შეერთების შემდეგ, აღმოჩნდა კავკასიის მუზეუმში. ცნობილია,

რომ ირანის სახანოები გამუდმებით ცდილობდნენ გამოსული-
ყვნენ ირანის პოლიტიკური სივრციდან და დამოუკიდებლობა
მოეპოებინათ, (В. Петрушевский, 1949: 14-56) ამ სურვილის
თავისებურ რეალიზაციას ასევე წარმოადგენდა მისწრაფება ეს-
თეტიური თუ საყოფაცხოვრება სფერო, ირანის შაჰის კარის
მიხედვით გაემართად. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოად-
გენდა ერევნის ხანის რეზიდენცია, რომელიც მოიცავდა ციხეს,
სავაჭრო უბანს და ხანის სასახლეს ყველა თავისი ატრიბუტიკით.
ერევნის ციხე, სადაც ხანის სასახლე იდგა, თავისი მასშტაბით
და მოსახლეობით წარმოადგენდა ქალაქში ქალაქს, მისთვის
დამახასიათებელი სოციალური ინფრასტრუქტურით. ერევნის
უმნიშვნელოვანესი ნაგებობა იყო ხანის ანუ სარდრის სასახ-
ლე, რომელიც თავისი აგებულებითა და ინფრასტრუქტურით
გამორჩეული იყო რადგან იგი განსაზღვრავდა ხანის ქონებრივ
და წარმომადგენლობით ხარისხს. სასახლის კომპლექსში შედი-
ოდა მეჩეთი, მედრესე, აბანო, მსახურთა საცხოვრისი და დამხ-
მარე ნაგებობანი. ერთობლიობაში ეს იყო მუსულმანურ სტილში
განყოფილი სასახლის კომპლექსი, რომელიც დიდ შთაბეჭდილე-
ბას ახდენდა მნახველზე. სასახლე მორთული იყო აღმოსავლური
სტილით მისი კედლები დაფარული იყო შორენკეცებით, ფარშე-
ვანგების, ლომებისა და მზის გამოსახულებიანი ნახატებით. ია-
ტაკად ჰქონდა გლაზურიანი აგური, ხოლო ჭერი დაფარული იყო
სარკეებით. სარდარ-ხანის (უმალლესი მთავარსარდალი) დროს
სასახლის სარკეებიან კედლებზე ჩამოკიდებული იყო ოქრონემ-
სული მძიმე ფარდები. სარკეები იყო მოთავსებული კედელზე
დახატულ პორტრეტებს შორისაც. ნახატებიდან ცენტრალური
ადგილი ეჭირა ირან-აზერბაიჯანული ეპოსის გმირის რუსტა-
მის თავგადასავალთან დაკავშირებულ სიუჟეტებს და მასთან
ერთად სხვადასხვა პიკანტურ ამბავთა გადმომცემ სცენებს.
დროთა განმავლობაში სასახლე დაზიანდა. 1850 წელს დაიგეგმა
სასახლის ნაწილის რესტავრაცია და აზერბაიჯანული დაზგური
ფერწერის საფუძვლის ჩამყრელმა მირზა ყადიმ ერევანმა ზეთის
საღებავებით ტილოზე (დაახლ. 1X2 მ.) შეასრულა პორტრეტები,

რომლებიც დიდი დარბაზის ნიშებში იქნენ განლაგებული (E. Nadiradze, 2019: 70-79). 1914 წელს, როცა საბოლოოდ გადაწყდა სასახლის დანგრევა სურათები მოხსნეს და შემდგომ პერიოდში ზოგიერთმა მათგანმა ბინა დაიდო კავკასიის მუზეუმში.

რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიაში წარმოებული ბრძოლები-სა და გენერალ პასკევიჩის მიერ ერევნის ციხისა ალების შემდეგ (И. Дубровин, 1871-1880) სახანოს კულტურული მემკვიდრეობა თანდათან განიავდა. ამასთან ერთად, რუსები ანგარიშს უწევდნენ სომეხთა განწყობას, როგორც თავიანთი მოკავშირის, ასევე მათი სურვილის გათვალისწინებით, ხელს უწყობდნენ პროცესს, რომელიც მიმართული იყო აქ ყოველგვარი მუსულმანურის წასამლელად. საბოლოოდ სარდრის სასახლე მთლიანად დაანგრეს და მის ადგილას, საბჭოთა პერიოდში, სხვა დანიშნულების შენობა ააგო სომხეთის მთავრობამ. რაც შეეხება სასახლის ვიზუალურ მხარეს, ეს იყო თავის დროისათვის ერთ-ერთი შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლი, რომელიც გაფორმებული იყო აღმოსავლური კულტურისათვის დამახასიათებელი უმნიშვნელოვანესი ნიუანსებით. საჭიროდ მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ ერევნის სახანოს კულტურულ მემკვიდრეობაში, მიუხედავად იმისა, რომ აქ სომხური კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტია დადასტურებული, დომინანტური ადგილი უჭირავს ირანული და აზერბაიჯანული ხელოვნების შერწყმით ჩამოყალიბებულ სტილს. სარდრის სასახლე როგორც ერევნის სახანოს პოლიტიკური და კულტურული ცენტრი მთლიანად ამ ნიშნითაა დახასიათებული.

ყარაბაღის სახანოს (Описание Карабагскои... 1866. М. Дхаваншир, 1959) კულტურული მემკვიდრეობა, ერევნის სახანოს მსგავსად, ფაქტობრივად ნაწილია იმ დიდი სიმბიოზური კულტურისა, რომელიც სამხრეთ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი ნიშნითაა დახასიათებული. როგორც ცნობილია ყარაბაღის დღევანდელი ტერიტორია, წარმოადგენდა სამხრეთკავკასიის ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყნის ალბანეთის ნაწილს. აქ დაფუძნებული

იყო განძასარის საეკლესიო ცენტრი და ალბანეთის კათალიკოსის რეზიდენცია. არაბების შემოსევის შედეგად, ალბანეთის სახელმწიფოს ძლიერება საგრძნობლად შეირყა, რამაც საბოლოოდ მისი დაცემა გამოიწვია, ალბანეთმა დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ალბანთა ეთნიკური ერთობის პირველადი შერწყმის პროცესი მეტნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობდა ქართულ, სომხურ და მოგვიანებით აზერბაიჯანულ მოსახლეობასთან. ყარაბაღის ვაკეზე ძირითადად მოსახლეობდნენ თურქმანი ტომები, ხოლო მის მთიან ნაწილში სომხები. ყარაბაღის სახანოს ჩამოყალიბების შემდეგ სახანოში სწრაფად იწყებს ზრდას თურქმანული მოსახლეობის რიცხვი. ყარაბაღის დედაქალაქსა და მისი ძველი და ახალი კულტურის ცენტრს წარმოადგენს ქალაქი შუშა. ქალაქ შუშას გააჩნია თავისი კულტურული პროფილი (Ф. Брокгауз, И. Ефрон, 1904: 469), რომელიც გამოკვეთილია ხელოვნებისა და ხელოსნობის სხვადასხვა დარგებში. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია აზერბაიჯანული ეროვნული მუსიკალური კულტურის მონაპოვარის მულამის შუშის სკოლის მიღწევები. შუშა განთქმული იყო ხალიჩური ნაწარმის მაღალი ხელოვნებით, რომელიც ხელოსნობის დარგის ყველაზე განვითარებულ ფორმას წარმოადგენდა. ყარაბაღის სახანოს ხელოვნების ქმნილებანი მოექცა ჩვენი ინტერესის სფეროში, რამაც ასახვა ჰპოვა ამავე სახელწოდების მქონე ნაშრომში (E. Nadiradze, 2022)

კავკასიის მუზეუმის საცავებში თავის დროზე მოხვდა სომხური და ქურთული ეთნიკური კულტურისა და ხელოვნების ნივთიერი მასალა, რომელიც გამოირჩევა თვითმყოფადობითა და მაღალი სამემსრულებლო ხელოვნებით. სომხურმა მასალამ მუზეუმში შემოსვლა დაიწყო კავკასიის მუზეუმის მიერ განხორციელებული პირველი ექსპედიციებიდანვე, სომხური მოსახლეობით დასახლებულ ისეთი ადმინისტრაციული რეგიონებიდან როგორებიც იყვნენ: ელიზავეტოპოლის გუბერნია, ერზრუმის, არტაანის, ოლთისის, ნოვობაიაზეთის, ჯევანშირის და ალექსანდროპოლის მაზრები. ასევე, ყარსის ოლქი, არაქსის რეგიონი და

მთიანი ყარაბაღი. იყვნენ სომხური პროფილის მქონე ნივთიერი მასალის შემომწირველებიც რომელთაგან აღსანიშნავია: მარიამ არლუთინსკაია-დოლგორუკოვას, კაფაროვის და მირზოევის კოლექციები (გ. ჩხაიძე, 2003: 46-82). ეს მასალა საკმაო საფუძვლიან წარმოდგენას გვიქმნის სომხურ ეთნოკულტურ მიღწევებზე და საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მასში ინდივიდუალური სომხური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ნიუანსები, კერძოდ ესაა: ორნამენტული დეკორის განსაკუთრებული აქცენტირება, წარწერათა ლაპიდარული ფორმა, გრავირების, ინკრუსტაციისა, სევადის, ცვარასა და ფილიგრანის დახვეწილი ხელოვნება და სხვა. დაახლოებით ამავე პერიოდისაა ქურთული მასალა, რომელიც თავისთავად დიდ იშვიათობას წარმოადგენს სახელწიფოებრიობა დაკარგული იმ ხალხისა, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ მოუხდათ სხვადასხვა ეთნიკურ გარემოში ცხოვრება, მაინც მოახერხეს შემოენახათ თავიანთი ტრადიციები და კულტურული მემკვიდრეობა (E.Nadiradze, 2007)

ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთ ხალხთა კულტურაში უდიდესი როლი უჭირავს ხელოვნების ისეთ უნიკუმს, როგორიცაა ხალიჩური წარმოების პროდუქტი. მხატვრულ-დეკორატიული ღირსების გარდა, ხალიჩურ ნაწარმს დიდი ისტორიული და კულტურული ღირებულება გააჩნია. ეს პროდუქტი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია რაც კარგად ჩანს ქსოვილის ხარისხში, მის ფერადოვნებაში, ორნამენტებსა თუ შესრულების ტექნიკაში, ხელოვნების ამ დარგში გამოკვეთილია ეთნოსის მწარმოებლური კულტურული ტრადიციები, მისი ესთეტიკური მოთხოვნების დონე და სამეწარმეო ჩვევები დახვეწილობა. პირველად, 1866 წელს კავკასიის მუზეუმს გადაეცა ყუბის ოლქის უფროსის მიერ ადგილობრივ მოძიებული ხალიჩების პირველი მნიშვნელოვანი კოლექცია. მომდევნო წელს, კავკასიის მუზეუმის დირექტორმა გუსტავ რადემ, შეიძინა ქირმანული, ყარაბაღული, თალიშური და ყუბური ხალიჩების საუკეთესო ნიმუშები. ამ დროიდან მოყოლებული მუზეუმში არა შეწყვეტილა კავკასიური და ირანული ხალიჩური ნაწარმის

შეძენის პრაქტიკა, ამის ნათელი მაგალითია ხალიჩებზე შებ-
მული კავკასიის მუზეუმის საცნობარო იარლიყები, სადაც აღ-
ნიშნულია იმდროინდელი გუბერნიების, ქალაქების, მხარის თუ
სოფლის სახელი. მათ შორის ვხვდებით ისეთ ადმინისტრაციულ
დასახელებებს როგორცაა: ელისავეტოპოლისა და ბაქოს გუ-
ბერნია, ყარაბაღი, შუშა, ყაზახის და შემახის მაზრა. სოფლები:
აღსტაფა, იმამ კული კენდი და სხვა. ძველი იარლიყები გვან-
ვდიან ინფორმაციას ექსპონატების ფუნქციისა (ხალიჩა, ფარდ-
აგი, ტომარა, ასალი, მაფრაშა) და ქსოვის სახეობების (სუმახი,
შადა, ზილი) შესახებ. წარწერების ერთი ნაწილი გვამცნობს
აგრეთვე მუზეუმში ხალიჩების შემომტან ცალკეულ პირებსაც,
რომელთაც კავკასიის მუზეუმისათვის ხალიჩების შექმნა ჰქო-
ნიათ დავალებული. ხალიჩური ნაწარმის მოძიების თვალსაზ-
რისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუზეუმის დირექტორის, ალ.
კაზნაკოვის მიერ ყარაბაღული ხალიჩების ნიმუშების შექმნას.
განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მისი მუშაობა 1912-1913
წლებში, ამ რეგიონში მოპოვებული მასალები თვალნათლივ
წარმოაჩენს აზერბაიჯანული ხალიჩური ნაწარმის მაღალესთე-
ტიურ დონეს, საგულისხმოა რომ ამ მასალის გარკვეული ნაწი-
ლი შესწავლილია და ბეჭდური სახითაა გამოცემული. (E. Nadi-
radze, N. Axalkaci. L. Alieva, 2014).

1872 წელს იმპერატორ პეტრე პირველის დაბადებიდან 200
წლისთავისადმი მიძღვნილ დიდი საერთაშორისო გამოფენაზე
პეტერბურგში, წარმოდგენილი იქნა თბილისში დაუნჯებული
კავკასიის ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები და
მათ შორის ირანული და აზერბაიჯანულ ხალიჩები, რომელმაც
დამთვალეიერებელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია
და პრესის ფურცლებზე საგანგებოდ გაესვა ხაზი ამ ნაწარმის
მაღალმხატვრულ ღირებულებას. 1873 წელს ხალიჩების ეს კო-
ლექცია გატანილ იქნა ვენის საერთაშორისო გამოფენაზე სადაც
უმალლესი შეფასება დაიმსახურა. როგორც ცნობილია ხალიჩურ
წარმოებას, რომელიც განსაკუთრებული თვითმყოფადობით ხა-
სიათდება, გამოყენებითი ხელოვნების დარგებს შორის ერთ-ერთ-

თი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. ირან-აზერბაიჯანული ხალიჩური ნაწარმი გამოირჩევა გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტის სიუხვით, ზოომორფული და ანთროპომორფული შინაარსის შემცველ მოტივებით და უხვი ფერადოვანი გამით. ქსოვის მხატვრული ფორმები და ფერთა შერჩევის ტექნოლოგია უძველესი დროიდან ხალხურ ემპირიულ გამოცდილებას ემყარება და ეთნოგრაფიულ ყოფაში საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა. მხატვრული და დეკორატიული ღირსების გარდა, ხელოვნების დარგის ამ უნიკუმს დიდი ისტორიული ღირებულება გააჩნია. ზოგადად ხელოვნების ეს ნიმუშები ერთ-ერთი საუკეთესოა რაც კი ოდესმე ეთნოკულტურის სფეროში შექმნილა (Л. Керимов, 1961).

როგორც უკვე აღინიშნა კავკასიის მუზეუმის მესვეურთა ინტერესის სფეროში, თავდაპირველად ყველაზე მასშტაბური ყურადღება დაეთმო აღმოსავლეთის ხალხთა ეთნიკურ ტიპებს და განსაკუთრებით მათ ჩაცმულობას, როგორც ერთ-ერთ ორიგინალურს. ვინაიდან შეუძლებელია ამ უამრავი მასალის, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში, რამდენადმე სრული სურათის წარმოდგენით შევეცადები, ვიზუალური ფორმით ვაჩვენო ესთეტიკური თვალსაზრისით განსაკუთრებულად დახვეწილი ნიმუშები. (იხ. ილუსტრაციები) მანამდე კი საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ შევეხო სამოსის როგორც კულტურის ელემენტის რაობასა და მის მნიშვნელობას. უდავოა, რომ ჩაცმულობის კულტურა ადამიანის ესთეტიკური სფეროს უდიდესი მონაპოვარია, პრაქტიკული საჭიროების გარდა ტანსაცმელში გამოხატულია გემოვნებისა და დახვეწილობის უმნიშვნელოვანესი ნიუანსები. შესაძლოა ითქვას, რომ განათლებული კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი ცხოვრების პირობები რომლის დროსაც ადამიანის შესამოსელს მის ესთეტიკურ მხარეს და მასზე მოთხოვნილებას ოდნავ მაინც დაეკარგოს ინტერესი. კავკასიისა ხალხთა კულტურის მნიშვნელობა შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ნაციონალური კოსტიუმის გაუთვალისწინებლად, პრაქტიკული ცოდნა, რომელიც ჩამოყალიბდა

ამ დარგის განვითარებასთან ისტორიის ხანგრძლივი დროის განმავლობაში, აუცილებლად განსაზღვრავს ეთნიკურ ერთობათა თუ ერის კულტურულ დონეს და ამავე დროს მიგვანიშნებს სოციალურ სტრუქტურაში განვითარებულ მოვლენებზე, რომელიც თავისთავში აერთიანებს როგორც შინარენვის მასშტაბებს, ასევე, ადამიანთა მისწრაფებას ესთეტიკური ღირებულებებისადმი. როცა ჩაცმულობის ესთეტიკაზე ჩამოვარდება საუბარი შეუძლებელია არ ვითვალისწინებდეთ ხალხთა ჩაცმულობის ისტორიას და კულტურულ-სოციოლოგიურ ასპექტს, რომელიც გარკვეულ სოციუმს, ეთნიკურ ჯგუფს თუ ზოგადად ერს გააჩნია ამ დარგის მიმართ, ამიტომ შევეცდებით ცოტა რამ ვთქვათ ქართული ჩაცმულობის ისტორიის შესახებ და მივანიშნო ხასიათზე რომელიც ჩამოყალიბდა როგორც ხალხში იტყვიან, „ჩაცმა-დახურვის“ მიმართ.

არქეოლოგიურ მასალას თუ მოვიშველიებთ საქართველო მიჩნეულია სელის ქსოვილის წარმოების ერთ-ერთ უძველეს ეპიცენტრად, რაც დაადასტურა ზემო იმერეთში მიკვლეულმა სელის ბოჭკოს ქსოვილის ნაშთმა, რომელიც ზედა პალეოლითის ხანით ანუ 34.000 წლის წინანდელი დროის არტიფაქტად იქნა მიჩნეული. ზოგადად, კავკასიური ტანსაცმლის ისტორიისათვის მნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ჰეროდოტეს ცნობა, რომლის მიხედვითაც კავკასიის მცხოვრებნი განსაკუთრებულ ფოთლებს არჩევენ, ახმობენ, ნაყავენ, ურევენ ნამალს და ამით ხატავენ ტანსაცმელს, ხოლო ეს ნახატები დროთა განმავლობაში კი არ ხუნდება არამედ ცვდება შალთან ერთად თითქოს თავიდანვე ჩაქსოვილი ყოფილიყო მასშიო (ჰეროდოტე, 1975: 111). ვისაც ხევსურული „ტალავარი“ უნახავს შეუძლებელია ამ სიტყვებმა გარკვეული ასოციაცია არ აღძრას ისტორიული პარალელის გავლებსა. როგორც ცნობილია „ისტორიის მამა“ ასევე დიდი წარმოდგენის იყო კოლხური სელის შესახებ რომელიც მისივე ცნობით, საკმაოდ პოპულარული ყოფილა იმდროინდელ კულტურულ სამყაროში. არაერთი უცხოელი ავტორი შეეხო ქართველ ტომთა ჩაცმულობას, განსაკუთრებით მეომრები-

სას, რომელთა საომარ აღჭურვილობაში ადვილი გამოსარჩევია საერო სამოსის ელემენტები, მაგ. ქსენოფონტეს ცნობით მისი დროის (ძვ.წ.427-355) ხალიბებსა და მოსინიკებს მუხლებამდე დაშვებული სელისაგან დამზადებული კვარტები სცმიათ, ხოლო თავზე ტყავის ქუდები ჰხურებიან. სხვათაშორის, მათი შორეული შთამომავლები XIX საუკუნის მეგრელი გლეხები, ყანაში მუშაობის დროს, თავიანთ მოქსოვილ სელის პერანგება ატარებდნენ როგორც გრილსა და მოხერხებულს. გაცილებით გვიან ბიზანტიელი ისტორიკოსები (ნიკეტა ხონიატე, მიხეილ ატალიატე, ევსტატე თესალონიკელი ახსენებენ იბერიულ და ლაზურ შესამოსელს, რომლებიც აცვიათ იმპერიის კარის დიდებულებს (გეორგიკა, 1970: 15). ქართული კოსტიუმის ისტორიისათვის, წერილობითი წყაროების გარდა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მატერიალური კულტურის ნაშთებს, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოებულ ნივთებს და რა თქმა უნდა ეთნოგრაფიულ მასალას, რომელიც ყველა სხვა წყაროსთან შედარებით შეიცავს რეალურად მოცემულ: ფაქტურას, თარგებს, დამზადების პროცესებს, ჩაცმა-დახურვის ხერხებს, სამოსლის ტარების მანერას და სხვა, რაც არცერთ სხვა წყაროს არ გააჩნია. საგულისხმოა, რომ საქართველოს საოჯახო მეურნეობაში უახლოეს წარსულამდე იყო შემორჩენილი შალის, ბამბის, აბრეშუმის, კანაფის და სხვა ქსოვილთა დამზადების ტრადიციული წესი, რომელიც სრულდებოდა, როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური ტიპის საქსოვ დაზგებზე. ძირითადი საილუსტრაციო მასალა რომელიც ქართული სამოსის ისტორიულ ხასიათს წარმოაჩენს ასევე დასტურდება მემორიალური კულტურის ძეგლებზე, ნუმიზმატიკაში, იკონოგრაფიაში, საეკლესიო არქიტექტურასა და მხატვრობაში, ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფეოდალური პერიოდის ნიმუშები რომლის საერთო ქრონოლოგიური ჩარჩო შესაძლოა VI საუკუნიდან მოკიდებული გვიანფეოდალური ხანის დასასრულამდე განისაზღვროს.

ადრეფეოდალური ხანის ქართული სამოსის რეკონსტრუქციისათვის დიდი მნიშვნელობისაა მცხეთის ჯვრის ბარელიეფები

რომელზედაც თავიანთი ორიგინალური ჩაცმულობით გამოსახული არიან მაღალი წრის დიდებულნი (ნ. ჩოფიკაშვილი, 2013: 10-15), ჯვრის მაშენებელთა და ქტიტორთა სამოსელში კარგადაა გამოკვეთილი VI-VII სს. სამოსის ფორმები და მნახველს საკმაოდ ცხად წარმოდგენას უქმნის ჩაცმულობის ისეთ უნივერსალურსა და საყოველთაოდ გავრცელებული ტანსაცმლის ტიპის შესახებ როგორცაა კაბა და მოსასხამი. ამ რელიეფებში, პირველად არის შემჩნეული შარვლის ტიპის სამოსი და ე.წ. „ცრუსახელოიანი მოსასხამი,“ რომლის ფორმა და ტარების წესი ბოლო დრომდე შემოინახა ქართულმა ეთნოგრაფიულმა ყოფამ. საყურადღებოა, რომ ამ პერიოდის კოსტიუმის ერთადერთი ელემენტი-ქალის ქუდი აღმოჩენილი იქნა მცხეთაში. ეს უნიკუმი ნივთი დამწვარ-დანახშირებულია მაგრამ ფორმა კარგად აქვს შენარჩუნებული და მნახველს საშუალებას აძლევს წარმოდგენა შეექმნას ადრეფეოდალური ხანის მცხეთელი არისტოკრატი ქალის თავსაბურის შესახებ. ფორმით ერთიანი, ოღონდ სხვადასხვა ვარიაციებით მოსასხამის, კაბის და შარვლის ტიპები დამონმებულია: დმანისის, უკანგორის, უსანეთის სტელებზე, ასევე, ტბეთის, კუმურდოს, ზეგანის, ატენისა, ოშკის, ვალეს, უდეს, შეპიაკის, ფეტობანის, დოლისყანის, ქოროლოს, საფარის და სხვა ქართული არქიტექტურის მნიშვნელოვან ძეგლებზე. მიუხედავად იმისა, რომ ესენი ქვაზე ამოკვეთილ რელიეფებს წარმოადგენენ, გარდა ფორმისა ამ პერსონაჟთა ჩაცმულობაში შეიმჩნევა სახიანი, სადა, ჭადრაკული, გოფირიებული, მსუბუქი და მძიმე ქსოვილები, ტანსაცმელია: საყელოიანი, უსაყელო, ყოშებიანი, ოღვილი, ქობიანი, ცრუსახელოებიანი, ფართესახელოებიანი, გრძელი, გულჩახსნილი, წელვინრო, ბოლოგანიერი, სადა, ნაკეცებიანი, ღილებიანი, მარგალიტებით მორთული და ა.შ ცალკე აღნიშვნის ღირსია სამეფო კარის შესამოსელი რაც უხვი ილუსტრირებითაა წარმოდგენილი ვარძიის, ბეთანიის, ყინწვისის, ბერთუბნის, გელათის, ნეკრესის და სხვა ქართულ ტაძართა ფრესკებზე (ი. ციციშვილი, 1954). სამოსელის კულტურა, როგორც ადამიანის ესთეტიზმისა და მენტალობის

ერთ- ერთი გამომხატველი, ჩვეულებრივ ხასიათდება ნოვაცი-
ურობით, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს ამ დარგში ცალკეუ-
ლი ეტაპების ჩამოყალიბას, ამიტომ დღემდე შემორჩენილი
საილუსტრაციო მასალის მიხედვით შუა და გვიანფეოდალურ
რი ხანის საქართველოში სამოსის იმდენად მრავალფეროვანი
სახეობაა დადასტურებული, რომ არათუ ცალკეული ტიპების,
არამედ ქვეტიპების ჩამოყალიბებაცაა შესაძლებელი. ქართული
ტანსაცმლის შესახებ ძალზე საყურადღებო ცნობებია დაცული
ადრეფეოდალური ხანის ისეთ მნიშვნელოვან წერილობით წყ-
აროებში, როგორცაა „შუშანიკის წამება“, „ევსტატე მცხეთე-
ლის მარტილობა“, „აბო ტფილელის წამება“, ზოგადად, „ქართ-
ლის ცხოვრება“, შუა საუკუნეების ნიკორწმინდისა და მცხეთის
სიგელები, XIV საუკუნის „ხელმწიფის კარის გარიგება“, ვახ-
ტანგ VI „დასტურლამალი“ XVII საუკუნისა, ამავე პერიოდის
ისტორიკოსის ფარსადან გოგიჯანიძის თხზულება და სხვანი.

ცალკე უნდა აღინიშნოს, დიდი მოღვაწის, ვახუშტი ბა-
ტონიშვილის ნაშრომი-„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, სა-
დაც არაერთგზისაა წარმოდგენილი საქართველოს ცალკეული
კუთხეთა ჩაცმულობის ფორმა და ხასიათი (ვახუშტი ბატონიშ-
ვილი, 1941). აღმოსავლეთ საქართველოს ტიპიურ ჩაცმულობის
ვახუშტისეული აღწერილობა მამაკაცთათვის ასეთია: მუხლს
ქვემოთამდე დაშვებული, სარტყელშემოჭერილი სკლატის (შა-
ლის, მაუდის) კაბა, კაბის შიგნი: საგულე, აბრეშუმის, ბამბის ან
ტილოს უსაყელო პერანგი (ახალუხი), ამავე მასალის ნიფხავი
და სანმერთული, საზამთროდ დიდი ტვავი და ტყავ-კაბა, ფეხ-
ზე მოგვი (ჩექმის ნაირსახეობა), ასევე მაშია, ჩუსტი, ქალამანი,
წულა და წვივის საფარი პაიჭი, თავზე შალისაგან შეკერილი,
გრძელ-წვრილი, ბენვეულით განწყობილი ქუდი. ქალთათვის: მა-
მაკაცთა მსგავსად კაბა (ახალუხი) ოლონდ, გრძელსარტყლიანი
და მის ქვეშ პერანგი, ნიფხავი და ფეხზე წულა, ქოში და მაშია,
ზამთარში კოჭებამდე დაშვებული ტყავი, ბენვეულით განწყობი-
ლი ქათიბი და ტოლომა, თავზე ლეჩაქი, ყბის ქვეშ ამოვლებული
მარგალიტის მძივით და კავებით. ქალებს გრძელი თმა დაწნულ

უტარებიათ, ხოლო კაცებს ყურებამდე შეჭრილი. ვახუშტის ეს აღწერილობა სრულად არ ასახავს საქართველოს მცხოვრებთა ჩაცმულობას და თავად ავტორის შეხედულებით საქართველოს კუთხეების მიხედვით სამოსი ყოფილა გაცილებით მრავალფეროვანი და ორიგინალური სახის.

გვიანი შუასაუკუნეების ქართული ჩაცმულობის შესახებ მდიდარი მასალაა დაცული ე.წ „მზითვის წიგნებში“ (მ. იაშვილი, 1974), როგორც ცნობილია, მზითევი წარმოადგენდა ქალისათვის მამის ოჯახიდან მიცემულ ქონებას. მზითევი ფორმდებოდა საბუთით, რომელსაც იურიდიული ძალა ჰქონდა და ამდენათ მას, როგორც ისტორიულ დოკუმენტს, სანდოობის დიდი გარანტიაც გააჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სახის ნყარობებში, მაღალი წრის საზოგადოების ქალთა ჩაცმულობა საკმაოდ მრავალფეროვნად და მდიდრულადაა წარმოდგენილი. მაგალითად, ქართლის მეფის ასულს, სხვადასხვა ძვირფას ნივთებთან ერთად, მზითევაში გაჰყოლია: მარგალიტებით, იაგუნდითა და ფირუზებით შემკული 11 პერანგი და მისი ამხანაგი, ასევე, სხვადასხვა ძვირფასი ქვებითა და ბეწვით შემკული 20 ტყავკაბა, 82 სხვადასხვა ქსოვილისა და ფორმის კაბა, 45 საგულე, 21 წყვილი ოქრომკედითა და ზარბაბით ნაკერი მაშია და ჯორაბი (ნაქსოვი ფეხსამოსი), სირმით ნაკერი და მარგალიტებით მორთული 10 ქუდი, 9 სარტყელი და სხვა. 1634 წლის საბუთით, ქართლის მეფის მეუღლეს მარიამს, მზითევაში მარტო ფრანგული ნაჭრის 14 კაბა მოჰყოლია, ანუკა ბატონიშვილს კი 18 ახალღუბი, 9-9 სარტყელ – საგულე, 55 კაბა, 15 ტყავკაბა, 4 ქათიბი, 27 წყვილი პერანგი და მისი ამხანაგი, 20 წყვილი ფეხსაცმელი და სხვა. XVIII საუკუნის ქართველი მამაკაცის ჩაცმულობისათვის საინტერესო ცნობას გვანვდის ერეკლე მეფის კარის მდივნ-მწიგნობარის იესე ბარათაშვილის ბიოგრაფია-ანდერძი, სადაც გადმოცემულია არა მხოლოდ ტანსაცმლის სახეობათა ჩამონათვალი, არამედ დამოკიდებულება სამოსის მიმართ. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ ჩაცმა-დახურვა უყვარს და კარგად უვლის სამოსს, რომ მას გამიჯნული აქვს ერთმანეთისაგან სა-

შინაო და საგარეო, საზაფხულო და საზამთრო, სალხინო და სამგლოვიარო ტანსაცმელი, ამ არცთუ დიდ სახელმწიფო მოხელეს, ერთდროულად აქვს 12 კაბა, 5-5 ქართული ნაოჭიანი ახალუხი და პერანგი, 12 სხვადასხვა ტიპის ქუდი, რამდენიმე წყვილი ხირლა (წამოსასხამი), ქურქები, ქუქანაკი (მოკლე ტოლომა, კურტაკი), ქათიბები, გარდა ქართულისა ყიზილბაშური კაბები, დაბამბული,სანვიმარი, ჩახრუხი, პაიჭები, მაშიები, ქოშები და მოგვები (ჩექმები). იესეს ტანსაცმელის ქსოვილია: ტილო, დარაია, ლაინი, ბამბა, შალი, მაუდი, ატლასი, მოვი, აბრეშუმი. ზოგი ადგილობრივად დამზადებული, ზოგი ევროპიდან, ოსმალეთიდან და ირანიდანაა შემოტანილი. (ი. ბარათაშვილი, 1913: 23). სხვათაშორის, ქართული ჩაცმულობის ვიზუალური მხარე კარგად წარმოჩნდა ქართული ტრადიციული სამოსისადმი მიძღვნილ ბოლო დროს გამოცემულ ნაშრომებში (ი. მელიქიშვილი, ე. ნადირაძე, ლ. ტოგონიძე, 2016; გ. კვანტიძე, 2019). XVIII საუკუნის დასასრულისათვის, ქართული სამოსის კომპლექტში, აქტიურად შემოიჭრა ჩოხის ტიპის კაბა, რომელმაც გულისპირზე დაკერებული ქილების წყალობით, განსაკუთრებული ორიგინალობა შეიძინა და საყოველთაოდ გავრცელდა, განსაკუთრებით, საქართველოს ბარში. ჩოხის გავრცელებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ქართულ კაბასთან შედარებით იგი უფრო იაფსა და ხელმისაწვდომს წარმოადგენდა. დროთაგანმავლობაში, გამოიკვეთა ჩოხის სხვადასხვა ტიპები, შეიქმნა მისი დახვეწილი ფორმები და საბოლოოდ ტანსაცმლის ამ ტიპმა იმდენად მასშტაბურად დაიკავა ჩვენი ჩაცმულობის კულტურაში თავისი ადგილი, რომ ქალის ქართულ კაბასთან ერთად, ეროვნული სამოსის სიმბოლოდ იქცა.

რადგანაც ტანსაცმელი ხალხის ეთნიკურ იერსახესაც გამოკვეთს, მისდამი პატივისცემა ტრადიციული ფორმების გამოყენებითა და გაგრძელებით მოვალეობის გრძნობით არის გაფერებული. უკმაყოფილების გამოძახილი, რომელიც ტანსაცმლის ფორმის ცვალებადობით იყო გამოწვეული (რასაც აწირობებდა დამპყრობთა მიერ თავს მოხვეული კულტურა),

ყველა ეპოქიდან მოისმის, მაგრამ ის რას მოხდა XIX საუკუნეში იყო ყველაზე მასშტაბური და ფაქტობრივად დამანგრეველი ქართული ტრადიციული ჩაცმულობისათვის, ევროპულმა ტანსაცმელმა და მასთან დაკავშირებულმა აქსესუარებმა უპრობლემოდ შემოაღწია ჩვენში და ისე სწრაფად ნავიდა წინ, რომ ტრადიციული ტანსაცმლის ქომაგებმა თავიანთი უკმაყოფილება, მხოლოდ წყენასა და საყვედურში გამოხატეს, ეს იყო ისტორიული მომენტი ძველის და ახლის დაპირისპირების. შესაძლოა ითქვას, რომ ორთქმავალს არ მოუხდენია ადამიანებზე იმდენი შთაბეჭდილება, როგორც მოახდინა პარიზის, ლონდონისა და ვენის საგალანტერიო ფაბრიკებში დამზადებულმა მდიდრულმა ტანსაცმელმა. და, თანდათან შეცვალა ქართული კაბა შლეიფიანმა კრინოლინის კაბამ, წითელი ხავერდის ბენჯემოვლებული ქულაჯა-პალტომ, ლეჩაქი და ჩიხტიკოპი – ვუალმა, მამაკაცის ყურთმაჯიანი კაბა და ჩოხა – ფრაკმა და სერთუკმა, ბუხრისა და ყალმუხის ქული – შლაპამ და ცილინდრმა, ძვირფასბენჯიანი ქათიბი – მანტომ, მაშიები, ქოშები და ჩითები – შტიბლეტებმა და პოლსაპოშკებმა, ხმალ-ხანჯლი მაგივრად გაჩნდა ტროსტი, ქისის მაგიერ ვერცხლის სათუთუნე, კრიალოსანი შეცვალა ლოტომ და ა.შ. მართალია, სოციალურად დაბალ ფენებში ეს პროცესი გაიწელა, მაგრამ ქართულ არისტოკრატიულ წრეებში იგი იყო სწრაფი და შეუქცევადი. XIX საუკუნის პროგრესმა არა მხოლოდ ადათ-წესები შეცვალა, არამედ ადამიანთა შეგნებაშიც მოახდინა გადატრიალება, იგი ყველა სფეროს შეეხო, მან ყველაფერი თავის თარგს მოარგო და შექმნა თავისი კულტურა, რომლის უარყოფა დროის გარეშე დგომას მოასწავებდა, ბუნებრივია ეს შეეხო სოციალურ ესთეტიკასაც, კერძოდ, ჩაცმულობის კულტურას.

აქვე შეუძლებელია, გაკვრით მაინც არ შევეხოთ ადამიანის ისეთი საჭირო საგანთა ერთობლიობას, როგორცაა იარაღი, რომელსაც ბრძოლის გარდა ჰქონდა სამშვენიისის დანიშნულება. პრაქტიკულმა საჭიროებამ და იარაღის ტარების ყოველდღიურმა ჩვეულებამ ხელი შეუწყო იარაღის მაღალმხატვრულ-

ლი გაფორმების კულტურას. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა ირანულ-კავკასიური სტილის საბრძოლო იარაღთა საერთო სურათი. რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართული ხმლის ტიპები: დავითფერული, გორდა, იმერული კაბიანი ხმალი, ხევსურული ხმალი, კავკასიური ლეკური, ასევე ცნობილი ქართველი ხელოსნების: ჯღამაძის, კვატაშიძის, ელიზარაშვილის, ძაძამიას და სხვათა მიერ დამზადებული ხანჯლები და ხმლები, აღმოსავლური ფარები, სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, ოქროვარაყით მორთული ბრწყინვალე სპარსული მუზარადები და ფარები, შუბები, მახვილები, ცხენის აღკაზმულობა და სხვა. ამ ნამუშევრებში შეხვდებით ხელოვნების ბრწყინვალე ექსპონატებს, ოქრომჭედლობის შედეგებს, ცვარათი, გავარსით, ინკრუსტაციით და ქედურობით შესრულებულ ნივთიერ მასალას, რომელთაც ანალოგი არა მოეპოვებათ.

ასევე მოკლედ შევეხებით, ეთნოკულტურული სფეროს ისეთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს, როგორცაა საცხოვრისი. სახლი ეს არის მსოფლიო ცივილიზაციის უდიდესი მონაპოვარი და პასუხს იძლევა კაცთა მოდგმის გონიერების, გარემოსა და ბუნებრივ პირობებთან შეთანხმების, სოციალური წყობის, რაციონალური აზროვნებისა და ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დონის განსაზღვრისათვის. (P. Агабян, 1945) სახლი სარკეა ადამიანის კულტურის წარმოსაჩენად და ამავე დროს სოციალური რგოლის უმნიშვნელოვანესი ადგილი, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი. ამიერკავკასიის ხალხთა კულტურის სიმბიოზური ხასიათი არცერთ სფეროში არ არის ისე გამოკვეთილად წარმოდგენილი როგორც საცხოვრისში (P. Кобичев, 1957). ამის მაგალითია საცხოვრისის ტიპი, რომელსაც საქართველოში დარბაზი ანუ ერდოგვირვინიანი სახლ ეწოდება, სომხეთში გლახატუნი და აზერბაიჯანში ყარადამი (თ. ჩიქოვანი, 1960: 90). სახლის ასეთი ტიპისათვის დამახასიათებელია ბანურ გადახურვაში ამავალი გვირგვინი რომლის საყრდენს წარმოადგენს დედაბოძი. ერდოგვირვინიანი სახლის

დედაბოძი და მისი ბანური გადახურვა მიჩნეულია სამშენებლო ხელოვნების მაღალარქიტექტურულ მიღწევად. საგულისხმოა, რომ აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა, 1922 წელს, პირველმა დააყენა საკითხი დარბაზულ-ერდოგვირგვინიანი სახლის მნიშვნელობის შესახებ ქართულ კულტურაში, მანვე გამოთქვა უაღრესად მნიშვნელოვანი მოსაზრება ამ ტიპის საცხოვრისის ქართულ მონუმენტალურ ხუროთმოძღვრებასთან ტრადიციული კავშირის არსებობის შესახებ, (ჩუბინაშვილი, 1927: 65), რაც შემდგომში, კიდევ უფრო გააღრმავა არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად გამომხეურებულმა მასალამ. აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას აზრით ერდოგვირგვინიანი სახლში გამოკვეთილადაა წარმოდგენილი ადამიანთა კულტურის სამომხმარებლო ასპექტები და მისი ესთეტიკური ღირებულება, რაც საცხოვრისის აქცევს ადამიანური ყოფის მიკროკოსმოსად. საერთოქართული სახლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ნიმუშებს წარმოადგენენ: სვანური სახლი-მაჩუბი, იმერული ოდა, კათხა, ძელური და ბოყვებიანი სახლი, მეგრულ-აფხაზური ოდა და ფაცხა, რაჭული დუროიანი სახლი, ლეჩხუმური შუა სახლი, ხევსურული კალოიანი სახლი, მთიულური კოშკური სახლი, ხულა სახლი, ლაზური სახლი აჭარასა და ლაზეთში, სიპებიანი სახლი თუშუთში და სხვა. (ქმკელ., 2013: 390-392) სახლის ეს ტიპები წარმოადგენენ ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ბრწყინვალე ნიმუშებს, რომელთა არქიტექტურაში, ხითხურობითა და ქვითხურობით განხორციელებულია ისეთი დახვეწილი ფორმები, რაც უდავოდ ხდის დამკვეთთა თუ ხელოსან-ხუროთმოძღვართა მაღალესთეტიურ გემოვნებას. აღარას ვიტყვი ამ სახლთა თანმდევი სიბოხ წყარს ბუხართა შესახებ რომელნიც თავის პრაქტიკული დანიშნულების გარდა სახლის სამშენის, მის სამკაულს წარმოადგენდნენ, რაც ქმნიდა მოტივაციას საცხოვრისის ამ ელემენტს თავისი ფორმა-დახვეწილობით ხელოვნების მაღალი დონისათვის მიეღწია.

ხელოვნების გამორჩეული ეგზემპლარები უკავშირდება ქართული ღვინის წარმოებისა და მისი მოხმარების კულტურ-

ას. როგორც ცნობილია, ღვინო და მასთან დამოკიდებულების ტრადიციები საქართველოში საუკუნეთა სიღრმეებიდან იღებს სათავეს (ნ, რუსიშვილი, 2013). მსურს გავნაცხადო, რომ ვაზისა და ღვინის მნიშვნელობა ჩანს არა მხოლოდ პრაქტიკულ მოქმედებაში, ეთნოგრაფიულსა და არქეოლოგიურ მასალაში (ლ. ფრუიძე, 1974), არამედ ხასიათსა და ბუნებაში, რომელიც მათთან კავშირში შეიძინა ადამიანმა, ესაა მასპინძლობის კულტურა, ტრადიციული ნორმა და წესი, სუფრის დანიშნულება, სტუმრის დახვედრა, თამადაობის კულტი. სხვადასხვა დროს, საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა, ქართული ღვინის კულტურის შესახებ ოთხი მნიშვნელოვანი გამოფენა გამართა ლონდონში, ბერლინში, ტოკიოსა და ბორდოში (Georgian..., 2017) ეს იყო სენსაციის მატარებელი აქტი, საერთო სათაურით: „საქართველო-ღვინის სამშობლო“. ამ გამოფენებს ამშვენებდა ბრწყინვალე არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა, ერთ-ერთი უმთავრესი საბუთი ქართული მეღვინეობის კულტურის უძველესობის დასამტკიცებლად. მაგრამ, აქ არ იყო და ვერც იქნებოდა ვაზის მოვლით ჩამოყალიბებული სული ქართველი მევენახისა, აქ ვერ იქნებოდა წარმოდგენილი შინაგანი ბუნება ქართველი კაცის გულიდან ამოსული სიტყვებისა: „ვაზო შვილივით ნაზარდო“! ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ადამიანისათვის სიხარულისა და გართობის გრძნობა ცივილიზაციას არ მოუტანია, არამედ მუდამ არსებობდა მასში და მეტ-ნაკლები გადაჭარბებანიც, რომელიც ღვინით გამოწვეულ ურთიერთობას ახლავს, დამახასიათებელი იყო ყველა ეპოქისათვის, რაც კარგად ჩანს არქეოლოგიურ მასალაში, თუნდაც უცნაურად არატრადიციული სასმისების ფორმებში. არათუ საზოგადოებრივ სირცხვილში, არამედ მეცნიერულ ნაშრომებში გამოჩნდება ხოლმე აზრი იმის შესახებ, რომ სადღეგრძელოს კულტურა ჩვენში XIX საუკუნეში წარმოიშვა. ამ აზრის საპირისპიროა, თუნდაც მცხეთაში აღმოჩენილი ძვ.წ.VIII საუკუნით დათარიღებული სარტყელის შემკულობა იკმარებდა, რომლის სიუჟეტი წარმოაჩენს ორ მამაკაცს, რომლებიც ერთმანეთს სასმისებს უჭახუნებენ.

შეუძლებლად გვეჩვენება ღვინით შევსებული სასმისთა ასეთი „შეხვედრა“ სიტყვის გარეშე წარმართულიყო. ეს სიუჟეტი სავსებით ამტყუვნებს აზრს იმის შესახებ თითქოს ქართული სუფრის სადღეგრძელო გუშინ დაიბადა. ამავე აზრს ამტკიცებს ვანში აღმოჩენილი, ძვ.წ. VI ს. დათარიღებული თამადის ფიგურა – ყანნით ხელში, შეუძლებელია ვირწმუნოთ, რომ სავარძელში ნებიერად ჩამჯდარი, ეს სუფრის თავი, ღვინოს მდუმარედ სვამდა, განა ამის თქმა სურდა ამ ქანდაკების შემქმნელს? თუ იმისა, რომ მის ხელში პერობილი ყანნით საუკუნეებიდან წამოსული სიტყვა გაეგონებია ჩვენთვის. ეს აზრი ვრცელდება საოჯახო და საზოგადოებრივი სუფრების შესახებ, რომლის უწყვეტი ტრადიციულობა არავითარ დამტკიცებას არ მოითხოვს: საქორწინო, სახატო, სათემო, საშობაო, საახალწლო და სამეურნეო დღესასწაულები შეუძლებელია სიტყვის გარეშე წარმართულიყო. თრიალეთის ცნობილი თასის პერსონაჟთა ორგინალური მსვლელობა, რომელთაც ფართოთავიანი სასმისები უჭირავთ ხელში, უკვე სადღეგრძელოს წინაპირობაა, ღვთაებათა მიმართ ამ გრანდიოზულ პროცესიას შეუძლებელია თან არ ხლებოდა სიტყვიერი ლოცვა მთავარი ქურუმისა, რომლის რწმენით დარკინული სიტყვები ეპოქებს გადმოსწვდა და ისინი ახლაც მოისმიან ხევსური და თუში ხევისბერებისაგან. (ალ. ოჩიაური, 2005: 45-98).

ჩვენ მიზანს არ წარმოადგენს ფართოდ შევეხოთ ქართული მეღვინეობის ისტორიას, უბრალოდ, გვსურს წარმოვადგინოთ რამოდენიმე დამახასიათებელი ილუსტრაცია, რომელიც ხაზს გაუსვამს ღვინის დაყენების ხელოვნებას და მის მოხმარების ესთეტიკას (E. Naidiradze, 2022), იქნება ეს მარნის მოწყობის ხელოვნება თუ ღვინის მოსაკავებელი და სასმელად გამოსაყენებელი, ესთეტიკურად დახვეწილი ისეთი ტიპის ჭურჭელი, როგორცაა: ქვევრი, ქოცო, ჩაფი, გოზაური, დოქი, ხელადა, ნიტრა, სურა, ჭინჭილა, კულა, ყარყარა, აზარფეშა, ყანწი, ბადია, ჯამი, ფიალა, კოჩხო და სხვა. არცერთი ამ ნივთთაგან არაა ისეთი, რომლებიც მეტნაკლები დოზით არ ამჟღავნებდეს ხელოვნების, თუნდაც ის გამოყენებითი ხელოვნება იყოს, იდეების უმთავრეს

პრინციპს: „მიანიჭოს ადამიანს მხნეობა და შთაბეროს მას სიხარული“.

კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურისა და ხელოვნების ისტორიაში თავისი გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოს. ვაზისა და ხორბლეულის ქვეყანამ შექმნა თავისი ორიგინალური კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით, აყალიბებს ჩვენი ერის ცივილიზებულ პროფილს, მის იდენტურობას და გამორჩეულობას. ბუნებრივია, ისე როგორც ნებისმიერი კულტურა, არც ქართული კულტურაა ჩაკეტილი და კონვერგენტული, მასაც უსარგებლია და სარგებლობს სხვათა კულტურათა მიღწევებით, მაგრამ ქართველმა მინათმოქმედმა, მხატვარმა თუ არქიტექტორმა, ოქრომჭედელმა თუ მჭედელმა, ქვითხურომ თუ ხითხურომ, ხელოვანმა თუ ხელოსანმა, მეღვინემ თუ მეპურემ თავისი ტვიფარი დაადო თავის შექმნილს და ეს ტვიფარი ქართულია, მისი გამორჩეულობა საცნობია და დადასტურებული. კავკასიის მუზეუმში, მისი დაარსების დღიდანვე, შემოდიოდა ქართული მატერიალური კულტურის ნიმუშება, ფაქტობრივად არაა დარჩენილი სახელოვნებო და შინამრეწველობის არცერთი სფერო, რომლის პროდუქცია არ იყოს დაცული მუზეუმის საცავებში. ესა არის უზარმაზარი კულტურული მემკვიდრეობა, რომლის უმოკლეს დახასიათებასაც კი წინამდებარე სტატიის ფორმატი ნამდვილად არ ეყოფოდა. ამიტომ ვირჩევთ ამ შემთხვევაში აქცენტი გავაკეთოთ „ქართული მატერიალური კულტურის ლექსიკონზე“ რომლის ორი გამოცემა 2011 და 2022 წლებში რამდენადმე იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ადამიანმა თვალი გაადევნოს ქართული ეთნოკულტურის სფეროში შექმნილ ხელოვნების ისტორიას, მისი ქმნადობის პროცესებს, მის მონაპოვართა განვითარების მრავალსაუკუნოვან გზას. ლექსიკონის შექმნა მოტივირებული იყო რეალურად არსებული ცვლილებებით, რასაც ადგილი აქვს ქართულ მატერიალურ კულტურაში. როგორც ცნობილია, მსოფლიო გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი დღის წესრიგში აყენებს ეთ-

ნოკულტურულ მემკვიდრეობის მიმართ პრობლემატურ დამოკიდებულებას. ქართული ეთნოკულტურა ესაა უზარმაზარი შემოქმედებითი პროცესი, რომელიც იქმნებოდა საუკუნეთა განმავლობაში. ხალხის ფენაში შექმნილი ეს კულტურა არის განმსაზღვრელი საქართველოს როლისა და ადგილისა მსოფლიოს ხალხთა ცივილიზაციაში. თუ ქვეყანას აქვს პრეტენზია ითვლებოდეს დიდი კულტურული მემკვიდრეობის შემოქმედად ეს უპირველეს ყოვლისა უნდა დაადასტუროს ამ ქვეყნის მოსახლეობის სამეურნეო და სახელოვნებო ცხოვრების განვლილმა გზამ, რომელიც უნდა აისახებოდეს მისი შრომისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგებით. ლექსიკონში თავი მოიყარა მატერიალური კულტურის წრეში შემაჯალმა ნივთიერმა მასალამ, რომელიც დახასიათებულია დანიშნულების, დამზადების წესის, გავრცელების არეალის, ესთეტიკურ-უტილიტალური დონისა და ნივთთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების ასპექტების განხილვით. ლექსიკონი ფაქტობრივად წარმოგვიდგენს ქართულ ეთნოკულტურაში, საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი ხელოსნობისა და ხელოვნების პროდუქტის შედარებით სრულ სურათს, რომელის მნიშვნელობა მომავლისათვის განისაზღვრება მისი როგორც დოკუმენტალური ავთენტურობით. (ქმკელ..., 2011, 2022) აღსანიშნავია, რომ ამ წიგნის შემოკლებული, ინგლისურენოვანი ვარიანტი გამოიცა 2016 წელს და დაურიგდათ მსოფლიოს ცნობილ ბიბლიოთეკებსა და ჰუმანიტარულ სამეცნიერო ცენტრებს. (E. Nadiradze, 2016).

დასკვნა

ხელოვნებათმცოდნეობაში მიღებული დებულების თანახმად, ხელოვნების მიზანია წარმოადგინოს ადამიანთა საზრუნავის სამყარო, იგი მოითხოვს კონკრეტული წესების ან ტექნიკის გამოყენებას, რომელიც საჭიროა ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად და რამდენადაც ხელოვანი ფლობს ამ თვისებებს, იმ-

დენადაა მისი ქმნილება ყურადღების ღირსი. საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ სფეროში, რომელსაც წარმოადგენს ეთნოკულტურა, რელიეფურადაა გამოხატული ადამიანთა ეთიკური და ესთეტიკური ღირებულებანი, მათი მოთხოვნილების დონე და ამ მოთხოვნილებათა შესრულების ხარისხი. ცნობილია, რომ ხელოვნების პირველსაწყისებს ადრეკლასობრივ საზოგადოებაში ჩაეყარა საფუძველი, რის შემდეგაც ხელოვნების უკვდავი ქმნილებანი შეიქმნა ძველ აღმოსავლეთში, ეგვიპტეში, ჩინეთში, ინდოეთში, სპარსეთში, საბერძნეთში, რომში და ხმელთაშუაზღვის რეგიონის კულტურასთან ნაზიარებ ხალხებში, რომელშიაც იგულისხმება კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის აბორიგენი მოსახლეობაც.

წინამდებარე ნაშრომში, შევეცადეთ წარმოგვედგინა მსოფლიოს ერთ-ერთი საინტერესო რეგიონის-ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ეთნოკულტურული მემკვიდრეობა, ყურადღების გაგვემახვილებინა ხელოვნების იმ ნაკადებზე, რომელიც მათი, როგორც კულტურის ელემენტის, შეფასებისათვის გამოდგება. ძირითადად ესა არის ეთნოკულტურული ხელოვნების ის ბრწყინვალე ნიმუშები, რომელის ერთი ნაწილი დადასტურებულია ეთნოგრაფიულ ყოფაში, ხოლო მეორე დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. უმთავრესად ესაა ესთეტიკური და უტილიტარული დანიშნულების: ქართული, ირანული, აზერბაიჯანული, სომხური, ქურთული და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების სახელთან დაკავშირებული ექსპონატები, რომელთა მასალაა ვერცხლი, მოოქროული ვერცხლი, სპილენძი, თუთია, კალა, რკინა, თიხა, ხე, ძვალი და სხვა. ფართო სპექტრით წარმოვადგინეთ ხალიჩური ნაწარმი, კოსტიუმი და შედარებით მოკრძალებულად: კერამიკული ნაწარმი, საცხოვრისი, მელვინეობასთან დაკავშირებული ნივთიერი მასალა, საბრძოლო იარაღები, ყოველდღიური მოხმარების საგნები და სხვა. ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს, ირანის, აზერბაიჯანის, ერევნის სახანოსა და ყაჯარული პერიოდის ნივთებს, რომელნიც მაღალი ხელოვნების ყველა მოთხ-

ოვნილებას აკმაყოფილებენ. წარმოდგენილი მასალის ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასკვნა, რომლის მიხედვით ეთნოკულტურა არის ის სფერო საიდანაც დასაბამს იღებს ხელოვნების ძირითადი მიმართულებანი.

Eldar Nadiradze

Ethnic culture and Art of the South Caucasus and the Near East

Summary

The paper mostly offers the discussion of the art items kept at the National Museum of Georgia and belonging to the ethnocultural heritage of the South Caucasus and the Near East. Those are the items that started to arrive in the said institution in the middle of the 19th century and proceeded over one hundred years.

According to the view accepted in art history, the art aims at representing the world of human concern. It requires the application of particular rules or techniques needed in order to create art items, and more skillfully an artist applies those rules and techniques the more noteworthy his creations are. Such aspect of public life as the ethnic culture vividly depicts the ethical and aesthetical values of human beings, the level of their requirements and the quality of meeting those requirements.

As far as is known, the primary art originated in the early class society. As a result, immortal pieces of art have been created in Ancient East, Egypt, China, India, Persia, Greece and Rome as well as among the peoples familiarized with the Mediterranean culture with involved the native population of the Caucasus and the Near East. Noteworthy is that the major part of those items has been created in the ethnocultural field and, what's more, we may say that the ethnic

culture is the only field where the origins and the forms of development of art should be searched in.

The major task of this paper is to focus attention on the art trends in the ethnic culture of the peoples in one of the most interesting regions of the world and to represent the material which will promote the evaluation thereof as an element of culture.

The process of collecting the specimens of ethnic culture and art of the South Caucasus and the Near East at the Caucasus Museum, the predecessor of the National Museum, taking place both in field and laboratory conditions, was accompanied by sketching the material, which is of great importance for the reconstruction of cultural life of the peoples of the region under consideration. The well-known artists such as Max Tilke, Grigori Gagarin, Korneli Tatishchev, Sergo Kobuladze, Vladimer Tsilosani, Zurab Tsereteli and others have made a major contribution to the said field.

The paper pays special attention to the brilliant pieces of ethnocultural art found in the ethnographic environment as well as those kept in various collections of the Georgian National Museum. Those are mainly the utilitarian or practical exhibits related to Georgian, Iranian, Azerbaijanian, Armenian, Kurd and other ethnical groups. Those exhibits are made of silver, gilt silver, copper, zinc, tin. In big variety are presented costumes, rug and ceramic pieces as well as weapon, religious and everyday items. Special consideration is given to the utilitarian and aesthetic items of Qajar period that meet all the demands of high art.

As a result of analyzing the presented material, the paper offers a conclusion according to which the ethnic culture is the sphere where the main directions of art take origin from.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ – ტომი VIII, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1970.

ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსი საქართველოსი, თბ., 1941.

იაშვილი მ., მასალები საქართველოს სოციალ-ეკონომიური ისტორიისათვის, თბ., 1974.

იესე ოსეს ძის (ბარათაშვილის) თავგადასავალი, სარგის კაპაძის გამოცემა, თბ., 1913.

კვანტიძე გ., ქართული ჩაცმულობა (XVI- XVII სს.) , თბ., 2019.

კვირკველია გ., ირანის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1968.

მელიქიშვილი ი., ნადირაძე ე., ტოგონიძე ლ., ქართული ტრადიციული სამოსი. XVIII- XIX სს. თბ., 2016.

მეტრეველი რ., საისტორიო ნარკვევები, თბ., 2019.

ნადირაძე ე., ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, სამეცნიერო ხელმძღვანელი), თბ., 2011, მეორე შევსებული გამოცემა, თბ., 2022.

ნადირაძე ე., ვაზი და ღვინო საქართველოსი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მინაცემების მიხედვით, თბ., 2022.

ოჩიაური აღ., ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 2005.

ჟორდანია გ., კავკასიის მუზეუმის დაარსება, თბ., 1951.

რუსიშვილი ნ., გადაჭრილი გორანამოსახლარის პალეოეთნობოტანიკური კვლევის პირველადი შედეგები, თბ., 2013.

ფრუიძე ლ., მევენახეობა მეღვინეობა საქართველოში (რაჭა), თბ., 1974.

ჩიტაია გ., შრომები, ტ. III, თბ., 2001.

ჩიქოვანი თ., ამიერკავკასიის ხალხურ ნაგებობათა ისტორი-

იდან, თბ., 1967.

ჩოფიკაშვილი ნ., ქართული კოსტიუმი VI – XIV სს. თბ., 1964.

ჩუბინაშვილი გ., ქართლის დარბაზი, თბ., 1927.

ჩხაიძე გ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 2003.

ციციშვილი ი., მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, თბ., 1954.

ჰეროდოტე, ისტორია, ტ. I, თბ., 1975.

Georgia she Gradle of viticulture (Bordeau) 2017

Geladze T., B.N Smith., Nadiradze E., Max Tilke – National Costumes of Caucasian People, 2005

Davies S., Definition of Art, 1991.

Dickie G., Art and the Aesthetic: An Institutional Analysis, Cornell University Press, 1974.

Carrol N., Theories of Art Today, 2000.

Nadiradze E., Axalkaci N., Alieva L., Azerbaijani Capters, Baku, 2014.

Nadiradze E., Irevan Khanate, Baku, 2019.

Nadiradze E., Karabakh, 2021.

Nadiradze E., Pashaeva L., D. Pirbari Kurdish Artifacts from the Museum of Georgia, 2007 .

Nadiradze N., The grapevine and Georgia According to Archaeological and Ethnographic, evidence 2022.

Nadiradze E., Concise ethnographical VOCABULAR of Georgian Material Culture, 2016.

Tilke M., Orientalische Kostume in Shmitt und fabre, Berlin, 1923.

Pope A., Masterpieces of Persian, Nev-york 1945.

Pope A., Survey of Persian Art from prehistoric times to the present, London-Nev-york 1939.

Агабабян., Архитектура грузинского народного жилища, 1945.

Брокгауз Ф., Ефрон., И. Энциклопедический словарь т. 40,

СПБ., 1904.

Джаваншир М., История Карабаха, М., 1959 .

Дубровин И., История войны и владычества русских на Кавказе I- IV СПб., 1871, 1889.

Дмитриева Н., Происхождение искусства, Всеобщая история искусств. Том 1.М-Л., 1956.

Каджар Ч., КаджарЫ, Баку, 2001.

Керимов Л., Азербайджанский кавер т. I., М., 1961.

Кобичев В., Жилища народов Восточного Закавказья, М., 1957.

Описание Карабахской провинции, Тифлис, 1866.

Петрушевский И., Очерки по истории феод. отношений В Азербайджане и Армении в нач. XVI-XIX вв., Л., 1949.

Шопен И., Исторический памятник состояния армянской области эпоху ее присоединения к российской империи, СПб., 1852 .

ილუსტრაციები



1



2



3



4

მაქს ტილკე: 1. ქართველი ქალი; 2. ხევსურები; 3. აზერბაიჯანელი ქალი; 4. ქურთი მამაკაცი.



1



2



3



4

მეცს ტილკე: 1. სპარსი მამაკაცი; 2. ყარანოღაელი მამაკაცი; 3. ებრაელი მამაკაცი; 4. ბერძენი ქალი
366



1



2



3



4

გრიგორი გაგარინი: 1. იმერული პრინცი; 2. შეიარაღებული ქართველი;
3. შეიარაღებული ქართველ; 4. მეგრული მამაკაცი



1



2



3



4

სსი, მ. 40

ყაჯარული ეპოქა, სინები



ყაჯარული ეპოქა, ზოომორფული ფიგურები



ყაჯარული ეპოქა, სინი





ყაჯარული ეპოქა, თასი



ყავარული ეპოქის ჭურჭელი



ყაჯარული ეპოქა: დეკორატიული მსხალი; დერვიშის ყუთი



ყაფარული ეპოქა: თასი და იბრილი



ყაჯარული ეპოქა: მოჭიქული დოქი; ქვის ჩაიდანი



ყაჯარული ეპოქა: შორენკეცები და ქვის სურა



ყაჯარული ეპოქა: ვაზები







ყაჯარული ეპოქა: საბრძოლო იარაღები



აღმოსავლური მუსიკალური საკრავები



ერევნის ხანის დარბაზის ინტერიერი



სარდრის სასახლე: ყადიმ ერევანი. პორტრეტები



ერევნის მეჩეთის შორენკეცები




სომხური სამღვდლო მიტრა; ქალის თეფელული (თავსაბურავი)




ირანულ-აზერბაიჯანული ხალიჩები









ქალის სარტყელი



1. ქართლური დარბაზი; 2. იმერული ოდა





იმერული ბუხარი



ლეჩხუმური ბუხარი



არქეოლოგიური საღვინე ჭურჭელი



ეთნოგრაფიული საღვინე ჭურჭელი



ღვინის სასმისი კულა




ღვინის სასმისი ხრიკა



ღვინის სასმისი თასები





მემორიალური კულტურის ძეგლები
(საფლავის ქვები)

იმარის სტილის ფაიფური
(ფაიფურის ფონდის მასალების მიხედვით)

„იმარი“ იაპონური სტილია, რომელიც იაპონიაში XVII ს-ში განვითარდა. დასახელება „იმარი“ ამავე სახელწოდების პორტის სახელიდან მოდის, რომელიც ქალაქ არიტას მახლობლად მდებარეობდა. არიტა კი ფაიფურის წარმოების ცენტრი იყო. ფაიფურიც მისი სახელით არის ცნობილი. ფაიფური იმარი ძალიან პოპულარული იყო იაპონიის ფარგლებს გარეთაც. მის კოპირებას ახდენდნენ ჩინეთში, ჰოლანდიასა და ინგლისში. იმარი პოლიქრომული ფაიფურია, მოხატულია ლურჯი ჭიქურქვედა კობალტითა და ჭიქურზედა ფერადი საღებავით: წითელი, წარინჯისფერი, ყვითელი, ცისფერი, ბაცი ნაცრისფერი, მწვანის სხვადასხვა ვარიაცია – ღია მწვანიდან მუქამდე და ოქროსფერი. იმარის ფაიფურისაგან ამზადებდნენ თევშებს, ლანგრებს, ბადიებს, თასებს, ლარნაკებს და სხვ. დიდი ზომის ნივთების მოხატულობა ქსოვილის დეკორის მიხედვით კეთდებოდა (N. Schiffer, 1997: 23).

სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ფაიფურის ფონდში არის იაპონური, იმარის სტილის ბადია №14-43/1 (სურ. 1-2), რომელიც მუზეუმმა თბილისში ვინმე რატიშვილისაგან შეიძინა. ბადია რძისფერი ჭიქურითაა დაფარული. მოხატულია ჭიქურზედა პოლიქრომული საღებავებით: მუქი წარინჯისფრით, რომელიც ალაგ-ალაგ წითელში გადადის, ვარდისფრით, ყავისფრით, შავითა და ცისფრით. გამოყენებულია ოქროს ვარაყიც. ბადიის კედლებზე, გარეთა მხარიდან, ოთხი კარტუშით, ყვავილებითა და ჩიტებით. შიდა მხარე მთლიანად სხვადასხვა ფორმის კარტუშებითაა დაფარული. ცენტრალურ, ოთხკუთხა, კარტუშში ჯამბაზები და ილუზიონისტები არიან გამოსახულნი, ბადიის კედლებზე არსებულ კარტუშებში კი – პეიზაჟები, ყვავილები და ფრინველები. ბადიას ძირზე ექვსნიშნა დამლა აქვს – წითელი ჭიქურზედა საღებავებით გამოსახული ექვსი იაპონური

იეროგლიფი. მსგავსი ბადიები სამეცნიერო ლიტერატურაში XIX საუკუნით არის დათარიღებული ამიტომ ჩვენი ბადიაც ასევე დავათარიღეთ (O. Impey, 2002: 55). ბადია კარგადაა დაცული. ბადიის პირის დიამეტრი 31 სანტიმეტრია, ძირის დიამეტრი – 14 სმ., სიმაღლე – 14 სმ.

იმპერატორ ქანგსის მმართველობის ბოლოს, XVIII ს-ის დასაწყისში, ჩინეთის პატარა პროვინცია, ძინგდეჟენში დაიწყეს ჩინური იმარის წარმოება, რომელიც სამუდამოდ დამკვიდრდა ჩინური ფაიფურის წარმოებაში. აქ მზადდებოდა ჩინური ვერსია იაპონური იმარისა.

ჩინური იმარი ხასიათდება ჭიქურქვედა ლურჯი და ჭიქურზედა წითელი და ოქროსფერი მოხატულობით. ჩინური იმარის ფაიფურის კეცი უფრო სქელია, ვიდრე იაპონურის, რომელიც ძალიან თხელია და ოდნავ გამჭვირვალე. თანაც იაპონური იმარის მოხატულობა ჩინურთან შედარებით უფრო სადაა და ცალკეული დეკორატიული მოტივები ნივთის ზედაპირზე ერთმანეთისგან შორიშორსაა განთავსებული (Э. Вестфален, М. Кречетова, 1947: 26-28).

იმარი ძალიან პოპულარული იყო ევროპაში. მასზე დიდი მოთხოვნის გამო ჩინელებმა სასწრაფოდ აითვისეს ეს სტილი და დაიწყეს მისი მასიური გამოშვება. მთელი XVIII ს-ის განმავლობაში და შემდეგაც ევროპაში ჩინური იმარი დიდი რაოდენობით გადიოდა.

ჩინური იმარია ბადია (საინვ. №17-42/13. სურ. 3), მოხატულობა ჭიქურქვედა ლურჯი და ჭიქურზედა წითელი და ოქროს საღებავით. ბადიის ცენტრში პიონის გამოსახულებაა. ნაპირს შიდა მხრიდან რკალად აკრავს რომბისებური ორნამენტი, რომელშიც ოთხი მინდორია პიონებით. ბადიის კედლებზე გარეთა მხრიდანაც პიონები და ქრიზანთემებია. ბადია ციანლუნის მეფობის ხანაშია (1736 – 1795) დამზადებული. H – 11 სმ; პირის D – 26 სმ; ძირის D – 13,5 სმ; დაცულობა – კარგი.

ჩინური იმარის სტილს მიეკუთვნება აგრეთვე თეფში (საინვ. № 33-26/119. სურ. 4). მოხატულობა – ჭიქურქვედა ლურჯი და

ჭიქურზედა ალისფერი. თეფშზე პიონებია გამოსახული. თეფშის ნაპირზე, გეომეტრიული, რომბისებური ორნამენტის ფონზე, მედალიონებია პიონებით. თეფში იმპერატორ ციენლუნგის მმართველობის ხანით (1736 – 1895) თარიღდება. D – 22 სმ. დაცულობა – ოდნავ გაბზარული.

ჩინური იმარია ლანგარი (საინვ. №17-42/9. სურ. 5). მოხატულობა – ჭიქურქვედა, ლურჯი და ჭიქურზედა პოლიქრომული. ლანგარის ცენტრში, თეთრ მინდორზე პიონებია გამოსახული. ცენტრალური მედალიონის ირგვლივ თორმეტი რადიალური მინდორია. ექვსი მათგანი ლურჯი კობალტითაა დაფარული და ოქროთია მოხატული. ყოველ ლურჯ მინდორში დატოვებულია ოთხფურცლიანი ყვავილის ფორმის სივრცე. მათში ყვავილებია. დანარჩენ ექვს მინდორში, პიონების, ქრიზანთემებისა და პეპლების გამოსახულებებია წარმოდგენილი. კიდეზე ლანგარს სტილიზებული მცენარეული ორნამენტი შემოუყვება. ლანგარი იმპერატორ ქანგსის მმართველობის დროსაა დამზადებული (1662–1722). პირის D – 30 სმ. დაცულობა – კარგი.

თეფში (საინვ. № 33-26/122 სურ. 6), მოხატულობა ჭიქურქვედა ლურჯი, ჭიქურზედა ალისფერი და ბაცი ყავისფერი. თეფშის ცენტრში ქრიზანთემების ბუჩქია. ნაპირებზეც ქრიზანთემებია გამოსახული. თეფში კანსის პერიოდით (1662–1644) შეიძლება დათარიღდეს. თარიღდება. D – 22სმ; დაცულობა – ოდნავი ბზარები.

თეფში (საინვ. №33-26/120 სურ. 8), ჩინური იმარი. მოხატულობა ჭიქურქვედა ლურჯი და ჭიქურზედა ალისფერი. თეფშის ძირზე გამოსახულია მცენარეები, ყვავილები და ორი ყვავი, რომელთაც ზურგზე პატარა ჩიტები ასხედან. თეფშის ნაპირი მინდვრებად არის დაყოფილი, სადაც ყვავილები, ფრინველები და რომბისებური გეომეტრიული ორნამენტია გამოსახული. თეფში ციანლუნის ხანით (1736 – 1895) თარიღდება. D – 23 სმ; დაცულობა – რესტავრირებული.

თეფში (საინვ. №33-26/121 სურ. 9), ტალღოვანი ნაპირით, ჩინური იმარი. მოხატულობა ლურჯი ჭიქურქვედა და

პოლიქრომული ჭიქურზედა. თეფშის ცენტრში ორი წრეხაზით შემოსალტულ მინდორში პიონების გამოსახულებაა. თეფშის ნაპირი მოხატულია მინდვრებში ჩასმული ყვავილებითა და სტილიზებული სოკოებით, რომლებზეც აგრეთვე ყვავილება გამოსახული. უკანა მხრიდან თეფში ქრიზანტემებით არის მოხატული. სავარაუდოდ ციანლუნის მეფობის ხანაშია (1736 – 1795) დამზადებული. D – 23 სმ. დაცულობა – კარგი.

ლარნაკი (საინვ. №36-24/11 სურ. 10), ჩინური იმარი, მოხატულობა ჭიქურქვედა, ლურჯი კობალტით, „სუფლე“-ს ტექნიკის გამოყენებით და ჭიქურზედა პოლიქრომული. ლარნაკის მუცლისა და მაღალი ყელის მოხატულობა ერთმანეთისაგან ვიწრო თეთრი რეზერვითაა გაყოფილი. მუცელიცა და ყელიც თანაბარი ზომის სეგმენტებად, მინდვრებად არის დაყოფილი. ყოველ ლურჯ მინდორში დატოვებულია ოთხფურცლიანი ყვავილის ფორმის რეზერვი. რეზერვებში კი ყვავილება ჩასმული. დანარჩენ მინდვრებშიც, რომლებიც წითელი სტილიზებული მცენარეული ორნამენტითაა დაფარული, ყვავილება გამოსახული. ლარნაკი კანსის პერიოდით (1662 – 1722) შეიძლება დათარიღდეს. H – 17 სმ; პირის D – 8 სმ; ძირის D – 7 სმ; დაცულობა – კარგი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმარი ძალიან პოპულარული იყო ევროპაშიც. ევროპელები თავადაც ამზადებდნენ იმარის სტილის ჭურჭელს. ფაიფურის ფონდში მეისონის ფირმის, ჩინური იმარის სტილის არასრული სერვიზია, სულ 150 ნივთი (სურ. 11). ფირმა „Mason’s“ თავის ისტორიას 1796 წლიდან იწყებს, როდესაც მისმა დამაარსებელმა მაილზ მეისონმა ჩინეთიდან ინგლისში ფაიფურის ექსპორტი დაიწყო. 1806 წელს, მეისონმა ფაიფურის საკუთარი საწარმო გახსნა. აქ წარმოებული ფაიფურის დიზაინი ჩინურის მსგავსი იყო. 1813 წლიდან, მეისონმა, სხვა ფაბრიკების მსგავსად, „IRONSTONE CHINA“-ს გამოშვება დაიწყო. მეისონის ფირმა ძალიან პოპულარული იყო არა მარტო ინგლისში. მან ევროპასა და ამერიკაშიც გაიტყვა სახელი (G. Codden, 1985: 111-125).

ფაიფურის ფონდში დაცული მეისონის სერვიზი სადილისაა, აქაა სხვადასხვა ზომის თეფშები, ლანგრები, სასუფეები, სასოუსეები და სხვ. აღვწერთ ერთ-ერთ ნივთს. _ თეფში (საინვ. №30-99/27. სურ. 12), ფაიფური, ფაიფურის ტიპი _ „IRONSTONE“, დაკბილული ნაპირებით. მოხატულობა _ ჭიქურქვედა ლურჯი კობალტით და ჭიქურზედა პოლიქრომული. ჭიქურზედა საღებავთაგან დომინირებს წითელი ფერი სხვადასხვა ვარიაციით. გამოყენებულია ოქროსფერიც. თეფშზე პიონები და ქრიზანთემებია გამოსახული. უკანა მხარეს, ძირზე, აქვს მარკა _ „REAL IRONSTONE CHINA“ და სამეფო გვირგვინი. თეფშის D_ 26სმ. „IRONSTONE CHINA“-ს ინგლისში ფაიფურის ბევრი საწარმო ამზადებდა, მაგრამ ანალოგიური ჭურჭელი ინტერნეტკატალოგებში მეისონის ფირმის სახელთანაა იდენტიფიცირებული. ზოგიერთ მათგანს ჩვენი სერვიზის მსგავსი მარკა აქვს, ზოგს კი მარკა საერთოდ არა აქვს. ყველა ეს ჭურჭელი 1813_1829 წლითაა დათარიღებული. ამიტომ ჩვენს სერვიზსაც 1813_1829 წლებით ვათარიღებთ.

ფონდში წარმოდგენილი იმარის სტილის ფაიფურის ჭურჭელი წარმოდგენას უქმნის დაინტერესებულ პირს ამ სტილის ფაიფურზე ზოგადად, იქნება ეს იაპონური, ჩინური თუ ევროპული იმარი.



სურ.1



სურ.2



სურ.3



სურ.4



სურ.5



სურ.6



სურ.7



სურ.8



სურ.9



სურ.10



სურ.11

**Imari style porcelain
(according to porcelain fund materials)**

Summary

Imari is a Japanese style that developed in Japan in the 17th century. The name Imari comes from the name of the port of the same name, which was located near the city of Arita. Arita was the center of porcelain production. Porcelain is also known by its name. Imari was very popular outside of Japan as well. It was copied in China, Netherlands and England. Imari is a polychrome porcelain, painted with cobalt blue underglaze and colored paints overglaze: red, orange, yellow, blue, light gray, different variations of green – from light green to dark and golden. Plates, trays, nets, bowls, larks, etc. were made from Imari porcelain. Painting of large items was done according to fabric decor.

In the porcelain fund of the Simon Jnashia Museum, there is a Japanese Imari-style grid dating back to the 19th century.

There is quite a lot of Chinese Imari porcelain in the fund too.

Chinese Imari is characterized by blue underglaze and red and gold painting above the glaze. The face of Chinese Imari porcelain is thicker than that of Japanese porcelain, which is thin and slightly translucent. Moreover, the painting of Japanese imari is plainer compared to Chinese, and separate decorative motifs are placed far from each other on the surface of the object.

Imari was very popular in Europe as well. Due to the great demand for it, the Chinese quickly adopted this style and began to mass-produce it. Throughout the 18th century and even after, large quantities of Chinese goods passed through Europe.

Europeans themselves made Imari style pottery. In the porcelain foundation is an incomplete service of the Mason firm, Chinese building style, totaling 150 items.

Similar vessels are identified in Internet catalogs with the Mason firm name. Some of them have a brand similar to our service, and some have no brand at all. All these vessels are dated 1813-1829. Therefore, we also date the service to the years 1813-1829.

The Imari style ware presented in the collection gives the interested person some idea of this style of porcelain in general, be it Japanese, Chinese or European Imari.

გამოყენებული წყაროები ლიტერატურა

Codden G. Eighteen-century English porcelain, Granada, 1985.

Schiffer N. Imari, Satsuma and Other Japanese Export Ceramics. Pensilvania, 1997.

Impey O. Japanese Export Porcelain: Catalogue of the Collection of the Ashmolen Muzeum. Oxford, 2002.

Вестфален Э., Кречетова М., Китайский фарфор. Л., 1947.

რეცენზია

ელდარ ნადირაძე

მართალი წიგნი ეროვნული ხელისუფლების დამხობის შესახებ

ძნელია, დღეს, აილო და წაიკითხო ვრცელი წიგნი, მითუმეტეს მაშინ, თუ სასიამოვნო გასახსენებელიც არაა, რაც ამ წიგნშია მოთხრობილი: კიდევ უნდა განახლდეს ჭრილობები და კიდევ უნდა დაუგდო ყური სიმართლეს, რომელიც ყოველთვის არაა სასიამოვნო ემოციის გამომწვევი. წიგნის გმირებიდან, რომლის შესახებ ეს ნაშრომი მოგვითხრობს, ზოგიერთი ცოცხალი აღარაა, ზოგიერთმა დანაშაული მოინანია, ზოგიერთი კვლავ ძველ აზრზე დგას, ხოლო ზოგიერთები დანაშაულის მივინყების იმედად, კვლავ გაიმართნენ წელში და ამით გულმოცემულნი კვლავ ძველი გონორით დაიჯგიმებიან. მაგრამ, როგორც იტყვიან: სიმართლე არ დაკარგავს თავის გზას, სიმართლე მაინც უნდა ითქვას, უნდა ამოვიდეს მზის სინათლეზე ის რაც ღირსია სინათლისა და ისიც რაც სიბნელეშია დასანთქმელი. ისტორიის მოვალეობაა ჭეშმარიტების ღალადისი და მიუხედავად ბიბლის სიბრძნისა, რომ „ამბის შემხსენებელი მტრებს იმრავლებს“, ისტორიკოსი ვალდებულია ითქვას სიმართლე და დადგეს მის წინაშე, როგორც მსხვერპლი.

დიახ, მე სწორედ ამ პოზიციაში ვხედავ ამ ნაშრომის – „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში 1987-1992“ – ავტორს, ისტორიკოს დიმიტრი შველიძეს, რომელსაც დაუნერია წიგნი XX საუკუნის დასასრულის ჩვენი ქვეყნის ტრაგიკული მოვლენების შესახებ, იმ მოვლენებისა, სადაც ერთხელ კიდევ გაგვიცრუვდა იმედი და კიდევ ერთხელ ვიგრძნით თუ როგორ გაგველია ხელიდან ოქროს ქვიშასავეთ დამოუკიდებელი საქართველოს ბედი და მის მაგიერ როგორ შეგვრჩა ძველი, დაობებული წესები და მოვ-

410

ალეობები. საქართველოს ამ ტრაგიკული ისტორიის შესახებ დღემდე ბევრია დანერგილი და კიდევ ბევრი დაინერება, თუმცა, მე რაც წამიკითხავს ამ ისტორიის ირგვლივ, დიმიტრი შველიძის ნაშრომისთანა სრულს, ობიექტურსა და მიუდგომლობით გამორჩეულს სხვა ნაშრომს არ ვიცნობ.

ნიგნში მოვლენები ვითარდება იმ პერიოდიდან როცა წყალი შეუდგა კომუნისტური მმართველობის თითქმის 70 წლიან ბატონობას და საქართველოს მიეცა შანსი დამოუკიდებლობის მოპოვებისა. როგორც ცნობილია, ამ საუკუნოვანი სურვილის ასრულებას, თავის შეუდრეკელ მერაბ კოსტავასთან ერთად, სათავეში ჩაუდგა ზვიად გამსახურდია. ხუთი წელი ლითონის ქვაბში იხარშებოდა ეს დაუნდობელი პროცესი, ხუთი წელი წველა-კრულვასთან ერთად გმირული ხმა გადადიოდა დაკნინებული საქართველოს გაახალგაზრდავებულ სხეულზე, თავისუფლების არნახული გრძნობამ მოიცვა მთელი ქვეყანა, ეროვნული მოძრაობის სახელით გამართულმა მიტინგებმა თავისუფლების დაუოკებელი ჟინით ამოხეთქა ჩვენს საზოგადოებაში და არნახულმა ერთიანობამ მოიცვა ერი და ბერი, პირადად მე, არასდროს მინახავს მრავალეროვანი საქართველო ასეთი შეკრული და ასეთი ერთსულოვანი. თავად განსაჯეთ: 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის დროსაც მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, სურდა თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის საერთო რაოდენობის 90,3-მა პროცენტმა, რომელთაგან 98,9 პროცენტმა კითხვას დადებითად უპასუხა. ესაა უპეცენდენტო მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რადგან ამ მოვლენაში გამოხატულია მრავალეროვანი საქართველოს შინაგანი ნატურის სინამდვილე, აქ მცხოვრებ ხალხთა მოთხსოვნილების ხარისხი, მანამდე სანამ, მასში არ ჩარეულა უცხო ძალა, თავისი აგენტურით, ისტორიის გაყალბების პროვოკაციული ქსელით და ეთნოსებს შორის შუღლის გაღვივებისათვისანიერი მაქინაციებით. ნიშანდობლივი, რომ თავის შინაგან

აშლილობაში გართულ რუსეთს ეს აქტი მხედველობიდან გამორჩა, გამორჩათ იგი საქართველოს მერუსეთემეებსაც და გამსახურდიას გონივრულმა პოლიტიკურმა ნაბიჯმა, ფაქტის წინაშე დააყენა ყველა ვისაც მიაჩნდა და მიაჩნია, რომ ამ ქვეყნის ბედი საქართველოს ხალხის გადასაწყვეტი არაა...

გავარდა თუ არა ხმა დამოუკიდებლობის რეალობისა, ამ პროცესში ჩაურთველობით შეურაცხყოფილმა მსოფლიო პოლიტიკურმა მონსტრებმა შეუბრუნეს კეხი ამ იდეას და ეროვნული მოძრაობის ეს აქტი და მის საფუძველზე დამდგარი შედეგი, ერთი ხელის დაკვრით გამოაცხადეს დიქტატურად. ამას დაემატა ეროვნული მოძრაობის პოლიტიკურ ბატალიებში ჩართულ იმ მოღვაწეთა პროტესტი და უკუდგომა, რომლებმაც მიიჩნიეს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობაში განეული ღვანლისათვის მათმა ვერ მიიღეს იმდენი რამდენსაც იმსახურებდნენ და კიდევ, ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელსაც არცერთი საქმე არ მიაჩნია სამართლიანად თუ მას არ ეკითხებიან ჭკუას.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესორ დიმიტრი შველიძის ნაშრომი, საქართველოს ისტორიის ერთ კონკრეტულ პერიოდს ეხება, მას სავესებით შესაძლებელია ვუნოდოთ ეპოპეა, რადგან მასში აისახა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მთლიანი პროცესი, მოვლენათა შინაგანი ბუნება და ხასიათი. არც იმის თქმას მოვერიდები, რომ აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა ჩვენი ეთნიკური ხასიათი, არ ვგულისხმობ მხოლოდ დადებითს, ვგულისხმობ უარყოფითაც, რადგან უარყოფითიც ჩვენი ხასიათის ნაწილია და მის გარეშე ჩვენი ეროვნული პორტრეტი ვერ დაიხატება, თუმცა კარგი იყო მისი შემსუბუქება, რომ შეგვძლებოდა რასაც ავტორი არ აკეთებს და ეს სავესებით სამართლიანი გადაწყვეტილებაა.

ბუნებრივია ვერ გამოვდგები ავტორზე უკეთეს მთხრობელად და შემფასებლად იმ პროცესებისა და მისი მონაწილე პერსონაჟებისას, რასაც ბატონი დიმიტრი მოგვითხრობს, მაგრამ წიგნში თავმოყრილმა ამბებმა, რომელთაგან ბევრი დავიწყების ბურუსში იყო ჩანთქმული, გამაოცა. გამაოცა, როგორც ჩვე-

ნი ხალხის გამბედაობითა და თავდადებითა, ასევე პოლიტიკაში ჩაბმული ადამიანთა ორპირობით, დაუნდობლობით, აშკარა გამყიდველობით, საკუთარი ამბიციების ზღვარდაუდებლობით, ორმაგი სტანდარტებით და ზოგადად მანკიერების გამომჟღავნებით იმ დონეზე, რომ ეს უმდაბლესი თვისებანი (მაშინ, და მგონი ახლაც) დადებით რანგში იქნა აყვანილი, მაგალითი თუ ნებავეს მკითხველს ვურჩევ ნიგნის წაკითხვას, ხოლო ჩემი მხრით ვიტყვი, რომ დაბეზლება, სიცრუე, მკვლელობა, ნგრევა, ძარცვა-გლეჯა და ადამიანებზე უფლების აყრა ამ დრომ საქადნებელ და სასახელო საქმედ აქცია.

ძირითადი ჩონჩხი რაზედაც ნაშრომია აგებული მოიცავს 1991-1992 წლებში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს, რომელიც დასრულდა სახელმწიფო გადატრიალებით და არა სამოქალაქო ომით, როგორც ეს უნდა წარმოადგინოს ამ სისხლიან გარჩევაში მონაწილე ზოგიერთ კრიმინალს. ავტორს დაწვრილებით აქვს გადმოცემული მაშინდელი საქართველოს მრავალპარტიული სისტემის შინაგანი სტრუქტურა, ეროვნული, ზომიერ ლიბერალებისა და რადიკალების საქმიანობა და ის შედეგები, რომელიც მათ შორის დაპირისპირებამ მოიტანა. ბუნებრივია, წინამდებარე წერილს არ შეუძლია რამდენადმე სრული წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს ნიგნში აღწერილი მოვლენების შესახებ, მაგრამ შეუძლებელია რამდენიმე შტრიხით არ შევეხო საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ სივრცეში ამოზიდულ ანტისახელმწიფოებრივი მოძრაობის ე.წ. „ეროვნული კონგრესის“ როლს, რომელმაც საბოლოოდ დაღუპვამდე მიიყვანა ხალხისგან არჩეული დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება. როგორც ნიგნის ავტორი, პირველწყაროებზე დაყრდნობით გვიჩვენებს, ამ დაპირისპირებაში პირველი „ვიოლინოს“ როლი შეასრულეს გიორგი ჭანტურიამ და ირაკლი წერეთელმა, (აქვე ვიტყვი, რომ ირაკლი წერეთელმა ეს შეცდომა აღიარა რამოდენიმეჯერ და საჯაროდაც მოინანია, ხოლო გიორგი ჭანტურიას, მისმა თანამზრახველებმა, ამისთვის ძეგლი აუგეს 9 აპრილის ბაღში, ეროვნული მოღვაწეების, რამაზ ჩხიკ-

ვადისა და ოთარ მეღვინეთუხუცესის გვერდით?!). ეროვნულმა კონგრესმა და პირადად გიორგი ჭანტურიამ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა გამსახურდიას ხელისუფლებას და ქართველ ერს მოუწოდა ტოტალური წინააღმდეგობისაკენ, კონგრესს მხარი დაუჭირა ზვიად გამსახურდიასაგან განწყენებულმა ინტელიგენციამ და წამოვიდა ნიაღვარი „ახლად გამომცხვარი დიქტატორის“ წინააღმდეგ, რაც ნასაზრდოები იყო ეგოცენტრული თავმოყვარეობით და პირველობის მოპოების დაუოკებელი ჟინით“. ვის ახსოვს სამშობლო მაშინ როცა საქმე პირადულ ვნებებზეა მიმდგარი?

ნიგნის ავტორის სიტყვით „ხელისუფლებაში მოსვლისა და ეროვნული მოძრაობის ჰეგემონობის დაკარგვის შიშმა, ახალგაზრდა, შეურიგებელი რადიკალები, სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირა გამსახურდიას და მის ხელისუფლებას“ და ამისათვის ისინი არ დარიდებიან არანაირ უღირსი საქციელს, აკი ვთქვი, ადამიანს ბევრი რამ ავიწყდება მეთქი და აღარც ის მახსოვდა, რომ გიორგი ჭანტურიას წამოუჭრია პირველს ეროვნული უმცირესობის შეუწყნარებლობის საკითხი, საქართველოში „ერთაშორის პრობლემათა ძალისმიერი გზით გადანყვება და ანტიდემოკრატიულ პოზიციებზე დგომა“, როგორც დამახასიათებელი მოვლენა გამსახურდიას ხელისუფლებისათვის, იმავე ჭანტურიამ „მრგვალი მაგიდისა“ და მათი მეთაურის კრიტიკა საზღვარგარეთ გაიტანა და საერთაშორისო მასშტაბი შესძინა, ყოვლად შეუწყნარებელია ის ამბავი, რომ ეროვნულმა კონგრესმა მხარი დაუჭირა მხედრიონის ჩამოყალიბებას და ეროვნული გვარდიის დამუხტვას საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად, რითაც მოუმზადეს პოლიტიკური ნიადაგი სახელმწიფო გადატრიალებას. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ავტორის აზრს ე.წ. „ეროვნული კონგრესის“ შესახებ, რომელიც „წარმოადგენდა თვითმარქვია, არაკანონიერ და არალეგიტიმურ ორგანოს“, რომლის მაშინდელი შემადგენლობა მთლიანად იზიარებს დამლუპველ შედეგს, რომელიც ამ ფსევდოპოლიტიკური და ანტისახელმწიფოებრივ

კონგლომერატის საქმიანობას უკავშირდება.

ნაშრომში თითქმის არაა არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი რომელიც შეუფასებელი დარჩენოდა ავტორს, იგი გამორიცხავს ყოველგვარ ცალმხრივობას, ვინმეს მიმართ რევერანსს, არავის არ აფარებს ხელს და პირველყოვლისა ეს ეხება თავად გამსახურდიასაც, რომლის ფიცხმა ხასიათმა, გარკვეული უარყოფითი როლი შეასრულა ამ საბედისწერო დაპირისპირებებში. თუმცა, ავტორის აზრით, ეს მაინც იყო მეორეხარისხოვანი ფაქტორი და არა უმთავრესი. ისტორიკოს დიმიტრი შველიძის ზოგადი შეფასებით ზვიად გამსახურდია ესაა „ტიპიური ეროვნულ – პოლიტიკური მოღვაწე, ლიდერი, იდეოლოგი და მებრძოლი, ასეთივე იყო იგი ქვეყნის პრეზიდენტობის პერიოდშიც და ბოლომდე დარჩა საკუთარი ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლ, მემბოხე მოღვაწედ“. მე სრულიად ვიზიარებ ამ შეფასებას.

ვიმეორებ: ამ არაჩვეულებრივად მართალმა წიგნმა ყველაფერი გამახსენა და დღევანდელ დღეს კვლავ გამიცოცხლა ჩვენი ერის ეს უდიდესი ტრაგედია. ამჟამად შინაურ მტრებზე არას ვიტყვი. ჩვენი სახელმწიფოს მიმართ ევროპული პოლიტიკის და მისი პოლიტიკოსების დამოკიდებულებაზე მოგახსენებთ. როგორც ორი წვეთი წყალი ისე გავს წარსული ახლანდელს. მაშინ, საქართველოში, გამსახურდიას „ნაციონალიზმი“ მძვინვარებდა, ახლა თურმე „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას სურს საქართველო ისევე ნაციონალიზმის ტყვეობაში შეიყვანოს. მაშინ ბუში და ეროვნულ დემოკრატები ებრძოდნენ ქართულ „ფაშიზმს“ ახლა ვიოლა ფონ კრამონი, კუბილიუსი და მისი ევროპელი თანადემოკრატები პლიუს სამადაშვილი, დეკანოიძე, ვაშაძე, ჯაფარიძე და ძმანი მისნი. ყველაფერი მიდის გეგმიურად, ძალიან დიდი მონდომებით, ევროპა აუმხედრდა ამ პატარა მიწის ნაგლეჯს საქართველო რომ ჰქვია და რომელიც მოკრძალებით ცდილობს მეტი სუვერენიტეტი ჰქონდეს. სულ ესაა მისი „დანაშაული“. გამსახურდიაც ამას ითხოვდა და რო-

გორც დასაჯეს ეს სათანადო საბუთიანობითაა ნაჩვენები ამ წიგნში.

მსურს აღვნიშნო, რომ ამ მოვლენათა აღმწერი, პროფესერი დიმიტრი შველიძე, საქართველოს ახალი ისტორიის სპეციალისტია, მან შესანიშნავი ნაშრომები მიუძღვნა ჩვენი პირველი დამოუკიდებლობის გამოჩენილ მოღვაწეებს, მისი პიროვნება სრულყოფილად ითავსებს პროფესიონალის ცნებას და წიგნში მოთხრობილი ისტორია ამ თვისებათა გამო, სავსებით იმსახურებს ნდობას. შველიძის, როგორც ისტორიკოსის პიროვნულ ღირსებად მივიჩნევ პიროვნებათა და მოვლენათა მიმართ სრულ მიუდგომლობს, მოვლენათა სიღრმეში წვდომის უნარს და რაც მთავარია პოზიციას რომელიც მას უჭირავს სამშობლოს ინტერესებიდან გამომდინარე. ვთვლი, რომ ეს ნაშრომი ავტორის შემოქმედებითი გამარჯვებაა, რომლის წაკითხვას ვურჩევდი ყველას თუნდაც იმ გონივრული საჭიროებიდან გამომდინარე, რომ მომავალში მამებისაგან განვლილი გზაზე შვილებმა უშეცდომოთ გაიარონ.

ხსოვნა

ელდარ ნადირაძე, ნოდარ შოშიტაშვილი

გიორგი ჯალაბაძე –100 მეცნიერი და მოღვაწე

ცნობილმა მეცნიერმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ეთნოლოგმა და სამუზეუმო საქმის უბადლო მცოდნემ, ბატონმა გიორგი ჯალაბაძემ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართული ეთნოკულტურის სფეროში. მან გააღრმავა, გააფართოვა და ახალი მიგნებებით შეავსო ქართული სამინათმოქმედო კულტურის ისტორია, რომელიც სრულყოფილად ვერ იქნება გაგებული და აღქმული ბატონი გიორგის მეცნიერული ნვლილის გაუთვალისწინებლად.

ბატონი გიორგის, როგორც პიროვნების, უპირველესი დამახასიათებელი ნიშანი იყო უბრალოება და შრომისადმი კანონმდებ მისული დამოკიდებულება. მან იცხოვრა ამ ნიშნით, იღვანა ამ ნიშნით და გავიდა ამქვეყნიდან ვალმოხდილი, დაფასებული თავისი წრის საზოგადოებისა და მოწაფეებისათვის – როგორც მეცნიერის, მოქალაქის და მისაბაძი პიროვნებისა. ბატონი გიორგი გახლდათ ჭეშმარიტი მუზეუმელი, რაც გულისხმობს: ერის კულტურული მემკვიდრეობის ღრმა ცოდნას, სამეცნიერო თუ სამუზეუმო ხაზით, ამ მემკვიდრეობის პოპულარიზებასა და ღირსების განცდას, რომელიც ადამიანს მიეგება საკუთარი პროფესიისადმი მსახურების გამო: გიორგი ჯალაბაძემ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება დაუკავშირა აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, აქედან დაიწყო მისი სამეცნიერო და სამუზეუმო საქმიანობა და გარდაცვალებამდე ამ მუზეუმის ერთ-ერთი ბურჯი და ჭკუის-საკითხავი პიროვნება იყო.

გიორგი ჯალაბაძე დაიბადა 1922 წლის 28 ნოემბერს შიდა

ქართლში, პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, გორის რაიონის სოფელ ქორდში, ლადო ჯალაბაძისა და ბაბალე რომელაშვილის ოჯახში. არბო, მერეთი, დიცი, ერედვი და შიდა ქართლის მახლობელი სოფლები და მათი სიძველეები: ქორდის წმინდა ბარბარეს ეკლესია, არბოს წმინდა გიორგის სალოცავი, ოდნავ მოშორებით გერი და იკორთა იყო ის ადგილები, საიდანაც საზრდოობდა ბატონი გოგის გონებრივი სამყარო. უნდა აღვნიშნოთ, რომ არბოში, რომელიც გერის წმინდა გიორგის, ამ უდიდესი სალოცავის, „ძმად“ მიიჩნეოდა, სრულიად ქართლის დღესასწაულის – გერისთობის დღეებში დიდი ბაზრობებიც იმართებოდა. სწორედ აქ ხვდებოდა ერთმანეთს ქართლის მთისა და ბარის მოსახლეობა, იყო გაცხოველებული ვაჭრობა, ცვლიდნენ პროდუქტს, ერთმანეთს ხვდებოდნენ მოკეთე-ნათესავები, ახალგაზრდები, იყო ცეკვა-თამაში, ჭიდაობა და საერთოდ, ტრადიციული წესებისა და რიტუალების ზეიმი. ამ გარემოში ჩამოყალიბებული ხასიათი, ბუნება და ინტერესები გახლდათ უმთავრესი ნიადაგი, რომელმაც განსაზღვრა შემდგომში ბატონი გოგის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა.

საქართველოში, გასული საუკუნის 20-30-იანი წლები ის ხანაა, როდესაც ქართლის სოფლებში კვლავ მისდევდნენ მამა-პაპეულ მეურნეობას, ტრადიციული სამეურნეო კულტურების მოყვანას, დიდი გუთნით ხვნა-თესვას, უნიკალური შრომის ორგანიზაციის – მოდგამის პრაქტიკას, ნამგლით მკას, კალოზე ხელეურებისა და ძნების გაშლა და კევრით ლენვას. ბუნებრივია, ამ პროცესებში მონაწილეობამ და მათზე დაკვირვებამ მისცა საფუძველი გოგი ჯალაბაძის სამეცნიერო ინტერესებს – მომავალი სამეცნიერო კვლევის საფუძვლად გაეხადა ქართული სამინათმოქმედო კულტურის კვლევა, რამაც მას ამ დარგში ერთ-ერთი დიდი მეცნიერის სახელი მოუტანა. ამანაც გამოიწვია, რომ მრავალფეროვანი სამეცნიერო მიმართულებებიდან მკაფიო მაგისტრალური ხაზი მაინც, ტრადიციული მინათმოქმედება, ტრადიციული სამეურნეო კულტურები და შესაბამისი სამეურნეო იარაღები აირჩია მომავალმა ეთნოლოგმა. სწორედ

ეს მიმართულება იქცა გიორგი ჯალაბადის საკანდიდატო და შემდეგ სადოქტორო დისერტაციების ობიექტად.

როგორც ცნობილია, საქართველო მიჩნეულია მინათმოქმედების ერთ-ერთ უძველეს ეპიცენტრად. შესაძლებელია ითქვას, რომ თუ რაიმე წვლილი აქვს შეტანილი ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში, ესაა მისი ვაზი და ხორბალი-პური და რაღა თქმა უნდა, ღვინო. მსოფლიოში ცნობილი ხორბლის სახეობათა 20-მდე ჯიშიდან საქართველოში გავრცელებული იყო 14 სახეობა (ზოგიერთი მონაცემით მეტი), რომელთა შორის ენდემურია 5 ჯიში (ესაა საერთო აზრი ისეთი ცნობილი მეცნიერებისა, როგორებიც იყვნენ: ნ. ვავილოვი, ბ. დოროფეევი, პ. ჟუკოვსკი, ე. სინსკაია, გ. კორობკოვა, ლ. დეკაპრელევიჩი, მ. იაკუბცინერი, გ. ჩიტაია, ივ. ჯავახიშვილი, ვ. მენაბდე, ა. გორგიძე, ნ. კეცხოველი, პ. ნასყიდაშვილი, ნ. ბრეგაძე და სხვანი).

ქართული ხორბლის უძველესობას გამოკვეთს მდიდარი არქეოლოგიური მასალა. ამ მხრივ საგულისხმოა ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, უძველეს ნამოსახლარზე, კერძოდ, არუხლოს გორაზე მოპოვებული ძვ. წ. VI-V ათასწლეულებით დათარიღებული ხორბლეული და მარცვლეული კულტურის ისეთი ნაირსახეობანი, როგორიცაა: ველური და კულტურული ერთმარცვალა, მახა, ზანდური, დიკა, ასლი, რბილი და მაგარი ხორბალი, ქერი, ფეტვი, ღომი, შვრია, ოსპი, ჭვავი და სხვა. ამ მარცვლეულთაგან ზოგიერთი მთლიანადაა მოშინაურებული, ხოლო ზოგი მოშინაურების ფაზაში მყოფი ანუ გარდამავალი რგოლია ველურიდან კულტურულ ჯიშზე გადასასვლელად. ეროვნულ მუზეუმში ინახება ძვ. წ. VII-VI ათასწლეულთ დათარიღებული სამინათმოქმედო, სასრევ-სანაყი და სამკალი იარაღები, რომელნიც ქართული ხორბლეული კულტურის დადასტურებისათვის გამოფენის უმთავრეს მასალას წარმოადგენენ.

საქართველო წარმოადგენს სახვნელი იარაღების ცოცხალი მუზეუმს (ივ. ჯავახიშვილი). ესაა სახვნელი იარაღების ქვეყანა, სადაც დადასტურებული და აღწერილია ყველა ტიპის სახვნელი

იარალი, დაწყებული უმარტივესი კავწერადან, დამთავრებული დიდი გუთნით. მიწათმოქმედება ვერ განვითარდება სახვნელი იარალის გარეშე, შესაბამისად, ვერ განვითარდება პურეული კულტურის ტრადიცია: ხორბლის მოყვანა-დამუშავებისა და პურის ცხოხა-შენახვა-მოხმარების პროცესები.

ასეთი საკვლევი ასპარეზი აირჩია გიორგი ჯალაბაძემ თავისი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის და შესაძლებელია ითქვას, რომ მისმა შრომებმა გაამდიდრეს და განამტკიცეს წინამორბედი მკვლევართაგან გამოთქმული მოსაზრებანი ქართული სამიწათმოქმედო კულტურების უძველესობის შესახებ.

მაგრამ მანამდე იყო ცხოვრების მძიმე გზა. მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობა ისეთი რთული საქმის არჩევით, როგორცაა სამხედრო მფრინავის პროფესია. რისკიანმა და ინტერესიანმა ყმანვილმა ალლო აულო იმდროინდელ ახალგაზრდებში პოპულარულ, რომანტიკით შებურვილ საქმეს და 19 წლისამ ჩააბარა თბილისის საავიაციო სასწავლებელში. სწავლის დასრულებითანავე იგი გაგზავნეს ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე, სადაც წყდებოდა სამხრეთ კავკასიაში გერმანელთა შემოსვლის ბედი. სწორედ ჩრდილოეთ კავკასიის გმირულმა დაცვამ ააცილა საქართველოს სოფელ-ქალაქები ფაშისტურ ოკუპაციას. რამდენიმე საბრძოლო გაფრენის წარმატებით შესრულების შემდეგ გიორგი ჯალაბაძე დაიჭრა და 1943 წელს ფრონტიდან გაიწვიეს. ფრონტგამოვლილი, ღირსეული სახელის მქონე ახალგაზრდა, ერთხანს მასწავლებლად მუშაობდა მშობლიური სოფლის სკოლაში, ხოლო შემდგომ ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც თავიდან საქართველოს ისტორიის გვიანი შუა საუკუნეების ეპოქით დაინტერესდა და რამდენიმე სტატიაც გამოაქვეყნა ვახტანგ VI-ის ეპოქაზე. მაგრამ, შემდგომ ეთნოლოგიამ გაიტაცა და ამ გადანყვეტილების მიღებაში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მუშაობის დაწყება დაეხმარა. ამ დროისათვის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი მიიჩნეოდა ეთნოგრაფ-ეთნოლოგების სამჭედლოდ, სადაც დიდი მეცნიერების – აკადემიკოს გიორგი ჩიტაიასა და

ვერა ბარდაველიძის ყურადღების ქვეშ ინართობოდა მომავალი თაობა. სწორედ გიორგი ჩიტაიასა და ვერა ბარდაველიძის ამ ეთნოგრაფიულ ჯგუფს შეუერთდა გიორგი ჯალაბაძისა და შემდგომში, მისი მეუღლის, გამოჩენილი ეთნოლოგის თინა ოჩიაურის წყვილიც, რამაც ახალი ენერგია შესძინა ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების სამეცნიერო და სამუზეუმო საქმის წინსვლას. ამრიგად მოხვდა გიორგი ჯალაბაძე იქ, სადაც მისი მოწოდება და ადგილი იყო! უკვე მუზეუმის თანამშრომელმა ჩააბარა ასპირანტურაში და დაიწყო კვლევა თემაზე „აღმოსავლეთ საქართველოს სამინათმოქმედო იარაღების ისტორიიდან“, რომლის საფუძველზედაც 1955 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1972 ფაქტობრივად ამ თემის დახვეწასა და გაგრძელებას მიეძღვნა მისი სადოქტორო დისერტაცია: „საქართველოს სამინათმოქმედო კულტურა“.

საგულისხმოა, რომ აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია მაღალ შეფასებას აძლევდა ეთნოლოგ გიორგი ჯალაბაძის მონოგრაფიას/ მოძღვნილს აღმოსავლეთ საქართველოს სამინათმოქმედო იარაღებისადმი. ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებლის აზრით, ამ ნაშრომში გამოკვლევის ავტორმა დაადგინა ხორბლეულის მოყვანა-აღებასთან დაკავშირებული ისეთი ნიუანსები, რომლებიც ხსნიან და ავსებენ მისი გენეტიკური ევოლუციის უმნიშვნელოვანეს პროცესებს, იქნება ეს ხორბლეულის აღება – ხელით, შნაკვით, ნამგლითა, ცელით თუ მისი ლენვა – პირუტყვის ფეხით, ბერტყვითა თუ კევრის გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ გიორგი ჯალაბაძე ერთ-ერთ თავის ნაშრომში წარმოადგინა შესანიშნავი კვლევა წინა აზიისა და ამიერკავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიულ ყოფაში სამარხეული კვერების სარიტუალო მიზნით გამოყენებას შესახებ, რომლის დასკვნაში ჩამოყალიბებული აზრი, რომ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამარხეული კვერები უკავშირდებიან მიცვალებულის კულტს და ეს ტრადიცია ნაყოფი და შედეგია საქართველოს მაღალი სამეურნეო კულტურისა.

როგორც ცნობილია, ეთნოლოგიურ მეცნიერებაში დიდი

მნიშვნელობა ენიჭება მოვლენის დეტალის სწორ ინტერპრეტაციას ანუ მცირეში დიდის დანახვის უნარს. ვიტყვი, რომ ამის დიდოსტატი ბრძანდებოდა ბატონი გიორგი ჩიტაია, რომელსაც შეეძლო მატერიალური კულტურის ისეთი ელემენტების შესწავლით, როგორცაა სამეურნეო სათავსის გასაღები (დათვა-ბოყვა) ჭვინტიანი ფეხსაცმელი, კერამიკული ნაწარმის ერთი ნივთი თუ სამოსის დეტალის სწორი ანალიზი, ქართველთა წინაპრების გენეტიკური და კულტურული ნათესაობის კავშირები დაეფიქსირებინა მსოფლიო ცივილიზაციის უძველეს ხალხებთან. თავისი მასწავლებლის დარად, ბატონი გიორგი ჯალაბაძე ახერხებდა ეთნოგრაფიულ ფაქტში გამოერჩია მთავარი, შინაარსის მატარებელი დეტალი და ექცია იგი მთელი პროცესის სულისჩამდგმელად. ეს შეიძლებოდა გვეთქვა თუნდაც საქართველოში გავრცელებულ საანეულო იარაღთან დაკავშირებით, რომელსაც მკვლევარმა თავის ნაშრომში მოუძებნა ანალოგები კავკასიის, ძველი აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ხალხთა მეურნეობაში და გამოთქვა მოსაზრება, რომ ნიადაგის გამაფხვიერებელი ეს იარაღი კიდევ ერთი მაგალითია საქართველოს მინათმოქმედების სიმაღლისა.

დიდი ივანე ჯავახიშვილის შეფასებით, საქართველო წარმოადგენს სახვნელი იარაღების ცოცხალ მუზეუმს. ცნობილია, რომ საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ (ვაკე, მთისწინეთი, მთა) განაპირობა სახვნელ იარაღთა მრავალფეროვნება ანუ მისადაგება როგორც ნიადაგთან, ასევე სახვნელი ფართობის ექსპოზიციასთან. ეს გარემოება იყო უმთავრესი ხელისშემწყობი, რომელიც აპირობებდა ისეთი იარაღების წარმოშობას, როგორცაა: დიდი გუთანნი, ჯილა სახვნელი, მეგრული ოგაფა, რაჭული ქუსლიანი სახვნელი, ხევსურული და თუშური კავწერა, აჩაჩა, ქსნური გუთანნი და სხვა.

საქართველოში მემინდვრეობის კულტურის მრავალწლიანი კვლევა გიორგი ჯალაბაძემ წარმატებით დაასრულა და 1972 წელს და მოგვიანებით, დისერტაციაში წარმოდგენილი საკითხები შევსებული და ახალი გამოკვლევებით გამდიდრებული გა-

მოიცა ორ წიგნად: 1986 წელს – „მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში“ და 1990 წელს – „მემინდვრეობის კულტურა დასავლეთ საქართველოში“. დასახელებულ ნაშრომებში ფაქტობრივად საქართველოს ყველა კუთხის მაგალითზე განხილულია ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ეს უმნიშვნელოვანესი მხარე; წარმოდგენილია უამრავი ფაქტობრივი მასალა და გამოტანილია უაღრესად მნიშვნელოვანი დასკვნები.

ყურადღებას გავამახვილებთ ზოგიერთ მათგანზე:

გიორგი ჯალაბაძემ მესხეთის სამინათმოქმედო კულტურის კვლევისას აღმოაჩინა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა პურეულის ერთ-ერთი ჯიში – ფასენი! ეს იყო საშემოდგომო ხორბალი. გასული საუკუნის მეორე ნახევარში ხორბლის ამ ძველ ქართულ ჯიშს უკვე აღარ თესავდნენ. აღნიშნული პურეული მანამდე არსად, არც ერთ სპეციალურ ლექსიკონშიც კი არ იყო დაფიქსირებული. კვლევის შედეგად ავტორი გამოთქვამს და სამეცნიერო ლიტერატურაში ამკვიდრებს საინტერესო მოსაზრებას, რომ ეს ტერმინი უშუალოდ ხორბლის მთესველ-მომყვანთა ვინაობა-სადაურობაზე უნდა მიუთითებდეს. ფასენი იმავე ფასიანს და შესაბამისად, ბასიანს უნდა ნიშნავდეს, რის არგუმენტადაც ავტორს მოჰყავს აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მოსაზრება ფასიანისა და ბასიანის იგივეობისა და ქართული წარმოშობის შესახებ, რასაც თავის დროზე მხარს უჭერდა პავლე ინგოროყვაც. თუ ფასიანი//ბასიანი ამ მკვლევართა მოსაზრებით სატომო სახელია, მაშინ, გიორგი ჯალაბაძის დასკვნით, ტერმინი „ფასენი“ მათი სატომო სახელიდან გამომდინარე, პურეულის ჯიშის გამომხატველი უნდა იყოს. მეცნიერის ვარაუდით, ფასენის გავრცელების არეალი მტკვარ-არაქსის ენეოლითური კულტურის სამყაროს განეკუთვნება.

საყურადღებო მსჯელობას გვთავაზობს გიორგი ჯალაბაძე „მახნია პურის“ შესახებ. ეს პურეულიც მკვლევარს მესხეთში აქვს დამოწმებული, ძირითადად მტკვრის ხეობის ზედა

სოფლებში. სახელწოდება მახნიას მკვლევარი პურეულ მახადან მომდინარედ მიიჩნევს. ასევე, ამ კუთხეში საქართველოს ენდემის, მახას გავრცელების მანიშნებლად, დიკას ერთ-ერთი სახეობის გამომხატველად, ამ სახელის შემომნახავად მიიჩნია. ამ მოსაზრებას ამყარებს ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ოსმალთა მიტაცებულ ფოცხოვის ლივში, ჩილდირის (ჩრდილის) მხარეში შესაბამისი გვარ-სახელის (მახნიასძე) დაფიქსირებაც. ავტორი ამავე დროს განიხილავს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მსგავსი ძირიანი გვარების გავრცელებას და გვთავაზობს საინტერესო დაკვირვებას დასკვნის სახით. კერძოდ, ისევე როგორც პურეულის ეს ჯიში ზეგან ადგილებსა და მთის პირობებში მოჰყავდათ, შესაბამისძირიანი გვარებიც ამ არეალში გვხვდება.

აღნიშნულ მონოგრაფიაში ბევრ დაკვირვებასა და სიახლეს ვხვდებით: მაგალითად, გარკვეულ დრომდე გადმონაშთის სახით, „თემური მინათმფლობელობის არსებობა დასტურდება სახელმწიფო მინათმფლობელობის საფარქვეშ ხევსურეთში, ქიზიყში“ და სხვა. ეს გარემოება მიუთითებს კონკრეტულ, გარდამავალ ეტაპზე მინის სათემო საკუთრებიდან კერძო მფლობელობაში გადასვლასთან დაკავშირებით. ეს კი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე პროცესი იყო, რომელიც მიმდინარეობდა ეტაპობრივად – დანაწილება ჯერ პატრონიმიებს, შემდეგ კი ძმათა შორის წარმოებდა.

მონოგრაფიაში სისტემურადაა ნაჩვენები ერთი საინტერესო საკითხიც დასახლების ტიპთან დაკავშირებით. კერძოდ, კარული ანუ მონოგენური დასახლების პოლიგენიურად გადაქცევის პროცესი; ასევე გამორჩეულად საინტერესოა ავტორის მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების დადასტურებული, მინის ერთი კატეგორიის გამოყოფა „დედულის“ სახით და ამ მინის სამართლებრივი კატეგორია დიდი ოჯახების გაყოფის დროს.

მონოგრაფიაში წამოწეულია ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხიც. ესაა სამცხე-ჯავახეთში მოქმედი, ე. წ. უნივერსალური სახენელის – ჯილდის თემა. ავტორის მოსაზრებით, ჯილდა ტიპური ქართული გუთანია, რომელიც აღნიშნული რეგიონის

პირობებისთვისაა ჩამოყალიბებულ-შექმნილი. ჯილდა, რომელშიც 4-5 ულელი გამწვევი ძალა ებმება, არც დიდი გუთანვიით ღრმად ხნავს (თესლი რომ ტენიან გაზაფხულზე არ ჩალპეს) და არც მცირე სიღრმეზე, რომ არ გამოშრეს. ამდენად, ჯილდა იდეალური იყო ამ პირობებისთვის.

სხვათა შორის, თეთრინყაროს რაიონში, სოფელ ჭივჭავაში, არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა დაახლოებით XV-XVI საუკუნეების საფლავის ქვა სახვნელის გამოსახულებით. სწორედ გიორგი ჯალაბაძემ მოახდინა ამ სახვნელის იდენტიფიცირება ჯილდასთან და ამ თემას სპეციალური სტატიაც მიუძღვნა.

მოგეხსენებათ, რომ საფლავის ძეგლი არის ერთ-ერთი ყველაზე მყარი დოკუმენტი ეთნიკური ერთობის ავტოქტონურობისა და მისი კონკრეტულ მიწაზე მკვიდრობის თვალსაზრისით. ამისდაკვალად ამ მიწაზე შემდგომ მოსული ხალხი ცდილობს ასეთი ტიპის მემორიალური ძეგლები ან თავის საკუთრებად გამოაცხადოს, ან გაანადგუროს, რათა ამ მიწაზე თავისი უფლება განამტკიცოს. ეს პროცესი უკიდურესი მწვავე ფორმით განვითარდა ჯავახეთის გვიანმოსულ (1828 წ.) სომხურ მოსახლეობაში, რასაც „მეცნიერული“ საფუძველი გამოუძებნა ვინმე ბდოიანმა და „დაამტკიცა“, რომ ის საფლავის ქვები, რომლებზედაც ჯილდა სახვნელია გამოსახული, ეკუთვნის არზრუმის მხარიდან ემიგრირებული სომხებს. გიორგი ჯალაბაძემ თავის გამოკვლევაში ყოველგვარი ეჭვის გარეშე დაადასტურა ამ სახვნელის წარმოშობის საფუძვლები და აღნიშნა, რომ სახვნელი ჯილდა, ისევე როგორც ფორჩხი, ადგილობრივ ნიადაგზეა წარმოქმნილი საუკუნეების წინ და ჯილდაც და ფორჩხიც, მოსულმა სომხებმა გადაიღეს ქართველებისაგან. „საგულისხმოა ისიც, რომ ამ იარაღთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის სახელი „მოდგამი“ საქართველოდან გავრცელდა სომხეთსა და აზერბაიჯანის დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში“, – წერდა გიორგი ჯალაბაძე.

გარდა სამინათმოქმედო იარაღებისა და სამეურნეო კულ-

ტურებისა, გიორგი ჯალაბაძე იკვლევდა არა მხოლოდ ქართულ, არამედ მთელი კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ეთნოკულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც წარმოადგენს შინარენვის პირობებში დამზადებულ ძალზე ფართო მასშტაბის ნაწარმს და რომელიც დაცული იყო (და ამჟამადაც არის) ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. შეიძლება ითქვას, რომ ამ მასალის დიდმა ნაწილმა სწორედ გიორგი ჯალაბაძის უშუალო ძალისხმევით იპოვა თავისი ფუნქციონალური თუ ავთენტური იერსახე.

ცნობილია, რომ კავკასიის მუზეუმს საფუძველი ჩაეყარა 1852 წელს. იმის გამო, რომ მაშინ თბილისი კავკასიის დედაქალაქიც იყო, მთელი მასალა, კავკასიის მასშტაბით აქ შემოდიოდა, ეთნოგრაფიული კოლექციების მოძიება საბჭოთა პერიოდშიც გაგრძელდა. ინტენსიურად მიმდინარეობდა ეს პროცესი გასული საუკუნის 50-70-იან წლებშიც. იმართებოდა ეთნოგრაფიული ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. სწორედ ამ ექსპედიციების დროს, რომლებსაც ხელმძღვანელობდა გიორგი ჯალაბაძე (უკვე მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების გამგე), გრძელდებოდა ფონდების შევსება-გამდიდრება. მეცნიერი განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებდა იმ არტეფაქტებზე, რომელნიც მანამდე არ ყოფილა დაცული ფონდების კოლექციებში.

ეთნოგრაფიულ ფონდებზე საფუძვლიანი ინფორმაცია გიორგი ჯალაბაძემ საზოგადოებასაც გააცნო 1979 წელს, როცა გამოიცა მისი „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გზამკვლევი“ (ფონდების გზამკვლევის მეორე შევსებული გამოცემა, ქართულ და რუსულ ენებზე, გამოვიდა 80-იან წლებშიც). მკვლევარი აცნობიერებდა იმ ფაქტს, რომ ახალ ეპოქაში ინტენსიურად ქრებოდა ყოფისა და კულტურის ამსახველი ექსპონატები და ფონდების დახასიათებასთან ერთად, მსჯელობდა ყოფაში შემორჩენილი ექსპონატების მოძიების აქტუალობაზე.

ფონდების გზამკვლევაში გიორგი ჯალაბაძე სათანადოდ მიუზღავდა წვლილს ყველა იმ სამუზეუმო ხელმძღვანელსა თუ

რიგით მუშაკს, ვინც უშუალოდ ზრუნავდა მუზეუმის კოლექციებით გამდიდრებასა და დაცვაზე. ცალკე უნდა აღინიშნოს გიორგი ჯალაბაძის წვლილი მუზეუმში ეთნოლოგ//ეთნოგრაფების მეცნიერულ და სამუზეუმო მუშაკად ჩამოყალიბების საქმეში. ამ გარემოებას ყოველთვის ხაზს უსვამდა და მასში გულისხმობდა ეთნოგრაფიულ პრაქტიკას, ნივთებთან უშუალო ურთიერთობას. სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „მუზეუმში მუშაობა იყო და რჩება მეცნიერული შთაგონებისა და პრაქტიკული გამოცდილების საუკეთესო სკოლა“.

1954 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით გაიმართა „ქართველი ხალხის ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა“. ეს იყო უნიკალური ექსპოზიცია, რომლის განხორციელებაშიც აქტიურად მონაწილეობდა გიორგი ჯალაბაძე. შემდგომში კი სამ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში თანამშრომლებთან ერთად, ეს გამოფენა იქცა მისი მუდმივი ზრუნვის საგნად. აქ იგულისხმება ექსპონირებული ნივთების ფიზიკური მოვლა-პატრონობა, დროდადრო ახალი ექსპონატებით ჩანაცვლება და სხვა.

1964 წელს მოსკოვში გაიმართა ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა მსოფლიო კონგრესი. ამ მოვლენასთან დაკავშირებით მოსკოვში, გიორგი ჯალაბაძის ხელმძღვანელობით, მოეწყო კავკასიის შინამრეწველობის ნიმუშების გამოფენა, რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა. შესანიშნავი იყო 1964 წელს მოწყობილი გამოფენა „ხალხური შემოქმედების ნიმუშები ფშავ-ხევსურეთიდან“; არანაკლები მნიშვნელობისა გახლდათ 1971 წელს ლენინგრადში მოწყობილი ექსპოზიცია – ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშების „მოძრავი გამოფენა“ და სხვა.

გიორგი ჯალაბაძეს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით თბილისში დაარსებულ ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის, როგორც ხალხში უწოდებენ – ღია ცის ქვეშ ან უბრალოდ, ეთნოგრაფიული მუზეუმის საქმიანობაში. აქაური თანამშრომლებისთვის მუდმივად აწყობდა ლექციებს, სემ-

ინარებს, სამეცნიერო მიმართულებებისა და სამუზეუმო საქმის სპეციფიკასთან დაკავშირებით. ეთნოგრაფიულ მუზეუმში მისი ხელმძღვანელობით მოეწყო ქართული ხალიჩა-ფარდაგების გამოფენა. ექსპოზიცია განთავსდა მუზეუმის სამეგრელოს ზონაში, პირველ ექსპონატ-ნაგებობაში, ე. წ. ონტოფოს საჯალაბო სახლში. მოგვიანებით იმავე ექსპოზიციამ გადაინაცვლა იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

გიორგი ჯალაბაძეს ეთნოგრაფიის განყოფილების ყველა ფონდში ჰქონდა წვლილი დადებული, მაგრამ კონკრეტულად მასზე ხალიჩა-ფარდაგების ფონდი იყო გაპიროვნებული და შესაბამისად, ეს სფეროც გახდა მისი კვლევის ერთ-ერთი მიმართულება. გარდა აღნიშნული ხალიჩა-ფარდაგებით ექსპოზიციების მოწყობისა, ამ სფეროს გიორგი ჯალაბაძემ რამდენიმე საინტერესო სტატიაც მიუძღვნა. მატერიალური კულტურის ეს სფერო იყო ბაქოში გამართული საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენების თემა, რომელმაც აზერბაიჯანელი და უცხოელი კოლეგების დიდი დაინტერესება გამოიწვია. განსაკუთრებით ყურადღების ცენტრში თუშური ფარდაგები მოექცა.

ცხადია, მუზეუმის მუშაკისთვის უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ ფონდების მოვლა, აღრიცხვა-დაცვა, არამედ აქ დაუნჯებული კოლექციების პოპულარიზება. ამ თვალსაზრისით მისი ერთ-ერთი საინტერესო ნაშრომი, რომელიც ცნობილ ეთნოლოგ ლეილა მოლოდინთან თანაავტორობით მომზადდა, არის „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დროშების კატალოგი“, რომელშიც შევიდა სამეფო, სამხედრო რელიგიური და ხელოსანთა ამქრების დროშები: ოქრომჭედლები და დაბალები, მეიარაღეები და „ბრილიანტრიკები“ (ძვირფასი თვლების დამმუშავებლები), ხუროები და მხერხავები, ჭონები (ტყავის ოსტატები) და დალაქები, ნალბანდები და ზეინკლები, მეჭურჭლეები და კალატოზები, მეეტლეები, „მელამფეები“, პურის მცხობლები, აზიური და ქართული ჩექმების მკერავები და სხვა.

დროშების კატალოგი არა მხოლოდ კატალოგია, მისი კლასი-

კური გაგებით, არამედ მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევაა. მასში მოთხრობილია ამქართა კორპორაციის გენეზისზე, სოციალურ მნიშვნელობაზე, წევრთა უფლებებზე და სხვა. ამქრების დროშების შესწავლისას, პასუხია გაცემული ისტორიის გამყალბებელ ჩვენი სამხრეთელი მეზობელი მეცნიერებისადმი, რომლებიც მუდამ ცდილობდნენ ქართული სახელოსნო სკოლის დამცირებას.

ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის, ისტორიის და საერთოდ, ქართული ეთნოკულტურის შესწავლის პრობლემატიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეროვნულ ჩაცმულობას. სწორედ ამ საკითხს ეძღვნება გიორგი ჯალაბაძის ნაშრომი „ქართველი ხალხის ჩაცმულობა“ ეთნოლოგ ციალა ბეზარაშვილთან თანაავტორობით, რომელშიც მოცემულია ტანსაცმლისთვის საჭირო მასალის შერჩევის ხერხები, მათი ტექნიკური მონაცემები: აჭრილობა, სილუეტი, ფერთა შერჩევა-შეხამება, ჩაცმისა და ტარების წესი და ტანსაცმლის მოხმარების ნიუანსები, რაც შეპირობებული იყო კლიმატურ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, სქესობრივ-ასაკობრივი, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო პირობებით. ზოგიერთი ამ ფაქტორთაგანი (მაგალითად, სოციალურ-ეკონომიკური), პერიოდულად ვითარდებოდა და იცვლებოდა. ამის შესაბამისად იცვლებოდა ძველი ტიპის ჩასაცმელი. როგორც ავტორები მიუთითებენ, ეს ყოველივე კარგადაა ასახული ეთნოგრაფიულ ყოფაში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს გახლავთ ქართულ ხალხურ ტანსაცმელთან დაკავშირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი, სადაც კომპაქტურად, ერთიან სისტემაშია მოქცეული ტრადიციული სამოსი ეპოქებისა და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეების მიხედვით. ამავე დროს, ხაზგასმულია მათი ერთიანი გენეტიკური ხაზი და განმასხვავებელი ნიუანსები.

გიორგი ჯალაბაძის კიდევ ერთ სამეცნიერო და ორგანიზატორულ საქმიანობაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ეს გახლავთ მისი ხელმძღვანელობით, წლების განმავლობაში, ეთნოგრაფიული განყოფილების თანამშრომელთა ძალებით განხ-

ორციელებული ექსპედიციები, რომელიც ეძღვნებოდა საქართველოს რეგიონების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლას. ამ მიმართულებით წლების განმავლობაში განხორციელდა რამდენიმეწლიანი ექსპედიციები: სვანეთში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, ლეჩხუმში, შიდა და ქვემო ქართლში, კახეთში. ამ ექსპედიციების შედეგად შეგროვდა სრულიად ახალი სავსე მასალა. ექსპედიციების მონაწილეთა მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით იწერებოდა სამეცნიერო სტატიები ამა თუ იმ საკითხზე, რომელთა საფუძველზე გამოიცა ეთნოგრაფიული კრებულები (სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1970; სამცხე-ჯავახეთი, 1972; იმერეთი, 1978; გურია, 1980; სამეგრელო, 1973; ლეჩხუმი, 1982; შიდა ქართლი, 1987; ქვემო ქართლი, 1990).

ექსპედიციის მონაწილე, მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომელთა მიერ მოძიებული სავსე მასალისა და სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების შედეგად მიღებული კვლევები საფუძვლად დაედო მათ სადისერტაციო ნაშრომებს. ყოველი მათგანის სამეცნიერო ხელმძღვანელი და გზის გამკვალავი ბატონი გიორგი იყო. ასე ოსტატდებოდნენ მის ხელში და მეცნიერ-ეთნოგრაფებად ყალიბდებოდნენ მისი მადლიერი მოწაფეები.

დაბოლოს, განუზომელია გიორგი ჯალაბაძის ამაგი ამ სტრიქონების ავტორებისადმი. ჩვენ, ორივე, მისი უშუალო ძალისხმევით მოვხვდით სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში მეცნიერ-მუშაკებად. ბატონმა გოგიმ გვასწავლა სამუზეუმო საქმის ყველა ნიუანსი, გაგვიხსნა გზა მეცნიერებისაკენ; თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით გვიჩვენებდა ღირსებისა და კაცობის მაგალითებს და დატოვა ჩვენში მოგონება, რომელიც უდიდესი მადლიერებითაა სავსე.

შინაარსი საქართველოს ისტორია

მანანა გაბაშვილი

სვეტიცხოვლის ფრესკისა და კორცხელის ტაძრის
ფასადის დროშები..... 5

მანანა გაბაშვილი

საქართველოს საზოგადოების ისტორიიდან
(XIX საუკუნის დასასრული და XX საუკუნის დასაწყისი)... 23

ოთარ ჯანელიძე

საგარეო პოლიტიკის საკითხები საქართველოს
დამფუძნებელ კრებაში..... 122

გიორგი სოსიაშვილი

მაქარაშვილთა საგვარეულოს ისტორიიდან
(ნიკოლოზ ილიას ძე მაქარაშვილი)..... 152

დავით ახლოური

სოფელი იკოთი XIX საუკუნის დასაწყისში..... 167

დავით ახლოური

ქსნის ხეობის სოფელ მიდელაანის ისტორიიდან 185

მსოფლიო ისტორია

ივანე მენტეშაშვილი

ნაპოლეონი და მისი ძალაუფლება (დიქტატურა
თუ მონარქია)..... 199

არქეოლოგია

ნოდარ ბახტაძე, ვაჟა მამიაშვილი

არქეოლოგიური კვლევა სამეფო სამარხის
იდენტიფიკაციისთვის ნაქალაქარ გრემის
მთავარანგელოზთა ეკლესიაში..... 213

**ნიკოლოზ მურღულია, დავით ლომიტაშვილი,
ბესიკ ლორთქიფანიძე, ნინო ქებულაძე, პოლ ვევერილი,
იან ქოლვინი, თამარ ნინიაშვილი, დავით ალანია,
ნინო ხუციშვილი, ნიკოლოზ დიასამიძე**
2021-2022 წლებში ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური
არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებული
სამუშაოების ანგარიში 243

**ნიკოლოზ მურღულია, დავით ლომიტაშვილი, ნინო ქებულაძე,
თამარ ნინიაშვილი, დავით ალანია, ნინო ხუციშვილი,
ნიკოლოზ დიასამიძე**
2021 წელს ჭაქვინჯის ციხეზე ჩატარებული
არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში 274

**ბესიკ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ მურღულია,
დავით ლომიტაშვილი, ნინო ქებულაძე, თამარ ნინიაშვილი,
დავით ალანია, ნინო ხუციშვილი, ნიკოლოზ დიასამიძე**
2021-2022 წლებში ხუნნის ციხეზე ჩატარებული
არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში 295

ხელოვნება

ელდარ ნადირაძე

სამხრეთ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის
ეთნოკულტურა და ხელოვნება..... 326

მარინე ბოკუჩავა

იმარის სტილის ფაიფური (ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფაიფურის ფონდის მასალების მიხედვით)..... 401

რეცენზია

ელდარ ნადირაძე,

მართალი წიგნი ეროვნული ხელისუფლების დამხობის შესახებ 410

ხსოვნა

ელდარ ნადირაძე, ნოდარ შოშიტაშვილი

გიორგი ჯალაბაძე – 100. მეცნიერი და მოღვაწე 417

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ვახუშტი ბაგრატიონის, №84



214-77-33

E-mail: meridiani777@gmail.com

